



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მოდერნი“
საგამომცემლო კომპერატევი „ჯეჯილი“

თბილისი
1999



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

თევზ სხვიძე

**თხზულებათა
მრავალტომეული**

გამომცემლობა „მოდერნი“
საგამომცემლო კოოპერატივი „ჯაჯილი“

თბილისი

1992



საქართველო

თსზულეგანი
ტომი II

დედა - ისტორია

გვარამია დედა-ების
და ქართული

სკპ-2000
შემოქმედებულია

თბილისი
1992

საქართველოს

ისტორია



„ფელაისტორია“ მოკვიბრობს თეიონ ფელა-საქართველოს
თავდასხვადს უკველესი დროიდან XX საუკუნეში (1907-1957) შიგლითი

რედაქტორი: რიშან დანელია

(

საბავთველოს
მ რ მ ნ უ ლ ი
შიგლითი

გამომცემლობა „მოდოლინი“
სავაშომცემლო კოოპერატევი „პეპილი“

წინაპირობები



ერისა და ქვეყნის კეთილშობილება, განვითარება და
გრძობა ავტოკთონობით, ძველადვე დაწესებული
მოძველობითა და წინაპრობაში მრავალი ცნობი-
ლი წინამძღოლის უკლით.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე

იეროთხოს შენი ძეძუ, ჩვენო დედა, ჩვენო
გამსრდელი, ჩვენო ძეძუც მაწოვებელი!

ე ა ე ა - ზ შ ა ე ე ლ ა

თ ა ე ა დ ი ს ი ტ ყ ვ ა ქართული სიტყვიერებისა და აზრ-
ოვნებისა არის სიტყვა — „დედა“.

იგი არის სიტყვა „ღმრთისა თანა“ და თვითონ „ღმერთი
სიტყვაი იგი“.

თითქოს, მართლაც — მთელი სამყაროს ა რ ს -ობაც და
შ ა ა რ ს ე ბ ლ -ობაც ამ ერთ სიტყვაში იყოს მოქცეული.

- დედა-მიწა
- დედა-ბუნება
- დედა-სამშობლო
- დედა-ბურჯი
- დედა-სვეტი
- დედა-ბოძი
- დედა-კაცი
- დედა-ბუდე
- დედა-ქალაქი
- დედა-ციხე
- დედა-ეკლესია
- დედა-პური
- დედა-ძარღვი
- დედა-არსი
- დედა-აზრი
- დედა-ენა

• • • • •
ადგილის დედა

გუთნის დედა



ეროვნული
კავშირთა

შედეგება (სისხლის შედეგება)

შემდეგებელი („შემდეგებელი დერბა ერისა“)

ხოლო ამ საოცარი „დედა-სიტყვაობის“ თავადი სიტყვა მაინც არის დედა-ენა, — შემდეგებელი დერბა ქართული ეროვნული სულისა, არსობისა და არსებობისა.

მაგრამ ერის არსობის განმსაზღვრელი და „შემდეგებელი“, ენასთან ერთად და მისგან განუყოფლად, არის აგრეთვე ისტორია.

დიახ, — ისტორია დედას, დედა-წილი, მშობელი აწმყოსი („აწმყო შობილი წარსულისაგან“) და მშობლისმიერი უტყუერობით გზისგამკაფავე მომავლისა.

ხოლო რადგან ქართულ საერო-საიღმრთელო საწიგნობელში სუფევს თავადი წიგნი — „დედა-ენა“, უნდა სუფევდეს „დედა-ისტორია“.

ფესვები

უფრო ძველ ამბავთა ზუსტი გამორკვევა
არ მოხერხდა დროის სიმორისა გამო.
თ უ კ ა დ ი დ ე

ი კ, სადაც შ შ ბ ლ ი ა დ ე დ ა მ ი წ ი ს ა

ქვეყანა კ ა ვ კ ა ს ი ა — მსოფლიო თილისმა სუფევს ამ სახელდებაში.

მთა კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი — ვერცხლის შუბლი დედამიწისა, მათრებელი შუასახსარი აზიისა და ევროპისა.

ხოლო დედამიწის შუბლზე, მის სამხრეთ მხარეს, გაშლილია ქვეყანა, რომელსაც ჰქვია — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

უმშვენიერესი და უქანსაღესი ნაშობი ზეცისა და დედამიწისა.

დასავლეთით და აღმოსავლეთით, მის ნოყიერ ცისგვამში ორი ზღვის სუნთქვა ერთვის ერთმანეთს — შავი ზღვისა და კასპიის ზღვისა.

სამხრეთის საზღვრად — ანტიკავკასიონში, წინა აზიის შუა წელი, ანატოლია, სომხეთი, ირანი.

თითქოს სამყაროს დემიურგი საგულდაგულოდ აღზევებულდი სულით და ნატიფად დახვეწილი ხელით საგანგებო თავდაფიწყებით შესდგომოდეს ამ საოცარი ქვეყნის დახატვას.

მისი მცენარე, მისი ცხოველი, მისი წიაღი, მისი წყალი, მისი ნაყოფი — უხვა, მდიდარი, გემრიელი, მრავალფერი და მრავალსახე.

აქ ცხოვრობს ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი — უძველესი ხალ-



ხთავანი დღემდე მოღწეულ კაცობრიულ მოღვათა შორის. ისე როგორც უდიდესი ცივილიზაციის შემოქმედებელი ხალხი შექმნილია სამი ნათესაური გვარტომების ელთა, დორიელთა და ეოლიელთაგან, — ასევე სრულიად ქართველი ხალხის შემოქმედიც შეიქნა სამი მთავარი ნათესავი გვარტომი:

- ქ ა რ თ ე ბ ი.
- მ ე გ რ ე ლ ე ბ ი.
- ს ვ ა ნ ე ბ ი.

მრავალ საუკუნეთა სარბიელზე ეს სამი დედა-გვარტომი იყო მომცველ-გამაერთიანებელი ყველა ქართული მოდგმისა, რომელსაც კი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახელდებით უცხოვრია საქართველოს მიწა-წყალზე: იბერნი, კოლხნი, კახელნი, თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი, წანარნი, პერნი, მესხნი, ტაოელნი, კლარჯელნი, შავშელნი, ერუშელნი, ჯავახნი, სპერნი-სასპერნი, კარდუხნი, ეგრისნი, ლაზნი, შკვითინები, ბეხირები, ბიძერები, მაკრონები, სანები, მოსინიკები, ხალიბები, პენიოხები, სანიკები, მისიმიელნი, ოდიშარნი, იმერნი, მარგველნი, აქარნი, გურულნი, თაკვერელნი, ლეჩხუმელნი, რაქველნი, დვალნი (ტომობრივი და გეოგრაფიული ადგილსაცხოვრის სახელთა მიხედვით).

დედამიწის სხვა შვილთა გვერდით, ათასეულ წელთა სარბიელზე, გარებუნების დასამორჩილებლად და სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად, ქართველ კაცს იარაღად უკეთებია — ქვაც, სპილენძიც, ბრინჯაოც, რკინაც. გამოუვლია პალეოლითიც, ნეოლითიც, ენეოლითიც.

გამოუვლია ორივე გვარიც — დედისეულიც, მამისეულიც. პრეისტორიის უზანგრძლივესი და უმძიმესი დრამატისმით ნაწრთობი სულით და სხეულით მოილტვოდა იგი მსოფლიო ცივილიზაციის კარიბჭეებისაკენ.

და მოდიოდა ვითარცა: მონადირე და მესაქონლე, მშვილდოსანი და მახვილდოსანი, გუთნისდედა და მევენახე, ხერო და მკედელი, ხელოსანი და ხელოვანი, მშობელი მიწის მოთაყვანე და სამყაროული სიმშვენიერის მოტრფიალე.

ბუნების ძალთა რელიგიურ აღქმასა და გააზრებაში იყო მორწმუნეც, იყო სეპტიკოსიც. აღმერთებდა: ცხოველთა-



გან — სარს, ფრინველთაგან — არწივს, მცენარეთაგან — კენკრულს მნათობთაგან — მზეს, მთვარეს და ცისკრის ვარსკვლავს (მთხრომელს) და ცთომილი კუდიანი, ნაწლავნაყარი)...

ბოლოს ქართველმა კაცმა განიერი ნაბიჯით შედგა ფეხი მსოფლიოურ მატრიანეში, ძველთაძველ თანამიმდევრულ წერილობით ისტორიაში — წინაბერძნულ და ძველბერძნულ „კოსმიურ თავგადასავლებში“, მრავალსახოვან, უმშვენიერეს თქმულებებში.

სწორედ ძველმა ბერძნებმა, მთელი მსოფლიოს უპირველესმა „ნათლებმა“, ქართველთა სამშობლოს დასანათლავად აარჩიეს აქ მობინადრე ადამიანთა ყველაზე მნიშვნელოვანი და სისხლხორცეული მოსაქმეობა: მიწათმოქმედება — საკაცობრიო კულტურული მეურნეობის ყველაზე ღირდარგი!

და ბერძნებმა საქართველოს უწოდეს გეორგია — მიწათმოქმედთა ქვეყანა.

გეორგია! მსოფლიო ისტორიაში სამარადემოდ დაივანა ამ სახელმა.

ქ ვ ე ყ ა ნ ა ო ქ რ ო ს ს ა წ მ ი ს ი ს ა

ნამღვილს მოგითხრობთ, მაგრამ ისეთს, ზღაპრით მოგეჩვენებათ.

ო ვ ი დ ი უ ს ი

უხვი არქეოლოგიური მასალები სრული სიმტკიცით ადასტურებენ ქართველი ხალხის ძველთაძველობას და მისი კულტურული დონის სიმაღლეს, მაგრამ ისტორიის ვაბამული, უწყვეტი და კონკრეტული ქსოვილის აღსადგენად გადაამწყვეტი მნიშვნელობა მაინც წერილობით წყაროებს ენიჭებათ.

ხოლო ქართველთა უძველესი წინაპრების შესახებ წერილობით მოგვითხრობენ ისევ ძველი ბერძნები. ეს არის თქმულებათა მთელი ციკლი „ოქროს საწმისზე“. ანუ „არგონაველთა“ ლაშქრობაზე „ოქროთი მდიდარ“ კოლხეთში. იგი მოგვი-



თხრობს სამიათასხუთასწლოვან ამბავზე, სადაც **ერამეტა** ჩაწულ-ჩაყიებულია მითოსი, ლეგენდა და ისტორიულ თვალის გადავლებით გავიაროთ ეს თქმულებანი და დასავლეთში ყველაზე დიდი მბრძანებელია კრეტის მეფე, ზევსის ძე მინოსი, აღმოსავლეთში კი — კოლხეთის მეფე, პელიოსის ძე აიეტო. ამ ორ ხელმწიფეს თანაბარი „უფლებით“ უჭირავს „მსოფლიო წონასწორობის“ სსწორობა. არიან მგვობრებიც და მოყვრებიც (მინოსს ცოლად ჰყავს აიეტის დაი, პასიფაე).

ბერძნებს კოლხეთი წარმოუდგენიათ „ოქროს ქვეყნად“, სადაც კავკასიონის მთიდან დაქანებულ მდინარეებს მოაქვთ ოქროს ქვიშა. კოლხები მდინარეთა ჩქერებს ცხვრის ტყავებს ჩაუგებენ და როცა ამოიღებენ, ოქროს ქვიშა ამოჰყვება „ოქროს საწმისებს“.

ოქროს ქვეყანაა კოლხეთი და „მზე-პელიოსის“ ნამიერგბიც ოქროს სხივებს ისვრიან თვალთაგან.

მერე, საბერძნეთიდან სიკვდილს გამოექცა ორქომენელი უფლისწული ფრიქსე. იგი ოქროსმატყლოვანი ვერძით მოვიდა კოლხეთის სატახტოში — ქუთაისში (ქუთაისი) და აიეტს თავშესაფარი სთხოვა. გულუხვმა და გულმოწყალე მეფემ ლტოლვილი უცხოელი კიდევაც შეივრდომა და სიძედაც დაისვა — ცოლად მისცა თავისი უფროსი ასული, ქალკიოპე. ხოლო ოქროს ვერძი, აიეტის ბრძანებით, კოლხმა ქურუმებმა ღრუბელთა ბატონს შესწირეს და მისი ტყავი, ოქროს საწმისად წოდებული, უმაღლეს მუხაზე დაჰკიდეს.

განვლო დრომ და კოლხეთს ისევ ეწვივნენ ბერძნები — ორმოცდაათი გმირი, თესალიელი უფლისწულის, იასონის წინამძღოლობით. ისინი მოვიდნენ ხომალდით, რომელსაც ერქვა „არგო“ და მათი სახელიც აქედანვე — „არგონავტეს“ („არგონაველები“) — შემორჩა ისტორიას.

ახალმოსულნი მიზნად ისახავდნენ კოლხეთიდან საბერძნეთს წაეღოთ ოქროს საწმისი — სიმბოლო ქვეყნის სიმდიდრისა, სიმძლავრისა და მარადიული კეთილდღეობისა.

სანამ კოლხეთს მოატანდნენ, არგონაველები, გზადაგოა, სადაც კი ხმელეთზე გადავიდოდნენ, ხმლითა და მუშტით უსწორდებოდნენ ყველა დამხედურ ხალხს, ხოლო ახლა, კოლ-

ხეთს რომ მოვიდნენ, — აქ ძალადობით ვერას გავხდებით, და
გადაწყვეტეს ისევ თავაზიანი თხოვნით ან სხვა რაიმე **კერძო**
თუ ხრიკით აღსრულებინათ თავისი განაზრახვი. **გეგმა**

ამიტომ იასონმა „არგო“ ფასისში (რიონში) შეაყვრა, ლე-
ჩქმიანში შეშალა, თანამგზავრთაგან ორი კაცი (ტელამონი
და აგგია) აიყოლია, დანარჩენები იქვე დატოვა და ქუთაი-
ასკენ გასწია.

კოლხთა სატახტო დიდის პატივითა და სტუმართმოყვარე-
ობით შეხვდა უცხოელებს. აიეტმაც ტყვილად მიიღო სტუმრე-
ბი. ჯერ საგანგებო ნადიმზე უმასპინძლა, მერე ასე შორეული
მგზავრობის მიზეზიც გამოჰკითხა: იასონმა გახედა და ოქროს
საწმისი ითხოვა. აიეტი ჯერ განრისხდა, მაგრამ იასონის ხეყუ-
ნა-მუდარამ გული მოუღბო და ბოლოს ასე ბრძანა: ბერძენი
უფლისწული მხოლოდ მაშინ მიიღებს ოქროს საწმისს, უკეთუ
იგი შეძლებს შეასრულოს ყოველივე, რასაც თვითონ მეფე ას-
რულებს ყოველთვის, როცა ის ამას მოისურვებს; სახელ-
დობრ — მან მძიმე გუთანსა და უღელში უნდა შეაბას ცე-
ცხლისმფრქვეველი ხარები, ოთხდღიური მიწა ნახევარ დღეში
დახნას, თან ხნული დრაკონის კბილებით თესოს და მათგან აღ-
მოცენებული გიგანტები მახვილით გაეღიტოს.

ასეთი რამის აღსრულება იასონს არ შეეძლო, მაგრამ ანგა-
რიშმიუცემლად დათანხმდა. საგონებელში ჩავარდნილ ბერძენ
გმირსა და მის თანამგზავრებს მოულოდნელი მხსნელი გამო-
უჩნდათ. ეს იყო მედეა, მეფე აიეტის უმცროსი ასული, რო-
მელსაც თავდავიწყებით შეპყვარებოდა უცხოელი უფლისწუ-
ლი. მან საკუთარი ხელით დამზადებული წამალი მისცა ია-
სონს. ხოლო გინც მედეას ნახელავი ქადო-წამლით სხეულს და-
იზღდა, მას ვერც მახვილი გაჭრიდა, ვერც ცეცხლი დაწვავ-
და, მთელს სხეულში ღეთაებრივი ძალ-ღონე და სიმამაცე ჩაუ-
სახლდებოდა. მედეა ასეთ წამალს პრომეთეს (იგივე ამირანის)
სისხლით ნაპოხ მიწაზე აღმოცენებული ყვავილებისგან ამზა-
დებდა.

და აი, კოლხთა და ბერძენთა საყრებულოს თვალწინ, იასო-
ნმა ყველაფერი ბრწყინვალედ აღასრულა: ცეცხლისმფრქვე-
ველი ხარები გუთანში შეაბა, ოთხდღიური მიწაც ნახევარ
დღეში დახნა-დათესა და ხნულიდან აღმოჩნდნენ გიგანტებიც
სულ ერთიანად ამოწყვეტა.

მაგრამ თვითონ გრძნეულებას ნაზიარევი აიეტის მიხედვით რომ მხოლოდ მისი ქალიშვილის დახმარებით შეძლო ბედნიერ-
თა წინამძღოლმა ზოფათიდან თავის დაძვრენა. აქედან გამომდინარე
ნიზრაბა უცხოელთა გაქლაცა


მედემ ეს შეიტყო. ქალაქიდან იდუმალ გავიდა, „არგონა-
ველთა“ ბანაკს მიადგა და იასონს ყველაფერი ამცნო. მერე
იასონი მუხასთან მიიყვანა, საწმისის მცველი გველეშაპი წამ-
ლის შეფრქვევით და შეროცვით დააძინა და იასონს ოქროს
საწმისი ჩამოახსნევინა. ამიერიდან მედეას კოლხეთში აღარ
დაედგომებოდა და აღარც თვითონ სურდა დარჩენა. იგი სუ-
ლით და ზორციით უცხოელს ეკუთვნოდა. იასონმაც მზურვალედ
შეჰფიცა, რომ სიკვდილამდე მისი ერთგული შეუღლე და ესო-
დენ განუზომელი ერთგულებისა და თავგანწირვის დამფასებე-
ლი იქნებოდა.

მეორე დღეს აიეტმა გაქცეულებს კოლხთა ფლოტი და ლა-
შქარი დაადგენა, თავისი ძის, უფლისწულ აფსირტეს საარ-
დლობით, მაგრამ ბერძნებმა კვლავ იხსნეს თავი. აფსირტე, ვი-
თომდა მოსალაპარაკებლად, მიიტყუეს და მუხანათურად მოჰ-
კლეს (ჩასაფრებულმა იასონმა აძგერა ზურგიდან მახვილი).

ათი წელიწადი იცხოვრა მედეამ უცხოობაში. თავს ბედნი-
ერად ვრძნობდა, რადგანაც ჰქონდა ოჯახი — ყავდა ორი ვაჟი
და „ერთგული ქმარი“. მაგრამ ერთ დღეს საშინელი ამბავი
შეატყობინეს: იასონი თურმე ცოლად ირთავს სხვა ქალს,
კორინთოს მეფის ერთადერთ ასულს, სახელად კრეუსას.
ნათელი იყო მოღალატე ქმარის განზრახვა — იგი კრეუსაზე და-
ქორწინებით მეფის გვირგვინს იდგამდა თავზე.

დიდხანს იტირა მედეამ შიტოვებელი ქალის ტირილით. მა-
გრამ ძლიერი სული ბრძოლას ტირილით არ დაასრულებს. მან
გადაწყვიტა შურისძიება. მოღალატე ქმარს შენიღბული სიმ-
შვიდით შეხედა და დაარწმუნა, რომ იგი შეურიგდა თავის მწა-
რე ზვედრს. მერე ერთი ძვირფასი წამოსასხამი და ოქროს გვი-
რგვინი იასონს ჩააბარა — ეს საჩუქრები შენს ახალ საცოლეს
ძღვნად შიართიყო.

იასონი თავისი ვაჟებით სასახლეში მივიდა. კრეუსას საჩუ-
ქრები ბავშვებმა გადასცეს, — აქაოდა, როგორც იასონი ფიქ-
რობდა, კრეუსა უფრო ღმობიერად მიიღებსო გერებს.



როგორც კი კრეუსა სადედოფლო წამოსახამით და გვირგვინით მოიბრთო, მაშინვე ცეცხლი მოედო და საშინელი წინააღმდეგობით დაიწვა. ასევე დაემართა მეფესაც, როცა იგი ცეცხლმოდებული შეიღის სხეულს შეეხო. დაღუპულთა ნათესაებო, კორინთელი კარისკაცებო, მედეას ბავშვებს მიუხტნენ მოსაკლავად. ბავშვები გაიქცნენ, ტაძარში შეასწრეს და საკურთხეველს შემოეხვივნენ. მათ იცოდნენ, რომ ტაძარში არამცთუ ადამიანის მოკვლა, უბრალო ხელის შემოკვრაც ღმერთთა წინაშე უდიდეს ცოდვად ითვლებოდა. მაგრამ კორინთელები ტაძარში შეცვიოდნენ და ბავშვებს ზედ საკურთხეველზე ყელუბი გამოსჭრეს...

ამ ამბიდან მცირე დრომ განვლო. კორინთელებს ბავშვთმკვლელების სისხლიანი სახელი დარჩათ, ხოლო მედეას — უმაგალითოდ გვემული და ლახვარცემული სიცოცხლე. იგი ერთხანს ათენში ცხოვრობდა, მერე, თითქოს, კოლხეთს დაბრუნდა... აღარ ვიცი, როგორ დაასრულა თავისი წამებული სიცოცხლე „მზის შვილიშვილმა“, ჩვენთვის ცნობილმა „პირველმა ქართველმა ქალმა“.

ხოლო მისი დაადი შამის, მკურთხეულმა ხელმწიფმა ჩვენთვის ცნობილი „პირველი ქართველი მეფის“ აღსასრულს გვამცნობს მისი საფლავავის ქვაზე ამოტვიფრული ეპიტაფია:

აიეტი, ოქრომრავალ კოლხთა მეუფე,
 აქ გააპატიოსნა ღმერთთა ყოვლისდამორგუნველმა
 ზედისწერამ.

კვლავ შეიბუსრნენ საუკუნენი და მედეას გვემული სული კვლავ შეაშფოთეს... კიდევ უარესი წვისა და დაგვის კოცონზე დასდეს. ქრისტეს წინარე V საუკუნეში გამოჩნდა დიდი მწერალი-ტრაგიკოსი ევრიპიდე, რომელმაც თავისი მხატვრული აზროვნების მრწამსად ქალის ბუნების გახსნა აიჩნია. ყველა მისი ტრაგედიის მთავარი გმირნი ქარიშხლიანი ემოციების მქონე ქალები არიან. მათ არ იციან საზღვარი არც სიყვარულში, არც სიძულვილში, განსაუთრებით კი ისინი მკვინვარენი არიან შურისძიებაში.

და აი, ევრიპიდემ ხელთ აიღო ათასი წლის წინათ



კორინთოში დატრიალებული ტრაგიკული ამბავი და თავის შემოქმედებითს ქვაბში ჩაუშვა ხელახალი გადახარხარებისა და რდასახვისთვის (ისე, ვითარცა თვითონ მედეა ჩაუშვებდა მდუღარე ქვაბში ბებერ სელიერს ახალგაზრდად გადახარშვა-გარდასახვისთვის).

და ასე გაჩნდა მსოფლიო ლიტერატურაში სახელგანთქმული ტრაგედია „მედეა“, რომელშიც მეფე აიეტის ასული მოლაღატე ქმრის მიმართ შურისგების გაუგონარ, შემადრწუნებელ ფორმას მიმართავს.

ევროპიდე ჯერ ნამდვილი თქმულების ხაზს გაჰყვა და მედეას მისი მეტოქე კრეუსა (იასონის საცოლე) და მამამისი კრეონი მოაკვლევინა; ხოლო ამის შემდგომ, მან სინამდვილეს (კორინთელებმა რომ მედეას შვილები დახოცეს) გადაუხვია და მის ნაცვლად მედეას შვილები მედეასვე დაახოცინა.

მაშ, ევროპიდემ პირველმა გამოიგონა შემაზრზენი ამბავი — თითქოს კოლხმა მედეამ ყელეები დასჭრა საკუთარ შვილებს! ევროპიდეს ამ „ცოდვის“ შესახებ ჩვენ გვატყობინებენ ძველი დროის მეცნიერნი და მწერალნი: კრეოფილე, პინდაროსის სქოლიასტი, პარმენისკე, პავსანია, კლავდიუს ელიანუსი. ეს უკანასკნელი გვარწმუნებს რომ კორინთელებმა ევროპიდეს ხუთი ოქროს ტალანტი მისცეს ქრთამად, რათა ბავშვების დახოცვა დედისთვის დაებრალეზინა, ხოლო მათი ქალაქისთვის ჩამოერეცხა ბავშვთამცველობის სისხლიანი ლაქა...

ამრიგად, ოცდაათობმეტი საუკუნე დადის ქვეყანაზე საშინელი თავგადასავალი „პირველი ქართველი ქალისა“. დადის იგი ორმაგი წიაღსვლით: ათი საუკუნე საკუთარი, ნამდვილ-მომხდარი უბედურებით, და ოცდაათი საუკუნე — ევროპიდესგან თავსმოხვეული შვილთმცველობის უმძიმესი ტვირთით.

დ ი ა მ ნ ი, კ ო ლ ხ ა, ს კ ი რ ი

ეს დრამატული ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქართველ ტომთა სწრაფ აღზევებას ქრისტეს წინარე მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან, ჩვენგან დაახლოებით, 3500 წლის წინათ.



ეს ის დრო იყო, როცა ამოიჩინა აზიაში „სლავის ხალხების“ შემოსევებმა ჯერ დაახუსტეს და შემდეგ სავსებით დაიპყრეს უკრაინა. ოდესღაც მძლავრი ხეობების სახელმწიფო. ამით დასრულდა კოლხური მოდგმის ძლიერმა ტომმა — მ ე ს ხ ე ბ მ ა, რომლებიც მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში შეიჭრნენ, მკვიდრად განსახლდნენ და საფუძველი მოუშაადეს მომავალში ძლიერი სახელმწიფოს შექმნას.

მერე, ქრისტეს წინარე XIII საუკუნეში ჩვენგან, დაახლოებით, 3300 წლის წინათ, დღევანდელი არზრუმისა და მის სამხრეთ ტერიტორიებზე შეიქმნა ძლიერი ქართული ტომობრივ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება — დ ი ა ო ხ ი (შემდგომში — ტ ა ო), რომელიც ექვსასი წელიწადი იგერიებდა წინა აზიის მძლავრ სახელმწიფოთა — ასურეთისა და ურარტუს შემოტევებს.

ქრისტეს წინარე VIII საუკუნეში (დაახლოებით, 2800 წლის წინათ) დიაოხი სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ახალმა მძლავრმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ დაიპყრო და შეიერთა. ეს იყო კ ო ლ ხ ა, ანუ კოლხეთი, რომელსაც სახელი ამ დროისათვის ქართველ ტომთაგან ყველაზე გამძლავრებულმა კოლხებმა მისცეს.

ახლა კოლხასა და ურარტუს შორის გაჩაღდა მძიმე ბრძოლები, მაგრამ ჩრდილოეთიდან გადმოჰყრილმა კიმერიელთა ნიაღვარმა დაახავა და შეაყავშირა წაყიდებული მეზობლები. მალე კიმერიელებს სკვითთა და მიდიელთა შემოსევები მოჰყვა.

კოლხაც და ურარტუც დაეცნენ, მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობა მაინც დღევანდელი აღმოჩნდა. იგი ახალი პოლიტიკური კმნადობით განაგრძობდა არსებობას.

ქრისტეს წინარე VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე (დაახლოებით, 2600 წლის წინათ), ისევ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე ჭოროხის ზემო წელზე, ქართის ტომებმა — ს ა ს პ ე რ ე ბ მ ა, ანუ ი ბ ე რ ე ბ მ ა, შექმნეს სამეფო, რომელსაც დაერქვა ს პ ე რ ი.

სპერის მეზობლად მაშინ ორი მძლავრი სახელმწიფო არსებობდა — ირანული მიდია და მცირეაზიული ლიდია, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეებდა სასპერთა სახელმწიფოს საზღვრებს.



ქრისტეს წინარე VI საუკუნის შუა ხანებში კი (დაახლოებით, 2500 წლის წინათ) გამოჩნდა წინააზიელ ხალხთა მრავალრიცხოვანი სპარსეთის სახელმწიფოს და მის მბრძანებელ აქემენიანთა დინასტიას. სპარსელებმა დაიპყრეს მიდია, ლიდია, შუამდინარეთი, დასავლეთი წინა აზია, შემდგომ ეგვიპტე, და ბოლოს, შუა და ცენტრალური აზია ინდოეთამდე.

სამხრეთ-დასავლეთელი ქართველებიც აქემენიანთა სამბრძანებლო საზღვრებში მოექცნენ. ისინი სპარსეთის მეთვრამეტე-მეცხრამეტე სატრაპიებში შედიოდნენ, ხარკს იხდიდნენ და საქირო შემთხვევაში სპარსელებს ლაშქრად მიჰყვებოდნენ.

კოლხეთი დ ა ი ბ ე რ ი ა

დასავლეთმა საქართველომ ქოროზიდან კავკასიონამდე ახალი სახელმწიფოებრიობით განაგრძო ცხოვრება. ეს იყო ეგრიისის, ანუ კოლხეთის სამეფო.

სპარსელ აქემენიანებს კოლხეთზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

უფრო ადრე, ქრისტეს წინარე VII საუკუნიდან, ქართულ საზღვაო სანაპიროებზე ბერძნებმა იწყეს გამოჩენა. შავი ზღვის სამხრეთით და აღმოსავლეთით დაარსდა სავაქრო ახალშენები და კულტურული ცენტრები: სინოპი, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, ფასისი (ფოთი), დიოსკურიკა (სუხუმი). ქართული სამყარო დიდი ბერძნული ცივილიზაციის უფრო აქტიური მოკავშირე და მონაწილე გახდა.

იმავე VI საუკუნეში აღმოსავლეთ და სამხრეთ ქართველთაგან შეიქმნა ქართლის, ანუ იბერიის სახელმწიფო. იბერიელები არავის ბატონობას არ ცნობდნენ — არც მიდიელებისას, არც სპარსელებისას. ქართლის სახელმწიფო ჯერჯერობით სავსებით „თავისუფალ მამულიშვილებს“ ზრდიდა და ავითავებდა.

ქართლის თავადი ქალაქი იყო მცხეთა.

ქრისტეს წინარე IV საუკუნის 30-იან წლებში აზიას, ხმელთაშუა ზღვიდან შუა ინდოეთამდე, ალექსანდრე მაკედონელმა



დონელი დაეპატრონა. საქართველო ამ უდიდეს მსოფლიო
 დამპყრობელსაც გადაურჩა. 323 წელს ალექსანდრე მაკედონელი
 ლი გარდაიცვალა და მისი ხმლის ნაყოფი მსოფლიოში გავრცელდა.
 ქაიყ მისივე გვამის გაცოცხლებამდე დაიშალა. ალექსანდრეს მემ-
 კეიდრობის ნანგრევებზე ეგრეთ წოდებული ელინისტურ
 რი (ბერძნულ-აღმოსავლური) სახელმწიფოები წარმოიქმნენ.
 ერთი მათგანი იყო პონტოს სამეფო, მცირე აზიის ჩრდი-
 ლო-აღმოსავლეთ ნაწილში. რომელიც უმთავრესად ქართვე-
 ლური ტომებით (ხალიბები, ტიბარენები, მოსინიეები, მაკრო-
 ნები, დრიღები, სანიეები, შკვითინები, კოლხები, ტაოსები)
 იყო დასახლებული, მაგრამ რაი იქ, სხვა ელინისტურ სახელ-
 მწიფოთა მსგავსად, სახელმწიფო ენად ბერძნული ენა მოქმე-
 დებდა, ქართველები პონტოელებსაც „ბერძნებს“ უწოდებ-
 დნენ.

წ ე ო ბ ა შ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ს ა

მცხეთაში მაშინ მამასახლისი იჯდა, სახელად სამარა.

პონტოდან ძლიერი ლაშქრით მოვიდა სარდალი აზონ,
 ტომით პონტოელი ქართველი, მაგრამ ქართველთაგან „ბერძ-
 ნად“ წოდებული. აზონს ალექსანდრე მაკედონელის თანამებრ-
 ძოლ სარდალაც კი მიიჩნევდნენ.


მოვიდა იგი ძლიერი ჯარით და ძლიერი სახელით. დაიპყრო
 მცხეთა, გული ქართლისა. დაახოცინა სამარა მამასახლისი
 და მისი ძმა.

ასე დაჭდა აზონ ქართლის ერისთავად. დაჭდა და მცხეთოს
 აკროპოლისზე აღმართა ორი ვერცხლის კერპი — გაც დ-
 გ ა ი მ.

აზონისაგან მოკლულ სამარას ძმას სამი წლის ვაჟიშვილს
 დარჩა, სახელად ფარნავაზი.

დედამ მამით დაობლებული შვილი კავკასიონის მთებში
 გაიხიზნა და იქაურ მთიელ ქართველებში გახარდა. მერე, ვაჟ-
 კაცობაში ფეხშედგმულმა ფარნავაზმა არ დაიშალა, დედასთან
 ერთად მცხეთაში დაბრუნდა და თავის მამულში დასახლდა.
 მალე მას ხმა გაუფარდა, ვითარცა მომხიბლავ ქაბუკს, სწავ-

2. ლ. სანიეძე





ლელ მწიგნობარს, უებრო მხედარს და ხელუცთომელ დარეს.

აზონის ყურსაც მისწვდა ფარნავაზის საქმენიშნულად თვითონ აზონი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და ფარნავაზიც სწორედ მონადირული ხელოვნებისთვის დაიახლოვა და დაიმეგობრა.

დედას აშინებდა ფარნავაზის სიახლოვე მეშურნე და მესისხლე აზონთან. „შვილო ჩემო, ეკრძაღე აზონს, ნურას უჩვენებ სიკეთეს და ღირსებას შენსას, თორემ, ვაი თუ მოგვლან“ შემფოთებით ეტყოდა ხოლმე დედა შვილს. ფარნავაზი კი დედას ამშვიდებდა, ამხნეებდა და მოძალადე მეგობარს კვლავ დანდობილად მისდევდა ტყესა და ღრეში.

ერთ დილას ფარნავაზმა ღამეული სიზმარი უამბო დედას: ერთომ, იგი სადღაც უკაცრიელ სახლში მომწყვდეულიყო, საიდანაც გასასვლელი არსაით ჩანდა; უცებ სარკმლიდან მზის სხივი შემოიჭრა, კაბუკს წელზე შემოერთყა, განზიდა და გაიყვანა; მაშინვე მზე ზეციდან ძირს დაეშვა და ფარნავაზის წინ მის სიმაღლეზე დადგა; კაბუკმა მზისკენ ხელი გაწეართა, სხივოსანი ცვარი ჩამოჰხოცა და პირი იმ მზიურ-ნაამცერე-ვით დაიბანა!..

ეს საამური ძილისშორისი დედას დაუტოვა და თვითონ მარტოდმარტო წავიდა სანადიროდ.

დიღმის ველზე რომ გააღწია, ირმის ჯოგი წამოუვარდა. მონადირემ წამსვე მშვილდ-ისარი გამართა და ცხენს ქუსლი ჰკრა. ირმები ტფილისის ტაფობისკენ გაფრინდნენ. ფარნავაზმა ისარი დაადევნა. ერთი ირემი მოწყვეტით ჩამოესხლიტა ჯოგს. მაინც სისხლდენით მიჰქროდა დაჭრილი ირემი. ბოლოს, შეღამებისას, ველარ გაუძლო და ერთ კლდის ძირს მუხლი ჩაიკრიტა. ფარნავაზიცი მივიდა, ცხენიდან გარდახდა და დაუძღურებულ ნადირს კისერზე მკლავი გადაჰხვია.

ის ღამე ერთად გაათიეს კაცმა და ნადირმა. დილით კოკის-პირული წვიმა დაასხა. ფარნავაზმა კლდეს თვალი მოავლო — თავშესაფარს რასმე ეძებდა. უცებ კლდის ძირში ქვანაშალი შენიშნა. თითქოს კლდეში შესასვლელი ყოფილიყოს და იდეს-სღაც ვიღაცას ამოეჭოლოს. სასწრაფოდ ჩუგლუგი მოიმარჯვა და კლდე-ნაქოლის გამოორღევეს შეუდგა. იგი შევიდა გამოქვა-



საქართველოს
წიგნების
კავშირის
კავშირის
კავშირის

ბელში და გაიხარა, რომ გადასაწვიმებელ ადგილს მიაგნო. მა-
გრამ უფრო დიდი სიხარული მას წინ ედო.

როცა გამოქცეული უფრო გულისყურით მოჩხრიკა, უთ-
ვალავი ოქრო-ვერცხლის საგანძურს გადააწყდა!

გაოცებულმა და გახარებულმა ქაბუკმა გამოქცეულის კა-
რი ისევ ამოქოლა და სახლისკენ გაქუსლა. იქ მან დედას და
თავის სამ დას გაანდო ეს მოულოდნელი სასიხარულო ამბა-
ვი.

ხუთი ღამის განმავლობაში ფარნავაზს, მის დედას და დებს,
ყველასგან საიდუმლოდ და შეუმჩნეველად, გამოქონდათ ოქ-
რო-ვერცხლი გამოქცეულიდან. გამოქონდათ და სხვაგან, მათ-
თვის უფრო მარჯვე და საიდუმლო ადგილზე აბინავებდნენ.

როცა ეს საქმე შოითავა, ფარნავაზმა თავისი ერთგული
მსახური დასავლეთ საქართველოში აფრინა და ეგრისის მაშინ-
დელ ერისთავს, ქუჯის შეუთვალა: „მე ვარ ფარნავაზი, შენი
ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი, აწ
მოკვდინებული სამარას ძმისწული. ხელთა მაქვს დიდძალი
ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. მომეცი ნება, მოვიდე შენთან,
რამეთუ ვეძმით ძმანი ერთურთსა, მოვიხმაროთ ხვასტაგი ესე
და ერთიან ძალით შევებათ აზონ ერისთავსა“.

დიდად გაიხარა ქუჯიმ ფარნავაზის შემონათვალზე და პა-
სუხიყ ასეთი შემოუბრუნა: „აღსდექ და მოდი ჩემთან, შევე-
რთოთ ერთურთსა, ძმაო ჩემო. შევერთდეთ, რამეთუ განიხა-
რონ ყოველთა ქართველთა“.

ფარნავაზი დედის და დების თანხლებით მცხეთიდან იღუ-
შალ გაუჩინარდა და კოლხეთს გადავიდა.

ქუჯიმ დიდის პატივითა და სიხარულით მიიღო მცხეთელი
სტუმრები. მაშინვე მტკიცე ფიცით შეეკრნენ ერთურთს, რომ
ერთიანი ძალით იბრძოლებდნენ აზონის დასამხოზად.

ქუჯიმ ისიც კი განსაზღვრა, ვინ უნდა ყოფილიყო გაერთიან-
ებულ ქართველთა ბელადი და „უფალი“. მან უთხრა ფარნა-
ვას: „თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველე-
ბი არიან, ამიტომ შენ გმართვებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი,
ნუ დაიშურებ ხვასტაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი და შემ-
დგომაც, თუ ღვთის შეწევნით გაეიმარჯვებთ, კვლავ შენ იქნე-
ბი უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი“.



ქუჭის დიდსულოვნებითა და სიბრძნით გახარებულმა ფარნავაზმა შეჰყარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველთა შორის ძალები და კავკასიონითგან მოიხრთო ოვსნი და ლეკნი, რომელნიც აზონს დაბარკული ჰყავდა.

ეტყობა, აზონის მომხრეთა ბანაკშიც არ ყოფილა მტკიცე ერთიანობა. როცა გადამწყვეტი ბრძოლის დღე მოახლოვდა, აზონის ლაშქარი ათასმა რჩეულმა მხედარმა მიატოვა და ფარნავაზის ბანაკს შეუერთდა.

აზონმა მოპირდაპირის ძლიერ ძალებს ბრძოლა ვერ შეჰბედა, მცხეთა მიატოვა, კლარჯეთს გადავიდა და იქ გამაგრდა.

ფარნავაზმა დაიპყრო მცხეთა და სრულიად ქართლი და შეუდგა კლარჯეთისაკენ სალაშქრო სამზადისს. მან ძღვენი გაუგზავნა და შემწეობა სთხოვა სიძის შაშინდელ ხელმწიფეს ანტიოქე I სოტერს. გახარებულმა ანტიოქემ ფარნავაზს „შვილი“ უწოდა, ძვირფასი გვირგვინიც გამოუგზავნა და მამული ჯარიც აახლა.

ფარნავაზი, ქუჭის თანხლებით და ქართველთა გაერთიანებულ ძალებით არტანუჯისაკენ დაიძრა. აზონიც ელოდებოდა მას პონტოდან მიღებული ახალი საომარი ძალებით.

ბრძოლა მოხდა არტაანის, ანუ „ქაფთა ქალაქის“ მახლობლად. სისხლიანი რკენა ფარნავაზის გამარჯვებით დამთავრდა. აზონი ბრძოლაში დაიღუპა. მისი ლაშქრის დიდი ნაწილი განადგურდა. დანარჩენები ტყვედ ჩავარდნენ. მთელი კლარჯეთი თავის დედას — ქართლს შეუერთდა.

ასე შეიქნა ფარნავაზი ქართველთა პირველი გამაერთიანებელი და განთქმულ ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

ეს ამბავი მოხდა ქრისტეს წინარე IV—III საუკუნეთა მიჯნაზე (ჩვენგან, დაახლოებით, 2300 წლის წინათ).

ფარნავაზი ჯერ მხოლოდ 27 წლისა იყო, მაგრამ ახლად წარმოქმნილ დიდ ქართულ სახელმწიფოს სიბრძნით და კეთილგონიერებით განაგებდა.

მან ჯერ განაზოტციელა ადმინისტრაციული რეფორმა. საქართველო დამკო საერისთავოებად, რომელთაც სათავეში ჩაუყენა ერისთავნი. მერე ხელი მიჰყო დიდ აღმშენებლობით საქმიანობას. გაამშვენიერა და ქვის კედელ-ზღუდით



ბით გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა და მისი მთავარი აკროპოლისი არმაზ-ციხე სადაც აღმართა ახალი კერპი ა რ მ ა ზ მ ე ლ ი ფემ აღადგინა ყველა ქალაქი და ციხესიმაგრე, რფუცელის მანამდე შტრის შენოსევას თუ სტიქიურ უბედურებას დაეზგრია. ამას გარდა, დაიწყო ახალ ციხე-ქალაქთა მშენებლობა-ასე აშენდა შო რ ა პ ნ ის ა და დ ი მ ის ციხენი. ეგრისის შუაგულში კი ქუჯიმ აღაშენა ქალაქი ც ი ხ ე - გ ო ჯ ი.

შემდეგ ფარნაეაზმა განახორციელა ყველაზე დიდი კულტურული ღონისძიება: „განაგრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“*...

65 წელიწადი იმეფა ფარნაეაზმა და მიიცვალა 92 წლის ასაკში. იგი დაკრძალეს მისგანვე აღმართული არმაზის ფერხსა ქვეშე.

საქართველოს ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო — უფარნაეაზოდ.

ფ ა რ ნ ა ე ა ზ ის შ ე მ დ გ ო მ

ფარნაეაზის შემდგომ მისმა მემკვიდრეებმა ქვეყნის ერთი-ანობა ვეღარ შეინარჩუნეს და საქართველო ისევ დანაწილდა — ცალკე ქართლად და ცალკე კოლხეთად. ქრისტეს წინარე 11 საუკუნის ბოლოს კოლხეთი დაიპყრო პონტოს საბელოვანმა მეფემ, მ ი თ რ ი დ ა ტ ე VI ე ვ პ ა ტ ო რ მ ა. ხოლო ქართლის სამეფო კართან მითრიდატეს სამეგობრო კავშირი ჰქონდა.

ქრისტეს წინარე 65 წელს, პონტოსა და სომხეთის განადგურების შემდეგ, ქართლს მოადგნენ მსოფლიოს უდიდესი დამპყრობელნი — რ ო მ ა ე ლ ე ბ ი, საბელოვანი სარდლის გ ნ ე უ ს პ ო მ პ ე უ ს ის სარდლობით.

* ქართული ენისა და მწიგნობრობის ფარნაეაზისეფლი რეფორმის აქ მოხსენიებულ ენობას (რომელიც ვეუთენის „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ თვალსაზრისით ავტორ-ისტორიკოსს, ლეონტი მროველს), ფრიად განამტკიცებს არაგვის ხეობაში, დავათში ნაპოვნი და გაშიფრული ძველი ქართული ანბანი (იხ. გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, დავათის სტელეზი, აღმოჩენა არაგვის ხეობაში, „კომუნისტი“, 19. V. 1985).



იბერია-ქართლში მაშინ მეფედ იჯდა არტაგო, რომელ-
მაც მსოფლიო დამპყრობლებთან გულდაგულ შეტყობა უნდა
მხო საქმედ ჩათვალა და პომპეუსს დესპანები ჭმტყვემსამსა
მეგობრო ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ არტაგი იმა-
საც ვარაუდობდა, რომ გულზეიადი რომაელი მთავარსარდა-
ლი, რომელსაც დიდძალი და მრავალი გამარჯვებებით გათამა-
მებელი არმიები ჰყავდა, დაზავებაზე ასე იოლად არ დათანხმ-
დებოდა, ამიტომ ქარების შეყრასა და საომარ სამზადისს შე-
უდგა.

პომპეუსი თავისი ლეგიონებით ისე სწრაფად მიადგა არ-
მაზ-ციხეს, რომ არტაგისთვის მისგან შემოთავაზებულ ზავზე
არც კი უპასუხია.

არტაგმა ქარების გამოყვანა ვერ მოასწრო, არმაზ-ციხე
მცირერიცხოვან ციხიონს მიანდო, თვითონ მტკვრის მარცხენა
სანაპიროს გადავიდა და ზიდი დაწვა, რომ ამით მცხეთისკენ
რომელთა გადასვლა დაბრკოლებულიყო.

პომპეუსმა არმაზ-ციხე აიღო და მტკვრის ხელმარცხნივ გა-
დასალახავად მოემზადა.

როცა არტაგი დარწმუნდა, რომ პომპეუსი მარტო მტკვრის
მარჯვენა სანაპიროთა დაპყრობით არ კმაყოფილდებოდა, ისევ
განაახლა საზავო მოლაპარაკება. მეფე მეგობრობას სთავაზობ-
და რომელს, თან სურსათით დახმარებასა და მტკვარზე ზი-
დის აგებას აღუთქვამდა. მან ეს დანაპირები კიდევაც შეასრუ-
ლა, მაგრამ პომპეუსმა მაინც გადაიყვანა ქარები მტკვრის მარ-
ცხენა ნაპირზე.

არტაგი გადამწყვეტ ბრძოლას კვლავ განერიდა, მდინარე
არაგვზე გადავიდა და ზიდი აქაც დაწვა. რომაელები არაგვის
გადალახვას შეუდგნენ. იბერიელები შეებნენ, მაგრამ ფრიად
დაზარალდნენ.

პომპეუსი მტკვარ-არაგვის გზა-კვანძს მთლიანად ფლობდა,
მაგრამ ზედებოდა, რომ ეს მაინც არ იყო სრული გამარჯვება-
ქართველები პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. ღრმა და
უსიერ ტყე-ღრეებში მიიწივდნენ, მტერს გზას უჭრიდნენ, ქვას
აგორებდნენ, ზევეებს სხლეტდნენ, ხეებზე საფრდებოდნენ და
მომხდურთ მიზანაუღუნლად ესროდნენ ისაჩს, თვალშეუღვა-
ში ტყეებიდან და წყვარამებიდან ელვასებრ გამოიქრებოდნენ
და კვლავ ელვასავით გაუჩინარდებოდნენ.



მაშინ რომაელებმა ტყეები გაჩეხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

დაქრილ და დახოცილ ქართველ მეომართა შორგარეშეშლი ელებმა მრავალი ქალი აღმოაჩინეს. გაოცება იმდენად მსჭვალდა, რომ იყო, რომში ხმამ ჩააღწია: პომპეუსი აღმოსავლეთში ამორძალეებს ებრძვისო.

არტავმა ისევ ვაგზავნა დესპანები პომპეუსთან, — კვლავ დაზავებას ითხოვდა. დიდი ძღვენიც აახლა რომაელ სარდალს: ოქროს ტახტი, ოქროს შავიდა და ოქროს სარეცელი. მაგრამ რომაელი მაინც უნდობლობას უცხადებდა იბერთა მეფეს და ზავის აუცილებელ პირობად მისი ვაჟების მძევლეზად ვაკუაენას მოითხოვდა.

მეფე ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ როცა ზაფხულის ძლიერი სიცხისგან არაგვის წყალმა კლება დაიწყო, არტავი გატყდა და პომპეუსს მძევლეზად გაუგზავნა თავისი შვილები. დაზავედნენ.

იბერია „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოცხადდა.

იბერიიდან პომპეუსმა ლიხის მთა გადავლო და კოლხეთს შეუსია ლეგიონები. დაპყრობილ კოლხეთში მმართველად თავისი კაცი დატოვა და, სომხეთის გავლით, ალბანეთში (ახლა აზერბაიჯანში) შეიჭრა. ეს ქვეყანაც დაიპყრო და დასავლეთისაკენ გაბრუნდა.

ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს მ ო ნ ა თ ხ რ ო ბ ი

ქრისტეს გადაღმ-გადმოდმა პირველ საუკუნეთა საქართველოს შესახებ ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა იმჟამინდელმა სახელოვანმა ბერძენმა გეოგრაფოსმა და ისტორიკოსმა ს ტ რ ა ბ ო ნ მ ა. იგი აგვიწერს ქართველთა საზოგადოებრივ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, მთისა და ბარის ყოფას, ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს, სამიმოსელო გზებსა და სავაჭრო კომუნიკაციებს. მართო მდინარე რიონზე 120 ხიდი უოფილა გადებული. რიონ-ყვირილას წყლის მაგისტრალზე, შავი ზღვიდან შორაპნამდე, მოძრაობდნენ ხომალდები. ინდოეთიდან ევროპისკენ მომავალი საქონელიც ამავე გზით მოედით



ნებოდა: ინდოეთი — შუა აზია — კასპიის ზღვა — მტკვარის
 ლიხი — ძირულა — ყვირილა — რიონი — შავი ზღვა — ურბნული
 პა. სტრაბონი გამორჩეული გულისყურით აღწერს ამ „დიდი
 გზის“ მთავარ ნაკვეთს — იბერიას. „ეს არის მდიდარი ქვეყანა,
 რომელსაც ძალუძს ძალზე ხშირი მოსახლეობა იყოლიოს. და,
 მართლაც, იბერია მეტწილად დასახლებულია მშვენიერად —
 იგი მოყვნილია ქალაქებითა და დაბეებით, თანაც ისე, რომ აქ
 გვხვდება კრამიტის სახურავებიც და არქიტექტურული ხელოვნების
 წესებით აშენებული სახლები, საბაზრო ადგილები და
 სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი“.

მარტო მცხეთა-არმაზში მოპოვებული არქეოლოგიური მასალებიც ნათლად მეტყველებენ ძველ ქართველთა კულტურული ცხოვრების სიმადლესა და მრავალფეროვნებაზე. აქ არქეოლოგებმა იპოვეს საქართველოს უძველესი დედაქალაქის აკროპოლისი — არმაზი, იგივე „შიდა-ციხე“ — მძლავრი კედელ-ზღუდეებით, საცხოვრებლებით, წყალსადენებით, სათავსოებით. აქვე აღმოჩნდა შესანიშნავი აბანოები („თერმები“) და ნეკროპოლისი, მეფე-მთავართა უმდიდრესი სამარხებით. ძალზე საგულისხმოა, რომ მცხეთაში, სამთავროში, საფლავის ერთ ქვაზე, წარწერაში აღმოჩნდა სახელოვნებო თანამდებობის აღმნიშვნელი ტიტულები — „მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი“. მცხეთა-არმაზსა და მათ შემოგარენში უხვად გამოვლინდა უძვირფასესი ნივთები — ოქროს, ვერცხლის, კეთილშობილი ქვებით ასპზული სამკაულები, ჭურჭლეული, იარაღი, სარტყელნი, ოქროსა და ვერცხლის მონეტები — ყოველივე შესრულებული დიდი ოსტატობითა და ხელოვნებით.

პლგართი

არავითარ შემთხვევაში იბერიისი მისეღა არ
იყო საჭირო, ამ შორეულ და უცხო ქვეყანაში,
სადაც მტრებად თვლიან არა მარტო რომაელ-
თა მტრებს, არამედ თვით რომაელებსაც.

გიორგი კედრენე

ახალი ერას დამდებს

სწორედ იმ წელს, რომელსაც მსოფლიო საისტორიო ქრო-
ნოლოგია აღნიშნავს ქრისტეს დაბადებას, ქართლში მეფედ
დაჯდა ფარნავაზიანთა დინასტიის მეათე წარმომადგენელი ში-
რ და ტ პირველი, ანუ ადერკი, რომელმაც კვლავ გააი-
რთიანა „ყოველი ქართლი და ეგარისი“. მერე „უმატა სიმაგრე-
თა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა და უმეტეს მოამტკიცა
ზღუდენი ქალაქისა მცხეთისანი, წყლისა იმიერ და ამიერ“.

მირდატ პირველის დროს მსოფლიოში განითქვა ამბავი
იესო ქრისტეს დაბადებისა, ცხოვრებისა და მოძღვრებისა,
რომელსაც მალე ქართული მითოსიც შეუერთდა და შეესის-
ლბორცა. ჩვენც გადავკრათ თვალი ამ ამბავს.

ბაბილონელთაგან დევნილი ებრაელების ერთი ნაწილი
პალესტინიდან ქართლში გადმოხვეწილიყო. ისინი მცხეთაში
და მის ახლო სოფლებში ცხოვრობდნენ. ქართველები და მათი
მეფენი დიდი შემწყნარებლობითა და მასპინძლური პატივით
ეპყრობოდნენ შემოხიზნულებს. და განვლო ებრაელთა მოსე-
ლიდან ექვსასმა წელიწადმა და, მირდატ პირველის გამეფებო-
დან ოცდაათი წლის თავზე, მცხეთაში მოვიდა ამბავი, რომ



პალესტინაში შეუპყრიათ იესო ქრისტე და მიუციათ საშარტო-
ლში. ბრალმდებელ მწიგნობართა წრემ, რომელსაც უმადუღწი-
რაბინი კაიაფა ძეთაურობდა, მოციქულები გამოკეტავენა მცხეთის
თის ებრაელობას: თქვენგანაც გამოგზავნეთ „მეცნიერი სჯუ-
ლისანი“ ქრისტეს მზილებაში და სასიკვდილო განჩინებაში
მონაწილეობის მისაღებადო. მცხეთელებმაც პალესტინაში გა-
საგზავნად აარჩიეს ორი სწავლული — ელიოზ მცხეთე-
ლი და ლონგინოზ კარსნელი.

წასვლის წინ ელიოზი დედამ დაარჩია — წასვლით წადი,
მაგრამ არამც და არამც ქრისტეს სიკვდილით დასჯასა და სი-
სხლის დათხევასში წილი არ დაიდოო.

როცა ელიოზმა და ლონგინოზმა იერუსალიმს ჩააღწიეს,
ქრისტეს სიკვდილის განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდათ. და
ისინი დაესწრნენ გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმას. ხოლო რო-
ცა წამებული ღვთის ძის სამოსელზე „წილი განიგდეს“, კვარ-
თი, ანუ პერანგი წამებულისა წილად ხვდათ მცხეთელებს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ საინტერესო სიმბოლური მინიმე-
ბა ქართული თქმულებისა: მაშინვე, როგორც კი ქრისტე ჯვარ-
ზე აღესრულა, სიკვდილი მისა მცხეთას შეიგრძნო ელიოზის
დედამ და — „საშინელითა კრჩხილებითა დაიზახნა“: „მშვი-
დობით, მეფობათ ისრაელისაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკა-
ლით, უბადრუკო და წარწყმედილნო, უფალი და მაცხოვარი
ყოველთა, და იქმენით ბოროტად მკვლელნი შემოქმედისა
თქვენისა“ (ამის გახსენება მკითხველს დასჭირდება ამ წიგნის
ბოლოში).

ელიოზი და ლონგინოზი მცხეთას დაბრუნდნენ და თან ჩა-
მოიტანეს კვართი უფლისა ქრისტესი.

ელიოზს პირველი მივარდა მის დაი, სიდონია, კვარ-
თი გამოართვა, მკერდში ჩაიკრა, ბევრი იტირა და ტირილითვე
მიიცვალა, ელიოზის სახლს აუარება ხალხი მიიწყდა. მოვიდა
მეფე მირდატიც. იგი ძალიან მოიხიბლა უცნაური პერანგის
ხალეთ და მოინდომა კიდევ ამ პერანგით ტანის დამშვენება,
მაგრამ ვერ იქნა და მიცვალა ბუღულს მკერდზე დაკრეფილი ხე-
ლებიდან ვერ გამოგლიჯეს კვართი. ელიოზმა თავისი დაი,
ქრისტეს კვართთან ერთად, დამარხა „სანატრელითა დამარხეი-
თა“.



ხოლო იქ, პალესტინაში, ახალი სასწაულები დატრიალდა. ჯერ ჯვარცმული და დაკრძალული ქრისტე საფლავიდან აღსდგა, მერე ზეცად ამაღლდა, ხოლო შემდგომ, როცა მშობელმა მარიამმა და მისი ძის, ქრისტეს მოციქულებმა „წილ-იგდეს“, საქართველოს გაქრისტიანება წილად ხედა თვითონ ღვთისმშობელს (აქედან წარმოსდგა ეს გამოთქმაც — „ღვთისმშობლის წილხედომილი საქართველო“). ღვთისმშობელმა მარიამმა თავის „წილხედომილ საქართველოში“. თავის მაგივრად წარმოგზავნა ქრისტეს ორი მოციქული, ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. წინასწარ მარიამმა მოატანინა ფიცარი, დაიბანა პირი, ფიცარი სახეზე დაიდო და ზედ ზუსტად ამოკვართა ხატი თავისი. სწორედ ეს ხატი თავის სანაცვლოდ გამოატანა ღვთისმშობელმა მოციქულებს საქართველოში. ამ „ხელთუქმნელი ხატი“ ხელში მოაქციეთ „ჩემი წილხედორი“ ქართველები და თავდებიც ვიქნებო, „არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“. ასე მოუთხრობდნენ ყველას საქართველოში მოსული ანდრია და სვიმონი.

ქართლის შუაგულში კერპები ძლიერები იყვნენ და კერპთა უმტკიცესი თავჯანისმცემელი პირდატ მეფეც იქვე იჯდა. ამიტომ მოციქულებმა დაიწყეს დასავლეთ საქართველოდან. ანდრია პირველწოდებული სამეგრელოს აქრისტიანებდა, სვიმონ კანანელი — აფხაზეთს. აქვე, აფხაზეთში გარდაცვლილა სვიმონი და დაუსაფლავებიათ ანაკოფიას. ანდრია ჭიქეთის გაქრისტიანებას აპირებდა, მაგრამ ცოცხალმა ძლიეს გამოასწრო და ისევ ეგრის-სამეგრელოს მობრუნდა. სამეგრელოს შემდგომ ანდრია წავიდა მესხეთში და, მესხთა თხოვნით იქ, აწყვერის (აწყურის) ეკედერში დაასვენა „ხელთუქმნელი ხატი“ ღვთისმშობლისა. კლარჯეთის ერისთავმა ტყბილად გაისტუმრა მოძღვარი ტაოსა და აჭარისაკენ.

მეფე პირდატ პირველი დიდად განუტრისხებია დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში კერპების მსხვერველსა და სხვა რელიგიის გავრცელებას. მან სამეგრელოში ერისთავები გაგზავნა ჯარით, ჯვრები და ხატები მოასპობინა, ხალხს ქრისტიანობაზე ხელი ააღებინა და ისევ წარმართობაზე შემოაბრუნა. მერე შემოსწყრა კლარჯეთის ერისთავსაც, რადგან მან „მშვიდობით განუტრევა ანდრია მოციქული“.

ასე დაიწყო და განესრულა საქართველოში ეს პირველი
ქრისტიანული თქმულება, დიდი შვილი მსოფლიო ქრისტიანული
ეპოპეისა.

პირველი
ქრისტიანული
ეპოპეისა

ზომბა ფარსმან პირველისა

პირველი საუკუნის ოცდაათიან წლებში მეზობელი სომხეთის დაუფლებისათვის ერთმანეთს ებრძოდა ორი უძლიერესი სახელმწიფო — რომი (ევროპიდან) და პართია (აზიიდან). 34 წელს პართიის მეფემ, არტაბანმა, სომხეთის ტახტზე თავისი უფროსი ძე, არშაკი დასვა. რომის იმპერატორმა, ტიბერიუსმა ფარსმან იბერიელს შემოუთვალა, სომხეთში შენის ჯარებით შედი, პართიელი უფლისწული გააძევე და ტახტზე შენი ძმა მირდატი დასვიო. ფარსმანი ასედაც მოიქცა: სომხეთის სატახტო ქალაქ არტაქსატაში ჯარი შეიყვანა. არშაკ პართიელი მისსავე კარისკაცებს მოაკვლევინა და სომხეთის ტახტზე თავისი ძმა, მირდატი დასვა.

რისხვით აღესიღმა არტაბან პართიელმა თავისი მეორე ვაჟი, ოროდი გამოგზავნა დიდი ჯარით, შურის საძიებლად და სომხეთის ტახტის დასაბრუნებლად. თან ჩრდილოელ სარმატებსაც სთხოვა დახმარება პართიის მეფემ.

ქართველებიც აღიკაზმნენ საომრად. ფარსმანმა მოკავშირეებად მეზობელი ალბანელები მოიხმო და ალბანელებიც მოვიდნენ. მერე სარმატებთანაც აფრინა ეჭიბნი. სარმატთა ნაწილი ქართველებს მიემხრო, ნაწილიც — პართიელებს, მაგრამ ქართველებმა, რაკი კავკასიონზე გადმოსასვლელი გზები მათ ხელში იყო, სამხრეთისკენ მხოლოდ თავისი მომხრენი გამოუშვეს, ხოლო პართიელთა მშველელთ გზები შეუკრეს და უკუაქციეს.

მოწინააღმდეგენი საომრად გაეწვენენ. ორივე სარდალმა სიტყვით მიმართა თავის ლაშქარს. ოროდი თავისიანებს მოაგონებდა ირანის დიდ წარსულს და არშაკიდული დინასტიის სახელოვნებას. ფარსმანი თავის თანამემამულეებს აქებდა დიდი სიმამაცისთვის, რის მეოხებითაც მათ არასოდეს უტხოვლთა უღელი არ განუცდიათ და არც პართიელთა უღელს დაიდგა-



მენ ვაჟაკურ ქედზე. გამარჯვება დიდ სახელსა და დიდებულ მოგეოტანსო, ხოლო გაქცევა — სირცხვილსა და გურებას. მერე ფარსმანმა ხელი გაიშვირა მოწინააღმდეგე მტერს ოქრო-ვერცხლით მოსივადებული აღმურვილობისკენ და შესძახა: „აჰ, ჩვენთან, ნამდვილი გმირები და ვაჟაკები არიან, ხოლო იქ, იმათთან — სიმდიდრე, ანუ ჩვენი ნადავლი“ თქვა, მახვილი იშისვლა და ცხენს ქუსლი ჰკრა. იბერიელებიც მოწყდნენ ადგილიდან და შეფეს მიჰყვნენ. მძიმე ბრძოლა შეიქნა, დიდის სიშამაცით იბრძოდნენ თვითონ სარდალნი — ფარსმანი და ოროდი. ბრძოლის სასწორი ვერ ისევ წონასწორად იძვროდა, როცა ისინი ერთმანეთს გადაეყარნენ. ფარსმანმა დაასწრო, და ხმლის მძლავრი დაკვრით მოპირდაპირეს თავი გაუბო. პართიელები დააფრთხო და დააძაბუნა მათი სარდალის მძიმედ დაქრამ. ქართველებმა კი შეფის გმირობით ფრთები გამოისხეს და უკანასკნელ შეტევაზე გადავიდნენ. პართიელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა გაასწრო სიკვდილს ან ტყვეობას...

ფარსმან შეფეს ჰყავდა ძე. სახელად რადამისტო, რომლის შესახებ სახელთვანი ისტორიკოსი ტაციტუსი გვაუწყებს, რომ იგი იყო გასაოცარი სილამაზისა და ძალღონის მქონე ჭაბუკი. ამას გარდა, არა მარტო იბერია-ქართლში, არამედ ყველგან მეზობელ ქვეყნებში, რადამისტს სახელი გაეთქვა ვითარცა „მშობლიური მეცნიერებისა და ხელოვნების“ დარგთა დიდ მცოდნეს. ეს ცნობა ერთხელ კიდევ მეტყველებს ძველ ქართველთა მაღალ კულტურაზე, განათლებასა და განსწავლულობაზე.

ფარსმან მეფემ სომხეთის ტახტზე ძმა მირდატი სწორედ თავისი ძით, რადამისტით შეცვალა. მაგრამ რადამისტმა პოლიტიკურ მმართველობაში თავი ვერ ისახელა. სომხებმა მისი სასტიკი მმართველობა ვერ მოითმინეს, აჯანყდნენ და სასახლეზე იერიში მიიტანეს. რადამისტი სიკვდილისაგან მისმა და მისი ცხენების სისწრაფემ ძლივს დაიხსნეს. იგი სასახლიდან გამოიქრა და თან გამოიტაცა თავისი მშვენიერი მეუღლე ზენობია. კარგა ხანს მიაქროლებდნენ ცხენებს, მაგრამ ის იყო მღვდლები უნდა დასწეოდნენ, რომ ზენობიას დაეინებული თხოვნით — მტერს რომ თვითონ ეოცხლად არ ჩაეარდნოდა და ქმარიც სამარცხვინო და სასიკვდილო ტყვეობას გადაარჩე-

ნოდა — რადამისტმა მას ხანჯალი ჩასცა, მდინარე არაქსში ჩა-
როლა და თვითონ თავს უწველა. დაჭრილი ზენობიძე მკვდრად
მა იპოვეს და გადააჩინეს...
ზიგზაიონიძე

რადამისტის გაქცევით ისევ პართიელებმა ისარგებლეს
და სომხეთში თავისი კაცი დასვეს მბრძანებლად, სახელად
ტირიდატი. მაშინ რომაელებმა და ქართველებმა ერთად
ილაშქრეს სომხეთს, ტირიდატი განდევნეს და „თავისი კაცი“,
ტიგრანს დასვეს. პართიელებმაც აღარ დათმეს და ისევ ტი-
რიდატის დაბრუნება შეძლეს. ბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, ტი-
რიდატი სომხეთის ტახტზე დაარჩებოდა, ოღონდ სამეფო ინსი-
გნიებს რომის იმპერატორის ხელით მიიღებდა.

ფარსმანის და ფარსმანის

ფარსმან პირველის შემდეგ ქართლის მეფედ იქდა მისი
ძე, შირდატ მეორე, რომელსაც დიდ „მეგობრობასა და
მოკავშირეობას“ სთავაზობდნენ რომის მაშინდელი იმპერატ-
ორები — ფლავიუსები.

75 წლის მახლობლად ფლავიუსებს — მამას, ვესპასი-
ანეს და მის შვილებს, ტიტეს და დომიციანეს —
შირდატ ფარსმანის ძისათვის მცხეთაში ჭეის კედელი გაუმაგ-
რებიათ და ზედაც ასეთი წარწერა ამოუკვეთიათ:

„იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტუსმა, უმაღლე-
სმა ქერუმმა, შეიდგერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურ-
ვილმა, ოთხმეტჯერ იმპერატორად გამოცხადებულმა, ექვს-
ჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა, მამამ მამული-
სამ, ცენზორმა.

„და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ავგუსტუსის ძემ, ხუთ-
ჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონ-
სულმა, მეხუთეჯერ დეზიგნირებულმა, ცენზორმა,

„და დომიციანე კეისარმა, ავგუსტუსის ძემ, სამჯერ კონ-
სულმა, მეოთხეჯერ დეზიგნირებულმა,

„იბერთა მეფეს შირდატს, მეფე ფარსმანისა და იამასასპო-
ის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარე ვარს, ეწ
კედლები განუმტკიცეს“.

ფლევინებს იძულებული ყოფილან ანგარიში იბერიის მეფის სიძლიერისთვის და ცდილობდნენ, მასთან „გეგმობრობა“ მტრობად არ გადაქცეოდათ.

რომსა და იბერიას შორის „განხეთქილების“ სომხეთი იყო. მირდატმა ცოტა ადრე, 70 წლის მახლობლად, სომხეთში ძლევამოსილად ილაშქრა და იმპერატორმა ვესპასიანემ მხოლოდ დიპლომატიური გზებით მოახერხა იბერიელთა სამხრეთელი სვლების შეჩერება. რომის ხელისუფლებას იბერიასთან ასეთი ალერსიანი პოლიტიკა უჯობდა, რადგან მას იმ ხანებში ისედაც დიდი ბრძოლები ჰქონდა ებრაელებთან პალესტინაში, კოლხებთან — ტრაპეზუნტში, სარმატებთან — დუნიაზე, გერმანელებთან — გერმანიაში და ბრიტანელებთან — ბრიტანიაში.

კოლხების აჯანყება 69 წელს მოხდა ანტიკის მეთაურობით. კოლხებმა ტრაპეზუნტი აიღეს და რომაული ციხიონები ამოწყვეტეს. იმპერატორმა ვესპასიანემ აჯანყება დიდის ვაჭირებით ჩაახშო, მაგრამ ამის შემდეგ რომაელები იძულებული გახდნენ კოლხებთანაც, იბერიელთა მსგავსად, „სამეგობრო-სამოკავშირეო“ პოლიტიკის გზას დასდგომოდნენ.

ზ ე ო ბ ა ფ ა რ ს მ ა ნ ქ ვ ე ლ ი ს ა

11 საუკუნეში ქართლის სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა და რომისგან სრულიად დამოუკიდებლად დაიგულა თავი. ამ დროს მცხეთაში ტახტზე იჯდა ფარსმან მეორე ქველი, „კაცი კეთილი და უხვად მიმნიჭებელი და შემნობელი, ასაკითა შუენიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო“.

იმპერატორი ტრაიანე, რომის უსაჩინოესი ხელმწიფე, ფარსმან ქველს ძღვენს უგზავნიდა და თავის თანასწორ მოკავშირე-მეგობრად აღიარებდა. 114 წელს ტრაიანემ ფარსმანს დახმარება სთხოვა პართიის წინააღმდეგ ომში. ქართველებმაც ილაშქრეს სამხრეთელი მტრებისა და მეტოქეების წინააღმდეგ. რომაელებმა, ქართველთა დახმარებით, დაიპყრეს სომხეთი, შუამდინარეთი და პართიის სატახტო ქალაქი ქტესიფონი.

მომდევნო იმპერატორის, ადრიანეს დროს (117-138) რომსა და იბერიას შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ჟერსპანი იარ შეურიგდა რომაელთაგან სომხეთის დამორჩილებას, რომელმაც მან ჩრდილოეთიდან ალან-ოსები გაადმოიყვანა, ქართველთა ლაშქარს შეუერთდა და სამხრეთისაკენ დაიძრა. ჟერს სომხეთში შევიდა და რომაელები განდევნა, მერე დიდის წარმატებით ილაშქრა პართიაში, რომელმაც ხელმწიფემ ფარსმანი რომში გაიწვია, მაგრამ ქართველმა ცივი უარი შეუთვალა. ადრიანემ ისევ დათმობა ამჯობინა და მცხეთაში იმდენი საჩუქრები გამოგზავნა, რამდენიც მას მანამდე არავისთვის უბოძებია. ამ საგანგებო ძღვენს კეისარმა საჩუქრად მოაყოლა ერთი სპილო და სრულიად შექტრევილი ორმოცდაათი ლეგიონერი, რომელთა ელჩობას მცხეთაში მოუძღვა იმპერატორის კარზე გაშინაურებული კაცი, ცნობილი მწერალი, მეცნიერი, დიპლომატი და პოლიტიკოსი, აზიურ საქმეთა ლეგატი-გამგებელი — ფლავიუს ადრიანე. ფარსმანმა სტუმრები დიდის პატივით მიიღო, მაგრამ ბოლოს ამყმა მეფემ დასავლეთელ პოლიტიკურ პარტნიორს მაინც დასცინა: ჟერ რომაელ ელჩს სახეიმო ვითარებაში მისი ხელმწიფისათვის ოქრომყვდით ნაქარგი ქლამიდა (წამოსასხამი) გადასცა და მას შემდგომ მოედანზე სამასი დაბორკული დამნაშავე გამოატარა ისეთსავე ოქრონემსულ ქლამიდებში გამოწყობილნი.

მხოლოდ შემდგომი იმპერატორის, ანტონინუს პიუსის დროს (138-161) მოხერხდა იბერია-რომის „თანასწორობის“ აღდგენა. სწორედ მაშინ მოხდა დიდმნიშვნელოვანი სტუმარ-მასპინძლობა რომში, „მსოფლიოს ცენტრში“. რომელი კეისარი გულუხვი მასპინძლობით ეგებებოდა აღმოსავლეთიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებს: იბერიის მეფე ფარსმან მეორეს, მის მეუღლე-დედოფალს, ვაჟიშვილ-ტახტის მემკვიდრეს, ქართველ სეფენულთა და წარჩინებულთა ბრწყინვალედ გაწყობილ ამაღას. ნადიმ-ღრეობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მერე საასპარეზო სანახაობაზე გაეადნენ რომის დიდ ცირკში, კოლიზეუმში. „მსოფლიოს მბრძანებელმა რომაელმა ხალხმა“ იმ დღეს იხილა უცხო და უმშვენიერესი სანახაობა — მხედრული ჭირითი, საომარი როკვა-ვარჯიში და ვაკუაცური შემმართებლობა ქართველი ხელმწიფისა და მისი მხლებლები-



სა. ამის შემდგომ ფარსმანს მიეგო დიდი პატივი — კაპიტო-
 ლიუმზე მსხვერპლ-წირვა გაემართა იუპიტერის სადიდებლად და
 იმ წლის „საგანგებო ამბავთა“ ნუსხის თავში რამდენიმე
 სწორედ იბერიის ხელმწიფისა და მისი სახლელის სტუმრობა
 ჩაწერეს. ბოლოს, ანტონინუს პიუსის საგანგებო ბრძანებით,
 მარსის ველზე აღმართეს დიდებული ქანდაკება ცხენზე ამხედ-
 რებული, მოჭირითე ქართველი ხელმწიფისა: რაც მთავარია,
 იმპერატორმა დასტური დასცა ფარსმან ქველის სახელმწიფო
 სამანთა სისრულეს: შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანა-
 პიროდან მტკვრის ქვემო წელამდე და კავკასიონიდან არაქსამ-
 დე. ქართლი წინა აზიაში სიმძლავრით პირველი სახელმწიფო
 იყო. ირანული პართია კი ვერ ურიგდებოდა პირველობის წარ-
 თმევას. პართიის მაშინდელი მეფე. ვოლოგეზ მეცამე,
 ფარსმანის წინააღმდეგ საჩივარს საჩივარზე აგზავნიდა რომში.
 მაგრამ იმპერატორი ანტონინუს პიუსი არ ღალატობდა ქარ-
 თველთა მეგობრობას. მაშინ ვოლოგეზ პართიელი, დიდძალი
 მხედრობით წამოემართა ამიერკავკასიისაკენ. ფარსმანმა ქა-
 რთველთა და სომეხთა ლაშქარი შემოიყარა, მტერს შეეგება,
 დაამარცხა და გააქცია. კვლავ რამდენჯერმე სცადა პართიის მე-
 ფემ რევანშის აღება, მაგრამ ამაოდ.

226 წელს ირანში არშაკიდების პართიული დინასტია სპარ-
 სელმა სასანიდებმა შეცვალეს. სპარსეთის ახალი სახელ-
 მწიფო გაცილებით უფრო სერიოზული და საშიში მტერი
 აღმოჩნდა რომისთვისაც და იბერიისთვისაც. სპარსელებმა
 რამდენჯერმე დაამარცხეს რომაელები, დაიპყრეს სომხეთი და
 ალბანეთი, ხოლო ქართლი ჯერ ისევ ახერხებდა დამოუკიდებ-
 ლობის შენარჩუნებას.



ეროვნული

ქრისტეს რეული ქართველობისთვის წმენობითი აღსარება ეი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკურა კეთიურიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაყრებლად.

ილია ქავჭავაძე

მესამე საუკუნის დასასრულიდან რომის მსოფლიო სახელმწიფო გაიყო ორ ნაწილად — აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიად. აღმოსავლეთის ცენტრი შეიქმნა იმპერატორ კონსტანტინესგან დაარსებული ახალი სატახტო ქალაქი, კონსტანტინოპოლი, რომლის კურთხევა მოხდა 330 წლის 11 მაისს. რაკი ახალი ქალაქი აშენდა ძველი ბერძნული კოლონიის — ბიზანტიონის ადგილზე, შემდგომში აღმოსავლეთ რომის იმპერიას დაერქვა „ბიზანტიის იმპერია“.

კონსტანტინოპოლის დაარსების უამს მსოფლიოში, ატლანტის ოკეანიდან მესოპოტამიამდე, უკვე გავრცელებული იყო ახალი რელიგიური მოძღვრება, ქრისტიანობა, რომელიც აქამდე, მთელი სამასი წლის მანძილზე, მოღწეულიყო ვითარცა დევნილი და წამებული რელიგია. რომის იმპერატორთაგან სწორედ კონსტანტინე იყო პირველი, რომელმაც გონიერულად შეაფასა ქრისტიანობის ძალა და სარგებლიანობა და, როგორც „ერთიანი იდეოლოგია“, კრიზისებით შეძრული თავისი უზარმაზარი სახელმწიფოს კანონიერ საარწმუნოებად გამოაცხადა. 325 წელს, ქალაქ ნიკეაში მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე...

330 წლის მახლობლად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოში — იბერიაში.

მაშინ აქ მეფედ იჯდა მირიან მესამე.

ქართლში ახალი რელიგიის გამოცხადებისა და ქართველი ხალხის ქრისტიანად მონათელის, ანუ „მოქცევის“ მთავარი გმირი ყოფილა ახალგაზრდა, სათნო ქალი, სახელად ნინო.

ნინოს სამშობლო იყო კაბადოკია, ძველთაგან „მონტოელი ქართველებით“ დასახლებული ქვეყანა. მამას ერქვა ზაბილონ, დედას — სუსანა. ზაბილონ კაბადოკიელს ქაბუკო-



ბათვე სახელი გაუთქვამს ნიქით, სიმამაციით, სიქველით, სიქეთილობით; მიუღწევია რომის იმპერიის მხედარი ^{სიქველი} ბისთვის, მოქცეულა ქრისტეს სჯულზე და სხეებიც ^{სიქველი} გაუქრისტიანებია. მერე იერუსალიმს წასულა ქრისტეს ადგილთა სათაყვანოდ, მთელი თავისი ქონებაც თან წაუღია და ქვრივ-ობოლთა, საპყართა და უპოვართათვის დაურჩევბია იქვე მოსწონებია და ცოლად შეერთავს ქრისტიანი ქალი სუსანა, იერუსალიმის პატრიარქის დაი. ცოლ-ქმარი დაბრუნდა კაბადოკიაში, ზაბილონის მშობლიურ ქალაქ კალასტროში.

აქვე დაიბადა ნინო.

თორმეტი წლისა რომ გამხდარა, მშობლებს ყველაფერი მიუყიდ-მოუყიდათ, ისევ იერუსალიმს ჩასულან და ფული მთლიანად ისევ უქონელ-უპოვართათვის დაურჩევბიათ, აქვე დასახლებულან და შესდგომიან ღვთისმსახურებას.

ნინოს ბიძასთან, იერუსალიმის პატრიარქთან უსწავლია ქრისტეს საშახური. მერე მისგანვე ლოცვა-კურთხევა გამოუწირავს, მშობლებს დამშვიდობებია და წარმართთა ქრისტიანობაზე მოქცევას შესდგომია. ასე, ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით, ნინოს მიუღწევია „სამეფოსა ჰრომს“, სადაც იგი დაახლოებია ორ ქალს — რ ი ფ ს ი მ ე ს და მის გამზრდელ დედამძუძუს გ ა ი ა ნ ე ს. ორივე ქალი გაუქრისტიანებია. მათ გარდა კიდევ ორმოცდაათამდე სხეიც მოუქცევია ქრისტეს სჯულზე. ამასობაში რომში ქრისტიანთა მორიგი დევნა და ხოცვა-ყლეცა დაიწყო. ნინო, რიფსიმე და გაიანე რომიდან გამოქცეულან და დიდის ვაივავლახით სომხეთს მოსულან. რიფსიმე და გაიანე სომხეთს დარჩენილან, სომეხთა მოსაქცევად. ხოლო ნინო, „ზევარდმო მინიშნებით“, საქართველოსკენ წამოსულა...

მოდითოდა იგი, ქალწული სულით უმანკო და სხეულით უზადო, ტანად ალვა და პირად საბიერი, გონებით ნათელიერი და რწმენით შეგარძნებული, ყვავილ-ბალახთა მესაიდუმლე და მესასწაულე აქიმ-მკურნალი.

სამი თვე მოდიოდა, ხან ფეხზე ხამლით, ხან ფეხშიშველი, ხელში არგანით, მკერდზე ჯვარცმით. მეოთხე თვეს, იენისში, ჯავახეთს შემოსდგა ფეხი. იგი შეაძრწუნა მთებმა, რომელთაც ზაფხულშიც თეთრი ნაბღები ებურათ. თავფარაენის ტბასთან შედგა. იქვე ორი დღე-ღამე დაიფანა. თვალსა და გულს აჩვეე-

და ქართულ მიდამოს, გასაოცარ მიწას და ზეცას. იქნებ
მკდარი გემოს უსინჯავდა თავფარავნულ თევზს. ეჭვიმდებოდა
აქაურ მწყემსთა თავაზით და სტუმართმოყვანეობით. ლოცვით
პირველად მოისმინა „არმაზ“ და „ზედენ“, რომელთა მიმართ
მასპინძელი მწყემსები ლოცვას აღავლენდნენ და ზორვას
უშართავდნენ. აქვე, ამ უცნაური კერპების თავგანისმცემლებ-
მა პირველად იხილეს უცხო ქალწულის ქრისტიანული ლოც-
ვა-ვედრება. აქვე ნინომ შეიტყო, რომ ეს კეთილი ადამიანები
არიან მცხოვრებნი „დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმე-
რთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“.

ნინოც წავიდა ამ „დიდისა ქალაქისაკენ“. გზაზე მგზავრებს
აპყვა, მტკვარი გადავლო და ურბნისს მივიდა. ერთი თვე იქ
იცხოვრა, შეისწავლა იქაური ხალხის ცხოვრება და ზნე-ჩვე-
ვანი. შერე მოვიდა დღე, როცა ხალხი დაიძრა „დიდად ქალა-
ქად სამეუფოდ, მცხეთად, მოვაქრებად სახმართა რათმე და
ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა“. ნინოც გააყვა ხალ-
ხის მდინარებას. მივიდა მცხეთას და იხილა ქალაქი მშვენიერი.

ქალაქი ხალხს ვერ იტევდა „გამოვიდა ერი ურიცხვი, ვი-
თარცა ყვავილნი ველისანი“.

ატყდა ცემა ბუკთა, საყვირთა და ზანზალაკთა. სასახლიდან
გამოვიდა დედოფალი ნანა და მის შემდგომ — მეფე ში-
რიანი. „და ნელად მოვიდოდა ერი და შეამკუნეს ყოველნი
ფოლოცნი თვითოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა“.
მეფე-დედოფალი წინ მიუძღოდა ხალხს. პროცესია არმაზ-ცი-
ხისკენ მიემართებოდა. ნინოც მიჰყვებოდა და „იგი ხედვიდა
საკვირველებასა მიუწვდომელსა და ენითა გამოუთქმელსა“.

არმაზის მთაზე კერპი იდგა, თვითონ არმაზი, სპილენძის
ბუმბერაზი, თავზე მუზარად-ჩაბალახით, ტანზე ოქროს ჩაქვ-
საჭურველით, ხელში ელვამკრთომელი მახვილით, სახით ზვი-
ადი და მრისხანე, კუშტ წარბთა ქვეშე — ერთი თვალი ზურ-
მუხტის ედგა, მეორე ბივრილიონისა.

არმაზს ორის მხრიდან თითო მომცრო კერპი ედგა: მარჯე-
ნიე ოქროსი, სახელად გა ც, მარცხნივ ვერცხლისა, სახელად
გა ი მ.

ხალხი შეუდგა ლოცვას და ზორვას კერპთა წინაშე. ნაშუ-
ადღევს საშინელი ჰეკა-ქუხილი ატყდა და კოცისპირული წვი-

მა და სეტყვა წამოვიდა. ხალხი მოწყდა და დაეშვა წვიმა, ქრისტიანი, სეტყვა და გრიგალი გაგრაქლდა მთელი ღამე. დღით ხალხმა იხილა დაღწეული კერპები. შიშმა მოიცვა მთელი
სამსახური
სამსახური

და მოვა დრო, როცა დაბეჭითებით იტყვიან, რომ მცხეთა-
არმაზის კერპთა დამსხვრევა, ქრისტეს მოხმობით და შეწვე-
ნით, განასრულა ნინომ... ეს მოხდა ფერისცვალების დღეს, რ
აგვისტოს, ხოლო ასეთი დამთხვევა მოასწავებდა სწორედ სა-
ქართველოს სულიერ ფერისცვალებას...

ნინო მცხეთაში დაბინავდა ერთი სათნო მებაღე ცოლ-
ქმრის ოჯახში, ყველას ეცნობოდა „ტყვე ქალის“ სახელით, ქა-
დაგებდა ქრისტეს მოძღვრებას, კურნავდა ავადმყოფებს, ას-
წავლიდა სათნოებას, ახდენდა სასწაულებს.

ერთ დღეს ნინო მახლობელ მაღლობზე ავიდა, მაყვლოვან
ბორცვზე, სადაც მან ვაზის ნასხლავ რქათაგან ჭვარი გამართა,
საკუთარი თმის ანაკვეციოთ შეკრა და ყველაზე მაღალი მაყვლის
ბუჩქის ქვეშ აღმართა. ყოველ დღე მოდიოდა და ლოცულობ-
და აქ ნინო, მისგანვე შეკრული პირველი ვაზის ჭვრის წინაშე.

დრო მიდიოდა. ნინო დაუცხრომელი იღვწოდა, ავადმყოფთ
კურნავდა, განკურნებას ქრისტეს მიაწერდა. ბევრი გააქრის-
ტიანა და დაიმოწაფა. მცხეთაში ახალი სჯული სწრაფად ვრცე-
ლდებოდა. ბოლოს ნინომ განკურნა დედოფალი ნანა, რომელ-
მაც იწამა ქრისტეს ღვთაებრივი ძალმოსილება და მიიღო სჯუ-
ლი მისი. ხოლო მეფე მირიანი შტრულად იყო განწყობილი
ქრისტიანობისადმი.

ერთ დღეს მირიან მეფე უახლოესი კარისკაცებით თხოთ-
ს მთაზე ნადირობდა. უცებ დღე დაბნელდა და უკუნი დადგა.
დამფრთხალი მეფე სინათლის დაბრუნებას ძველ სალოცავ
კერპებს თხოვდა, მაგრამ ამან არ გაქრა და ბოლოს იგი იძუ-
ლებული გახდა შეეღა ისევ „ნინოს ღმერთისთვის“, ანუ ქრის-
ტესთვის ეთხოვა. და მაშინვე წყვედიადი განკრთა, მხეც გამო-
ბრწყინდა და ისევ დღისსულმა მოიცვა ქვეყანა-

და მირიან ქართლის მეფემ იწამა რჯული ქრისტესი. ეახლა
ნინოს და მიიღო მისგან ქრისტიანობა. მაშინვე კონსტანტინო-
პოლს მოციქულები აფრინა და იმპერატორ კონსტანტინეს ქა-
რთლის მოსაწათლაად მღვდლები გამოსთხოვა.

სანამ კონსტანტინოპოლიდან მღვდლები ჩამოვიდოდნენ, მანამ მირიანმა ნინოს უთხრა, მეჩქარება ქრისტეს სახლი ავაშენო და სად ავაშენო? „სადაც მეფეთა გონება მტკიცე არის“, უპასუხია ნინოს.

და დაიწყო პირველი ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობა მეფის წალკოტში, იქ, სადაც სამასი წელი ემართა სიდონია და კვართი უფლისა, და რომელზეც აღმოცენებულყო უზარმაზარი ლიბანის ნაძვი, ანუ კვიპაროსი. წალკოტი გაჩეხეს, ის კვიპაროსიც მოჭრეს, რათა აქ მოპოვებული ხის მასალით აეშენებინათ ღვთის სახლი. შვიდი სვეტი გათალეს, ერთი მათგანი იმ კვიპაროსისა. კედლები რომ ამოიყვანეს და სვეტების დადგმასაც შეუდგნენ, ექვსი სვეტი თავისუფლად აღმართეს და დააფუძნეს, მაგრამ მეშვიდეს, კვიპაროსისას, ძვრაც ვერ უქნეს. მაშინ მთელი დამე ლოცვად დადგა ნინო და მის ღოცვაზე მოვიდა უცხო ქაბუჯი, „ყოვლად ნათლითა შემკობილი“ და „შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა“, მოვიდა, სვეტს ხელი მოაეღო, აღმართა და დააფუძნა მისსავე გადანაკერზე. და ასე აღიმართა „სვეტიცხოველი“, რომელსაც განუწყვეტილვ სდიოდა მირონი სურნელოვანი და სასწაულმოქმედი.

დასრულდა სვეტიცხოველის ეკლესიის მშენებლობა და კონსტანტინოპოლიდანაც მოატანეს მომნათლავმა მოწესებმა. სიხარულით შეხვედრია კონსტანტინოპოლის სასახლის კარი ქართველთა მოქცევის განზრახვას. იმპერატორის დედა, დედოფალი ელენე, განთქმული პირველი ქრისტიანი ქალი და სასწაულმოქმედი, ნინოს წერილს უგზავნიდა და თავის ტოლსა და მოციქულთა სწორს უწოდებდა. თვითონ კონსტანტინეს კი ის უხაროდა, რომ იბერია ამიერიდან შეიქნებოდა მოკავშირე ბიზანტიისა და მტერი სპარსეთისა.

და დაიწყო „მოქცევაი ქართლისაი“.

კონსტანტინესგან გამოგზავნილმა ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა მტკვარი და, კონსტანტინოპოლელი მღვდლებისა და დიაკვნების დახმარებით, შეუდგა სამეფო სახლისა და მთელი მცხეთის მოსახლეობის განათვლას. პატრიარქმა ნათვლა დაამთავრა, მცხეთას პირველ ეპისკოპოსად დაადგინა იოანე და თვითონ უკანვე გაბრუნდა. ნინო კი განაგრძობდა ქრისტიანობის სწავლებასა და გავრცელებას. გაჩაღდა ეკლესიათა და ტაძართა მშენებლობა.



ქრისტიანობის მიდევნებელნი უარი თქვეს მთიულში ქართველ-
ბმა. მეფემ მახვილის ძალით სცადა მათი მოქცევა, მაგრამ უშედეგო
ნომ და იოანემ ამაზე უპასუხეს: „არა ბრძანებულ არს შენთვის
საგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და ჭეარითა პატი-
ოსანიითა უჩვენოთ გზა ქრისტიანობისა“. და გასწიეს მთიულეთის-
კენ „სახარებითა და ჭეარითა პატიოსანიითა“ წმინდა ნინომ
იოანე ეპისკოპოსსა. მაგრამ მირონანმა ბერ-მონაზონთა ლაშ-
ქარს მაინც გააყოლა სამხედრო ლაშქარი, ერისთავის წინამძ-
ღოლობით.

მთას მივიდნენ და დაიწყეს სწავლება და მოწოდება ქრის-
ტეს მოძღვრებისა და მონათვლისა, მაგრამ აქაური ქართველო-
ბა კვლავ უარზე დადგა. აგრე არ უნდაო და, „მაშინ ერისთავ-
მან მეფისაჲს მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლე-
ვით შემუსრნა კერპნი მათნი“. ასე, მთის საქართველოში მახ-
ვილის ძალით შეუტანიათ ქრისტიანობა.

ნინოს გამოცხადებიდან იდგა მეთოთხმეტე წელი. მთიულ-
ეთში მლოცველობა დასრულდა. ნინო ბოძბეს დამკვიდრდა.
იქვე აღესრულა.
იქვე დაიკრძალა.

საქართველო, ქრისტიანად მონათლული, ახალი სამიანიდან
იწყებდა ცხოვრებას. ამიერიდან კიდევ უფრო განემტკიცა
„ერთარსება ქართულობისა“.

„ს ი ბ რ ძ ნ ი ს მ დ ე ლ ო“

რომისა და ბიზანტიის იმპერატორთაგან უკანასკნელი იყო
იულიანე, რომელიც შეეცადა ქრისტიანობის წინააღმდეგ
ბრძოლა აღედგინა, მაგრამ არა მახვილის ძალით, არამედ იდე-
ოლოგიური ბრძოლის გზით და მან ქრისტიანობას დაუპირის-
პირა იმ დროს ძალზე გახმაურებული ფილოსოფიური მოძღვ-
რება — ნეობლატონიზმი. თვითონ იულიანე, რომელიც ქრის-
ტიანობას „მკედრებისა და კუბოების რელიგიას“ უწოდებდა,
გამოჩენილი ნეობლატონიკოსი იყო. მაგრამ იულიანეს ხანაში
ყველაზე დიდი ფილოსოფოს-ნეობლატონიკოსი, რიტორი და
მასწავლებელი იყო ლიბანიოსი.

ლიბანიოსს მრავალი მიმდევარი, მოსწავლე (მათ შორის თვითონ კეისარი იულიანე) და მეგობარი ჰყავდა, მაგრამ მათგან ყველაზე ახლობელი, საყვარელი და სათაყვანისმცემელი ბაკური იბერიელი, გამოჩენილი ფილოსოფოსი, დიდად დახვეწილი რიტორი და მამაცი სარდალი. ლიბანიოსის მრავალთბულემათაგან ბევრი სწორედ ბაკურ ქართველის ნიკს, ზნეობას, სიმშვენიერესა და სიმამაცეს ეძღვნება:

— უამრავი მეხოტბე ჰყავსო ბაკურს: ზოგი მის სამართლიანობას აქებს, ზოგი ზომიერებასა და თავდაპირველობას, სხვები მისი სიბრძნით აღტაცებულან, სხვები კიდევ ბრძოლის ველზე შემწართებლობით და სიზრიაანობით. მაგრამ მე თვითონ, ლიბანიოსს, ბაკურ იბერიელის უამრავ ღირსებათაგან ის მომწონს, რომ იგი განსაკუთრებული სწორტპოვრობით ფლობს „ლოგოსებს“, მაშასადამე რიტორიკულ ხელოვნებას.

— სწორედ ამისთვის, ერთადერთ ბაკურ ქართველს შეუძლია, რა დროსაც სურს, შევიდეს ლიბანიოსთან, მოეხვიოს, ლოყები დაუკოცნოს, მთელი ღამეები მის გვერდით გაატაროს და საყვარელ „ლოგოსებზე“ ესაუბროს.

— შენ ყოველთვის სიბრძნის მდელო ხარ — ეუბნებოდა ლიბანიოსი ქართველ სწავლულს — ხოლო ჩვენ იმ მდელოზე აღმოცენებულ სიბრძნის ყვავილებს ვკრეფთო.

— გაოცებული ვართ შენი ნიჭითო.

— უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს ქებანი შენი ნიჭისადმიო.

— შენ არანაკლები ვაყვაცობით ბრძანებლობ საკუთარ ვნებებზე, ვიდრე მბრძანებლობ შენს მეომრებზეო.

— საოცარია შენი სიბრძნე არა მხოლოდ აქ, არამედ იქაც, საომარ ველზეო.

— შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში საფრთხის წინაშეო.

— ვერვინ შეედრება ბაკურ იბერიელის „სულისა და სხეულის ღვთაებრივ ბრწყინვალებასო“.

ეს იყო დრო — მეორე ნახევარი მეოთხე საუკუნისა.

ამ დროს ეგრიპშიც, ქალაქ ფასისში (ფოთში) არსებობდა უმაღლესი სამეცნიერო-სახელოვნებო სკოლა, „მუზათა



ტაძარი“, სადაც ქართველებთან ერთად სწავლობდნენ ბერძნებიც. ამ სკოლაში მიუღიათ უმაღლესი განათლება, რომელიც თქმულ ბერძენ ფილოსოფოსებს — ევგენიოსს და თეონოსტოსს.

ვახტანგ გორგასალისა

სამხრეთის მძლავრი სახელმწიფო, სასანიდური ირანი, არ შეურიგდა ევროპასთან სომხეთისა და საქართველოს დაახლოებას და სასტიკი ბრძოლები გააჩაღა ამიერკავკასიის დასამორჩილებლად. ქართველები, სომხები და ალბანელები ერთად ებრძოდნენ რიცხვმრავალ, მძვინვარე მტერს.

ომები ირანელთა და ამიერკავკასიელთა შორის კიდევ უფრო გამძაფრდა მეხუთე საუკუნეში. ხშირი შემოსევების წყალობით, სპარსელებმა თავისი გაიტანეს და ამიერკავკასიის მოსახლეობა მძიმედ დახარკეს.

საქართველოს ხელახალი აღორძინება და გამძლავრება დაიწყო ვახტანგ გორგასალის მეფობის ეპოქა (457-502). იგი 15 წლისა ავიდა ტახტზე. ჭაბუკმა ხელმწიფემ დასაწყისშივე დიდი ნიჭი და ენერგია გამოიჩინა. ქვეყანა შინაგანად განამტკიცა და გააძლიერა. საომარი ძალები რამდენიმე საქარისო განწესებით გააწყო: ქვეითი ლაშქარი, თოროსნები (მძიმედ შეჯავშნული ცხენოსნები), მსუბუქი ცხენოსნები და რჩეული მხედრობა („გვარდია“).

ვახტანგმა, ირანის შემოტევების უკუსაგდებლად, გადაწვევითა კავკასიის ხალხთა გაერთიანება, თავდაპირველად ქართლის მეფე ჩრდილო კავკასიაში გაეშურა. არაგვის კარი (დარიალი) გაიარა. შეება და დაამარცხა ხაზარები, ყოჩაყები, პაქანიგები. შემოიერთა ოვსეთი და ჭიქეთი. იქიდან დასავლეთ კავკასიონზე დაეშვა, აფხაზეთიდან და ეგრისიდან ბიზანტიელთა ციხიონები განდევნა და დასავლეთ საქართველოც სრულიად შეუერთდა ქართლის მიწა-წყალს.

ამ ლაშქრობათა გამო ხალხმა ვახტანგ მეფეს „იღბუხის გმირი“ უწოდა და სიმღერაც მიუძღვნა:

ვახტანგ მეფე ლებოს უფვარდა,
ცოდან შეზოგსმა რეკა,
იღბულზე ფხი შედგა,
დიდმა მოთხბა იწყეს დრეკა.



464 წელს 22 წლის ვახტანგმა ქარები დასძრა სამხრეთ-დასავლეთისაკენ. იქ, მდინარე ქოროხის გადაღმა, ქართული მიწები ბიზანტიელებს ებყრათ. ბრძოლა ისევ ქართველებმა მოიგეს. ვახტანგმა პირისპირ შეტაკებაში მოკლა ბიზანტიელთა სარდალა. ქართველებმა ქართული მიწები საქართველოს სამინებში მოაქციეს და უკან გამობრუნდნენ.

ირანისა და ბიზანტიის საქეთმპყრობელებმა ერთხანს ქართველ ხელმწიფესთან „მეგობრობა“ და „მოყვრობა“ არჩიეს. ირანის შაჰი ვახტანგს „ათთა მეფეთა მეფე ახოვანს“ ეძახდა. მაგრამ ვახტანგმა იცოდა, მტერი მტრობას არ დაიშლიდა და თვითონაც ომისათვის ემზადებოდა: ამაგრებდა ძველს და აშენებდა ახალ ციხესიმაგრეებს, სჭედდა იარაღს, წერტნიდა ლაშქარს, ამზადებდა ხალხს მტრის დასახვედრად.

467 წელს ირანელთა უზარმაზარი მხედრობა შემოიჭრა მტკვრის ხეობაში. ვახტანგმა ლაშქარი სასწრაფოდ შემოიყარა და მტერს შეება. გასაოცარი გამირობით იბრძოდა თვითონ მეფე. სპარსელებმა შენიშნეს, ქართველთა მეფეს მუზარადზე მგელი ესახა და სადაც კი ეს „მგლისთავიანი“ გოლიათი გამოჩნდებოდა, ასტეხდნენ ყვირილს: „ღურ აზ გორგასარ!“ („მოერიდეთ თავსა მგლისასა!“).

ასე დაიბადა სამარადეამოდ სახელგანთქმული ზედსახელი დიდი ქართველი ხელმწიფისა — გორგასალი.

სპერსელები დამარცხდნენ და ზავი ითხოვეს. ირანის მეფემ ქართველთა სამფლობელო საზღვრებად სცნო მდინარე არაქსი და კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპირო. ამას გარდა, სპარსთა მეფემ „მისცა გორგასალსა აღვა ლიტრა სამი ათასი, ამბარი ლიტრა ხუთასი, მუშვი ლიტრა ხუთასი, ტაიჯი ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი სამი ათასი“.

ისევ ქვეყნის აღმშენებლობას მიუბრუნდა ვახტანგ გორგასალი. მცხეთაში, ნინოს დროინდელი ხის ეკლესიის ადგილზე, აღაშენა ქვის დიდი სიონი. ეს იყო მცხეთის სახელოვანი სვეტიცხოვლის მეორე ბუროთმოძღვრული გარდასახვა.



იმავე ხანებში ვახტანგმა განასრულა თავისი ახალი სამეორ-
ელო უქარმა, რომელიც მან „ალაშენა ნაშენებითა“
თა“.

ამენდა ახალი ეკლესიები ნიქოზს, ნინოწმინდას, ჭერემს,
ჩელეთსა და ქალეთს.

სოფელ ტფილისთან, მეტეხის მადლობზე, ნამგლის სახედ
მოდრეკილი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, აღმართა კიდევ ერთი
ტაძარი.

ბოლოს ვახტანგ გორგასალმა დაიწყო ახალი სატახტო ქა-
ლაქის — ტ ფ ი ლ ი ს ი ს მშენებლობა.

და დაიბადა ეს ლეგენდა ტფილის-ქალაქის აღშენებისა:
ერთხელ ვახტანგ გორგასალი თავისი ამალით საჩადიროდ ბრძა-
ნებულა ტფილისის უღრან ტყეებში. ხოხობი აფრენიათ მონა-
დირებს ანაზღვეულად. მეფემ მიმინო დაადევნა. გადაიყარა
ორივე ფრინველი. კარგახნის ძებნის შემდეგ წაადგნენ უცნაურ
სურათს — მეტეხის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა მხარეს, მი-
წის გულიდან ამომდინარე წყაროში ეყარა ორივე ფრინველი.
სწორედ ამ წყაროს დასწვრივ წამოსწყევია მიმინო ხოხობს და
ორივენი შიგ ჩაცვენილან და კიდევაც ჩახარშულან: წყარო
ცხელი იყო, სურნელიანი და ოხშივრიანი. ვახტანგმა ტყეების
გაჩეხვა და ქალაქის გაშენება ბრძანა. სახელიც თვითონ დაუ-
დგინა, „ტფილ“ წყაროთაგან ნაწარმოები „ტფილისი“ (აქაური
დასახლებების ძველი სახელი).

ტფილისი სწრაფად შენდებოდა, მტკიცდებოდა, ხალხით
ივსებოდა. მაგრამ ვახტანგ მეფემ მაინც ვერ მოასწრო ახა-
ლი სატახტოს დასრულება და იქ სამეფო ტახტის გადატა-
ნა. ამას მისი შვილი და შემკვიდრე და ჩი განასრულებს შემ-
დგომ, გამეფებისას.

502 წლის ზაფხულში ისევ შემოიჭრა ქართლს სპარსელთა
ურდო. კალისავით შემოესივნენ ივრის ბეობას, რუსთავს და
სამგორს. ისევ შებვა ვახტანგ გორგასალი ქართველთა ჯარით
ურიცხე მტერს. სამი დღე-ღამე წონასწორად იძვროდა ბრძო-
ლის სასწორი. მეოთხე დღეს, გადამწყვეტ ეამს, სპარსელთა
შუაგულში შეჭრილ ვახტანგ მეფეს მოღალატე მონა-მსახურმა
ჩამკვიდრეულ ილღიაში მოატყა ისარი. მაინც ბრძოლის
დასასრულამდე იბრძოდა მეფე. სპარსელები უკუიქცნენ.



მიმედ დაჭრილი ვახტანგი უჯარმას მიიყვანეს.

იქვე გარდაიცვალა.

ეროვნული

აღსრულა მფლობელი დედამიწის შუბლზე **გ. ლ. ი. მ. მ. მ.**
გამეფდა 15 წლისა, იმეფა 45 წელიწადი, აღსრულა 60
წლისა.

უჯარმიდან წაასვენეს და მცხეთას დაკრძალეს, მისგანვე
განახლებულ სვეტიცხოველში.

ბუმბერაზის სამარადეაშო სამევიდრებელს ბუმბერაზი ღო-
დი დაადეს და ზედ მისი „თორმეტბრქალიანი“ ხატი ამოკვე-
თეს.

ხალხში მანამდე განუმეორებელი ხსონა დატოვა სახელო-
ვანზე ხელმწიფე.

ლექსებსა და სიმღერებს თხზავდნენ „იაღბუზის გმირ-
ზე“.

ამბობდნენ, ვახტანგ გორგასალი სიმაღლით 12 ბრქალი
(2 მ და 40 სმ) იყო.

გაქცეულ ირემს მეფე, იარაღით შეჭურვილიც რომ ყო-
ფილიყო, მაინც დაეწეოდა.

შეჭურვილ ცხენს მხრებზე მოიგდებდა და მცხეთიდან არ-
მაზ-ციხეზე მუხლჩაუკრეფლად ავიდოდა.

როცა ომით და შრომით დამაშვრალს ღვინო მოესურვებო-
და, ღმერთი ყანწს მოაწოდებდა...

საუკუნეთა მანძილზე ქართველნი და მათი მტერ-მოყვარე-
ნი გაოცებულნი შესცქეროდნენ იქვე, სვეტიცხოველში გამო-
ფენილ უხარმაზარ ტანთ საცმელსა და საომარ აღჭურვილო-
ბას გორგასალისას.

ქართულ სახელმწიფო დროშას ეწოდა მისი სახელი —
„გორგასლიანი“.

საქართველოს ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო — უ ვ ა ხ-
ტ ა ნ გ ო დ...

ლ ა ზ ი ბ ი დ ა ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი ბ ი

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდგომ საქართველო
ისევ გაიყო ორ ნაწილად — აღმოსავლეთით ქართლი, ანუ იბე-
რია, დასავლეთით ეგრისი, ანუ ლაზეთი, ანუ კოლხეთი.



ქართულ მიწა-წყალზე ისევ მოქონდათ იერიშები, სამხრეთიდან — სპარსელებს, დასავლეთიდან — ბიზანტიელებს. მეექვსე საუკუნეში სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ბრძოლა ატყდა ეგრის-ლაზეთისათვის.

ეგრისის მეფეებმა ერთმორწმუნე ბიზანტიასთან სიახლოვე ამკობინეს და სპარსეთის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის კავშირიც დაადგინეს.

ბევრი ქართველი დაწინაურდა მაშინ ბიზანტიის სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე. ამათგან გამოირჩეოდნენ: ფარსმან კოლხი, ზავნა ფარსმანის ძე, რუფინე და ლეონტი ზავნას ძენი, ფირან გურგენის ძე იბერიელი, ბაკურ ფირანის ძე, ფაზა ბაკურის ძე.

ომი სპარსეთთან დიდხანს გაგრძელდა. ერთი დიდი ბრძოლა 550 წლის ზაფხულში მოხდა, მდინარე ცხენისწყლის პირას. ბრძოლის წინ ეგრისის მამაცმა მეფემ, გუბაზ მეორემ, პსეთი სიტყვით მიმართა თავის ჯარს: „არა მგონია, ვაეკაცებო, კიდევ საჭირო იყოს რაიმე გითხრათ საომარი ცეცხლის წასაკიდებლად. აკი ჩვენივე მდგომარეობა ისედაც აღანთებს ჩვენს გულს მტერთან საომრად. განა, შეიძლება დაგვავიწყდეს, რა საფრთხე ემუქრება ჩვენს ოჯახებს, სამშობლო ქვეყანას და ყველაფერს, რისთვისაც სპარსელები აღძრულან ჩვენს წინააღმდეგ? აკი ბუნება ისედაც კარნახობს ყველას, უცხო მტერს არ დაუთმოს თავისი, საკუთარი, თქვენ კარგად იცით სპარსელთა სიხარბე და გაუმადრობა. ისიც გახსოვდეთ, რას გვიპირებენ სპარსელები: უკეთუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, მარტო ხარკს არ გვაკმარებენ, ჩვენი სამშობლო ქვეყნიდან დედაბუდიანად აგვეყრიან და ირანში გადაგვაასახლებენ და მიმოგვაბნევენ. ამიტომ, დაე მარტო სიტყვად ნუ დარჩება ჩვენი ნათქვამი, არამედ საქმით დაეამტკიცეთ ჩვენი გმირობა. დაე ნუ აღიგეგება მიწისაგან სახელი ლაზთა. ჩვენ არასოდეს გაგვეკირვებია სპარსელებთან ბრძოლა; ბევრჯერაც დაგვიმარცხებია ისინი ხელჩართულ შეტაკებაში. ჩვენ მიჩვეულიც ვართ მათზე გამარჯვებას, ხოლო მიჩვეულისთვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სირთულე წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით. დაე,



გძულდეთ მტრები, გეხილოთ ისინი თქვენგანვე დასამარცხებულნი და არა თქვენებრ აღფრთოვანებულნი. გუთუ გუთუ თხელ დაცემული სიამაყე ველარასოდეს აღორძინდება, მაშ, იქონიეთ ყოველივე ეს მხედველობაში და კეთილი იმედებით აღსავსენი მხნედ გავემართოთ მტერთა ჩვენთა დასამარცხებლად!”

ქართველები ბრძოლაში ჩაებნენ. ბიზანტიელებიც მოქეცნენ. ხელჩართული ხოცვა-კლეტა სპარსელთა განადგურებით დასრულდა.

ამის შემდგომ ქართველ მეფესა და ბიზანტიელ მოკავშირეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. გუბაზი ამჩნევდა, რომ ბიზანტიელი სარდლები ბრძოლაში ლაჩრობასა და უნიკობას იჩენდნენ, ზოგჯერ კიდევაც ლაღატობდნენ. გუბაზ მეფემ ამის შესახებ აცნობა კონსტანტინოპოლის სასახლეს, პირადად იმპერატორსა და კეისარს — იუსტინიანეს. სანამ იმპერატორი რაიმეს იღონებდა, მანამ მისმა სარდლებმა ეგრისში ქართველ მეფეს შეთქმულება მოუწყვეს.

შეთქმულებმა მეფე ზობისწყლის პირას მიიწყვიეს, ვითომცდა მოსალაპარაკებლად. გუბაზიც მივიდა, გულდანდობილად, არც ამაღა ახლდა, არც იარაღი ესხა.

უბელო ცხენზე იჯდა, ფეხებმორთხმული.

შვიდი ბიზანტიელი მიეგება მეფეს.

ერთმა საუბარი გაუბა, მეორე ზურგიდან მიეპარა და მახვილი დასცა.

გუბაზი ცხენიდან გადმოვარდა, მაინც წამოიწია და აღიმართა, მაგრამ საგულდაგულოდ გამზადებულმა მეორე მკვლეელმა, ისევე ზურგიდან, ორივე ხელით მძლავრად დაჰკრა თავში მახვილი.

ეგრისის გმირი მეფე მკვდარი დაეცა.

ეს მოხდა 554 წელს.

გუბაზ მეფის ვერაგულმა მკვლელობამ ეგრისელთა დიდი მღელვარება გამოიწვია. საგანგებოდ შეყრილ სახალხო კრებაზე ბევრი ორატორი გამოვიდა, მაგრამ მათგან ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ორი — ი ი ე ტ ი და ფ ა რ ტ ა ზ ი.

აიუტმა თქვა: „ნუთუ საჭიროა ყოყმანი და ბჭობა იმისთვის, რომ ბიზანტიელებს ამნაირი ვერაგობის წილ სამაგიერო უნდა



მიუხედავად იქნებ ვინმეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ბიზნის-ტიელებს ამის გარდა არაფერი ბოროტება და ვერაფერი მსუბუქი დენიათ ჩვენს წინააღმდეგ? იქნებ საბუთის ძებნა ზემოთაა და ვითომც რაიმე დაფარული ვერაგობის დასამტკიცებლად? აბა, შეხედეთ, იქნებ საბუთად არ კმაროდეს: მოჰკლეს გუბაზი, ჩვენი ხელმწიფე სახელოვანი, მოსპეს ასე საცოდავად, მუხანათურად. ისე მოჰკლეს, ვითომც იგი არ ყოფილიყოს დიდი გუბაზი. გაქრა კოლხთა ძველი დიდება და ამიერიდან ვეღარასოდეს ვერ ველირსებით ძველებურად სხვებზე ვმბრძანებლობდეთ; ამიერიდან მსოლოდ იმას უნდა ვცდილობდეთ, სწორედ მათ არ დაგვჩაგრონ, ვინც წინათ ჩვენს წინაშე მუხლმოდრეკით ქვეშევრდომობდა. ნუთუ უარესი უგუნურება გაგონილა ამ ქვეყანაზე, რომ დაემჩადარვართ და ვმსჯელობთ იმაზე, მტრებად ჩავთვალთ თუ მეგობრებად გუბაზის მკვლელნი? განა, არ იცით, მარტო ამით რომ არ გათავადება თავხედობა ბიზნისტიელთა? უკეთეს ჩვენ ამ ბოროტებას უყურადღებოდ მივატოვებთ, მაშინ ისინი კიდევ მრავალი ბოროტებით მოგვეპყრობიან, კიდევ უფრო შეუპოვრად აგვებდიან ნამუსს. ისინი ყველას თავხედურად ექცევიან, ვინც კი მორჩილად თავს მოიდრეკს მათ წინაშე. კეისარიც ჰყავთ გაიძვერა, რომელსაც მუდამ სიზარულსა ჰგვრის ტანჯვა-წამება ადამიანთა. სწორედ მისი წაქეზებით მოჰკლეს გუბაზი. განა იმიტომ მოგვიკლეს მეფე, რომ მათ წინაშე რაიმე მტრობა ჩაგვიდენია? არა, მათ ზომ ხასიათი აქვთ ამნაირი — ხასიათი სიმხეცისა, სიგოცისა, სიძულვილისა... მე ვინაბრებდი, ჩვენი კოლხეთის სახელმწიფოს კვლავაც მჭონდეს მისი ძველთაძველი, სახელოვანი ძლიერება და უძლეველობა, რომ არასოდეს დასჭირვებოდეს დახმარება უცხოთაგან და გარეშეთაგან; რომ ყოველ დროსა და ყოველ საქმეში, ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც, მხოლოდ საკუთარ თავს დაჰყრდნობოდეს, მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდეს! გარნა, რაკი ეამთა ბრუნვით და ბედისწერის უკუღმართობით, ანდა ოროვე უბედურების შემწევობით, ისეთნაირ უძლურებაში ჩაგვარდნილვართ, რომ სხვათა ქვეშე ქვეშევრდომობა აღარ აგვცდებია, უმჭობესია იმათთან ვიყოთ, ვინც ჩვენს მიმართ უფრორე კეთილსასურველად მოგვეცდინება. ასეთები არიან სწორედ სპარსელები, ჩვენთვის უფრო



ბესნი, ვიდრე ვერავი ბიზანტიელნი... გამარჯვებას იიარაღო ეს არ განამტკიცებს, არამედ სათნოება; მაგრამ არა მტრისა და მტრის როტმოქმედი და აღამიანის სისხლში გასერილნი მტრისა და მტრის ოდესმე მაინც ეზიარონ ამ კეთილ საწყისს... მერე, ისიც გუბაზის სისხლში ხელგასერილნი! მე არც მგონია, ოდესმე სადმე მომხდარიყოს მსგავსი მკვლელობა, ან თუ მომხდარა, ასე იოლად თუ ჩაუვლია! ამიტომაც უნდა გვახსოვდეს: უაღრესად სამარცხვინო იქნება, უკეთუ ჩვენს მეფეს დაგივიწყებთ, ხოლო მის მკვლელებს პირფერობას და ლოქნას დაეუწყებთ. იგი რომ ახლა აქ იყოს, საყვედურით აგვაგისებდა და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობისათვის; დაგვძრახავდა, რომ მისი უბოროტესი მკვლელნი მკაცრად დასჯის ან გაძევების სამაგიეროდ კვლავ დაუსჯელად დააბიჯებენ ჩვენს მიწა-წყალზე. მაგრამ რადგანაც ამერიდან მეფე გუბაზი ჩვენს შორის ველარ გამოჩნდება, ვეღარც რას გვეტყვის კეთილი სიტყვით, თქვენ თვითონვე წარმოიდგინეთ ხელმწიფე იგი, თქვენს გონებაში გააცოცხლეთ, თითქოს იგი აქვე ამ კრებას ესწრებოდეს, თქვენს თვალწინ იდგეს, და გითითებდეთ თვის ქრილობებზე, განგმირულ მკერდზე, შუაგახეხილ თავ-კისერზე, და თითქოს გთხოვდეთ ერთსისხლიერ თანამომკმეებს, სამაგიერო გადაუხადოთ მის ბოროტ მკვლელებს... მაშ, კოლხებო, ნუღარ ვაყოვნებთ, ახლავ სპარსელებს შევუყავშირდეთ და ბიზანტიელთ მტრობისათვის მტრობით მივეუზღაოთ!"

აიეტის სიტყვამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ხალხი ერთბაშად გრძობით და ევილ-ხივილით ერწმუნა მის წინადადებას: ახლავე გადასდგომოდნენ ბიზანტიელებს და შეერთებოდნენ სპარსელებს.

მაგრამ წინ წამოდგა ფარტაზი, როგორც იქნა ახმაურებულ ი კრება დააწყნარა და მიმართა: „კოლხებო, თქვენც ის დავეშართათ, რაც ჩვეულებრივ სხვებსაც ხშირად დაეშართათ ხოლმე — ხერხიანად და მომხიბლავად თქმულმა სიტყვებმა შეარყიეს გონება თქვენი. უძლეველი რაღაც არის მკვერამტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმას, ვისაც მანამდე მისი ძალა არ განუტეოია. მაგრამ ეს სრულდებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დაეუბირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითა-



რებას ემყარება. ნათქვამი თქვენ იმიტომ კი არ უნდა მოიწოდებოდნენ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულოდ დასაჯებლობით და მარწმუნებლად, არამედ იმიტომ, ~~უჩვეულოდ~~ მიზანშეწონილი და სასარგებლოა. კარგად უნდა შეიგნოთ, რაგინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, იქიდან ის უნდა ამოიჩინოთ, რააიც მხოლოდ უმჯობესია. იმის აშკარა საბუთად, რომ თქვენ მოტყუებით, ის გამოდგება, რომ თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს. ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, სწორედ მის ესაპიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიჭრელე: რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იტყვის ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს. ასე დაგემართათ თქვენც: აიეტი რომ მაცდურსა და შემბარავ სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოსტყუებით. სხვა თუ არაფერი, ის მიინც უნდა შეგემჩნიათ ნათლად, რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარა ამბავი არ იყოს საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები; თვითონ კი მკვლელობის დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც კარგადაა ცნობილი. მე კი ვამბობ, რომ წყუელი და შერევენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი არა მარტო იმათ მოსობას, რომელთაც განგმირეს მეფე გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, და აგრეთვე იმათაც, რომელთაც ეს მკვლელობა ესაიამოვნათ და მის გამო არცთუ ისე აღშფოთდნენ. თუმცა მე ასე ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მზარეს გადასვლა მაინც არ იქნება ჩვენთვის სასარგებლო. არ შეიძლება გავიზიაროთ ის აზრი, რომ, რაკი რომაელებმა (ბიზანტიელებმა) უკანონობა და ვერაგობა ჩაიდინეს, იმიტომ ჩვენც ჩვენს შშობლიურ წესებს გამოვეთხოვით და ჩვენც იმ ვერაგობა მსგავსად მსგავსივე ვერაგის სახელი მოვიხვეჭოთ... ნუ აყვებით მსჯელობის



დროს მოწოდებდა ბოლშევიკებს და გულისტკივილს, რათა არ დაეკარგათ უნარი მოსახრებრისა და ბუნდოვანი არ გაეფარებოდათ უნარი ჩვენს; საჭიროა შევინარჩუნოთ უნარი უკეთესად სარჩევად სა... უგუნური ადამიანები სულ მუდამ განვიღოთ უბედურებას დასტირიათ, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმა ტრიალს, არ ამფოთებთ მოულოდნელი ცვლილებანი და, როცა წინანდელ მდგომარეობას კარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს... აიეთი ისე გვაშინებს, თითქოს ბავშვები ვიყოთ: რომაელები არ იკმარებენ იმას, რაც გაბედესო. კიდევ მეტი უბედურება მოგველისო. იმასაც ამბობს, რომაელებს დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთ, რომელიც თვითონ არის ამ მკვლელობის სულისჩამდგმელი; დიდი ხანია ეს მკვლელობა მომზადებული და მოფიქრებული იყო. ამას ამბობს ის და აქებს და აღიდებს სპარსელებს; იმას ჰგონია, ამ გზით დაგვარწმუნებს და ჩვენც ახლავს საკუთაარი ფეხით ვეახლებით ჩვენს აშკარა მტრებს და ხვეწნა-მუდარით მუხლებში ჩაუფარდებით. სწორედ ამ მიზნით აიეთი ცდილობს კრებას გზა-კვალი აუბნოს. და იმის ნაცვლად, რომ კრებამ ჯერ იმსჯელოს, ყოველივე ასწონ-დასწონოს და დადგენილება ისე გამოიტანოს. აიეთმა ბოლო დააწყისში მოიქცია და ვიდრე ჩვენს რასმე გადაეწყვეტდით, ის უკვე შესრულებას შეუდგა. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება?... სინამდვილეში კი, თუ ჩვენ გონიერულად ვიმსჯელებთ, მაშინვე ცხადი გახდება, რომ არც რომაულ ჯარებს, არც სტრატეგოსებს, ერთად აღებულთ, მით უმეტეს არც მეფეს, არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზის წინააღმდეგ. აქი თვით მათ შორისაა გავრცელებული ხმები და ერთსულოვნად აღიარებული, რუსტიკე და მარტინე, რომელთაც შურდათ გუბაზის წარმატებანი, აპყენენ თავიანთ ბოროტ ზრახვებს, ხოლო დანარჩენი სარდლები არა თუ მათ არ ეხმარებოდნენ, არამედ აშკარადაც წუხდნენ. ჩემი აზრით, უმართებულო იქნებოდა და მიზანშეუწონელიც, ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შემოვსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა ჩვენს თავზე აგვილია, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წესწყობილება და ცხოვრება... სპარსელების მხარეზე გადასვლა უკვლავ უწმინდური საქმე იმით იქნება, რომ



ჩვენ შევბადავით მართლმორწმუნეობას და წმიდა საიდუმლოთა უმწიკვლოებას, სპარსელები ხომ ჩვენი საოწმებელი ჩვენი წეს-ჩვეულებების მტრები არიან, ისინი მამაპაპულ ად-ათებს წაგვართმევენ და თავიანთ სწულზე გადაგვიყვანენ. ამა-ზე სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლე-ბიც ვიქნებით და მკვდრებიც. რას მოვიგებთ იმით, რომ ვთქვათ მთელი სპარსეთიც შევიერთოთ და სულელები კი წაეიწყმი-დოთ? კიდევაც რომ ნება დაგვართონ და ჩვენს ნებაზე მიგვიშ-ვან, სულ ერთია — მაინც არ ექნებათ ჩვენდამი კეთილგანწყო-ბილება და ნდობა; მათი მოპყრობა ჩვენდამი ყოველთვის ვე-რაგული და არასაიმედო იქნება და მარტოდენ სარგებლიანო-ბის თვალსაზრისით გაანგარიშებული. ადამიანები ვერ იწყნა-რებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას. მათ შორის მტკიცე კავ-შირი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა აზრთა ერთიანობაა... პოდა, აბა, რის გულისათვის უნდა გადავიდეთ, კოლხებო, სპა-რსელების მხარეზე, თუკი ისინი მაინც ჩვენს მტრებად დარ-ჩებიან და ვნებასააც უფრო ადვილად მოგვაყენებენ, ვინაიდან ფარული მტრისგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკა-რასგან. ანდა, დავუშვათ, სპარსელები მართლა სანდონი არიან და ჩვენთან დადებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ. მაგრამ ეს აზრიც რომ მივიღოთ, მაშინაც ვერ მოვახერხებთ სპარსელების მხარეზე გადასვლას, რადგან რომაელთა მრავალ-რიცხოვანი ჯარები ზედ თავზე გვადგანან, ხოლო ირანელები ჩვენგან შორს არიან... მერე, ნურავინ ნუ ცდილობს წარმოგ-ვიდგინოს აქ მიცვალებული გუბაზი ლაჩრულად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობებს უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ შეიბრალონ იგი. იქნებ, ეს შეეფერებოდეს სა-ცოდავ და უმწეო არსებას, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, მით უმეტეს გუბაზს. პირიქით, ის რომ აქ იყოს, უამჟებელია, ვი-თარცა ლეთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვიცხავდა ჩვენი ასეთი ზრახვებისათვის, მოგვიწოდებდა, არ მიეცემოდით სა-სოწარკვეთას და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ მოქცეულიყავით, არამედ აღმშურელიყავით კოლხის თავი-სუფალი შეგნებით, ვაჟაკურად აგვიტანა უბედურება და არა-ფერი სამარცხენო და მამაპაპური წესების შემბილწავი არ ჩაგვედინა, არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით და



იმედი გვექონოდა, რომ უზენაესი თვალის არ მოაკლდებოდა არსებულ მდგომარეობას, რომ საჭიროა რომელიმე მეფის დასწრე მომხმარებელი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად ვაგწევთ ცხოვრების ჭაბანს. ხოლო უკეთეს ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვიითხოვირეთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხოვრებული გუბაზი არ დაგვივიწყნია და იმასაც, საქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად”.

ფარტაზის სიტყვამ სავსებით გადაშალა წინარე ორატორის, აიეტის გავლენით მიღებული შთაბეჭდილება და ხალხმა ერთბაშად იგრიალა: დაე, უარი ითქვას სპარსელებთან შერიგებაზე, დავრჩეთ ბიზანტიელთა მოკავშირეებად და კეისარ იუსტინიანეს მოეთხოვოთ დასჯა გუბაზ მეფის მკვლელებისა.

ეგრისელ წარჩენებულთა დელეგაცია კონსტანტინოპოლს ჩავიდა, იუსტინიანეს წარუდგა, გუბაზ მეფის მკვლელობის გარემოებანი გააცნო და მკვლელების დასჯა მოითხოვა.

კეისარმა „ერთგული ლაზების“ მოთხოვნა შეისმინა, „ერთგული გუბაზის“ მკვლელები სიკვდილით დასაჯა, ხოლო გუბაზის ნაცვლად ეგრისის ტახტზე მისი უმცროსი ძმა წათე დაამტკიცა.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ზ ა რ მ ბ ი

მეექვსე საუკუნიდან ქართლში სპარსელებმა მტკიცედ მოიღვეს ფეხი. ქვემო ქართლი სპარსეთის შაჰებმა თავის უშუალო საბატონოდ აქციეს, „საპიტიახში“ დაარქვეს, სათავეში „პიტიახში“ („ერისთავი“) ჩაუყენეს, ქართლის მეფობაც სულ გააუქმეს და მეფის ადგილზე სპარსელი „მარზპანი“ („მმართველი“, „გამგებელი“) დასვეს.

ომები სპარსელებსა და ბიზანტიელებს შორის კი ისევ გრძელდებოდა. ქართველები ბიზანტიელთა „მოკავშირეობას“ და „მეგობრობას“ კვლავ არ ღალატობდნენ.

მეშვიდე საუკუნის დამდეგს ბრძოლა კიდევ უფრო გან-
წევდა. ბიზანტიის ახალმა კეისარმა ჰერაკლემ მეპირველი
წარუმატებლობის შემდგომ, ქართველების გარდა ჯერ კიდევ
კავშირე გაიჩინა. ეს იყო ჩრდილოკავკასიელ ხაზართა ხაყანი
(ბელადი), სახელად ჯიბლუ.

ტფილისში მაშინ სპარსელთა ციხიონი იდგა.
და წამოემართნენ საქართველოს გულისაკენ, — დასავლე-
თიდან ბიზანტიელნი და ჩრდილოეთიდან ხაზარნი.

იდგა 626 წელი.

დერბენდის კარიბჭეთა გადმოლახვისა და აღბანეთის
საშინლად აოხრების შემდგომ, ხაზარები პირველად შემოიქ-
რნენ ქართულ სამანებში. შემოიქრნენ და „გარს შემოადგნენ
მშვენიერს, მდიდარსა და სახელგანთქმულ დიდ ქალაქ ტფი-
ლისს“.

ტფილისთან ჰერაკლე კეისარი შეეგება ჯიბლუ-ხაყანს. ერთ-
მანეთს გადაეხვივნენ მოკავშირენი. კეისარმა ხაყანს თავზე სა-
კუთარი გვირგვინი დაადგა, თავის შვილად გამოაცხადა, ქალი-
შვილის სურათიც აჩვენა და სიძობასაც შეჰპირდა. ჯიბლუ, მი-
სი შვილი შათი და მათი თანაშემწე სარდლებიც ძვირფასი
საჩუქრებით აავსო ჰერაკლემ. ერთად ინადიმეს ხაზარებმა და
ბიზანტიელებმა. მერე ტფილისის საიერიშო თათბირს ჩაუყდ-
ნენ ხაყანი და იმპერატორი.

ეს ის დრო იყო, როცა ქართულ სულსა და მკლავს ისევ გა-
ემარჯვნა და ქართლში სპარსული „მარზპანობა“ ქართულ
„ერისმთავრობას“ შეეცვალა. მეშვიდე საუკუნის დამდეგს უკ-
ვე პირველი ერისმთავარი განაგებდა ქართლს ტფილი-
სიდან, სახელად — გუარამბაგრატიონი, „კაცი მორწ-
მუნე და მამუნებელი ეკლესიათა“. სწორედ გუარამმა დაიწყო
მშენებლობა სახელოვანი ჯვრის მონასტრისა და მანვე „ვანა-
ახლა საფუძველი ტფილისის სიონისა“.

ხოლო ხაზართა და ბიზანტიელთა შემოსევების ეპოს გუარამი
აღარ იყო ცოცხალი. მის ნაცვლად ერისმთავარი იყო და ტფი-
ლისს დამცველად უდგა ძე მისი — სტეფანოზ.

ტფილისის დამცველ ქართველთა და სპარსელთა ძალები
შეაერთა სტეფანოზმა და შეეგება ყოველის მხრიდან მოიერი-
შე მძვინვარე მტრებს. რამდენიმე დღე გაგრძელდა ხოცვა-

ელეტა ქალაქის კედლებთან. ბოლოს, ტფილისის მთავარ ქა-
რიბჭეზე რჩეული ქარები მიუშვეს ჰერაკლემ და ჯიბლემ, დე-
დხანს აკავებდა მათ გააფთრებულ შიტივეებს ლეგალ-ნიჭიერი
ლი სტეფანოზი. შორიდან ჭგროდ ნასროლი გმურებით შეუწ-
ვრიეს გულსფიცარი. ცხენიდან უსულოდ გადმოეშვა გმირი
ერისმთავარი, რომელმაც არ იცოდა შიში არცა კაცისა, არცა
ღმერთისა, არცა სიკვდილისა.

ბიზანტიელები და ხაზარები ტფილისში შეიჭრენ.

ქალაქის დამცველებმა კალა-ციხეს შეაფარეს თავი.

გაძალიანდა კალა. დღე და ღამე შეუსვენებლივ მიჰქონდათ
იერიშები მოალყეებს, საგორავ-საიერიშო ტარანებს ამოდ
სცემდნენ ციხის კედლებს, ლოდსაც უსაზმნოდ უშენდნენ
ლოდსარტყოცნებით.

ურყევად იდგა კალა. ურყევი სულიერი მხნეობით იდგნენ
მისი დამცველნი. ციხის კედლებზე არხეინად დასეირნობდნენ
ქართველი შეციხოვნენი. მოალყე მტრებს სიცილს აყრიდნენ,
თავს ლაფს ასხამდნენ.

ციხის უმაღლეს ვოდოლზე უზარმაზარი გოგრა გამოაგო-
რეს, ზედ ხატი ეხატა დიდი თავით, ბრტყელი პირსახით, წინ
გამოყრილი ყვრიმალებით, ქოსა ლოყებით, მიჭყლეტილი
ცხვირით, განიერი პირით, ჭრუტა თვალებით. გამოაგორეს,
ისარს უშენდნენ და ხაზარებს ჩამოსძახოდნენ სიცილ-ხარხა-
რით: აი, თქვენი ჯიბლუ-ხაკანი, თაყვანი ეციოთ, თაყვანი ეციოთ
ჯიბლუ-ხაკანსო!

სიშლეგემდე მიდიოდნენ ხაზარები.

არც წვეროსანი იმპერატორი დაუტოვებიათ ტფილისე-
ლებს გულდაწყვეტილი. მთელი ქალაქის გასაგონად გადმოძა-
ხოდნენ ბიზანტიელებს: თქვენს კეისარ ჰერაკლესა თხის წვე-
რი და ვაც-ბოტის კისერი აქვს! შეხედეთ და ეთაყვანეთ თქვენს
თხა-ხელმწიფეს, ბიზანტიელსო!

ერთ ხანს ითმინა ჰერაკლე კეისარმა, მერე ღვთისმეტყვე-
ლებასი კარგად გაწაფულმა იმპერატორმა ბიბლია მოატანიდა,
გადაშალა „წიგნი დანიელისა“ და შიგ ასეთი რამ ამოკითხა:
„მოვიდა ეს ვაცი დასავლისა და შემუსროს რქანი ვერძისა აღ-
მოსავლისანი“.

წელიწადი იწურებოდა. ტფილისის აკროპოლისის იღებს



ბიზანტიელთა სუვერენიტეტი დარჩა, მაგრამ იგი სახელმწიფო ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ეგრისის მეფეებმა მთლიანად რაფერს ეკითხებოდნენ ბიზანტიის კეისრებს. ქართლის ერისმთავრებიც თავისთავადი პოლიტიკით განაგებდნენ ქვეყანას. ისინი ისევ ფორმალურ ინსიგნიებსა და საპატრიო ტიტულებს ღებულობდნენ კონსტანტინოპოლიდან: „კურაპალატი“, „მაგისტროსი“, „პიპატოსი“, „პატრიკიოსი“, „სტრატეგოსი“...

ტფილისისათვის ბრძოლაში სტეფანოზის დაღუპვის შემდეგ ქართლის ერისმთავარი გახდა ადარნასე, რომელმაც დაასრულა მცხეთის ჭვრისა და ტფილისის სიონის მშენებლობა. ადარნასეს გარდაცვალების შემდგომ მისი ძე სტეფანოზი გახდა ერისმთავარი ქართლისა. ამა სტეფანოზ მეორის დროს, მეშვიდე საუკუნის ორმოციან წლებში, მთელი მსოფლიო შეარყია ახალ დიდ დამპყრობთა გამოჩენამ. ესენი იყვნენ არაბები, მუსლიმნი, ანუ მაჰმადიანნი, ისლამის სჯულით.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი დ ა ა რ ა ბ ე ბ ი

640 წელს არაბებმა სომხეთი დაიპყრეს. ორი წლის შემდგომ არარატის ველიდან სამ ნაკადად წამოემართნენ საქართველოსკენ.

ქართველებიც სამ წყებად დაუხვდნენ, სამგანვე სძლიეს და გააქციეს.

ეს აქამდე „დაუმარცხებელ არაბთა“ პირველი დიდი დამარცხება იყო.

654 წელს მეორედ წამოემართა საქართველოსკენ არაბთა უთვალავი მხედრობა. ქართველებმა ამჯერად ხარკის გადახდა იკისრეს და სისხლისღვრა თავიდან აიშორეს.

ორი წლის შემდგომ ქართველებმა არაბებს ხარკის ძლევა შეუწყვიტეს. ქართველებს სომხებმა და ალბანელებმაც მიბადეს.

კვლავ დაიძრა ამიერკავკასიისკენ არაბული მხედრობა. ოცი წელიწადი გაგრძელდა სისხლიანი ხმალთაქვეთბანი.

686 წელს სომხები აუჯანყდნენ არაბებს, სომხებს ქართვე-



ლები მიეშველნენ, ნერსეს სარდლობით. ქალაქ ღერით
 ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და აოტნეს არაბნი

735 წელს მურვან სარდალი შემოუძღვა ტყვეობაში
 არაბულ მხედრობას. გაუგონარი სისასტიკით და მძვინვარე-
 ბით მოედვნენ დამპყრობელნი ამიერკავკასიის სოფელ-ქალა-
 კებს. სომხებმა მურვანს სისასტიკისთვის „ამაოხრებელი („ავა-
 რანშარ“) დაარქვეს, ხოლო ქართველებმა — „ურუ“.

სომხეთის, ქართლისა და მესხეთის აოხრების შემდეგ, ზე-
 კარის გზით, დასავლეთ საქართველოსკენ წამოემართა მურვან
 ურუ.

ფერსათის მთაზე, ხანისწყალზე ჩამოსასვლელთან, არაბ-
 თა მუწინავე მხედრობას წინ გადაეღობა ქართველთა ჯარი,
 რომელსაც არგვეთის მთავრები, ძმები დავით და კონ-
 სტანტინე მხეიძენი მიუძღოდნენ. ქართველებმა სას-
 ტიკი ხმალიაყვეთებით მტერი დაამარცხეს, „აოტნეს, განაბნი-
 ნეს და ურიცხვი მოსრეს“.

გამძვინვარებულმა მურვან ურუმ მთელი ძალები დასძრა,
 „ვითარცა ქვიშაი სიმრავლითა“.

მოედვნენ სარკინოზნი (არაბნი) იმერეთს ცეცხლით და
 რკინით.

დავითი და კონსტანტინე პარტიზანული ომის გზას დაადგ-
 ნენ. მტერს უსაფრდებოდნენ და მოულოდნელი, მფრინავი
 თავდასხმებით ავიწროებდნენ. მერე, რომელიღაც ზევში არა-
 ბებმა მაინც მოახერხეს ერთ მუჟა გმირთა სალტეში მოქცევა.
 ქართველებმა ხმლები იშიშველეს, ჭარქაშები დაღწეს და
 მტერს შეებნენ. ბერი დამპყრობლის სისხლი დაიქცა, მაგრამ
 მაინც აღესრულა მურვან ურუს ბრძანება: დავითი და კონსტა-
 ნტინე ცოცხლად შეიპყრეს და ჭუთათისში მდგარ სარდალს
 მიჰგვარეს. მურვანის ბრძანებით, ძმები სასტიკად აწამეს და
 დილეგში ჩაყარეს.

ათი დღე-ღამე მშვიერ-მწყურვალნი ეყარნენ. მერე შეუთ-
 ვალა არაბთა მბრძანებელმა სიკვდილზე მიყენებულ გმირებს:
 მე პატივს ვცემ თქვენს ვაჟყაობას და გთავაზობთ უარი თქვათ
 ქრისტიანობასა და ქართველობაზე; სანაცვლოდ მიიღეთ ო-
 ლამის რაჭული; თუ ასე მოიქცევით, მოგაძღვნით დიდ პატივს,
 საჩუქრებსა და დიდ თანამდებობებს, ხოლო უკეთუ არ შეის-
 მენთ, სასტიკი წამებით სიკვდილი არ აგცდებათო.



მაშინვე უყოყმანოდ უპასუხეს გმირებმა: არ ახსებოდა და
 ლა, რომელიც ხელს აგვადებინებს ჩვენს რჩეულს და ჩვენს
 ლობაზეო; ჩვენ შხადა ვართ ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი
 შიმშილს, წყურვილს, ცეცხლსა და წყალს, ლახვარს და ხმა-
 ლს.

გაცოფებულმა მურვანმა ქალათები მიუსია გმირ ძმებს,
 რიონის პირას ხეზე დაჰკიდეს და მძიმე ხელკეტებით სიკვდი-
 ლამდე სცემეს, მერე ჩამოხსნეს, ხელ-ფეხი მჭიდროდ შეუკ-
 რეს, კისერზე მძიმე ლოდები დაჰკიდეს და მდინარეში ჩააყ-
 რეს.

იმ დღესვე მურვანმა არაბთა ბანაკი აყარა და ქუთაისიდან
 დასავლეთისაკენ გაეშურა.

ქართველებმა დავითი და კონსტანტინე რიონიდან ამოას-
 ვენეს და მდინარე წყალწითელას ხევში ღრმად ჩაქრილ მაღა-
 ლსა და კლდოვან ყელზე დაკრძალეს.

ამიერიდან ამ ადგილს, სადაც ესვენენ ძმანი მოწამეწი,
 ეწოდა „მ ო წ ი მ ე თ ი ა“. სამასი წლის შემდგომ, მეთერთმეტე
 საუკუნის პირველ ნახევარში, მეფე ბაგრატ მესამე ახალ ეკ-
 ლესიას ააშენებს და იქ გადაასვენებს წამებულ გმირთა წმიდა
 ძელებს.

დავითი და კონსტანტინე ქართულმა ეკლესიამ წმინდანე-
 ბად შერაცხა.

ზ მ ო ბ ა ა რ ჩ ი ლ პ ი რ ვ ე ლ ი ს ა

ქუთაისიდან წასული მურვან ყრუ სამეგრელოს შეესია.
 იგი მისდევდა ქართლის ერისმთავარს, ს ტ ე ფ ა ნ ო ზ მ ე ს ა -
 მ ე ს, რომელიც შეილებით ლტოლვილ იყო ქართლიდან. სტე-
 ფანოზი მოულოდნელად გარდაიცვალა, შეილებმა, მ ი რ მ ი
 და ა რ ჩ ი ლ მ ი, მამა ციხე-გოქს დაკრძალეს და თვითონ აფ-
 ხაზეთს მიაშურეს.

არაბებმა ჭერ ციხე-გოქი აიღეს და დაანგრეს. იქიდან
 მურვან ყრუ ცხუმს (სოხუმს) მიაღვა, ისიც აიღო და დაან-
 გრია. მერე ანაკოფიას მიაშურა, სადაც თავს აფარებდნენ ქა-
 რთლის უფლისწულები.



შირი და არჩილი მცირეოდენი მხედრებით ფიცხლავ გამოუხდა და შეეხებნენ არაბთა ლაშქარს.

ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით გათავდა. ოღონდ დაიჭრა მანრაკით ფერდში.

ქართველთა გამარჯვებით გახარებულმა კეისარმა კონსტანტინოპოლიდან სამეფო გვირგვინი და სკიპტრა გამოუვზავნა მირს.

მარცხნაჟამი მერვან ყრუ აფხაზეთიდან დედიქცა და ისევ ციხე-გოჭის მახლობლად დასცა ბაშაკო. აქ საშინელი კოცისპირული წვიმა და ქარიშხალი დაატყდა თავს. მდინარეები აღიდდა, ბანაკი წაღეკა, მრავალი მეომარი, ცხენი და აღალ-ფორანი წაართვა ნიაღვარმა არაბთა სარდალს. სამეგრელოდან ძლივს გააღწიეს, გურიას შეესივნენ, ააოხრეს, მერე აჭარა და სპერსი იეგარპყვეს. სპერიდან სომხეთს შეიჭრა მერვანი....

ქართლის მეფედ გამოცხადებული შირი ანაკოფიის ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან დასწეულდა და გარდაიცვალა.

ქართლის ტახტი დაიჭირა შირის მომდევნო ძმამ, არჩილმა.

არჩილ ბირველი თორმეტი წელიწადი ქუთაისში იჯდა და თავს სრულიად საქართველოს მეფედ თვლიდა. მაგრამ ქართლი შინც არაბეთის მოხარკე ქვეყანა იყო. ტფილისში არაბი ამირა იჯდა, ძლიერი არაბული ციხიონით. ამირა ქართველი ერისმთავრებისგან ხარკს ღებულობდა და ომის საჭიროებისას ქართული მხედრობაც გაჰყავდა. არაბული ხარკი ორნაირი იყო: ჭიზიათი (საკომლო) და ხარაჯა (საადგილმამულა).

არჩილი ქართლში გადავიდა და აოხრებული ქვეყნის აღდგენა-აშენებას ჩაუდგა სათავეში.

ერთხანად თითქოს მშვიდობიანობა დამკვიდრდა ქვეყნად. არაბთა ამოხრებული ლაშქრობებიც შეწყდა. სარკინოზები თითქოს შეურიგდნენ, რომ მათი ფაქტიური ბატონობა საქართველოში ტფილისისა და მცხეთის გარეთ არც ვრცელდებოდა. კახეთი, მთიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და მესხეთ-ქავეახეთი არაბთა ბატონობას არც კი ცნობდნენ.

მერვე საუკუნის სამოციანი წლების მახლობლად არაბთა

მორიგი მარბიელი ლაშქრობა მოეწყო ამიერკავკასიაში, ხელის
აოხრების შემდგომ, ქართლში შემოიჭრნენ ციხეები
და რკინით. არჩილმა მშვიდობიანი გზით სცადა ქვეყნის განთავსება
რჩენა. არაბთა სარდალმა ქართველი მეფე ჟერჯიყის
ნობით მიიღო, მერე ქრისტიანობის უარყოფა და მამამდიანო-
ბაზე გადასვლა მოსთხოვა, ხოლო როცა ამაზედ ცივი უარი
მიიღო შეიპყრო და თავი გაავდებინა.

ხ ა ზ ა რ თ ა ს ა რ ძ ლ ო

არჩილს დარჩა ოთხი ასული და ორი ძე — იოვანე და
ჯუანშერ. იოვანე დედისა და ორი დის თანხლებით ეგრისს
გადავიდა, ხოლო ჟუანშერმა დანარჩენი ორი დაი დაიტოვა და
ქართლ-კახეთის „მეფედ“ დარჩა.

ჯუანშერის უმცროსი დაი, სახელად შუშანი, გასაოც-
რად ლამაზი და მომხიბლავი ქალი იყო. მისი სიმშვენიერის
ამბავი შორეულ ხაზარეთშიც შეეტყვოთ და ხაზართა ხაკანს
გადაეწვიტა კიდევ შუშანის ცოლად შერთვა. ხაკანმა ჟუან-
შერს მოციქული გამოუგზავნა, დამოყვრება შემოსთავაზა და
სამაგიეროდ არაბების წინააღმდეგ დახმარება აღუთქვა.

ჯუანშერმა დედასთან და დასთან ითათბირა. ხაზართა ძლი-
ერი ხელმწიფის კავშირი და თანადგომა ძალიან მომხიბლავად
გამოიყურებოდა, მაგრამ „სარწმუნოებრიობამ“ მაინც თავისი
გაიტანა. უმჯობესია, ასე უღონოდ ვიქნეთ და დახმარება მხო-
ლოდ ქრისტიან ბიზანტიელებს ვთხოვეთ, ვიდრე ქალი წარ-
მართ ხაზარს გავატანოთო. თვითონ შუშანმაც გადაქრით თქვა
უარი ხაზარეთში გათხოვებაზე.

როგორც ეტყობა, ხაზართა ბრძანებელს ისედაც მონატრე-
ბოდა ამიერკავკასიის მორიგი დარბევა და მოოხრება და საბა-
ზად ქალზე უარის თქმა სავსებით საკმარისი უნდა ყოფილი-
ყო.

და 764 წელს ხაკანმა უხარმაზარი ხაზარული ურდო გამო-
გზავნა სარდალ ბლუჩანის წინამძღოლობით.

ჯუანშერი კახეთის ციხესიმაგრეებში დაუხვდა მტერს.

ხაზარები ჩვეული სისასტიკითა და ურწუკობით მოედნენ



კახეთის სოფელ-ქალაქებს. რამდენიმე დღის ალუისა და იუფის შის შემდეგ ბლუჩანმა აიღო ციხესიმაგრე, რომელსაც აფარებდა ჭუანშერი შუშანთან ერთად.

სიგ. ლ. ი. თ. შ. შ. შ.

აქედან ტფილისს მიადგა ბლუჩან, არაბი ამირა დაამარცხა, ქალაქი აიკლო, მერე სომხეთიც ააოხრა და ჩრდილოეთისაკენ გამობრუნდა.

გახარებული მიუძღოდა ბლუჩან ხაზარი ნაძარცვით დატვირთულ ურდოს. უძვირფასესი ტყვეებიც მიჰყავდა მბრძანებელი ხაკანისათვის — ქართველთა მეფე ჭუანშერი და დაი მისი, უმშვენიერესი ქართველი ქალი შუშან.

ღარიალს რომ მიაღწიეს, შესვენება ითხოვა ხაზართა სარძლომ.

ხაზარებმაც კარვები დასცეს.

შუშანმა ძმა გაინაპირა.

ბლუჩანი ხედავდა, საშიში არაფერი ჩანდა, და-ძმა მშვიდად საუბრობდნენ რაღაცას, გაქცევაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო, ხოლო სხვა რა საშიშროებაზე უნდა ეფიქრა ხაზარს. ხოლო შუშანი ჭუანშერს ეუბნებოდა, სავსებით მშვიდად და სიტყვაუქცევლად:

„მე მირჩევნია მოგვადე შეურცხვენლად და ქვეყნისთვის წამებულ ქართველ ქალად, ვიდრე გავხდე წარმართთაგან შეგინებული. და, იცოდე, ხელი არ შემიშალო, ძმაო. მე ახლაც უნდა მოგვადე, ამ წუთს, რამეთუ აქვე მშობლიური მიწაც თავდება“.

ხელზე ოქროს ბეჭედი ჰქონდა შუშანს, დიდი საფირონის თვლით, „ხოლო თუალსა მას ქვეშე წამალი სასიკვდინე“.

და უცებ ქალი პირით მისწვდა ბეჭედს, თვალი ამოაგდო და ამოსწოვა საწამლავი.

და ძმის ხელებზე დაეცა მკვდარი.

ხაზარებს, მრავალთა მკვლელებს და მკვდართა მხილველებს, ჯერ არასოდეს ასეთი ლამაზი მკვდარი არ ეხილიათ.

იქვე დაკრძალეს, ქართული მიწის მიწურულს.

ბლუჩანს ისღა დარჩენოდა, ჭუანშერს გაფრთხილებოდა, ვინძლო იგი მაინც მიეგვარა ცოცხლად თავის მბრძანებლისათვის.

უსაზღვროდ შეწუხდა ხაკანი, როცა ბლუჩანმა მხოლოც



ქუანშერი მიბგვარა და შუშანისა მხოლოდ სიკვდილი ~~ქუანშერი~~
 ცოფები ჰყარა, რატომ მკედარი მაინც არ მომიყენეს. ~~მეცადონი~~
 მაინც მეხილა სილამაზე ჩემგან დანიშნული ქაჩქელს ~~ქაჩქელს~~
 საო!

და ბრძანა რისხვით ატანილმა ხაკანმა სიკვდილი მისი გაუფრთხილებელი სარდლისა.

და „შეიპყრეს ბლუჩან და მოაბეს ყელსა საბელი, და განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა იმიერ და ამიერ, და მოსწყვიდეს თავი ბოროტად“.

თვითონ ქუანშერი შვიდი წელიწადი დაიტოვა თავისთან ხაზართა ხაკანმა. ხოლო შვიდი წლის შემდგომ ისევ საქართველოში გაამოუშვა დიდძალი ძღვენით დატვირთული.

კონსტანტი კახი

მერვე საუკუნე მიწერულიყო.

არაბული მბრძანებლობა მხოლოდ ტფილისსა და მის შემოგარენს ჩაჰფრენოდა ქართველებთან ხანგრძლივ ნაომარნაცვეთი ბრჭყალებით. დანარჩენი, უმეტესი საქართველო, სარკინოზული ბატონობიდან დამოუკიდებლად იჩემებდა თავს.

უკვე ჩამოყალიბებულიყო ოთხი დამოუკიდებელი ქართული სამთავრო:

კახეთი,

ჭყვინთა,

ტაო-კლარჯეთი,

აფხაზეთი (დასავლეთი საქართველო).

ყოველი მათგანი ერთდროულად იბრძოდა უცხოელთა უღლის დასამხობადაც და საქართველოში ჰეგემონობისთვისაც.

852 წელს ხალიფა მუთავეჯილმა აჯანყებით ცეცხლმოდებულ ამიერკავკასიაში ოცდაათიათასიანი არმია გამოგზავნა. არაბულ მხედრობას სათავეში უდგა ბუღა, „თურქი მონა“, უკიდურესად სისხლმოსყვარე და კაცთმოძულე მხედართმთავარი.

ბუღა თურქი ჯერ სომხეთში შეიჭრა და საშინელი ხოცვა-ჩლიქვა გააჩაღა. სომხეთი გამირული ბრძოლა ამით გამოდგა.

სარკინოზებმა აქანყება ჩაახშეს, აქანყების ბელადები შეი-
ყრეს და ბაღდადს გაგზავნეს.

სომეხთაგან „ზღვის ვეშაბად“ მონათლულმა ^{ეროვნული} ~~ქველმოქმედებამ~~ ^{ქველმოქმედებამ}
წელს თავისი უზარმაზარი მხედრობა საქართველოს შემოუსია.

ტფილისის არაბი ამირა, ს ა ჰ ა კ ი ს მ ა ე ლ ი ს ძე, ხალიფ-
ას გასდგომოდა და მისთვის ხარკის გადახდაც შეეწყვიტა, ბუ-
ღამ ტფილისზე საიერიშოდ მიუშვა ჭარები. არაბები ტფილის-
ში შეიჭრნენ, ამირა ს ა ჰ ა კ ი ს მ ა ე ლ ი ს ძე შეიპყრეს და ბუღას
ბრძანებით თავი გააგდებინეს.

ტფილისი სავსებით გადასწევს სარკინოზებმა.

50 000 ტფილისელი გაწყდა მაშინ, 853 წლის 5 აგვისტოს,
შაბათ დღეს.

ტფილისიდან კახეთისკენ დაიძრა ბუღა თურქი; შეესია, გა-
ძარცვა და გააპარტახა სოფლები, გამოირეკა ტყვეები.

ტყვეთა შორის იყო ერისთავი კონსტანტი კახი, დი-
დად სახელგანთქმული მამულიშვილი, იმჭერად 85 წლის მო-
ხუცი. კონსტანტისთან ერთად შეპყრობილ იყო ძე მისი თ ა რ-
ხ უ ჟ.

შეპყრობილი მამა-შვილი ხალიფას გაუგზავნა ბუღა თურ-
ქმა, ბაღდადს.

ხალიფა მ უ თ ა ვ ა ქ ი ლ მ ა ქრისტიანობის უარყოფა და
მაჰმადის რჯულის მიღება უბრძანა კონსტანტის.

მოხუცმა ქართველმა ცივი უარი თქვა.

ხალიფა დაემუქრა: „უკეთუ არა ისმინო ჩემი, სიკვდილი-
თა მოჰყვედ შენ ბირითა მახვილისაითა, და ხორცი შენნი მიე-
სცნე საქმელად მფრინველთა ცისათა, და ვინ არს, რომელმან
განგარიხოს შენ ხელთაგან ჩემთა!“

შენს ხელთ მხოლოდ ჩემი სხეული არისო და არა სული, —
უბასუხა ქართველმა, — ამიტომ მე არ მეშინია შენი მახვილის
და როგორც გენებოს, ისე მომექეციო.

განრისხებულმა მუთავექილმა კონსტანტი კახი საპყრობი-
ლში ჩააგდო და ორი გამაჰმადიანებული სომეხი შეუჩინა: იქ-
ნებ თქვენ უკანონოთ და დაიყოლიოთ მაჰმადიანობაზე ვე ქა-
რთველით. მაგრამ ვერც ქრისტიანი რწმუნებულები გახდნენ ვე-
რაფერს. ვერც ცემამ და გვემამ გაქრა.

853 წლის 10 ნოემბერს, პარასკევ დღეს, მთავარ კონს-

ტანტი კახს, და მის ვაჟს თარხუჯს, ხალიფას ბრძანებით დაეცნო დააყრვეინეს.

იმდროინდელმა ქართველმა და სომეხმა კონსტანტი კახი წმინდა მოწამეთა სიაში ჩაირიცხეს.

ხოლო ბულა თურქი კვლავ მძვინვარებდა საქართველოში.

კახეთიდან მთიულეთში ავიდნენ არაბნი. ცხავატამდის მიატანეს.

მთიულთაგან ბულამ სამასი მძევალი აიყვანა და არაგვის კარის გახსნა მოითხოვა, რადგან ოცსეთში გადასვლასაც აპირებდა იგი.

მაშინ კლარჯეთიდან თხოვნა მიიღეს მთიულეებმა — არავფრთხილ არ გაუშვათ არაბები დარიალზე და არც სისხლდაუქცევლად გამოუშვათ უკანო. იგივეს ითხოვდნენ სომხები სომხეთიდან.

მთიულეებმაც „გაწირნეს მძევალნი“ და მათთვის ჩვეული შემმართველობით შეეგებნენ მტერს.

აღამიანთა სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში ბუნებაც ჩაერია. დიდი თოვლი მოვიდა. ქართულმა მთებმა ყინვიანი საგეზი დაუგეს სამხრეთელ მტერს. სოცივისგან სახსარდალუწილ სარკინოზთ ცხენებიც დაემშათ და დაეყინათ. პირუტყვი იელს ეტანებოდა, იწამლებოდა და იხოცებოდა. გაჩანაგებული და ჯანგატეხილი ჯარებით ბულა თურქი მთიდან ბარში ჩამოიხვეწა, საქართველო მიატოვა და აღბანეთში გადაიხვეწა...

ბ რ ბ რ ი

914 წელს არაბებმა უკანასკნელად ილაშქრეს საქართველოში.

ხალიფას უზარმაზარ ლაშქარს მოუძლოდა სარდალი აბულყასიმ აბუსაჯისძე.

ჯერ სომხეთი გაანადგურეს და გააოხრეს არაბებმა, მერე საქართველოში შემოიჭრა აბულყასიმი „სპითა დიდითა და ურიცხვითა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა“.

ჯერ ტფილისში შევიდა აბულყასიმი. შემოეგება დიდის ამბით ტფილისის ამირა, ჯაფარ აღისძე. ტფილისიდან



კახეთს წარემართინენ სარკინოზნი. აიღეს უჭარმა, აიღეს ბოჭორა
 მა. კახეთიდან ქართლს გადმოვიდნენ და უფლისციხეს მისულნი
 შურეს. ქართველებმა დაასწრეს და უფლისციხე მსჯელობის
 დაანგრეს. უფლისციხიდან სამხრეთისკენ დაეშენენ და სამ-
 ცხეს შეესივნენ არაბნი.

თ მ ო გ ვ ე ს ციხეზე მიიტანეს იერიში, მაგრამ უსახლვროდ
 შეიჭირვნენ. ვერაფერი დააქლეს ცადაზიდულ თმოგეს და
 უკუიქცნენ.

ჩავახეთს ამოუყვენენ ძარცვა-რბევით და ყველის ცი-
 ხეს შემოადგნენ გარს. „ვეითარცა თოვლი“, ურცხვი არაბუ-
 ლი თეთრი კარვებით დაიფარა ყველის ციხის შემოგარენი.
 მრავალი საიერიშო დილაკავანნი, იარაღით დატვირთული აქ-
 ლემნი იდგნენ ბანაკად სარკინოზთა, ხოლო „სამრავლე ტყო-
 რცხებულთა მათ ისართათი შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა“.

ოცდარვა დღე იგერიებდნენ სარკინოზთა გავეშებულ იე-
 რიშებს ყველის ციხის დამცველნი.

შეციხოვნეებს სათავეში ჩასდგომოდათ ახალგაზრდა მზე-
 დარი გ ო ბ რ ო ნ. მტერიც და მოყვარეც განეცვიფრებინა გო-
 ბრონის სიმამაცეს და სიმზნევეს. ციხის გარეთ გამოიჭრებოდ-
 ნენ ხოლმე ქართველები გობრონის მოთავეობით, ხელჩართუ-
 ლში ჩაკაფავდნენ მტერს და ისევ კედლებს შიგნით გაუჩინარ-
 დებოდნენ.

მერე არაბებმა „განხურიტნეს კლდე და განარღვიეს ზღუ-
 დე“ და შეიჭრნენ ციხის შუაგულში.

ისევ გამოიჭრა წინ გობრონი. ფიცხელი შეტევით უკუაქ-
 ციეს ქართველებმა მტერი და განდევნეს კვლავ ციხის გარეთ.
 არაბთა გვაშებით გაივსო ციხე.

მცირე იყო ქართველთა მსხვერპლი, მაგრამ ეს „მცირე“
 უმძიმესი და აუნახლადურებელი იყო ისედაც მცირეთათვის.
 იერიშები განაახლეს არაბებმა.

ღრუბლის სიხშირით წამოსულმა ისარმა კვლავ დააბნელა
 ზეცა.

ერთი მუჭა ქართველობა უკანასკნელად შეება ნიაღვრად
 მოვარდნილ მტერს.

ამულ ყასიმის ბრძანება იყო: მხოლოდ ცოცხლად მოშვეა-
 რეთ გობრონიო.



უკანასკნელი ქართველთაგანნი, ვინც სიკვდილს გადაარჩინოდა, სულ 133 კაცი, ცოცხლად შეიპყრეს სარგებლობას მათ შორის იყო გობრონი.

იგი ცალკე გაიყვანეს.

დანარჩენები წინ დაიყენეს ჩამწკრივებულმა არაბებმა.

წინ დაიყენეს და დათქმულ ნიშანზე ერთბაშად მიცვიდნენ — ზოგი მახვილით, ზოგი შუბით, ზოგი ისრით, ზოგიც დანით — ჩაქლეს, ჩახოცეს, ჩაქაფეს.

არც ერთ ქართველს არ დაუცვენსია, სიკვდილის კარზე არც ერთს პირიდან ღიმილი არ მოშორებია.

ხოლო, გობრონი აბულ ყასიმს წარუდგინეს.

და შეუჩნდა სარკინოზ-მაჰმადიანი ქართველ-ქრისტიანს; მებრალემა შენი სიჭაბუკეო, მენანება შენებრ მამაცი მხედრის სიკვდილით და, როგორც საყვარელ შვილს, გირჩევ დატოვო უგუნური ქრისტიანობა, რომელმაც შენს მოძმეებს ვერაფერი სარგებელი ვერ მოუტანა. მიიღე ჩვენი მაჰმადიანობა, რომელსაც ყველა მორჩილებს ამ ქვეყანაზეო. უკეთუ დამიჯერებ და ისე მოიქცევი როგორც გეუბნები, მე შენ მოგაგებ ყოველგვარ პატივს: სარდლობას, სასახლეებს, კარებს, მონებს, აქლემებს, საჭურველს და იქნები უსაყვარლესი და უსაჩინოესი მთელს ჩემს მხედრობაშიო.

ქართველმა გადაჭრით თქვა უარი: მე ქართველად და ქრისტიანად დავიბადე და აღვიზარდეო; ამიტომ იცოდე, ვერც შენი უხვი დაპირებებით და ვერც ნელნელა წამებით ვერ მიიძღლებთ ვულაღათ სამშობლოს და სარწმუნოებას ჩემსასო.

გარეთ გაიყვანეს გობრონი. ერთდროულად აჩვენეს დაჩეხილი თანამოძმენი და აღთქმული სიმდიდრენი. იქნებ „შიშმან სიკვდილისამან, ანუ შესაძინელმან კეთილისმან მოდრიკოს გული მისი“, — ებრძანებია აბულ ყასიმს.

როცა უკანვე კარვად შეიყვანეს, ჰკითხა აბულ ყასიმმა: „რაი გამოირჩიე თავისა შენისა?“

„მე პირველადვე ვითხარ შენ, არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგან“, — მტკიცე სიმშვიდით უპასუხა გობრონმა.

უკანასკნელ ღონეს მიმართა არაბთა სარდალმა ქართველი გმირის გასატეხად. მისი ბრძანებით, გობრონი გაიყვანეს და საგანგებოდ შემონახულ ქართველ ტყვეებს მის თვალწინ

ელტა დაუწიეს. ეცემოდნენ და ეხლებოდნენ განგმირულ
თანამოძმეთა გეამები გობრონს, ქართველთა თავებურგორნი
დნენ მის ფეხებთან, დახოცილთა სისხლი ენთხეთდა მის ტანს
სა და პირს. შავრამ იდგა ვითარცა ქანდაკი, ნაცრისფერი და
ნაკარივით ფერშეუცვლელი.

მერე თმაში ჩაავლეს ხელი. ქედი დაადრეინეს და ორჯერ
მსუბუქად სცეს მახვილი.

სისხლმა ითქრიალა გობრონის კისრიდან.

უცებ ხელი შეიღება თავისსავე სისხლში და სისხლით შუ-
ბლზე ჭვარი გამოისახა.

გაოცებულმა და გაოგნებულმა სარკინოხეხმა ისევე მიჰგეა-
რეს თავის მზრძანებელს გაკერპებული ქართველი.

უქანასკნელად მიმართა აბულ უსიმმა, დამიჯერე, თავს
ტყუილად ნუ იკლავო, მაგ წულულთაგანაც გაკურნავ და აღ-
თქმულ პატივსა და სიმდიდრესაც მოგაგებ, ოღონდ ქრისტიან-
ობა განაგდეო.

„იქმოდე. რაიცა გნებავს. მე ქრისტიანი ვარ და ქრისტიანა-
დვე დავრჩები აწ და მარადის!“ — უქანასკნელად თქვა გობ-
რონმაც.

გაიყვანეს და თავი გააგდებინეს.

სამი დიდი სამარე გათხარეს. სამ ნაწილად ჩააწვინეს ქარ-
თველები.

ერთ მათგანში იწვა გობრონი.


იდგა 914 წლის 17 ნოემბერი.

კულტურის კატალოგი

უცხოელ დამპყრობლებთან თავგანწირული ბრძოლის გას-
წვრივ, ქართველები არ წყვეტდნენ დიდსა და მრავალფეროვან
კულტურულ საქმიანობას.

ქართველები ბევრ მოღვაწეობდნენ უცხოეთის კულტურულ
ასპარეზზე.

მეზუთე საუკუნეში ბიზანტიის იმპერიასა და ახლო აღმო-
სავლეთში სახელი გაითქვეს საეკლესიო მოღვაწეებმა და ფი-
ლოსოფოსებმა — პეტრე იბერიელმა და იოანე ლა-



ზ. შ. ა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა პეტრე იბერიელი, პალესტინის ტაძართა მამნებელი და ჭეჭეჭეჭე მთავარეპისკოპოსი. იგი იყო ავტორი ფილოსოფიურ-საეკლესიო გიურ წიგნთა კორპუსებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო შემდგომდროინდელი კაცობრიობის გრანდიოზულ კულტურულ მოვლენებს — რენესანსსა და ჰუმანიზმს. პეტრე ქართველს თანამედროვე და შემდგომდროინდელი მწერლები ასეთი ტიტულებით ამკობდნენ: „მთელს მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმული ადამიანი“, „მფლობელი ზეციურ განძთა“, „გული, აზრი და ქცევა მისი — აუცილებელი ყველა დროისათვის“, „მართალი რწმენის შექმერ-სვეტი“, „მშვენება და დიდება საქართველოსი“, „ყველასათვის ძვირფასი“, „მეოხე მთელი ქვეყნისა“, „კედელი მთელი დედამიწისა“, „ნიმუში ყოველი სიკეთისა და ვაჟკაცური ცხოვრებისა“, „სამკაული და სიქადული ქართველთა“.

საქართველოში დაიწერა შესანიშნავი თხზულებანი:

მეხუთე საუკუნეში — იაკობ-ცურტაველის „შუშანიკის წამება“,

მერვე საუკუნეში — იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამება“,

მეათე საუკუნეში — გიორგი მერჩულეს „გრივოლ ხანძელის ცხოვრება“, ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, სტეფანე მტბევიარის „გობრონის წამება“, იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

ამენდა შესანიშნავი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები: მცხეთის სვეტიცხოველი, მცხეთის სამთავრო, მცხეთის ჭვარი ტფილისის სიონი და მეტეხი, ბოლნისი, ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, პარეხი, ბერთა, მინძაძორი, წყაროსთავი, ანჩი, იშხანი, ოშკი, ხახული, პარხალი, ბანა, კალმახი, ტბეთი, აწყურა, საფარა, ზარზმა, თმოგვი, კუმურდო, კაცხი, მარტვილი, წალენჯიხა, ზობი, მოკვი, ბეღია.

დიდებულ კულტურულ კერებად აღიმაართნენ ქართული საეანეები და მწიგნობრული სათვისტომოები საზღვარგარეთ — პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე, ათონის მთაზე.



ეროვნული

აბულ ყასიმის ლაშქრობა არაბთა უკანასკნელ დროებში იყო საქართველოში. ქვეყანა გათავისუფლდა უცხოელთაგან. მხოლოდ ტფილისელი ამირა ჩაეკტილიყო და ჩაეკმშულიყო ტფილისში, არაბული სამყაროსგან სავსებით მოწყვეტილი, მისგან შორეული ქართული სამყაროთ გაარშემორტყმული.

აბულ ყასიმის წასვლიდან „გარდახდეს წელნი რაოდენიმე და მოეშენა ქუეყანა“.

საქართველო „ახლა დ-შენების“, აღზევებისა და ხელახალი გაერთიანების გზაზე იდგა. ისევ გაიზარდა ქართველთა როლი საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიაში. სამართლიანად წერს ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი გელცერი: ქართველები და სომხები მეთაუე საუკუნის დასაწყისიდანვე, „მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ რომის იმპერიის როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი“, ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერიის „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თაანამდებობა გამოუტყლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ“.

ასეთ „მსოფლიო მოღვაწეებს“ მაშინ განსაკუთრებით სამხრეთი საქართველო — ტაო-კლარჯეთი ზრდიდა. ტაო-კლარჯეთს იმ ხანად სათავეში ედგა ქეშმარიტად დიდი ხელმწიფე და მამულიშვილი დავით მესამე კურაპალატი (961—1001), კაცი „სავსე ყოვლითა კეთილითა“. მის შესახებ წერდა სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონელი: „დავით დიდი კურაპალატი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღმატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერობა აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში. მან ბოლო მოუღო ომებს, რომლებიც განუწყვეტლივ ფეთქდებოდნენ ყოველის მხრიდან და გაიძარცვა გარშემო მცხოვრებ ყველა ხალხზე. ასე რომ, ყველა ხელმწიფე თავისი ნებით დაემორჩილა დავითს“.



ქართველი მეფე ბიზანტიის საქმეებშიც ერეოდა ფრად აქტიურად. 979 წელს ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორს ბასილი მეორეს ტახტის წართმევა დაუპირისუხვდა. ლმა ფეოდალმა ბარდა სკლიაროსმა. იმპერიის მესვეურებმა დახმარება ქართველ მეფეს სთხოვეს. დავითმა 12000 ქართველი მხედარი გაგზავნა სახელოვანი სარდლის (იმჰამად საეკლესიო მოღვაწის) თორნიკე ერისთავის სარდლობით.

მდინარე ჰალისის პირად გამართულ ბრძოლაში ქართველებმა გაანადგურეს სკლიაროსი და მისი ჯარები.

ტახტზე მკვიდრად დამჯდარმა ბასილი კეისარმა დიდი წყალობა გაიღო ქართველთა ღვაწლისათვის. 980 წელს მისი ნებართვითა და დახმარებით, დიდმა საეკლესიო მოღვაწეებმა იოანემ და თორნიკემ, ააშენეს და განასრულეს სახელოვანი ათონის ქართული საეკლესიო ცენტრი. აქ, დიდ ქართულ ლაერაში დიდხანს ინახებოდა თორნიკე ერისთავის ხმალი, მუხარადი, ჭაქენი და აბჯარი.

ამას გარდა, ბასილი კეისარმა დავით ქართველთა მეფეს რამდენიმე „ქუეყანა“ აჩუქა მცირე აზიისა და საქართველოს შესაყარში: კარინი (ერზერუმში), ბასიანი, შარქი, აბაქნიქი, ხალდო-არიჭის ციხე, სევეჯის ციხე, კლისურას ციხე (ერზერუმ-ტრაპიზონის გზაზე).

ამის შემდეგ დავით მეფემ ილაშქრა სამხრეთით, ვანის ტბასთან აიღო ქალაქები შანაზკერტი და ხლათი, განდევნა იქიდან არაბები და ჩაასახლა ქართველები და სომხები.

საპასუხოდ ირანელმა ამირებმა ასიათასიანი არმია გამოგზავნეს, შამლანის სარდლობით. 998 წელს გამართულ დიდ ბრძოლაში, ქართველებმა, გაბრიელ ოჩოპინტრეს ძისა და ფერისჯოჯიკის ძის სარდლობით, სასტიკად დაამარცხეს არაბთა მხედრობა. ბევრმა ქართველმა ისახელა ამ დღეს თავი, მაგრამ განსაკუთრებით — მესხმა გმირებმა, ძმებმა გამრეკელებმა.

გაქცეულ მამლანსა და მის ლტოლვილ ლაშქარს ქართველებმა ხლართიდან არკეშამდე სდიეს ჩეხვით. მერე მობრუნდნენ და მტრის ბანაკსა და მდიდარ ნადავლს დაეპატრონენ.

დავით მეფის სამეფოს სამხრეთის საზღვრები ვანის ტბისა და ქალაქ ერზინკას (ერზინჯანი) გასწვრივ დამკვიდრდა.

მწვერვალები

და გამოვედით რომ გვეხილა აწ
ვარსკვლავები.

და ნ ტ ე

ზ ი ო ბ ა ბ ა გ რ ა ტ მ ე ს ა მ ე ს ა

ხუთასი წელიწადი დაღეწილიყო ვახტანგ გორგასალის აღ-
სასრულიდან.

ახალი საუკუნე იდგა — მეთერთმეტე, ქრისტეს დაბადები-
დან.

საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა:

ერთიანი ენით,
ერთიანი დროშით,
ერთიანი ხმლით,
ერთიანი ჯვრით,
ერთიანი კალმით,
ერთიანი ყალმით.

ტახტზე იჯდა ბ ა გ რ ა ტ მ ე ს ა მ ე. „შემდგომად დიდისა
ვახტანგ გორგასლისა არავეინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მი-
სი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა“.

კახეთი და ჰერეთი მაინც განკვეთილად იდგნენ საქართვე-
ლოს ერთიანი ტახტისგან.

და, 1010 წელს ბაგრატმა კახეთ-ჰერეთი საქართველოს ერ-
თიანი ეგიდის ქვეშ მოაქცია.

იმჟამად რანში, მის სატახტო ქალაქ განძაში ძლიერი და
კაღნიერი ხელმწიფე იჯდა — ამირა ფ ა დ ლ ო წ ი, რომელიც

ხშირად მოილტვოდა აღმოსავლეთ საქართველოზე, „წამილი
ეამდ მეკობრეობით და პარკით რბევად და ტუფენად
ლითი ადგილად“.

ადრეული
გინგლითი

ბაგრატიმა გადაწყვიტა მკაცრად დაესაჭა ფადლონი და მო-
კავშირედ გაიწვია სომეხთა მეფე გ ა გ ი ე პ ი რ ვ ე ლ ი, რო-
მელიც აგრეთვე ფრიად შევიწროებული ჰყავდა ამირას. ამი-
ტომაც ვაგიკმა ქართველი მეფის წინადადებაზე „განიხარა
სიხარულითა დიდითა“, სომეხთა ლაშქარი სასწრაფოდ შეკე-
რა და ზორაკერტთან შეუერთდა ბაგრატ მესამეს.

1011 წელს ქართველ-სომეხთა ჯარები რანში შეიჭრნენ,
ფადლონის წინააღმდეგობა პირველ იერიშებზევე გაატეხეს და
ფიცი დაადებინეს, რომ დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა“,
ქართველი მეფისათვის, ვითარცა ყმას, ხარკი ეხადა და საქირთ
შემთხვევაში ქართველთა შემწედ ჯარიც გამოეყვანა.

1013 წელს ბაგრატ მესამე ვახტანგ გორგასლის „ჩრდილო-
ურ ნაკვალევს“ გაუყვა და დაიმორჩილა კავკასიონის ვადალმა
ქვეყნები „ჭიჭეთიდან ვიდრე გურგანადმდე“ (კასპიის ზღვამ-
დე).

შეუსვენებლივ იღწოდა ბაგრატ მეფე „წერილი ერის-
თვის“. წერილობითი სამართლის კოდიფიცირებას ახდენდა
„გლახაკთა მოწყალე და სამართლის მომქმედი ყოველთა კაც-
თათვის“. ტაძრებსა და სავანეებს აგებდა დიდგონიერი, განა-
თლებული ხელმწიფე.

ალაშენა ეკლესია მოწამეთისა, სადაც დაასვენა მოუსვენა-
რი ძელები სახალხო გმირებისა — ძმათა მხეიძეთა — დავითი-
სა და კონსტანტინესი.

ალაშენა ტაძარი ბედიის, და „უკეთუ ვისმე ენებოს განც-
დად და გულისხნის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა
(ბაგრატიას), პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლე-
სიისა და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არვინ ყოფილ არს
სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთი-
სასა“.

ალაშენა ტაძარი ერთიანი საქართველოს სატახტოში — ქუ-
თათისში — განთქმული „ბ ა გ რ ა ტ ი ს ტ ა ძ ა რ ი“. 1003
წელს, „ოღეს განმეტკიცნა იატაკი“, ბაგრატმა მის სახილველ-
ად კურთხევაზე მოიწვია კულტურის ყოველი დამფასებე-

ლი — ქართველებიც და არაქართველებიც, შინაურებიც და უცხოებიც, მეფეებიც და მდაბიოებიც, სამღვდელმთავრებიც და სვეტიცხოვნიც.

და ქვეყანამ იხილა ტაძარი-სასწაული, სიმბოლო „ხათესავე ქართველთა“ ერთიანობისა, სულიერ-სხეულეებრივი სიმშვენიერისა და სიმტკიცისა...

სულ მალე, 1010 წელს, ბაგრატ მეფემ სვეტიცხოვლის ტაძრის ახალი აღმშენებლობა მიანდო დიდებულ ხეროთიმოდვარს, ა რ ს უ კ ი ს ძ ე ს.

გარდაიცვალა ბაგრატ მესამე 1014 წელს, 7 მაისს, პარასკევ დღეს.

იღესრულა გვირგვინოსანი, რომელმაც გორგასლიდან 500 წლის შემდგომ გაამთლიანა და განამტკიცა საქართველო.

გამეფდა 15 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, იღესრულა შობითგან 51 წლისა.

დაკრძალეს ბედიას, მისგანვე იკვებულ ტაძარში.

ზ ე ო ბ ა ბ ი ო რ გ ი პ ი რ ვ ე ლ ი ს ა

ბაგრატ მესამეს ერთადერთი ძე დარჩა, სახელად — გ ი ო რ გ ი.

საქართველოს ახალი მეფე, გ ი ო რ გ ი პ ი რ ვ ე ლ ი (1014-1027), იყო „სავსე ყოვლითა სიკეთითა“, „ახოვან და ყოვლითურთ უშიში ვითარცა უხორცო“.

ბაგრატის სიკვდილით ველი მოიციეს კახეთ-ჰერეთის მოლაღატე აზნაურებმა და ეს ქვეყანა ისევ ჩამოაშორეს საქართველოს ერთიან ტახტს.

გიორგიმ კახეთ-ჰერეთის საქმე დროებით გადასდო და მთავარი ყურადღება სამხრეთ-ქართულ მიწებზე გადაიტანა. ქართველებმა, მეფის უშუალო სარდლობით, ზედისზედ განდევნეს ბიზანტიური ციხიონები ტაოდან და ბასიანიდან. არ შეუჩივდა ამას ბიზანტიის კეისარ-იმპერატორი ბ ა ს ი ლ ი მ ე ო რ ე და ლეგიონები შემოუწია სამხრეთ საქართველოს. გიორგიმ სასწრაფოდ დაიძრა მტერთან შესახვედრად.

ბასიანში დაიბანაკეს ერთუკრთის პირისპირ ქართველებმა და ბიზანტიელებმა. მერე იქიდან აიშალნენ და ოლთისისკენ



წამართნენ ქართველები. ბიზანტიელებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ სოფელ შირიშთასთან ქართველები მტერს უეცრად შეხვედნენ და შეებნენ. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. მტერს და უკუქცნენ ბიზანტიელნი. მაგრამ „სულმოკლე იქნეს ქართველნი“, ნადავლს დაეტანენ და ბრძოლიდან გაქცეულ მტერს აღარ მისდიეს. სამაგიეროდ, როცა ქართველები ნადავლით დატვირთულნი წამოვიდნენ, ბიზანტიელებმა მოსდიეს ხელახალ კოპორტებად და ლეგიონებად დარაზმულებმა. ქართველები არ მოელოდნენ და საომრად გაუწყობელნი შეხვდნენ მტერს. და იძლივნენ. ბიზანტიელები არტაანში შევიდნენ და საშინლად ააოხრეს, გაძარცვეს და წარტყვევნეს.

1022 წელს ქართველი მეფე და ბიზანტიის კეისარი დაზავდნენ. ტაო კეისარმა დაინარჩუნა. დანარჩენი სამხრეთული ციხე-ქალაქები მან გიორგის დაულოცა. გიორგის უფროსი ძე, ოთხი წლის უფლისწული ბაგრატო, ბასილი კეისარმა სამი წლით მძევლად წაიყვანა კონსტანტინოპოლს. სამი წლის შემდეგ დაბრუნდა ბაგრატ უფლისწული სამშობლოში...

1027 წლის 16 აგვისტოს სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა მეფე გიორგი პირველი.

მომკვდარიყო კაცი „საესე ყოვლითა სიყვითითა, ეამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არაეინ გამოჩენილიყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებით, ქაბუკობათა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და საესე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა“.

გამეფდა 12 წლისა, იმეფა 13 წელიწადი, აღესრულა შობითგან 25 წლისა.

დაკრძალეს ქუთათისს.

წ ე ო ბ ა ბ ა გ რ ა ტ მ ე ო თ ხ ი ს ა

გიორგი პირველს დედოფალ მარიამთან ერთადერთი ვაჟი და ორი ასული დარჩა — ბაგრატო, გურანდუხტი და კატაო.

მეფეს კიდევ ჰყოლია „მეორე ცოლი“, ოვსთა მეფის ასული, სახელად ალდე, რომლისგანაც შესძენია დემეტრე.

(დაიმახსოვრე, მკითხველო, დემეტრეს შტოსგან შემდგომში, მეექვსე მუხლად, წარმოსდგა თამარ მეფის ქმარი დედოფალ სოსლანი).

გიგლიძის

თვითონ ნაადრევად აღსრულებულ გიორგის ოჯახიც წერილშვილი დარჩა. ტახტის მემკვიდრე ბაგრატ 9 წლისა იყო.

მეფე ბ ა გ რ ა ტ მ ე ო თ ხ ი ს ზეობის წლები (1027-1072) მძიმე, იყო, სსხლითა და შფოთით აღსავსე.

ბიზანტიის მანინდელი იმპერატორი, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ე რ ე ე, განსაკუთრებით მტრობდა საქართველოს. ბასილი მეორის დროს წაგლეჯილი ქართული თემებისგან მან ცალკე ი ვ ე რ ი ი ს ს ა კ ა ტ ა პ ა ნ ო შექმნა და ყოველი საშუალებით ცდილობდა მის გაფართოებას, ისევე ქართული მიწების ხარჯზე. 1028 წელს კონსტანტინემ დიდი საომარი ძალები წარმოგზავნა საქართველოს ასაოხრებლად. შემოვიდნენ ბიზანტიელები და ააოხრეს მესხეთ-ჭავჭავთო. თრიალეთს რომ შემოუდგნენ, კლდეკარის ერისთავმა, ლ ი პ ა რ ი ტ ბ ა ლ ვ ა შ მ ა დაამარცხა და უკუაქცია მოხარნი.

ხელახლა წამოემართნენ ბიზანტიელები ცეცხლითა და მახვილით. მაინც არ გატყდნენ სამხრეთელი პატრიოტები. ტბეთის ეპისკოპოსმა, ს ა ბ ა მ ტ ბ ე ვ ა რ მ ა, ჭვარი და ლოცვანი გადასდო გვერდით, აბჯარი აისხა და მახვილით ხელში გაუძღვა შავშეთელ მამულიშვილებს. მან ტბეთის ეკლესიასთან ძლიერ გამაგრებული საომარი ბანაყი შექმნა, სახელად „ს ვ ე ტ ი“, სადაც მისებრ გულმხურვალე თანამემამულეთა ლაშქარი ჩააყენა. საბას, ერთგულ აზნაურთა და მდამბოთა გარდა, მარჯვენა ხელად უდგა მისებრ იარაღსმული ბერი, ანჩის ეპისკოპოსი ე ზ რ ა ა ნ ლ ე ო. მთელი შავშეთი ფეხზე დააყენეს სამშობლოს საყეთილდღეოდ „გასამხედროებულმა“ ბერ-ფიჩვოსნებმა.

ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა, რ ო მ ა ნ ო ზ მ ე ს ა მ ე ა რ გ ი რ ო ს მ ა, საქართველოს სამეფო კართან მტრობა „ტრადიციული მეგობრობით“ შეცვალა. ბაგრატის დედა, დედოფალი მარიამი, თვითონ ჩავიდა კონსტანტინოპოლს ბიზანტიასთან მშვიდობისა და მოყვრობის ჩამოსაგდებად. ბიზანტიის სატახტოდან საცოლუც ჩამოუყვანა მარიამმა ბაგრატს — თვითონ კეისრის ძმისწული, სახელად ე ლ ე ნ ე.



მაგრამ საქორწინო წარ-ზეიმი მალე საგლოველით გასრულდა. ახალგაზრდა ბერძენი დედოფალი უღლეური ადამიანად იგი მალე მიიცვალა და ქუთათისისა და კონსტანტინოპოლისის სასახლეთა მოყვრობა იმჯერად ასე გათავდა. ელენეს გარდაცვალებიდან წლის თავზე ბაგრატ მეოთხემ ცოლად შეირთო ოვსთა მეფის უ რ დ უ რ ე ს ასული — ბ ო რ ე ნ ა.

საგანგებოდ მისანიშნებელია, რომ ბაგრატ მეოთხის ზეობის წლებში ქართველებმა სამჯერ სცადეს ტფილისის გამოხსნა არაბთა ბატონობისგან, მესამედ კიდევაც შევიდა მეფე ქალაქში, ციხის კლიტენიც ჩაიბარა, სასახლეს, მაგრამ ისნის ციხე გადალიანდა, ამასობაში უკვე ლალატის გზაზე შემდგარმა ლიპარიტ კლდეკარის ერისთავმა შემოუტია და ბაგრატ მეფე იძულებული გახდა კელავ აეღო ხელი საქართველოს დედაქალაქის გათავისუფლებაზე.

კლდეკარის ერისთავს, ლიპარიტ ბაღვაშს, ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტიის ახალი კეისარი, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ო ნ ო მ ა ხ ო ს ი ც უჭერდა მხარს. ბრძოლა იმდენად გართულდა და გაძნელდა, ბაგრატ მეფე იძულებული გახდა თვითონ სწვეოდა კონსტანტინოპოლში კეისარს და მისთვის ლიპარიტთან შერიგება ეთხოვა.

სამი წელიწადი დარჩა მაშინ ბაგრატ მეფე კონსტანტინოპოლს. იმ სამ წელიწადში კონსტანტინე მონომახოსიცი მოკვდა და ტახტზე შინაბერა დედოფალი თ ე ო დ ო რ ა აღმოჩნდა. თეოდორამ ბაგრატს სთხოვა, შენი ასული, მ ა რ თ ა შვილად მომეციო.

იმ სამ წელიწადში კონსტანტინოპოლს ერთმანეთს ხედებოდნენ მეფე და დიდი ათონელი მოძღვარი, გ ი ო რ გ ი ა თ ო ნ ე ლ ი, რომლის რჩევით მისცეს მართა შვილად თეოდორა დედოფალს.

თეოდორა ერთ წელიწადში მოკვდა. მის დაკრძალვას (1056 წლის 30 აგვისტოს) ქართველებიც ესწრებოდნენ, მათ შორის გიორგი მთაწმინდელიც. ის იყო, დედოფალი თეოდორა სასახლიდან გაასვენეს და უცებ „სამეუფოდ შემოიყვანეს“ მართა, ყველას დაავიწყდა საგლოველი. ყველა ქართველ გოგონას მიამტერდა, ანგელოზებრ მშვენიერსა და მომზიბელელს.



და მაშინ ბრძანა მართას სიმშვენიერით აღტაცებულმა გიორგი მთაწმიდელმა:

„უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი შემოვიდა და და დედოფალი შემოვიდა“.

ცხრა წლის შემდეგ კიდევაც აღესრულება დიდებული მოძღვრისა და სწავლულის ეს წინასწარმეტყველება...

მობრუნდა ბაგრატ მეფე კონსტანტინოპოლიდან და ისევ შეექნა ბრძოლა ლიპარიტ ბაღვაშთან. ამჯერად სძლია მეფეთავეისი უმა. ლიპარიტი ბერად აღიკვეცა და შავ მთას წავიდა, სასულიერო საცხოვრისად.

1060 წელს, ბაგრატ მეფის დაყენებული თხოვნით, საქართველოში ჩამოვიდა ათონელი მოძღვარი გიორგი მთაწმიდელი. იგი ხუთი წელიწადი დარჩა სამშობლოში, ვითარცა საეკლესიო-სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო აღმშენებლობათა უანგარო წარმმართველი და ქართველთა შორის უზუნაესად სპეტაკი ზნეობის მკაცრი მქადაგებელი. იგი არ დაერიდა თვით ბაგრატ მეფეს, რომელსაც ხშირად თავისუფალი, მსუბუქი, მოკემური ცხოვრებაც იტაცებდა, ღვინისა და სიძვის დიაცთა ტრფიალებდა... მით უფრო დიდი ზნეობრივი სჯულმდებელი ვერ მოიწონებდა ბაგრატის ძის, უფლისწული გიორგის უთავეამო ნადირობას, ნადიმობას და ქალთა შორის „განლალებას“.

გიორგი მთაწმიდელმა საქართველოში მოსვლისთანავე, „ბირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწყისობათათვის უშიშრად და თვალუხვად... კვალად ეტყოდა მსჯავრთათვის და სამართალთა სამეუფოთა, რათა უსჯიდეს თხოლთა და ქურითა... რათა არა მისდრკედეს სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიმართ ვინა მცირისა და რათა უმეტეს ყოვლისა წყალობად შეიტკბოს“.

როცა 1065 წელი დადგა, კონსტანტინოპოლიდან მოციქულები ესტუმრნენ ბაგრატ მეფეს. კეისარი კონსტანტინე მეათე დეკა ბაგრატის ასულს, მართას ითხოვდა რძლად — თავისი ძის, უფლისწულ მიხეილის საცოლედ.

ყველა გიორგი მთაწმიდელს შეაცქერდა გაოცებით. ყველას აღსოვდა ცხრა წლის წინანდელი მისი ნათქვამი კონსტანტინო-

პოლის სასახლეში: დედოფალი (თეოდორა) გენევიდარ და დედოფალი (მართა) შემოვიდაო!

და მარიაშმა, ბაგრატის დედამ, მაშინვე შეხლადგება...
ღვარს: „მამათ, აღესრულა წინასწარმეტყველება შენი, რა-იგი ოდესმე იწინასწარმეტყველე მართასათვის“.

დიდი ძღვენითა და დიდი სიხარულით გაისტუმრეს მართა კონსტანტინოპოლს. საპატიო ამაღლს მიუძღოდა თვითონ გიორგში მთაწმიდელი, რომელსაც საქართველოში თავისი მისია დაესრულებინა და ახლა ისედაც უნდა გამგზავრებულყო.

თან 80 უდედმამო და უპატრონო ქართველი ბავშვი მიხყავდა დიდ მამულიშვილს საბერძნეთს სასწავლებლად და აღსაზრდელად.

ქართველი მეფის ასული კონსტანტინოპოლს მიიყვანეს და უფლისწულ მიხეილ დუკაზე აქორწინეს. იგი სულ მალე, მარიაშის სახელით, მსოფლიო იმპერიის ბასილისა (დედოფალი) უნდა შექმნილიყო.

იმვე 1065 წელს, 29 ივნისს, პეტრე-პავლობის დღეს, კონსტანტინოპოლს მიიცვალა გიორგი მთაწმიდელი. ქართველებმა იგი დიდი პატივით და იშვიათი გლოვით გადაასვენეს ათონს, მთაწმიდაზე, ქართველთა დიდებულ ლაერაში.

ქვეყანაზე არც ერთ ადამიანიშვილს არ მოსწრებია ასეთი დატირება: ოთხშოცი ობოლი თანამემამულე ბავშვის უწრფელესი და უმანკოესი ცრემლის დაქცევა უცხო მიწაზე დაცემული მოძღვრის მკერდზე!

ხოლო, დრო-ჟამი საქართველოსთვის იყო ისევ უმძიმესი, უემური და „უდამპლოესი“. ქრისტიანულ სამყაროზე ახალი ძლიერი „მსოფლიო დამპყრობელი“ იწყებენ ველურ შემოსევებს — თ უ რ ქ-ს ე ლ ჩ უ კ ე ბ ი.

ჯერ სომხეთი დაიპყრეს და იევარჰყვეს უსასტიკესად. სელჩუკთა სულტანმა, ა ლ ფ-ა რ ს ლ ა ნ შ ა, მყარმა მიზანთროპმა, „მამაცმა ლომმა“, სომეხთა მთავარ ქალაქში, ანისში, დიდი ორმო ამოთხარა, ათას ქრისტიანს ყელეები დასჭრა, ის ორმო მათი სისხლით აივსო და შიგ საბანაოდაც ჩაეშვა. სისხლში ბანაობდა და ავზნიანად იძახდა: ესე, შემოწირავს ჩემი მკვდრებისთვისო.

1065 წელი პირველი წელი იყო საქართველოში თურქთა ლაშქრობისა. ალფ-არსლანი „უგრძნეულად“ შემოიჭრა და

ააოხრა თრიალეთი. იქიდან მარბიელი ჯარებით დალაშქრდა მცხეთე, შავშეთი და კლარჯეთი. მერე ჯავახეთს დაესხა და ახალქალაქს დაეძგერა ალფ-არსლანი. დაეძგერა და აფხაზთა და ააოხრა, აწყვიტა, აააღაფა.

მეორედ, 1068 წელს, კახეთ-ჰერეთი დალაშქრეს და გააოხრეს სელჩუკიანებმა.

ქართველთა მარცხმა გაათამამა განძის ამირა ფადლონი და ახლა ისიც შემოიჭრა საქართველოში 33000 მუსლიმი მეომრით. ჯერ ისწის მინდორზე დაიბანაკეს ათასეულ კარვეზად. აქედან ღამით მუხრანისკენ აღუყენენ ძარცვა-რბევით.

მაშინ გამოჰყო ლაშქართაგან რჩეულნი ბაგრატ მეფემ, სარდლად უწინა სამი ერისთავი — ი ე ა ნ ე ლ ი ბ ა რ ი ტ ი ს ძ ე, ნ ი ა ნ ი ა ქ ე ა ბ უ ლ ი ს ძ ე და მ უ რ ვ ა ნ ჯ ა ყ ე ლ ი ყ ვ ე ლ ი ს ერისთავი, და სასწრაფოდ დაადევნა ფადლონი.

გაესწრო განძის ამირას. გამოენთნენ ერისთავები, წილკნის კართან წამოეწივნენ მტრის უკანაყერძს. წამოეწივნენ და დაერივნენ გააფთრებულად. „პირველსავე ხმლისა მოკიდებასა“ გაიქცა ფადლონი. ფეხდაფეხ მიმდევარი ქართველები კი „შიბხოცდეს და იპრობდეს“ ოტებულ მტერს.

შობოს ტყესთან, ნარეკეავის ხევში, უამრავი მუსლიმი ჩახოცეს შურისგების ცეცხლით სისხლადუღებულმა ქართველებმა. ხევი პირთამდე ამოივსო. დახოცილ კაცთა და ცხენთა გვამებზე, ვითარცა ხიდზე, გადარბოდნენ „უკანაყერძნი“.

თავგზააბნეულად, ანგარიშმოუცემლად, ვისაც საით მოუხდებოდა, ტყეებში, ბუჩქებში, ძეძენარებსა და ქვაბულებში, მიიღებოდნენ და მიძვრებოდნენ მაჰმადის რაინდები, მძარცველნი და მკვლელნი კაცთა, ქალთა და ძუძუთა ყრმათა.

გამგელებული შისდევდნენ ქართველები და „ეითა ჭუისა მართვეთა“ იჭერდნენ ტყე-მალნარებში და ძეძენარებში შერეულ მოსისხლეებს.

ღართის ვიწრობებში ისევ წამოეწივნენ ქართველები. გზა ჩაუჭრეს და „მცირედნი ვინმე გაესწრნეს“ ფადლონისანი. იმ გაჭიფულებსაც ხერკის მთამდე მისდიეს, „მოსრეს და ტყუე ყვეს“.

თვითონ ფადლონი ქართველებმა ტყვედ იგდეს, თუმცაღა ქართველებისვე დაუდევრობით თავი დაიხსნა ტყვეობისაგან. შიანც არ მოეშვა ბაგრატ მეფე. უფლისწულ გიორგის ქართ-



გელთა და ოვსთა ჟარი მისცა და განძისაჲცენ ვაგზავნო. ვითრე
 რანს შეესია, განძაც დასცა და დაარბია. აჟრაცხელი ნაღასელი
 და ნატყვენავი აიღო და გამობრუნდა (1070).

ქართველი უფლისწულისაგან ფადლონის განადგურების
 შემდგომ სელჩუკიანთა სულტანი ალფ-არსლანი საქართველ-
 ოში მოციქულს მოციქულზე აგზავნიდა, უხვი საბოძვართ
 დატვირთულს. თან ბაგრატ მეფეს „ამოთა ენითა სთხოვდა ხა-
 რაჯას“. თავის შირივ ქართველმა ხელმწიფემ უარი თქვა თურ-
 ქთა წინაშე რაიმე ვალდებულებაზე. „არა დაიდვა ბაგრატ მე-
 ფემან ხარაჯა“ და ვითარცა სწორი სწორს, „ავლენდა იგიცა
 მოციქულთა და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის
 სიტყვით სიყუარული“...

1071 წელს ბაგრატ მეფისა და მისი სახლელისათვის კი-
 დევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ბიზანტიის იმ-
 პერატორის ტახტზე ავიდა ქართველთა სიძე მიხეილ მეშვიდე
 დედა და, ამდენად, მისი მეუღლე, ბაგრატის ასული მართა,
 ანუ მარიაში, შეიქნა დედოფალი-ბასილისა ბიზანტიის იმპერი-
 ისა.

ამბობდა და წერდა მარიაშის შესახებ მისი მხილველი მ ი-
 ქ ე ლ პ ს ე ლ ო ს ი, გამოჩენილი ფილოსოფოსი, ისტორი-
 კოსი, შირავლმხრივი მეცნიერი და პოლიტიკოსი: „რომ დედო-
 ფლის ქება არ გამომივიდეს მისი გვიანიშვილობის გამო, რო-
 მელიც სიმდიდრითა და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო
 გვარს აღემატება, მის საქებრად კმარა ყველაფერში მისი ხა-
 სიათი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე, მისი სახის
 სიმშვენიერე; თუკი ქალებისთვის დუმილი სამკაულია, იგი მარ-
 რიაშისთვის ყოველგვარ სამკაულზე უფრო უპატევსი იყო, რა-
 დგან არავის სხვას, გარდა თავისი ქმრისა, ენას არ ვააცნობდა,
 და თავისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მამინ, როცა სა-
 ჭირობეა მოითხოვდა მოკაზმულიყო“.

ამბობდა და წერდა მისი უახლოესი იდამიანი, სასახლის
 სეფე-ქალი ა ნ ა კ ო მ ნ ე ნ ე: „მარიაში იყო მაღალი და ტანა-
 დი, როგორც კვიპაროსი, თეთრი როგორც თოვლი, პირისახე
 ჰქონდა არც თუ ძალიან მრგვალი, მაგრამ განაფხულის ვარდი-
 ვით აღისფრად გაფურჩქენილი. ახლა თვალების ბრწყინვალე-
 ბას აღარ იკითხავ? ვის შეუძლია ამის აღწერა? წამწამები ვრძ-
 ელი და განსაცვიფრებელი, თვალები ცისფერი. მხატვრის



ხელი ხშირად გამოგვეცემს ხოლმე იმ ყვაეილების ნაირფერობა, რომლებითაც გვასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დროებზე. რამ დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მსახურებისა ლობა, მისი ხნის საფრთხეა — ყველაფერი ეს აღმატება ფერწერის და ელოვნებას. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელსაჲ სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია მარიამის მსგავსი რამ ქანდაკება. ამბობენ, გორგონას თავი ქებდად აქცევდა ხოლმე იმ ადამიანებს, ვინც მას შეხედავდა, ხოლო ვინც შემთხვევით მარიამ დედოფალს დაინახავდა, როცა იგი სეირნობდა ან უცაბედად სადმე შეხედებოდა — საზღვარი არ ჰქონდა მის განცვიფრებას, და ის გაქვავებული რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხედებოდა დედოფალს, — თითქოს მის მნახველს სულიც წართმეოდეს და გონებაც. ასეთი თანახომიერება ასოთა და ნაკვეთთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არასოდეს არავის არ უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ატყვევებდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით ჰომეროსი (სურვილი და სიყვარული), რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე.

ასეთი იყო ასული ქართველი ხელმწიფისა, დედოფალი ბიზანტიისა.

ხოლო, თვითონ ბაგრატი მეოთხეც იყო „კაცი უმშვენიერესი ყოველთა კაცთასა“ და „სრული სიბრძნითა ფილოსოფოსისათა“. კაცი, რომელსაც ავმა წუთისოფელმა ეს დაასწავლა: „ვიდრე თვალითა არა ვიხილო, არა ვიწამო“.

და აღესრულა იგი 1072 წელს, 24 ნოემბერს.

დედამისი მარიამი ისევ ცოცხალი იყო, ქმრისა და ყველა შვილის სიკვდილის მომსწრე. და ამის ეუბნებოდა სიკვდილის პირზე მიმთხვეული ბაგრატი მარიამს: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენი წარგვიქციე წინა და ეგრეთა შენ მოჰყუდები“.

გამეფდა 9 წლისა, იმეფა 45 წელიწადი, აღესრულა 54 წლისა.

დაკრძალეს ჭყონდიდის ტაძარში, მისგანვე გამზადებულ სამარტვილეში.



ქვეყანა თქვენი ოხერ, ქალაქი თქვენი აცხადებენ...
 მწუარ, სოფელსა თქვენსა წინაშე თქვენსა...
 სლნი მოსტყამდნენ, და მოიხრებულ და დაქადულ არს
 ერისაგან უცხო ტოზოსა.

გ ს ა ი ა, 1,7

საქართველოს სამეფო ტახტი დაიჭირა ბაგრატ მეოთხეა
 ერთადერთმა ძემ გიორგომ.

მეფე გიორგი მეორე (1072-1089) ვერ უოფილა სა-
 ქართველოს მძიმე გვირგვინისთვის შესაფერისად სრულქმნი-
 ლი პიროვნება. იგი იყო უშამაყესი რაინდი, „ცხენოსან-მშვილ-
 დოსანი რჩეული“, ბუნებით კეთილი, გულმოწყალე და დიდ-
 სულოვანი, მაგრამ სწორედ მისი დიდსულოვნება მოლაღატე
 ფეოდალებისადმი მისთვისაც და ქვეყნისთვისაც უოველთვის
 საზიანო შედეგს იძლეოდა. ხასიათი მერყევი და მერწყევი ჰქო-
 ნდა, უადგილოდ დამთმობი და ბოლომდე ლელოგაუტანელი.
 თავდავიწყებით უყვარდა ლბინი, ნადიმობა და ნადირობა. უე-
 ბრო მეომარი და მხედარი იყო, მაგრამ ბრძოლის ველზე მიღი-
 ბულ გვირგვინებს მაინც სანადიმო ყანწი და სანადირო მშვი-
 ლდი ერჩივნა.

ქვეყანას კი სალბინო და სამეჭლისო არაფერი ჰქონდა. მას
 შიგნიდანაც და გარედანაც საშინელი სისხლისდენა ელოდა.

ტფილისი ისევ არაბებს ეპყრათ.

ცალკე, დანარჩენი საქართველოსაგან განკვეთილად იყო
 კახეთ-ჰერეთი.

მეზობლად თურქ-სელჩუკთა სამბრძანებლო გადაჭიმული-
 უო.

ქვეყნის შიგნიოაც თავკერძა ფეოდალნი არ ისვენებდნენ...

1073 წელს ბედნიერი ძეობა მოხდა ქუთათისის სასახლეში:
 მეფე გიორგი მეორეს ვაჟი შეეძინა. სახელად დაარქვეს და-
 ვ ი თ ი.

მაგრამ იმავე წელს დიდი უბედურებაც აიღიანდა საქარ-
 თველოს სამხრეთ კარიბჭეზე: თურქთა უზარმაზარი ურდო
 შემოიჭრა საქართველოს წასახდენად.

ჯარი შემოიყარა და ამხედრდა გიორგი მეფე. **ხოფელ ცა-
რ ც ხ ის თ ა ნ** შეება მტერს. შეება, სასტიკად დამარცხა და
გადარეკა განადგურებული მტერი საქართველოში. **მეფე**
დას.

იმავე წელს გიორგი მეფეს ეწვია გ რ ი გ ო ლ ბ ა კ უ რ ი -
ან ის ძ ე, სახელგანთქმული სარდალი და პოლიტიკოსი ბი-
ზანტიის იმპერიისა, დასავლეთის დიდი დომესტიკოსი (მთავა-
რსარდალი), შემდგომში პეტრიწონის ქართული საეპისკოპოსოს
მმართველი. გრიგოლს ბიზანტიის იმპერატორისგან ნაბოძები
ჰქონდა: ოლთისი, კარნუ-ქალაქი (ერზერუმი) და კარი (ყარ-
სი). გრიგოლ ბაქურიანისძემ ახლა „მოსცა გიორგი მეფეს ა
კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა“.

მაგრამ კვლავ გამძლავრდნენ თურქ-სელჩუკიანნი. მათ დაი-
პყრეს მთელი შუა და წინა აზია. ბიზანტიას წაართვეს აღმო-
სავლეთი და ცენტრალური ანატოლია. 1079 საქართველოს
შემოესია თურქთა ახალი ურდო, აჰმად ამირას სარდლობით.

ისევ შეეგება მტერს გიორგი მეფე, მაგრამ დამარცხდა და
უკუიქცა სისხლდადენილი.

მომდევნო 1080 წელს თურქებმა კიდევ ახალი, მანამდე გა-
უგონარი ნგრევა-რბევა არგუნეს ქართველ ხალხს. ველური
მომთაბარენი „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითა-
რცა მკალნი. და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი
ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი,
სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და
ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა
დღესა დაწვეს ქუთათისი და არტანუჯი, და უდაბნონი კლარ-
ჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე
მოსვლამდე თოვლისა, მოჰამეს ქუეყანა და მოსწყვიდეს, თუ
სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ზურე-
ლთა ქუეყანისათა“.

ქართველი ხალხის ეს უმძიმესი ტრაგედია მოინათლა, ვი-
თარცა „პირველი დიდი თურქობა“.

და ამიერიდან ყოველ გაზაფხულს იწყებოდა „დიდი თურ-
ქობა“.

მოდითდნენ და ადრიან გაზაფხულიდან გვიან დაზამთრე-
ბამდე მარცვაგდნენ, აოხრებდნენ, ატყვევებდნენ და წყვეტ-
დნენ ქვეყანას თურქნი... ისევ და ისევ, ყოველწლიური „მოქცე-

ვით" და "უაუქცევით" ვითარცა ზღვა. ისევ და ისევ მოსაქმე-
ლად, მოსაძარცვავად, მოსაოხრებლად.

ჩვევებოდა ქვეყანა თურთქა აღაწოყებით, ხარჯებზე სავსე
რგულ-საზიდარებით, ჩარდახებში დედაბუდიანად შენიხული
ქალით და ბავშვით, უთვალავი საქონლით — ცხენით, ჯორით,
ცხვრით და აქლემით.

მოდოდნენ, ბანაკდებოდნენ და ქართულ მიწებს „სვამ-
დნენ“ იმდენნი, რომ ამის მხილველი კაცი იტყოდა: „ყოველი
თურქობა ყოვლისა ქვეყნისა აქ, საქართველოში არს“.

და მოედინებოდნენ „მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად
წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქვეყნისანი“.

გიორგი მეფემ მტერთან მტრობას თავი მიანება და კახე-
თის შემოერთებისათვის წამოიწყო ბრძოლა. რთვლობაზე შე-
ვიდა ჯარით კახეთში და გარს შემოადგა ვეჯინის ციხეს.
აღუა ზამთრამდე გაგრძელდა და როგორც კი ჩამოთოვა,
მაშინვე აღუა მოხსნა და უკანვე ქუთათისისკენ გაბრუნდა: რა
დროს ომი და ვეჯინია, აჯამეთის ტყეში გარეულ ღორებზე ნა-
დირობის ქამი დადგა და მეც ერთი რქულზე უნდა ვინადი-
როო, — იძახდა უღარდელად.

ქვეყანა კი საშინელ აგონიას მისცემოდა. ბუნებაც საოცა-
რი სისასტიკით შემოსწყრა ქართველთა ქვეყანას. 1088 წელს
შანამდე გაუგონარმა მიწისძვრამ დააქცია საქართველო. მთე-
ლი წელიწადი ირყეოდა და ირღვებოდა ქვეყანა. იქცეოდა და
მტერად მიდიოდა მთანი და კლდენი. ინგრეოდა და იმარბებო-
და სოფლები, ქალაქები, ტაძრები, საფანენი, ციხენი, სრა-სა-
სახლენი. მიწისძვრით ჩამოქცეული თმოგვის კედლებქვეშ,
ცოლთან ერთად ცოცხლად დაიმარხა ერისთავი კახაბერ
ნიანიასძე.

მტრისგან და სტიქიისგან დაქცეულ, უპატრონოდ დაგდე-
ხულ ქვეყანაში შეწყდა სამეურნეო ცხოვრება. სიკვდილს გა-
ღარჩენილი ხალხი მთებში, ტყეებში, კლდე-ღრმებსა და გა-
მოქცაბულებში გადახვეწილიყო და განადირებულყო. აღარა-
ვინ ხნავდა, აღარავინ თესავდა, აღარავინ მკიდა და თიბავდა.

ტყემ და ნადირმა მოიცვა სრულად ქვეყანა.

ძეძვი, ნარ-ეკალი და თუთუბო ჰყვაოდა ნავენახარზე.

ზარნამო ჰკიოდა მამლის ნაყივარზე.

მგელი ყმუოდა ძაღლის ნაყეფარზე.



სასაზღვოდან რომ სამეფო სახლელს ისრის მინაწილად
 გამოსვლა დასჭირვებოდა, წინასწარ შეიარაღებული მხედრობა
 უბრა დაეგზავნათ, თურქები დაეხვერათ, ნადირფაშის
 დაეფრთხით და გზა ისე „გაეწმინდათ“.

ხუთეუ ქართლა სამუდამოდ მოსასობად და გადასაშენებ-
 ლად გაეშეტებინა ღმერთს საქართველო?

მაგრამ თურმე არა, — მაინც არ ყოფილა ქართველი ხალ-
 ხი განწირული ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად და მიწის პი-
 რისაგან გარდასაყვლენად.

1089 წელს მეფე გიორგი მეორემ გადადგა ყველაზე ჭკვი-
 ანური ნაბიჯი მთელს მის ჩვიდმეტწლოვან უბედურ ხელმწი-
 ფობში: მოიხსნა საქართველოს სამეფო გვირგვინი და თავზე
 დაადგა თავის ერთადერთ ძეს, თექვსმეტი წლის დავითს.

და ასე „იწყო აღმოცისკრებად ბნელსა უკუნსა შინა მხე-
 მან“ — და ვ ი თ მ ე ო თ ხ ე ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ მ ა .

კულტურის კატალოგი

ასე მიძიდ, სისხლიანად ჩაიარა მეთერთმეტე საუკუნემ.

ამ საუკუნეში ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხადეს
 18 დიდი ბრძოლა. აქედან — მოიგეს 11, წააგეს 7. მაგრამ მა-
 ინც ხშირად ყოფნა-არყოფნის სასწორზე ეცემოდა ქართველი
 ხალხი.

და მაინც ეგზოში სისხლისთხევის ხანაშიც დიდი კულტუ-
 რის შემოქმედად ჩნდებოდა ქართველი კაცი, ხელითაც და გო-
 ნებითაც.

სწორედ მეთერთმეტე ასწლეულში აღიმაართნენ დიდებული
 ნიეთიერი ძეგლები, ტაძრები, საეანეები: ალავერდი — კახე-
 თში, ბაგრატიონი — ქუთათისში, სამთავისი — ქართლში, გა-
 ნახლებული სამთავრო — მცხეთაში, ბეღია — სამეგრელოში,
 ნიკორწმინდა — რაჭაში, კაცხი — არგვეთში, შესანიშნავმა
 ქართველმა ხუროთმოძღვარმა არსუკისძემ მოახდინა
 მცხეთის სვეტიცხოვლის სრული რეკონსტრუქცია („შესამე
 გარდასახვა“ სვეტიცხოვლისა).

ამავე საუკუნეში ისევ მიღავრობდა ქართული კულტურუ-
 ლი სული საქართველოს გარეთ: კონსტანტინოპოლში, ათო-

ნის მთაზე, პეტრიწონში, შავ მთაზე, პალესტიანაში, ხონას მთაზე. ითარგმანებოდა ბერძნულიდან ქართულად. წარმოებდა და უცხორომელი რკვევანი, კომენტარები, ორიგინალური თარგმანი და განსჯანი: ფილოსოფიაში, თეოლოგიაში, ფილოლოგიაში, იურისპრუდენციაში, ისტორიაში.

სწორედ მეთერთმეტე საუკუნეს განვითარების განმარტებით ქართველი მეცნიერნი, მწერალნი, მოღვაწენი. იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმიდელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწონელი.

იმვე ეამს უცხოეთის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე ბრწყინავდნენ: თორნიკე მეორე პრეტოსპათერი, ელადის სტრატეგოსი; ფარსმან იბერი, იერაპოლისის ციხიონის უფროსი; მართა-მარიაშ, დედოფალი ბიზანტიისა; გრიგოლ ბაკურიანის ძე, დასავლეთის დიდი დომესტიკოსი, პეტრიწონის სავანისა და სემინარიის დამაარსებელი; აბაზ ბაკურიანის ძე, გრიგოლის ძმა, აღმოსავლეთის დიდი მაგისტროსი.

ზეობა დავით აღმაშენებლისა

შემდგომად ამისა ვიხილე სხუი ანგელოზი, გარდამომაგალი ზეით, რომელსა აქუნდა ხელმწიფეზაი დიდა და ქვეყანი განათლდა დაღებისაგან მისისა.

იოანე, გამოცხადებ, 18,1.

მაშ საქართველოს ტახტზე იქდა დავით მეოთხე აღმაშენებელი (1089-1125).

საქართველოს სამეფო ინსიგნიებს — გვირგვინს, ტახტს, სკიპტრას და ხმაღს — უბედნიერესი ეამი დასდგომოდათ: ისინი ყველაზე ღირსეულ ქართველ საჰეთამჰყრობელს ჩავბარებინა.

მაგრამ ახალი გვირგვინოსანი მის მშვენიერ თავზე გვირგვინის ნაცვლად საომარ მუზარადს უფრო დაიმშვენებს, ტახტის ნაცვლად — მხედრულ უნაგირს, სკიპტრის ნაცვლად — ერქვანს გუთნისას, ხოლო ხმაღი მისი ერთ დღესაც ქარქაშს ვერ მოიკითხავს.

სწრაფად და მძლავრად ამოქმედდა.

მოუწოდა და შემოიყარა ყველა, ვისაც ჯერ კიდევ გულში ქართველობა არ მოჰკედომოდა და იმედოც არ გაქსნებოდა სამშობლოს ხნისა და გადარჩენისა. მართლაც ყოფილან ქვეყნისა რიტი მამულიშვილნი, მსგავსნი ნ ი ა ნ ი ა კ ა ხ ა ბ ე რ ი ს ძ ი ს ა .

ღლე და ღამე სკედდნენ საჭურველს და მეფე იყო მჭედელთა შორის მჭედელი უპირველესი.

იჭურვებოდნენ, იწვრთნებოდნენ და მეფე იყო უპირველესი მწვრთნელიცა და წვრთნილიც.

გადიოდნენ ამხედრებულნი და დათქარუნობდნენ უსწორმასწორო მადლობ-დაბლობებზე, ლიჭიან და ქველორდიან ნაგზაურებზე, კლდეზე გაკიდულ გზაწვრილებსა და თანითანებზე — და აქაც დავით მეფე იყო მხედართა შორის გულუძვრელობით და სიმაჰაციით მხედარი უპირველესი.

არავინ ჰყავდა ტოლი ხმალში, ჯირითში, ისრის სროლაში, შუბის ტყორცნაში, მუშტის ძგერებაში, სირბილში. ცურვაში, უძილობის, შიმშილის, წყურვილის, სიცხისა და ყინვის დამლევაში.


ახლად შეყრილი და თანაშეწვრთნილი ჯარით თურქებზე თარეშობდა. მოულოდნელად დაესხმოდნენ ღვთისრისხვასავით, ანადგურებდნენ, უმაღლეე გაუჩინარდებოდნენ, კვლავ ელვასავით გამოსხლტებოდნენ და თავს დაესხმოდნენ გაალმასეზბით — და აქაც უბადლო იყო დავით მეფე, მტრის უპირველესი მარბიელი, სასიკვდილო რისხვის დამტეხი და სისხლისათთვის შურისმგებლური სისხლის დამქცევი.

ხალხი გამოჰყავდათ სამალავთაგან და სახიზართაგან, ამხნევებდნენ, საომარ და სამეურნეო სულს უბრუნებდნენ, ასახლებდნენ, ამგვიდრებდნენ, სახლ-კაარს აწყობინებდნენ, კერაზე ცეცხლს უნთებდნენ, მამაბაპეულ გუთანს აჩვევდნენ, თვითონაც გუთნისდედობდნენ და ისევ მეფე იყო პირველი გუთნისდედაც, სახლის ხეროც, ბალავრის მთხრელიც და საძირკვლის მყარელიც.

გავიდა ოთხი წელიწადი.

ქართველი ხალხი სიკვდილის პირისგან გამოაბრუნა და ფეხზე წამოაყენა „ღმრთივგანბრძნობილმა“ ჰაბუყმა ხელმწილემ.

მაგრამ სანამ გარეშე მტერთა მიმართ სრულის შეტევით დაიძვრებოდა, მანამ საჭირო იყო შინაურ ერისთავთა და აზნაურთა მოთხოვნა და მოარწმუნება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველაზე ძლიერი და ავი ფეოდალი მაშინ იყო კლდეკარს ერისთავი ლიპარიტი ივანეს ძე ბაღვაში, რომელიც მამაბაბეულ ტრადიციას არ ლაღატობდა და თავგამოდებით ებრძოდა მეფესაც და საქართველოსაც.

მიუხედავად იმისა, რომ მეფე კლდეკარს, შეიპყრო ლიპარიტი, ბორკილები გაუყარა და ჩააგდო ციხედ. მერე მისი ვედრება შეიწყნარა, ერთგულების ფიცი ჩამოართვა და გაათავისუფლა. მაგრამ მაინც არ დაიშალა თავისი ერისთავმა. „იგი ვითარცა ძაღლი მიეჭვა ნათხევარსა თავისასა და ვითარცა ღორი იწუება სანგორელსა მწვირისასა“. დაეითიც საბოლოოდ დარწმუნდა, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართებინ, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“. ხელმეორედ შეიპყრო ლიპარიტი, ორი წელიწადი საპატიმროში იყოლია, მერე ბიზანტიას გადაეცა და იქვე, უცხოობაში აღესრულა მოუსვენარი და მოურჯულბელი ერისთავი.

მეფის წინააღმდეგ იბრძოდა ერისთავი ძაგანაბულეთის ძე, მოღალატე, ფლიდი და ვერაგი მებატონე. ძაგანს მზარს უმავრებდა მისი ძმა, ეპისკოპოსი მოდისტოს. ძმები ისე თვითნებურად მოქმედებდნენ, თითქოს დაეით მეფე არც არსებულებოდა ამ ქვეყანაზე. მათ მუხრანისა და ზედაზნის ციხეები, მცხეთის, წილენისა და შიო-მღვიმის საეკლესიო მამულები, ყველა ერთად, აიღეს და კახეთის განდგომილ მეფეს გადასცეს.

სასწრაფოდ ამხედრდა დაეით მეფე, გაცემული ციხეები და მამულები დაიბრუნა, ძაგანი და მოდისტოსი შეიპყრო, ორივეს მამულები ჩამოართვა, ორივეს პატივი და ღირსება აკყარა, ორივე დააბოროცილა და დილეგში ჩაყარა.

დაეითი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მხოლოდ ლიპარიტის, ძაგანისა და მოდისტოსის დასჯა და დათრგუნვა ვერ დააწყნარებდა და ვერ განამტკიცებდა შინაგანად აშლილ ქვეყანას. თვალნათლივ ჩანდა, რომ საერო ფეოდალთა თავგასულობას საეკლესიო-სასულიერო მესვეურები აკანონებდნენ. ფეოდალნი და ეპისკოპოსი ერთიან ძალად შეკრულიყო მეფის მტკიცე ხე-

ლისუფლები დასამზობად ან დასაკინებლად. ეკლესია ხან-
ფო ტახტსე მალა აეხეხდა თავის „ხეციუო-დეჟუტეჟე დე-
ნიშნულეზას“. ეკლესიის პირველმოძღვარნი თუჯ-
დიდგვარიანი აზნაურები და უმდიდრესი ფეოდალები, მხო-
ლოდ წოდებით, გვართვნებით და სიმდიდრით გააორჩეულს
შეეძლო ამალუბა ქვემოდან ხემოთ, თანამდებობრივ კიბეზე-
დაწინაურებისას არავინ ითვალისწინებდა არავითარ პირად
ღირსებას — ნიჭიერებას, პატიოსნებას, მაღალ ზნეობას, სამ-
შობლოს წინაშე დამსახურებას.

ერთი სიტყვით, ქართული ეკლესია თვითნება, ზნედაცე-
მულ, ხარბსა და ქვეყნის მოლაღატე „ევაზაკთა ქებად“ გადა-
ქცეულიყო. ეკლესიებიდან და სამღვდლოებიდან მოედინებ-
ოდა „ყოველი ესქულოება და ცოდვა“.

მაშ, გამოსადენი სისხლი ისევ უნდა გამოდენილიყო და
1103 წელს დავით მეფემ რ უ ი ს ს ა და უ რ ბ ნ ი ს შ ი შეპ-
ყარა საეკლესიო კრება. აქ, მრავალღიანი აზრთა ცხარე კიდი-
ლის შემდეგ, დავით მეფის ურყევი ნებით, დადგინდა დიდმნი-
შენელოვანი რეფორმა: საეკლესიო თანამდებობიდან გადააყე-
ნეს და შეაჩვენეს ყველა „უღირსად გამოჩინებულნი“; ამიერი-
დან აიკრძალა დაწინაურება წოდებრიობის, მემკვიდრეობისა
და სიმდიდრის მიხედვით; ამიერიდან თანამდებობებზე ინიშნე-
ბიან მხოლოდ ღირსეულნი — ნიჭიერნი და გონიერნი, განა-
წავლულნი და განათლებულნი, პატიოსანნი და სამართლიანნი,
ქვეყნისა და მეფის ერთგულნი და თავდადებულნი — მიუხე-
დავად მათი წოდებრივი, გვაროვნული და ქონებრივი მდგო-
მარეობისა.

დავითს როგორმე უნდა მოეხერხებინა, რომ საეკლესიო
ცხოვრების შიგნით მუდმივი თვალი ჰქონოდა მისი მუდმივი
ჩარევისა და რაიმე არასასურველ გამოვლინებათა აღკვეთისა-
თვის.

ამისთვის მეფემ გააერთიანა ორი თანამდებობა: საერო —
მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ო ბ ა და სასულიერო —
ქ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ო ბ ა. მეფის შემდგომ მწიგნობართუხუცე-
სი მეორე კაცი იყო სახელმწიფოში, ვინათგან იგი სათავეში
ედგა მთელს აღმასრულებელ ხელისუფლებას (როგორც დღე-
ვანდელი „კანცლერი“, „პრემიერ-მინისტრი“, „მინისტრთა სა-

ბქოს თავმჯდომარე“). ასევე დიდი იყო ჭყონდიდის (მარტვილის) ეპისკოპოსის თანამდებობა — ჭყონდიდელობა. და დავითმა ორივე ეს თანამდებობა, ერთ მთლიანად ჩააბარა გიორგი ჭყონდიდელს, თავის აღმზრდელს, უერთგულეს მეგობარსა და ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწეს.

ამერიიდან დავითის ხელში, უზენაეს საერო ხელისუფლებასთან ერთად, მტკიცედ მოექცა უზენაესი სასულერო საქეთმპყრობელობაც.

იმავე ხანს დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა — ს ა ვ ა ზ ი რ ი, რომელიც მთლიანად ემორჩილებოდა მეფეს.

შედგებოდა სავაზირო შეიდი ვ ა ზ ი რ ი ს ა გ ა ნ.

პირველი — მწიგნობართუხუცესი, იგივე პირველი ვაზირი („მთავრობის თავმჯდომარე“), მეფის ყველაზე ახლობელი კაცი. არა საქმე მის გარეშე სავაზიროში არ გადაწყდებოდა. იგი იყო აგრეთვე უზენაესი მოსამართლე, უმაღლესი „მართლმსაჯული“. იგივე, ვითარცა ჭყონდიდელი, განაგებდა რელიგიურ საქმეებსაც. მასვე ეკითხებოდა ყოველი თხოვნის, საჩივრისა და საძიებელის გამოძიება — განჩინების საქმენი. საჩივართა და სათხოვართა გასარჩევად მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ჰქონდა ყოველი ორშაბათი დღე

მეორე — მანდატურთუხუცესი, შინაგან საქმეთა ვაზირი, „რომელსაც ემორჩილებოდა მთელი საპოლიციო სამსახური და დავითისგან ახლად შემოდებული მსტოვართა (მზვერავთა) მრავალრიცხოვანი მტკიცე ორგანიზაცია.

მესამე — ამირსპასალარი, სამხედრო ვაზირი და სარდალი, „სპასალართუხუცესი“ და „თავადი ლაშქართა“.

მეოთხე — მეჭურჭლეთუხუცესი, ფინანსთა განმგე-ვაზირი.

მეხუთე — მსახურთუხუცესი, სამეფო სასახლის კარის შინა სამსახურთა და განწყესრიგებთა ვაზირი.

მეექვსე — ამირახორი, იგივე მეჭინიბეთუხუცესი, ამირსპასალარის პირველი თანაშემწე, უმცროსი ვაზირი, საფათბირო ხმით.

მეშვიდე — ჩუხჩარი, მეფის პირადი სპასპეტი და

მებაჭრეთუხუცესი, მეფის „მონა-სპის“ („გვარდოს“) უფროსი, უმცროსი ვაზირი, სათათბირო ხმით.

მეფის კურთხევის დროს საევაზირო ასეთი განი განრიგებით დაეწყობოდა:

საზეიმო პროცესიას წინ მიუძღვის მანდატურთუხუცესი, ხელში სამანდატურთ ოქროს არგანით.

შემდგომ მოდის თვითონ მეფე.

მეფის მარჯენივ — ამირსპასალარი, რომელსაც ორივე წინ გაშვერილ ხელზე უტვირთავს შიშველი სამეფო ხმალი. ამირსპასალარს თავის მხრივ მოჰყვება თანაშემწე ამირახორი, მარცხენა მხრიდან მეფეს მოაცილებენ შწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელი და მეჭურჭლეთუხუცესი.

ხოლო უკან მეფეს მოჰყვება ჩუხჩარხი, დატვირთული სამეფო ფარით, ლახტით და ქარქაშით...

...1099 წელს ევროპელმა „ჯვაროსნებმა“ თურქებს იერუსალიმი წაართვეს და პალესტინაში ევროპულ-ქრისტიანული სახელმწიფო — „იერუსალიმის სამეფო“ დააარსეს.

მაშინვე დავით მეფემ ხარკის მიცემა შეუწყვიტა თურქთა სულტანს.

სულტანმა დუმილით უპასუხა ქართველთა მეფის ესოდენ თამამ გამოსვლას.

საქართველოს „მომჭრელი“ თურქობაც უფრო შიშნეულად მოიწეედა ჩრდილოეთისკენ.

სანამ თურქთა სრულ განდევნას შეუდგებოდა, მანამ საქართველოს სრული გაერთიანება უნდა დაემთავრებინა დავით მეფეს. უპირველესად საჭირო იყო საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ დაბრუნებოდა მისი სისხლხორცეული ნაწილი — კახეთ-ჰერეთი. ამისთვის დავითს დიდი ბრძოლა ელოდა, რადგამ არც თურქები და არც შინაური მოღალატე აზნაურები საქართველოს გაერთიანებას უსისხლოდ და უსიკვდილოდ არ დაუშვებდნენ.

დავითი მტრის სიძლიერეს არ დაერიდა, ლაშქარი შემოიყარა და კახეთისაკენ წარემართა.

იღვა 1104 წელი.

ბრძოლა მოხდა ერწუხს.

დავით მეფე გააფთრებული ხმალიაკვეთებით შეება თურქთა უზარმაზარ მხედრობას. გამაჯრუებელ საომარ ყიყინაში,

იარაღის ზათქსა და ზრიალში, ცხენთა ქიხვისა და თქარუნთა დაქრილთა გმინვასა და ბღავილში — მიინც გამორჩევილ გაი-
მოდა ლომისებრი ბუხუნი ქართველი მეფისა, რომელმაც მისი
სავეით მიმოქროდა და ჩნდებოდა ყველგან, სადაც მის მეომ-
რებს მისჭირდებოდათ. თითქოს თმის ღმერთი ჩამოჭრილიყო
ციდან მიწაზე, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტით გახელებული.

მეფე-ტიტანი ერთის მოქნევით ცხენ-კაციანად კვეთდა მო-
პირდაპირეს, ან პირდაპირი ძვერებით უნაგირიდან ასხლტდა
და, თავზე გადავლებით, ზურგისკენ ისროდა. შტრის სისხლი
მკლავს მოყვებოდა და უბეში ექცეოდა.

სამი ცხენი მოუტლეს. მეოთხეზე ამხედრებული ასრულე-
ბდა ბრძოლა.

მტრთაგან მრავალი დაირეცა, მრავალი ტყვედ ჩაუვარდა
ქართველებს, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

გამარჯვებული დაეით მეფე ცხენიდან გარდახდა და სარ-
ტყელი შემოიხსნა. სისხლი ერთბაშად მოწყდა და თქრიალით
დაიღვარა დედამიწაზე. მიცვივდნენ ზარდაცემული მისიან-
ნი — დაქრილი ეგონათ ამდენი სისხლის დამაქცევარი. მეფე
კი ილიმებოდა — შტრის სისხლი ყოფილა, მისი სხეულიდან
ჩამომდინარე სისხლი

კახეთ-ჰერეთი „ნებიერად“ შემოიერთა დაეითმა.

ტკბილად დაუყვავა იქაურ ქართველობას და „მზებერ მი-
ფინა წყალობა“ ყველას...

... აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთების, დიდ რეფორ-
მატორულ გარდაქმნათა და კულტურულ აღმშენებლობათა
„ხეთწლოვანის“ შემდგომ, დაეითი შეუდგა თურქთაგან ქარ-
თულ მიწა-წყალთა სრულ გაწმენდას.

1110 წელს მეფემ გიორგი ჭყონდიდელი გაგზავნა ქარით
სამშვილდის ასაღებად. მოულოდნელად დაეცა თავს გი-
ორგი სამშვილდეში ჩაბუდებულ თურქთა ციხიონს. თურქებმა
ხელის გამოღებაც ვერ მოასწრეს და ხმლის განუძრველად ჩა-
აბარეს ქართველებს ქართული ციხე-ქალაქი.

იმ დამითვე ქართველებმა სამშვილდის ახლოს ციხე ძე რ-
ნა ც დააგდებინეს დამპყრობლებს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გამარჯვებებს. საქართველოს
დროშას დაუბრუნდა დიდი ქართული ციხესიმაგრენი, დიდი
საქარავენო და სამხედრო გზა-კვანძები. ამით ტფილისში მდგარ

უცხო ციხიონსაც მოერღვა და მოუშინებდა თავდაცვითი
ზღუდენი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან.

სამშვილდის დაკარგვამ ქვემო ქართლში ჩასატყვევებლად
რქობას ისეთი თავხარი დასცა, აქური ციხეების უმრავლესობა
ერთ ღამეში მოატოვეს და გადაიხვეწნენ. ქართულ ციხეებ-
ში ქართული ციხიონები შედგნენ.

თურქთა მაშინდელმა სულტანმა მუჰამედმა არ დათ-
მო ეგზომი მარცხი და იმავე წელს 100 000-იანი მხედრობა
აფრინა საქართველოსკენ.

თრიალეთს მოვიდა მტერი.

დავით მეფე ნაპარმაგვეს იდგა ტაძრულით.

საღამო ეამს შეატყობინეს მსტოვრებმა მტრის შემოსევა.
ფიქვლავ ჭარი მოიკითხა დავითმა. მხოლოდ 1500 კაცი აღ-
მოჩნდა საომრად გამზადებული.

ცხენს მოახტა მეფე, ეს მცირე ლაშქარი აიყოლია და მთე-
ლი ღამის შეუსვენებელი ჭენებით მიიჭრა თრიალეთს.

ცისკრის სისხამზე თვალი ჰკიდიეს ერთმანეთს თურქებმა
და ქართველებმა.

დავითმა მტერს მისი მცირე ძალის გათვლა და გონს მოს-
ვლა არ აცალა და მისვლისთანავე მიუხტა გაალმასებით.

ასიდან დაისამდე გაგრძელდა საშინელი ხმალთაყვეთება.

ისევ მტერთა ძლევიტ დააქანა დავით მეფემ ბრძოლის სა-
სწორად.

თურქებს არც კი უგრძენიათ რიცხვით სიმცირე საოცარი
მხნეობით მოიერიშე ქართველებისა. მიმწუხრისას თურქებმა
ბრძოლის ველს ზურგი აქციეს, ბანაკი თავის აელადიდებით
ქართველთა ხელს შეატოვეს და უგზოუვლოდ „განიბნივნენ
თვისთა ქუეყანათა“.

მცირერიცხოვანი ჯარისაგან ესოდენ დიდი მხედრობის
ძლევა სწორედ რომ გასაოცარი იყო. ამიტომ დავითი და მისი
თანამებრძოლნი კარგა ხანს დაეკვებულნი — მტერი მახეს რას-
მე არ გვიგებდესო — ფრთხილი დევნით მოსდევდნენ ოტებულ
თურქობას და სდიეს მანამ, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ მტე-
რი სავსებით იყო გადახვეწილი.

1115 წელს, დავით მეფის ბრძანებით, გიორგი ჭყონდიდე-
ლმა თურქებს ხელიდან გამოგლიჯა რუსთავი, ამრიგად,



ტფილისში მდგომ არაბთა ციხიონს სამხრეთ-დასავლეთიდანაჲ მოეჭრათ მისასვლელუბი.

ეროვნული
საბჭო

იმ წელსვე თვითონ დავითი თავისი „მონა-სპით“ დაეცა მტერთა ბანაკს და ხან სად. „უგრძნეულად დაესხის და მოსწყვედნის, და ესე არა ერთგზის ან ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.

ქვემო ქართლის გზებს დაუშინდნენ თურქები და ახლა საქართველოში სალაშქროდ სამხრეთ-დასავლეთ გზებს დაუწყეს სინჯვა.

1115 წლის დეკემბერში თურქთა უზარმაზარი ლაშქარი ბასიანს შემოვიდა დედა-წულიანად, ხარგებით, ჩარდახებით, საქონელ-ხვასტაგიანად და იქვე დაიბანაჲ გამოსაზამთრებლად.

მომდევნო წლის თებერვალში დავით მეფე ისევ „უგრძნეულად“, დეთის რისხვასავით დაეძგერა მტერს. დაეძგერა და შავი დღე გაუთენა. ქართველებმა ურიცხვი თურქი ჩაპხოცეს და ჩახლიწეს ბასიანის ხეებში. მრავალი ტყვე აიყვანეს, ოჯახებით, ალალ-ფორნიანად და საქონელ-ხვასტაგიანად.

1117 წელს დავითმა კიდევ ილაშქრა საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. აქ მან აიღო და შემოიერთა პერეთის უკანასკნელი დიდი ციხესიმაგრე გი შ ი.

ამავე დროს, დავითს თავისი ძე, დემეტრე, შირვანში ჰყავდა გაგზავნილი სალაშქროდ. დემეტრემაც „ქმნნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირვნა მხილველნი და მსმენელნი“. მან ააიღო ციხე-ქალაქი ქალაქორი და დიდძალი ნააღაფევითა და სიმდიდრით დაბრუნდა მამასთან.

არც ერთი წელიწადი აღარ მიდიოდა დავით აღმაშენებლის ხელით ნიშანდაუსმელი — თუ ხმლით, თუ კალმით, თუ საჭრეთლით.

1118 წელს იგი ნახიდურში იდგა, არეზის (არაქსის) პირას და აღდგომის დღესასწაულს ზეიმობდა. ინახად მჯდარ ხელმწიფეს მოახსენეს, რომ თურქები ჯავახეთს დასცემიან და მოუკლავთ თუხარისის ერისთავი ბეშქენ ჯაყელი. მაშინვე წამოიჭრა მეფე. ნუ ინებებ ასე ერთბაშად ვალაშქრებასო, — შემოეხვივნენ მისიანები, მაგრამ მაინც მაშინვე ამხედრდა. მუდამ მზაობაში მყოფი „მონა-სპა“ აიყოლია და მტერს მიამუხრა. არეზის პირას იბოვა ბანაკად მდგარი თურქობა და უმალ-



დაუცხრომლად“ მოლაშქრედ. მაშ, დავითს სჭირდებოდა მრავალრიცხოვანი, მუდმივი მხედრობა, რომელსაც თვეუფროსი მამძღვრებდა და უბატრონებდა.

გ. ბ. ლ. ი. მ. მ. მ.

და აი, დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა, ქართულ ქარებთან შესაერთებლად და მუდმივ სამხედრო სამსახურად, ჩრდილოეთიდან გადმოესახლებინა ყ ი ვ ჩ ა ყ ე ბ ი.

დავითი და მისი თანამდგომელნი კარგად იცნობდნენ ყივჩაყებს. იცოდნენ, რომ კავკასიონს გადაღმა, რუსეთსა და ოვსეთს შორის, ურიცხვი იყო მათი მოდგმა და გვარჯილაგი. იყვნენ თავზეხელაღებული მეომრები, მსუბუქი მხედრები, მეთაურის სიტყვაშეუბრუნებლად მორჩილნი და „ადვილად შესახაენი“.

ისედაც აგერ რამდენიმე წელიწადი გასულიყო, დავითს მოეყრობა ჰქონდა ყივჩაყებთან: მას მეორე ქორწინებით ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარალანის ძის ასული, „სიყეთით განთქმული გურანდუხტ დედოფალი“.

1118 წელს დავითმა „წარავლინა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისსა“.

ათრაქა შარალანის ძე დიდი სიხარულით შეხვდა სახელოვანი სიძის შემოთავაზებას საქართველოში მის ქვეშევრდომთა და თვისტომთა გადასახლებაზე. ისედაც, ყივჩაყები ჩრდილოეთიდან რუსთაგან შევიწროებულნი, სამხრეთისაკენ მოიწევდნენ, მაგრამ აქ ოვსნი უდგნენ ძლიერ მტრულ ძალად. ამიტომ შარალანის ძემ დავითს ოვსთაგან სამხრეთელი გზის გათავისუფლება სთხოვა.

დავითმა თავისი გამზრდელი და თანამებრძოლი გიორგი ჭყონდიდელი წაიყვანა, სასწრაფოდ ოვსეთს გადავიდა და სწრაფადვე დაიჭირა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიის მთისათანი“. ოვსი მთავრებიც მაშინვე ეახლნენ და ეცმნენ დავითს.

აქვე მოვიდნენ ათრაქა და მისი ძენი. დავითმა ორივე მხარეს, ოვსებსაც და ყივჩაყებსაც, მძევლები ჩამოართვა და ერთმანეთს შეარიგა.

ამის შემდგომ, დავითმა ჩაიბარა ყივჩაყთა „სიმრავლე ფრიად დიდი“, სულ 40 000 ოჯახი, ანუ 200 000 სული.

არაგვ-დარიალის კარი, ჩრდილოეთის და სამხრეთის შემაე-

რთებელი დიდი გზა, დავითმა დიდ სამომავლო „მშენებლის გზად“ გადააქცია.



სწორედ იმხანად ქართველმა ხელმწიფემ ურბნულიძემ აბა კიევის რუსეთის მთავართან, ვლადიმერ მონომახთან, რომელსაც მანამდე ყივჩაყებთან შეურთებელი მტრობა ჰქონდა.

მოდით დავით მეფე, მოუძღოდა დედაწულიანად მომდინარე უცხო ხალხს. სასიხარულოდ განესრულებია მეფეს თავისი განაზრახვი, მაგრამ მოდიოდა მაინც დიდი წუხილითა და კმუნებით დამძიმებელი, სამგლოვიარო თალხით შემოსილი: მოასვენებდა თავის გამზრდელს, მამაზე უტკბესს — გიორგი ჭყონდიდელს — იგი გარდაცვლილიყო ოვსეთს ყოფნისას.

ახლად მშენებარე გელათის მონასტერში დაკრძალეს დიდებული მამულიშვილი. თრმოცი დღე-ღამე გაუხდელად ემოსა თალხი მეფეს. სწორედ მეორმოცე დღეს უფლისწული ვახტანგი (ცვატა) შეეძინა დედოფალ გურანდუხტს და მხოლოდ მაშინ „ხარებითა დაიხსნა გლოვა“ მეფემ.

დავითმა ყივჩაყები ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში განასახლა. უოველ ოჯახს მუდმივ სამხედრო სამსახურად ერთი კაცი უნდა მიეცა ქვეყნისთვის. ამრიგად, მეფემ 40 000 ყივჩაყი დააწყო „გვარად-გვარად და დაუდგინა სპასალარნი და მმართველნი“ ახლა მეფეს საკუთარი „მონა-სპის“ ჩათვლით 45000 მეომარი ჰყავდა იარაღქვეშ. ამას გარდა, საჭიროების შემთხვევაში იგულისხმებოდა „აგრეთვე თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენეთილნი და პირშეუქცეველნი“.

- დაასახლა ყივჩაყნი და დაურთვა მიწა.
- ასწავლა ხვნა-თესვა, ანუ გუთნისდედობა.
- ასწავლა ვენახის გამეხება, ანუ მუზერე-მეღვიწეობა.
- ასწავლა ბად-ბოსტნის გაწყობა.
- ასწავლა მესაქონლეობა, „ქართული გვარიით“.
- ასწავლა მიწის მოვლა-პატრონობა, მიწის „მზრუნველობა“.
- ასწავლა მთისა და ბარის სამეურნეო მონაცვლეობა.
- და ყველაზე კარგად სწორედ დავით აღმაშენებელმა იცოდა, რომ საქართველოსა და ქართულობის შემდედებული დვრიტა არის ქართული სოფელი.
- და ქართულმა სოფელმა გასაოცარი სისწრაფით გააქართველა ყივჩაყი.



უმოკლეს დროში: ყივჩაყისაგან — ნაყივჩაყარი, ნაყივჩაყარი — ქართველი...
 ეროვნული

დავით აღმაშენებლის დროშის ქვეშ გამრავლებული მძლავრებული „სრულიად ქართული“ საომარი ძალები იდგნენ. საერთო ანგარიშით, დაახლოებით 60-70 ათასი ჯარისკაცი და მოლაშქრე. ამას გარდა, დამატებით ძალად შეეძლო მოეხმო „როქის სპა“ — დაქირავებული მეომრები მეზობელი ტომებიდან.

დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმა ასე განესრულა. საქართველო წინა აზიის დიდ სამხედრო სახელმწიფოდ გადაიქცა.

ისევე აღაპარაკდა მსოფლიო ქართველთა სიძლიერესა და აღზევებაზე. ლაპარაკობდნენ მტრები — სიძულელით, შიშით, ძრწოლით; ლაპარაკობდნენ მოყვრები: აღტაცებით, კრძალვით, პატივით. ეძებდნენ სიახლოვეს, კავშირს, მეგობრობას, მოყვრობას საქართველოს სამეფო სახლთან.

შეიწყნარა დავითმა შირვანის ხელმწიფის მ ა ნ უ ზ ე ჯ ო რ ი ს თხოვნა და ცოლად მისცა თავისი ასული თ ა მ მ ა რ .
 შეიწყნარა დავითმა ბიზანტიის იმპერატორის ა ლ ე ქ ს ი კ ო მ ნ ე რ ო ს ი ს თხოვნა და რძლად მისცა თავისი მეორე ასული კ ა ტ ა ი .

ამგვარად, დავით აღმაშენებლის ასულნი, „ვეითარცა ორნი მნათობნი“ — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — „ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა“, მამის მზიური შარავანდედით გაციკროვნებულნი.

„ჯვაროსნული ომებიც“ აგერ 22 წლის დაწყებული იყო. მოდიოდნენ ევროპელები ჯვრით და მახვილით ურჯულო თურქთაგან პალესტინის „წმიდა მიწათა დასახსნელად“. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვა, ხოლო საქმე — აზიურ მიწათა და დასახლებათა დაპყრობა, ძარცვა და რბევა.

მაშ, 1099 წელს ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია და იერუსალიმი და პალესტინაში თავისი სახელმწიფო დააარსეს.

დავით აღმაშენებელი არ ჰგავდა ჯვაროსან ხელმწიფეებს, სხვათა დამპყრობელი, სხვათა ქონების მძარცველებსა და უცხო ხალხთა განუყოფელად მელეტელებს. პირიქით, დავითი საქართველოს შიგნით არაქართულ მოსახლეობას, მათ შორის მამმადიანებს, არამცთუ არ ელეტდა და ამცირებდა, არამედ ქა-

რთველთა თანაბარი, ზოგჯერ უპირატესი პატივითა და მამუ-
ნარებლობით ექცეოდა. მაგრამ დავითს ჯვაროსნებთან მაინც
ქონდა ერთი საერთო მიზანი: შეურიგებელი ბრძენი უნდა
პყრობელ თურქთა წინააღმდეგ. ამიტომ დავით აღმაშენებ-
ელმა ჯვაროსან ხელმწიფეთა თხოვნა აღასრულა და რამდენ-
ჯერმე ჭარიც მიაშველა მათ სირიისა და პალესტინის ქალაქე-
ბიდან თურქთა გასაძეველად.

1119 წლის მიწურულს საქართველოში იღუმალ ჩამოვიდა
იერუსალიმის მეფე, ფრანგი ჯვაროსანი რაინდრ, ბ ა ლ დ უ ი ნ
მ ე ო რ ე .

კარგა ხანს ბკობდნენ ქართველნი და ფრანგნი გეგუთის
სასახლეში.

მერე ისევ იღუმალ გაუჩინარდა ფრანგი რაინდი და გვირ-
გვინოსანი.

დავითი მომავალი წლისათვის თურქთა წინააღმდეგ გაშ-
ლილი გადამწყვეტი შეტევებისათვის ემზადებოდა.

1120 წლის თებერვლის დამდეგს თურქთა ახალი ურდო
შემოიჭრა და ბ ო რ ტ ი ა ს თ ა ნ დაბანაკდა. მტერი თამამად
იყო, ვინათვან დავითი აქარაში ეგულებოდა. მაგრამ საოცარი
სისწრაფით „გარდამოიფრინვა“ მეფემ აქარიდან და 14 თე-
ბერვალს ისევ „უგრძნეულად“ და „უცნაურად“ დააცხრა თავს
არხენიად მონებვიერე თურქთა ბანაკს. ისევ ურიცხვი თურქი
დაირეცა ამ ბრძოლაში. მხოლოდ მცირედნი გადაურჩნენ სიკ-
ვდილს. ქართველებმა „აღიდეს ტყვე და ალაფი ურიცხვი“.

ამის შემდგომ დავითი შირვანს გავიდა და ბორტიას ბრძო-
ლიდან მეშვიდე დღეს აიღო ქალაქი ყ ა ბ ა ლ ა, მაისში ისევ
ილაშქრა დავითმა შირვანს და დაიბყრო ყველა მნიშვნელოვან-
ი ციხე-ქალაქი, მათ შორის — ლ ი ზ ა ნ ი, ქ უ რ დ ე ვ ა ნ ი,
ხ ი შ ტ ა ლ ა ნ თ ი.

იმევე წელს, ზაფხულსა და შემოდგომაზე, ქართველებმა
კიდევ რამდენჯერმე დაამარცხეს თურქები სომხეთსა და ირან-
ში.

ნოემბერში სირიისაკენ წარემართა დავითი. აქ მის შეტე-
ვას უნდა აღეკვეთა ალემოელი სულტანის, ნ ე ქ ი ა დ - დ ი ნ
ი ლ დ ა ზ ი ს განაზრახი ლაშქრობანი ქართველთა მოკავში-
რის, ფრანგი ბალდუინის წინააღმდეგ. ა შ ო რ ნ ი ა ს რომ მი-
აღწიეს, ქართველებს იქ დიდძალი თურქობა დახვდათ საომრად



მომზადებული. დავითმა მისვლისთანავე ბრძანა იერიში. მძვი-
 ნვარე ხოცვა-კლუტა თურქთა განადგურებით გათავისუფლებულნი
 ამორნიადან ქართველები სირიის საზღვრებში შემოვიდნენ
 და თურქული ბანაკები დაიფრინეს. დავითი ალექსოკენ მიი-
 წევდა, ილღაზის სატახტოსაკენ, მაგრამ მსტოვრებმა აცნო-
 ბეს — ზურგიდან თურქთა აურდო გაიჭრა და საქართველოსკენ
 მიეშურებო. შემოტრიალდა დავითი, ს ე ვ გ ე ლ მ ე ქ თ ა ნ
 წამოეწია მტერს, წამოეწია და ისე გაანადგურა, «არა დაუტე-
 ვა მოტირალი კარავთა მათთა».

ასე განესრულა 1120 წელი, ქართველთა ათზე მეტი ძლე-
 ვამოსილი ბრძოლით.

1121 წელი მძიმე ზამთრით შემოვიდა საქართველოში.
 განუწყვეტლევ და განიადაგებით თოვდა და «გარდნააკეთსა
 თოვლისასა აქვნდა სიმაღლე მხარი სამი».

დავითი აფხაზეთს ბრძანდებოდა მაშინ, ბიჭვინთაში. თურ-
 ქებს იმედი დაუჭვრიათ, სანამ დავითი შეიტყობდეს და თოვ-
 ლიან გზებს გადმოლახავდეს, მანამ ჩვენ ქართლის აოხრებას
 მოვასწრებთო, და «გულდებით» წამოსულან მტკვრის ხეობის-
 კენ. მაგრამ შეიტყო თუ არა, სასწრაფოდ წამოვიდა «ლომი
 იგი» აფხაზეთიდან «თოვლთა საშინელთა». ლიხის თოვლი გა-
 დათხარა, გზა გადაიკელია და ქართლს გადავიდა. კვალში ჩაუ-
 დგა ნაძარცვით დატვირთულ თურქებს, ალგეთისა და მტკვრის
 შესაყარში წამოეწია და გაალმასებით დააცხრა თავზე. ქარ-
 თველებმა თურქები ისე «მოსრეს პირითა მახვილისათა, რომე
 არა დაშთა მთბრობი ამზავისა».

იმ წელს, გაზაფხულზე, ბ ა რ დ ა ვ ს, ქართველებმა ერთ-
 ხელ კიდევ გაწყვიტეს წყალდიდობის იმედით შემოსეული თუ-
 რქები.

1120-1121 წლებში ქართველთა ძლევამოსილმა ლაშქრო-
 ბებმა ხელი გაუხსნეს თურქთაგან დაშინებულ ქვაროსნებს.
 ბალღუინმა სამხრეთიდან წარმატებით წამოიწყო შეტევები
 ნეჭმ ად-დინ ილღაზის სამფლობელოებზე.

თურქ-სელჩუკთა მძლავრობის ხანა თითქოს უნდა დამხო-
 ბილიყო.

სელჩუკიანთა მსოფლიო ბატონობის დამამხოებელი მთავა-
 რი ძალა, როგორც ჩანდა, საქართველოდან მოდიოდა.



და თურქებმა გადაწყვიტეს უკანასკნელი სრული ძალეობით შეუროლიყვნენ მათი „მთავარი დამამზობლის“, საქართველოს დასამზობად.

და შეიყარა „უოველი თურქობა“ და წამოვიდა საქართველოს „ერთგერ და სამუდამოდ“ წასახდენად.

400 000 თურქი მოთქარუნობდა.

მთავარსარდლად ნეკემად-დინ ილდაზი მოუძღოდა. დავით აღმაშენებელიც ელოდა მტერს, ელოდა 55-56 ათასი მეომრით: 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი, 500 ოესი და 100 ფრანგი-ყვაროსანი.

მაშ, მოდიოდა „უოველი თურქობა, მხედრობად შემძლებელი, ყოველი ქუეყანისა“. მოვიდნენ „სიმრავლითა, გითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქუეყანა თრიალეთს, მანაგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამით ადგილთა“.

ღიახ, დიდგორი შეიქნა სახელოვანი ბრძოლის წიანდაგო, ხოლო წათლია — დავით აღმაშენებელი. ასე ისურვა, გადაწყვიტა და განასრულა. მას სწორედ აქ, ტფილისიდან ნახევარი დღის სავალზე, დიდგორის ვიწრობებში და მიმრეც-მომრეც სანახებში უნდა ჩაეჭვდა რიცხვით ათჯერ უპირატესი მტრის ურდო, ვინძლო გელად გაქრის, გაშლისა და ფართო მიმოქცევის საშუალება არ მიეცა მისთვის.

დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა ომის ღმერთისთვის ძალისძალად გამოეგლიჯა ხელიდან ბრძოლის სასწორი, რომელზეც ოთხასი ათასი თურქისა და ორმოცდათხუთმეტი ათასამდე ქართველის სიცოცხლე ქანაობდა.

ჯარი საომრად დაალაგა და სიტყვით მიმართა: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ქვეყნისა და სჯულის გადასარჩენად კვლავც ვაეკატურად ვიბრძოლებთ, არამეთუ თურქთა, ეშმაკის ამა მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკთა მხედრობასაც ადვილად დავამარცხებთ. მაშ, ვილოცოთ სამშობლოსა და ქრისტესათვის და ფიცი დაედოთ, რომ აქ, ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით, ვიდრე აქედან შერცხვენინილი გაეჭყევიოთ. ახლა კი ამ ხეობის შესავალი, რომლითაც აქ შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ, ვინძლო ვისმეს გულში ჩარჩენილი გაქცევის სურვილი ამით ამოიქოლოს. მაშ, გაემზადეთ, ძმანო და შეილნო, ქრისტესთვის და საქართველოსთვის“.



ასეც მოიქცნენ --- ხეცში შესასვლელი ხეებით ჩახერგეს და

საომრად შეიმართნენ.

მაშ, დიდგორის ბრძოლა.

12 აგვისტო 1121 წლისა.

იმ დღეს თურქები ბრძოლის დაწყებას არ ელოდნენ, მაგრამ მაინც დაიწყო სავსებით უცნაურად: ქართველთა ბანაკს 200 მეომარი გამოეყო და თურქთა ბანაკისაკენ გაეშურა გულდანდობილად. რაკი იმათგან უმრავლესობა თურქებმა ყიფჩაყებად შეიცნეს, ქართველთა მოლაღატეებად და მათგან გამოქცეულებად ირწმუნეს და თავის შუაგულ განლაგებაში შეუშვეს. მისულებმა კი მისვლისთანავე იარაღი გამართეს და თურქებს დაერივნენ გასაოცარი თავგანწირვით. სანამ თურქები გონს მოეგებოდნენ, თვითონ დავითმა ელვისებურ იერიშზე აფრინა ქართველთა მთავარი ძალები.

საშინელი ხოცვა-ჟლეტა თავიდანვე ქართველთა ძლევაშუწყებლობით წარიმართა. გადამწყვეტ ეამს ბრძოლას ჩაეჭრა ქართული მხედრობის საგანგებო ნაწილი, რომელსაც დავითის მამაცი ძე, დემეტრე ბატონიშვილი მიუძღოდა.

ბრძოლა დამთავრდა.

ქართველთა მეფეს ხელთ ეპყრა მრავალ მანამდელ გამარჯვებათა შორის ყველაზე დიდი ძლევაშოსილების კვერთხი.

თურქთა უზარმაზარი არმია თითქმის სულ გაწედა. „აღივსნეს ველნი, მთანი და დღეუნი მათის მძორებითა“. ხოლო, ვინც გაქცევა მოასწრო, იმათ რვა დღეს სდოეს ცხენოსანმა ქართველებმა, მანამ, სანამ საქართველო-სომხეთის საზღვრებიდან არ გადაარეკეს.

თავში მძიმედ დაქრილმა ნეკმ ად-დინ ილაზმა თვითონაც ძლივს გაქცევით გაასწრო სიკვდილს, თუმცა ერთ წელიწადში ისევ იმ კრილობამ მიაცილა სამარის კარამდე.

დიდძალი ნადავლი დარჩათ გამარჯვებულებს. ნადავლის ყველაზე ძვირფასი ნაწილი დავითმა შესწირა გელათს.

დიდგორი ისტორიაში დარჩა ვითარცა უბრწყინვალესი ზენიშანი ქართველთა უებრო გმირობისა და მარადიული უკვალებობისა.

დიდგორი ქართველი ხალხის სალოცავ მოვლენად იქცა.

დიდგორის უმაღლეს მთას ხალხმა „დავითის მთა“ დაარქვა, ხოლო იქვე ველზე აღმართულ ბორცვს — „დიდგორის ბრძო-



ლაში დაღუპულ ძმათა საერთო სამარე“. ხალხი დღემდე და-
ბეჯითებით ამბობს: როცა დიდგორის ომში დაღუპული ქართ-
ველი გმირები საერთო სამარეში ჩააწვინეს, რიგად წაწვდი-
ნენ და ლაშქარმა აუარ-ჩაუარა და ზოგმა მუჭ-მუჭა, ზოგმა კალ-
თა-კალთა მიაყარა წაომარი და ნასისხლარი მიწა — და ასე
აღიშართა ეს ბორცვი ძმათა საფლავზეო...

ყოველწლიურად ზეიმობდა ქართველი ხალხი „დიდგორი-
ბას“.

დიდგორი შეიქნა პროლოგი მომდევნო ფეხბედნიერი მოვ-
დენისა ქართველი ხალხის მაღალღირსეულ მატრიანეში — ტფი-
ლისის დაბნისა და საქართველოს ს რ უ ლ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე -
ბ ის ა.

1122 წლის დამდეგს დავით აღმაშენებელი ტფილისში შე-
ვიდა.

იგი თავისი ზეობის მწვერვალზე იდგა.

ოთხასწლოვანი უცხოური უღლისაგან გათავისუფლდა სა-
ქართველოს წმინდა სატახტო!

სამუდამოდ გათავისუფლდა..

მომდევნო წელს დავითმა აიღო დმანისი და ამით საქარ-
თველოს გათავისუფლება და გაერთიანება დაგვირგვინდა.

ყველა ქართული მიწა უკვე საქართველოს „მეოთხე გამა-
ერთიანებლის“ ხელში მოქცეულიყო.

ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტი დავით აღმაშენებე-
ლმა ქუთათისიდან ტფილისში გადაიტანა.

იმავე 1122 წელს განძის თურქობამ სცადა თურქულ სისხ-
ლთა ამოღება ქართველთაგან. დავით მეფემ მაშინვე შეუსია
გარი საქართველოს ამ ძველ სამტრო-საბუღარს. მრავალი თუ-
რქი მხარგაყრული დაყარეს ურემბზე და, ურიცხვ ნადავლთან
ერთად, „ცხვრის ფარსავით“ გამოირჩეეს ტფილისისაკენ.

1123 წელს კი დიდი სულტანი მაჰმუდ მუჰამედის ძე შე-
შოესია ქართველი მეფის ყმადნაფიე შირვანს და შირვანშაჰიე
ტყვედ აიყვანა. — შენ ტყეთა მეფე ხარო, — შემოუთვალა მა-
ჰმუდმა დავითს, — და თუ ვაჟკაცი ხარ, სამალავიდან გამოდბი
და ისე შეზხვდიო, ან მეუმე და დიდძალი ძღვენი გამომიგზავ-
ნეო.

განრისბდა დავითი. ისევ იიშალა და აზვავდა საომრად. მა-
შინვე შირვანისაკენ გაფრინდა ქარით.

როგორც კი ქართველთა მოახლოება სცნო, დაფრნობა მკერ-
ბარა მაჰმუდ სულტანი და ისლა მოასწრო, შემახას ცეცხლში შევლი
კეტილიყო.

ბიზლინოთქკა

ქართველებმა შემახას ალყა შემოარტყეს.

რუებ სულტანის მაშველი ჯარი გამოიწვია. ქართველები გა-
ეგებნენ და შეებნენ. ოთხი ათასი თურქი პირველი დატაკების-
თანავე დააწვინეს და დარეცეს. დანარჩენებმა გაქცევით უშვე-
ლეს თავს.

ეს რომ მაჰმუდ სულტანმა შეიტყო, შიშით ლამის ჭკუიდან
შეუცდა და სხვა უკეთესი ვერა მოიგონა რა — სასდუნში („მწვი-
რის გასადინარ ნახვრეტში“) ჩაძვრა და შმორითა და ზინზლით
ამოლართხულმა ძლივს დააღწია თავი ტყვეობას.

მტკიცედ შემოიშვიდრა დავით მეფემ შირვანი, კასპიის
ზღვის ასწვრივ ავიდა, აიღო დარუბანდი და ჩრდილოეთ მომ-
თაბარეებს სამუდამოდ აღუკვეთა ამ გზით ამიერკავკასიაში
შემოჭრისა და თარეშის იმედი.

როგორც კი დარუბანდიდან შემობრუნდა, „მყის აღისაბო-
ლა ვითარცა არწივმან“, სომხეთს ჩაიჭრა, ყველა იქაური ცი-
ხიდან თურქები გარეცა და ქართულ სამანებში მოაქცია ეს
ყველაზე ახლობელი მოძმე ქვეყანა.

დავით მეფე ტფილისში ახალი დაბრუნებული იყო, რომ
მეფე მოიჭრნენ ელჩები სომხეთიდან, თურქები შემოჭრილან
დიდ სომხურ ქალაქში, ანისში, მთავარი ტაძრიდან ჯვარი
მოუგლეჯიათ, ჯვრის ნაცვლად ვერცხლის ნალი (თურქული ნა-
ხევარმთვარე) აღუმართავთ, თვითონ ტაძარი მაჰმადიანურ მი-
ზგიითად გადუქცევიათ, ქალაქში თურქული ციხიონი ჩაუყენე-
ბიათ. შეელას ითხოვდნენ სომეხი პატრიოტები ქართველი ბე-
ლმწიფისაგან.

სამ დღეში 60000 მეომარი შეიყარა მეფის ძახილზე. სამ
დღეში ჩავიდნენ ანისს. თურქები გარეცეს და გადახვეწეს, ანი-
სის ლავრაზე ისევ ჯვარი აღმართეს და მიზგიითად ქცეული ტა-
ძარი ისევ სომხურ-ქრისტიანულად აკურთხებინა სომეხ კათა-
ლიკოსს ქართველმა მეფემ.

ანისის ტაძარში დედოფალი კატრონივე ემარბა — სწორედ
ამ ტაძრის ამშენებელი ბერძენი ქალი. დავითი ქართველთა და
სომეხთა ამალით იმ საფლავს მიაღვა და სამგზის ჩასძახა: გი-

ხართდენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ლმერთმან სუფარი მგნ
უსჯულოთა ხელთაგან“...

ანისის დასაცავად დავითმა დატოვა მესხი აზნაურები სვეტიცხოველში
თონ ისევ სამხრეთ სომხეთში ჩავიდა და ისევ შემოიხტა
ვანანდი, ხაბანდი და არცახი.

ამგვარად, ქართველ-სომეხთა ოდინდელი ძმობითა და თა-
ნადგომით, კვლავ ერთიან სამშო-სამეზობლო საცხოვრებელში
მოექცა ეს ორი, ძველთაძველი, ცივილიზებული ერი.

სომხეთის შემოერთების შემდეგ დავითს ისევ დასჭირდა
კასპიისაკენ ლაშქრობა. შირვანში ისევ საომრად შემართული-
ყვნენ თურქნი. ისევ აიღეს ქართველებმა შემახა და დარუბან-
დი. ისევ გაამაგრეს კასპიაზე ქართული სამანები. სრულიად
შირვანი (ძველი ალბანეთი) თურქთაგან განიწმინდა და საქარ-
თველოს შემოუერთდა. დავითმა შირვანის ციხეებში კახთა და
პერთა ძლიერი ციხიონები ჩააყენა და ეს ქვეყანა საგამგებ-
ლოდ მისცა მწიგნობართუხუცესსა და ჭყონდიდელს სვი-
მონს, ვიოტვი ჭყონდიდელის დისწულს, მის „მომსგავსებულ-
სა და ყოვლითურთ სრულსა და ბრძენ კაცს“...

დავით აღმაშენებლის მოთავეობით წარმოებულ იქცა ოცწლი-
ანი ომები დიდი შედეგებით განესრულა. ქართველი ხალხის
წინამძღოლობით შეიქმნა კავკასიელ („ამიერ“ და „ამიერ“)
ხალხთა ერთიანი მძლავრი სახელმწიფო, „ნიკოფსიითგან (ტუ-
აშე) დარუბანდამდის (დერბენდი) და ოვსეთიდგან არეგაწამ-
დის (სამხრეთ სომხეთი)“.

მაშ, დავით აღმაშენებელი იყო შემოქმედი სრულად კავ-
კასიის ერთიანი იმპერიისა (ვინძლო ამ სიტყვამ არ შეგ-
ვაშინოს).

დავით აღმაშენებლის ფენომენი კულმინაციური შეჯამე-
ბა იყო ქართველი და კავკასიელი ხალხების ოფლითა და
სისხლით გაედენთილი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. ეს
იყო შედეგი ქართველი ხელმწიფის დაუცხრომელი ღვაწლისა
და საქნიანობისა, რომლის შედეგად დაემხო ამიერკავკასიის
ცივილიზებულ ხალხთა გათურქება-გადაგვარების საფრთხე.
ქართველი ხალხის მძიმე სისხლის ფასად შექმნილ ერთიან,
მძლავრ სახელმწიფოში „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის და
ოვსეთიდგან არეგაწამდის“, ყოველი „დიდი“ და „მცირე“
ხალხი იწყებდა ცხოვრებას სახვლიო და სამერმისო არსე-
ბობის ძლიერი რწმენით.



და გაისმოდა, უაქველად გაისმოდა „სადავითო საბელ-
წიფოში“:

„ნეტავ იმ ერსა და ქვეყანასა ზედა, რომელსაც მხარედას
რავს მარადიული საკითხავი: ვიქნები თუ არა ხვალ? იქნება
თუ არა ენა ჩემი და ერი ჩემი და ბუნება ჩემი ხვალ, ზეგ,
მერმისად, სამარადისოდ?“

„გვი შენ, ერო დამცობილო, რომელსაც მარადიულად
გტანჯავს ეს საკითხავი: ვიარსებებ თუ არ ვიარსებებ?“

„დამანებებენ არსებობას თუ არ დამანებებენ უფრორე
მრავალრიცხოვანნი ერნი ამა ქვეყნისანი?“

„და აჰა, დავით ქართველთა მეფემ დაამკვიდრა იმედი
მცირერიცხოვან ხალხთათვის ხვალინდელი და სამერმისო
არსებობის გარანტიისა“.

ქართველმა მეფემ იხსნა კავკასიის ხალხები გათურქება-
გადაგვარებისგან.

თურქობა სრულიად ახალი, „უცხო ჭიშის“, ყველაზე სა-
შიში მტრობა იყო საქართველოსთვის და კავკასიის სხვა
ხალხებისთვის. იგი არ ჰგავდა ჩვეულებრივ, „ტრუფარეტულ“
მტრობას, მტერთა საომარ კვეთებას, მხოლოდ მტრულად სი-
სხლისდგრას, მხოლოდ ძარცვას და დახარკვას, პომპეუსის,
მურვან ყრუს, ბულა თურქისა თუ აბულ ყასიმის შემოსევათა
მსგავს „მოქცევასა“ და „უაქველას“.

არამედ — თურქები მოდიოდნენ დედა-ბუდიანად, დიდი-
ან-პატარიანად, ქალიან-კაციანად, ცხვარიან-ძროხიანად, ცხე-
ნიან-აქლემიანად, ძალღიან-კატიანად, ტილიან-რწყილიანად...

მოდიოდნენ და აღარ მიდიოდნენ.
მოდიოდნენ უსამშობლონი და მომთაბარენი.

და ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება ისედაც მანამდე
უამრავ უბედურებათა მტვირთველი საქართველოსთვის.

უბედურების „სიახლე“ სწორედ მტრის მომთაბა-
რეობა იყო.

ქართველი კაცის ცხოვრების ურყევი და უცვლელი სა-
ფუძველი ხომ მკვიდრი სამეურნეო დარგები იყო — მიწათ-
მოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, და ცალ-
კე მესაქონლეობა, მისთვის განკუთვნილი საძოვრებით.

ხოლო, თურქი მხოლოდ მეჭოგე-მომთაბარე იყო და სხვა
„კულტურული მეთრნეობისა“ არც რაიმე გაეგებოდა და არც



გაგება ესურვებოდა. მისი „სიმკვიდრე“, მისი „ფუტე“, მისი „სოფელი“ და „დაბა-ქალაქი“ თითო-ორი ჯგუფის მხრიდან აკინძული კარავი იყო, მისი „სამშობლო“ კი — იალ-კილაღ, აღმა-დაღმა მოარული, მთა და ბარად მომთაბარე ყიშღალ-იალღი.

და მიუსია თურქმა-სელჩუკმა ცხერის ფარა და საქონლის ნაჭირი ქართველის მადლით, ბარაქით და სინოყვირით გატენილ ყანას, სიტყბოებით ფეხმძიმე ვენახს, ბაღსა და ბოსტანს.

ასეთი სინოყვირე და ღვთაებრივი გემო მანამდე არ უგემნია უდაბნოური სიცხით, სიმწირითა და სიყმილით განაწამებ სამხრეთელ ჯოგსა და მეჯოგეს.

და ცოცხალი თავით რაღას მოშორდებოდა
და მოდიოდა!
და აღარ მიდიოდა!

და მრავლდებოდა, ვითარცა ქინკლა!
მრავლდებოდა საქართველოს „მოსაჭმელად“ და „შესაჭმელად“.

ყიშღალ-იალღური მომთაბარეობა სჭამდა და ინელებდა საქართველოს მკვიდრ, კულტურულ მეთრნეობას, ეს კი ქართულობისა და ქართველობის მოშლასა და „შეკმას“ ნიშნავდა.

ღიახ, — თუ მანამდელი ყოველი მტერი — ყოველი პომბუესი, მურვან ყრუ, თუ აბულ ყასიმი — „ჩვეულებრივ“, საქართველოს ებრძოდა, თურქობა მარტო საქართველოს კი არა, საზოგადოდ ქართულობას უქადდა გადაშენებასა და გადაქარებას. ასე იყო, ვინათგან საყუთრივ ქართულობა არის იგივე, რაიცი ქართული სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სისტემა.

ყველა მანამდელი მტერი საქართველოს წასახდენად მოდიოდა მხოლოდ ხმლით, ხოლო თურქი მოდიოდა ხმლითა და ცხერით, ხოლო ცხვარი ხმაღზე უარესი იყო.

ღიახ, მშვიდი და უწყინარი ცხვარი აღწევდა იმას, რაიცი ვერ მოეხერხებინა რომაელი იმპერატორების, ირანელი შაჰინშაჰებისა და სარკინოზი ხალიფების მსოფლიოს სისხლმაკცივარ მახვილებს.

ვეღერობამ მრავალი ცივილიზაცია გადაჩეხა დაღუპვისა

და დაქვესკნელების უფსკრულში. აქამდე კი საქართველო და ქართველობა არასოდეს ასე ახლოს არ მდგარა სრულად გადაშენებისა და დაღუპვის უფსკრულთან.



იღვა ავონია საქართველოსი:

თურქი — ხმლითა და ცხერიო;

ადგილობრივი ფეოდალი — სეპარატისტული, განკერძოებითი თავაწყვეტილი ბრძოლით, თანამომძმეთა სისხლის ქცევით და სისხლის ჩაქცევით.

მხოლოდ საოცნებო ზღაპრულ მზეკაბუქს თუ შეეძლო საქართველოს დამღუპველი ურჩხულის ორივე თავის გაგდება — გარეულისაც და შინაურისაც.

და ეს შეძლო დავით აღმაშენებელმა.

მან ოცი წლის მანძილზე, სამოცი დიდი და მცირე ბრძოლით, არამც თუ სავსებით აღუკვეთა თურქ დამპყრობლებს კავკასიურ მიწაზე ფეხის დაბიჯების წყურვილი, არამედ სრულიად მაჰმადიანური სამყაროს მეუფე „სულტანი დასუა მოხარკედ თვისსა“.

ათეულობით „დიდი“ და „მცირე“ ენა ჰყვოდა დავით აღმაშენებლის სახელმწიფოში, მაგრამ არც ერთი ყვავილი არ დაუქნია და არ ჩაუჩაგრია მალაქულტურულ და მალაღზნეობრივ ქართველ გვირგვინოსანს.

ათეულობით რელიგია, რელიგიური სექტა და თავისუფალი ერესი მიმოიქცეოდა დავითისეულ საქართველოს ქრისტიანულ სამყაროში და ყველა უკლებლივ და სწორპატიობით, შეწყნარებული და ნებადართული სუნთქავდა და სუფევდა, გულდანდობილი სუნთქვით და სუფევით.

ქრისტიანი ხელმწიფე მაჰმადიანებს ქართველთა და სომეხთა თანასწორ მოქალაქეებად აცხადებდა. იგი „გამათურქებელ თურქობას“ ებრძოდა დაუნდობლად და არა მაჰმადიანურ-რელიგიურ სინდისს. თვითონ დავით მეფე ყურანს და მაჰმადიანურ ლიტერატურას ისევე ზედმიწევნით იცნობდა და აფასებდა, როგორც ბიბლიას და ქრისტიანულ ლეთისებტყველებს.

ასეთი იყო დავით აღმაშენებლის სახელმწიფო: მრავალეროვნული, ყოველი ტომისთვის თანასწორუფლებრივი.

და ვაი იმ ქართველს, ვინც ამ მრავალფეროვანი „ეროვნულ-რელიგიური სიმფონიის“ დაარღვევას შეეცდებოდა!



მაგრამ სახელმწიფო ესე — მაინც იყო საქართველო.

და ვაი იმასაც, ვინც საქართველოს შიგნით მტრს ეძიებდა ველოს გარეთ ქართველობის სამტროდ ხმალსა მტრს ეძიებდა ძრავდა!

დავით აღმაშენებლის „იმპერიაში“ იმდენი ენა ჰყვავდა, რამდენიც ტომ-თესლი იყო. მაგრამ საერთო-სახელმწიფოებრივი ენა „ნიკოფსიითგან დარუზანდამდის“ — იყო ქართული ენა.

ქართული ენა საქართველოში უნდა სცოდნოდა ყველას — ქართველსაც და არაქართველსაც. ეს პატივიც იყო, საჭიროებაც, სინდისიც და მოვალეობაც.

დავით აღმაშენებლის დროს (და მის შემდგომ ას ორმოცდაათი წლის მანძილზე) სრულიად კავკასიისთვის (და მნიშვნელოვანწილად წინა აზიისათვის) ქართული ენა ისეთივე დომინანტურ და კულტურულ ნიშანს ეტად იქცა, როგორც ბერძნულ-ელინური ენა ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ ევრაზიაში („ქართლიზმი“ — „ელინიზმი“)...

...თვითონ დავითი ანაგებიტ იყო ახოვანი, გოლიათურად ტანაშვეტილი, სხეულით — განურღვეველი, სახით — სახიერი, წყობილ-ნაკეთოვანი, თვალით — მძლავრი, მზერით — მზის დამკორტნავი, ხმით — ლომებრ ზახიანი და გულით — „უშიში, ვითარცა უხოციო“. საოცარი და საწაღელი ღიმილი ჰქონდა — ეამსა სიხარულისასა, და გულის შემძვრელი მკუმუნვარება — ეამსა მკუმუნვარებისასა.

მძლავრი იყო მისი სხეული.

მძლავრი იყო მისი გონება.

ორი რამ, ერთმანეთისაგან განუყრელად, მთელი სიცოცხლის მანძილზე ხელიდან არ გაუგდია დავით აღმაშენებელს — ხმალი და წიგნი.

წიგნის გარეშე თვით სიცოცხლაც უსაგნოდ და უსიხარულოდ მიაჩნდა მეფეს. წიგნის კითხვა მისი სულის ზეიმი იყო. თვითონ იტყოდა ხოლმე დავითი: „ეაცთა მიმნიჭებელი პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს“. წიგნს კითხულობდა გამუდმებით — ინახისა და სერობის შემდგომ, მკზაერობისას, ნადირობისას, წიგნებით დატვირთული ცხენები მისდევდნენ ბრძოლად მიმავალ მეფეს.

თავდავიწყებამდე იცოდა კითხვა. ერთხელ, როცა ტფი-



ღისი ჯერ კიდევ მტერს ეძიოდა, მის დასაზვერად წასულიყო სამასი მხედრით. ავჯალის ხევში შესასვენებლად მუხრანის მღვდელმთავრის კაცი გამოჰყო და ლოჭინისაკენ გაუწავა თვითონ კი, წიგნისა და ხმლის ამარად, გაშორდა თავისიანებს და დაიბარა, არ მომიკითხოთო და ხელი არ შემომალლოთ, საწამ მე თვითონ არ მოვალ თქვენთანო. წავიდა და ჩაუჯდა კითხვას, ჩაუჯდა და ისე ჩაიძირა, არც კი გაუგია, როგორ დავსცემია მის თხუთმეტ ქარფველს ქალაქიდან გამოსული ასა თურქი. საომარმა ყოყინამ და ბარადის ზრიალმა გამოაფხიზლა მღვდელ. ცხენს მოახტა, ბრძოლას მიაშურა, „მსწრაფდ შთაბრიალდა ვითარცა არწივი“ და თურქები „დააბნივნა ვითარცა კაკაბნი“. ბევრი კიდევაც „მოსწყვიდნა“, დანარჩენმა თურქებმა ზურგი აქციეს „გარდაარეულ ლომს“ და ტფილისის კედლებს შეეფარნენ, ეს უწმებლიე შერკინება ასე იღბლიანად გათავდა. დავითმა წაომარი ხმალი აიღო ქარქაშში ჩასაგდებად, მაგრამ მტრის საქურველზე „დავითური სიმძლავრით“ ცემას ხმალი დაედგლარტნა და ქარქაშშიც აღარ ჩაეგდო იგი („ფრიადისა ცემისაგან ხრმაღმანცა დაღუღლარტნილმან უარყო ქარქაში თვისი“).

ბრწყინვალედ იცოდა იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურა — სასულიეროც და საეროც, წარმართულიც, ქრისტიანულიც, მაჰმადიანურიც. ვითარცა ისლამის დიდებული მცოდნე, განძაში ერთ სწავლულ ყადს ყურანის წარმოშობის ფესვებზე ეკამათებოდა დავით მღვდელ. ასევე დიდებულად იცნობდა მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებს — ისტორიას, ფილოსოფიას, ასტრონომიას და პოეზიას. თვითონვე იყო მემატრიანეც, სიბრძნისმეტყველიც, ვარსკვლავთმრიცხველიც და პოეტიც. დავით მღვდელს მაღალ პოეტურ ნიჭიერებაზე მეტყველებს მისი საოცარი პოეტურ-ფილოსოფიური თხზულება „გალობანი სინანულისანი“.

დავით აღმაშენებლის ზნემაღალი კულტურული მოღვაწეობის ზენიშანი შეიქნა მისგან აგებული სავანე გელათისა.

მშენებლობა დაიწყო 1106 წელს, მაშინდელი დედაქალაქის, ქუთათისის მახლობლად, „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“...

აღაშენა ერთდროულად — ტაძარიც და აკადემიაც.



მეფე თვითონ იყო ტაძრისა და აკადემიის მთავარი ხელ-
როთმოდღვარიც, უპირველესი ქვის ოსტატიც და აღმშენებელიც
დაღვრილი ქვათამბციროთველიც.

იმთავითვე ითხზებოდა ლეგენდები მეფე-ტაძრის გა-
სათყარ შრომისა და ოფლისღვრახე, ღვთაებრივ ძალ-ღონესა
და შრომით განსპეტაკებულ სულზე. მთავარი ტაძრის სამხ-
რეთ-დასავლეთის ფუძეში რომ ორი უზარმაზარი (თითო
არანაკლები ორ-ნახევარი ტონისა) ქვაა ჩატანებული, ის ქვე-
ბი მდინარე წყალწითელადან ტაძრამდე დაკიდებულ აღმარ-
თზე თვითონ დავითმა ამოიტანა საკუთარი ზურვით... ეშმაკი
უშლიდა ხელს დავითს გელათის მშენებლობაში, მაგრამ და-
ვითმა ის ეშმაკი შეიპყრო, ჯორად აქცია, ლავამი ამოსდო,
ზედ მოახტა და სამუდამოდ დაიფრვაო... და სხვა მისთანანი.

მთავარი ტაძრისა და აკადემიის გარდა გელათურ ანსამბ-
ლოვანში შედიოდა კიდევ ერთი ნაგებობა, ნაშენები დავი-
თისა, ვითარცა ტეშმარიტი განსახიერება მეფის დიდი კაცთ-
მოყვარეობისა, ეს იყო ქსენონი, სამკურნალო-საავადმყოფო.
აქ თვითონ მოდიოდა მეფე ავადმყოფთა და დაერდო-
მილთა მოსანახულებლად. ყველას მოიკითხავდა, ყველას გა-
დაპკოცნიდა. ყველას მამასავით „აფუფუნებდა“, გაამხნევე-
ბდა, საკუთარი ხელით გასინჯავდა ყველას ტანსაცმელს, სა-
გებელ-საძინებელს, ჯამ-ჭურჭელს, საჭმელს და სასმელს.

გელათი დიდი კულტურის ცენტრი შეიქმნა. დავითს აქ
.მოჰყავდა მაღალღირსეული მეცნიერნი, სწავლულნი, მოღ-
ვაწენი. აქ მოიყვანა სამოღვაწოდ სახელოვანი ფილოსოფოს-
ნი — იოანე პეტრიწონელი და არსენი, შემდგომ-
ში იყალთოელი.

რამდენიმე წლის შემდგომ დავითმა არსენი კახეთს გაგ-
ზავა. აქ, იყალთოში, არსენმა მეფის მფარველობით და
მზრუნველობით აღაშენა ცნობილი უმაღლესი სასწავლებე-
ლი — იყალთოს აკადემია.

ხოლო ქართლში შიომღვიმის სავანე გააძლიერა და მე-
სამე დიდ კულტურულ ცენტრად აღამაღლა დავითმა.

ბევრს, ძალიან ბევრს ზრუნავდა დავითი საქართველოს
გარეთ არსებულ სავანეებზე — საბერძნეთის, ბულგარეთის,
სირიის, პალესტინისა და სინას მთის ქართულ ტაძრებსა და
სამწერლობო კერებზე.



აშენებდა ახალ ტაძრებს, აღადგენდა ძველს, იგებდა ახლებს, სავაჭრო და საფოსტო სახლებს. სალოცავებს, სასაფლაოებს და ყოველი რელიგიის მიმდევრებს. საგანგებო სახლი იუგო ტფილისში მაჰმადიან პოეტებსა და მთაბროვნიეებს. თვითონ მიდიოდა, ესწრებოდა და მონაწილეობდა მათ პოეტურ და ფილოსოფიურ მეჯლისებში. ესწრებოდა და ყველას ანცვიფრებდა თავისი მაღალგონიერული სიტყვებით სომეხ-ქართველ სასულიეროთა და საეროთა შეხვედრებზე.

დაუცხრომლად ზრუნავდა მეფე ახალგაზრდობის აღზრდაზე. ქაბუჯ ქართველებს უცხოეთის კულტურულ ცენტრებში აგზავნიდა სასწავლებლად და „საწურთნელად“.

ჟამიდან ჟამზე დაეითი სიმართლის განსაჩინებლად გავიდოდა გზაშარზე, სოფელ და სოფელ. ხალხმაც იცოდა, გამოჩნდებოდა მეფე მისი, „მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ უმდაბლესთათვის“, იცოდა და ელოდა მის სამართლიან განჩინებას მდაბიოთა, ქვრივთა, ობოლთა და უპოვართა სამტარველოდ და სამწყალობლოდ. აღიოდნენ ბორცვებზე, ხეებზე, კლდეებზე და იქიდან „ქვრეტდნენ“ გზას, რომელზეც უეჭველად გამოივლიდა „მათი მეფე“, მათთვის მოვიდოდა, მათ საპატრონოდ, მათ მიავგრელთა დასაჩაგრავად.

ცალკე ქისა ჰქონდა მეფეს, ყოველ დილით ფულით გაავსებდა და ღარიბ-ღატაკთათვის დასაარიგებლად გაიტანდა. თუკი იმ ქისას დაღამებამდე დააცარიელებდა, სასახლეში ბრუნდებოდა „მზიარული სულით და პირით“, ხოლო უკეთუ ხანკარზე მეტს ვერ გასცემდა, მწუხარედ იტყოდა: დღეს ვერ გავცეი ჩემი ცოდვებით დამძიმებულმაო, და გადარჩენილ ფულსაც მეორე დღისას დაამატებდა, ვინძლო მომდევნო დღეს როგორმე გავცე წყალობად.

და ხალხმა მას უწოდა „აღმაშენებელი“.

მსოფლიო ისტორიაში არ მოიძებნება ანეთი სახელის მქონე სხვა დიდი თუ მცირე გვირგვინოსანი...

...ქეშმარიტად დიდი იყო დაეით აღმაშენებელი, მაგრამ არც მის ძარღვებში დაედინებოდა იქორი — სისხლი ღმერთისა.

ისიც იყო შვილი სიკვდილისა.

და დასდევდა სიკვდილი დაეით აღმაშენებელს.

ჯერ, სამოც ბრძოლაში შეხვდა მას სიკვდილი პირდაპირ,



თვალდათვალ, მაგრამ სამოცხერვე უაფიქცა გმირის სკოლაში
სიმამაციო განმკრთალი და გაფითრებული. გიგლიორთიკა

მერე სიკვდილმა ბრძოლის ველს თავი მიანება და აღ-
ქმასუნებელს სწორედ აღმსუნებლობის დროს მოუწოდომა
„ანგარიშის გასწორება“; უკვე გუმბათს აღწეული გელათის
ტაძრიდან გადმოავდო და მიწას დაანარცხა. ხალხში ხმა გა-
ვარდა მაშინ: სამას ხუთი აქიმი დაადგა თავზე სიკვდილის
ხელში მოქცეულ მეფეს, სამას ხუთივე უძლური აღმოჩნდაო
და სიკვდილიც მაშინვე იზეიმებდაო, მაგრამ გამოჩენილა
სამას მეექვსე მკურნალი, გვარად ავშანდაძე, რომელსაც
თორმეტი ფურ-ირმის ნაწველ რძეში ჩაუწვნიოა მეფე და
ესრეთ განუგდია სიკვდილი მისი სხეულიდან.

აგრე არ უნდაო და ახლა შინაგამცემთა ხელით სცადა
სიკვდილმა მოცელვა სწორუბოვარი კაციშვილისა, „და ესე
არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის“.

ერთხელ, ქართლის რომელიღაც ციხისათვის ბრძოლის
ქამს, მეფე შუადღის სიციხეში პერანგის ამარად გამოვიდა
კარვიდან, გამოსვლისთანავე ციხის კოშკიდან ქეიბურმა იწიფ-
ლა. შიგ მკერდში მოხვდა მეფეს ისარი, მაგრამ თითქოს რვა-
ლის მკერდმა ისხლიტა — ისარი ხატს მოხვედროდა, მკერდ-
ზე რომ ეკიდა მეფეს.

ისევე მოსცარვოდა ხელი სიკვდილს.

მერე სანადირო ველზე გაჰყვა სიკვდილი ნადირობის
მოტრფილზე მეფეს.

მუხრანის სანახებს მიჰყვებოდა ამხედრებული მეფე, წიგ-
ნის კითხვას ჩაღრმავებული. ძაღლების ყეფამ გაჰყარა წიგნს.
ტყიდან ირემი გამოიჭრა. დავითმა მშვილდ-ისარი გამართა
და ცხენი მოსხლიტა. სწორ მინდორზე მუხანათად ჩაყვითი-
ლი ხრამი ვერ შენიშნა გაფრენილმა მხედარმა, ცხენი იმ
ხრამის კბოდეს შეასკდა, ხოლო უნაგირის ძარძაყიდან ასხ-
ლეტილი კაცი შორს დაენარცხა „და ესოდენ შეიმუხრა, რო-
მელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად“. სა-
მი დღე სისხლს აღებინებდა მკერდიდან. მაგრამ მაინც ძლე-
ული წავიდა სიკვდილი.

ბოლოს, მოსწყინდა სიკვდილს „მოცედავ ღმერთთან“ თა-
მაში და მას მიეახლა და მიესხეულა სულ უბრალო, უთვა-
ლავჯერ ნატყეპნი გზით და ნაცადი წესით. იქ შიაკითხა, სა-



დაც სიკვდილს მიეღოს ყოველი მარტივი კაცთაგანი — ში, სახლსა შინა, ჩვეულებრივ სარეცელსა ზედა... *ეროვნული*

...1125 წლის დამდევს დავით მეფე ტფილისიში *საქართველოში* ში იყო, საახალწლო დღეები იმ წლის საშინაო და საგარეო განაზრახთა განსჯას მოაწოდებდა. რომელიდაც დიდი საომარი ლაშქრობისათვის ემზადებოდა მეფე იმ ზამთარს.

და სწორედ ამ დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა წარმართვაზე ფიქრობდა დიდი ხელმწიფე, როცა უცრად ფიქრი შეიბრუნა და... დაეზადა ფიქრი ანდერძზე!

ხოლო, ანდერძი და სიკვდილი მარადიულად ერთ საფიქრალში ექცევიან.

ანდერძზე ფიქრს მხოლოდ სიკვდილზე ფიქრი აღძრავს: მე რომ წავალ... მე რომ აღარ ვიქნები... მაშინ...
ოჯახის წევრებს გადასწვდა მისი გონების თვალი.

პირველი ქორწინება ქაბუკობის ემს — სავსებით „ყმაწვილილს“ შერთეს ცალი, სომეხი ქალი, ამისგან შეეძინა პირმშო უფლისწული დემეტრე, ახლა სავსებით დასრულებული ვაჟკაცი, ტანით და სულით დიქსრ მემკვიდრე დიდი ხელმწიფისგან ეგზომ აღზევებული ქართული ტახტისა.

მეორე ქორწინება — დედოფალი გურანდუხტი, ყოფიანთა მთავრის ვთრატა შარადანის ძის ასული, ამისგან, ჯერ ორი ასული, თამარე და კატაი, შირვანისა და ბიზანტიის დედოფლები, ხოლო 1118 წელს, გიორგი მკონდიდელის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე, მეფე-დედოფალს შეეძინათ უფლისწული ვახტანგი, ანუ შინაური სახელით — ცვატა. ძალიან უყვარდა ეს უმრწემესი ვაჟი დავით მეფეს. და მიტომაც არ სურდა სამეფო ტახტის უწილადოდ დაეტოვებინა იგი.

ხოლო, ტახტის მემკვიდრეობის წესი პირმშოობის პრინციპს ემყარებოდა: ტახტი ეკუთვნოდა მეფის უფროს ძეს, მერე ამ უკანასკნელის უფროს ძეს და ა. შ.

მაგრამ ახლა დავით აღმაშენებელს საწერაი მოემარჯვებინა და ტახტის მემკვიდრეობის ძველ წესს „ასწორებდა“: საქართველოს მეფე შეიქნება დემეტრე (ეს — „ძველი წესით“), ხოლო დემეტრეს ევალებოდა თავისი უმცროსი ძმა (ნახევარძმა) ცვატა-ვახტანგი სამეფოდ აღზარდოს და თავის



შემდგომ „მეფე ჰეოს მამულსა ზედა“ (ეს — „ახალი წერის კავშირი“).

ცვატა-ვახტანგის შემდეგ კიდევ ვერთი ასულმა შექმნილია მეფეს, ისიც თამარი. დემეტრემ უმრწემეს თამარზედაც უნდა იზრუნოს, ვითარცა ღვიძლ დაზე და მამის „შვილსა საყუარელზედა“.

ანდერძი მზად იყო.

და იმ დღესვე დავითმა საქართველოს ტახტზე დასვა დემეტრე, საყუთარი ხელით „დაადგა თავსა შუენიერსა გვირგვინი ქვათაგან პატიოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, ეპა, რაბამ სვიანად ხმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანთა, და დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრობობა დღეთა ბედნიერობით“...

ახლა — „გალობანი სინანულისანი“ დავით მეფისა — გასაოცარი აღსარება, ზენაარ სულის პოეზია და ფილოსოფია:

ბუნებისაგან მონიჭებული ძალები „სჯულთაებრ“ ვერ გამოვიყენეო და მრავალი ბოროტება „დაეჭბადეო“ (ალბათ, ამას ეძახდა „ბოროტებას“: მისი ერისა და ქვეყნის მტრებს ბოროტებისთვის „ბოროტებით“ რომ აზღვევინებდა და არა „სიკეთით“);

თვალხილულ „გემოვნებას“ და გრძნობებს კარები ფართოდ გავუღეო, ვნებების მონა შევიქენიო, „ხორცთა შჯულს“ დავემონეო (უეჭველად, საყვარელი ქალისადმი ტრფიალებაც „იმონებდა“ სხეულით სრულქმნილ ვაჟკაცს. ამავე „სისუსტეებს“ უჩიოდა ალექსანდრე მაკედონელი, როცა ამბობდა — ძილმა და ქალისადმი ლტოლვამ ყველაზე მეტად დამარწმუნა, მეც რომ ადამიანი ვყოფილვარო);

ციურ ძალებს ვეთაყვანებოდიო, ვარსკვლავთა და ცთომილთა ვსწავლობდი და ვუკვირდებოდიო, საღვთო საქმეებში ვიჩქურებოდიო, ვეჭვობდიო (მეცნიერებაზე „სწუხდა“ ხელხელმწიფე);

საღვთო წიგნი სჯულნი დავთრგუნეო და მათ ნაცელად „სჯული გონებისაი“ ვიწამეო (ისევ მეცნიერულ „ცოდვას“ მიაწინებდა მეცნიერი გვირგვინოსანი);

„სხუათა სოფლის“ კიდეთა ვეძიებდიო დასაპყრობლად“



(ღიასაც, „ცოდვილი“ იყო მშობლიური ქვეყნის სამტრია
ქვეყანათა დაღაშქერა-დაპყრობაში);
ეროვნული
კავშირისთვისაც

„მარტოი ვმკვიდრობდიო ქვეყანასა ზედა“ (ღიასაც
მარტო იყო, ერთადერთი, „მოკვდავ ღმერთთა“ შორის სწო-
რუპოვარი დავით აღმაშენებელი);

„ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა“
(რა სიმძიმელია ამ ძუნწ სიტყვებში; არკი გაგვიმხილა, რა „ხე-
ნეში“ სულთაძვრანი წაჰკიდებოდა მის ხელმწიფურ სარე-
ცელს: ორცილიანობა? ან რა იყო, რა ნებითა და უნებობით
პირობაჰქმნილნი მისი ორივე ქორწინება? ან იქნებ სხვა რა-
მე „მძლავრობა“ მოეხდინოს ეფემერულად გრძნობას აყო-
ლილ ვაყვაცს მისი საქორწინო სარეცელს მიღმა?!).

ასე დაწერა და დაუტოვა შთამომავლობას დავით აღმა-
შენებელმა „გალობანი სინანულისანი“; მსგავსად დავით წი-
ნასწარამეტყველისა, გასაოცარი, მომხიბლავი და შემაზრხე-
ნი, ავტორის სასტიკი სულიერი თვითგვემით...

ასე განარიგა დავითმა უკანასკნელი დღენი ამქვეყნიუ-
რი წუთისოფლისა, და შევიდა სახლად, საიდანაც იგი უნდა
შეერთებოდა სამყაროს, „რომლისა შეუნიერება არა უხილავს
თუალსა სხეულთანსა“.

და სიკვდილიც შეჰყვა რკინის ფეხით „სახლსა სადავი-
თოსა“. შეჰყვა, რადგან სწამდა: არც დავით მეფის ძარღვებში
ჩქეფდა იქორი — ღმერთთა სისხლი.

და იდგა 1125 წელი, იანვარი, დღე შაბათი.

და საქართველოს მოუყვდა მისი მაცხოვარი — დავით აღ-
მაშენებელი.

მარადიული ძილით იწვა მისი წუთისოფელი დაუძინა-
რი მამა და პატრონი ღვიძლი ერისა, „მესიის მახვილი“,
ქვეყნის გამათავისუფლებელი და გამაერთიანებელი, მრავალ-
მხრივი რეფორმატორი და უბრძენესი სჯულმდებელი, უბრწე-
ყინვალესი მხედართმთავარი და უმამაცესი მეომარი, „მაშქე-
რებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“, სამოცი
ძღვევამოსილი ბრძოლის კავალერი, გონებაერცული პოლი-
ტიკოსი და შორამხედველი დიპლომატი, დიდსულოვანი შემ-
წყნარებელი მოყვასთა ყოველთა — ყოველთა ერთა და ყო-
ველთა სჯულთა, „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახ-
თა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოველისა აღმო-



საეკლესიო და დასაეკლესიო თვითმფლობელობით მშენებელი", კავკასიელ ხალხთა ერთიანი სახელმწიფოს დასაფუძვლებელი, უგანათლებულესი მწიგნობარი, პოეტი და ფილოსოფოსი.

მფლობელი დედამიწის შებლისა.

კაცი, რომელშიც ერთი ყველაზე დიდი ქართული სინათლე.

კაცი, რომელმაც ისევე შექმნა საქართველო, ვითარცა ღმერთმა სამყარო (მართლაც ძლიერი ყოფილა სიკვდილი, რომელმან შეძლო შემუსვრა დავით აღმაშენებლისა)...

გამეფდა 16 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, აღესრულა შობითგან 52 წლისა.

მისი სახელი სალოცავი გახდა საქართველოსთვის.

მისი სახელი შერჩა მისგანვე სვეამაღლებულ ქართულ ჯეარდნებს — „და ვ ი თ ფ ე რ უ ლ ი“.

მისი სახელი დაებეჭდა მისგანვე აღზევებულ ქართულ სახელმწიფო დროშას „და ვ ი თ ი ა ნ ი“ (ამიერიდან — „გორგასლიან-დავითიანი“).

ტფილისიდან გელათს წაასვენეს, მისგანვე იშენებულ სავანეს.

გელათის ეზოს მთავარ შესასვლელთან, მონასტრისა და აკადემიის გზაბოძალზე გათხრილ სამარტვილეში ჩაასვენენ მისი ცხედარი.

(მაშინვე გავრცელდა ლეგენდა: მეფემ დაიბარა, გზაზე დამარხეთ, რათა ჩემმა ხალხმა ჩემს მკერდზე იაროსო).

უზარმაზარ, გოლიათური ცხედრის ტოლ ქვაზე ამოკეთეს ეპიტაფია: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო რამეთუ მთნავს ესე“.

ხოლო ქართველმა ხალხმა სამარადეამოდ გულის ფიცარზე დაიწერა არსენ იყალთოელისგან შეთხზული ეპიტაფია:

ვის ნაქარმავეს მეფენი შეიღწიე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შოამესხნეს,
აწე ამათსა მოჰმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.

გლოვობდა სრულიად საქართველო: მას მოჰკვდომოდა დავით აღმაშენებელი.

საქართველოს ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო — უ-და-ვით-ოდ.



დემეტრეს თავიდანვე მიიჩნეოდნენ დავითის შემეცოდრედ.

1125 წელსვე ირანელებმა დავით აღმაშენებლის სიკვდილი მათთვის ხელსაყრელ დროდ ჩათვალეს და დმანისსა და ხუნანს შემოესივნენ. დემეტრე მეფეც ფიცხლავ გაიჭრა ქართული ჯარით, მტერს ორივე ციხე დააგდებინა და დამარცხებულმა საქართველოს სამანებიდან გადარეკა.

მაგრამ დემეტრეს დათმობა მოუხდა ანისისათვის ბრძოლაში. გავიხსენოთ, რომ 1123 წელს დავით აღმაშენებელმა ანისში მესტი აზნაურები ჩააყენა და სამმართველოდაც იგი ქართველ დიდებულებს ჩააბარა. დავითის სიკვდილის შემდეგ ისევ შემოვიდნენ მაჰმადიანნი ანისში და დემეტრე პირველი იძულებული გახდა ანისი მხოლოდ ყმადნაფიცობის პირობით დაენარჩუნებია და ქალაქის ხელისუფლად მაჰმადიანი ამირა ეცნო.

1130 წელს შეთქმულება გამეღავნდა დემეტრეს დასამხობად და მისი ნახევრძმის — ვახტანგის (ცვატა) გასამეფებლად. რისხვით ატანოდა დემეტრეს მამის ანდერძი და ავიწყდა და ძმას, „სამეფოდ აღზრდის“ ნაცვლად, თვალეზი დათხარა, ხოლო შეთქმულების მეთაურს თავი გააგდებინა.

1138 წელს დემეტრემ განძაში ილაშქრა, ქალაქი აიღო, მისი ალაყაფის კარები ბჭეთაგან ჩამოხსნა და გელათს ჩამოიტანა (იგი დღემდე ინახება გელათში).

1150 წლის მახლობლად ისევ მოეწყო შეთქმულება დემეტრეს დასამხობად. ამჯამად მისი უფროსი ვაჟი დავითი მოკმედებდა მამის წინააღმდეგ. დავითი ასეთ სასტიკ გზას იმისთვის დასდგამოდა, რომ დემეტრეს უფროს ვაჟზე მეტად უმცროსი, გიორგი, შეეყვარებია და ტახტის შემეცოდრედაც გიორგის ამზადებდა, დავითს გადაუწყვეტია ტახტიდან ჩამოეგდო მამა, „მარჩეველი ძისა უმცროსისა“, და შეთქმულებაში ბევრი დიდებულცი ჩაუთრევია. დემეტრემ დროზე შეიტყო, შეთქმულები გამოააშკარა, შვილს აპატია, ხოლო დანარჩენთაგან ზოგი სიკვდილით დასაჯა, ზოგსაც პატივი აპყარა და სამშობლოდან გააძევა.

იმავე ხანებში დემეტრე მეფემ ოვსეთის მეფეს დავითს



(გიორგი პარველისა და აღდეს შვილიშვილს) ცოლად შერთო თავისი ნახევარდა, თამარ უმრწემესი (დემეტრე მაშენკაძის უმცროსი ასული), რომელმაც აღზარდა მისი ტერი თიღვაში (ამ ქორწინებამ წარმოშვა ათონი, პაპა დავით სოსლანისა).

1153 წელს კარნუ-ქალაქის (არზრუმის) ამირა სალდუხი ანისს შემოესია თურქთა უზარმაზარი მხედრობით. დემეტრეც სასწრაფოდ დაიძრა მტერთან შესახვედრად. ქალაქთან გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლა ქართველთა ძლევამოსილებით გათავდა. აუარება თურქი გაწყდა ან ტყვედ ჩავარდა. ქართველებმა ტყვედ წამოიყვანეს თვითონ სალდუხი. ერთხანს ტფილისის ციხეში ჰყავდა ჩამწყვდეული თურქთა ბატონი დემეტრე მეფეს, მერე დიდსულოვნად შეიწყნარა და გაათავისუფლა.

დავით უფლისწული კი არ ისვენებდა. იგი ავადმყოფური ექვიანობით განიცდიდა მამის „გამორჩეულ სიყვარულს“ უმცროსი ძისადმი და დაუოკებელი ზნეებით ეტანებოდა სამეფო ინსიგნიებს.

და 1155 წელს მოულოდნელად დემეტრე მეფემ საქართველოს ტახტ-გვირგვინი დავითს მიუგდო, თვითონ სამეფო სამოსი განიძარცვა და ბერის ჩოხითა და სქემით შემოსილი სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა გარეჯის უდაბნოში.

ახლად გვირგვინ-ნაქურთხმა დავით მეხუთემ კი დიდხანს ველარც იმეფა და ველარც იცოცხლა. იგი გარდაიცვალა იმავე 1155 წელს, გამეფებიდან შეექვსე თვეს. დარჩა მცირეწლოვანი ძე — დემეტრე, ანუ დემნა.

შვილის სიკვდილი რომ შეიტყო, ისევ მოუბრუნდა გული მეფობისკენ დემეტრე მეფედყოფილს. ანაფორა გაიძრო, კვლავ სამეფო ტახტზე ავიდა და თანამოსაყდრე ხელმწიფედ დაისვა თავისი რჩეული შვილი გიორგი.

მაგრამ აღარც თვითონ უცოცხლია დიდხანს დემეტრე მეფეს. იგი გარდაიცვალა 1156 წელს. დარჩა ორი შვილი — რუსუდანი და გიორგი.

დავით აღმაშენებლის უზარმაზარი მემკვიდრეობა სრულად ჩააბარა თავის შვილს, საქართველოს ახალ ხელმწიფეს, გიორგი მესამეს.

დემეტრე იყო ნიჭიერი და განათლებული პოეტიკოსი.



ფლობდა ბერძნულ, სომხურ, არაბულ და ასურულ ენებს.
 დემეტრესთვის მიუძღვნია დიდი ისტორიული პოემა, რომელიც
 ანე ქიმქიმელს, სახელოვან ფილოსოფოსსა და პოეტს
 დაკრძალეს გელათს.

დღემდე ცოცხლობს დემეტრე მეფის უბრწყინვალესი სი-
 მღერა-საგალობელი, განარინებული ხელმწიფისა და პოეტის
 იღუმალი სულის ნაყოფი:

შენ ხარ ვენახი, ახლად აღუფრეებელი,
 შორნი, კეთილი, ედემში დანერგული,
 ალუა სულნნელი, სამოთხით გამოსარული,
 ღმერთთან შეგაპკო, ვერავენ გვობს ჭებული,
 და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინებული.

ზ ი ო ბ ა ბ ი ო რ ბ ი მ ი ს ა მ ი ს ა

საქართველოს ტახტზე კვლავ ძლიერი მბრძანებელი დაჯ-
 და, გიორგი მესამე (1156—1184), ღირსეული ნაშეიერი და-
 ვით აღმაშენებლისა, მამამის დემეტრეზე, დიახაც, უფრო აღ-
 მატებული ენერგიისა, გმირული სულის რაინდი, მტკიცე ნე-
 ბიანი, შინა და გარე მტერთა მიმართ შეუპოვარი და დაუნ-
 დობელი, ბრძოლასა შიგან უმამაცესი მეომარი, შესანიშნავი
 მხედართმძღვანი, ნადირობის მოტრფიალე, უბადლო ჩუბინ-
 მოისარი.

სამხრეთით, სომხეთისა და რანის საზღვრების გასწვრივ,
 ისევ მძლავრობდნენ თურქული სასულტნოები და საამიროე-
 ბი. მათ შორის უძლიერესი იყო ხლათის სასულტნო,
 ანუ შაჰ-არმენთა სახელმწიფო. გიორგიმ გამეფების წელ-
 სვე კალხეევანისკენ ილაშქრა, შაჰ-არმენი სასტიკად
 გაანადგურა და „წარმოტყუენა ყოველი ხეენები კლდოვანნი
 და ქალაქები აშორნისა“.

1161 წელს ანისის საეხებით შემოსაერთებლად და შე-
 მოსამტკიცებლად გაემართა გიორგი. მისეღისთანავე იერიში
 ბრძანა და სასტიკი ბრძოლა და „ძგერა ჭუნეთა“ შაჰმადიან-
 თა მხედრობის განადგურებით გათავდა. გიორგიმ ანისში ცი-
 ხოვნად ორი ათასი ქართველი ჩააყენა. ქალაქი სამმართვე-
 ლოდ თავის ამირსპასალარს, ივანე ორბელს ჩააბარა,



ხოლო თანაშემწედ ს ა რ გ ი ს მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ბ დაუბრუნა.

არ შეურიგდნენ ანისის დაკარგეას შამ-არმეშვილს მსუქანნი, დიარბეჭირის და არზრუმის ამირები, და მტრის მტრად ერთ წამოემართნენ სარგევანში ლაშქრობად. გიორგიც სასწრაფოდ გაემართა მტერთან შესახვედრად, 9000 მეომრით.

ისევ გაიმართა ანისის კედლებთან უმძიმესი ბრძოლა. შუაეგრძს თვითონ წარუძღვა გიორგი, მტრის შუაგულში შეიჭრა და საკუთარი ხელით დასცა მუსლიმთა მთავარი დროშა, აირივნენ და უწესრიგოდ გაიქცნენ ბრძოლის ველიდან მაჰმადიანნი. მზის ჩასვლამდე სდიეს ქართველებმა გაქცეულებს. დამარცხებულთაგან 7000 მოისრა, 2000 ტყვედ ჩავარდა, მათ შორის 160 მაღალი რანგის მეთაური. ამის გარდა, გამარჯვებულებს ხელთ ჩაუვარდათ მუსლიმური საომარი დროშები, საჭურველნი, მდიდარი ალაღ-ფორანი.

სამი დღე დაჰყო გიორგიმ ანისში. ქალაქის მცხოვრებლები დააწყნარა და დააშოშმინა. 40000 დრაჰკანი სარქქრად დაურთვა ანისელებს. ტყვეობიდან გამოიხსნა და მშობლიურ კერას დაუბრუნა სამშობლოდან ფეხმოკვეთილი ყველა ანისელი, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა.

ანისიდან გიორგი არზრუმ-კარნუ-ქალაქისაკენ წარემართა. აქაც ქართველებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს და თვითონ არზრუმის ამირაც, ს ა ლ ი კ - ს ა ლ ტ უ ხ ი, ტყვედ წამოიყვანეს. დამ დაიხსნა სალიკ-სალტუხი სამარცხვინო ტყვეობიდან — ქართველ მეფეს სთხოვა ძმის გაათავისუფლება და რაინდმა მეფემაც პატივი სცა ქალის თხოვნას...

მომდევნო 1162 წელს გიორგი მესამემ ახალი დიდი ლაშქრობა მოაწყო სამხრეთისაკენ. ქართველებმა ამჯერად მაჰმადიანთაგან გაათავისუფლეს და შემოიბტკივეს ძველი სომხური დედაქალაქი დვინი.

იმევე წლებში ქართველებს შირვანისკენაც მოუხდათ გალაშქრება შირვანი ისევ საქართველოს სამანებში შემოდიდით და მას გიორგი მეფის მამიდაშვილი (დავით აღმაშენებლის ასულის, თამარის ძე) აღსართანი განაგებდა. იმჟამად ხაზარები და ყივჩაყები შემოსეოდნენ დარბანდსა და შაბუჩანს. აღსართანი შევლას ითხოვდა. გაემართნენ



ქართველები შირვანს 1167 წელს. ხელახლა აიღეს შაქერქანული და დარუბანდი, დაამარცხეს და უკუაქციეს ხაზარ-ყვედრელები.

ქართველების ახალმა დიდმა გამარჯვებებმა შეარყია სრულიად მუსლიმანური სამყარო. და შეიყარა უზარმაზარი კოალიციური მხედრობა ხვარასნის, ერასის და ირანის მუსლიმთაგან. წამოემართნენ, სომხეთს შემოესივნენ, ქალაქ გაგს მოადგნენ, აიღეს და ააოხრეს.

ძვე შემოიყარა გიორგი მეფემ ლაშქარი და გაემართა სომხეთისაკენ. როგორც კი ქართული მხედრობა იხილეს, მაშინვე მიატოვეს გაგი მუსლიმებმა და გადაიხვეწნენ.

კიდევ რამდენჯერმე, ზედიზედ დაამარცხა გიორგი მეფემ მაჰმადიანური მხედრობანი და, ბოლოს და ბოლოს, ამდენმა გამარჯვებებმა ქართველ ხელმწიფეს დაუმკვიდრა უპირველესი გვირგვინოსნის სახელი. მაჰმადიანი მბრძანებლები, „შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძღუნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს, და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშრად ჰქონდეს“.

დიდი დავით აღმაშენებლის უბრწყინვალესი ნამუშავევი, სრულიად კაცკასიური სახელმწიფო, კვლავ პირველობდა აზია-ევროპის შესაყარში.

მაგრამ საგარეო სარბიელზე აღზევებული კაცის ხელმწიფობას საკუთარი ქვეყნის შიგნით გამოუჩნდა დამხობის მომასწავებელი საფრთხე.

გაიხსენოთ: გიორგის უფროს ძმას, დღემოკლე მეფეს, დავით მეხუთეს დარჩა ძე, დემეტრე, ანუ დემნა, იმჯერად უკვე 23—25 წლის ვაჟკაცი, „სახე-კეთილი და ყოველითა ხელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა“. და მეფობა მოსურვებია დემნა ბატონიშვილს. და კაცმა რომ თქვას, ძველი, დავით აღმაშენებელზე აღრინდელი ტახტისმემკვიდრეობის წესით, კიდევაც ეკუთვნოდა ტახტი დავით მეხუთის პირმშოსა და ერთადერთ ძეს.

შეთქმულუებას სათავეში ჩაუდგა ამირსპასალარი ივანე ორბელი, რომლის ასულიც ცოლად ჰყავდა დემნა ბატონიშვილს. გიორგის დასამხობად და დემნას გასამეფებლად შეთქმულუებას მიემხრნენ ყველა ორბელის გვარისანი, სამცხელნი, ჰერნი, კახნი, და კიდევ: ქართლის ერისთავი და ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე, მეჭინებეთუხუცესი



ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი, გვანე
 ვარდანის ძე, გრიგოლ ასათისკი, გვანდუცაძე,
 ართავაჩოს ძე, კახა ჯავახი, დიდი გამრე-
 კელი, მემნა ჯაყელი, გრიგოლ ანელი და
 ძმები სარგის და ვარამ მხარგრძელი, თავი-
 ანთი ვაჟებით (სარგისის ძენი ზაქარია და ივანე, ვა-
 რამის ძენი ზაქარია და სარგისი).

ასე დაიწყო 1177 წელს დემნა ბატონიშვილის ამბოხი.
 განდგომილნი 30000 მეომრით გამაგრებულიყვნენ ქვემო
 ქართლში, ლორეში. გიორგი მეფეს კი, როცა ეს ამბავი შეი-
 ტყო, მცირე ამაღის მეტი არავეითარი ძალა არ აღმოაჩნდა.
 სასწრაფო წვევებზე პირველი მოიჭრა მეფესთან 500 მხედრით
 ყუბასარ ნაყივჩაყარი და მასვე ძლიერი ჯარით მოჰ-
 უვა ახალგაზრდა ჭიაბერი. მეფის ფიცხელმა საომარმა სამ-
 შადისმა დააბნია შეთქმულთა მეთაურები. ზოგიერთმა, სანამ
 გვიან არ იყო, განდგომილთა ბანაკი კიდევაც შიატოვა და სი-
 ნანულის ცრემლების თხევით მეფეს ეახლა. ასე მოიქცა ჯერ
 დიდი გამრეკელი, შემდეგ — გრიგოლ ანელი და ყველა მხარ-
 გრძელი. მეფემ ყველა დიდსულოვნებით შეიწყალა და უხვა-
 დაც დააჯილდოვა. დანარჩენებს მიუხდა გიორგი, შეთქმულ-
 თა დიდი ნაწილი შეიბყრო და სასტიკად გაუსწორდა. თეი-
 თონ დემნა და მისი სიმამრი ივანე ორბელი ლორეს ციხეში
 ჩაიკეტნენ. მეფე ალყად შემოერთყა ციხეს. ველარ გაუძლო
 მთავარმა გმირმა, დემნა ბატონიშვილმა და ლამით, სიმამ-
 რისა და სხვათაგან იღუპალ, დემნა თოკით ჩამოეშვა ციხის
 კედელზე, ბიძა-ხელმწიფეს მუხლებში ჩაუვარდა და, აქვითი-
 ნებულმა, პატიება სთხოვა. მეორე დღეს ივანე ორბელიც
 გამოიყვანეს მეფის მემორებმა. გიორგი მეფემ ივანე ორ-
 ბელს ჯერ თვალები დათხარა, მერე თავი გააგდებინა. ასევე
 დანარჩენ განდგომილ ორბელთაგან ყველა სიკვდილით და-
 საჯა. ავად მოეპყრო გიორგი ძლეულ ძმისწულს, მისი ბრძა-
 ნებით დემნას თვალები დათხარეს, დაასაჭურისეს და ციხე-
 ში ჩააგდეს. იგი ჰკუაზე შეცდა და მალე კიდევაც მიიცვა-
 ლა.

გიორგიმ დასჯილ ორგულთა ადგილებზე ერთგული, თუმ-
 ცა „უგვარო“ აღამიანები დააწინაურა. მანდატურთუხუცესო-
 ბა და ამირსპასილარობა ყუბასარ ნაყივჩაყარს მისცა, მსა-



ხერთუხუცესობა — ს ფ რ ი დ ო ნ ს, მეჭურჭლეთუხუცესობა — ყ უ თ ლ უ - ა რ ს ლ ა ნ ს, მეჭინებეთუხუცესობა — მ ე ჯ ი ნ ე ბ ე თ უ ხ უ ც ე ს ო ბ ა
 ბერს. იმეამად სამღვდლოების თხოვნაც დააკმაყოფილა და ეკლესია გაათავისუფლა „ყოვლისა ბეგარისაგან“...

...ადრეც აწუხებდა, მაგრამ დემნა ბატონიშვილის შეთქმულების შემდეგ მინც, გიორგი საბოლოოდ ჩააგდო საგონებელში ტახტის მემკვიდრეობაზე ფიქრმა. ცოლი მას ყმაწვილობაშივე შერთო მამამისმა დემეტრე მეფემ — ოვსთა მეფის, ხუდაჩის ასული, სახელად ბურდუხან, ვასაოცრად ლამაზი ქალი („მისებრი სძალი არა ეხილა ქართლის თემსა“). ძე არ გაუჩნდათ ტახტის მემკვიდრედ. 1166 წელს გაუჩნდათ ასული, და დაარქვეს თამარი, მას უკან კიდევ ასული, რუსუდანი.

და 1176 წელს გიორგი მეფემ თავის თანამოსაყდრე თანამეფედ და საქართველოს მომავალ ერთხელმწიფედ გამოაცხადა თამარი — „ნათელი და ბრწყინვალემა თვალთა... და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა“.

საქარმაგვეის სასახლეში საგანგებოდ შეყრილმა დარბაზის ერმა მუხლი მოიყარა და დაიფიცა ღვთაებრივი ასულის წინაშე.

მაშინ თამარი იყო 12 წლისა...

ამის შემდეგ კიდევ იქვსი წელიწადი იცოცხლა მეფე გიორგი მესამემ, ქვეყანას კვლავ მორკმით განაგებდა, თამარს ხელმწიფობას არევედა, საქართველოს მტრებს კვლავ შიშის ზარს სცემდა და მეგობრებს ემეგობრებოდა. კვლავ ასძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და პრომთანი, და პინდოთანი, და ზონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ზორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი, და შემდგომნი ამათნი სკეითნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მალრიბამდე“...

...1184 წლის 27 მარტს სამშაბათს, გარდაიცვალა მეფე გიორგი მესამე.

მომკვდარიყო ხელმწიფე „ლომთა უმხნენი და არწივთა



უმაღლესი“, „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა საღმრთოებისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მტკიცედ დაკრძალეს გელათს.

ზ ე მ ბ ა თ ა მ ა რ მ ი მ დ ი ს ა

თერძელი კეთილი ვიქროთ და თესლი სამართლისა ვსთესოთ.

ძველი ქართული მანუსკრიპტი. ნათელი დაუღამებელი უძღვის მეფობასა შენსა.

გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი

ქართველთა უზარმაზარი სამფლობელონი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, მრავალი ხალხებით დასახლებული კავკასიელთა სახელმწიფო, ხელთ დარჩა 18 წლის ქალს — „მეცნიერებითა, ცნობიერებითა, გონიერებითა და შუენიერებითა“ სავსებით სრულქმნილ სამეფო-სადედოფლო პრინცესას.

როგორც წესი, დასავლეთ-ქართველ სასულიერო და საერო მესვეურებს უნდა მოერთოთ მეფე ხელმწიფური ინსიგნიებით. და მათგან სამეფო ასულს — ანტონ საღირისძე, ქუთათელი ეპისკოპოსი, და კახაბერ კახაბერისძე, ერისთავი რაქა-თაყვერისა. ამათ აიყვანეს საქართველოს ტახტზე თამარი და დაადგეს თავზე სამეფო გვირგვინი. მერე სამეფო ხმალი მოიღეს და წინ დაუდეს — ვარდანისძეებმა, საღირისძეებმა და ამანელისძეებმა. და აიღო ხმალი იგი კახაბერ კახაბერისძემ და წელზე შეარტყა გვირგვინოსან ქალს, ვითარცა საქართველოს საომარ ძალთა მოავარსარდალს: „შეიბ მახვილ უენი წელთა შენთა, ძლიერო, შუენიერებითა შენითა!“

მაშ, მეფობას იწყებდა თამარ მეფე (1184—1210) — მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ეღვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა“...

მაგრამ ყმაწვილი ქალი-ხელმწიფე გამეფების წელსვე მანამდე უცნაური ბოლიტიკური „მოძრაობის“ პირისპირ აღმოჩნდა. მეჭურჭლეთუხუცესმა (ფინანსთა განმგებელმა)



ყუთლუ-არსლანმა მეფის სასახლის გვერდიან „ქარავის“ („დაწესებულების“) დაარსება მოითხოვა თავისი მომხრეები უნდა დაესვა და ყოველი სახელმწიფო-საკანონმდებლო საკითხი მხოლოდ ამ „ქარავში“ განხილვისა და მიღების შემდგომ უნდა მიხედობოდა მეფეს დასადასტურებლად და ხელის მოსაწერად.

ამგვარად, სრულიად უბაღვთო იმპერიაში, რომელიც ქართველ მეფეებს ამდენ საუკუნეთა მანძილზე განუყოფლად ეჭირათ, ახლა უშეზღუდო უნდა გაყოფილიყო უბაღვთო საკანონმდებლო ხელისუფლება „ქარავს“ უნდა დაეჭირა, ნოლო მეფეს მარტო ძღმასრულებელი ხელისუფლება დარჩენოდა.

ასეთ განაცხადში სწორედ რომ დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნების სიმწიფე გამოჩნდა. სრულიად აზიის მსოფლიან ისტორიას ასეთი რამ არ მოსწრებია, ხოლო, რა იცოდნენ ყუთლუ-არსლანმა და მისმა „თანამოდასებმა“, რომ მათი პოლიტიკური განასაჯი რალაცნაირი წინამორბედი უნდა გამხდარიყო გვიანვერობული „პარლამენტისა“, „გენერალური შტატებისა“, თუ „კონსტიტუციური მონარქიისა“.

არასოდეს არც ერთ მონარქს უბრძოლველად არ დაუთმოთ თავისი ერთპიროვნული, „აბსოლუტური იმპერიაში“. თამარნაც პირველად სცადა ხელმწიფური სიმტკიცისა და ნებიანობის გამოჩენა. მისი ფიცხელი ბრძანებით ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს.

მაგრამ ყუთლუ-არსლანი თურმე მარტო არა ყოფილა. მას ჰყოლია თავის „დასი“, ფიცით შეკრული, სწორედ ის დასი, რომელიც „იმ ქარავში“ კანონმდებელ საკრებულოდ უნდა დამჭდარიყო. თურმე ქარიც ჰყოლიათ გამზადებული, რათა საჭირო შემთხვევაში მახვილის კვეთებასაც არ დარიდებოდნენ.

და განდგომილებმა იარაღის ელრიალით მოითხოვეს ბელადის გათავისუფლება.

თამარის მომხრეებიც გაიწივნენ საომრად.

„სამოქალაქო ომის“ შმორიანი სუნი ჩამოწვა.

ხოლო, თამარს ფიქრადაც ვერ წარმოედგინა, რომ მისი ხელმწიფობა მათაშორისი სისხლისღვრით დაიწყებოდა.

დიდი ხელმწიფური სიბრძნე, დახვეწილი ტაქტი და მომ-



ხიბლავი რომანტიკა გამოსჭვავის ყმაწვილი ქალი-ხელმწიფის გადაწყვეტილებაში. ქალმა-ხელმწიფემ სწორედ ქალის გუჟანით იცოდა, რომ მისი თანამემამულენი, ^{ბასე-წყელი} ^{საქა-საქა} თია, მისივე მომხრენი თუ მოწინააღმდეგენი, — უზენაესი კრძალვით და პატივით ეპყრობოდნენ სწორედ ქალს, მათი ოჯახისა და ქვეყნის წმიდათაწმიდა კერპს, ქალის შეუვალ სიტყვას, მის წმინდა მანდილს.

და თამარმა საომრად აღძრულ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყველაზე საპატიო დესპანები ვაგზავნა — ორი მანდილოსანი, ორი „საპატიო დიოფალი“ — ხუაშაქი ცოქალი, ქრთლის ერისთავთერისთავის რატის დედა, და კრავაი ჭაყელი, „დედა აწ მყოფთა სამძივართა“ (ქართული არისტოკრატიული გვარი იყო სამძივარი).

მანდილოსანმა მოციქულებმა დააცხრეს „დასელებს“ ავი ყარყაში. მათ გადასცეს თამარის ფიცი, რომ იგი ყუთლუ-არსლანის გარდა არც არავის ბრალს დასდებდა, არც ვისმეს დასჯიდა. ხუაშაქმა და კრავაიმ იარაღაყრილი „მოჭანყე-ები“ თამართან მოიყვანეს. ქალთავან მოყვანილებმა ქალი-ხელმწიფის წინაშე მუხლი მოიყარეს, თავიანი სცეს და სა-მარადეამო ერთგულება შეჰფიცეს. თავის მხრივ, თამარმა აღუთქვა, რომ „ღარბაზის“ უფლებებს გააფართოებდა და დიდმნიშვნელოვან საკითხებს მასთან „თანადგომითა და ერ-თნებაობით“ გადაწყვეტდა.

1185 წელს თამარმა იქორწინა. სიძე გახლდათ რუსი უფ-ლისწული — იური, ანუ გიორგი. ნოვგოროდის ხელმწი-ფის, ანდრია ბოგოლიუბსკის ძე.

საქართველოს სიძე ყოფილა „მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებიითა და მჭურეტთავან სახენი გუარისშვილად“. მალე დადასტურდა, რომ „სახე-კეკლუც მოყმეს“ არც მხედ-რული სიმამაცე და სარდლური ნიჭი ჰკლებია. ქართველებ-მა მისი სარდლობით ზედიზედ წარმატებით დალაშქრეს კა-რის, კარნიფორისა და ბასიანის თურქთა ბანაკნი. ეს მოხდა 1186 წელს. ხოლო მომდევნო წელს, უფრო შორეულ ლაშ-ქრობაში ვაგზავნა ქართველი მხედრობა თამარმა თავისი მე-უფლის სარდლობით. ამჯერად ქართველებმა განვლეს ირა-ნი, შეიჭრნენ პართიაში, აიღეს იქაური ქალაქები, ნადავლი და ტყვეები წამოასხეს და ისე მობრუნდნენ „თამარს სუე-სრულსა და ნათელ-ბრწყინვალესა წინაშე“.

ლობითა კეთილად წურთილი“, დიდად განსწავლული მწიგნობარი, მეცხიერი და მორალისტი ყოფილა ქართულ ეკლესიაში ტურასა და ტრადოციებზე აღზრდილი უფლისწულნი. გიორგი რუსმა, პირველმა ქმარყოფილმა, რამდენჯერმე სცადა საქართველოს ტახტისა და მისი სწორუბოვარი დედოფლის დაბრუნება, ბევრი ქართველი „საჩაგებლის მოწადინე“ ფეოდალიც მომხრედ აიყოლია, სისხლიც უხვად დაიღვარა, მაგრამ ვერაფერს გახდა, იგი ამ ბრძოლას გადააყვავა...

...1193 წელს თამარს და დაეითს, ტახტმელას სასახლეში, შეეძინათ ვაჟი. თამარმა მას უწოდა გიორგი, „სახელი ახოვნისა და მის მამისა თვისისა“. გასაოცარი სიღამაზისთვის — რამეთუ „იშვა დახატული ბუნებისაგან“ — ახალშობილ უფლისწულს ზედნადებ სახელად უწოდეს ლაშა — „განმანათლებელი“, ანუ „ქვეყნის მანათობელი“.

ბარე ათი ლაშქრობა მოაწყვეს ქართველებმა იმ წელს „სხივოსანი“ უფლისწულის „ბედისა და სუეს“ ასამაღლებლად. აიღეს და დაარბიეს განდგომილი ქალაქები — ბარდავი, განძა და კარნუ-ქალაქი.

საპასუხოდ თურქებმა საქართველოს წინააღმდეგ მუსლიმთა დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს, ათაბაგ აბუბაქარის სარდლობით.

თამარმა სასწრაფოდ საომარი წვევა ბრძანა და აღლუმად დამდგარ ქართულ მხედრობას სიტყვით მიმართა „შვიდმნათობიერმა“: „ძმანო ჩემნო, ვიცი კვლავაც არ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მტრისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთანა არს. მაშ, შეისწრაფედ ქუეყანად მათდა ძალითა ჭეარისათა მკლავითა უმტკიცესითა და გულითა უმართლესითა! მერე მოილო დროშა გორგასლიან-დაეითიანი და გადასცა დაეითს, მეუღლესა და მხედართმთავარს. გვერდით დაუყენა ანტონ ქყონდიდელი გლონისთავის ძე.

დალოცა და გაუშვა ჯარი ლაშქრად თამარმა, ხოლო თვითონ ფერხთ გაიხადა და შიშველი ფეხითვე მეტეხის ტახტს მივიდა ლოცვად — ლაშქრისა, ხალხისა და ქვეყნისთვის.

ქართველები მიუახლოვდნენ შამქორს, სადაც ბანაკად იდგა თურქთა ურდო.

მაშ. შამქორი, 16 ივნისი 1195 წლისა, დღე 

დავით სოსლანს უკვე გაეწეო ჩარი სიომრად. მარცხენა მოკლე სიტყვითაც მიმართა მეომრებს. მოკლე „სიმხნე და მარჯუებულობა პაპათა და მამათა“, გმირობანი ეხტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და მათთა მოყმეთა.

სამ ნაწილად გაჰყო მხედრობა დავით სოსლანმა. ორი მოიერიშე რაზმი, მარჯვენა და მარცხენა, და ერთიც თადარიგი. თადარიგი ძმებს, ზაქარია და ივანე მხარგრძელებს ჩააბარა. მოიერიშე მარჯვენა რაზმს წაუმძღვანა ანტონ გლონისთავისკე, ყქონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „შესახედავითაცა ჭაბუკი“, რომელსაც ახლა ჯვარის ნაცელად ხმალი ეტყრა ხელთ და პირდაპირ შამქორის მთავარ კარიბჭისკენ წარგზავნა იგი საიერიშოდ.

თვითონ დავითი მთავარი რაზმით მარცხენა მხრისკენ დაიძრა, შამქორის ჩრდილოეთიდან, მტრის ზურგდან შემოსეულელად.

მარჯვენა ფრთიდან მოიერიშე ქართველობას მდინარის გადასავალზე, ზედ ხიდზე შემოეგება აბუბაქარის ლაშქარი. „შეიქმნა ომი და კუეთება“, ისე, რომ ხიდისა და გზის სივიწროვისგან მხოლოდ მეწინავენი აწყდებოდნენ ერთიმეორეს. ქართველებმა, დიდი სისხლის ფასად, მდინარე და ხიდი უკან მოიტოვეს და ციხესიმაგრის კარიბჭეებს მიეტანენ. მაგრამ აქ აბუბაქარმა ურიცხვი მხედრობა შეაგება თავაწყყვეტილი კონტრიერიშით. ბრძოლა ერთ ხაზზე შენივთდა. მოპირდაპირენი გამბეცებულნი ასკდებოდნენ და აწყდებოდნენ ერთიმეორეს. მისჭირდათ ქართველებს. აგვიანდებოდა მარცხენა მხრიდან თვითონ სოსლანს: აქ ქართველებს გზა შეხვდათ უვალი, კლდოვან-ქარაფოვანი და ქვალოვანი. მაშინ თადარიგი დასძრეს ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა. ბრძოლა გამძაფრდა. კვლავ წონასწორად ქანობდა ბრძოლის ხასწორი. აბუბაქარს შეუწყვეტილ მოჰყავდა ახალ-ახალი რაზმები სიკვდილის ხაზზე. მხარგრძელებმა ვერ გაიმარჯვეს და ამაოდ „წახეთქნეს ნახევარი ლაშქართა და რაზმთანი“. უკვე სრულის ძალებით იბრძოდა აბუბაქარი. მას აღარ ეეჭვებოდა, რომ მალე ბრძოლა მისი ძლევამოსილებით გათავდებო-



და. ამყად ფრიალებდა შამქორის კედლებთან ხალიფასთან
 „ღაზოდ წარმოგზავნილი“ მუსლიმური დროშა. და, ეხვეწებოდა
 შამქორის ჩრდილო მხრიდან გრიგალივით მოფრთხილებოდა
 და მისი მხედრობა, რომელსაც წინ მიუძღოდა „დროშა იგი
 გორგასლიანი, რომელიც სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკე-
 ბოდა“...

ქართული დროშის, მხედართმთავრისა და მხედრობის უე-
 ცარმა გამოჩენამ თავზარი დასცა მაჰმადიანთა ლაშქარს. ქარ-
 თველები ბრძოლას მაშინ იწყებდნენ, როცა მათ მოსისხლე-
 ებს იგი დასასრულის პირს ეგონათ.

და მიეტევა დავითი „მსგავსად აქილევსისა“. უცებ დაწი-
 ნაურდა შალვა ახალციხელი, მტრის შუაგულში
 მედროშეებს დაერია, ერთი ასჩეხა, დანარჩენები დაიფრინა
 და დაიხელთავა და გამოიტაცა ხალიფას დროშა. სავსებით
 გატყდნენ ალაჰის მხედრები. მთელის ძალებით მიესივნენ
 ქართველები, „ვითარ არწივნი და ვითარ ვეფხნი იკუთ-
 ნეს“.

ორად „განსქდა“ მუსლიმთა ლაშქარი და ორი მხრისკენ
 გაიქცა, განძისკენ და გელაქენისკენ. პირველი გაექცა ბრძო-
 ლას თვით ამირთამირი აბუბაქარი და „მიწვეწულმან ხნარც-
 ვსა სადმე მციარესა მიწასა შინა დაფლა თავი თვისი“.

მოგებული იყო დიდი ბრძოლა, რომელშიც გამორჩეუ-
 ლად ისახელეს თავი თვითონ დავით სოსლანმა, ანტონ გლო-
 ნისთავისძემ და შალვა ახალციხელმა. ქართველებმა განძა
 და შამქორი ხელახლა დაისაკუთრეს და დიდძალი ნადავლით
 შემობრუნდნენ.

ტფილისში, შამქორის გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფ-
 ზე, გამარჯვებულებმა გამოატარეს 12000 ტყვე-მუსლიმი, 40
 აგაზა, 20000 ცხენი, 7000 ჯორი, 15000 აქლემი, ურიცხვი
 ლარი, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და მუსლიმთა
 საომარი დროშები. ხალიფას დროშა თამარს ფერხთა წინაშე
 დაუდო შალვა ახალციხელმა. ესე დროშა, ძვირფას მანიაც-
 თან ერთად, ხახულის ტაძარს გაუგზავნა შესაწირავად თა-
 მარმა.

ხელახლა შემოიყარა ქარები აბუბაქარმა, წამოემართა,
 მოულოდნელი დაცემით ხელთ იგდო განძა, შემდეგ — დვი-
 ნი.

...ორიგად შეპყარა თამარმა კარი, ერთი დავითს ჩააბრა და განძას ვაგზავნა, მეორეს თვითონ უსარდლა და დვინისკენ გაემართა, სომხეთს.

უროსენული
პიზლომთეკა

ორიგეგან იძლივნენ თურქნი.

ისევ მოექცნენ საქართველოს სამანებში განძა და დვინი.

მომდევნო 1203 წელს შაპ-არშენთა სასულტნო დალაშქრეს ქართველებმა. ხელახლა წაართვეს თურქებს არქეში, მანასკერტი, ატ-ტინი.

მაგრამ იმავე წელს ორჯერ მარცხი იწვნის „უძლეველებმა“. ხლათის სულტანმა და არზრუმის (კარნუ-ქალაქის) ამირამ დიდძალი მხედრობა გამოგზავნეს. ქართველებს მხარგრძელები სარდლობდნენ, ბიძაშვილები — ზაქარია „უფროსი“ და ზაქარია „უმცროსი“. ქართველმა სარდლებმა წინდახედულება ვერ გამოიჩინეს, მტერს ცალ-ცალკე შეებნენ და მძიმედ დამარცხდნენ. ზაქარია „უმცროსი“ ბრძოლაში დაიღუპა.

მომდევნო 1204 წელს ქართველები, ისევ დავით სოსლანის სარდლობით, სარევანშიოდ წარემართნენ და ზედიზედ აიღეს ჯერ ხლათი, შემდეგ კარი. თამარიც ჩაეიდა კარს, ტაბტის შემკვიდრე ლაშაც თან წარიტანა. მეციხოვნეებმა შაშინეე მოართვეს ქალაქის კლიტენი. შევიდა 11 წლის ლაშა გიორგი და ჩაიბარა კარი და მისი ციხე-კოშკები.

თამარმა ახლადდაპყრობილი კარი და მისი მიმდგომი მხარე სამმართველოდ გადასცა ივანე ახალციხელს, შალვას ძმას.

ივანე ახალციხელმა თამარის ესოდენ პატკს ახალი გამარჯვებებით უბასუხა. იგი თავისი ლაშქრით კარის „ქუეყანასაც“ გასცდა და „წარულო (წაართვა) თურქთა გარეშემონი ქეყანანი, იხუნა და მიითულანა, და წარმოგზავნა მახარობელი მეფესა წინაშე“. თამარმაც ახლად დაპყრობილი მიწები სამფლობელოდ მისსავე „დამპყრობელს“ მიუბოძა.

ერთი სიტყვით, ახალ, მეცამეტე საუკუნეშიც ქართველებმა საერთაშორისო ასპარეზზე მძლავრი ნაბიჯებით შემოსდგეს ფეხი...

...თამარ მეფე, წინარე ქართველ დიდხელმწიფეთა მსგავსად, ძველი პონტოურ-ქართული მიწების (შავი ზღვის სამხ-

ქსი კომუნოსი, ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი, ქართველოს მეფეთა ნათესავი (ალექსის მამა, ანდრონიკი, თამარის მამის, გიორგი მესამის მამიდაშვილი იყვნენ) ქართველოში შემოხიზნული უფლისწული.

თამარის ბრძანებით, ალექსი ტფილისიდან გავიდა და ტრაპიზონს დაქდა. თანამმართველად თამარმა ალექსის დაუნიშნა მისი ძმა დავით კომუნოსი.

სამართლიანად წერს აკადემიკოსი კუნიკი: „კომუნოსები ჯერ კიდევ ყრმობისას მოხედნენ საქართველოში, სადაც მიიღეს კიდევაც აღზრდა. მათი დედა-ენა იყო ქართული. რაკი იზრდებოდნენ და აღზრდასაც მათი ნათესავის, თამარ მეფის კარზე ლებულობდნენ, ისინი ყოველთვის ქართული ცხოვრებისა და ქართული ცნებების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ“. სამი წლიდან ოც წლამდე საქართველოში იზრდებოდნენ. ბიზანტია აღარც აბსოვდათ და ბერძნულ ენასაც ისე „უცხო ენად“ სწავლობდნენ, როგორც ქართველ დიდებულთა შვილები. ასე რომ, ოცი წლის ასაკში ალექსი და დავით კომუნოსები უფრო ქართველი დიდებულები იყვნენ, ვიდრე ბიზანტიელები.

სევე წერს გამოჩენილი ბიზანტოლოგი უსპენსკი: „შავი ზღვისპირეთზე კომუნოსთა დამტკიცება არის საქმე თამარის ხელისუფლებისა... კომუნოსთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება არის მხოლოდ ეპიზოდი საქართველოს ბრძოლაში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე პირველობისათვის, იგი არის გავრძელება თამარის მამის პოლიტიკისა, რომლის ქარები აღწევდნენ ერზერუმამდე და თვით ტრაპეზუნტამდე“. და კომუნოსები იყვნენ „იარაღნი თამარის პოლიტიკისა“. ისე უსპენსკის მართებული აზრით, ტრაპიზონის იმპერიის ბუნება, უპირველეს ყოვლისა, უნდა აიხსნას „მოსახლეობის ეთნოგრაფიული ხასიათისა და ისტორიის თავისებურებით, რომელშიც ელინიზმს გაბატონებული ადგილი არ სჭერია. საჭიროა გვახსოვდეს პონტოს ძველი ისტორია და პონტოს მეფეების პოლიტიკური მიმართულება, ისევე როგორც თავისებურებანი ტრაპიზონელი ბერძნების ენაში... არ შეიძლება წინ არ წამოვწიოთ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ხაზი არ გავუსვათ იმ პირობებს, რომელნიც XIII საუკუნის დამდეგს და იმპერიის



შექმნის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მიუთითებენ ადგილობრივი, ლაზური ტენდენციების ნობაზე ტრაპიზონში, რომელთაც ზურგს უმაგვრებენ იონიისა და ლისიდან და მხარს უჭერს თვით ტრაპიზონელი მეფეების სულსკევეთება, რაც მთლიანად და სავსებით საქართველოსკენ იყო მიმართული“.

„ტრაპიზონის იმპერია“ ნაწილი იყო სრულიად საქართველოს იმპერიისა, მისი „პროტექტორატი“ და ისეთივე „ემანდატი“, როგორც შირვანი, დარუბანდი, ღუნძეთი, ოვსეთი, ქაშაგეთი და კარნუქალაქი...

...მაჰმადიანური სამყარო კი მაინც არ ურიგდებოდა ქართველთა აღზევებას და გამძლავრებას. განსაკუთრებით რუმის, ანუ იკონიის სულტანი რუქნ ად-დინი ემზადებოდა გამალებით ქარველთა დასამზობად და დასაკინებლად. 400000 მხედარი შემოიყარა და თამარს ფრიად თავხედური წერაილი გამოუგზავნა — უომრად დანებებისა, ქრისტიანობაზე ხელის აღებისა და მაჰმადის მონად აღიარების ბრძანებით. თვითონ ელჩი რუქნ ად-დინისა მეფის წინაშე იმდენად ბრყველად მოიქცა, რომ იქვე მდგარმა ზაქარია მხარგრძელმა თავი ველარ შეიკავა და უზრდელი ელჩი, ხელის მძლავრი შემოკერით, ცნობაწართმეული დასცა ძირს. მასუკან მოსულდერებულ თურქს ესეც უთხრეს: შენ რომ მოციქული არ ყოფილიყავ, ვერ ენის ამოჭრა და მერე თავის გაგდებინება იქნებოდა შენი სამართალიო.

თამარმა სასწრაფოდ აწვია ჭარები, რუქნ ად-დინის ელჩი მაინც უხვად დაასაჩუქრა და მკაცრი წერილის თანხლებით მის მეუფესთან გააბრუნა.

ქართველთა ჭარებიც დაიძრნენ სამხრეთისაკენ.

კარგა ხანს თამარი ლაშქარს წინ მიუძღოდა, ქვეითად, ფეხშიშველი, ლოცვით და ლიტანიით. მერე დავით სოსლანს გადასცა სახელმწიფო დროშა, ჭარი დალოცა, სარდალი წაუძღვარა და გაუშვა მტერთან შესახვედრად. თვითონ სამცხისაკენ შემობრუნდა. მოვიდა ოძრახეს და კვლავ დადგა ლოცვად. მასთან შემოიყრიბნენ სამღვდელონი და ბრძენი საერონი. მათ შორის იოანე შავთელი, „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუა-

წებათა შინა განთქმული... მთელი ღამე ლოცვად იჯდა/
თამარი.

ხოლო დავით სოსლანი თავისი მხედრობით ^{მხედრობით} მივიდა, სადაც მას დახვდა უზარმაზარი ბანაკი ^{ბანაკი} ად-
დინისა და მისი თურქობისა.

დავითმა ფიცხლავ განაწყობ ყარი საომრად. მეწინავე
ყარს სარდლებად უწინა ძმები შალვა და ივანე ახალციხე-
ლები, ზაქარია მხარგრძელი და თორღლნი, ხოლო ძირითადი
ძალები ორად გაპყო: მარჯვნივ — აფხაზ-იმერნი, მარცხ-
ნივ — ქართლელნი, კახნი და ჰერნი.

პირველ დატაკებასვე შედრჯნენ თურქნი და გასაქცევად
აგორდნენ, მაგრამ რუქნ ად-დინმა მაინც შემოაბრუნა ურდო
და გამძაფრებით შემოუტია.

„და იქმნა ომი დიცხელი და ძლიერი, რომელი ძველ-
ოდესმე ქმნილ იყო მხნეთაგან ეგვეითარი ომი“.

ბრძოლა გაგრძელდა დიდხანს, შენივთებულად, „მყოფარ-
ემ და მოსწყდებოდეს ორგნითვე, ხოლო უმეტეს სულტ-
ნისა სპანი მოისრეოდეს“.

მაინც არ იძვროდა ბრძოლის სასწორი.

შუადღის ზემსურვალი დააცხრა ბასიანის ველს.

„მაღალ მთასავით“ ცხენზე ამხედრებული და მაღალი სა-
ჩრდილობელის ქვეშ მდგარი რუქნ ად-დინი გახელებული
უყიოდა თავისიანებს.

ცხენები დაეხოცათ ბრძოლაში ქართველ სარდალთა უმ-
რავლესობას. ძალზე მისკირდათ ქართველებს: „კნინდა სივ-
ლტოლად მოიდრიცნეს“. მაგრამ არ გატყდნენ უცხენოდ და-
რჩენილი სარდლები, ხოლო როცა მათმა მხედრებმა ქვეო-
თად მებრძოლი სარდლების საოცარი სიმამაცე იხილეს, თვი-
თონაც დაქვეითდნენ და კედლად შეკრულნი მიჰყვნენ მეთა-
ურებს.

ღროზე შენიშნა დავით სოსლანმა: ცხენოსანმა ლაშქარ-
მა მოულოდნელად დაქვეითებული მეომრები არ დამიზიანო-
სო და სასწრაფოდ თავის მხედრობა ქვეითებს განარიდა და
მაშინვე ღრმა რეოდით მტრის მარჯვენა კერძს შეუტია. იგი-
ვე უბრძანა ზაქარია მხარგრძელს, რომელმაც თავის მხედ-
რობით თურქთა მარცხენა კერძისაკენ გაქუსლა.

პირველი მიეჭრა დავით სოსლანი, „ვითარცა აქილევსი“.



ზაქარიაც მისწვდა მარცხენა კერძს, მასვე ეპას „შალვა ახალციხელმა“ მოატანა რუქნ ად-დინის „შალვა საჩრდილობელის“ და სასულტნო დროშას. ხმალი უხეთქა ახალციხელებს, მან რაოშეს: ორივე დაეცნენ — დროშა და მედროშე. იმ წამსვე „საჩრდილობელიც“ თავზე დაემხო სულტანს. მაინც გაასწროთ, მისი „მთასავით ცხენის“ ჰენებით. გაიქცა და სირბილით მიჰყვა მისი ლაშქარიც. გამოედევნენ ქართველები. გარბოდნენ თურქნი, ერთმანეთს თელავდნენ, „ურთიერთას დასორგუნვიდეს“. ქართველებმაც სდიეს დაღამებამდე. სდიეს, „ხოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს“.

მეორე დღეს, სისხამ დილით, მოიხილეს ქართველებმა ბასიანის ველი. „ვითარ რიყე“ იყვნენ დარეცილნი მაჰმადის რაინდნი, მათი დაღუწილი საქურველნი, დაფხრეწილი დროშები.

დიდი გამარჯვების ამბავი აცნობეს თამარს, ოძრხეში მლოცველს. შალვა ძღვევამოსილი მხედრობაც ეახლა სათაყვანო დედოფალს.

ტფილისში, ბასიანის გამარჯვების აღსანიშნავ ტრიუმფში ქართველებმა გამოატარეს დიდძალი ნადავლი, თურქთა საომარი დროშები თამარის ფერხთა წინაშე დაჰყარეს, ძვირფასი ტყვეები გამოატარეს, მათ შორის — ერზინკის ამირა, შამის სულტანი, ბირიტის ამირთამირა და „სხუანი სულტანნი და ამირანი“, თამარმა ყველა გაათავისუფლა, გარდა ერთისა. ხოლო ის „გამორჩეული ერთი“ იყო ერზინკის ამირა, რომელიც თამარმა გაცვალა ცხენის ნალში.

ბასიანის ბრძოლის შემდეგ დიდ დროს აღარ გაუვლია და გარდაიცვალა დავით სოსლანი. დაკრძალეს გელათს, ქართველ მეფეთა საძვალეში.

გლოვიად დაქდა თამარი — „შთაცმასა და დაფენასა ძაძისასა“.

მაგრამ გლოვა მისი უნდა დარჩენილიყო, ვითარცა ბირადი საგლოველი, ხოლო სახელმწიფო კვლავ ხელმწიფურ საქმიანობას მოითხოვდა ხელმწიფისაგან.

და თამარმა მგლოვიარე წელსვე თანამოსაყდრე მეფედ დისვა ძე თვისა, 12 წლის ლაშა გიორგი.

კიდევ რამდენჯერმე მოუხდათ ქართველებს მახვილის წარმართვა სამხრეთისაკენ, მაჰმადიანთა დაუსვენარი ბუდე-

ეზისკენ. მაგრამ ყველაზე მთავარი თამარის ბოლოდღეობა
ლაშქრობასთან მარცხ იყო ლაშქრობა ირანს. ეს მოხდა
1210 წელს. თამარ მეფემ ირანის დასაპყრობად განაგებდა
არაბთა

სამხედრო ძალები

ქართველები ერთმანეთის მიყოლებით დაეუფლნენ მარ-
ანდს, თავრიზს, შივანს, ზენჯანს და ყაზვინს. მას უკან აი-
ღეს ხორასანი და ბოლოს რომ-გური (ავღანეთი). აქედან
ინდოეთი რამდენიმე დღის სავალზე იყო, მაგრამ ქართვე-
ლებს იმდენი ნაშოვარი დაუგროვდათ, შემდგომ წინსვლა
შეუძლებლად მიიჩნიეს და უკან გამობრუნდნენ, საქართვე-
ლოსკენ...

...საქართველო თავისი ძლიერების მწვერვალზე იდგა.

ასეული წლების წინათ მიტოვებული ქარქაშები მოიკრატ-
ნეს ქართულმა ხმლებმა.

მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ იერუსალიმში გაშლი-
ლი ეროვნული დროშებით შესვლა.

ბრწყინავდნენ: ქართული კალამი, ყალამი, საჭრეთელი.

ზეობაში იდგა საქართველო — „ნიკოფსიითგან დარუბან-
დამდის“ (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის
(სამხრეთით).

კვლავ უფრო გაზრდილიყო და გაშლილიყო ერთიანი სა-
ხელმწიფო კავკასიელთა. მასში შედიოდნენ:

ს ა კ ე თ რ ი ე საქართველო, მისი საერისთავოე-
ბით: პერეთი, კახეთი, რუსთავი, ტფილისი (მეფის დომენი),
ქართლი, ორბეთი, ლორე, კაენი, ვაგი, თორი, ჭავჭავეთი,
თმოგვი, სამცხე; ტაო, ჭანეთი, ქუთათისი (მეფის დომენი),
არგვეთი, რაჭა-თაყვერი, სვანეთი, გურია, ოდიში, ცხუმი.

ს ო მ ხ ე თ ი: ანისი, დვინი, ბიჭნისი, სივნიეთი, ხაჩინი (არ-
წახი).

შ ი რ ვ ა ნ ი: შირვანი, დარუბანდი.

ჩ რ დ ე ლ ო ე თ კ ა ვ კ ა ს ი ა: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურ-
ძეკეთი, ღუნძეთ-ლევეთი.

პ რ ო ტ ე ქ ტ ო რ ა ტ ე ბ ი, ვ ა ს ა ლ ე ბ ი, მ ო ხ ა რ კ ე ნ ი:
ტრაპეზუნტის სამეფო, კარნუ-ქალაქის სამირო, ერზინკის სა-
ამირო, შაჰარმენთა სასულტნო, ადარბადავანი, განძის სასუ-
ლტნო...

იქდა თამარი ერთიანი კავკასიური იმპერიის ტახტზე.



მის ღროს სრულ იქმნა დიდი დაცით აღმაშენებლის საფუძველდადებული ეთიკური საქართველოს სამეფო რემონიალი მაშინდელი საქართველოს სამეფო

მეფეთა მეფე, პორფირით მოსილი, გვირგვინით თავშემკობილი და სკიპტრით ხელში, ზის ოქროქედილ ტახტზე.

ღარბაზობის დაწყებისას პირველი შემოდის გელათის აკადემიის მოძღვართ-მოძღვარი. იგი მიდის ტახტის წინ დაგებული ნოხის ნაპირამდე და თავს დაუყრავს მეფეს. მეფე წამოდგება, ნოხს მთლიანად გამოივლის, მოძღვართ-მოძღვარს ნოხის ნაპირთან შეეგებება, სამაგიერო სალამს მიუძღვნის და მის მხლებელს მიმართავს: „მოახსენე, ბრძანოსო“. თუ მოძღვართა-მოძღვარს რაიმე სათხოვარი აქვს, მაშინვე შეუძლია მოახსენოს მეფეს.

მერე შემოდის კათალიკოსი. მის თავყვანს მეფე თავყვანითვე უპასუხებს, მაგრამ ისე, რომ ნოხის მხოლოდ მესამედს გადმოივლის.

ახლა მწიგნობართუხუცესი ქყონდიდელი ეახლება და ორჯერ ეთაყვანება. მეფე სამ ნაბიჯს გადმოდგამს, საპასუხო სალამს მიუძღვნის და გადააკოცნის.

შემდეგ ვაზირები მიჰყვებიან. ჯერ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი მიეახლებიან და ორჯერ ეთაყვანებიან. სამაგიეროდ მეფეც ორგზის უპასუხებს და სალამის მიცემას ხელების მალღა აპყრობით დაასრულებს, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის ორგზის თავყვანზე მეფე ასევე მისალმებითა და უფრო „უზმადღე ხელის აპყრობით“ პასუხობს.

ერთად შემოდის სამი ეპისკოპოსი — ქუთათელი, იშხნელი და სომხეთის მიტროპოლიტი. მეფე მათ თავყვანზე ორსამ ნაბიჯს გამოივლის და ისე უპასუხებს სალმით.

დანარჩენ სასულიერო და საერო პირებს, რიგით ეპისკოპოსებს, ვაზირებს და ერისთავებს მეფე სალმით ადგილიდან, ტახტიდანვე უპასუხებს.

მალაღი რანგის მოხელეთათვის და საპატიო სტუმრებისათვის ღარბაზში ოქროქედილი სელები და მაგიდებია ჩარიგებული. პირველ მაგიდას უზის საქართველოს კათალიკოსი, მეორე მაგიდას — გელათის მოძღვართ-მოძღვარი და



დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი; მესამე მათგან განკუთვნილია საქართველოს პოლიტიკურ მფლგებელთა მყოფი ოთხი მეფისათვის — ტრაპიზონის მეფის, სიბრძნისაჲს, შარ-არმენი და ოვსთა მეფე; მეოთხე მაგიდასთან — ჭკონდიდელი ქუთათელი, იშხნელი და სომხეთის მიტროპოლიტი; მეხუთე მაგიდასთან — ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. შემდგომ მაგიდებს უსხედან რიგითი ეპისკოპოსნი, ვაზირნი, ერისთავნი.

ასეთი იყო თამარის კარი.

ხოლო თვითონ თამარი...

იყო ქალთაგან უმშვენიერესი. ტანად საშუალოზე უმაღლეს, ნაკეთოვანი, „შუენებითა აფროდიტიანითა“. სახედ — საოცრად სახიერი. იერსახედ — მომხიბლავი არამიწიერ. „სატრფო საჭურჭტი დაბნედამდის“. ლაწენი — ღვთაებრივ სპეტაკნი, მქრქალი ვარდისფერით შეფერილნი. თვალები — გრემანნი, აღსავსე ხიბლით, სიბრძნითა და შექმოსიერებით. ამორცხვი ხედვა, ლალი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მზიარული და უღიზღო სიტყვის სინარჩარე“.

სიბრძნით იყო სწორუბოვარი მისსავე ბრძენ საუკუნეში, — „ღმრთივ-განბრძნობილი“, „უკლებელი გონებითა და საუნჯე სიბრძნისა“. მოსაუბრე „სიტყვითა ოქრონექტარითა“. ზნეობით — უსპეტაესი. საოცრად თავმდაბალი, გულ მოწყალე და დიდსულოვანი შემწყნარებელი. მსაჯული დინჯი და „გაურისხებელი“. მის დროს არც სიკვდილით, არც სხეულის დასახიჩრებით არავინ დასჯილა. ყოველივე მკაცრად აკრძალა სწორუბოვარმა ჰუმანისტმა ხელისუფალმა: სიკვდილით დასჯაც, ასოს მოკვეთაც, ჯოხებით ცემაც. მის სამეფოში „საყდართა და მონასტერთა დაღწასა ვერავინ იკადრებდა. ქარაგანს ვერვინ ძარცვიდა... ერთიცა ქათამი არსად მოიკლევოდა; მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო“.

უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ სადა, მოყრძალებული, „უქონელი“ ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო ხალხისთვის, ქვრივთა, ობოლთა, უქონელთა, გლახაკთა და უპოვართათვის გასცემდა „სიუხვითა მზეებრითა“. ყოველ წელს სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეთედ წილს ღარიბებსა და უქონელ-უპოვრებს ურიგებდა. უხვად აჭილდო-



ებდა მეფე ლაშქრად გასულ ყმა-აგრიკოლებს, ამიტომაც მის დროს „ახნაურის ყმანიც მათთა პატრონთა სწურაყვენიერად სებოდეს“. გულის სიღრმეშივე ეცოდებოდა თამარს უმცირესი ძეგნი და საბყარნი; თავის მახლობლად აბინაევებდა მათ, საკეთარი ხელით აჭმევდა, საკეთარი ხელით საგებელ-საძინებელს გაუწყობდა, დააწვენდა, დალოცავდა და გაამხნევებდა. დიდი დავით აღმაშენებლის მწიგნობრულ ტრანდიცებზე აღზრდილმა, თავისი დროის „უგანათლებულესი სამყაროს“ სათავეში მღვარმა სეპტროსანმა კარგად იცოდა, რომ ქრისტიანულ ტაძართა შრეში სენაკებში, საღვთისმეტყველო წიგნთა ვარდა, იკითხებოდა და იწერებოდა ქვეშაობრად „ნათელი წიგნები“ — საფილოსოფოსო, სამეცნიერო, სახელოვნებო. იგი იყო უდიდესი აღმაშენებელი და მზრუნველი ტაძართა და სავანეთა. აღაშენა, აღადგინა, გადააყეთა, გადაარჩინა ან „რომელნიმე დარღვეულნი აღაშენა“ ეკლესიები, ლავრები და სავანეები — პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, პეტრიწონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში ისაგორიაში, კურუხეთში და კონსტანტინოპოლში. აღაშენა, მორთო, მოკახმა და აურაცხელი ოქრო-ვერცხლითა და საბოძვარით ააგხო ისინი, მათი ქრისტიანი მოწესენი, მეცნიერნი-მწიგნობარნი და უთვალავი ქრისტეს-გლახანნი.

იცხმარე დღეს შეუსევებელი იდევნოდა თამარი. იცოდა „წყნარმა და ნარნარმა, ცნობიერმა და გონიერმა“ ადამიანური უქმობისგან წარმოსდგებოდა ადამიანური ბოროტებანი. ყველა დასაქმებული ჰყავდა. „არცა თვითონ უქმობდა და არც თვისთა ყმათა აუქმებდა“. შრომობდა ქართველი ხალხი. შენდებოდა ტაძრები, სავანეები, სრა-სასახლენი, ციხესიმაგრენი, გზები, ხიდები, ფუნდუკები, სარწყავ-საირიგაციო სისტემები. ჯებირები აქვედუკები გაჩნდა უამრავი — „თამარის სასახლე“, „თამარის ციხე“, „თამარის ხიდი“, „თამარის წყარო“, „თამარის ეკლესია“, „თამარის სავანე“, „თამარის ხატი“, „თამარის ყელსაბამი“, „თამარის სარტყელი“, „თამარის ქოში“... რად ღირს თუნდაც თამარისეული გვეფთო, ბეთანია, ყინწყისი და ვარძია — ქალაქი კლდეში, გასაოცარი ნაშობი ადამიანის გონებისა და ხელოსანა...

დიაცი იყო და უყვარდა საქმენი სამამაცონი, შვეიცარიის
ხლოსან-მახვილოსნობა, ნადირობა, ჭირითობა, მხედრობა.

დიაცი იყო და უყვარდა „ხელსაქმარი“ საქმეებში მათე-
მატიკის ჩეჩვა და ძაფის რთვა, ქსოვა და ბეჭეტიერვა,
კერვა, ქარგვა და კემსვა მანულებად.

დავით სოსლანს და გიორგი ლაშას მისი ხელით შეკე-
რილი და მოქარველი ჯუბები ეცვათ.

საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაკერს საკუთარი ხელითვე
აეშვედა ღარიბს, ქვრივს, ობოლს, უძლურს, დავრდომილს.

მრავლად დააბიჯებდნენ ქვეყანაზე „ბედნიერი“ მათხოვ-
რები და მაწანწალები — ბედნიერნი, რამეთუ ემოსათ ნა-
ხელავნი თამარ „შვიდმნათობიერისა“...

„სუემან თამარისამან“ სძლია ყოველგვარ აღამიანურ გან-
საცდელს.

მაგრამ „წარმდინარე ესე საწუთო და ქვე დამზიდავი“
ბოლოს მაინც თავისას მოითხოვდა. ასე უნდა ყოფილიყო,
ვინათგან თამარიც სიკვდილის შვილი იყო და არც მის ძარ-
ღვებში დაედინებოდა იქორი — სისხლი ღმერთთა.

1210 წლის შემოდგომაზე თამარი ნაჭარმავევს იდგა. სა-
თათბიროდ მოეწვია დარბაზისერნი, „ყოველნი დიდებულ-
ნი და წარჩინებულნი“.

თათბირზე არავის შეუშინევია, რომ მეფეთა მეფე დი-
ლიდანვე თავს ცუდად გრძნობდა.

ჩვეულებრივ მშვიდად, ღრმაგონებრივად, „იურენა და
განაგნა საქმენი სამეფოსა თვისისანი“, სადარბაზო ბჭობის
დასრულებაც მოასწრო და მერე კი გაუსწორა თვალი მოუ-
ლოდნელად აჩენილ ტყვიას.

რა იყო ეს?

პირველად მაშინ უნდა მიმხედარიყო თამარი, რომ იგი
მაინც ქალი იყო და „ქალური უმწეობანი“, ბოლოს და ბო-
ლოს, დასჭიდნენ კიდევ „საქმეა სამამაცოთა“ შებმისა და
დაძლევისათვის.

„ზრუნვანი სჰამენ გულს“ — ამბობდნენ ძველი ბერძ-
ნები. ხოლო, რამდენი ასეთი „გულის შემკმელი“ საზრუნა-
ვი და საფიქრალი უნდა ჰქონოდა ქალს, ჯერ ვითარცა პატ-
რონს ფეოდალური ვნებათ-ჭიდილით აღსავსე ქვეყნისას,
რომლის მოვლაც ვაჟკაც-ხელმწიფეთა შორის სწორუპოვარ

დავით აღმაშენებელსაც მისჭირვებოდა. მერე, ვითარცა ქალს, რომელსაც უნდა ჰქონოდა საკუთარი, პირადი „ქალური სამყარო“, და აქაც რამდენჯერ „შესკამა“ მისი მტერი იდუმალ დათხეულმა და შინაგან ჩაქცეულმა ცრემლმა, „ღმერთმაცოცხლებელ მღვიძარებამ“ და „გურდემლის მოთმინებით“ ნაფიქრმა სადარდებელმა.

მერე, ნეტარად, ლაშქრად გასული მხედრობის, ქართული ხალხის, ქართული დროშებისა და ჭაგარდნების სცებდნიერი, ძლივამოსილი, შეურცხვენიელი ტარებისათვის რამდენი დღელამე უსწორებია ამ საოცარ ქალს, სხეულის განმარღვეველ ბნელსა და ნესტით გატენილ სენაკებში ლოცვად დაეარდნის, რამდენი ღამე თეთრად უცვეთია შიშველ მუხლებზე დაცემულს ცივი ქვის იატაკზე შილიფად განრთხმულს, უძილარს, მარხულს, ცრემლდათხეულს. რამდენი გრძელი, მტვრიან-ტალახიანი, ეკალ-ბარდიანი, ქვა-ლოჯიანი და ღირღოლოჯიანი გზა გადაულახავს საომრად ამხედრებული ქართული ლაშქრის წინ ფეხშიშველად მიმავალს. ანდა, თვითონ რამდენჯერ ამხედრებული წასძლოდია უმძიმეს ლაშქრობას, ვითარცა ვაეკაცი მოლაშქრე და მხედართმოთავარი...

ბოლოს თავისი უნდა გაეტანა ვაეკაცობასთან შებმულ „დედობრივ უძღურებას“, და გაიტანა კიდეც.

თვითონვე ბრძანა მწარე ღიმილით: „დედობრივმან უძღურებამ განგრძობილთა შინა მხედრობათა არა თავსიღვა შეუშობუველად მიშუება აგებულებისა“.

მაგრამ ეს ბრძანა გვიან, ვიდრე სენი „დღითი-დღე დამძიმდებოდა მის ზედა“, მანამდე არ ამხელდა საშინელ ტყვიანებს, აღიღხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს.

ნაჭარმაგვევიდან ტფილისს გადაიყვანეს ტახტრევანით. კვლავ მდუმარედ ბოჯავდა მისი მძლავრი, განურღვეველი სული გზაზედ აშლილ სასტიკ „ტყვიანეულობას“ სხეულისას.

ქალაქიდან დასოდ („ხშირ ტყედ“) გაიყვანეს, იქნებ ტყემალწარის სიმშვიდებ, სიმშვენიერებ და ჰაერ-სიწმინდებ მისცეს შუება გვირგვინოსანსო.

მაგრამ კვლავ უფრო „დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალ“.

ისევ ტფილისს მოაბრუნეს, „აგარათა ციხესა“.

ნადრევად დაზამთრდა.

„და უკმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამოყ-
მიებლობა მკურნალთა ხელოვნებისა.“



ეროვნული

სიკვდილის საუფლოში შედიოდა „სამგზის სანატრელი“
თამარი.

ამაოდ ათევედა ღამეს საქართველო. ამაოდ „იხილვებო-
დეს ცრემლთა დინებანი მდიდართა და გლახაკთანი სწორე-
ბით“. ამათ იყო ვედრება ღმერთისადმი და ღმერთისმიღმიე-
რისადმი: ოღონდ გადარჩეს თამარი და სანაცლოდ „ჩვენ
ყოველნი მოგუსრენ!“

და იწვია დარბაზის ერნი მომაკედავმა ხელმწიფემ.

და მიმართა სიტყვით: „ძმანო ჩემო და შვილნო! მე
ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა... თქვენ ყო-
ველნი თვით მოწამე ხართ, რამეთუ ჩემთანა მარადეამს
შქონდა სიყვარული თქვენი, და ვიდრემდის მე ვიყავ თქვენ
ზედა მეფედ, არცა რომელიმე თქუენთაგანისათვის დამიკლია რა-
იმ პატივარზანგი შესაფერისად თქვენივე სათნოებისა. აწ
მეცა მივდივარ მამათა ჩენთა თანა გზასა ჩემგან უცხოთა...
და გვედრებით ყოველთა, რათა მარადის იყვნეთ კეთილ-
სა შინა და კეთილისევე მახსენებელ ჩემდა. აჰა, ესერა
მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებთ, რომელნი მომცნა
შვილნი ჩემნი, ვიორგი და რუსუდანი, ეგენი მოიბევენით
ჩემ წილ, და მავათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“.

კათალიკოსს ანიშნა და იმანაც წამსვე მოიღო მაცხოვ-
რის ხატი და ჭვარიცხოველი.

საქართველო დალოცა თამარმა.

შვიდობა უსურვა ყველას, მისი სიკვდილის დამსწრეთ.
და აღმოუტევა სიტყვა უკანასკნელი: „ქრისტე, ღმერთო
ჩემო მხოლოო, დაუსრულებულო მეუფეო ცათა და ქუეყა-
ნისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, საქართველოს, პა-
ტიოსანთა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ
ჩემთა, რომელნი შენ მომეც, და მერმე სულსა ჩემსა“.

და ამ სიტყვებით მოუკვდა თამარი საქართველოს.

„სამგზის სანატრელი“.

„შვიდმნათობიერი“.

„დედოფალი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთი-
სა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“.



„მეფეთა მზე და მსეთაცა მზე“.
 მფლობელი დედამიწის მუბლისა.
 ერთმპყრობელი მეფობით გამეფდა 18 წლისა, ^{არსებდა 250}
 წელიწადი, აღესრულა 43 წლისა. ^{ნიკოლოზი}

„დასხდიან მგოსანნი გლოვისანი“.
 თაღი ჩაიყვა კავკასიელთა სახელმწიფომ.

ტფილისიდან მტებითმდე ცრემლთა თხევით ავლია თოვ-
 ლი „წვრილმა ერმა“.

სვეტიცხოველში დასვენეს მისი ცხედარი.

იანერის მაწურელს, როცა თოვლი მცირედად გაწუდა,
 მტებითდან გელათს გადაასვენეს და იქ დაკრძალეს ქარ-
 ველ გვირგვინოსანთა სამარტვილეში...

წარუშლელი კვალი დატოვა სამარადისოდ თამარის სა-
 ხემ და სახელმა თაობათა ხსოვნაში.

კაცი სახლს აშენებდა, ზედ „აქროსტიხორად თამარის
 შესხმათა“ აწერდა.

სასიძო საქორწინო ბეჭდებზე თამარის სახელს აკეთი-
 ნებდა.

მკედელი მისგან ნაქედზე თამარის სახელს აჭედებდა.

სადმე უღაბნოში, სანთლის მჭრქალი სინათლით განა-
 თებულ სენაეში დაჩოქილ ბერს, ექსტაზში შესულს, ღვთის-
 მშობლის ხატში თამარის ღვთაებრივი სახე ელანდებოდა.

უველგან მთასა თუ ბარში, „თამარის ქებასა მელექსე-
 ობღნენ“.

ბერს იმის დაჯერებაც არ უნდოდა, თამარი ზვეულებ-
 რივი ადამიანივით მიეზარებინოთ მიწისთვის: თამარი გე-
 ლათს დაკრძალესო, მაგრამ არ უნდა იყოს ეგ მართალი,
 ცხრა კუბო გამოასვენესო შაშინ სასახლიდან, სულ ოქროთი
 და თვალმარგალიტით მოჭედილნი, და არავინ იცოდა რო-
 მელში ესვენა თამარი: საქართველოს ცხრა მზარეს წაასვენე-
 სო და ცხრა ისეთ ადგილს დამარხესო, ძეხორციელს არა-
 ვის ეპოვნათ მისი ღვთაებრივი ცხედარი... ცხრა კი არა,
 თორმეტი კუბო იყო... არც თორმეტი ყოფილა, უფრო
 შვიდი იქნებოდა, შვიდმნათობიერისთვის...

თამარი დაძინების წინ გახდილ ტანსაცმელს საჩემელ-
 ში შემოკრიბ მზის სხივზე ჰკიდებდაო..



ქართველთა
წერა-ბეჭდვის
კავშირის
კავშირის
კავშირის

თამარმა შექურ-ვარსკვლავი დაიჭირა და ყუთში
წყვდილო...

სდღაც შორს, „ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა
თამარის ძესხმასა მუსიკელობდიან, ფრანგნი და ბერძენ-
ნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავეკეთილობათა შინა, თამარის
ქებათა იტყოდინან. ესრეთ უოველი ქვეყანა საესე იყო მის-
პიერთა ქებითა, და უოველი ენა აღიდებდა, რომელსაც
ოდენ სახელი მისი ასმიოდეს“.

მერე ბიზანტიაში დიდი პოემა დაიწერა თამარ (დინარ)
დედოფალზე. მრავალ ენაზე ითარგმნა იგი, აღმოსავლეთსა
და დასავლეთში. რუსეთშიაც ფართოდ გავრცელდა თამარის
სახელზე შეთხზული აპოლოგიანი. რუსეთის ხელმწიფე
ივანე პოროზანე თამარ ქართველთა დედოფლს გმირული
სახელით აღაფრთოვანებდა საომრდ აღკახმულ რუსულ
დრუჟინებს. თამარი და მისი ქვეყანა ცოცხლდებოდა კეთილ
რუსულ ზღაპარში, თქმულებაში, მატრიანეში.

შორეულ ინდოეთში გატაცებით, მოწიწებით და აღტაცებით
იხსენიებდნენ საკვირველი სიმშვენიერითა და სიბრძნით
შემკობილი ქართველი ქალისა და ხელმწიფის სახელს...

...გამლილი ქართული დროშით, ამაყი მზერით მიაბიჯებდნენ
ქართველი მლოცველები იერუსალიმის ქუჩებში.

ქართული ლავრისკენ მიეშურებოდნენ. თამარის პარაკ-
ლისზე მიიჩქაროდნენ.

...იღვწებოდნენ საუკუნენი.

ხოლო სახელი თამარისა ახალ-ახალი სიცოცხლით ცოცხლდებოდა.

მისი სახელი საუკუნევი გახდა საქართველოსთვის.

მისი სახელი უმშვენიერეს წოდებად დაებეჭდა ქართულ
სახელმწიფო დროშას — თამარიანი (ამიერიდან —
„გორგასლიან-დავითიან-თამარიანი“).

ხოლო, თვითონ საქართველო ახალ ცხოვრებას შესდგო-
მოდა — უ-თამარ-ოდ.



მეთორმეტე საუკუნე საქართველოსთვის ^{ეროვნული} ^{იდეოლოგიის} ქრისტეს წინარე მეხუთე საუკუნე საბრძნეთისთვის — ეპოქა კლასიკური — ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი აყვავების დრო-ჟამი.

მეთორმეტე საუკუნის დასაწყისიდან თამარ მეფის აღსასრულამდე, 110 წლის მანძილზე, ქართველებმა გარეზე მტრებთან გადაიხადეს 128 ბრძოლა; აქედან — მოიგეს 124, წააგეს 4.

ქართული ხმლის ძლევამოსილების გასწვრივ, დიდი აღმატებით ვითარდებოდა ქართული კულტურა. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით აწ მოხსენიებულ ფილოსოფოსებს, იოანე პეტრიწონელსა და არსენ იყალთოელს. იოანე ჭერ ბიზანტიაში მოღვაწეობდა — პეტრიწონის ქართულ სავანეში და კონსტანტინოპოლში. იმპერიის სატახტოში იგი თავგამოდებით იბრძოდა მეცნიერული აზრისა და კვლევამოძიების სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მის თარგმანებში, კომენტარებსა და ორიგინალურ ფილოსოფიურ გააზრებებში ღრმა ცოდნა გამოსჭევივის სამყაროს მატერიალისტური შეშეცნებისა (თვითონვე ამბობდა: ხელს მიშლიდნენ, თორემ ყველა იხილავდა, როგორ შეშეძლო „მეარისტოტელურაო“). ასევე დიდი ამაგი დასდო ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას არსენ იყალთოელის თარგმანებმა, კომენტარებმა და ორიგინალურმა დებულებებმა.

ამავე საუკუნეში აყვავდა ქართული საისტორიო მწერლობა. ბრწყინვალე შრომა დაგვიტოვა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა, ასევე — თამარ მეფის სამმა ისტორიკოსმა. ყველა თხზულება დაწერილია მაღალი სამწერლობო ხელოვნებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მართებული რკვევით, ფართო განათლებითა და ერუდიციით.

ქართველი მეცნიერები, მოაზროვნენი და მწერლები დედანში ეცნობოდნენ, სწავლობდნენ, იკვლევდნენ ბერძნულ, ბიზანტიურ, აღმოსავლურ-აზიურ, ქრისტიანულ და მაჰმადიანურ კულტურულ მემკვიდრეობათა შედევრებს.



ქართველი ხალხი უძველესი დროიდან ფლობდა სწავლას, მრავალფეროვან ხალხურ პოეზიას, მრავალხანოვან ხალხურ მუსიკას, მაღალხელოვან ხალხურ სახიობას, მატე ასწლებელის საქართველოში შეიქმნა საყოფაღმოსაგმარო მუსიკალური შედეგებშიც.

მეთორმეტე საუკუნის საქართველოში განაყოფიერებით აუყვავდა საერთო ლიტერატურა. უმდიდრესი ქართული ლექსიცოცხლა და პოეტური სახეებით ითარგმნა სპარსულ სასიყვარულო რომანი — „ვისრამიანი“. ორგინალური სახატება პიეზიის შედეგები შექმნეს იოანე შავთელმა და გრაგულ ჩახრუხაძემ.

მარტო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებაც კმარა მეთორმეტე საუკუნის ქართული სულიერი კულტურის სიმადღეთა წარმოსადგენად. განუზომელია ამ ქეშმარიტად გენიალური ნაწარმოების სიღრმე და სიერცე — მხატვრული სახეებით, ბრძნული აფორიზმებით, საოცარი მეტაფორებით, ლექსიკის სიმდიდრით, ზოგადკომპრიული იდეებით, უკეთილშობილესი ჰუმანიზმით, პოეტური ტექნიკის სწორუპოვარი სინატიფითა და მრავალსახოვნებით. შოთას პოემა არის ღვთაებრივი საგალობელი უსპეტაკესი სიყვარულისა, რაინდული თავგანწირვისა, კაცთაშორისი ძმობისა, „ინტერნაციონალური“ თანამეგობრობისა და თანადგომისა. იგი არის ყოველისმომცველი სიმფონია ზენაარი ხელოვნებისა, სიბრძნისა, ზნეობისა, ადამიანისა და გარებუნების განუყრელი მთლიანობისა.

მეთორმეტე საუკუნეში აღმასვლას განაგრძობდა ქართული სახეითი ხელოვნება — არქიტექტურა, ფერწერა, ფრესკა, მოზაიკა, ქედურობა, დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი მაღალმხატვრული ქედურობისა: ჭრუჭის ოთხთავი, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებები, ხახულისა და ანჩის ხატები — ნახელავნი მეთორმეტე საუკუნის ბრწყინვალე ქართველი ოქრომჭედლებისა, ბექა და ბეშქენ ოპიზარებისა. ფრესკული მხატვრობის შედეგებად საქმარისი დავასახელოთ მოხატულობანი გელათის, ყინწვისისა და უბისას კედლებისა, ხოლო, საერთოდ, ზურონიშობღვრების ძეგლებად ბრწყინავდნენ: იკორთა, ქვათახევი, იყალთო, ვარძია, გელათი, გვეთთი ბერთუბანი, ყინწვისი, ბეთანია, ფი-

ტართო, წულრულაშენი, უბისა. მეთორმე საუკუნის ძეგლები
გაიხვეწებენ ორნამენტულ ნუქურთმოვანი ხელოვნების გაბ-
საყუთრებულ სიმდიდრეს, სიხშირესა და სინატრფუნსაჲს
ნ. კონდაკოვი ამტკიცებს, რომ ორნამენტულ-საყუთრებულ
ხელოვნების წყალობით ქართული ხუროთმოძღვრება ევრო-
პის არქიტექტურის მოწინავე რიგებში დგასო.

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეთა ქართული კულტუ-
რის ძეგლები — განსაკუთრებით შოთა რუსთაველის „ვეფ-
ხისტყაოსანი“ — გამოკვეთილად ამჟღავნებენ იმ ძირითად
კულტურულ მიმართულებებს, რომლებიც ორასი-სამასი
წლის შემდგომ საფუძვლად დაედო ევროპის „რენესანს“.

დაიხურა მეთორმეტე საუკუნე — კლასიკური ხანა სა-
ქართველოს ისტორიისა.

მეცამეტე საუკუნემ განაზვნა კარნი ავი ელრილით.

დაღმართი

მშვიდობიანობის დროს შეილება ასაფლავებენ მამებს, ხოლო იმის დროს, მამები — შეილებს.

ქ ე რ ო დ ო ტ ე

ზეოტა ბიორგი ლაშასი

იგი შეიქმნა მიწისა, იგი შეიქმნა მიწისა, იგი მო-
ნა მიწისა.

ეპიგრაფა ადამიანთებს

თამარის სიკვდილის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ძე მისი გიორგი მეოთხე ლაშა 1210—1222), რომელმაც ღირსეულად დაიცვა დიდი წინაპრების გრცელი მემკვიდრეობა — საქართველოს „იმპერია“, — ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“.

უმშვენიერესი კაცი იყო ახალი მეფე, სახედ საოცრად სახიერი და მომხიბლავი, ტანად კენარი, ახოვანი, ძალ-ლო-
ნითა და ლაზათით სავსე. იყო უბადრო მოისარი და მახვი-
ლოსაწი, „ცხენოსაწი გულოვანი“, მოჭირითე და მოსაპარე-
ზე, ბრძოლის ველზე რაინდი უშიშარი და თავდავიწყებით
შემმართებელი. უსაზღვრო გულკეთილობა და გულუხეობა
დაჰყვა დედისგან. მისმა გულმა არ იცოდა, რა არის შურა,
იყო მიუყერძობელი „ბჭე და მოსამართლე“. „მშვიდი და
განურისხებელი ბუნებით“. არასოდეს „შვიდთა სამეფოთა“
შეფეთამეფეს თავის სიცოცხლეში ერთხელაც მათრახი არა-
ფისთვის მოუქნევია. მაგრამ მშობელთაგან „უზომოდ დაყო-
ლილ“ კეთილ ბუნებათა ვარდა, „საკეთარიც“ მრავლად და
„უზომოდ“ გააჩნდა ლაშას, სწორედ მას შეეძლო ეთქვა და-
ბეჭითებით ძველ რომაელთაგან ნათქვამი: „ადამიანი ვარ
და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არს“. თავისუ-



ფალი ცხოვრების მოტრფიალე იყო. მისი ლაღი და ტავანი ბუნება ვერ იტყოდა ხელმწიფისთვის საკალაღმდეგო საერო და სასულიერო კანონიკურ არტახებზე. დაურქმევიათ მისთვის იმდროინდელ მემატიანე-მორალისტებს. სწორედ „თვისი ბუნებით“ მოსურვებია ამ ქვეყანაზე ცხოვრება მეფეს. გარეგნულად იგი ქრისტიანი მოწესე იყო, ეკლესიათა მაშენებელიც, საეკლესიო მსახურთა უსვი მწყალობელიც, და ამდენად, მისთვის საქართველოში არავის შეეძლო ერთეოსობა დაებრალეზინა, თუმცა ვეროპაში ასეთ „თვისბუნება“ მოაზროვნეებს „წმინდა ინკვიზიცია“ კოცონზე წვადა. საქმე ისაა, რომ ლაშა გიორგი „ზენაარ ძალას“ უფრო ადამიანში შეიგარძნობდა და შეიცნობდა, ვიდრე ადამიანის მიღმიერ სამყაროში. თავაწყვეტილი მონადიმე, მონადირე და მოაშივე იყო. ღამლამობით, უბრალოდ, მდაბიურად გადაცმული, აყოლიებდა თანატოლ თანამეინახეებს, პოეტებს, მსახიობებს, მომღერლებსა და მოცეკვავეებს და მათთან ერთად მთელი ღამე ღრეობდა — თვითონაც სვამდა, ლექსს კითხულობდა, მღეროდა, ცეკვავდა და მსახიობობდა. მერე რინდებთან მიდიოდნენ, მისტიკოს-ფილოსოფოსებთან, მათთან გულმიჯრით მსჯელობაში ცდილობდა მეფე აეხსნა ის, რაიც მარადიულ აუხსნელად აწამებს კაცობრიულ მოდგმას: არსი სიცოცხლისა და სიკვდილისა, ყოფნისა და არყოფნისა, ზორცის კედომისა და სულის გარდავლენისა, „ზენაარისა“ და „ქვენაარისა“... ერთხელ მთვრალი მეფე უარესად მთვრალმა რინდებმა ვერ იცნეს. გუნდად მიესივნენ და საშინელ ცემაში თვალი მძიმედ დაუშავეს. ქალისადმი ტრფიალებამ ხომ უადრესად დასცა მეფის ავტორიტეტი მისი დროის „მაღალ მორალისტთა“ თვალში.

ერთხელ ლაშა კახეთს იყო, სოფელ ველისციხეში, იქ ერთი გათხოვილი ქალი ნახა, ძალზე ღამაზი, „ფრთად ქმნულკეთილი“. უსაზღვროდ შეუყვარდა მეფეს ის ქალი, არაფრად ჩააგდო არც ის, რომ იმ ქალს ქმარი ჰყავდა, არც ის, რომ გვირგვინოსნისთვის ასეთი საქციელი უსაქციელობად მიიჩნეოდა — დაავლო ხელი და წამოიყვანა ქალი იგი სასახლეში. ცოლად უნდა შეერთო, მაგრამ ვითარცა მეფეს, ნება არ ჰქონდა ქვეშევრდობი ქალი ქვეყნის დედოფლად



გამოცხადებინა. მას აუცილებლად რომელიმე სამეფო საგვარეულოდან უნდა შეერთო ცოლი. არც ამის გამო აიღო ხელი გიორგიმ თავის გრძნობაზე. ის ქალი არასტრუქტურული მოიშორა თავიდან. რაკი მასზე დაქორწინების ნებას ვერცხადებდა, ცოლის შერთვაზეც საერთოდ უარი გამოაცხადა. ქალი მალე დაორკიცდა ვაჟიც შეეძინა. სახელად დავითი დაარქვეს. გიორგი ბედნიერი მამა შეიქნა.

ერთ დღეს უკანასკნელი იერიში მიიტანეს „დიდთა და ზეპურთა“. მეფეს ეწვივნენ: კათალიკოსი ქართლისა და აფხაზეთისა“ (აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველოსი), ვაზირნი და ეპისკოპოსნი. ეწვივნენ და დაბეჯითებით მოსთხოვეს გაეშვა და პატრონისთვის დაებრუნებინა ქალი. მეფე ისევ ცივ უარზე დადგა. მაშინ უმაღლესმა სამღვდლოებამაც უკან აღარ დაიხია და ის ქალი მეფეს პირდპირ წაართვეს და ველისციხეში კმარს დაუბრუნეს. ხოლო, ყრმა დავითი, „უკანონო უფლისწული“, დანალვლიანებულმა გიორგიმ აღსაზრდელად მიანდო დას რუსუდანს.

საყვარელი ქალის დაკარგვამ მეფეს საბოლოოდ გადააწყვეტინა სავსებით უარი ეთქვა ცოლის შერთვაზე...

გიორგი ლაშას ზეობისას ქართველებს ისევ დასჭირდათ ხმლის გაშიშვლება თამარის სიკვდილით გულმოცემულ და საომრად აღძრულ მამადის რაინდებთან. პირველი, ვინც საქართველოს განუდგა და ხარკის გადახდასა და მორჩილებაზე უარი განაცხადა, იყო ისევ განძის ათაბაგი. შეჰყარა ჭარი გიორგიმ. ფიცხლავ, მიუხდა განძას, ალყაში მოაქცია, გარეთ გამოჭრილ განძელთა ლაშქარი სასტიკად გაანადგურა და გატყდა ისევ განძელი, ვედრება შემოუთვალა მეფეს — რაც ჩავიიღწე, შეშინდეთ, კვლავ ყმად და მოხარკედ მიმიღე და სიკვდილამდე ერთგული დავრჩები.

როგორც ეტყობა, სამხრეთელი მოხარკეებიც აშლილან თამარის სიკვდილით და მისი შემგვიდრის სიახალგაზრდავით გათამამებულნი. და დაიძრა გიორგი ლაშა სამხრეთისაკენ. დაიძრა და ჭერ ნახიქევანი და ოროტნი 23 ციხემისაგრით კვლავ მოაქცია ქართულ სამანებში. მერე შაჰ-არმენს მიუხტა გიორგი, ხლათი აიღო და მისი შემოგარენი „მოწვა და მოარბივა“. ყულზე თოკშებმული გამოცეგება ხლათის სულტანი, თამარის წინაშე დაფიცებული ყმადნაფიცობა და მო-

ხარკეობა ახლა ლაშას წინაშე გაიმეორა, ხლათიდან კარსუქ
ქალაქს გაემართა გიორგი ლაშა. აქაურმა ამირაძაც მაშინვე
შეიბა თოკი ქართველთა მეფის ქვეშე ყმობისა და მისი
ყობისა; ბასიანი გამოიარეს ქართველებმა და მისი
დროის „ძღვეის“ ადგილზე დიდი საზეიმო ასპარეზობა გა-
მართეს. მერე გიორგიმ კერპოლს წარგზავნა დიდად სახელ-
მოსხვეკილი ერთგული შალვა თორეღა ხალციხე-
ლი. წავიდა შალვა, „რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მი-
სებრი ჭაბუკი და მეომარი“, და აიღო კერპოლი და შემოემ-
ტვიცა ისიც საქართველოს.

ქვეყანა დამშვიდდა და დაწყნარდა.

ისევ დარწმუნდა ერთნაირად მტერიც და მოყვარეც:
კვლავ მძლავრი იყო კავკასიელთა იმპერია, კვლავ მძლავრი
ხელმწიფე იჭდა ქართულ, ვიარგასლიან-დავითიან-თამარია-
ნისა ტახტსა ზედა...

...ერთი საუკუნე სრულდებოდა მას შემდგომ, რაც ევრო-
პასა და აზიაში ქართველთა ჰეგემონობა რეალურ აღიარე-
ბად იქცა. მთელი ასი წლის მანძილზე, ბიზანტიის იმპერი-
ის დაკნინების ფონზე, საქართველო წარმოადგენდა ანტი-
მუსლიმანური ძალების ერთადერთ საიმედო ბურჯსა და
დამცველს აღმოსავლეთში. ამ ასწლეულის მანძილზე „ჯე-
აროსნად“ ამხედრებულ ევროპას ერთადერთ საიმედო „ჯე-
აროსან მოკავშირედ“ და თანამოლაშქრედ უსჯულო თურქთა-
გან ქრისტეს საფლავისა და სხვა „წმიდა ადგილთა დასახს-
ნელად“ მიუჩნევია ისევ და ისევ საქართველო. ევროპელ-
თათვის აღმოსავლეთის დიდ ჯეაროსან ხელმწიფეებად“ ით-
ვლებოდნენ იმ „მწვერვალი საუკუნის“ ხელმწიფეები: და-
ვით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი, გიორგი მესამე და
თამარ მეფე. ხოლო, ახლა, სწორედ გიორგი ლაშას ზეო-
ბის ვამს, — მაშინ, როცა ევროპა მეხუთე ჯეაროსნული ლა-
შქრობისთვის ემზადებოდა — სწორედ რეალურად დადგა
საკითხი ქართველთა ვითარცა „აღმოსავლეთ ჯეაროსანთა“,
უშუალო მონაწილეობისა მაშინდელ „მსოფლიო ომში“.

1219 წელს ევროპელმა რაინდებმა ღიღის ვაი-ვაგლახით
ნილოსის დელტაში მუსლიმებს წაართვეს დიდი ციხე-ქა-
ლაქი დამიეტა. ქართველებმა მაშინვე მილოცვა გაუსაენეს
ჯეაროსნებს, თანაც დამასკოს სულტანს ბრძანება აახლეს,

განზრახვაზე ხელი აიღე და იერუსალიმის კედლებს და-
გრევაზე ფიქრიც არ გაბედოო. სწორედ იმ ხანად ჩაჩენი
ეპისკოპოსმა ე ა კ დ ე ვ ი ტ რ ი მ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა შესახებ წიგნი
სალიმის ისტორიაში“:

„ისინი არიან დიდად შედგარნი და მამაცნი ბრძოლაში,
სხეულით მძლავრნი და მხედრობით ძლევამოსილნი. მათ
სასტიკად ჰყავთ დაშინებულნი სარკინოზებში, ხშირი თავდას-
ხმებით ამარცხებენ მათ მოსაზღვრე სპარსელებს, მიდიელე-
ბსა და ასირიელებს, თვითონ ურჯულო ხალხებით გარშემორ-
ტყმულნი. მათ ჰქვიათ გეორგიანები, რადგან განსაკუთრე-
ბულ პატივსა და თაყვანს მიაგებენ წმიდა გიორგის, რო-
მელსაც თვლიან თავის მფარველად და მედროშედ ურჯუ-
ლოებთან ომებში და აღიდებენ ყველა სხვა წმინდანზე მე-
ტად. ყოველთვის, როცა კი ეწვევიან სალოცავად ეფლის
საფლავს, ისინი წმიდა ქალაქში შემოდინ გაშლილი დრო-
შებით და არავის ხარკს არ უხდიან. სარკინოზთაგან ვერა-
ვინ ბედავს მათ შეწუხებას, რამეთუ შინ მიბრუნებულთ შე-
უძლიათ შური იძიონ თავის მეზობელ სარკინოზებზე. მა-
თი კეთილშობილი ქალები ამორძალთა მსგავსად შეიარაღე-
ბულნი იბრძვიან რაინდთა მხარდამხარ“.

ევროპაში უკვე დიდის პატივით, კრძალვითა და აღტა-
ცებით ლაპარაკობდნენ ლეგენდარული თამარის ღირსეულ
ვაჟზე, „ახალ ალექსანდრე მაკედონელზე“, ქრისტიანობის
უბრწყინვალეს რაინდზე.

უკვე კიდევაც მოვიდა ეპისტოლე ევროპიდან საქართვე-
ლოში. რომის პაპი პ ო ნ ო რ ი უ ს მ ე ს ა მ ე, ქართველთა
მეფეთამეფეს თხოვდა დაძრულიყო თავისი მხედრობით იე-
რუსალიმისკენ მიმავალ ევროპელ ჭვაროსნებთან შესაერთე-
ბლად.

დიდი სიხარულით მიიღო გიორგი ლაშამ მისი რაინდუ-
ლი ბუნებისათვის ეგზომ მრავლისაღმთქმელი წვევა. მაშინ-
ვე საომარი სამზადისი ბრძანა.

და სწერს პალესტინიდან ფრანგი რაინდი დ ე ბ უ ა საფ-
რანგეთში, ბ ე ზ ა ნ ს ო ნ ი ს არქიეპისკოპოსს: „...ახლა მოის-
მინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ცინცხალი ცნობები.
ქერ ყურმოკვრით შევიტყე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელ-
ჩების მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერი-

ელი ქრისტიანების, — რომელნიც გეორგიანებად ქართველებდაც იწოდებიან — დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღეთის შემწეობით აღფრთოვანებულმა დასრულდა გად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგანაც ძლიერნი დაიპყრო, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქცია... ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმიდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ტახტეია. იგი აღექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟეცობითა და სათნოებით... ამ ტახტეს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდგია და უთხოვნია შვილისთვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დაეიწყნია დედის თხოვნა და... გადაუწვევტია წმიდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართნი თუ არა“.

მაგრამ ვერ აღესრულა ნაოცნებარი ფრანგი რაინდისა, — ქართველებმა ვერ დაიპყრეს „ქიბი დედამიწისა“. ამოდ იკაზმებოდნენ ქართველნი ახალი ომისათვის — „ჯვაროსნული ომისათვის“, ახალ ქვეყნებში სალაშქროდ, ახალ ხალხებთან შესახვედრად.

აზია-ევროპის გზაყვანძზე ქართველთა ორასწლოვან ზეილსვლას ერთბაშად გზა ჩაუჭრა და ჩაუქცია მსოფლიო გრიგალად მოვარდნილმა ოციანმა წლებმა მეცამეტე საუკუნისამ.

აღმოსავლეთიდან ყოველი ქვეყნის დამანგრეველი და წამლევავი ტაიფენი მოჰქროდა.

ესენი იყვნენ მონღოლები, ანუ თათრები, ველური დამპყრობელნი მსოფლიოისა, რომელთა მომთაბარე, ცხენებზე და საბარგულებზე აგორებულ სახელმწიფოს საფუძველი დაუდო ჩინგიზ-ხანმა.

ჩინგიზმა ჯერ შუა აზიაში ხეარაზმის სახელმწიფო გაანადგურა და 20000 მეომარი დასავლეთისკენ გამოუშვა.

1220 წელს ისინი საქართველოს მოადგნენ ანაზღვეულად.



დაუხვდა გიორგი ლაშა უცხო მტერს სახელდახელოდ
შეერილი ლაშქრით.

პირველივე დატაკება და უკუიქცნენ მონღოლნი ^{ეროვნული} ^{გზლი} ^{მოთხვეა}
გამოენთნენ ქართველნი, გამარჯვებაში დასრულებულ-
ნი.

და უეცრად ჩასაფრებულ მონღოლთა გარემოცვაში მო-
ექცნენ.

მეფე შორიდან ნაძვერალი ისრით დაიჭრა.

ღამარცხებული მობრუნდნენ ქართველნი, ღამარცხებას
გადახვეულნი.

მომღვენო წლის დამდეგს უკვე გადამწყვეტ ბრძოლად
დადგნენ პირისპირ.

და კვლავ მოულოდნელად, ისრის გასროლამდე და სის-
ხლის დაქცევამდე, საომარ ველს გაეცალნენ მონღოლნი და
შირვანისკენ გაქუსლეს.

გამოედევნენ ქართველები, ახლა უკვე ფრთხილი დევ-
ნით, საომარი წყობის დაცვით. დაღამებამდე სდიეს და აღი-
ნეს სისხლი.

ქართველები შემობრუნდნენ. მონღოლებმა კი დაარბი-
ეს შემება, გაიარეს დარუბანდი, ასჩეხეს წინ შემოფეთებუ-
ლი ყივჩაყნი, ჩრდილო კავკასია გადათქერეს, ყირიმს გააღ-
წიეს და მდინარე კალკაზე რუსები დაამარცხეს. უკან მობ-
რუნდნენ და ჩრდილოეთ კასპიის გადალახვით ჩინგიზ ყაენ-
თან დაბრუნდნენ, ყარაყორუმს.

გიორგი ლაშას კი მონღოლური ნაისრალი გაურთულდა.
იდგა 1221 წლის 18 იანვარი, დღე ოთხშაბათი.

და მოკვდა ლაშა გიორგი, ძე თამარისა, საოცარი — ვი-
თარჯა ხელმწიფე და ვითარცა ადამიანი.

გამეფდა 18 წლისა, იმეფა 10 წელიწადი, აღესრულა 28
წლისა.

დაკრძალეს გელათს.

მასვე თან ჩაპყვა სამარეში საქართველოს ასოცწლიანი
უძლეველობის ხანა.



ეროვნული

გიორგი ლაშას სიკვდილის შემდეგ საქართველოში ტი დაიჭირა მისმა დამ რუსუდანიამა (1222—1245), რომელსაც სახელოვანი დედისაგან სრულქმნილობით მხოლოდ სხეულებრივი სიმშვენიერე დაჰყოლოდა, ისე ნებიერი ცხოვრება უყვარდა და ნადიმობა-მუსიკობაში ამა საქმეთა „დიდოსტატსაც“. — საყუთარ მას ეჭობრებოდა. იგი დანიშნული იყო შირვან შაჰზე, მაგრამ გიორგის უყვარმა სიკვდილმა დანიშნული ქორწინება ჩაშალა და ბოლოს, რუსუდანი ცოლად მისთხოვდა კარნუ-ქალაქის სულტნის ძეს, მოლის ედ-დინს, რომლისგანაც მას შეეძინა მემკვიდრე დავითი.

ამგვარად საქართველოს სამეფო ტახტს უკვე ორი უფლისწული ელოდა — დავით გიორგის ძე და დავით რუსუდანის ძე.

რუსუდანიამ გამეფებისთანავე განაახლა ლაშას დროს ევროპასთან დაწყებული დიპლომატიური ურთიერთობა და „ყვაროსნული ომისათვის“ სამზადისი. ისევ გაჩაღდა მიწერ-მოწერა რომის პაპსა და საქართველოს სატახტოს შორის. ამავე დროს რუსუდანი ადარბადაგანის დასალაშქრავად ამზადებდა ჯარებს.

და ისევ მოულოდნელად საქართველოს კვლავ სრულიად ახალი მტერი გამოეჩნდა. ეს იყო ჯალალ ად-დინი, მონღოლთაგან ძლეული ხვარაზმ-შაჰის ძე, ნიჭიერი, მამაცი და თავზეხელაღებული თურქმანი, რომელსაც სრულად დაეპყრო ირანი და ახლა საქართველოსკენ მოაქროლებდა ურიცხვ მხედრობას.

მოდითა ჯალალ-ადდინი და მოუწოდებდა ყველა მუსლიმს „ცისქვეშეთში“, იარაღი აიღეთო ქართველთა წინაღმდეგ „საღეთო ომში“. და სისხლსა და ხანძარში ჩავახრჩოთ ეს მუსლიმთა დამანგრეველი და დამამკირებელი ქვეყანაო. რუსუდანიმ სასწრაფოდ საომარი წვევა ბრძანა.

სომხეთში შემოჭრილიყვნენ საშინელი ხოცვა-ჟლეტით მაკმადიანნი.

ქართველებიც უკვე მიჰქროდნენ სომხეთისაკენ.

1225 წლის აგვისტოს, დეინის ჩრდილოეთით, ცხესიმაგ-

რე გარნისთან, ერთიმეორის პირისპირ დადგნენ 20000 მუსლიმი და 60000 ქართველი.

ქართველები გარნისთან აღმართულ მთაზე იდგნენ, ხოლო მუსლიმები კად, ქვემოთ კი, ფართოდ გაშლილი ველი ჯალალ ად-დინის შემოპრებით გაჭედდილიყო.

ერთი დღე-ღამე იდგნენ პირისპირ, დამქანცველ ლოდინში. შერე, დილით ადრე, ჯალალ ად-დინმა სრულის ძალებით დაიწყო შეტევა.

ქართველთა მთავარსარდალმა ათაბაგმა ივანე მხარგრძელმა მხოლოდ 4000 მეწინავე თორელი შეაგება მტერს, მათა შალვა და ივანე ახალციხელთა სარდლობით. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მხარგრძელს ახალციხელებისთვის ერთი მეომარიც აღარ მიუშველებია. ამოდ შეაწყდა 4000 ქართველი 200000 მამადიანს. ივანე მხარგრძელი კი მანამდე დასცქეროდა ხელის გაუნძრევლად ბრძოლის ველს, სანამ ახალციხელთა ჯარი სრულად არ გაწყდა, ხოლო როცა ტრაგედია დასრულდა, მთავარსარდალმა სრულიად ხელუხლებელი არმია სასწრაფოდ გამოაბრუნა და გამოიქცა! რა ერქვა ამას?

გარდა ლალატისა, რა უნდა დარქმეოდა?

გარნისის ბრძოლა ასე „უცნაურად“ და „უაზროდ“ გათავებულყო.

იმ წუთს კი არავინ იცოდა, რომ გარნისის ტრაგედია სამართადადემოდ საგლოველ ნიშანსვეტად უნდა გახყოლოდა საქართველოს ბედდამწვარი ისტორიას.

ოთხი ათასი ქართველი იწვა უმრავლეს მუსლიმთა შორის.

მოკლული იყო ივანე ახალციხელი, (მაინცდამაინც კლდიდან მაშინ დავიკრებული ქვა დაეტაკა და მისგან მოიხრა).

ტყვედ წაეყვანათ იარაღდაღეწილი შალვა ახალციხელი.

ჯალალ ად-დინმა სცადა სახელგანთქმული ქართველი გმირის „მოშინაურება“ და სამმართველოდ მისცა ადარბადაჯანის მთავარი ქალაქები — მარანდი, სალმასი, ურშია და რუსუ. მაგრამ მალე გამეღავენდა, რომ შალვა ტფილისის იდუმალ ატყობინებდა მტრის სალაშქრო გეგმებს.

ჯალალ ად-დინის ბრძანებით ჯალათებმა გაიყვანეს რა

ხმლებით ასჩეხეს შალვა ახალციხელი, რომელსაც ახალციხელთა კაცთა შორის მისებრი ქაბუჯი და მეომარი!

ტფილისისკენ უთვალავი მუსლიმანური მხედრობის მოსახლეობის რაობა.

და ეს მაშინ, როცა იქ მტერს ველარავენი დახვდებოდა მსგავსი შალვა თორელ-ახალციხელისა...

როგორც კი რუსუდანმა ხვარაზმელთა მოახლოების ამბავი შეიტყო, მაშინვე ქალაქის დაცვის მეთაურობა ორ ძმას ჩააბარა, მესხებს, მემნა და ბოცო ჯაყელებს. ხოლო თვითონ რუსუდანმა დასავლეთ საქართველოს მიამტრა და ქუთაისის სასახლეში დასახლდა.

1126 წლის 8 მარტს ქალაქ ად-დინი მოადგა ტფილისს. გაუბტნენ ქართველები. შეებნენ, გაიძარცვეს და უაუაქციეს მტერი.

უკვე საერთოდ უკან გაბრუნებაზე ფიქრობდა ქალაქ ად-დინი, მაგრამ იმ დამით თვითონ ტფილისის მუსლიმანი მცხოვრებნი ეახლნენ და მეორე დღის იერიშისთვის შიგნიდან კარების გაღება აღუთქვეს.

გათენდა თუ არა 9 მარტო, ქალაქ ად-დინი მთელის ძალებით დაეძგერა ქალაქის მთავარ კარიბჭეს — „განძის კარებს“.

შიგნიდან ძმები ჯაყელები იკაზმებოდნენ მტრის დასახვედრად.

მცველთა შორის მუსლიმანი ტფილისელები სჭარბობდნენ.

და ის იყო ბოცო ჯაყელმა მოასწრო მუზარადის დახურვა, მაგრამ მისმა ძმამ, მემნამ ველარ მოასწრო. ზურგიდან მიეჭრა რომელიღაც ტფილისელი მუსლიმი და ორივე ხელით შიშველ თავზე უხეთქნა ხმალი. უსულოდ გადმოეშვა უნაგირიდან მემნა ჯაყელი. ერთმანეთს მიესიენენ მუსლიმანი და ქრისტიანი ტფილისელები. იმძლავრეს მუსლიმებმა და გააღეს მტრისთვის კარიბჭე ტფილისისა.

და შემოიჭრა გრიგალივით ქალაქ ად-დინის ურდო საქართველოს სატახტოში. შემოიჭრა და გააჩალა მანამდე გაუგონარი ხოცვა-ყლევა. ქრისტიანთაგან აღარ ინდობდნენ აღარც ქალს, აღარც კაცს, არც მოხუცს, არც ჩვილ ბავშვს. ხოცავდნენ ყველას უკლებლივ. დაიტაცეს ყვე-

ლა სიმდიდრე. შებილწეს ყველა სიწმინდე, სიონის ჯვარს თვითონ ჩამოავდო და მიწას დაანარცხა ჯალალ ად-დინმა, გუმბათი ჩამოანგრია, ტაძრიდან მაცხოვრისა და ღმერთის ბლის ძვირფასი ხატები მიწაზე დააყრევინა და ყველა ქრისტიანს, ვინც მათ არ დაგმობდა და არ შეურაცხოფდა.

100000 ადამიანი გაწყდა მაშინ ტფილისში, ორჯერ მეტი, ვიდრე უსაშინლესი მიზანთრობის ბუღა თურქის შემოსევის დროს.

ერთი წლის თავზე ქართველებმა ტფილისი დაიბრუნეს, მაგრამ ხუთი წლის მანძილზე ჯალალ ად-დინი მაინც დაუსჯელად აოხრებდა და არბევდა ქართულ სოფლებსა და ციხე-ქალაქებს.

1230 წელს მონღოლების გამოჩენამ ისევ დააფრთხო და გააქცია ხვარაზმ-შაჰი. ვიღაც ქურთ მომთაბარეს შეეფარა ლტოლვილი. ეს ქურთი სტუმრის ძვირფას აღკაზმულობას დაეხარბა და მძინარეს გულში მახვილი დასცა.

და მ ა ვ ი დ რ ე ბ ა მ ო ნ ლ ო ლ ე ბ ი ს ა

1235 წელს მონღოლები სრულის ძალებით შემოესივნენ ქართველთა სამეციდრებელს. სამხრეთი საქართველოს მესვეურებმა — მხარგრძელებმა, მათზე მინდობილი სამფლობელოება მტერს უბრძოლველად ჩააბარეს და თვითონაც ჩაბარდნენ. ტფილისიც აიღეს მონღოლებმა. მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე და ქუთათისზე გალაშქრება ვერ გაბედეს.

რუსუდან დედოფალი ისევ ქუთათისში იჯდა და რომის პაპს, გრიგოლ მეცხრეს „ჯვაროსნულ დახმარებას“ თხოვდა. მაგრამ რაჟი „ვერობული გზის“ ძიება ამაო და უშედეგო გამოდგა, რუსუდანმა ისევ მონღოლებთან შერიგება სცადა და თავისი ძე, დავითი, საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად ყაენთან გაგზავნა.

რუსუდანი შვილის დაბრუნებას ვერ მოესწრო და გარდაიცვალა (1245).

უმეფო და უპატრონო საქართველო მონღოლებმა დაპყრობეს.

ყვეს რვა დუ მნიად, სამმართველო ოლქებად. წოველ ჯე
მანს სათავეში ჩაუყენეს ქართველი ერისმთავრები.

დუმნების მიხედვით მონღოლებს საქართველში მონღოლ
ვდათ ქარი და კრეფდნენ ხარკს, ანუ ხარ აჭ ა ს. საქართვე-
ლოს ყოველწლიურად მონღოლთა ყაენისათვის უნდა გადა-
ესადა 50000 ოქროს პეპერა.

ა ლ ა მ უ თ ი

ჩრდილოეთ ირანში, ყაზვინის ახლოს, მაღალ სალ კლდე-
თა თავზე აღმართულიყო ციხესიმაგრე ა ლ ა მ უ თ ი, („აღუ-
ამუთ“ — არწივის ბუდე). აქამომდე მტერთაგან ვერავის
მოუხერხებია მისი დაუფლება. ახლა მონღოლები შესდგო-
მოდგნენ ალამუთს ალყად. შვიდი წელიწადი ამოდ მიჰქონ-
დათ იერიშები მონღოლ ნოინებს — ჩ ა რ მ ა ლ ა ნ ს, ჩ ა -
ლ ა ტ ა ს, ი ო ს უ რ ს ა და ბ ი ჩ ი ო ს.

ქართველებიც თან ახლდნენ მონღოლებს „არწივთა სა-
ბუდარის“ დაუფლებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში. შვიდი
წლის განმავლობაში ქართველ ერისთავეებს — ოღონდ კი
მონღოლთა თვალში ფასი დაგვედოსო და — ყველაზე საზი-
ფათო იერიშებზე მიჰყავდათ ქართული ქარები. მონღოლე-
ბი გაოცებული იყვნენ, ქართველები რომ ესოდენ „დიდსა
ქირსა შინა“ სიცოცხლესაც არ იზოგავდნენ თავიანთ მტერ-
მათხართა სასიამოვნოდ(!)

შვიდი წელიწადი გმირულად იგერიებდა ალამუთი მონ-
ღოლთა და ქართველთა გააფთრებულ იერიშებს. ზოლო,
მისი უძლეველობა მარტო მიუვალ მთასა და კლდეს როდი
ემყარებოდა. მთავარი მიინც ის იყო, რომ ალამუთს მ უ -
ღ ი დ ა ს ა ს ი ნ თ ა ციხიონი იცავდა.

მუღიდები, ანუ ასასინები, ანუ ფიდაები, ისმიალიტთა
სექტას განეკუთნებოდნენ და სიკვდილთან წილნაყარი ფანა-
ტიკოსი „ტერორისტები“ იყვნენ. მათთვის სიკვდილი სამო-
თხეში მარადიული, ნეტარი სიცოცხლის დამკვიდრების გზა
იყო. ამიტომ სიკვდილის დაძლევის ხელოვნებას ვერავინ ისე
ვერ ფლობდა, როგორც მუღიდო... საუკუნენახევრის მან-
ძილზე ეს „მკვლელთა სახელმწიფო“ თავზარს სცემდა სელ-



ჩუკ სულთანებს, ამირებს, ბეგებს, ჯვაროსან ხელმწიფეებსა და სტრატეგოსებს.

ახლა მონღოლები და ქართველები შემოსდნენ ჩვენს ალამუთს...

სწორედ მეშვიდე წელს, ზაფხულის ერთ ღამეს ეილაცას ჩალატა ნოინი მოეკლა თავის კარავში. ხოლო მოკლული ნოინის ბანაკი ქართველთა ბანაკის გვერდით იდგა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მონღოლი სარდლის მკვლელობა ქართველებისათვის დაებრალეებინათ. მხოლოდ ერთს, ჩარმალან ნოინს არ სჯეროდა ქართველთაგან ამნაირი მუხანათობა და ამ სიტყვებით აკაეებდა კიდევ თავისიანებს: „დაწყნარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელი და არცა სჯული უცთ ესევეითარისა საქმისა ქმნად“.

მაგრამ ჩარმალანის შეგონება არაფრად ჩააგდო ჩალატას ბანაკმა და თათრები ავი ღრიანცელით და იარაღის ეღრიანლით დაიძრნენ ქართველთა შესამუსრავად.

მოულოდნელმა საფრთხემ ფეხზე დააყენა ქართველობა. მაგრამ „არა უწყოდეს, რამცა ჰყვეს“. ზოგი უსახელოდ, გაუგებრობის ზეარაკად შორჩილ შეწირვას ვაეკაცურ სიკვდილს ამჯობინებდა და საომარდ გასვლას მოითხოვდა, ზოგიც დიდად ქარბ თათართა ძალებთან შებმას უაზროდ თვლიდა და ბანაკში ჩაკეტვას არჩევდა. დრო კი აღარ ითმენდა. სადაც იყო მონღოლები თავს უნდა დასცემოდნენ ქართველთა ბანაკს.

მაშინ წინ გამოიჭრა ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი და ასე მიმართა თავისიანებს: „არა არს ეამი ბრძოლისა, რამეთუ მცირე ვართ“ და თუ მაინც არ დავიშლით და შევებრძოლებით, მაშინ ისინი ჩვენ ყველას „დიდით მცირედის“ უკლებლივ ამოგვწყვეტენ. ამიტომ უმჯობესია ხელი არ გამოვიღოთ და თათრებს მარტო ჩვენ, წარჩინებულნი ერისთავეები და ლაშქრის მეთაურები შევხედეთ. თათრები ჩვენს დახოცვას იკმარებენ და დანარჩენ ქართველობას, ჯარს ხელსაც არ ახლებენ.

ძლიერად, შთამაგონებლად ლაპარაკობდა გრიგოლ სურამელი და ქართველებმა ყოველმა „დიდმა“ და „მცირემ“ დაუჯერა მის კეთილშობილურ სიტყვას.

გრიგოლ სურამელმა სიტყვა იმით დაასრულა, რომ სამ-

ჭერ პირვეარი ისახა, სამჭერვე მუხლი მოიყარა და ღვთისმ-
შობლის სადიდებელ საგალობელს შეუდგა. დენარჩენებელს
აქუენენ გალობას.

სიხლოთქა

თათართა ღრიალს ქართული სიმღერა შეერთო.

გრიგოლ სურამელი პირველი გამოეგება სიკვდილს. და
ნარჩენი მეთაურებიც მიჰყვნენ. წამიც და ქართველთა სის-
ხლი უნდა დაქცეულიყო, რომ უეცრად, ყველასათვის მოუ-
ლოდნელად, იქვე გამდგარი ლერწმოვანიდან ვიღაც კაცი გა-
მოვარდა და სპარსულად იუვირა:

„მან ქუშტემ ჩაღატა!“ („მე მოვკალი ჩაღატა!“).

ყველანი, მონღოლებიც და ქართველებიც ერთბაშად შებ-
რუნდნენ და იხილეს კაცი იგი, რომელსაც ხელში სისხლია-
ნი ლახვარი ეჭირა. და დაიძახა თუ არა, მაშინვე ისევე ლერ-
წმოვანში გაუჩინარდა მკვლელი.

მონღოლებმა ქართველთაგან პირი იბრუნეს, ლერწმოვანს
მიესივნენ და ყოველს მხრიდან ცეცხლი წაუკიდეს. „და
გამოიყვანა ცეცხლმან ლერწამთაგან კაცი იგი“, შეიპყრეს
და მიჰგვარეს ნოინებს. მკვლელი დაჰკითხეს და მან თქვა:
„მე ვარ მულიდი, მულიდთა შორის საჩინო. ჩვენმა თავადებ-
მა მომცეს ოქრო ღრიალი, რამეთუ მოვსულიყავ და ერთი
მაინც მომეკლა თქვენ ოთხთა ნოინთაგან. მეც წამოველ, მოვ-
კალ და დავიშალე“.

ჩაღატას მკვლელი მულიდი ნოინებმა ჯალათს მოაკვლე-
ვინეს.

ქართველები უბრალო ამოწყვეტას გადარჩნენ.

კოხტასთავი

1247 წელს, უმეფობის ეამს, ქართველმა ერისთავებმა მო-
ნღოლთა უღლის დასამზობად შეთქმულება მოაწყვეს.

საიდუმლო შეკრება მოხდა კოხტასთავს — ჭავახეთ-
ში.

აქ შეიოქმენენ: ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტ-
ნე დადიანი, კახაბერ კახაბერისძე, ვარ-
ამ გაგელი, ყვარყვარე ჭაყელი, შოთა

კუპრი, თორღა პანკელი, გამრეკელი
რელი და სარგის თმოგველი.

დაადგინეს — ერთიანი ძალით „ვბრძოდეთ“
და საომარ ძალთა თავმოსაყრელ პაემნად დათქვეს რკინის-
ჯვარი.

ცოტნე დადიანი და კახაბერ კახაბერისძე კობტასთავიდან
ადრე წაეიდნენ, დასავლეთ საქართველოდან ჯარების გად-
მოსაყვანად. დანარჩენებმა კი წასვლა-წამოსვლა ვედარ მო-
ასწრეს: მონღოლები დაესხნენ და ყველანი შეიპყრეს. ბუნე-
ბრივია შეთქმულება ვილაცას გაეცა.

შეპყრობილნი მონღოლებმა სომხეთში ჩაიყვანეს, ანისის
ახლოს, მონღოლთა ბანაკში. ყველანი გააშიშველეს, ხელ-ფე-
ხი შეუბოქეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და მწველი მზის ქვეშ
დაჰყარეს.

როცა ეს ამბავი ცოტნე დადიანმა შეიტყო, მაშინვე სომ-
ხეთს ჩაეიდა, თვითონაც ტანთ გაიხადა, მხარ-მკლავი გაიკრა
და მზითა და კრახანებით განაწამებ ამხანაგებში ჩაჯდა.

გაოცებული მონღოლი ბელადები ცოტნეს მიცვივდნენ და
ასეთი უცნაური თავგანწირვის მიზეზი ჰკითხეს. ჩემს ამხანა-
გებს „თვინიერ ჩემსა არარა უქმნიეს“, — უპასუხა დადიან-
მა, — ისინი უდანაშაულონი არიან, ხოლო თუ უდანაშაუ-
ლოთა დასჯა გადაგიწყვეტიათ, მაშინ მეც მათთან ერთად უნ-
და დავისაჯო.

მონღოლებმა ვაჟაკობისა და თავგანწირვის ფასი იცოდ-
ნენ.

ცოტნე დადიანის გასაოცარმა გმირობამ გაჭრა.

მონღოლებმა ყველანი გაათავისუფლეს.

ზეობა ორი დავითისა

ბოლოს და ბოლოს, საქართველოს მეფობის საკითხიც უნ-
და გადაწყვეტილიყო. საქართველოს ტახტისათვის, თავ-თავის
პოლიტიკური დასებით, ერთმანეთს ეცილებოდა ორი და-
ვითი, ბიძაშვილ-მამიდაშვილი, ძე გიორგი ლაშასი და ძე რუ-
სუდან დედოფლისა.

1249 წელს მონღოლეთის დიდმა ყაენმა მანგუმ, რო-

გორც იქნა, გადაწვევითა „ქართველთა საკითხი“. გადაწვევით
ფრიად მზაკვრულად: საქართველოს ტახტზე მეფედ ორივე
დასვა, ორივე დავითი: ეროვნული
ბიზლიმთისა

ლაშას ძე — დავით ულუ (უფროსი);

რუსუდანის ძე — დავით ნარინ (უმცროსი).

„საისტორიო ნუმერაციით“ დავით მეექვსე იქნება ნა-
რინი (რაკი იგი დედამისმა რუსუდანმა უფრო აღრე „გაამე-
და“), ხოლო დავით მეშვიდე იქნება ულუ.

ამრიგად, 1249 წელს საქართველოში ერისმთავართა დუ-
მნისთაობა გაუქმდა და ქართული მეფობა აღდგა.

და მოვიდნენ „ტფილისის სიხარულითა“, დასხდნენ „ტახ-
ტსა მამათა მათისა“:

დავით ულუ — ახოვანი და დიდტანოვანი, ჯანლონიერი,
ხელუცთომელი მოისარი, ბუნებით გულმართალი, უმზაკვრო
ენაძვირი და გასაოცრად მალემრწმენი.

დავინ ნარინ — ტანად საშუალო, ხმელი და ძვალთხე-
ლი, პირად ფერგამკრთალი, ჰაეროვანი, ტკბილმოსაუბრე,
თავმდაბალი და შემწყყნარებელი, მტკიცე-ნებოვანი, შესანიშ-
ნავი ცხენოსანი, მონადირე და მორბენალი.

„დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ“. ყოველ სიგელს
ორივენი ერთად წერდნენ — „მეფენი ბაგრატიონნი, ნებითა
ღმრთისათა დავით და დავით“, დაბოლოს, ისევ ორივეს ხელ-
რთვა:

ულუ — „ჩემ დავითისგან მტკიცე არს“.

ნარინ — „ჩემ დავითისგანაც მტკიცე არს“.

ორივე დავითი ერთ ხანზე მონღოლურ უღელსაც „თანად-
გომით“ ეწეოდნენ — ხარკს იხდიდნენ და მონღოლთა გაუ-
თავებელ ომებში ქართული ჯარებით, „როგორც წესი“, მუ-
დამ ბრძოლის მეწინავე ხაზზე იბრძოდნენ.

სწორედ მაშინ დაიბადა ქართველი ერის გამანადგურე-
ბელი ეს „აფორიზმი“ — „წესადმცა არს ქართველ-
თა წინამბრძოლობა“. ქართველებს ყოველ „უცხო
თესლთა“ ბრძოლაში აუცილებლად ყველაზე წინ, ზედ სიკე-
დილის ხაზზე უნდა ეომნათ, პირველნი თვითონ უნდა დახო-
ცილიყვნენ, უცხო თესლათვის უნდა დახოცილიყვნენ, რა-
თა სწორედ უცხო თესლი „განეკვირებიათ“!

და ყველაზე საოცარი და „განსაკვირველი სწორედ ის



იყო, რომ ესეც თვითონ ქართველების აჩემება იყო და მინსკ-
 დამინც ბრძოლაში მეწინავენი, სიკვდილის ხაზზეც მეწინა-
 ვენი ჩვენ, ქართველები უნდა ვიქნეთო!

მძიმე იყო მონღოლური უღელე, ნივთიერადაც მძიმე
 იყო. მაგრამ უფრო მძიმე იყო სისხლიერად.

და კიდევ უფრო დამძიმდა იგი, როცა მეზობლად, ირან-
 ში, ცალკე მონღოლი ყაენი და ცალკე მონღოლური სახელმ-
 წიფო დამკვიდრდა — ყაენი ჰუ ლა გუ და მისი შემკვიდრე-
 ნი, ჰუ ლა გი დ ე ბ ი...

ჰულაგუ ყაენმა საქართველოს აღწერა მოახდინა და ამის-
 გან „დიდსა ქირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი დავითისნი“,
 სააღწერო დავთრებში ირიცხებოდა ყველაფერი — სულიე-
 რი და უსულო, უძრავი და მოძრავი. ირიცხებოდა ყველა მა-
 მაკაცი 11 წლიდან 60 წლამდე. ირიცხებოდა ყოველგვარი
 პირუტყვი, ყანა, ვენახი, ბაღი, ბაღჩა, ბოსტანი და საძოვა-
 რი.

აღწერით გამოირკვა, რომ საქართველოს მონღოლთა საო-
 მარი დროშის ქვეშ 90000 მეომარი უნდა გამოეყვანა. ხო-
 ლო ეს რიცხვი, ძირეული ანგარიშით ემყარებოდა ამ პრინ-
 ციპს: ყოველ ცხრა სრულფედიან ოჯახს ერთი მეომარი უნ-
 და მიეცა მონღოლთათვის. მაშასადამე, მაშინდელ საქართვე-
 ლოში (სომხეთის მითვლით), ხვარაზმელთა და მონღოლთა
 უწყალო ხოცვა-ჟლეტათა შემდგომ, მაინც არსებული 810 000
 სრულფედიანი ოჯახი. ეს კი საერთო ანგარიშით, ადასტუ-
 რებს: მაშინდელ საქართველოში ცხოვრობდა არანაკლები 5
 მილიონი ადამიანისა (გასაგებია, რამდენით მეტი იქნებოდა
 თამარის დროის საქართველოში).

მონღოლებმა აღწერასთან ერთად დაბეგრეს და დახარკეს
 სამეურნეო ცხოვრების ყველა უბანი.

მთავარი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი „საყაენო გა-
 დასახადად“ ითვლებოდა და სახელად მა ლ ი ეწოდებოდა.

საძოვარ-საბალახე გადასახადს ერქვა ყ ა ფ ჩ ე რ ი, რომ-
 ლის მიხედვით ყოველ ას სულ საქონელზე ერთი სული მონ-
 ლოლისთვის უნდა მიეცათ.

იყო საეპრო გადასახადიც — დ ა მ ლ ა. შესყიდულ სა-
 ქონელზე ღირებულების სამ პროცენტს ახდევინებდნენ.

ცალკე გადასახადი იყო ადგილზე ჩაყენებულ თათართა

შესანახავად. მას ულუფა ეწოდებოდა და გულსმობდა, მონღოლთა ათასეულის მეთაურისათვის, ანუ ათასეულის ნოინისათვის, ყოველ სოფელს უნდა მიეცა თითო ^{სოფელი} და ^{სოფელი} ფულდ თითო ოქროს დრაჰკანი, ხოლო ათათასის მეთაურისათვის, ანუ დუმან-ნოინისათვის — თითო ცხვარი და ორი დრაჰკანი.

დაწესებული იყო შრომითი გამოსაღები — ბეგარა. მას ერქვა — ყალანი. ქართულად — სალაშქრო. არსებობდა მეორე ბეგარაც — საიამე, რომლის შინაარსი ეს იყო: ყოველ შარავნაზე, განსაზღვრულ მანძილზე, მონღოლებს აეგოთ სადგურები, ანუ იამები, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას მონღოლ ფაიქ-მიკრიყთა და სხვა მოხელეთათვის მუდმივად გამზადებული უნდა ჰყოლოდათ ცხენები, სარჩო-საბადებელი, სასტუმრო, საგებ-სამძინებელი და სხვა მისთანანი. ეს იმდენად მძიმე ბეგარა ყოფილა, რომ „საიამე გზა-შარაზე“ მოსახლეობა იყრებოდა და შორს იხიზნებოდა.

ყველა ამით გარდა, პულაგუ ყაენმა საქართველოს თავისი „საკუთარი გადასახადი“ დააკისრა. ეს იყო თადარი, სამხედრო გადასახადი ყოველი კაცის თავზე, თანაც რამდენიმე გამოსაღებით: ყოველ ცალკე მცხოვრებს მონღოლთა ხაზინისთვის უნდა ჩაეზარებინა 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა ღვინო, 1 ლიტრა ბრინჯი, 3 თოფრაკი, 2 თოკი, 1 ისარი, 1 ნალი, 1 თეთრი; ამას გარდა, ცალკე უნდა გადაეხადა 20 პირუტყვზე 1 პირუტყვი და 20 თეთრი.

ქართველი გლეხის უბედურება ისიც იყო, რომ უცხო, მონღოლური უღელი მას არ ათავისუფლებდა „მშობლიური“ სამეფო, საბატონო, საეკლესიო და სამოხელეო გადასახადებისაგან...

...1258 წელს, ისევ ქართველთა „წესისმიერი წინამბრძოლობით“, მონღოლებმა აიღეს ქალაქი ბაღდადი. იმავე წელს ისევ დავით ულუ შეშვიდის და ქართული ჯარის წყალობით, ეფფრატის პირას, პულაგუ ყაენმა გაანადგურა ეგვიპტის სულტნის ქარები.

1259 წელს დავით მეექვსე ნარინი აუჯანყდა პულაგუ ყაენს. პულაგუმ დამსჯელი ჯარი აფრინა. მძიმე ბრძოლაში ქართველებმა უკუაქციეს მტერი. დავით ნარინი ქუთათისში გადავიდა და დასავლეთი საქართველო დამოუკიდებელ სახელ-



მწიფოდ აქცია. ამგვარად საქართველოში ორი ტაქტი დაიღ-
 გა: ქუთათისში — დავით მეექვსე, ნარინი, ტფილსში
 დავით მეშვიდე ულუ.

გიგლიძის

მომდევნო 1260 წელს დავით ულუც აუჯანყდა ყაენს, მა-
 გრამ დაპარცხდა და შერიგება ითხოვა. ჰულაგუ ყაენმაც სე-
 რიგება არჩია, რადგან ჩრდილოეთიდან მეორე ყაენის, ბეჩა-
 ქას შემოსევას ელოდა და ძალიან სჭირდებოდა ქართველე-
 ბისა და მათი მამაცი მეფის თანადგომა მომავალ ომში. ეს
 ომი კიდევაც მოხდა. ჰულაგუმ, ისევე ქართველთა წინამძრო-
 ლობით, შირვანში შემოჭრილი ბერქა ყაენი დააპარცხა და
 დარუბანდს გადალმა გააქცია.

1266 წელს კი საქართველოს ახალი უმძიმესი მარცხი ეწ-
 ვია. მალემრწმენი დავით ულუ დაარწმუნეს, რომ სამცხის
 მმართველი, სარგის ჭაყელი, ვლადატობსო. მეფემ
 ერთგული ქვეშევრდომის ლაღტი მაშინვე დაიჯერა და მა-
 შინვე შეიპყრო კიდევ. სარგისის ქვეშევრდომებმა მაშინდელ
 ყაენს, აბაღას აცნობეს ყოველივე. აბაღა ყაენმა დავით
 მეფეს ჭაყელის გათავისუფლება და მასთან გაგზავნა მოსთ-
 ხოვა. მეფემ ყაენის ბრძანება აღასრულა. სარგისი ყაენთან
 გაემგზავრა. მალე ახალი შემადრწუნებელი ბრძანება მოვი-
 და ტფილისში: ამიერიდან სარგის ჭაყელი და მისი სამთავ-
 რო სამცხე ცხადდება ყაენის პირად „ხასინჯუ-ულუსიანად“ —
 საკუთრებად.

ასე ჩამოეკვეთა ერთ დროს ერთიანი საქართველოს პო-
 ლიტკური სხეულისაგან კიდევ ერთი სისხლზორცეული ვრ-
 თეული — სამცხე, ანუ სრულიად მესხეთი.

ამიერიდან ამ ქართულ ქვეყანასთან საქართველოს მეფე
 აღარაფერი ესაქმებოდა..

1270 წელს, 55 წლის ასაკში, გარდაიცვალა მონღოლთა
 სამსახურში დასწრებული დავით მეშვიდე, ულუ. ლაშას
 ძე. დაკრძალეს მცხეთას...

ხოლო დავით ნარინ ჩუსუდანის ძე ჭერჭერობით ერთა-
 დერთი გვირგვინოსანი იყო, რომელმაც აქამდე მოახერხა
 მსოფლიოს მპყრობელთაგან თავისი სამეფოს გადარჩენა და
 დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

მაგრამ მხოლოდ მონღოლთა „დაშინებით“ როდი ამოი-
 წერა დავით ნარინის ხელმწიფური სიმაღლე. მან თვალი



შიაკრო უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ლთაძველ პონტოს, სადაც დიდი თამარმა მეცხრე წელს კენის დამდევს თავისი საპატრონო და საფელქმანის ფო შექმნა — „ტრაპიზონის იმპერია“, რომლის ყოველი კეისარიც, რასაკვირველია, ქართველი ხელმწიფის ქვეშევრდომად ითვლებოდა.

წინა აზიასა და საქართველოში მონღოლთა შემოსევას, ბუნებრივია, თავისი ავი დიდი საქართველო-პონტოს ერთობისთვისაც უნდა დაესვა. საქართველომ დაქარგა აღმოსავლეთი სამფლობელოები, — ასეთივე საფრთხე ელოდა დასავლეთ გავლენის სფეროთა მფლობელობასაც.

მართლაც, როცა მონღოლებმა რუმ-იკონიის სულტანი (რუსუდან ქართველთა მეფის სიძე) დაამარცხეს და დაბარკეს (1244), ტრაპიზონის კეისარმაც ხარკის ძლევა, ქართველების ნაცვლად, მონღოლებს დაუწყო.

მანამდე ტრაპიზონის სასახლის კარზე ორი პოლიტიკური დასი უპირისპირდებოდა ერთმანეთს — ქართული და ბიზანტიური. სანამ საქართველო ქვეყნად პირველობდა, ვერც ტრაპიზონის ბიზანტიური დასი და ვერც მისი მფარველი კონსტანტინოპოლის ხელისუფლება კრინტის დამკრასაც ვერ ბედავდნენ. ტრაპიზონ-პონტოს ქვეყანა უპირველეს ყოვლისა ქართული ქვეყანა იყო და მისი ხელისუფლებაც, დიდი თამარის ხელდასხმის კვალობაზე, ყოველთვის ქართული „დასის“ და ორიენტაციის საფუძვლებით მოქმედებდა და ცხოვრობდა.

ხოლო, ახლა, როცა საქართველოს ძლიერება მსოფლიოს დამანგრეველებს დაენგრიათ და დაეძაბუნებიათ, ტრაპიზონის საეკისროში ერთბაშად გაცოცხლდა ბიზანტიური „დასი“. კონსტანტინეპოლის ხელისუფლებაც, რომელიც იქამად ძალზე გაცხოველდა, მაშინვე აფუსფუსდა პონტოური ქვეყნის საქართველოსგან წასაგლეჯად და ბიზანტიის საზღვრებში მოსაქციევად. კიდევაც გაიტანეს თავისი ბიზანტიის შესვეურებმა. ტრაპიზონის ციხე-ქალაქებში ბიზანტიური ციხიონები ჩადგნენ. თითქოს საქართველო აღარც კი არსებობდა.

სწორედ ამის გამო ამხედრდა დაეით შექმნეს ნარინი. 1282 წელს გაზაფხულზე, მან ჯარი შეკყარა და ტრაპიზონ-პონტოს მხარეს შეესია, ბიზანტიელები განდევნა და ისევ

ქართული დასი აღადგინა ტრაპიზონის საქეთმპყრობელობაში.

ასე დარჩა ეს „სტატუსი“ თვითონ დავით მეფის მემკვიდრეობაში რჩებადღე.

ხოლო, აღესრულა დავითი 1293 წელს, 68 წლის ასაკში — დავით მეექვსე ნარინ რუსუდანის ძე — იმეამინდელ აზიელ ხელმწიფეთა შორის ერთადერთი გვირგვინოსანი, რომელსაც მსოფლიოს მპყრობელმა მონღოლებმა ქედი ვერ მოახრეგინეს.

იგი ორჯერ იყო ნაქორწინევი. პირველ მეუღლედ ჰყავდა თამარ, ამანელისძის ასული, ხოლო მეორედ — თეოდორა, ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ მერვე პალეოლოგოსის ასული. თამარისაგან დავითს შეეძინა სამი ძე — ვახტანგ, კონსტანტინე და მიქაელ, ხოლო თეოდორასაგან კიდევ ერთი — ალექსანდრე.

დაქრძალეს დავით ნარინი გელათს.

ზეოტა დემეტრე თავდადებულისა

მონღოლთა ყაენმა აბალამ დავით მეშვიდე ულუს გარდაცვალების შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე დაამტკიცა მისი 11 წლის ძე, დემეტრე მეორე (1271—1289).

1277 წლის 17 წლის დემეტრე მეფემ აბალა ყაენის საომარი წვევა მიიღო. მონღოლთა მბრძანებელი ეგვიპტის სულტანის, ფუნდუყარ ბეიბარსის წინააღმდეგ აგზავნიდა ლაშქარს. ქართველთა მეფეც მაშინვე გაეშურა 3000 მეომრით. ბრძოლა მოხდა მესოპოტამიაში, სადაც ქართველებმა ისე იბრძოლეს, „რომე თათარნი განყვირდეს“. საოცარი სიმამაცე გამოიჩინა ქართველთა ჰაზრემა ხელმწიფემ. მაგრამ მისი გულადობა და გულმოდგინება ძვიარი დაუჯდა ქართველობას. თათართა „განყვირვების“ საფასურად, 3000 ქართველიდან ოთხიოდე გადაურჩა სიკვდილს.

მომდევნო 1278 წელს მონღოლებმა გილანს გაილაშქრეს. არც ეს ლაშქრობა ჩატარებულა ქართველთა მონაწილეობის გარეშე. არც ამ ბრძოლაში დაუტოვებიათ „განყვირვების“ გა-



დაურჩევბდა. ბუნებითაც ლაშასაებრ „თვითბუნება“ იყო დემეტრე მეფე. თუმცა მშენებლობა უყვარდა, მონასტრების მრავლად ააშენა (მათგან — მეტეხის ტაძარი), მანამდე სავიარაოე შესწირა, საეკლესიო მოწესეებსაც „საზრდელი და სამოსელი“ გაუჩინა, კიდევაც მხურვალედ ლოცულობდა და მარხულობდა, მაგრამ გულწრფელად მას არც ეკლესია სწამდა, არც მისი რიტუალი და ზნეობა.

მეფის ყველაზე სათაკილო „მწვალეზლობად“ ეკლესიის მესვეურნი მის მრავალცოლიანობას მიიჩნევედნენ. დემეტრე სამჯერ იყო ნაქორწინევი. ჯერ, 13 წლის ყმაწვილმა ცოლად შეირთო ტრაპიზონის კეისრის ასული, რომლისგანაც მას ხუთი შვილი შეეძინა: ვაჟები — დავითი, ვახტანგი, ლაშა, მანოველი, და ერთი ასული — რუსუდანი. დემეტრეს მეორე ცოლი იყო მონღოლი ქალი, სახელად — სოლღარ, რომლისგანაც მას გაუჩნდა კიდევ ორი ვაჟი და ერთი ქალი: ბაადური, იადგარი და ჯიგდახათუნი, ხოლო მესამე ცოლად მეფეს ჰყავდა ბექა ჯაყელის ასული, ნათელი, რომლისგანაც დაიბადა გიორგი, მომავალი გიორგი ბრწყინვალე.

მაშასადამე, დემეტრე მეფეს თავისი სიცოცხლის 29 წლის თავზე სამი ცოლისაგან 9 შვილი ჰყავდა.

ამაოდ ირჯებოდნენ საეკლესიო და საერთო სჯულიერების მქადაგებელნი, „თვითბუნება“ მეფის „გონს მოყვანა“ არავის ძალუძდა. მათ არ ესმოდათ, რომ დემეტრე მეფე შფოთით, კეშნითა და სულიერი ზადიერებით აღსავსე დროის შვილი იყო და მას, ერთს, თუნდაც მამაცსა და გულუშიშარ რაინდს, არ შეეძლო წაღმა დაებრუნებინა ავი საისტორიო ბედისწერისგან ასე უქულმართი სიმძლავრით დატრიალებული ცხოვრების ჩარბი. მისი მძლავრი მხარ-მკლავი მაინც უმშვეო იყო ქართველი ხალხის კისრიდან ჩამოეგდო ის უმძიმესი უღელი, რომელიც მსოფლიოს უმრავლეს ხალხთა ქედს ჩაკარვოდა ისე სასტიკად. ასეთ ბოროტ დრო-ყამს, ნივთიერ სიდუხჭირესთან ერთად, ბევრი სულიერი ბინჯიც („ყოვლით კერძო ბოროტ“) მოჰქონდა. დემეტრე მეფეშიც მისი თანამედროვეობა ჩასახლებულიყო მთელი თავისი წინააღმდეგობებით: იგი პირდაპირი რაინდიც იყო და უპრინციპო რენეგატიც, დაკვირვებული ბრძენიცა და თავზეხელაღებული ავან-



ტიურისტიც, თავმდაბალიც და ამპარტყვანიც, უხვიც და უხე-
 ხარბიც, საზოგადო კაცობოყვარეც და პატრომობოყვარეც, მათის-
 ტიც.

მაგრამ ჯერ არავე იცოდა, რომ მასში, თურმე, დიდი, უხემოესი კაცობრიული გმირი სუნთქავდა...

...1284 წელს ირანის მონღოლთა ყაენი შეიქმნა არღუნ-ნი. დემეტრე მეფე ახალ ყაენსაც ერთგულად ემსახურებოდა და „უცხო დროშის ქვეშ“, „უცხო თესლათვის“ თავისი ქართველებით ისევ „ქართველთა წესისამებრ წინამძღოლობდა“. მონღოლთა კართან ქართველი მეფის სიახლოვეს ისიც განამტკიცებდა, რომ ყაენის მთავარი ვაზირი და უპირველესი მრჩეველი, ბუღაჩინგსანგი, მისი ახლობელი და მოყვარე იყო: დემეტრეს ასული ცოლად ჰყავდა ბუღას ძეს.

მაგრამ 1288 წელს არღუნ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულება გამტკიცდა. შეთქმულების მეთაურობა ბუღაჩინგსანგს დაბრალდა. ყაენის ბრძანებით ბუღას თავი გააგდებინეს. მოკლეს მისი ვაჟიც (დემეტრეს სიძე), ამოწყვიტეს მისი ახლობლებიც, ნათესაელებიც. მას უკან, სახელმწიფოს ყოველ კუთხეში გაეღიბეს ბუღასგან აღზევებული ყველა მოხელე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს საერთოდ არაფერი გაეგებოდა, რაის მიზეზით თუ საბაბით ასაღმებდნენ წუთისოფელს.

ჯერ ფეხზე იდგა მხოლოდ ერთი „ბუღასთავანი“ — ქართველი მეფე დემეტრე...

და 1289 წლის საახალწლო დღეს იმანაც მიიღო „მიწვევა“ მონღოლთა ურდოში.

მეფემ სახელმწიფო დარბაზი შეჰყარა, საერონი და სასულიერონი, და ჰკითხა რჩევა, როგორ მოქცეულიყო. ყველა მიხვდა, რომ მეფეს გამძვინვარებული ყაენის კარზე უეჭველი სიკვდილი ელოდა, ამიტომ ყველამ ერთხმად ურჩია — მთებში გახიზნულიყო და თავისთვის ეშველა.

დემეტრემ ეს რჩევა არ მიიღო და ურდოში წასვლა მტკიცედ გადაწყვიტა. მან ასე მიმართა დარბაზს: „თუ არ წარვიდგე მე ურდოსა და წარვიდგე მთიულეთს სიმავრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი, მაშინ, აჰა, ყოველი სამეფო ჩემი მათ წინაშე ძვეს, და იხილეთ: რაოდენი სული ქრისტიანე სიკვ-

დილსა მიეცემის და ტყვე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებინა და მოოხრდებინა, ხატნი და ჭვარნი დაიმუსრვიან... მე ესრეთ ვპოვნებ: მრავალმღელვარე არს საწუთრო ენა, რომელი გრომელ და წარმავალ დღენი ჩვენნი, სიზმარებრ და მძიმადობებრ წარვლენ და ჩვენც შეუხელებელ და მსწრაფლ გვევალებსა წარსულა ქვეყნისა ამისაგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისაგან? აწ მნებაეს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს!"

ველავ ბევრი ურჩიეს, უმტკიცეს, არწმუნეს, მაგრამ ვერ გადაარწმუნეს და გადაწყვეტილებაზე ხელი ვერ ააღებინეს.

„მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა, და არა დავიშლი ურდოსა წასვლას!“ — საბოლოოდ დაბეჭდა მეფემ.

და გაემართა იგი მონღოლთა კარზე — საკუთარი სიცოცხლის ფასად სამშობლო ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად. მიდიოდა მეფური ღირსებით, ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული და ამაღად ახლდნენ აბრაჰამ კათალიკოსი, მოსე მღვდელი, ერისთავნი და უფლისწული დავით.

მეფე ყაენს ეახლა.

იგი დაჰკითხეს. შეთქმულებაში მონაწილეობისა ვერაფერი დაუმტკიცეს, მაგრამ მაინც საპყრობილეში ჩააგდეს.

ერთ ღამეს ქართველებმა რაღაც ხერხებით მეფის საკანში შეაღწიეს და მოახსენეს: გარეთ ცხენები გვიცდიან, შეჩექ და „განერგ ხელთაგან ამითთა, რამეთუ არ არს ნაცვალა სულისა შენისა“.

გაუკვირდა მეფეს: ეს როგორ ჩაიდინეთ და თავი ასე უაზროდ გასწირეთო. განა, თავიდანვე არ ვიცოდი რომ სიკვდილი მელიოდა, მაგრამ მე ხომ ჩემი ერისათვის დავდევი თავი ჩემი და სული ჩემი. განა მე შემიძლია ეს ამოვებით აღსავსე და წარმავალი საწუთრო იმისთვის დავიბრუნო, რომ მის საფასურად ქართველი ხალხი მოისრას?

აღარ უცდიათ დარწმუნებულის გადაარწმუნება.

დემეტრე ისევ მარტო დარჩა აღსასრულის მოლოდინში...



ახლად აღმოხდენილი მზის შუქზე იელვა ხმაღმა მტკვრის შირას.

და ცალ-ცალკე დაეცნენ დედამიწაზე საოცარე წყნების
ლი კაცის ახოვანი ტანი და მშვენიერი თავი.

რამდენიმე დღე-ღამე დაუმარბავად ეყარა წამებულის ნა-
შთები დადამიწაზე. თათარი გუშაგები ადგნენ, რათა არაეის
წაელო და დაეშარბა ქრისტიანი ქრისტიანული წესით. მერე
ისევ იმარჯვეს მოსე მღვდელმა და აბრაჰამ კათალიკოსმა:
მონღოლი გუშაგები მოისყიდეს და ცხედარი გამოიხს-
ნეს.

შუალამისას გამოაპარეს მოკლული მეფე. წინა დღეს
ტფილისელ მეფეებებს წააწყდნენ და იმათ შეეთქვნენ, მე-
თევზის ურემზე დაასვენეს მისი ნაშთები. ზემოდან თევზი
დააყარეს. დიდის ვაი-გაგლაბით მოიტანეს მცხეთას.

და აქ „დამარხეს სამარხოსა მამათა მათოსა“.

მადლიერმა ხალხმა მისთვის თავგანწირულ გმირს უწოდა
— „თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი“.

...იღწებოდნენ და იმუსრებოდნენ საუკუნენი.

დემეტრეს გმირობიდან 700 წლის შემდგომ ქართველ-
თა უგვირგვინო ხელმწიფე დამჯდარიყო წამებული გვირგვი-
ნოსნის სახოტბოდ — ილია კავკავაძე წერდა პოემას — „მე-
ფე დიმიტრი თავდადებული“...

„თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი დ ა ნ“ „ბ რ ყ ე ი ნ ვ ა ლ ა მ დ ი“

არღუნ ყაენის ნებით აღმოსავლეთ საქართველოს ტახტ-
ზე დაჯდა ვახტანგ მეორე, ძე დავით ნარინისა, ხოლო
მისი ხანმოკლე მეფობის (1289—1292) შემდგომ, მონღოლ-
თა ახალმა ყაენმა, ქეილათუმ, მეფედ დასვა დემეტრე
თავდადებულის ვაჟი — დავით მერვე (1292—1311).

1295 წელს ირანის მონღოლთა ურდოში ახალი გადატ-
რიალება მოხდა და ძალაუფლება ხელთ იგდო ყაზანმა.
ორი წლის შემდგომ ყაზან ყაენმა საქართველოს მეფე ურ-
დოში გაიწვია. დავით მეფე არ აღმოჩნდა მამისებრ გმირუ-
ლი სულის პატრონი. მან ურდოში წასვლაზე უარი თქვა,
„რამეთუ აქუნდა შიში თათართა ყაენის ხილვისა“. იგი ეინ-

ვანს გაიქცა, იქაური ციხეები გაამაგრა, ქარი ჩაეყენა და თვითონ მთებში გაუჩინარდა.

ამის შემდგომ ხუთი წლის მანძილზე მონღოლებმა კარტლს მხოლოდ მცირე მკვეთრი ლაშქრობდნენ საქართველოში. ქართლს მხოლოდ მცირე ლაშქრობა გასწორდა. მეურნეობა მოიშალა და ჩაეკვდა. კაცის ხელით ნაშენები ყოველივე დაინგრა და დამიწდა. აღამიანური სული გატყდა და გამწარდა. „არა იყო მათ ეამთა. შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე“...

...ძლივს მიიყამა მეცამეტე საუკუნე — დაწვებული ქართველი ხალხის უბრწყინვალესი აღწევებით და ამზეგებით, ხოლო გამსრულებული უმძიმესი სისხლთა თხევებითა და დაქვეითებით.

დიადი მეთორმეტე საუკუნის „მსოფლიო მონაპოვარნი“ სავსებით შეიწირა მომდევნო ასწლეულის საოცარმა ბედუკუღმართობამ.

გიორგი ლაშას აღსასრულიდან საუკუნის მიწურულამდე 78 წლის მანძილზე, ქართველებმა გარეშე მტერთან გადაიხადეს 34 უმძიმესი ბრძოლა; აქედან — მოიგეს 17, წააგეს 17. ეს პირველად ხდებოდა, როცა ქართველები საომარი თაღპიონიდან აქტიური ბალანსის გარეშე გადადიოდნენ.

უფრო მეტი სისხლი ქართველებმა დააქციეს და დაიქციეს უცხო მიწაზე. „უცხო დროშის ქვეშ“, ანუ „უცხო თესლთა ისტორიის შესაქმნელად“ ქართველებმა გადაიხადეს 23 ბრძოლა.

ახალი, მეთორმეტე საუკუნე ახალი უბედურებით შემოიჭრა საქართველოს საისტორიო ეპისაბრუნავში. 1301 წელს მონღოლთა შემოსევებით ჩანგაეადნინლ ქართლს საშინელი შიმშილობა დაატყდა თავს. პური აღარ იშოგებოდა არავითარი ფულის ფასად. „ესოდენ გამძვირდა შიმშილი“, რომ „მძორსა არაწმინდასა ურიდად ჰამდნენ. სავსე იყვნენ უბანნი და ფოლოცნი, გზანი, მინდორნი, ქალაქნი და სოფელნი მკვდარებითა. ყრმანი მკვდართა დედათა ლეშეთა სწოვდიან“ (იმ წლებში შიმშილობდა მთელი ირანი, შუამდინანართი და ეგვიპტე).

ერთადერთ ბედნიერებად ესლა დარჩენილიყო, რომ თათართა შემოსევებისაგან დაცული შესხეთი გადაჩენოდა შიმშილს. აქ „იბოვებოდა პური სასყიდლად“. ქართლის დამ-



შეულა მოსახლეობა მესხეთს მიაწედა. მესხებაც ვედრად დაუხვდნენ სისხლისღვრითა და შიმშილით ღონისძიებულ მუელ თანამოძმეებს. ბექა ჯაყელის მეუღლე, ვახტანგის ქალი საოცრად სათნო და „ყოვლითერთ შეშკობილი“, სათავეში ჩაუდგა სამცხისაგან ლტოლვილ ქართულთ „უხვად და უზომოდ“ დაპურება-დაბინავების საქმეს. საქართველოს სახელმწიფო ტახტისაგან განდგომილმა „მესხურმა ბედელმა“ უხვი კალთა გაუხსნა თავის სისხლიერ ძმებს.

ხოლო, „განდგომილება“ მესხეთისა, როგორც მკითხველს ახსოვს, ჯერ კიდევ დაეით მეშვიდე ულუს დროიდან დაიწყო, როცა მეფის უმადურობით გაგულისებულმა სარგის ჯაყელმა მესხეთი მონღოლთა ყაენს ხასინჯუ-ულუსიანად შეაგედრა და შეაგრძომა. მის შემდგომ ქართველმა მეფეებმა დაკარგეს სამცხე-მესხეთი, ეს „ერთი მესამედი საქართველო“. ამიერიდან მესხეთის მფლობელები ჯაყელ-ციხისჯვარელნი, ქართველ მეფეთაგან განჩინებულნი და თათართა ყაენის „კალთას შეფარებულნი“, განაგებდნენ ქვეყანას ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამდე.

მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს „განჩინება“ მაინც პირობით ხასიათს ატარებდა. მრავალსაუკუნოვან ქართულ ფესვებზე ნაზარდ მესხურ „ინსტიტუტებს“ მაინც არ შეეძლოთ დედაქართული სახელმწიფოებრივი ხისგან სავსებით მოკვეთილიყვნენ. მესხეთის ამაყი მბრძანებლები, ჯაყელ-ციხისჯვარელნი „სამცხის სპასალარის“, „მანდატურთუხუცესისა“ და „მეჭურჭლეთუხუცესის“ ზახიან ტიტულებს ისევ „ტფილისელი მეფის“ ხელდასპით ღებულობდნენ.

მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ყველაზე ძლიერი პიროვნება სწორედ სამცხის მთავარი, მანდატურთუხუცესი ბექა ჯაყელი იყო. მისი სარდლობით 12000 მესხმა სასტიკად გაანადგურა ბასიანსა და ტაოში ანაზდად შემოჭრილი 60000-იანი თურქული ურდო, რომელსაც ვინმე აზატ-მოსე მოუძღოდა. „ახლად აღზვევებულ თურქთა“ მაშინდელმა განადგურებამ ყველა დიდსა და მცირე მტერს გაახსენა, რომ ქართველებს გამარჯვება არ დაეიწუნოდათ...

ბექა ჯაყელმა, თურქთა ძლევის შემდგომ, ძლიერ ქართველ ხელმწიფეთა მსგავსად, დასაუღეთისაგენაც გაიწია —



„მონტოური საქართველოს“ შემოსამტკიცებლად. აქ ტრაპიზონის საკეისროს სასახლის კარზე, კვლავ უჩვეულოდ ებრძოდნენ ერთერთს ქართული და ბიზანტიური ჯარები. აქ ჯაყელმა ტრაპიზონის კეისრის ტახტზე თავისი სიძე, ალექსანდრე მეორე აიყვანა. ტრაპიზონში მესხური ციხიონი შეაყენა და თამარ მეფისგან შექმნილ სახელმწიფოში „ქართული ორიენტაციის“ საფუძვლები კვლავ განამტკიცა და გააძლიერა.

ბექა ჯაყელი დინჯი ველსრულობით და წინდახედულობით განაგებდა „თავის წილ საქართველოს“. მამაც სარდალსა და ქვეიან ხელისუფალს სამართლისმცოდნისა და კოდიფიკატორის იშვიათი უნარიც აღმოაჩნდა. ბექა ჯაყელმა მისი დროის „იურისტთა“ საკრებულო შექარა და მათი დახმარებით ქართული წიგნი შეადგინა — „წიგნი სამართლისა კაცთა შეცდომებისა ყოველისავე“...

...ხოლო ქართლი ისევ მოეცვა მონღოლურ ცეცხლსა და რკინას.

მთაში გადახვეწილ დავით მეგრეზე გადამტერებულმა ყაზან ყაენმა საქართველოს „ნამდვალ მეფედ“ მისი ძმა, ვახტანგ დემეტრეს ძე გამოაცხადა. ვახტანგ მესამე მკვლასი წელიწადი (1302—1308) იმეფა „სრულიად საქართველოს მეფის“ ტიტულით, თუმცა სინამდვილეში მისი სამფლობელოს საზღვრები ტფილისისა და დმანის-სამშვილდის იქით აღარ მიდიოდა. ტფილისის ჩრდილოეთით მდებარე ქართულ მიწებს ისევ დავით მეგრე ჩაფრენოდა, დასავლეთი საქართველო კვლავ დავით მეექვსე ნარინის შვილებს ეპყრათ, ხოლო სამხრეთი მხარე, დიდი მესხეთი ზომ, ისევ და ისევ ჯაყელთა ხელში იყო განკერძოებით.

ვახტანგს ჯერ კიდევ გაუფხვებამდე გაუფარდა ნიჭიერი და მამაცი ქაბუკის სახელი. 1299 წელს ყაზან ყაენმა დიდი ლაშქრობა მოაწყო სირია-პალესტინიდან ეგვიპტელთა გასაძრევებლად. ყაზანმა ვახტანგიც თან წაიყვანა ქართლელთა და მესხთა ჯარებით. მონღოლები და ქართველები შეიჭრნენ „ქვეყანასა ასურასტანისასა და შაპისასა და მოათხრებდეს“.

მაშინ დიდძალი მხედრობით წაპოვიდა ეგვიპტის სულტანი ნასარ მელიქი. სასტიკი ბრძოლა გაიმართა ქალქ ჰემსთან. ქართველებმა აქ აშკარა სიკვდილისგან იხსნეს ყაზან

ყენი. მონღოლებმაც ფრთები გაშალეს ქართველთა „საკ-
ვირველო წინამბრძოლობით“ გამხნეებულებმა. დამარცხდ-
ნენ და „ივლტოდეს მეგვიბტელნი და ნასარ მელქრქეშელი
ლაქი ჰემსი აიღეს და დაიჭირეს გამარჯვებულებმა.“

იმ წელსვე იერუსალიმსაც დაეუფლნენ მონღოლები და
ქართველები.

მერე დამასკოს ჯერიც დადგა.

ყაზან ყაენმა ქართველთა და სომეხთა სიმამაცესთან ერ-
თად მათი მარადიული თანამშობისა და თანადგომის ამბავიც
კარგად იცოდა. ამიტომ მან, 1300 წლის გაზაფხულზე, ვახ-
ტანგი სწორედ ქართველ-სომეხთა ჯარით გაგზავნა დამასკოს
დასაბურთად. სასტიკი, თავზეხელაღებული იერიშებით აი-
ღეს ქართველებმა და სომეხებმა მსოფლიოში განთქმული ცი-
ხე-ქალაქი. აიღეს და მონღოლთა მბრძანებელს მიაართვეს.

ოთხი თვე ძლიერ მოათია მონღოლთა ციხიონმა დამას-
კოში. აჯანყდნენ დამასკოელნი და გამოდევნეს მათი ქალა-
ქიდან მონღოლნი. ისევ გაიწვია ლაშქრად ვახტანგი ყაზან
ყაენმა. ისევ პირველნი შეეჭრნენ ქართველები და სომეხები
დამასკოში. მიჰყვნენ მონღოლები და სასტიკად აიკლეს და-
ცემული ქალაქი.

კიდევ სამი წელიწადი იბრძოდა „წინამბრძოლად“ ვახ-
ტანგ მეფე თავისი ქართველებით მონღოლთა და ეგვიპტელ-
თა შორის გამართულ სისხლიან ბაეჭრობაში. ისევ ქართველ-
თა „წინამბრძოლობით“ გაიარეს, დაიპყრეს და გაძარცვეს
მონღოლებმა ქვეყნები ტიგროსიდან ღაზამდე და სუეცის ყე-
ლამდე.

ყ ე ო ბ ა გ ი ო რ ბ ი ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ი ს ა

ლომზა ელვარებს მზე.

ს ე ნ ე კ ა

1314 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მეფე შეიქნა დე-
მეტრე თავდადებულის უმცროსი ძე, ბექა ჩაყელის ასუ-
ლის, ნათელასგან მხოლოდშობილი — გ ი ო რ გ ი მ ე ხ უ-
თ ე. მალე ხალხისგან „ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე დ“ წოდებული.

გიორგი მეხუთემ მემკვიდრეობად ქვედამხობოლი და დაქცეული საქართველო მიიღო. მონღოლურ-თათრულმა უღელმა, ურჩუქმა ბასაკობამ, საესებით გააპარტახა და შერყევს ვიანად ამოგდო სამეურნეო ცხოვრება. მძიმედ დანარჩენი ქართველი აგრიკოლა (მიწის მუშა) მის უსაყვარლეს და უმთავრეს საქმიანობას — მიწათმეურნეობას ტოვებდა, ღედაზ ბუდიანად იყრებოდა და მთაში იხიზნებოდა. გარბოდა თითქმის ყველა, ვინც კი მონღოლთა გაუთავებელ ომებში სიკვდილს გადაურჩა. საქართველოს ბარი სოფლიან-ქალაქიანად ცარიელდებოდა და ვერანდებოდა.

მონღოლურმა სამხედრო მანქანამ შეარყია და შეცვალა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებაც. უთავგამო ომებმა და უცხო დროშის ქვეშ „წესად მიღებულმა“ ქართველთა „წინამძროლობამ“ სამხედრო სიჭკველე უმაღლესი საზოგადოებრივი მოწოდებისა და პრივილეგიის საგნად აქცია. ახალი სოციალური შრე — სამხედრონი — წარმოადგენდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების „ელიტას“. ძველი აზნაურებიდან წინაურდებიან „დიდებულეები“. მეფის შემდგომ უმაღლეს მაგისტრატურებს იჭერენ „მთავრები“, ანუ „საქვეყნოდ გამრიგენი“, რომლებიც ისევ და ისევ ძლიერ მახვილზე დაყრდნობით, ხელთ იგდებენ ცალკეულ ქართულ თემთა და კუთხეთა უზენაეს ხელისუფლებას.

ძირფესვიანად შერყეულიყო საუკუნეთა მანძილზე მკაცრად და მკვრივად ჩამოსხმული ქართული ზნეობრივი და სამართლებრივი სამყარო. იდგა „დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა... ერთმანეთსა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი“. არსად „სამართალი არად იყოლა“.

ასეთი იყო საქართველო მეთოთხმეტე საუკუნის კვირახალს — დაშლილ-დაწიწკნილი პოლიტიკურად, ჯანდაშრეტილი ფიზიკურად, დაკნინებული სულიერად, დამხობილი ზნეობრივად.

და სრულიად დროზე მოევლინა თავის ქვეყანას გიორგი მეხუთე ბრწყინვალე — ღირსი, იხსენიებოდეს გორგასალოსა, ბაგრატ მესამისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლისა.



გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს მთიანეთი მოსახლეობას შიშველად მოიპყრეს და ბართან ერთად ერთიან სახელმწიფოებრივ და ზნეობრივ კანონმდებლობაში მოაქცია. ახალ კანონმდებლობას, რომელიც სახელმწიფო და ახალი მოიწონა, ეწოდა „ძეგლის დადება“. საქართველო უბრუნდებოდა თავის ძველ ტრადიციულ წესრიგსა და ზნეობრიობას. ფეოდალური განკერძოებულება გზას უთმობდა ცენტრალიზებული ხელისუფლების შეუფალ, განუყოფელ და სიტყვაშეუქცეველ უზენაესობას. ბოროტი „ულუსობანი“ (მონღოლური ზნე-ჩვეულებანი) შიშველ, მაგრამ მაინც გარდუვალი ქამგასულობით ივლტოდა ქართული ზნეობრივი სამყაროდან.

„ძეგლის დადებას“ გიორგი ბრწყინვალემ ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კანონმდებლობა მოადევნა. ესაა სახელგანთქმული „ხელმწიფის კარის გარიგება“, ქართული სახელმწიფო-სამართლებრივი კულტურის ბრწყინვალე გამოვლინება. ეს ნიშნავდა თამარის დროინდელი სახელმწიფოებრივი სისტემის აღდგენას...

გიორგი მეფე ცხოველი ენერგიით იბრძოდა საქართველოს დანგრეული სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად და ასაყვავებლად. მონღოლ ბასკაკთა შიშით მთაში გახიზნულ ბარელებს ისევ თავის ნაფუძარზე აბრუნებდა, ამკვიდრებდა და ტრადიციული აგრიკოლური ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა, ამხნეებდა, აქეზებდა, ეხმარებოდა.

მეფე ბევრს ზრუნავდა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის მოწესრიგებისათვის. მისი გამეფების ქამს მონღოლურ სამფლობელოებში ბატონობდა ყაზან ყაენის სახელობაზე მოქრილი ფული, „ყაზანური თეთრი“. ასევე იყო საქართველოშიც. გიორგიმ საგანგებო ფინანსური რეფორმით ფულად მიმოქცევაში გაეშვა თავის სახელზე მოქრილი ახალი ვერცხლის მონეტა, „გიორგაული თეთრი“, რომელმაც ჯერ სრულიად დაჩრდილა, ხოლო მალე სავსებით გააძევა ფულადი მიმოქცევიდან უცხოური „ყაზანური“.

გიორგიმ ფართოდ გაშალა კულტურული მშენებლობა. ხელი მიჰყო ასი წლის მანძილზე ნანგრევ-ნაოხარი ქალაქების, სოფლების, სავანეების, ტაძრების, არხების, გზებისა და ხიდების აღდგენას, განაახლა დაქცეული და შერყვნილი

ტაძრები — დადაბნისა, ფიტარეთისა, წულრულაშენისა, კახ-
რეთისა, დმანისისა.

ეროვნული

ყველაზე მთავარი გიორგი ბრწყინვალის მამულებში
მაინც ის იყო, რომ მან იარაღი აღმართა მონღოლთა უღლის
ჩამოსაგდებად. აღმართა და თავისი ვაიტანა კიდევ — მი-
სი მეთაურობით ქართველებმა 1335 წელს დაამხეს ასწლო-
ვანი პატონობა მონღოლებსა.

ქართველთა მეფე ერთბაშად „მსოფლიო გმირად“ იქცა,
რადგან მონღოლთა მბრძანებლობაში მყოფ მსოფლიოს ხალ-
ხთაგან ქართველნი იყვნენ პირველნი, რომელთაც სწო-
რედ გიორგი ბრწყინვალის მეთაურობით დაამხეს უბორო-
ტესი „თათრული უღელი“.

...მონღოლ-თათართა განდევნამდე გიორგი საქართველოს
გაერთიანების საოცნებო საქმესაც შესდგომოდა. 1327 წელს
მან შემოიერთა დასავლეთი საქართველო — იმერეთი, გუ-
რია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და აფხაზეთი. სა-
ქართველოს უკიდურესმა ჩრდილო-დასავლეთ სამანმა კვლავ
მოაღწია ძველ საზღვარს — ნიკოფსიას (ტუაშვი).

1334 წელს გიორგი მეფემ შემოიერთა მესხეთი და სრუ-
ლიად სამხრეთ საქართველო.

და ის იყო, გიორგი სამცხიდან ტფილისს მობრუნდა, რომ
ფიცხლავ მოახსენეს: „რომელმან ნოინთაგანმან“ მონღოლ-
თათართა მხედრობით ადარბადაგანი დაიპყრო, რან-მოგაკა-
ნი მოარბია, განძამდეც მოაღწია და საქართველოს შუაგუ-
ლის დალაშქვრასაც ეპირებო.

გიორგი მაშინვე გაემართა მტერთან შესახვედრად.

განძის დასავლეთით შეიბნენ ქართველები და თათრე-
ბი.

ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო ხმლის ჟვარდინით.
და „იქმნა ბრძოლა ძლიერი“.

იძლიერენ და გაიქცნენ თათარნი. გამოედევნენ „სპანი
მეფისანი მახვილითა და შემოიქცნენ გამარჯვებულნი ალა-
ფითა დიდითა“.

ეს ბრძოლა ასე წარმატებით ჩაათავეს ქართველებმა და
ახლა მცირე აზიიდან წამოვიდა თურქ-ოსმალთა მამამთავა-
რი, სულთან ირხანი. დიდი მხედრობით მოდიოდა იგი,
„რათა დაიპყრას კლარჯეთი და მიმდგომნი მისნი“.

გიორგი მეფეც ჩაეგება ურიცხვ მტერს და კლარჯეთის საზღვარზე სასტიკი ბრძოლა ისევ ქართველთა ძლევამოლგებით განესრულა. გაწყდნენ „ურიცხენი თურქნი და სულტნი დნენ სულტნითურთ“. გიორგი მეფე ტფილისს გამარჯვებით გალაღებული და ალაფით დატვირთული.

ამის შემდეგ ისევ მიმართა მეფემ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებს. კვლავ შემოიერთა სომხეთი, დაიპყრო რანი, მოვაკანი და დაღესტანი, დახარკა შირვანი და ისევ აღმართა ქართული სამიანი კასპიის ზღაზე — ქალაქ დარუბანდს.

მაშ, გიორგი ბრწყინვალემ, ვითარცა აღმაშენებელმა, კვლავ აღადგინა კავკასიელთა იმპერია „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“.

ხოლო 1341 წელს გიორგი ბრწყინვალემ ქართული დასის საჰემიპრობელობა ისევ აღადგინა ტრაპიზონ-პონტოს სახელმწიფოში და ამრიგად, საქართველოს სამხრეთი საზღვარი ისევ გადიქიმა სინოპიდან არდაველამდის.

ისევ ახმაურდა მსოფლიო ლეგენდარული დავით აღმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერის სახელმწიფოს ხელახალი აღორძინების თაობაზე. ევროპა დიდის ამბით იხსენიებს ქართველთა ქვეყანას, ქართველთა დედაქალაქს, ქართველთა მეფეს. რომის პაპმა უმჯობესად სცნო, ევროპელთა საქრისტიანო კათედრა, — რომელიც სარწმუნოებრივზე მეტად დიდსა და იღუმალ პოლიტიკურ ზრახვებს ემსახურებოდა — ქალაქ სმირნადან საქართველოს სატახტოში გადმოეტანა. ამასთან დაკავშირებით რომის პაპი იოანე XXII თავის ეპისტოლეში წერდა: „ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, უაღრესად შესანიშნავი, ერთი სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია. ამიტომ... სმირნას საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულს ტფილისს ქალაქსა“.

გიორგი მეხუთე თავგამოდებით ზრუნავდა აღედგინა „უველა რქელის“ მსოფლიოში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი პრესტიჟი საქართველოსი.

გაეიხსენოთ, — მეთერთმეტე საუკუნეში, პ რ ო ხ ო რ ე ს მეთაურობით, ქართველებმა იერუსალიმში ააგეს ჯვრის მონასტერი. მერე, დავით აღმაშენებელმა სინას მთაზე ააგო

ქართული ეკლესია. ყოველივე ამას, სარწმუნოებრივი მსოფ-
უნელობის გარდა, წმინდა პოლიტიკური მიზანდასახულობაც
ჰქონდა: მუსლიმანურ აღმოსავლეთში და ქრისტიანულ სამხრეთში
პაში ქართული პრესტიჟის „გამსოფლიოება“. ანუ მისი მიზანდასახულობა
ცამეტე საუკუნემ ქართველებს ეს „მსოფლიო ძალისხმევა-
ნი“ ხელიდან გამოსტაცა. მაჰმადიანმა ფანატიკოსებმა, ეგ-
ვიპტის სულტნის წაქეზებითა და თანადგომით, იერუსალიმის
ჯვარის ლავრა ქართველ ქრისტიანებს წაართვეს და ისლამიტურ
მიზგითად გადააქეთეს. ქართველებსაც ამიერიდან
სხვა ქვეყნის ქრისტიანთა მსგავსად, უფლება წაერთვათ
ეროვნული დროშებით შესულიყვნენ იერუსალიმში. ამას
გარდა, მუსლიმებმა ქართველების დამცირებაც ისე გადაწ-
ვეიტეს, როგორც მანამდე ამცირებდნენ დანარჩენ ქრისტი-
ანებს: ისინი, მაჰმადიანთაგან განსხვავებით, ცხენზე თუ სა-
ხედარზე ჩვეულებრივ, მამაკაცურად კი არა, არამედ ცალ-
გვერდით ფეხებგადაწყობილნი უნდა მჯდარიყვნენ, ვითარცა
დედაკაცები... იერუსალიმის ყოველი „წმიდა ალაგიც“, მათ
შორის ქრისტეს საფლავი, უკლებლივ მუსლიმებს ჩაეგდოთ
ხელში.

და მეფე გიორგი მეხუთემ ეგვიპტის სულტანს ელჩები
გაუგზავნა — პიპა ერისთავი და დეკანოზი იოანე
ბანდასძე — და მოსთხოვა: მიზგითი გაუქმებინა ჯვარის
მონასტერში და დაებრუნებინა იგი ქართველი ქრისტიანე-
ბისთვის; აღარ აეკრძალა ქართველებისთვის წესისამებრ ცხე-
ნზე ჯდომა და მათთვის მიეცა ყველა სხვა უფლებანი, რაითაც
სარგებლობდნენ თვითონ მაჰმადიანნი; ქართველებს დაბრუ-
ნებოდან ტრადიციული უფლება იერუსალიმში ქართული
დროშებით შესვლისა; ბოლოს, ქრისტეს საფლავის კლიტე-
ებს მოითხოვდა ქართველი მეფე.

ყველა ამ საკითხთა შესრულება მუსლიმთა წესით შეუძ-
ლებელ საქმედ იყო მიჩნეული. მაგრამ მუსლიმან ხელმწიფე-
ებშიც იმდენად დიდი ყოფილა რიდი და კრძალულება სა-
ქართველოს მეფის წინაშე, რომ ეგვიპტის დიდმა სულტან-
მა უკლებლივ აღასრულა ყველა მისი მოთხოვნა.

მაშ, ისევ დაუბრუნდა ქართველებს მათი ტაძრები და სა-
ვანეები პალესტინასა და სინას მთაზე. ისევ შედიოდნენ
ქართველები იერუსალიმში ეროვნულ დროშების რხევით



და მხედრულ-რაინდული თქარუნით. ქრისტეს საფლავი
 კლიტეებიც ჩამოუტანეს გიორგი მეფეს მისმა ელჩებმა იე-
 რუსალიმიდან ტფილისში.

ფრიად ნიშანდობლივია გულზეავიან მუსლიმან-სტრანე
 ბელთა — მათ შორის, ყველაზე ძლიერ ეგვიპტელ სულტან-
 თა მიმართვანი ქართველი ხელმწიფისადმი:

„ალაჰმა დღეგარძელჰყოს ბრყინვალემა მისი უდიდე-
 ბულესობისა ხელმწიფისა სახელოვნისა და სახელგანთქმული-
 სა, მამაციისა, უშიშარისა, ძლიერისა, დაუცხრომლად მებრ-
 ძოლისა, ლომისა, ტახტ-გვირგვინისა მპყრობელისა, თავის
 სარწმუნოების მფარველისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამა-
 რთლიანისა, ბერძენთა (საერთოდ მართლმადიდებელ ქრის-
 ტიანთა) მეფეთა შორის საუკეთესოსისა, ქართველთა სულტ-
 ნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოთა განძისა, რაინ-
 დთა მფარველისა, თავის წინაპართაგან, ტახტ-სიკობტრის და-
 მამკვიდრებელისა, რუმისა და ირანის ქვეყნების მფარველი-
 სა, გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანობის
 განმადიდებლისა, იესოს სარწმუნოების საძირკველისა, წმინ-
 და ადგილთა (პალესტინა-იერუსალიმის) განმადიდებლისა,
 ნათელღებულთა მისაყრდნობელისა, რომის პაპის მეშველი-
 ნა, მუსლიმანთა მეგობრისა, უახლოეს მეგობართა შორის
 უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულთითადესი მე-
 გობრისა“...

...მაშ, გიორგი მეხუთემ თავისი ქვეყანა აღადგინა, აღა-
 შენა და აღამაღლა, საზოგადოდ — „ვითარცა კეთილმან
 ხუთორმოდღვარმან“, და კერძოდ — „ვითარცა დავით აღ-
 მაშენებელმან“.

და მას ქართველმა ხალხმა უწოდა „ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე“.
 უწოდა, „რამეთუ იყო პაერთოვნებითა, შუენიერებითა და
 ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქვრივთა
 და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაითგან იყო
 ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი,
 ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კვალად
 შემოიკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან, განავსნა
 და აღაშენნა ქუეყანანი, რქელი და სამოქალაქნო წესნი გა-
 ნაბრწყინვა, ეკლესიანი დარღუეულნი და მოოხრებულნი აღა-
 შენნა, განაახლნა და განანათლნა. სძლო ყოველთა, სადა ჰერ

იყო ბრძოლითა და ძლიერებით და სადა ხამდა სიბრძნე-
ნიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდნა, და მე-
ფობდა მეფობითა კეთილითა...“

მისი გმირობა, ცოტნე დადიანისა და დემეტრე ^{გმირებისა} შედეგად
ბულის შემდეგ, მესამე უმშვენიერეს გაელეებად გაეკრა
მონღოლური წევდიადით დაფარულ ქართული ცის სხეულს.
და სწორედ მისმა უქმოსიერმა გაელეებამ განაკრთო ასწ-
ლოვანი წევდიადი ქართული ციდან.

10 წელიწადში მან მკვდრეთით აღადგინა და ძველ
„გეორგიადულ მწვერვალებს“ დაუბრუნა 100 წლის მანძი-
ლზე უბოროტესი ხელით ნაწამები და ნაგვემი სამშობლო.

10 წელიწადში დაუბრუნა ქართველ კაცს: რწმენა საკუ-
თარი თავისა, რწმენა საკუთარი ქვეყნისა, რწმენა საერთოდ
ადამიანისა, რწმენა რწმენისა...

...და მოუკვდა იგი საქართველოს 1346 წელს.

დაკრძალეს გელათს.

საქართველო ახალ ცხოვრებას უნდა შესდგომოდა —
უ ბ რ წ ყ ი ნ ე ა ლ ე - ო დ .

გ ა რ თ ვ ე ლ ი ბ ი და თ ე მ უ რ ლ ე ნ გ ი

„მან მოვიდა თემურ სამარყნელა, ყოველითა
სითა ჩიდანელ, ქობანელ, სოფალბელ, ნაროელ, ან-
დოსტანელ და ყოველითა სპარსელითა და აღმოსავ-
ლეთის ლაშქრითა დიდითა, ჩისხეთითა და გელის-
წყარობითა“.

„ძველი ერისთავთა“.

გეორგი ბრწყინვალის აღსრულებიდან ორმოცი წელიწა-
დი ძლივს მოათია საქართველომ უომრად, სისხლდაუღვრე-
ლად, მშვიდობიანი გუთნისდედობით, ვაზის მზრდელობით,
აღმშენებლობით.

აღმოსავლეთში უკვე აღმართულიყო ახალი, ყოვლის და-
მანგრეველი და ყოვლის წამლეკავი ტაიფუნი.

ეს იყო თ ე მ უ რ ლ ე ნ გ ი, „თემურ-კოქლი“. უმძლავრესი
მესამე ტაიფუნი (ატილასა და ჩინგიზ ყაენის შემდგომ).

მოჰქროდა „კოქლი რკინა-კაცი“.

უკვე დაბურო მთელი შუა აზია — მავერანნაჰრი, ხორასანი და ხორასანი.

უკვე დაერბია, დაენგრია და სისხლის მრავალი კულტურული შენამოქმედი.

უკვე დაედგა კოშკები ადამიანთა წარკვეთილი თავები-საგანი..

მხოლოდ თავისი სატახტო ქალაქის — სამარყანდის აშენების, აღზევების, გამშვენიერებისა და გამდიდრებისათვის ზრუნავდა მსოფლიოს კულტურულ დასახლებათა დამანგრეველი და გამოხრებული.

მსოფლიოს დასამონებლად აღძრულიყო კაცთაგანი, რომელშიც ერთმანეთისგან განუყრელად ჩაკერულიყო კაცობა და სატანაც, დიდი ხელმწიფეც და შარაგზის ყაჩაღიც, ბრძენიც და შლეგიც კულტურის დამფასებელიც და კულტურის დამანგრეველიც, წიგნის მოთაყვანეც და წერა-კითხვის უცოდინარიც...

ხორასანიდან ირანს შემოიჭრა თემურლენგი. 1386 წელს მან აიღო თაერიზი. იქიდან სომხურ პროვინციებში შემოიჭრა ცეცხლითა და მახვილით. ზედიზედ აიღო გარნისი, სურმალუ და კარი. ციხეები მიწასთან გაასწორეს მისმა მეომრებმა, მოსახლეობა აიკლეს და ააწიოკეს, ტყვე-პყვეს „და ქორი დიდი მოაწიეს მათ ზედა“.

კარის ციხის დაქცევის შემდეგ თემური და მისი მხედრობა ტფილისისაკენ წამოემართნენ.

მოდითა ასიმრავლე სპათა ურიცხვი რომელსა ვერ იტევდნენ მთანი და ველნი და ყოველნივე არენი და სანახებნი საქართველოსანი“.

საქართველოს მაშინდელმა მეფემ, ბაგრატ მეხუთემ (1360—1393) საომრად ამართული დაახვედრა დედაქალაქი მძვინვარე მტერს. მან მოკლე სიტყვით მიმართა ქართველთა ლაშქარს: „ფრიად უმჯობეს არს და სანატრელ სიკვდილი სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, ვიდრე-ღა მორჩილება-სა, იძულებით შეპყრობასა და მონობაში“. თქვა და ხმალ-შიშველი გაუძღვა ქარს.

ქალაქის გარეთ გაიჭრნენ ქართველები და საშინელი ხმალ-თაკვეთებით შეებნენ უკვე იერიშზე მომავალ მტერს.

თემურმა უკუქცევა ბრძანა.



მეორე დღეს ისევ დაიძრნენ იერიშზე თათარ-თურქების. ისევ უპოქციეს ქართველებმა.

ერონესული
ნიგლიმთიქა

ათი დღე გაგრძელდა უსაზმნო რკენა.

უკანასკნელი, გადამწყვეტი იერიშისათვის გაამზადა თემურმა ურდო. ფლანგებზე ცხენოსანთა კორპუსები დააყენა, შეაზედ ქვეითი ათესეულები სქელ ტყვედ შეჰყარა, გვერდებზე ფარები და თავზე რკინის წნულ-ჩელტები გადააფარა და, მძლავრი „საარტილერიო ცეცხლის“ (ქვის ქურავები ლოდსატყორცნებით) შემდეგ, მოწყდა და გამოქანდა „უოვლითა ძლიერებითა“.

გაეგებნენ ქართველები თავზე რკინაგადავლებულ ურდოს, შეუხტნენ და შეაწყდნენ უსაზმნოდ. რკინის ზღვამ გადათქერა და ვადალეკა ტფილისის ციხიონი. ქალაქი მთელი დღე შეუწყვეტლივ იესებოდა „რკინის ჩელტიანებით“.

ბაგრატ მეფე მთავარ ციხეში გამაგრდა ვადარჩენილ თანამებრძოლთა თანხლებით.

ციხეს ალყად გასს შემოადგნენ თურქმან-თათარნი. საიერიშო კოშკები და ტარანები მიავორეს და ისევ დაუშინეს ქვის ქურავები.

ქართველები მაინც არ წყვეტდნენ ბრძოლას.

ბოლოს და ბოლოს, ქართველთა მეფეს „აგრძობინეს“, რომ თემური მზად იყო გმირი მეტოქისთვის უვნებლობის ფიცი მიეცა, თუკი იგი ნებაყოფლობით დანებდებოდა უექველი გამარჯვების პირზე მდგომ მოპირდაპირეს.

ბაგრატი დათანხმდა, ციხე ჩააბარა და თვითონაც ჩაბარდა.

პირველი შეხვედრისთანავე თემურლენგმა საქართველოს მეფეს ქრისტიანობის უარყოფა და სუნიტური მამამადიანობის მიღება მოსთხოვა (თვითონ თემური სუნიტი იყო).

ბაგრატმა მამამადიანობის მიღებაზე ცივი უარი თქვა.

თემურმაც ქართველი, ხელმწიფე, მეუღლე-დედოფალი ანასთან და უფლისწულ დავითთან ერთად მუშინვე ტყვედ აიყვანა.

(სხვათა შორის, ტყვედ წაყვანილ ბაგრატ მეხუთის ამალაში მოხსენიებულია აზნაური დონა სააკაძე, წინაპარი სახელოვანი გიორგი სააკაძისა).

თათართა ქარებიც შეუღდნენ „თათრულ საქმეთა“ განს-

რულებას — ქალაქი გაძარცვეს, დაარბიეს და ააწიოცეს,
მცხოვრებთაგან მრავალი ამოწვევით, მრავალი დაატყვევეს
და ბორკილდადებული წაასხეს.



უამრავი ნადავლ-ნაალაფართ დაიტვირთა თემური და აი-
სი ლაშქარი; „რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარ-
ცა და დაწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო
და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს“.

თემურლენგმა ძვირფას ნადავლად თან წაიღო ქართველ
მეფეთა მდიდარი და განთქმული ბიბლიოთეკა და ქართულ
ეკლესია-საგანეთაგან გატაცებული „მრავალი საღმრთო და
საერო წიგნები“. თემურის ბრძანებით, საქართველოდან წა-
ღებული წიგნადი საუნჯენი სამარყანდს საგანგებოდ საბიბ-
ლიოთეკოდ გამზადებულ მერქთში დააბინავეს, რკინის ღო-
ბეებით შემორაგვეს, მტკიცედ დაკლიტეს, დაბეჭდეს და ზედ
წყველა-მუქარა დააწერეს, რათა „არავინ განიღოს მუნიოთგან
წერაილნი“ (წიგნი უყვარდა თემურლენგს, თვითონ წერა-
კითხვის უცოდინარს; საგანგებო მკითხველთ აკითხებდა, ის-
მენდა, ტყებოდა, სწავლობდა და ნასწავლით ბნელ სულს
ინათლებდა).

თემურისათვის აქამდე დაპყრობილ მუსლიმან ქვეყანათა
მართვა-გამგეობა საძნელო საქმეს არ წარმოადგენდა; ერთ-
მორწმუნე მუსლიმური მოსახლეობა ერთმორწმუნე მუსლი-
მი მმართველის ხელქვეით ადვილად „დგებოდა“ და „ნებიე-
რად“ იმართებოდა. ხოლო, სულ სხვა იყო ქრისტიანული სა-
ქართველოს ბატონპატრონობის საქმე. სარწმუნოებრივად უც-
ხო, თავისუფლებისათვის თავგანწირვით მეომარი ხალხის
მორჩილსაქმნელად მართო მახვილი და რკინის ჩელტი საყ-
მარისი არ იყო. ამიტომ თემურლენგმაც ის გადაწვევითა, რაც
არაერთგზის უცდიათ ქართველი ხალხის მოსისხლე სხვა
მუსლიმან დამპყრობლებს: საქართველოში ქრისტიანობის
მოსპობა და ისლამის დამკვიდრება. ჯერ მეფე უნდა მოქცე-
ულიყო მამზადის სჯულზე, მერე მისი წაბაძვით და წინამძღ-
ვრობით ერიც უნდა გაათათრებულიყო.

და შეუჩნდა თემურლენგი ბაგრატ მეფეს, განუწყვეტლივ
უჩიბინებდა, „აღერსიანად“ აძალებდა, „ძმურად“ ურჩევდა
და „გულწრფელად“ არწმუნებდა: უმჯობესია და აუცილე-

ბელი, შენ და შენმა ხალხმა ქრისტიანობა დაელოდა და
მაჰმადიანობა მიიღოთ.

შევიან ტყვეს გუმანით უნდა შეეტყო, როდესაც უნდა
და ბოროტი ბედისწერისგან აღზევებულ ავნიან გადაძ-
თიელს მოთმინების ფიალა... და ბაგრატ მეფემ თავის დრო-
ზე „გულისხმა-ჰყო“ და „მოიხელოვნა განზრახვა ესევეთა-
რი“: იგი „გატყდა“ და დათანხმდა მაჰმადიანობის მიღებას.
მასთანავე, იქვე „მოაქცია“ მაჰმადის სჯულზე ყველა ქართ-
ველი მხლებელი.

„მაშინ ლანგ-თემურ განიხარა სიხარულითა დიდითა, და
შეიტკბო მეფე ბაგრატ და პატივ-სცა დიდად, და უძღვნა სა-
ბოძვარი და შესამოსელი სახელმწიფო, საგებელ-სახურავი,
მსგავსი სიდიდისა მათისა, დიდად ითვისა და მრავალსა კე-
თილს-უყოფდა“.

სამაგიეროდ ბაგრატმა ძვირფასი ჯაჭვის პერანგი აჩუქა
თემურს, ეს სიომარი პერანგი დავით წინასწარმეტყველის
ნაქონიანო, არწმუნებდნენ ქართველები სიხარულით „გულა-
ჩუყვებულ“ მომთაბარე მბრძანებელს.

ურთიერთობის, პატივისცემისა და „შეტკობის“ ატ-
მოსფერო დადგა თემურსა და ბაგრატს შორის. ქართველი
მეფე უპირველეს მრჩეველადც დაისვა თემურმა. „დიდად
სარწმუნო უჩნდა ლანგ-თემურს და მორჩილებდა სიტყუასა
მეფისა ბაგრატიასასა“.

ასეთი ურთიერთობის ფონზე ბუნებრივად უნდა წარმო-
ჩენილიყო სამსახური, რომელიც ბოლოს და ბოლოს, ბაგ-
რატმა შესთავაზა თემურს: მომეცი შენი დიდი ჯარი, მისი
თანხლებით ჩავალ საქართველოში და მაჰმადის სჯულზე მო-
ვაქცევ მთელ მის მოსახლეობას, ყველგან, მთაშიც და ბარ-
შიცო.

თემურმა „განიხარა სიხარულითა დიდითა“, გამოარჩია
12000 მხედარი „უჩინა“ სარდალი, აახლა ბაგრატს და გა-
მოუშვა საქართველოში.

რასაკვირველია, ასეთი ურთიერთობა მხოლოდ გარეგ-
ნული „ეთიკის“ საშოსელს ატარებდა. ცბიერი თათარი „გა-
ერთველებულ“ ქართველს სინამდვილეში ჯარს ატანდა არა
როგორც მეფესა და მთავარსარდალს, არამედ როგორც დატ-
ყვებულ მტერსა და მოსიხსლეს.



ერთი სიტყვით, ორივეს ცალკეულად, ერთიმეორის მართ, საკუთარი გაუმხელელი განზრახვა ჰქონდა... მოეშურებოდა ბაგრატი მეფე თათართა მხედრობის ქართველოსაყენ. არავის შეუმჩნევია, რომ ქართველების „ათათრებულ“ ამაღაში აღარ ჩანდა ერთი ქართველი — აზნაური რუსი ეგნატაშვილი. იგი მანამ გაუჩინარებელიყო, სანამ ბაგრატი და თათართა ჯარები ყარაბაღიდან გამრვიდოდნენ.

რუსი ეგნატაშვილს წერილი მიჰქონდა ქუთათისს, უფლისწულ გიორგისთან. მამა სწერდა შეილს: „მე მოვალ სპითა ლანგ-თემურისათა და თქუენცა შეიყარეთ სპანი საქართველოსანი და მზირად წინა შეგუემთხვიენით ერთსა სიმარგესა და ვიწროთა გზათა ზედა დაშეცა მოვალ თქუენ თანა, და უქმნათ წინაუკანა, და მოვსრათ ბირითა მახვილისათა, და ეძიოთ შური პირველი, რომელ ჰყვეს მათ ჩუენ ზედა“.

სასწრაფოდ შეჰყარა იმერთა ჯარი უფლისწულმა გიორგიმ, ფრთხალედ გადმოვიდა ქუთათისიდან, ქართლისა და მესხეთის ჯარებიც შეიერთა და ერთ რომელიდაც ვიწრო ხეობაში ჩასაფრდა მამისა და მხლებელი მტრის მოლოდინში.

ლოდინიც აღარ დასჭირვებიათ დიდხანს. ბაგრატი მეფე ზევში შემოუძღვა გულდანდობილად მომავალ თათართა მხედრობას. ერთბაშად წამოიშალნენ ქართველები, წინა და უკან ჩაუჭრეს ვიწრო გზა და მიესივნენ მტერს შიშველი ხმლებით.

თათართაგან მოამბეც აღარ გასულა ცოცხალი. 12000 მონღოლ-თურქმანი შეეწირა ქართულ მახვილებს.

ეს თემურლენგის პირველი დიდი მარცხი იყო მის „დასავლურ ლაშქრობათა“ ანპარეზზე.

და წამოვიდა მეორედ საქართველოსკენ მოულოდნელი მარცხით გაშმაგებული თემურლენგი. მოდიოდა „ძალითა მრავლითა და საშინელებითა ზარის-სახედელითა, საყვირითა და დაბ-დაბ ცემითა და ბუეთა ტყრციალითა“.

მიეგებნენ ქართველები.

კვლავ დადგა ბრძოლა უმძიმესი, სისხლნაჭერი და სიკვდილშთესველი.

საოცარი შემმართებლობით იბრძოდნენ მეწინავე „ახალ-მოასაყენი“ ბაგრატი მეფისა ახლად ფრთააშლილმა ქაბუკებ-



მა „პირველსავე კუთვებასა ზედა მიდრიკენს“ თემური მე-
წინავენი, თვითონ თემურს საგანგებო ცხენოსნებთან ერთად
დებინა, რომელთაც უნდა დაერეხათ ყოველი თბილისის
კი ბრძოლის ველს გამოექცეოდა. მძიმედ, მაგრამ მაინც ქარ-
თველთა მხრისკენ იხრებოდა ბრძოლის სასწორი.

მაშინ „იხადა მახვილი“ თვითონ თემურმა და ავი ყვი-
ლით გამოიქრა სიკვდილის ხაზზე. გამხნევდნენ თათრები და
სრულის ძალებით შემოუტყეს ქართველთა განახევრებულ
ჯარს. თათართა მხრისკენ გადაქანდა ბრძოლის სასწორი. უკუ-
იქცა ბაგრატ მეფე გადარჩენილი ჯარის ნაშთებით.

ცეცხლითა და მახვილით შემოესივნენ ქართლის მიწა-
წყალს მომთაბარენი. მოსახლეთაგან ველარავის მოახელთეს,
რადგან წინასწარ გაეხიზნა ბაგრატ მეფეს ხალხი კავკასიონ-
ის მთებსა და ხევსუფებში. უარესი გახელებით შეუდგნენ
ძარცვას, რბევას და ნგრევას დამპყრობელნი. „მოითარეშეს,
მოაოხრეს და დაწვეს ყოველნივე შენობანი, და უფროლა
წმინდანი ეკლესიანი და მონასტერნი დააქცინნეს და დაწ-
ვეს ცეცხლითა“, შემუსრეს მცხეთის სვეტიცხოველი. ქვაბთა-
ხევის მონასტერში მღვდელ-მონაზონ-მოწესენი შეტყარეს, გა-
მოკეტეს და გარედან ცეცხლი წაუციდეს. დიდძალი ნაძარც-
ვით დატვირთული გაბრუნდა საქართველოდან თემურლენგი.

მესამედ 1393 წელს შემოესივნენ თემური და მისი
მაოხარი მოლაშქრენი საქართველოს. ამჯერად სამცხე-მესხე-
თი მოითარეშეს და მოძარცვეს. მესხები გააფთრებით ებრ-
ძოდნენ მრისხანე მტერს. თათრებმა სამცხის მიწაზე ფეხი ვერ
დაიმაგრეს და უკანვე გაბრუნდნენ.

თემურლენგს დაუძინებელი მტრობა ჰქონდა ჩრდილო-
მონღოლური ულუსის, ოქროს ურდოს ყაენთან, თოხთა-
მიშთან. თან იგი ეჭვობდა, რომ თოხთამიშთან ურთიერ-
ობა ჰქონდა საქართველოს მაშინდელ მეფეს, ბაგრატის ძეს,
გიორგი მეშვიდეს (1393—1407), რომელსაც შეეძ-
ლო დარიალი გაეხსნა და სამხრეთისკენ, ირანის დასალაშქ-
რავად გამოეშვა თემურლენგის ჩრდილოელი მეტოქეები. ამი-
ტომ 1394 წელს თემურლენგი მეოთხედ წამოემართა სა-
ქართველოსკენ, ამჯერად არაგვ-დარიალანის ხელში ჩასაგდებ-
ად.

არაგვის ხეობა ურიცხვი თათრული მხედრობით გაივსო.



არაგველი ქართველები მარად ჩვეული სიმამაციონ დაუნ-
ვდნენ მტერს.

თემურლენგს ძვირი უყვებოდა ბრძოლა ყოველნივე მტერსა
სათვის, უღელტეხილისათვის, ბილიყისათვის, მაინც გააღწია
დარიალზე, მაგრამ შეიტყო, რომ ოქროს ურდოელებს დარუ-
ბანდის კარი გადმოულახავთ და შირვანში შემოჭრილან.

სასწრაფოდ გამობრუნდა დარიალიდან თემური.

ქართველები კვლავდაკვალ მოსდევდნენ და ხაქმ-ხამეში
მძაფრი თავდასხმებით თათართა ძალებს ათხელებდნენ.

მტერის ხეობაც ვაი-ვაგლახით გაიარა თემურის ურდომ,
შირვანს გავიდა, მაგრამ უკვე გადაესწროთ დარუბანდზე
ჩრდილო ულუსიანებს, მომდევნო 1395 წელს თემურლენგმა
თერგის პირას სასტიკად გაანადგურა თოხთამიში, გაქცეულ-
საც მისდია და ვოლგაზე სატახტო ქალაქიც წაართვა და სა-
ძირკვლამდე დაუნგრია.

1394 წელს თემურლენგი ინდოეთის დასაპყრობად გაე-
მართა. გზაზე აელანეთი დაიპყრო — ქაბული, ჰერათი, ჰი-
მალაიცი აიღო და ინდოეთში შეიჭრა ციხლით და რკინით,
აიღო და გაძარცვა სრული ფენჯაბი, აიღო დელი და იქი-
დან მდინარე განგისაკენ გაეშურა ძარცვა-რბევითა და ნადი-
რობა-ნადიმობით. ის იყო მიატანა კიდევ ინდოეთის მეორე
დედამდინარეს, რომ მოულოდნელი ამბავი წამოაწიეს: ისევ
აჟანყებულან ქართველები, მეფე გიორგი მეშვიდის მეთაუ-
რობით შეტევაზეც გადმოსულან, ადარბადაგანი აუღიათ, ირა-
ნული ციხეები დაუპყრიათ, თათართა ციხიონები გაუქლე-
ტიათ და ქართული ციხიონები ჩაუყენებიათ და ქართველ-
თა წაბაძვით, თურმე სხვა ქვეშევრდომებიც აჟანყებისთვის
ემზადებინან.

მაშინვე გამობრუნდა ინდოეთიდან თემურლენგი.

და 1399 წელს, გვიან შემოდგომაზე, იგი მენხუთედ შე-
მოესია საქართველოს. ეს იყო მტრის უმძიმესი შემოსევა.
რომელიც კი ოდესმე განეცადა ქართველთა ქვეყანას. ამგე-
რად აღმოსავლეთის მხრიდან, კახეთ-პერეთიდან მოიწევედა თა-
თართა ურდო. წინასწარ ხშირი ტყეები გააჩეხვინა თემურ-
მა თავისიანებს და ისე გაიგდეს გზა ქვეყნის სიღრმისკენ.
მაგრამ დიდი თოვლი მოვიდა და კვლავ განუწყვეტლოვ და
განიადაგებით თოვდა. თემური ორ კვირაში აპირებდა სა-

ქართველოს სრულ ამოგდებას, მაგრამ ომი გავიწივრდა. ქართველები უსისხლოდ არ თმობდნენ არც ერთ გრჯ შიწას, მაშინ ბრძანა თემურმა: ქართულ მიწაზე ^{ქართველები} ~~ქართველები~~ მოეთხარათ ყოველივე საარსებო, რის გარეშეც ^{ქართველები} ~~ქართველები~~ გენელი იყო არსებობა ქართველი კაცისა — აუჩუხებთ და ამოეძირკვათ ბაღები, ამოგდოთ და წარებოცათ ბოსტან-ბაღჩები, აეჩუხებთ და ამოეთხარათ ვაზ-ვენახები, დაეძარცვათ, დაენგრიათ და დაეწვათ ყოველნაირი ნაგებ-ნაშენობანი — კერძო სახლებიც, ყოველი შრამელიც, სასახლეებიც, საყდრებიც და ეკლესია-მონასტრებიც.

და ყოველივე აღესრულა: აჩუხეს, აკაფეს, ამოძირკვეს, ამოთხარეს, დაანგრინეს, ქვა-ქვაზე არ დატოვეს, ფერფლად აქციეს და ქარს გაატანეს. თვითონ თემურის მამებელი მემისტორიე გაიძახდა გაოცებული: თემურლენგს ინდოეთში ლაშქრობის დროსაც არ დაუნგრევია იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოში დააქციაო!..

მაგრამ ზავს მაინც არავინ იხვეწებოდა მსოფლიოს დამანგრეველის წინაშე ქედდადრეკილი და ქვედავრდომილი.

აჲად სდუმდა ძეხორციელთაგან დაცარიელებული, მთასა და ტყე-ღრეში გახიზნული ქვეყანა.

აჲი მღუმარებით კრიჭაშეკრული ტოვებდა თემურლენგი მტრისათვის ეგზომ მწარე ქვეყანას, ქართველთა მიწა-წყალს.

მე ექვსედ 1400 წელს შემოესია საქართველოს თემურლენგი.

გიორგი მეფემ ისევ მთებსა და გამოქვაბულებში დახიზნული დაახვედრა ხალხი მოსისხლეს. ისევ ასჩუხეს, ამოთხარეს და გადალევეს ყოველი ნერგი და ჭირნახული თათრებმა ისევ ანგრინეს და ნაცარტუტად აქციეს ნაშენები კაცის ხელისა. მერე მთებსა და ხევხუეებს შეუყენა ჭარები თემურმა, შეხიზნული ხალხის საყლეტად.

და გაჩაღდა „სამთო ომები“. თათრები საგანგებოდ გაწყობილ გოდრებში და კალათებში სხდებოდნენ და თოკზე ჩამობმულნი კლდეებზე გამოქვაბულთა პირდაპირ ეშვებოდნენ. აქედან უშენდნენ ისრებს ქვაბულებში შეხიზნულ ქართველებს. შეხიზნულებიც შიგნიდან სროლითვე პასუხობდნენ მტრის „საპაერო დესანტებს“. ან თუ მოახელთებდნენ, თო-

კებს ჰკვეთდნენ და „დესანტები“ უფსკრულებში ცაგვოდნენ და იღუპებოდნენ.

ვერ შეძლეს დამპყრობლებმა მთაში გახიზნული ველების ვერც ამოწყვეტა, ვერც დამორჩილება. თათრები მთიდან დაეშვნენ. ქართველები ისევ „პარტიზანულ“ ომზე გადავიდნენ და მოულოდნელი თავდასხმებით აჩანაგებდნენ ქართლის მიწაზე გაფენილ ურდოებს. მაინც დიდძალი ნაძარცვი აიღო და 60000 ტყვეც წაიყვანა იმ წელს თემურმა საქართველოდან.

კიდევ ორჯერ ილაშქრა თემურლენგმა საქართველოში, 1401 და 1403 წლებში. ჯერ თორთუმის ციხე აიღეს თათრებმა, ხოლო ბოლოს, მერვე ლაშქრობის დროს, ქართლში ბირთვისის ციხე დაიპყრეს და დასაეღეთ საქართველოსაკენ წამოემართნენ. შეიდასამდე სოფელი ააოხრეს იმერეთში თათრებმა. ქუთათისამდე შეიღწიეს ვაი-ვაგლახით. ხალხის გააფთრებულმა წინააღმდეგობამ ისევ გააქცია უკან ველური დამპყრობელი...

...მიდიოდა თემურლენგი საქართველოდან, 17 წლის ამოსისხლისღვრით გატეხილი და დამარცხებული.

„დიდი ისკანდერის (ალექსანდრე მაკედონელის) ბედის რაშიც მუხლებს დაიმსხვრევედა გურჯესთანის მიწაზეო!“ — თავს ინუგეშებდა იგი.

მიდიოდა და ფიქრობდა კმუნვით: მართლა დაიპყრო ის, რაც „დაიპყრო“?!

17 წელიწადი ებრძვის იგი უზარმაზარი ურდოებით საქართველოს, 17 წელი სხვა რომელ დიდ კვეყანასთან დასჭირვებია ამოდენი დროისა და საომარ ძალთა მსხვერპლად გაღება, ამ ერთმეუბა ხალხთან ხმალთაკვეთებას რომ შეალოა? ზვიდმეტი წლის წინ მოვიდა აქ 50 წლის ვაჟაკი და ახლა აქედან მიდიოდა 67 წლის ბებერი... მიდიოდა და არა იცოდა, ბოლოს და ბოლოს, მან — ოქროს ურდოს, შავერანანპრის, ხეარაზმის, ხორასნის, ირანის, ინდოეთის, მესოპოტამიისა და თურქეთის დამპყრობელმა — დაიპყრო თუ არა ეს ერთი ციციკნა მარცვალი დედამიწისა, საქართველოს რომ ეძახიან!

დამცრობილ-დაშრეტილი მიგორავდა უკან ტაფონი. თავს კი იმით ინუგეშებდა: „დიდი ისკანდერის ბედის“

რაშიც მუხლებს დაიმსხვრევდა გურჯესთანის

საქართველოდან გასვლის ორი წლის თავზე მდგომარეობის მერი.



საქართველო კი საქართველოდ დარჩა, თუმცა მძიმედ დაზიანებული, დანგრეული და სისხლდადენილი. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოწყდა, ქვეყანა ნანგრევებად იქცა, სამეურნეო ცხოვრება მოიშალა. მძიმე კრიზისების მოშუშება მძიმედვე ვიდოდა. საუკუნეები სჭირდებოდა უდიდესი ნივთიერი და სულიერი ზარალის ანაზღაურებას.

ყანა-ვენახი ძეძვსა და ეკალს მოეცვა.

მგელი უმუოდა ძაღლის ნათევარზე.

ზარნაშო ჰკიოდა მამლის ნაყივარზე.

გარდასულ იყო მეთოთხმეტე საუკუნე.

მეთოთხმეტე საუკუნის ქართულ სამყაროში იდგა დიდი იმედიც და დიდი უიმედობაც. იყო გიორგი ბრწყინვალეც და იყო თემურლენგიც.

მეთოთხმეტე საუკუნეში ქართველებმა გარეშე მტერთან გადაიხადეს 13 უმძიმესი ბრძოლა. აქედან — მოიგეს 14. წააგეს 19.

8 დიდი ბრძოლა გადაიხადეს „უცხო დროშის ქვეშ“, „უცხო თესლთა ისტორიის შესაქმნელად“.

მაინც გიორგი ბრწყინვალის „ადმაშენებლური მამულიშვილობით“ სუნთქავდა მეთოთხმეტე საუკუნე.

გიორგი ბრწყინვალე — „ყოველი საქართველოს“ უკანასკნელი გამაერთიანებელი!

(ნუთუ მართლა უკანასკნელი?!).



წამდარა ვველა, ის დონე და ის ძლიერებქრონენული
მტრად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხტქტტნიონთქქ

ილია ქავქავაძე.

ქართველი კაცი მაინც იმედიანად უცქერდა მომავალს, ისევ მხნედ გუთნისდებობდა, რგავდა, ახარებდა, აშენებდა და ამავრებდა.

მაგრამ საქართველოს ისევ გამოუჩნდნენ ახალი საშიში მტრები. ეს იყო თურქმანთა ახალი გვარ-ჯილაგი — ყარა-ყოინლუ, ანუ „შავბატკნიანები“ (რადგან დროშაზე შავი ბატკანი ეხატათ). მათმა ბელადმა, ყარა-იუსუფმა, ირანში მძლავრი მონარქია შექმნა და საქართველოსკენ დასძრა დიდძალი მხედრობა.

1407 წელს უმძიმესი ბრძოლა მოხდა თურქმანთა და ქართველთა შორის.

გმირის სიკვდილით დაეცა მეფე გიორგი მეშვიდე.

ქართველ მეომართა უმრავლესობა ფეხმოუცვლელად შეაკვდა რიცხვმრავალ მტერს.

საქართველოს მეფე შეიქნა კონსტანტინე პირველი (1407—1411), გიორგი მეშვიდის ძმა, რომელსაც ისევ მოუხდა თურქმანებთან საომრად გასვლა. ყარა-იუსუფმა შირვანის დასაპყრობად დაძრა ლაშქარი. შირვანის მფლობელმა ტრადიციულ ხელისუფალს, ქართველ მეფეს სთხოვა დახმარება. კონსტანტინე მეფე 2000 ქართველით გაეშტრა შირვანელთა მისაშველელად.

ბრძოლა მოხდა ჩალადანთან. 1411 წლის მიწურულს.

შირვანელები პირველ ხმალზედვე გაეჭკნენ ბრძოლას, მათი ბელადი ყელზე თოყჩაბმული მიაართვეს ყარა-იუსუფს. ქართველები მარტო შერჩნენ გარშემორტყმულნი მტრის ურიცხვ მხედრობას. სხვა რაღა დარჩენოდათ და, იმდროინდელი მუსლიმანი ისტორიკოსის სიტყვით, ქართველებმა „თავგანწირული ბრძოლა გააჩადეს და წელზე წინააღმდეგობის სარტყელი შემოირტყეს“. საარაკო სიმამაცით იბრძოდა თერთონ კონსტანტინე მეფე. ორი ათასი ქართველიდან ათას შვიდასი დაეცა განგმირული, ხოლო სამასი, მათ მეფესთან

ერთად, ტყვედ შეიპყრეს „შავბატკნაინებმა“. რისწევსა და
ნა ყარა-იუსუფი, როცა სამასივე ქართველმა უაფე, კოტეჯე მსქ
წინაშე ქედის დადრეკასა და მუხლის მოყრაზეც, მსხვილნი
რული ქართველი შეფე საკუთარი ხელით მოკლა, ხოლო და-
ნარჩენნი ქართველები თავის მხლებლებს ჩაახოცივნა.

საქართველოს ტახტზე ავიდა ძე მოკლული კონსტანტი-
ნესი, ალექსანდრე პირველი (1412—1443), ენერ-
გიული და ნიჭური ხელმწიფე, ხალხისგან „დიდის“ ტიტუ-
ლით შემკობილი.

ალექსანდრემ შეძლო აღეკვეთა თურქმანთა შემოსევე-
ბი საქართველოში. მან რამდენჯერმე გაანადგურა და გან-
დევნა „ურჯულონი“.

1431 წელს ქართველებმა თათრებს ხელიდან გამოკლი-
ჯეს და შემოიმატეცეს ლორე და მისი ველები. შემდეგ შე-
მოიერთეს სივნიეთი (ყარაბაღი და მისი მეზობელი თემები).
ამით საქართველოს ამოწყვეტილ მოსახლეობას 60 ათასი
კომლი შემოემატა.

საქართველოს ხელახალმა აღორძინებამ ისევ აღძრა მუ-
სლიმანთაგან შევიწროებული სომეხი ხალხი ქართულ საზ-
ღერებში თავშესაფარებლად. დედაწულიანად მოდიოდნენ და
გულდანდობილად სახლებბონენ — სამშვილესი, ტფილის-
ში კრწანისში, გორში, უფლისციხეში, ვარდისუბანში, თმოგ-
ვში, ოთაში... ყველგან, სადაც მოისუტრებდნენ მოძმენი მოძ-
მეთა მიწაზე...

ალექსანდრე პირველის მეფობის შემდგომ საქართველოში
ფრიად გამძლავრდა და გამძაფრდა შინაპოლიტიკური რღვე-
ვის პროცესი. ცალკე რეგიონთა მესვეურთა-ფეოდალები ისევ
შიელტვიან ცალკე, მიკრომონარქიული განცალკევებდნენ.
უკვე სავსებით დამოუკიდებლად ეპირა თავი მესხეთის, ანუ
სამცხე-საათაბაგოს მთავარს — ათაბაგს.

1453 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ამ
მსოფლიო გლოვის ზარმაც განსაკუთრებული ავისმალწყებ-
ლობით სწორედ საქართველოს ცის თალზე დარეკა. საქარ-
თველოს სამხრეთ-დასავლურ კარიბჭეებთან ერთმორწმუნე,
კულტურული ბიზანტიის ნაცვლად, სავსებით „უცხოთესლო-
ვანი“ თურქულ-ოსმალური იმპერია გადაჭიმულიყო. ხოლო,
სამხრეთ-აღმოსავლეთით — ირანის კიდევ ახალი მონარქია

იწეა — მონარქია აღუკონღუ, ანუ „თეთრბატონი“
სა“.

და ეს ორი ახალი ვეშაპი იშორებოდა ავი მუხრანის
ერკვეკასიის ქრისტიანული სამყაროს ჩასანთქავად.

ხოლო, ევროპა, რომელმაც ბიზანტიური ტრაგედია დაუ-
შვა, მხოლოდ ტრაგედიის შემდეგ მიხვდა თავისი უსულგუ-
ლო გულგრილობის შედეგთა საშინელებას. მიხვდა და შეიშ-
მუნა კიდევ. რომის პაპებმა — ჟერ ნიკოლოზ მეხუთემ, შემ-
დეგ კალიქსტე მესამემ და ბოლოს პიუს მეორემ — თურქ-
თა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომისაკენ მოუწოდეს საქრის-
ტიანო სამყაროს, პაპის ელჩი, ლუდოკიკო ბოლონიელი, სა-
ქართველოში ჩამოვიდა. გადაწედა, ახალ ჯვაროსნულ ომში
უნდა გასულიყო — საქართველოდან 70000, ტრაპიზონ-პონ-
ტოდან 30000 და მცირე სომხეთიდან 20000 მეომარი, მაგრამ
ახიელ ქრისტიანთა ცხოველი საომარი საშუადისი ამოთ გა-
მოდგა: ევროპელი მონარქები სავსებით უანტიერესო მოქნა-
რებით შეხვდნენ „წორული კონსტანტინოპოლის“ დახსნის
საქმეს.

...მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს საქართველო ხედე-
ბა ჯანჯაშვიტული ფიზიკურად, დაკნინებული ნივთიერად,
დაქვეითებული კულტურულად, დაჩიხული სულიერად, და-
წიწყნილი პოლიტიკურად.

ამ საუკუნეში ქართველებმა გარეშე მტრებთან გადაიხა-
დეს 28 ბრძოლა. აქედან — მოიგეს 18, წააგეს 10.

შაინც აღარ არსებობს „იმპერია“ საქართველოსი „ნიკოფ-
სიით დარუბანდამდის“. არამედ — საქართველოს ნანგრევებ-
ზე წარმოქმნილან „საქართველოები“:

- ქართლის სამეფო,
- კახეთის სამეფო,
- იმერეთის სამეფო,
- სამცხის სამთავრო, საათაბაგო.

იმერეთის სამეფოდან ცალ-ცალკე მიისწრაფიან: საბე-
დიანო-სამეგრელო, აფხაზეთი და გურია.

ერთმანეთს მტრობენ, მესისხლეობენ, საგარეო პოლიტი-
კურ ასპარეზზე მოქმედებენ უერთმანეთოდ, დაქსაქსულად,
ერთმანეთის საზიანოდ, „ერთიანი ფრონტის“ დავიწყებით და
დამიწყებით...



მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ირანის სახელმწიფოს სათავეში სეფევიდების, ანუ ყიზილბაშების („წითელთავიანები“ — წითელი თავსარქმელების გამო) დინასტია მოექცა. მათმა ბელადმა, ისმაილმა, უმადლესი სახელმწიფო ძალაუფლება ქართველების დახმარებით ჩაიგდო ხელში. მაგრამ ისმაილ შაჰმა ქართველებს დანაპირები არ შეუსრულა — საქართველოს არც ხარკი მოუხსნა და არც მის დამატყვევარ ლაშქრობებზე აიღო ხელი.

1514 წელს ატყდა ნახევარსაუკუნოვანი ომი ყიზილბაშურ ირანსა და ოსმალურ თურქეთს შორის.

საქართველო ისევ მოექცა სვილასა და ქარიზდას შუა.

1526 წელს თურქეთის დიდმა სულთანმა, სულეიმან I სჯულმდებელმა ქართველ მეფეებს — გიორგი მეცხრეს (ქართლი), ლევან მეორეს (კახეთი) და ბაკრატ მესამეს (იმერეთი) შემოუთვალა: იერუსალიმი, მთავარი ქალაქი თქვენი სჯელისა, ირანელებს დაუპყრიათ; წადით, განდევნეთ იქიდან ირანელები და იერუსალიმის მფლობელობაში ქართველებს შემცილებელიც არაიენ გეყოლებათო.

მართლაც, გაემართნენ „ჯვაროსნულ ლაშქრობად“ ქართველები. მიადგნენ ირუსალიმს. გამოეგებნენ ირანელები „და იქმნა ბრძოლა ძლიერი“. სასტიკი ჩეხვით ქართველებმა „მოსწყვიდნეს და აოტნეს“ მტერი. მსოფლიო ქრისტიანიზმის „ჭიბი“ ხელთ ეპყრათ ქართველებს. ირანელთა მარცხისა და ქართველთა გამარჯვების ამბავი სიამოვნებით შეიტყვეს სტამბოლს. რასაკვირველია, თურქეთის ფადიშაჰს ქართველებისთვის არ აუტკიებია თავი. მისთვის მთავარი იყო პალესტინის მიწებიდან მოსიხსლუ ირანელთა განდევნა. ამიტომ მან ქართველ მეფეებს დიდი ძღვენი გამოუგზავნა და თანაც „სიგლითა მტაციცითა“ ქართველებს დაუმტკიცა პალესტინა-იერუსალიმის ქრისტიანული მონასტრები და ყოველი „წმინდა ბაგლი ქრისტეს სახელობისა“.

ირან-თურქეთის ომი გრძელდებოდა. ჯერჯერობით მომტკრე მხარენი ასე რიგდებოდნენ: აღმოსავლეთი საქართველო — ანუ ქართლ-კახეთი — ირანს, დასავლეთი საქართველო — იმერეთს — თურქეთს.

ირანელებს დიდის თავგამოდებით ებრძოდა ქართლის მეფე ლუარსაბ პირველი (1527—1558). არც ბაგრატ მესამე ურიგდებოდა თურქთა გაბატონებას იმერეთში.

1543 წელს სულეიმან სულთანმა არზრუმის ბეგლარბეგი მუსა ფაშა გამოგზავნა 22000 იანიჩარით იმერეთის ასაოხრებლად. ქარაღაქთან გამართულ ბრძოლაში იმერლებმა სასტიკად დაამარცხეს რიცხვმრავალი მტერი. ამ ამბის მომსწრე მუსლიმი ისტორიკოსი წერს: „ქართველებმა ლალისფრად შეღებეს ბრძოლის ველი ოსმალთა სისხლით და მრავალი ოსმალთა მუსა ფაშასთან და სხვა წარჩინებულ ოსმალებთან ერთად დახოცეს, ხოლო მათი ბანაკი დაარბიეს და აიკლეს“.

ქარაღაქთან დატრიალებულმა კატასტროფამ უსაზღვრო მრისხანებით აღავსო სულეიმან სულთნის გული. „ამ დროიდანვე ისლამის ფადიშაჰმა განიზრახა ეპოვა შემოხვევა და შური ეძია“ ქართველებზე. ხოლო „შურისძიება“ მოხდა 1545 წელს, როცა მძვინვარე ხონთქარმა არზრუმისა და დიარბექირის ფაშებს დიდძალი მხდრობა ჩააბარა და ბაგრატ მეფის გასანადგურებლად გამოგზავნა.

ბასიანში შემოიჭრნენ თურქები ცეცხლითა და მახვილით.

ბაგრატ მეფემ იმერთა ჯარი შემოიყარა და დაწარჩენი ქართველობაც აწვია ბრძოლად.

ბაგრატის წევვებზე ქართველთა ჯარით მოვიდა ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელსაც გული უძგერდა „საქართველოსათვის, ვითარცა შვილთათვის“. მოვიდა როსტომ გურიელიც, გურულთა ჯარით. მესხი მამულიშვილებიც შეუერთდნენ მესხეთში მოსულ ქართულ ჯარებს.

ეს იყო უკანასკნელი „დიდი ერთობა“ იმერ-ამიერ საქართველოს საომარი ძალებისა, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოდან არ მონაწილეობდა კახეთი, ხოლო დასავლეთიდან — ოდიშ-სამეგრელო.



მტრები ერთიმეორის პირისპირ დადგნენ ბასიანთა,
ხო ისტას ველზე, 1545 წელს.

ბრძოლის წინა დღესვე ქართველთა ისედაც ^{ერთმანეთს} მტრულნი
ხოვანმა ბანაკმა გამარჯვების მთავარი საწინდარი — ერთსუ-
ლოვნება დაკარგა. ცხარე განხეთქილება ჩამოვარდა იმთა
თაობაზე, თუ რომელი კუთხის ჯარს რომელი აღგილი უნდა
დაეჭირა ბრძოლის ეამს.

როცა საქართველო „ნიკოფსიით დარუბანდამდის“ ერთი-
ანი იყო. „ყოველი საქართველოს“ ერთიანი ლაშქარიც ბრძო-
ლაში ჩვეულებრივ ოთხ მთავარ „დროშად“ გადიოდა: მე-
წინავე — სამხრეთი საქართველო, შემარჯვენე — დასავლე-
თი საქართველო, შემარცხენე — ჰერეთ-კახეთი და ზურგი —
შიდა ქართლი როქის სპით. მაშ, ბრძოლას იწყებდა სრულიად
მესხეთი და ასრულებდა შიდა ქართლი, ვითარცა სამეფო
სადროშო.

ასეთი სომარი წყობა დავით აღმაშენებელმა შემოიღო
და ასე მოდიოდა მას შემდეგ ერთიანი საქართველოს ისტო-
რიის მთელ მანძილზე. მაგრამ 1545 წელს, როცა სოხოისტას
საბედისწერო ბრძოლა უნდა მომხდარიყო, აქი აღარ არსე-
ბობდა საოცნებო ერთიანობა საქართველოსი. მაგრამ მაინც
აიჩემეს მესხებმა — ხვალ ბრძოლაში, ვითარცა ოდინდელი
წესი, ჩვენ უნდა გავიდეთ წინამბრძოლებადო. ხოლო, ქარ-
თლელები და იმერლები რატომღაც გადაქრით დადგნენ უარ-
ზე, შეიძლება იმიტომ, რომ მესხთა ერთი ნაწილი მტრის
ბანაკშიც იდგა. ასე თუ ისე, მესხების „ახირება“ გათვალის-
წინებული არ იქნა „და იქმნა ცილობა ურთიერთის შორის,
და აღეგზნა შერი დიდი“.

ის ღამე ქართულმა ბანაკმა უგემურ ძილ-ღვიძილში გა-
იტარა.

მეორე დღისთვის მას ელოდა ბრძოლა არმიასთან, რომ-
ლის მსგავსი საომარი ძალა არ მოეპოვებოდა არც ერთ ქვე-
ყანას მაშინდელ მსოფლიოში.

სისხამ დილაზე დადგნენ საომრად.

ქართველები საომარ წყობად იდგნენ: წინ ღუარსაბ მე-
ფე ქართლელებით, მარჯვნივ ბაგრატ მეფე იმერლებით, მარ-
ცხნივ მესხები — „გულგარედ მდგარნი“.

ბრძოლა დაიწყო უმძაფრესი ხმალიაყვეთებით. და, „აჰა,



იხილეთ, მსმენელნო, გაბედვა და მკვეთლობა საქმისა. თარ იგი ჰყვეს მაშინ ლომ-ვეფხებრ მხეც-ქმნილთა რწეულთა მათ სპათა ქართველთა უსჯულოთა მათ ზედა, და ქართველნი ვითარცა ელვა ქუხილისა ცისა“.

ქართველებმა რამდენჯერმე დაიკალთავეს მტრის მუწინავენი.

კარგა ხანს მაინც წონასწორად ქანაობდა სასწორი სისხლის თხევისა, რადგან მაინც უთვალავნი მოდიოდნენ თურქენი.

მერე ის იყო, გატყდნენ თურქები, რომ უეცრად მესხებმა, „შურითა ბოროტითა აღსავსეთა“, მტერს ზურგი აქციეს და ბრძოლის ველიდან გაქუსლეს.

თურქებმა მაშინვე იგრძნეს, როგორ შეთხელდა ქართველთა წყობა და მაშინვე ასკეცი ძალით წამოემართათ თურქული ურდო.

ქართველებმაც ფრიად დაისაკლისეს თანამომე მესხთა ღალატი, მაგრამ არამცთუ მხნობას არ შეეღივნენ, არამედ „უფროსად განწირნეს თავნი თვისნი“.

„და განგრძელდა ომი“.

„და მოისრნეს შრავალნი იმიერ და ამიერ“.

„და უფროსლა მოსწყვიდნეს ოსმალნი, ვიდრე ოთხი ზომა მოისრა“.

გმირის სიკვდილით დაეცა ქაბუცი ქაიხოსრო, ძე როსტომ გურიელისა.

სულ დაეღწათ საომარი საქურველნი ბრძოლით ცეცხლ-მოდებულ ქართველებს.

იბრძოდნენ მახვილთა ნამსხვრევებით.

იბრძოდნენ ვადა-ჯვარედინებით.

იბრძოდნენ მუსტის ძვერებით.

იბრძოდნენ კბილებით.

და „ქმნეს სახელი დიდი“ ქართველთა.

„და იყო ომი ძლიერი დილითგან ვიდრე მიმწუხრამდე“. ლამემ გაჰყარა მომტერენი.

წყვდიადით შესუდრულიყო სობოისტას ველი, სადაც „ოთხ ზომა“ თურქობაში ესვენა ქართული ჯარი და ვყარა დაღეწილი ქართული ხმლები, რომელთაგან არც ერთს არც ერთი ღამე ქარქაშში არ გაუთევია...



შემოდინდნენ თურქები მესხეთის ციხე-ქალაქებში.
 ხელიდან ეცლებოდა საქართველოს სამხრეთული
 ტურქები.

სამხრეთული
 საქართველო

თურქებმა სამცხის ათაბაგად დასვეს მათი ყურმოპრილი
 ყმა, ქაიხოსრო მეორე, რომელსაც გვერდით დაუყუ-
 ნეს ძლიერი მესხი ფეოდალი, ისიც ოსმალთა მახვეწარი და
 მადედრებელი, ოთარ შალიკაშვილი (ორივე, ქაიხოს-
 როც და ოთარიც, გუშინდელ სოხოისტას ბრძოლაში ოსმალ-
 თა რიგებში იბრძოდნენ). მაგრამ სულ მალე ორივეს თვითონ
 ემძიმათ ოსმალური უღელი და მის „შესაცვლელად“ ირანის
 მბრძანებელი თამაზ შაჰი მოიხმეს. თამაზიც დაიძრა სა-
 ქართველოსკენ დიდი მხედრობით. სულეიმან ხონთქარმაც
 დასძრა ლაშქარი ერთდროულად ირანელ ყიზილბაშთა და
 „მოლაღატე მესხთა“ გასანადგურებლად. ახლა სამივე დაფ-
 რთხა — შაჰ თამაზიც, ქაიხოსრო ათაბაგიც და ოთარ შალი-
 კაშვილიც. ქაიხოსრომ და ოთარმა ხონთქართან შერიგება მო-
 ჯებრეს, შაჰ თამაზმა კი სამცხეზე ხელი აიღო და ქავახეთს
 შეესია სარბევად და საძარცვავად. ყიზილბაშებმა განსაკუთ-
 რებით დააზიანეს ლუარსაბ მეფის ერთგული დიასამიძეთა
 საბატონო და ლუარსაბმაც აამხედრა ქართლის ლაშქარი. მა-
 მაცი მეფე მოულოდნელი დარტყმებით ავიწროებდა და ათ-
 ხელებდა მტრის ძალებს. ყიზილბაშთა ურდო ქავახეთიდან
 ქვემო ქართლს ჩაგორდა და ახლა იქაურ სოფელ-ქალაქებს
 მოედო საძარცვავად და სოხრებლად. ლუარსაბიც მიჰყვა
 ფეხდაფეხ. ქართველებმა ბევრი ყიზილბაში დახოცეს და
 დაამიწეს. მაგრამ შაჰ თამაზის ლაშქრის უმეტესმა ნაწილ-
 მა მაინც დიდძალი ნადავლითა და ნატყვენავით დატვირთულ-
 მა გააღწია საქართველოდან.

ისევ მძვინვარებდა ომი ირანსა და თურქეთს შორის. „სა-
 ქართველოებს“ ისევ თავისი „გარკვეული დამოკიდებულება“
 უნდა ჰქონოდათ საომრად აღმართულ მრისხანე მეზობელთა
 მიმართ. კახეთისა და იმერეთის მეფეები ირანის შაჰს „ემე-
 გობრებოდნენ“. ქართლის მეფე ირანის დანუქინებელ მტრად
 დარჩა. სამცხე-საათაბაგომ ოსმალური უღლის გადაგდება და
 ირანული უღლის დადგმა მოისურვა.

1549 წლის აგვისტოში სულეიმან ხონთქარმა დიდძალი
 მხედრობა შემოუტანა მესხეთს. თორთუმის ციხესთან დაუხვდა



დნენ მესხები მტერს. სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაეცა თურქეთში. მერე სხვა ციხეებს მისდგნენ თურქნი. სულ ფაქტობრივად ციხე აიღეს, თხუთმეტი თავისთვის დაინარჩუნეს და მორჩილები დაანგრიეს და მოთხარეს. მერე მოსდგნენ და მოარბიეს მესხთა „მხარე კეთილნაშენი სოფლებით“. ალაფი ალაფად აიღეს მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის იყო, რომ ოსმალურ ტყვეობაში წაიყვანეს „ურჩიცივი შავარდნისთვალეზიანი ქაბუკები და კაკებზივით მოგოგმანე ქალწულები“. სამცხის აოხრებას რომ მორჩნენ, გურიას შეესივნენ ოსმალნი. ჯერ ქანეთი მოწყვიტეს გურიას, მერე ბათუმში შევიდნენ და ციხის აგებას შეუდგნენ. მოუსწრეს გურულებმა, შეებნენ, დაამარცხეს და ქოროხს გადაღმა გადაარქვეს მტერი. ამიერიდან ოსმალეზმა მტერიც და ჩაიდგეს ფეხი გონიო-ქოროხის გზაკვეთილზე.

საქართველომ სამუდამოდ დაკარგა ქანეთი, სისხლბორციელი ნაწილი თავისი ტანჯული სხეულისა...

სამცხე-საათაბაგოს შემოსამტკიცებლად ცალკე თურქეთის სულთანი იბრძოდა და ცალკე ლუარსაბ ქართლის მეფე. ქაიხოსრო ათაბაგმა ორივე მტრად ჩათვალა, თურქიც და ქართველიც და „საშველად“ ისევ სპარსელი მოიხმო.

და 1551 წელს კვლავ წამოემართა საქართველოსკენ „ცასავეთ მაღალი“ შაჰ თამაზი, ურჩიცივი, „ცის გუმბათივით დიდებულნი ურდოთი“.

სამცხეს შემოესივნენ ცეცხლით და რკინით.

საომრად აღიმართნენ ყოველნი მესხნი, ვისაც კი მშობლიური მიწისათვის ჯერ კიდევ გული უცემდა და ქაიხოსრო ათაბაგსაც საქართველოს მტრობისთვის საკუთარ მტრად მიიჩნევდა. სამამულო ბრძოლას ლუარსაბ მეფის ერთგული დიასამიძენი და ავაღის შვილნი ჩასდგომოდნენ სათავეში.

ისევ დადგა ტბორე სისხლისა წამებულ მესხურ მიწაზე.

ისევ ჩაიციეს წითელი კვარტები მესხურმა ციხეებმა.

ბევრი ციხე დაეცა.

ბევრს ამოად შეაკვდა მტერი.

მაგრამ ყველაზე მძიმედ დაზარალდა ვარძია. უმძვინვარესი ხმალთაყვეთება დადგა დიდი თამარის წმინდა საფანეში. საქურავლის ზათქი და ზრიალი, დაჭრილ-დაკოდილთა გმინვა

და მომაცემადეთა ბლავილი გულისშემძვრელ ნახმენებად
ქროდნენ კლდე-ქალაქის დარბაზებიდან, სენაკებდან, სენაკი
ბულებიდან და ზარდამცემ ქუხილად ასკდებოდნენ
ზეცას.

იბრძოდნენ ქართველები.

იბრძოდნენ დაღუწილი საჭურველით.

იბრძოდნენ შიშველი ხელებით.

იბრძოდნენ კბილებით.

შიშველი მყერდის ძვერებით ტყორცნიდნენ კლდეებზე
ზედ მოწოლილ თურქმან-ყიზილბაშთ, ეჭიდებოდნენ და მო-
სისხარის სხეულზე ჩაჭიდებულნი თვითონაც ცვივოდნენ
კლდეზე.

ერთიანად ამოწყდნენ ვარძიის დამცველნი. ყიზილბაშებ-
მა არავინ დაინდეს — არც ქალნი, არც უწლოვანნი, არც
მსცოვანნი.

დათვრნენ სისხლით.

დაძლნენ სიმდიდრით.

დატკბნენ სიმშვენიერით.

თვითონ შამ თამაზი მივიდა ვარძიას და განცვიფრდა, რო-
ცა იხილა კლდეში ნაკვეთი ლავრა, „რომლის შიგნითა და
გარეთა კედლებზე კერპების სახეები დაეხატათ ოქროთი და
ლაქვარდით“. ეკლესიის გარეთა კარები ფოლადისა იყო, შიგ-
ნითა — ოქროისა. გვერდით სატახტო გამოეყვითათ ქართ-
ლელ ოსტატებს. შუა სატახტოში ტახტი იდგა მოოქროვილი
და ლალის თვლებით გაბრწყინებული. სამრეკლოზე ზარი
ეკიდა — „სამოცდაათი ბათმანი სპილენძისგან შეიდჯერ ჩა-
მოსხმული“.

ბაღლივით დაეღო პირი განცვიფრებულ შამს...

სანამ ძარცვას და ალაფალას დაიწყებდნენ, ვარძიის სე-
ნაკებიდან ოცი ბერი გამოიყვანეს და მთავარი ტაძრის საკურ-
თხვეულზე ყელები გამოსჭრეს. მერე გახსნეს და დაიტაცეს
ვარძიის უმდიდრესი საგანძურები: უმშვენიერესი ხელოვნე-
ბით ნაჭედ-ნაკვართი ნივთები, ხატები, ჭვრები, ძვირფასუდი-
ანი წიგნები. ოქროს ტახტი აიღეს და შამის ხაზინისთვის გა-
ამზადეს. ჩამოხსნეს და წასაღებად გააწყვეს ფოლადის და
ოქროს კარბნი ეკლესიისა. სამრეკლოდან „სამოცდაათბათ-
მანიანი“ ზარიც ჩამოაგდეს და დასატაცებლად ისე დაღუწეს.

„როგორც დაიშინებრა ქართველების საცოცხლის შუშა“.

ქართველი სარდლები ტყვეებად მოხვედრეს შაჰ თამაზს, ოთხი დიასამიძე და ერთი ავალისშვილი. ქაიხოსრომ მათსავე სთხოვა შაჰს და იმანაც ყველა ქართველ პატრიოტს ავადებინა.

ამის შემდეგ კიდევ ორჯერ ილაშქრეს ყიზილბაშებმა საქართველოში. შაჰ თამაზს ლუარსაბ მეფის შეპყრობა სურდა, მაგრამ ვერაფერს გახდა, მხოლოდ მეფის დედა, დედოფალი ნესტან-დარეჯანი შეიპყრო ატენის ციხის აღებისას და გაიტაცა სპარსეთისაკენ. ლუარსაბი დაედევნა და წამოეწია მტრის უკანაყერძს, მრავალი ყიზილბაში კიდევაც ასწყვიტა, ბევრი ნაძარცვიც წაართვა და თავის მეომრებს დაურბო. მაგრამ ტყვეები მაინც ვერ დააგდებინა. დედოფალი ნესტან-დარეჯანი სათავილო ტყვეობას არ შეურბოვდა, „წაშალი სასიკვდიინე“ შესვა და აღესრულა...

გ ა რ ი ს ი

1555 წელს, 29 მაისს, ქალაქ ამასიაში, შაჰ თამაზი და სულეიმან სულთანი ზავით შეეკრნენ ერთმანეთს. მთავარი აქ „საქართველოს საკითხი“ იყო და ასე გადაწყვეიტეს ეს „მედ-მიე გადაუწყვეტელი საკითხი“: აღმოსავლეთ საქართველო — ირანის შაჰს, დასავლეთი საქართველო — თურქეთის სულთანს. „აღმოსავლეთ საქართველოში“ ნაგელისხმები იყო: ქართლი, კახეთი და სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი. „დასავლეთ საქართველოში“ — იმერეთი გურია-სამეგრელო და სამცხის დასავლეთი ნაწილი (ტაო, შავშეთი, კლარჯეთი)...

„როცა სულთანი სულეიმანი სტამბოლში დაბრუნდა, დედამ ჰკითხა:

„მიხარია, მშვიდობით რომ დაბრუნდი, შეილო ჩემო, მაგრამ... ქართველები ხომ არ დაგვესხმიან თავს?“

„არა, ჩემო დედა, ნუ გეშინია, ვინათგან მე აღვმართე უმაღლესი კედელი ოსმალეთსა და საქართველოს შორის“.

„როგორ შესძელ, შეილო, კედლის აშენება ამოდენა მანძილზე?“

„შევსძელ, ჩემო დედა, შევსძელ. მე იგი ავაგე აღამაინ-



თა ხორცილ და სისხლით... ნუ გეშინია, დედაჩემო, ვერა-
დეს ვერ გადმოლახავენ ქართველები ოსმალთა საქართველში

...ქართველ მეფეთაგან კი არც ერთი ამასიის უმჯობესობას
ბეზს თავისთვის სავალდებულოდ არა თვლიდა. განსაკუთრე-
ბით, ისევ ქართლის მეფე ლუარსაბ პირველი იბრძოდა თავ-
გამოდებით. იგი, შაჰ თამაზის წასვლისთანავე, ქართლის ცი-
ხეებში ჩამდგარ ყიზილბაშურ ციხიონებს მისდგა და სულ
ერთიანად ამოწყვიტა.

ქართლის ციხეების პატრონობა შაჰ თამაზისგან ნაბრძა-
ნები ჰქონდა განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგს, შაჰვერდ
სულთან ზიად-ოღლის, ვარძიის აწიოკების მთავარ
გმირს (ტომით იგი ყაჯარი იყო, საქართველოს უკანასკნელი
დამაპყვევარის — აღა-მაჰმად-ხანის წინაპარი). და წამოემარ-
თა შაჰვერდ ზიად-ოღლი უზარმაზარი მხედრობით საქართვე-
ლოს წასახდენად.

ლუარსაბ მეფემაც შემოიყარა ჯარი და გაქუსლა მტერ-
თან შესახვედრად. მდინარე ხრამზე გადავიდა და ბანაკი დას-
ცა. მტრის გამოჩენამდე მეფემ სათათბიროდ შეჰყარა ჯარის
მეთაურები და უახლოესი თანამებრძოლნი, საერთო და სამ-
ღვდელონი. მათ შორის თავისი სამივე ვაჟი — სვიმონი,
დავითი და ვახტანგი. აქვე იყო კათალიკოსი ზებე-
დე. სათბირო მეფემ ამ უცნაური მონათხრობით დაიწყო:
„სისხმარი ვნახე, მართალი და ჭეშმარიტად დასაჭერისო, რომ
უსაყლოდ ჩვენ გავიმარჯვებთ და ყიზილბაშნი გაიქცევიან...
ხოლო მე ამ ომში მომკლავენ და ჩემ მკვლელსაც ქართვე-
ლები მოკლავენ“.

სანამ მშენეღნი გაოგნებას თავს დააღწევდნენ, ლუარ-
საბმა უფროსი ვაჟი, ცხრაშვიტი წლის სვიმონი წინ გამოიყ-
ვანა, დანარჩენებს მიუბრუნდა და ისევ წუნარად და შუუვა-
ლი ბრძანებით ბრძანა: „ამიერიდან ეს გეყოლებათ ხელმწი-
ფედ, ჩემი ძე სვიმონი, ღირსი ხელმწიფობისა!“ და მაშინ-
ვე დანარჩენ ორ უფლისწულს მიმართა: „ახლავ ეახელოთ
ოქვენს უფროს ძმას, დაემორჩილენით, შეჰფიცეთ და უერთ-
გულეთ ვითარცა მეფეს!“

უმცროსი უფლისწული, ვახტანგი, მაშინვე ეახლა სვიმონს,
მის წინაშე დაემხო და ფეხები დაუკოცნა.

დავითი კი აგვიანებდა. ლუარსაბმა მრისხანედ მოაპყრო

თვალი შეათანა ძეს, გატყდა და გამოვიდა დავითი ფეხსიერ-
ლო წელათრეული მივიდა და ძლიეს მოიყარა მუხლი გახელ-
მწიფებელი ძმის წინაშე.



ისევ საკრებულოს მიუბრუნდა მხცოვანი მეფე,
დი და უქცეველი სიტყვით: „ჩემი სიკვდილით ნუ მოიმლე-
ბით და მტრის განადგურებამდე მტრე ჩემი სიკვდილის ამ-
ბავს გაამხელთ. ხოლო, რა ყიზილბაშნი გალახოთ და გააქ-
ციოთ, მის უკან მცხეთას წამასვენეთ და იქაურ მიწას მი-
მაბარეთ. ჩემს გლოვა-ტირილს დაეხსენით და ქვეყნის შე-
ნახვა-გადარჩენაზე იბრუნეთ“.

ყველა გულწრფელად შეაწუხა ქველი ხელმწიფის სიტყ-
ვებმა. კათალიკოსმა ზებედეშ ბირველმა შებედა და მერე
სხუებიც მიესივნენ მეფეს: „რადგან მაგისტანა სიზმარი გი-
ნახავს, ამ-გზობით ნუ შევებმებით და უკუვეცალნეთ მტერს!“
მაგრამ მეფემ თავისიანთა რჩევა გამკიცხავი ღიმილით და ი-
წუნა და მტკიცედ განაცხადა: „დღეს-აქამომდე ხეანთქრისა
და ყაენისთვის არ შემიქცევია ზურგი და ახლა ერთი ვიღაც
ყაჩარისაგან უკუქცევას როგორ ვიკადრებ!“ ამის შემდეგ
კიდევ „დიდად ეაჩნეს“ ბრძოლის გადადებას, მაგრამ „მეფე-
მან ლომ-გუნებისამან ზრახვას სიკვდილი არჩია“...

...ყიზილბაშთა ჟრდო კი გამოჩნდა.
ლუარსაბმა მაშინვე განსაჯა და გადაწყვიტა: გაშლილ მინ-
დორზე მის მცირე ჯარს მტრის ურიცხვი მხედრობისგან, აღ-
ყაში მომწყვდევისა და განადგურების საფრთხე ელოდა. ამი-
ტომ სასწრაფოდ უკან გადმოინაცვლა და საომრად დალაგდა
ზრამის ერთ ვიწრო ხეობაში, ციხესიმაგრე გარისის ახ-
ლოს.

ლუარსაბი სიბერით ჯანდაცლილ მარჯვენას აღარ ენდო
და ჯარის სარდლობა მისგანვე მეფედ ნაყურთხ შეიღს, სვი-
მონს დაულოცა.

ჭაბუკმა სარდალმა საომრად დალაგა ჯარი. მერე მამას
სთხოვა, ყველანი შენებრ მხცოვანნი ბრძოლას განერიდეთო.
ეს თხოვნა ბრძანებას უდრიდა და ლუარსაბმა კათალიკოსი,
ყველა მხცოვანი საერონი და სამღვდელონი გაიყოლია და
მათი თანხლებით მახლობელ მაღლობზე, ტყის პირას დად-
გა.

ასე — „მამები“ ზემოდან დასცქეროდნენ საომრად შე-

მართულ „შვილებს“ (თითქოს მსოფლიო ხელმწიფე პრიაცი-
სი „თანამსოფლიო“ კარისკაცებით გარშემორტყმული ვადას-
ცქროდა ილიონის უმაღლესი გოდოლიდან სკამანდრიან მღვდელ-
ზე საომრად გაწყობილ ტროელთა და აქაველთა მხედრო-
ბას)...

...მაშ, 1556 წელი. სახელოვანი ბრძოლა გარისთან.

ქართველებმა მტრის ურდოს მოახლოება აცალეს. ხოლო,
როგორც კი ახლო „მოვიდეს ყიზილბაშნი, მაშინვე მიეტყუა
მათ სვიმონ და სპანი ქართველთანი, ვითარცა ლომი გამძვ-
ნვარებული“... „და იქმნა ბრძოლა ძლიერი“. სვიმონ ლუარ-
საბის ძემ და მისმა მეწინავე ქართველებმა სასტიკი ხმა-
თაქვეთებით („ვითარცა ლომიან ჯოგთა კანჯრისათა“) გაარდ-
ვია და გაიკაფა მტრის შუაეკრძი. მაშინვე ქართველთა ძლე-
ვით დაქანდა ბრძოლის სასწორი. ჭაბუკმა სარდალმა და მი-
სმა „თანაჭაბუკმა თანამებრძოლებმა“ მიღეწეს და „მოსწყ-
ვიდნეს ურიცხვი სპანი თათართანი“. დანარჩენები კი „წარიქ-
ცივნეს“ და გამოედევნენ. გამარჯვებულებმა ისე დაიფრინეს
და „დაანქრივნეს“ ირანელნი, რომ ისინი „შეცდომილნი“
ივლტოდნენ „ღელე-უშენთა და ტყეთა მიმართ“. გარბოდა
თვითონ შაჰვერდ სულთან ზიად-ოღლი.

შაჰვერდ სულთანს თანაშემწე სარდლად ჰყოლია მაქ-
მედ სულთანი, რომელიც თავისი რაზმით ქართული
ხმლების შემოტევას ყველაზე ადრე გაქცევია და თავი მახ-
ლობელი ტყვისთვის შეუფარებია. ტყე რომ აათავეს და მალ-
ლობს შეუდგნენ, უცებ იქ მდგარ ლუარსაბ მეფეს და მის
ამალას გადააწყდნენ. ამ მიხრწნილ ბებრებს უცებისად გა-
დაეთქერავ და გასაქცევად გზასაც იოლად ვიშოვით, იფიქ-
რა მაქმად სულთანმა და მაშინვე საშინელი ღრიალით გა-
ქნა ქარი იმ ბორცვისაკენ.

ლუარსაბ მეფემ შეაბჯრეს შუბი გამოსტაცა და ცხენს
მოახტა, მყისვე ამხედრდნენ დანარჩენებიც — კათალიკოსი,
ეპისკოპოსნი, მღვდელნი, ბერნი, მათთან „მოხუცებულნი
ერისკაცნი“. და ყველანი — მეფეც, საერონიც და სასულიე-
რონიც — წელთა სიმრავლით დამძიმებულნი მტრის გა-
მოწყვეით ანთებულნი, ერთბაშად „იქმნეს ვითარცა ჭაბუკ-
ნი“. დაუხვდნენ ქართველნი მოიერიშე მტერს და „ყვალად
იქმნა ბრძოლა ძლიერი“. ლუარსაბმა შუბით ხელში გაარდ-



ვია მტრის შეაქერძი. ზედიზედ რამდენიმე ჩამოაგდო ცხენიდან და გადაემსხვრა ზეზი. ხმალი გაიძრო, კიდევ რამდენიმე ჩამოკყარა და ახლა ხმალიც გადაუტყდა ვადაში. სულთანმა შენიშნა და ცხენდაოთხებულს და ხმალიც დააგდო. ლუარსაბმაც დროზე შეაწრო თვალი ყიზილბაშთა სარდალს. უსაჭურველობა არად ჩააგდო ისე „განაფიცხა ტაიჭი თვისი“, ყალყზე შეაგდო და „შეაძგერა ცხენსა მაჰმად სულთანისასა“. ცხენიანად ძირს დაენარცხა მაჰმად სულთანი. დანარჩენებს დაერია ლუარსაბ მეფე ცხენის ძვერებით. მხნედ მისდევდნენ მეფეს მისი ამალისანი და „მოსწყვიდნენ მრავალნი ყიზილბაშნი“. მერე წინ „წარიქცივნეს“ და გამოედევნენ ჩეხვითა და ცხენთა ძვერებით.

და უცებ, სად იყო და სად არა, გაქცეულ მტრის კვალდაკვალ სრბოლისას, რაღაც შეუშინეველ „დანახეთქსა მიწისასა“ ლუარსაბის ცხენს ფეხი ჩაეჭედა და ძირს დაენარცხა ანაზდეულად. მსცოვანი მეფეც დაეცა მიწას, მძიმედ, მოწყვეტით. მიეტრა ყიზილბაში ვინმე, სახელად ზაქირ, და მთელის ძალით დააკრა მახვილი უმუზარადო თავზე. წამსვე ცოფიანი ყარყაშით ისრის სეტყვა დაუშინეს ყიზილბაშებმა თავგაბობილ მეფეს. ლუარსაბის ცხენს მოახტა და გაჭუსლა ზაქირმა. წამოეწივნენ ქართველები და ხმლებით აკეპეს მეფის მკვლელი. მალე მაჰმად სულთანსაც მისწვიდნენ და ისიც აკეუწეს, ხოლო „სპანი მისნი ყოველნივე ამოსწყვიტეს“.

ამასობაში სვიმონსაც მოესურვებინა შაჰვერდ სულთან ზიად-ოღლის მთავარ ძალითა განადგურება. აქაც ქართველები ისე სცელავდნენ ყიზილბაშებს „ეთიარცა მხალთა მდელოსათა“.

ძლევაამოსილების სიხარული უმაღლესე ჩაუქრა გმირ უფლისწულს, როცა მამის სასიკვდილოდ დაჭრის ამბავი მოახსენეს. იგი სასწრაფოდ მივიდა მამასთან და ხილვისთანავე „მწუხარე იქმნა ფრიად“...

ასე განესრულა გარისის ბრძოლა, ქართველთა ბრწყინვალე ძლევაამოსილებით.

1000 ქართველისა და 8000 ირანელის გვამით მორეცილიყო ბრძოლის ველი.

/ მაგრამ გამარჯვებას ჩრდილი ადგა ლუარსაბ ლეონიძის დილით.

მშვენიერი სიკვდილთ კი აღსრულა სულქან-მშვენიერი „ღვწილ-მრავალი“ მამა ქართლისა.

ქართველთა მაიმედებელი სინათლის სხივი წყვედიადით აღსავსე საუკუნეში. „ღომებრ ძლიერი და სარდალი კეთილი“, „შერამე გულოვანი, უხვი და უშურველი, მსმეველ-მკმეველი, სამართლიანი, ყმა-მორჩილი, ცხენოსან-ცეროსანი, ომში კობტა და უშიშარი, მაგარი ქრისტიანი ურუმთა და ყიზილბაშთა ნამეტნავად მისგან რომ ეწინოდათ“. მეფე მარტოსული, რომელიც „აქეთ ირანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდა“, მათს მორჩილებასა და მოხარკეობის უღელში თავს არასოდეს არ სდებდა.

ქეშმარიტებას ბრძანებს მემატთანე: „უკუთმცა მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არ ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველივე ხმლისა მისისაგან არიან“ .

მოკედა და დარჩა მისი მეომრული შეგონება: „მამაცმან კაცმან თავი თვისი მგელს უნდა ამსგავსოს და მტრის ლაშქარი ცხერის ფარად ჩაითვალოს; ვითარცა მგელი ცხვარსა, ესრეთ მტერსა უნდა მიუხდეს; ხოლო გამარჯვება ღმრთისა ხელთა არს“.

მცხეთას, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს მამა ქართლისა, უიღბლო ეპიგონი ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალისა.

ფ ა რ ც ხ ი ს ი

ქართლის მეფედ სვეტიცხოველსვე ეკურთხა სვიმონ პირველი (1556—1569; 1578—1603), მამასაებრ გულმხურვალე მამულიშვილი, ნიჭიერი სარდალი და ქარისკაცი შემმართველი, მამასაებრ „ცხენოსან-ცეროსანი“ და მისებრ „ომში კობტა და უშიშარი“.

ახალმა მეფემ რამდენიმე ბრძოლა ძლევამოსილად გადაიხადა ირანელ დამპყრობლებთან.

1569 წელს ახალი თურქმანულ-ირანული ურდო შემოიჭრა ქართლის საზღვრებში. მეგზურად ადგილობრივი მოლაღატე მოუძღოდათ — კახაბერ ყორღანაშვილი

ქართულ მიწაზე შემოსვლისთანავე გული შეუშინდათ ყიზილბაშ სარდლებს და ქარების უკან გაბრუნებაც კი დააპირეს, მაგრამ მიეძალათ ყორღანაშვილი, კისერზე ხელი დანასავით დაისვა და შექალაქდა: ოღონდ თქვენ ქართლში ლაშქრობაზე ხელს ნუ აიღებთ და უკეთუ რაიმე გევენოთ, სისხლი აი, ამ ჩემი კისრიდან ამოიღეთო! ყიზილბაშებმაც შიში სძლიეს და წამოკეცნენ კაცს, რომელმაც ასე „დამაჯერებლად იტვირთა სისხლი მათი“.

ალგეთის ბეობაში შემოუძღვა ყორღანაშვილი საქართველოს წასახდენად ამხედრებულ ურდოს.

ფარცხისს მოვიდნენ და დაიბანაკეს.

სვიმონ მეფე მამინ აწუფისს იდგა. როგორც კი მტრის შემოსევის ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ აიყარა და თვითონაც ფარცხისისაკენ გაემართა.

ფარცხისი!

ეს ადგილი კარგად უნდა ჰქონოდათ „დაცდილი“ ქართველებს: სწორედ აქ, ფარცხისთან, ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი წლის წინათ ქართველებმა მეფე გიორგი მეორის სარდლობით სასტიკად გაანადგურეს თურქთა ლაშქარი. მაგრამ ეს იყო 1074 წელს. ხოლო ახლა იდგა 1569 წელი... ერთი-მეორის პირისპირ აღიმართნენ. ყიზილბაშნი „იყვნეს ათვზის უმრავლეს ქართველთა“.

ბრძოლა ქართველებმა გახსნეს. „მეიტყვენეს ქართველნი გულითა სრულითა და მიდრიცნეს ყიზილბაშნი პირველსავე კვეთებასა ზედა“. ისევ წინ იყო სვიმონ მეფე, „ომში კოხტა და უშიშარი“. ზედიზედ ეცემოდნენ ყიზილბაშნი, მისი შუბით ნაძგერალნი. „განსქდა“ და გაიქცა ყიზილბაშთა ურდო, გამოედევნა ქართველთა ჯარი. მტრის დევნაში გართულ ხელმწიფეს კი ველარ შეემჩნია, რა შორს წასულიყო და მოსწყვეტოდა თავისიანებს. მორიგ ყიზილბაშს წამოეწია და აძგერა შუბი. ხელი უცებ შეუმსუბუქდა: შუბი გადამსხვრეოდა. წუთით უიარაღო იყო მეფე. წუთშივე სადღაც გამოიჭრა ყორღანაშვილი, გაქცეულ ყიზილბაშებს წინ ჩაეჭრა და ისტერიული ხმით შეჰკვილა: „აჰა, ეგ არის სვიმონ მეფე, მარტოდ-მარტოა, უიარაღო, მიდით, ეკვეთეთ, შეიპყარით!!!“



ელვის სისწრაფით გადმოტრიალდა ბედისწერის მოწინააღმდეგე. ყიზილბაშთა სალტე შეიკრა მეფის გარშემო დასძრა მეგრდით საძგერებლად სვიმონმა, მათგან მოასწრო: შამხალელმა ლეკმა ქემშიდმა მალულად ზურგიდან უნაგირის ძარძაყს შუბი შეუვდო და მხედარი მალდა აიქნია. მეფე მიწაზე დეცა. მაშინვე ზედახორად წამოესივნენ ყიზილბაშნი.

ქართველებმა ჯერ არაფერი იცოდნენ მათი მეფის დატყვევებისა და ისევ იბრძოდნენ დიდის მხნეობით, კვლავ „კვმნეს სახელი დიდი“, კვლავ „მოსრნეს მრავალნი ყიზილბაშნი“. მეფის დაკარგვას ისინი მხოლოდ მაშინღა მიხვდნენ, როცა გაქცეული მტრის ურდო მოულოდნელად შემობრუნდა და ყოველის მხრიდან გახელებული და აღტაცებული ბლავილით შემოესია.

მაინც იბრძოდნენ ქართველნი, იბრძოდნენ უკვე შეურცხვენელი სიკვდილისთვის. და იბრძოდეს, სანამ იარაღი სულ არ შემოემსხვრათ, ფრჩხილები სულ არ შემოცვდათ...

ღამე ჩამოწვა ალგეთის ხეობაში.

ქართველთა მცირე გუნდი მილასლასებდა გალახული და სისხლდადენილი...

...ირანის მბრძანებელს, შამთამაზ პირველს მიჰგვარეს სვიმონი. შამი ქართველს გათავისუფლებასაც შეჰპირდა, ქართლის ტახტის დაბრუნებასაც, ოღონდ სამაგიეროდ ქრისტიანობაზე ხელის აღება და გამაჰმადიანება მოსთხოვა. სვიმონმა ცივი უარი თქვა. მაშინ შამის ბრძანებით სვიმონი ალამუთის ბნელ ციხეში ჩააგდეს.

სვიმონის ნაცვლად, ქართლის მეფედ შამმა გამოაცხადა ლუარსაბის შუათანა ძე, ძმისა და ქვეყნის მოღალატე, დავითი, სპარსულად მონათლული და უღბანი.

ქართველი პატრიოტები კი ბრძოლას განაგრძობდნენ. ქვეყნისა და სვიმონ მეფის მოღალატეებს, სადაც კი მოახლებდნენ, უწყალოდ ელვტდნენ. ქვემო ქართლის სპასპეტმა სიანო ბარათაშვილმა მოღალატე ყორღანაშვილი შეიპყრო და კოჭორს, გელიყარის კლდეზე გადასჩეხა. ამაზე სიმღერაც შეითხზა მაშინ ხალხში:

„ვორდანი-ოღლა ქარაფინდა,
ხელა ჰერეს და გადაფრინდა“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუდ-ხანი კი ტფილისის ციხიდან ცხვირის გამოყოფასაც ვერ ბედავდა. სამშობლოს დახსნის ჭინით შეპყრობილი მამულიშვილები დაუნდობლად სპობდნენ ყველას, უცხოსაც და შინაურსაც, ვისაც კი ქართლის საღალატოდ თითის განძრევაც გაებედა. სწორედ მაშინ, ქართველ მამულიშვილთა შერისმგებლურ ბოღმაში დაიბადა ახალი, მტრის თავზარდამცემი ეს სიმღერა:

„ყოფეც დაიზრდებიან
ალგეთს ლაყვები მგლისანი,
ისე არ ამოსწუდებიან,
ჩაერი არ სჯამონ მტრისანი!“

დაიღწევიან და შეიმუსრებიან საუკუნენი. ხოლო ლექსი ესე — სიმღერა დიდი იმედისა „ურყევი რწმენისა და უტეხი სულისა — დარჩება მარად შეუმუსვრელი...“

კ ა ხ ე თ ი „ თ ა ვ ი ს თ ვ ი ს “

ქართლი მარტოდმარტო ებრძოდა უმძვინვარეს მტერს, დანარჩენი „საქართველოებისაგან“ განკერძოებული და განრინებული. კახეთის მაშინდელი მეფე ლევან მეორე (1520—1574), სვიმონ მეფის სიმამრი, მოყვარე და მოძმე ქართლელებთან თანაბრძოლისა და თანადგომის ნაცვლად, სპარსეთთან „თანამეგობრობისა“ და მოხარკეობის პოლიტიკას არჩევდა.

მაგრამ „თავისი კახეთის“ მთავარ მშველელ ძალად ლევან მეფე მაინც რუსეთს თვლიდა.

მაშინ რუსეთში დიდი ხელმწიფე იჭდა, ივანე მეოთხე მრისხანე, რომელსაც რუსული მიწების გაერთიანებაც დაესრულებინა და მეზობელ ხალხთა „შემოერთებასაც“ შესდგომოდა. უპირველეს ყოვლისა, რუსეთს ზღვებზე გასვლა სჭირდებოდა და პირველი ზღვა „მოსკოვის სახელმწიფომ



რომ მოიპოვა, აღმოჩნდა კასპიის ზღვა. რუსები მტკიცედ
 მკვიდრდებოდნენ ვოლგისპირეთში, კასპიისპირეთში და
 ჩრდილოეთ კავკასიაში. 1557 წელს კავკასიელთაგან აღეშინა
 პირველნი შეუერთდნენ ყაბარდოელები. 1561 წელს ლევან
 მეფემ, იაკობის მეთაურობით, ელჩობა გაგზავნა მოსკოვს.
 ქართველი მეფე ერთმორწმუნე რუსთა ხელმწიფეს გარს
 სთხოვდა. ივანე მრისხანემ უყოყმანოდ აღასრულა ეს თხოვ-
 ნა. შვიდი წელიწადი (1564—1571) ჰყავდა ლევან მეფეს კა-
 ხეთში რუსული დრუჟინები. მერე რუსეთის შინაურმა და
 საგარეო გართულებებმა ივანე მრისხანე აიძულა კავკასიიდან
 საერთოდ გაეყვანა თავისი საომარი ძალები.

ისეთივე პოლიტიკის გზას ადგა ლევანის შემდგომი მე-
 ფეე კახეთისა, მისი ძე ალექსანდრე მეორე (1574—1606).
 მას ქართლის მეფესთან, დიდ მამულიშვილ სვიმონთან მტრო-
 ბა ჰქონდა და უფრო მოღალატე დაუდ-ხანს ემეგობრებოდა.
 იგი მხოლოდ „თავისი კახეთის“ ამალღებისათვის ზრუნავ-
 და და დანარჩენი საქართველო მისთვის თითქოს „ნაკლე-
 ბად არსებობდა“.

დიდი აღებშიცემობა გაეჩაღებინა კახთა მეფეს აზიისა
 და ევროპის სავაჭრო ბაზრებზე. სატახტო ქალაქის, გრე-
 მის სასახლის ხაზინა მანამდე არნახულად გამდიდრდა. კა-
 ხელები ეაჭრობდნენ აბრეშუმით, ღვინით, პურით, ცხენით.
 ალექსანდრე ფულს უხვად ღებულობდა, მაგრამ ხარკსა და
 წარსაგებელსაც არ ერიდებოდა. ხოლო ხარკავდა ეკლტურულ
 აღმშენებლობათა განსასრულებლად. ახლებდა ძველსა და
 აშენებდა ახალ ციხე-ქალაქებს, ეკლესია-მონასტრებს, სასახ-
 ლეებს, სავაჭრო ქარვასლებს. იწვევდა ქართველ და უცხო-
 ელ ოსტატებს, ხუროთმოძღვართ, მხატვრებს, სწავლულებს,
 მწიგნობრებს. მტკიცე შინაგანმრიგე აღმოჩნდა ალექსანდრე.
 ალაკაბი ამოსდო თავგასულ ფეოდალებს და მოხელე-მოურა-
 ვებს.

სამხედრო რეფორმაც გაატარა ალექსანდრე მეფემ. 15000
 რჩეული მოლაშქრე, 12000 მხედარი და 3000 ქვეითი შედ-
 მივ სალაშქროდ ჰყავდა გამზადებული. ყოველწლიურად ამ
 „რეგულარული გვარდიის“ აღლუმს მართავდა, ბრძოლისუ-
 ნარჩინობას, საომარ მზაობასა და შეიარაღებას უსინჯავდა.
 შეიარაღება კი ნაკლები ჰქონდა — თხუთმეტი ათასი მეომ-

რიდან მხოლოდ ხუთასი ჰყავდა ხელთოფით შეიარაღებულნი. არც ზარბაზანი გააჩნდა, არც ერთი ლულა. მეფე მაისც ცდილობდა როგორმე მესაჭურველე ოსტატები ეშოქარათენა ხანები გაემართა და ზარბაზნებზე ჩამოესხა. „რეგულაციის“ ჯართან ერთად, „ქედზე კაცის“ დაძახებით, ოლექსანდრეს შეეძლო კახეთში საჭიროების ეამს ოცდაათი ათასამდე მეომარი შემოეყარა.

საომრად მუდამ მზად იყო, მაგრამ ომსა და სისხლისღვრას, უცხო მტერთანაც და შინა-მეტოქესთანაც, სამართლიანსაც და უსამართლოსაც, ყოველნაირად გაურბოდა. დიპლომატიის, ძლევისა და მისართმეველის საშუალებით თითქმის ყოველთვის ახერხებდა უკვე ამოწვდილი ხმელი ქარქაშში ჩაეგებინებია საომრად აღძრული მოპირდაპირისთვის, თავისი მეფობის ოცდაათი წელიწადი ისე იანგარიშა, მის მეზობლად გამართულ საშინელ და უთაყვამო „ხალხთა ბრძოლებში“ (რომელშიც ჩათრეული იყო თურქეთი, ირანი და მთელი იმიერ-ამიერკავკასია) ერთი კახელიც არ გაუგზავნია, ფრჩხილიც არ წამოუტყენია, არც ერთ ყიზილბაშსა და ოსმალოს ერთხელაც კახეთის მიწაზე მოხბარი ფეხი არ დაუდგამს.

ასეთი იყო მისი „პოლიტიკა“. აყვილობა სუფევდა კახეთში (რა ვუყოთ, რომ სისხლისაგან იცლებოდა დანაჩრენი საქართველო!).

ეიჩენეს ეგიდის ქვეშ კახეთი გამდიდრდა და გამრავლდა. ყველაზე მეტი აყვანი მაშინ კახეთში ირწყოდა. ალაზნის ქვეყანა ხალხით ისე მომრავლდა და მოეშენა, რომ „ძნიად სადმე იბოებოდა სანადირონი“...

ი მ ე რ ე თ ი „თ ა ვ ი ს თ ვ ი ს“

იმ დროს დასავლეთ „საქართველოებში“ განაგებდნენ: იმერეთს — ბ ა გ რ ა ტ მ ე ს ა მ ე, ოდიშს (სამეგრელოს) — ლ ე ვ ა ნ პ ი რ ვ ე ლ ი დ ა დ ი ა ნ ი, — გურიას — რ ო ს - ტ ო მ გ უ რ ი ე ლ ი. დადიანს იმერეთის მანდატურთუხუცესი ერქვა, გურიელს — იმერეთის ამირსპასალარნი. მხოლოდ ერქვათ, რადგან არც ერთი და არც მეორე თავს იმერეთის



მეფის უმად არ თვლიდა და ორივენი „დამოუკიდებელ ხეობა-წიფობას“ ზემულობდა.

მთავართა და თავადთა დათრგუნვა იმერეთის შუაშტო შუაშტო.

ოსმალთა სულთანი კი შიშიმე ხარკს ეზიდებოდა დასავლეთ საქართველოდან. ყველაზე შემზარავი ის იყო, რომ უმშვენიერესი და უჩანსადესი გოგო-ბიჭები გაჰყავდათ თურქებს იმერეთიდან, ვითარცა ხარკი. თურქთა ჭილაგი ჭიუტად იღვამდა ფეხს ქართულ მიწა-წყალზე. სავაქრო და ნივთიერ მიმოქცევათა საქმეშიც თურქმა ვაჭრებმა დაისაკუთრეს განუყოფელი თავკაცობა შავი ზღვის ქართულ განაკიდურთა გასწვრივ. თურქულ გემებს შემოჰქონდათ საქართველოს ნ.ვ.სადგურებში შარილი, თევზი, ხიზილალა, რკინისა და სპილენძის ნაკეთობანი, ცხენის აღკაზმულობანი, ტილოსა და მაუდის ქსოვილები, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საომარი საქურველი, საოჯახო მოწყობილობანი, ხალიჩები, შაქარი, ქიშმიში, სააფთიაქო საქონელი და ათასგვარი წვრილმანი... და ყველაფერს პეიდნენ სისხლის ფასად, სამავიეროდ საქართველოდან მიჰქონდათ: ტყავიული, ბეწვეული, სელი და სელის ქსოვილები, ხე-ტყე, თაფლი, სანთელი, კოლხური ტილო, ძაფი, ამრეშუმი და ყველაფერში იგივე თურქები იძლეოდნენ ჩალის ფასს.

მაგრამ იყო ერთი ყველაზე დიდი „საქონელი“, რისთვისაც არაფერს არ იშურებდნენ ოსმალთ-თურქნი.

და ეს იყო თვითონ ქართველი — მოპარული, მოტაცებული, დატყვევებული, სამშობლო მიწა-წყალს მოწყვეტილი და „შავ“ თუ „თეთრ“ ბაზარზე გაყიდული.

ეს იყო „ტყვის სყიდვა“ — ყველაზე ავსნებოვანი ღვთისრისხვა ქართველი ხალხის ეამსაბრუნავეში, ერისწყველი განჩინება საისტორიო ბედისწერისა.

იტაცებდნენ და ყიდდნენ „ყოველწილად ქართველს“ — ჭალსაც და კაცსაც, ყრმასაც და ხნიერსაც, აზნაურსაც და უაზნოსაც. ყველაზე ძვირად ფასობდა ახალგაზრდობა, ყრმა და გოგონა — ლამაზი, მშვენიერი, გონიერი და ღონიერი.

მოტაცებული და გაყიდული ქართველი ასული უმშვენიერეს სამკაულად უნდა მოვლენოდა სულთანთა და ხონთქართა სერალებსა და პარამხანებს. იგი უნდა ყოფილიყო

მუსლიმი მბრძანებლის ხასიათიანმოლო, უფრო „ბედნიერ“ შემთხვევაში — თანამეცხედრე-მეუღლე. ოჯახზე უფრო მეტი კედლობით განთქმულ ქართველ ქალს თურქის შეჯიბრებულნი და გაეჩინა და საქართველოს სამტროდ და საოხრად აღეზარდა ისინი.

მოტაცებული და გაყიდული ქართველი ყრმა, ჭიშად მოყოლილი სიმამაციით და გულუძვრელობით ისლამის უმამაცეს და უერთგულეს მეთმრად უნდა ქცეულიყო: თურქეთში — იანიჩარად, ეგვიპტეში — მამლუქად.

იტაცებდნენ, პირს უქოლავდნენ, ხელ-ფეხს უკოკავდნენ და ოქროზე ჰყიდდნენ. იტაცებდნენ ყველგან: გზაში, ყანაში, ტყეში, სამწყემსურში, წყაროზე, წისკვილში, სამლოცველოში, სახლში მიხდომით, აკვანზე და კერაზე დაცემით.

საკვირველი აღარ იყო, რომ ქართველებს იტაცებდნენ თურქები.

საკვირველი და გონებაშემარყვეველი ის იყო, რომ ქართველებს იტაცებდნენ და ჰყიდდნენ თვითონ ქართველები — გულმანკიერი ფეოდალნი, საკუთარ ყმაზე „შემომწყრალი“ ბატონი, ან უბრალოდ, ოქროზე დახარბებულნი „მამულიშვილები“, შარაგზის ყაჩაღები, საგანგებო-მტაცებელ რაზმებად ტყე-მადნარებში და ხეე-ხეუებში ჩასაფრებული ერისწყვეულები.

მაშ, ქართველი ჰყიდდა ქართველს — ბატონი — ყმის, თუნდაც ერთგულს, გინა ძებუნტეს, გინა პურიმტეს.

და იქცეოდა ყველაზე მწარე ცრემლი ქართულ მიწაზე, ცრემლი მშობლის მკერდიდან და მშობლიური კერიდან აწყვეტილი ქართველი ბავშვისა. ცრემლი შვილმოტაცებელი დედისა და მამისა.

ამნაირადაც იყიდებოდა საქართველო.

აქამდეც მიიყვანა ისტორიის ბედისმწაფელმა სამშობლო დავით აღმაშენებლისა და შოთა რუსთველისა...

იმერეთის მეფემ, ბაგრატ მესამემ ტყვის სყიდვის მოსპობა სცადა, საერო და სასულიერო თაეკაცთა საგანგებო კრებაზეც დაადგინა, მაგრამ მალე ეს „განჩინება“ დავიწყებას მიეცა. მეფეს არ შეეძლო ფეოდალის „პირად საქმეებში“ ჩარეულიყო და მისთვის „მისი საკუთრების“, ყმის გა-



ყიღა თუ გაჩუქება (გინა მოკვლა) აღეკეთა. სამასი წელიწადი მიჰინვარებდა საქართველოში ტყვეთა სყიდვა. სამასი წელწადი ძარცვაედა ღვთისრისხეად უბედურება ქართულ აკვანს.

სამასი წელიწადი იღვრებოდა და ირღვნებოდა ქართული მიწა ყველაზე მძიმე კეშნით, ყველაზე მწარე ცრემლით...

1565 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატ მესამე, გამეფდა ძისი ძე გიორგი მეორე (1565—1583).

იმ ეპოს როსტომ გურიელიც გარდაიცვალა და გურიის მთავრად დაჯდა მისი ძე, ისიც სახელად გიორგი.

1572 წელს ნადირობისას დაიღუპა ლევან პირველი დიდიანი და მის სანაცვლოდ დადიანობა ირგო მისსავე ძემ გიორგიმ.

მაშ, სამი გიორგის მმართველობის ეპოქა დასრულდა იმეამად დასაველეთ საქართველოში...

მესხეთი „თავისთვის“

ათაბაგ ქაიხოსრო მეორისა და თავად ოთარ შალიკაშვილის მოღალატური პოლიტიკის წყალობით მესხეთი საცხებით დაეკარგა სისხლხორციელ საქართველოს. მესხეთის აღმოსაველეთი მხარე ქაიხოსროს ებურა და ირანის ყმობაში შედიოდა.

ხოლო თურქები, უკვე მფლობელნი ქართული ქვეყნებისა — ჭანეთისა, აჭარისა, შავშეთისა და ტაო-კლარჯეთისა — გამუდმებით ესხმოდნენ თავს ქაიხოსროს „წილ“ აღმოსაველეთ მესხეთს. ესხმოდნენ, არბევდნენ, ანგრევდნენ, აწიოკებდნენ.

1570 წელს თავზარდაცემული ქაიხოსრო ათაბაგი სპარსეთს გაიქცა. შამთამაზს მუხლებში ჩაუფარდა და თურქთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა.

შამს თურქეთთან ზავი ჰქონდა შეკრული — ამასიის ზავი — მიზოვნელს ვერაფრითაც ვერ დაეხმარა.

ქაიხოსრო ათაბაგი ხელცარიელი აღარ ამირებდა დაბრუნებას და იქვე სპარსეთში გარდაიცვალა 1573 წელს. დარჩა ექვსი ძე, რომელთაგან სამცხის ათაბაგობა მიიღო ყვარყვარე მეოთხემ. დიდი გავლენით სარგებლობდა მომდევნო



ძმაც, მამაცი და მკლავლონიერი მანუჩარი... ქაიხოსროს კრ
 დეე ერთი ძე, სახელად თვალშვენიერი, მძევლად ქველ
 სპარსეთის კარზე...

მაღე ჭაყელთა საათაბაგო სახლს აუჭანყდნენ დანარჩენი
 მესხი თავადნი, საშინელი ნგრევა და ზოცვაუღლება გაგრძე-
 ლდა ოცი წელიწადი. შინაომებით იღუპებოდა მესხთა ჭკვე-
 ყანა, რომელსაც 1500 წლიდან 1578 წლამდე უკვე განე-
 ცადა „უცხო თესლო“ ცამეტი დამანგრეველი შემოსევა —
 რვა ოურჭთაგან, ხუთი ირანელთაგან.

ჭაყელთა სახლმა მაინც გაიმარჯვა.

ჩი ლ დ ი რ ი

იანი წელს მოკვდა შამთაში და ირანის ტახტისათვის
 ატყდა ბრძოლა პოლიტიკურ „დასთა“ შორის, თავთავისი
 პრეტენდენტებით. ბრძოლა გაგრძელდა ერთი წელი და „ქარ-
 თული დასის“ მხარდაჭერით ირანის შამი შეიქნა ნახევრად
 ბრმა მუქამედ ხუდაბენდე, თაშიზის უმცროსი ძე,
 მამა მომავალი შამ-აბასისა.

უფრო ადრე, 1574 წელს, თურქეთის სულთანი შეიქნა
 მურად მესამე, რომელმაც 1578 წელს განაახლა ომი
 ირანთან. განაახლა და სომხარი ძალების მთავარსარდალ-სე-
 რასპერად დანიშნა ფრიად გამოცდილი მხედართმთავარი ლა-
 ლა მუსტაფა ფაშა.

გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოპირდაპირენი ერთმანეთს
 შეხვდნენ ჩი ლ დ ი რ ი ს ველზე, 1578 წლის 9 აგვისტოს.

როგორც ყოველთვის, ირან-თურქეთის ამ ახალ ზოცვა-
 ელეტაშიც უნდა დაღვრილიყო ქართული სისხლი. კერძოდ
 ამჯერად მესხებს უნდა დაედოთ წილი, აღმოსავლეთ მეს-
 ხებს — ირანელთა მხარეზე, დასავლეთ მესხებს — თურქ-
 თა მხარეზე (მაშ, ერთმანეთი უნდა ეელიტათ ქართვე-
 ლებს!)

„ირანის მესხები“ გამოცხადდნენ ბრძოლის ველზე.

„თურქეთის მესხები“ კი ჯერ არსად ჩანდნენ. მათი სარ-
 დალი, მანუჩარ ჭაყელი, მაჰმადიანური სახელით —
 მუსტაფა — ბრძოლად გასვლას აგვიანებდა.

ბრძოლა კი დაიწყო, დიდი ბრძოლა თურქთა და სპარსეთის შორის. დაიწყო სამუადლეოზე და გაგრძელდა დაღაძებამდე. წვიმდა კოკისპირულად. ვერც ზარბაზნებმა და ვერც თოფები და დამბაჩები დააყვესეს. მხოლოდ სიყვარულით სჩებდნენ ერთმანეთს. სჩებდნენ ისე გახელებით და გაღმასებით, რომ „ცაში ანგელოზებიც კი ქება-დიდებას ასხამდნენ გმირებს“.

მანუჩარ-მუსტაფა კი იარაღში ჩამჭდარი ექვსი ათასი მესხის თანხლებით მახლობელი მთის ფერდობზე დამდგარიყო და იქიდან დასცქეროდა ჩილდირის ველზე გახურებულ ხოცვა-ყლეტას. უბეში მას ორი ბართი ედო — თურქისა და სპარსელისა, ორივე თავისკენ იხმობდა თანამებრძოლად და თანამდგომელად. ორივემ კარგად იცოდა ახოვანი მესხის ხელის ძალა. მანუჩარს კი ორივე უპასუხოდ დაეტოვებინა. იგი ოდენ ბრძოლის გათავებას უცდიდა და ვინც გამარჯვებდა, მანუჩარიც გამარჯვებულს ეახლებოდა. ასეთი იყო მისი იმპაჰინდელი „პოლიტიკა“. ხოლო უკეთეს გამარჯვებულს მას არ შეიწყნარებდა და ბრძოლიდან განზე დგომას არ აპატიებდა. მაშინ?.. „მაშინ არის შიშივე ხმალი და რეალის მკლავი მანუჩარისა და არის კიდევ ის, რაიც მარადფამს ყოფილა, არის და იქნება — სიკვდილი“..

დაღამდა. ჩილდირის ხოცვა-ყლეტა გათავდა. თურქებმა გამარჯვეს. ხუთი ათასი სპარსელი და ქართველი („სპარსეთის მესხნი“) დაცემულიყო მკვდარი. იმდენივე სპარსელი და ქართველი ტყვედ მიჰყავდათ თურქ იანიჩარებს.

გათენდა მეორე დღე, 10 აგვისტო. და ძლევამოსილებით აღტაცებულ და გალაღებულ ლალა მუსტაფა ფაშას მოახსენეს — მანუჩარ-მუსტაფა ჯაყელი ხუთასი აზნაურის თანხლებით ჩვენთან შესახვედრად მოეშურებოთ. გაიხარა ლალა ფაშამ. მთელი ბანაკი ზარ-ზეიმით, ზარბაზნების გრიალით, თოფ-დამბაჩების ბათქაბუთქითა და დოღ-დაფდფების დაგადუგით შეახვედრა ქართველებს. თვითონ თურქი სერასქერი დიდის ამბით და პატივით შეეგება ქართველ მთვარს. საგანგებოდ გამზადებული ძვირფასი ხალათი თავის ხელით ჩააცვა მასპინძელმა სტუმარს. მაგრამ რაიმე აღტაცება მაინც არ გაუმკლავებია ქართველს.

„ძალიან მესიამოვნა შენი სტუმრობაო, — უთხრა ლალა

ფაშამ მანუჩარს — თუმცა ესეც უნდა გისაყვედუროს, ჩემ
დაძახილს დროზე რომ არ გამოენათურე და ესოდენ დიდ
ბრძოლას ველარ მოუსწარიო“. მანუჩარმაც ვითომ უწყინებლად
გამოთქვა, რომ ჩილდირის ბრძოლას „ველარ მოუსწარი“.

ფაშას ბრძანებით ბრძოლიდან წამოღებული სპარსული
დროშები და დოლები დაუღაგეს ფეხებთან იანიჩარებმა მან-
უჩარს. არც ამასზე „გაგაყებულა“ მანუჩარი. მხოლოდ ზიზ-
ლნარევი ღიმილით დაჰხედა ირანულ ნადავლს.

„შენ მხოლოდ მაშინ მოხვედი, როცა დაიწმუნდი, რომ
ისლამის თულის ფუნჯებს საბოლოოდ დაჰბერა გამარჯვების
ნიაქმა“, — ისევ თქვა საყვედური ლალა ფაშამ.

ძალიან ვწუხვარო, ისევ თქვა მანუჩარმა, მაგრამ არც სი-
ნანული იგრძნობოდა, არც შეშფოთებდა მის სიტყვაში. მხო-
ლოდ სერასქერის კარვიდან ორას ნაბიჯზე დამანძილებული
მადალი ბორცვისთვის მიეპყრო მზერა მანუჩარს. ამ შუა ბა-
ნაკში რა უნდა იყოს, ან რად უნდა იყოს ეს ხელოვნური
ბორცვიო, ალბათ ზედ ჩირაღდანს თუ აღმართავენო, — და-
ასკვნა ბოლოს.

თითქოს ამას უცდიდაო, მივიდა ლალა ფაშა. მკლავში ხე-
ლი მოჰკიდა და პირდაპირ იმ ბორცვისაკენ წაიყვანა მანუჩა-
რი სწრაფი ნაბიჯით. მივიდნენ და, ის ბორცვი აღამიანთა
თავეებისაგან აღმართული აღმოჩნდა! ტყვე ყიზილბაშთა თა-
ვებისაგან ნაშენი.

მაგრამ კვლავ ვერ ეწია საწადელს თურქი სერასქერი:
ისევ მშვიდი იყო სახე მანუჩარ ჯაყელისა — მშვიდი, აღუშ-
ფოთებელი და ფერუცელელი.

ახლა იმასაც შეხედეო, — უთხრა თურქმა ქართველს და
ხელი ბანაკის ღობის გასწვრივ ჩამოატარა. ესეც მოიხილა
მანუჩარმა: ბანაკის გარშემო მარგილებზე ყიზილბაშთა თა-
ვეები ჩამოეცვათ თურქებს. სულ ექვსი ათასი ყიზილბაშის თა-
ვი არის წარკეცილიო, — საქმიანად დაასკვნა ლალამ და ისევ
მიამტერდა სტუმარს. მაგრამ მაინც გულგრილი და სახეუც-
ლელი იყო მანუჩარი.

ბრაზიანად შემოტრიალდა ლალა ფაშა, ბეგლარბეგებს
მოუხმო და რაღაც ბრძანება ჩაუგდო ყველას ერთად. შერე
მანუჩარს მიუბრუნდა, კარავთან მიიყვანა, ძვირფას ხალხი-
ზე დასვა და თვითონაც მის გვერდით მოიყვია მუხლები.



ატყდა დაფისა და ნალარის ცემა. ისევ წინ წამოიქცნენ ფაშები, ბეგლარბეგები და მირმირანები თავიანთი კარავების წინ მოედინებოდნენ მიწაზე ათრეული სპარსელებითა და დაჩუტული სპარსული დოღეებით. მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ყოველ ოსმალო მეომარს „თავისი კერძი“ ყიზილბაში მოჰყავდა მხარგაყრული, და კარავს რომ მოატანდნენ, თურქი ირანელს ხმალს კისერში სცემდა და ერთერთისგან განკვეთილ თავსა და ტანს განზე ისროდა. ასე გაწევრიტეს ოსმალებმა ყველა სპარსელი ქართველთა თვალწინ. მაგრამ ამ ამაზრზენ სასაყლაოსაც გულგრილი და სახემეუცველი უცქერდა მანუჩარი. სიმშვიდეს არ ჰკარგავდნენ არც დანარჩენი მესხები. ლამის ჭკუიდან შეშლილიყო ქართველთა გულუძვრელობით გაოგნებული ლალა ფაშა.

ბოლოს თითქოს მიხვდა სერასკერო: ამათ, ქართველებს რა ენადღებათ, ჩვენ, ოსმალებმა და ყიზილბაშებმა რომ ერთმანეთი ამოვწყვიტოთო: ენადღებათ კი არა, უემქველად ძალიანაც უხარიათო... ფეხზე წამოიჭრა, თანასარღლებს ანიშნა და კარავში შევიდა. ყველანი შეჰყვნენ. გარეთ ქართველები დარჩნენ.

მანუჩარმა ანიშნა და იარაღი მოისინჯეს მესხებმა — ვინ იცის, რას გვიპირებენ ეს ურჯულოებიო. დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებიათ. გამოვიდა ლალა ფაშა, მანუჩარს მიეახლა და სიცილით უთხრა — ახლა კი მართლა ვიხილავთ სახილველსო. გულმა რეჩხი უყო ქართველთა ბელადს.

ოსმალებმა ბანაყის შუაგულში აუარება შეშა შემოზიდეს და ბორცვ-ბორცვად, კოცონებად დალაგებას შეუდგნენ. შუადღისას საკოცონე ბორცვები მზად იყო.

და იანიჩარებმა ხუთასი მხარგაყრული და სისხლნადენი ადამიანი შემოიყვანეს. ესენი ქართველები იყვნენ, — ქართველები, აღმოსავლეთ მესხეთის შვილები, წინა დღის ბრძოლაში ყიზილბაშთა მხარდამხარ რომ იბრძოდნენ.

მაშ, ქართველები უნდა დასწვან?!
 არც ერთი ყიზილბაში არ დაუწვავთ და ქართველებმა ისეთი რა დააშავეს, რომ მაინცდამაინც ისინი უნდა დასწვან?!

აღმათ, ის დააშავეს, რომ ქართველები ...



უნდა დასწვან იმად, რომ დააშინონ ქართველები.
ხოლო, უნდა დააშინონ იმად, რომ ყველას აშინებენ
ისინი...

მკვდრის ფერი დასდებოდა სახეზე მანუჩარ ჯაყელს.
მკვდრას ფერი ედო მანუჩარის მხლებელ ხუთასივე მესხს.
ხოლო დასაწვავად განწირულ ხუთას მესხს სახეზე ღვთა-
ებრივი სინათლე დასდებოდა.

მიცვიფდნენ ჭალათები და კოცონებზე აიყვანეს ქართვე-
ლები.

ხუთას კერეონად აენთო ხუთასი ქართველი.

ამის შემხედვარე ხუთასი ქართველი ცოცხლად მკვდარი
ძლიეს იდგა ფეხზე...

სატანურმა ხითხითმა გამოაფხიზლა გამშრალი მანუჩარი.
ლალა ფაშა კარავში იხმოხდა „მორჭულებულ“ სტუმარს. მა-
ნუჩარ ჯაყელი წელათრეული შეპყვა კარავში ოსმალთა მთა-
ვარსარდალს.

მთელი ღამე დაობდნენ. მანუჩარი ჭიუტად მოითხოვდა
სრულიად მესხეთი, დასავლეთიც და აღმოსავლეთიც, მე უნ-
და გადმომეცესო და ოსმალეთის მოხარყე-ქვეშევრდომი ვიქ-
ნებოი.

ლალა ფაშას სამცხეში ადგილობრივი ათაბაგი კი არა,
თურქი მოხელე-ფაშა სჭირდებოდა, მაგრამ ჯერ ამის გამოც-
ხადება ვერ გაებედა და მხოლოდ ეს მოითხოვა მანუჩარის-
გან: სამცხე თქვენი ოჯახის წევრებს „სანჯაყებად“ უნდა
გაუნაწილდეს სამართავადო. აწყურის სანჯაყი შენ მოგე-
ცემაო, მანუჩარს, ოლთისის სანჯაყი ყვარყვარეს მიერთვა-
სო (რადგან ოლთისში ყოფილა ყვარყვარე დაბადებული),
დედათქვენს, დედისიმედს, სამ ციხეს მივართმევ სახასოდ,
ხოლო სამცხის დანარჩენი ციხე-ქალაქები პირდაპირ უნდა
ჩაგებარდეს თურქებსო.

შეთანხმდნენ.

„ჯერჯერობით ასე იყოს“, ფიქრობდა თავისთვის ლალა
ფაშა.

„ჯერჯერობით ასე იყოს“, ფიქრობდა თავისთვის მანუ-
ჩარ ჯაყელი.

ლალა ფაშამ სტამბოლს ფაიქი აფრინა და მურად სულ-
თანს მანუჩარ ჯაყელის ქვეშევრდომობის ამბავი აცნობა. ამ-

ნაირი კაცის დამორჩილება მომავალი დიდი ამბების მო-
მასწავებელი უნდა იყოსო, „თავის აზრს“ მოახსენებდა ვე-
ზირი და სერასქერი მეუფე ფადიშაჰს.

იმევე დღეს ლალა ფაშამ ახალი მისართმეველი შიართვა
მანუჩარს: ოსმალეთის სამეფო დროშა, ოსმალური დაფი
და ნალარა, ოქროს უნაგირი, ვერცხლის რახტი, ძვირფასად
გაწყობილი ოსმალური კარავი და რამდენიმე ოქრონემსული
ხალათი. მანუჩარის მხლებლებიც არ დატოვა თურქთა სე-
რასქერმა საპატიო საჩუქრების გარეშე.

11 აგვისტოს ლალა ფაშამ ბანაკი აპყარა, მანუჩარი აი-
ყოლია და მესხეთის სიღრმეში შემოვიდა. მესხმა თავადებმა
უომრად ჩააბარეს მტერს თავიანთი ციხე-ქალაქნი.

თურქთა მხედრობა ტფილისისკენ ეშურებოდა.

როგორც ვიცით, ტფილისში ქართლის მმართველად დაუდ-
ხანი იქდა, ქართველი ხალხის გამყიდველი და ირანის ყურ-
მოჭრილი მონა. ლალა ფაშამ მას წინასწარ წერილი მოსწე-
რა დამორჩილება მოითხოვა. დაუდ-ხანმა წერილი უპასუხოდ
დატოვა, ქალაქი ხანმარს მისცა და თვითონ უგზოუკვლოდ
გადაიკარგა.

დაბრუნება სვიმონ მიფისა

1578 წლის 24 აგვისტოს თურქთა მხედრობა საქართ-
ველოს დამწვარსა და დაცარიელებულ სატახტოში შევიდა.
თურქები დაეუფლნენ გორს, მუხრანს და მთელ ქართლს.
ქართლიდან ისინი, კახელთა თანხლებით, აზერბაიჯანის დასაბ-
ჯრობად და იქიდან ირანელთა გასადევნად გაემართნენ, თურ-
ქებმა და ქართველებმა ზედიზედ აიღეს შაქის, შემახის, ბა-
ქოს, შაბურანის, დარუბანდის, მაპუდაბანდისა და საღღანის
ციხე-ქალაქნი.

ირანის სახელმწიფო კარი არ შეუტრიგდა თავისი „გავ-
ლენის სფეროების“ დაკარგვას ამიერკავკასიაში, განსაკუთრე-
ბით აღმოსავლეთ საქართველოში.

და ირანის სასახლის კარზე მიიჩნიეს, რომ ეგზომ კრი-
ზისული მდგომარეობიდან გამოხსნა შეეძლო მხოლოდ სვი-



მონ მეფეს, რომელიც აქამდე, ათი წლის მანძილზე აღაშენებდა
 ჯერლმულეებში იტანჯებოდა ბოტკილდასხმული.

და გამოუშვეს სვიმონ მეფე საქართველოში თურქეთის
 ნააღმდეგ ომის სახელმძღვანელოდ და სამეთაუროდ. წამო-
 სვლისთანავე ხალხის საყვარელმა გმირმა ფეხზე დააყენა
 ქართლის ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა.

ზედნიშნულ დაამარცხა სვიმონმა თურქული ბანაკები, ორ-
 თვენახევარში ბევრი დიდი და მცირე ციხე წაართვა დამპ-
 ყრობლებს. ამათგან ყველაზე მთავარი ციხენი იყო ლორე
 და გორი, რომელთა დაკარგვა ფრიად საგლოეელი შეიქნა
 თურქეთის სულთნის კარზე. იმავე წელს ტფილისში შეხიზ-
 ნულ თურქულ გარნიზონს შეუკრა გზები და მისასვლელები
 ჩვიმონმა. შემდგომი წლებიც ქართველთა გამარჯვებებით
 წარიმართა.

განრისხებულმა სულთანმა მურად მესამემ ლალა ფაშა
 მთავარსარდლობიდან გადააყენა და მის ნაცვლად სინან
 ფაშა დანიშნა. მაგრამ სვიმონ მეფემ დამანისთან თურქეთის
 ახალი სერასქერიც სასტიკად დაამარცხა. ეს ამბავი მოხდა
 1580 წელს.

(ამ წელს დაიბადა გიორგი სააკაძე).

1582 წელს სულთანმა ახალი ჭარები გამოგზავნა საქარ-
 თველოში, დიარბექირის ბეგლარბეგის, მექმედ ფაშა
 ხადიმის მეთაურობით.

მექმედ ფაშა ქართველი იყო, გამაჰმადიანებული და და-
 საქურისებული. აქედანვე ერქვა ზედნადები სახელი — ხა-
 დიმი, საქურისი. მას სახელი გაეთქვა სიმამაცით, გონგამქ-
 რიასობით, სულთანისადმი ძალღური ერთგულებით. დიარ-
 ბექირის ბეგლარბეგობის შემდეგ იგი იქნება მმართველი ეგ-
 ვიპტისა, რუმელიისა, ბოსნიისა, დამასკოსი, არზრუმისა, რო-
 დოსისა. მიიღწევს ჯერ მესამე ვეზირის, შემდგომ მეორე
 ვეზირის, დიდი ვეზირის მოადგილისა და დიდ-ვეზირობის
 თანამდებობებს...

ჯერჯერობით კი მექმედ ფაშა დიარბექირის ბეგლარბეგი
 იყო და თციათისიანი ოსმალური მხედრობით საქართველო-
 საკენ მოქროდა. მოქროდა და გვერდით მანუჩარ ჯაყელი მოს-
 დედა მესხთა ჯარით.

მუხრანის ველზე მოვიდნენ და დაბანაკდნენ.

მოულოდნელად დაეკათ თავზე სვიმონ მეფე.

სასტიკი ბრძოლა ისევ ქართველთა გამარჯვებით ვათავ-
და. ორმოცი საპალნე ოქროც ნადავლად ჩაუვარდნენ მათსა
გამარჯვებულებს.

დამარცხებული მეჰმედ ფაშა სამცხეს გადავიდა. მუხრანს
განციდლი მწარე მარცხი მას ვინმესთვის უნდა დაებრალე-
ბინა და სულთნის რისხვისაგან როგორმე თავი დაედნია. „ის
ვინმე“ კი მანუჩარ ჭაყელი უნდა ყოფილიყო. მარცხიც მას
უნდა დაბრალებოდა და ვითარცა „მოღალატე“ კიდევაც უნ-
და მოეკლათ...

მანუჩარი, ანუ მუსტაფა (როგორც მას თურქები ეძახდ-
ნენ) თავის კარავში იყო, როცა იანიჩარი მივიდა და მოახ-
სენა, მეჰმედ ფაშა სამხედრო თათბირზე გიწვევსო სისწრა-
ფოდ მანუჩარმა ორმოცდაათი მესხი ვაჟაკი გაიყოლია და
მათი თანხლებით გაემართა მთავარსარდლის კარვისაკენ.
თქვენ შორიასლო დადექით, თუ ვინიცობაა, საჭირო გახდა,
მე დაგიძახებთ და მომეშველეთო, — უთხრა მზღებლებს და
თვითონ მარტოდმარტო და უიარაღოდ შევიდა კარავში.

მეჰმედ ფაშა დამჯდარი დახვდა, ხმალზე ხელჩავლებუ-
ლი. გვერდით მას მეორე ფაშა ედგა, ისიც სახელად მეჰ-
მედი, წარმომავლობით ბოსნიელი. დანარჩენებიც ფეხზე
იდგნენ. ათამდე კაცი იქნებოდა. ყველა იარაღში იჭდა. ყვე-
ლას ხმალის ვადაზე მოეველო ხელი. ინანა მანუჩარმა, უხმ-
ლოდ რომ შემოვიდა იარაღსხმული მგლების ხროვაში.

უეცრად უკნიდან ხმლის სტვენა მოესმა. ელვასავით შე-
მოტრიალდა მანუჩარი, გვერდით გადაქანდა, მარჯვენით ხმა-
ლი გამოჰგლიჯა თურქს, მარცხენით თავიდან ჩალმა ჩამოჰ-
გლიჯა და ისეთი ძალით უჭირა, რომ „თავიდან მუცლამდე
გააპო“ (ამ სიტყვებით ამბობს ამ ამბის მომსწრე იტალიელი
მარტინ ვოდერო). წამსვე ხმალი დააძრო ჭიბამდე შეაგაპო-
ბილს და მეჰმედ ფაშასკენ გაექანა გააფთოებული. წინ გა-
დაექრნენ ხმალშიშველი სარდლები. ხმლები ჩაუჯაფა ხმალ-
დაცვესებით ყველას მანუჩარმა. მეწინავე თურქი მხარილივ
გადასჩება. მომდევნოს, მეჰმედ ბოსნიელს ყური და ლოყა
ჩამოათალა. დანარჩენები გაექცნენ „გარდარეულ გურჯს“,
რომელსაც გასაოცარი ამამაცობის ხელი ვაჟაკობის სახე-
ლოდან გამოეწვდინა“ (!) მეჰმედ ფაშას წამოეწია და გზა გა-



დაუტკრა, ხმალი შემოაგება მეკმედმა, მანუჩარმა დასწრო და შემოჰკრა ხმალი. მუხღზე დაეცა მთავარსარდალი, ისევ შემოესივნენ თურქები ქართველს ახლა გაახსენდა, ისევ და დაეყვირა და დაიღრიალა მანუჩარმა: „ქართველებო!!!“ და ისევ დაერია გაალმასებით ყველა თურქს ერთად. კიდევ ოთხჯერ მიაწვდინა ხმალი მეკმედ ფაშას. ცოცხალმკვდარი დაეცა მეკმედ ფაშა ხადიმი, კაცი ქართველად დაბადებული და „თათრად“ გარდასახული...

მესხები შემოიჭრნენ გრიგალივით და გარს შემოერთვნენ პატრონს. მისი ხმლით დაქცეული სისხლი იკმარეს და კარგიდან გამოიტაცეს...

მიჰქროდა მესხთა მთავარი მესხური ქარით. უხაროდა — ისევ მანუჩარი ერქვა, ყრმობის სახელი, ისევ ქრისტიანი იყო, ისევ ქართველი!

„მე მათ კიდევ ზევრჯერ ვაჩვენებ, რომ მანუჩარ ათაბაგი გახლავართ, ქართველი ათაბაგი, და არა ოსმალო ფაშა, აყროლებული სუნიტების ყმა და მონა-მორჩილი!“

სვიმონ მეფისკენ მიჰქროდა მანუჩარ ათაბაგი, — იქ, სადაც ქართული მამულიშვილობის კერეონი მაინც ენთო მძლავრი სხივცემით...

მალე აზია-ევროპის გზაკვეთილზე ხმა გავარდა: მანუჩარ ათაბაგმა მესხეთი ააჯანყა, თურქეთს განუდგა, ქრისტიანობა და ქართველობა დაიბრუნა, სვიმონ მეფეს ეახლა, მისი ერთგული თანამებრძოლი გახდა. მალე მანუჩარმა ცოლად შეირთო სვიმონ მეფის ასული, ელენე. ქართლი და სამცხე ოსმალეთთან საომრად გაერთიანდნენ.

1583 წელს ქართველებმა თურქთა კირთებისგან დაიხსნეს ტფილისი, მას უკან აიღეს კიდევ მთავარი ციხენი ქართლისა — სამშვილდე, დმანისი.

ხ ა ტ ი ს ს ო ფ ე ლ ი

1584 წელს ქართლში ახალი, ოციათასიანი არმია შემოიჭრა, რეზვან ფაშას სარდლობით. საქართველოს სატახტოსაკენ მომავალ მტერს მეგზურად მოუძღოდა მოლაღატე დაუდ-ხანი.

მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირზე მოვიდნენ და ხატი სსოფელთან დადგნენ ბანაკად.

ალგეთის მარცხენა ნაპირზე სვიმონ მეფე შეეგულა ველთა ჯარით...

„მზე ჯერ კიდევ არ ჩასულიყო, როცა რეზუან ფაშას მოახსენეს, სვიმონ მეფის მოციქული გეაბლათ და თქვენთან შეხვედრას ითხოვსო.“

შემოიყვანეთო, ბრძანა ფაშამ მცირე ფიქრის შემდგომ.

შემოვიდა „სვიმონ მეფის მოციქული“. მაღალი კაცი იყო, ზმელ-ზმელი, მხარბეჭიანი, სათნო-სახოვანი და ხშირწვეროსანი. ფაშას ზრდილად თავი დაუკრა, სამოციქულო არგანს ორივე ხელით დგებჯინა და პირდაპირ თქვა, წყნარი, დამაჯერებელი ხმით: „თქვენც კარგად უწყით, თუ ჩვენ, ქართველებს რაოდენნი ჭირნი, პურობილებანი, ტყვეობანი და სისხლისთხევანი წაგვიღებია ყიზილბაშთათვის და ყიზილბაშთა მიზეზით. ხოლო, რაც თქვენთან, ოსმალებთან გვიბრძოლია, ესეც ჩვენის ნებით კი არა, სულ ყიზილბაშთა მძლავრებით გვიბრძოლია. ახლა ამას ბრძანებს სვიმონ მეფე: მეყოფა ამდენი ხმლის ქნევა და ომი ყაენის გულისათვისო; რაღა გამოვიდა — თუ უბატონოდ ვერ გავძლებთ, უკეთესი ბატონი უნდა ვარჩიოთ უარეს ბატონსო. ჩვენ დავრწმუნდით, ქართველებსთვის ოსმალთა ხვანთქარი სჯობსო ყიზილბაშთა ყაენს; ამიტომ არღარა მნებაესო მონება ყიზილბაშთა და აღმირჩევია მორჩილება ხვანთქარისა. ჩვენ გვეკონია, თქვენთვისაც ასე სჯობს და ჩვენთვისაც, და აწ, უკეთუ თქვენცა გნებაეთ, შევრიგდეთ და ვიყვნეთ მშვიდობით, და აუწყეთ ხვანთქარსა მორჩილება ჩვენი, და ამიერითგან ვიქმნებით მორჩილ ბრძანებისა მისისა“, — დაასრულა „სვიმონის ელჩმა“.

კარგა ხანს უცქირა რეზუან ფაშამ სტუმარს, და ბოლოს, რაკი ქართველის კეთილ თვალეზში ვერაგობისა ვერაფერი ამოიკითხა, თქვა დაბეჯითებით: „მოახსენეო სვიმონ მეფეს, ძალიან გვიხარია, ასე კეთილად რომ განგებრაბავთ-თქო. ჩვენც სარწმუნოდ გვიჩანს სიტყვა მისი. აწვე გავრიგდეთ, მოვილაპარაკოთ და ამიერითგან იყოს მშვიდობა და ერთობა ჩვენ შორის“.

ქართველმა გულმოდგინედ მოისმინა თურქი სარდლის



ნათქვამი. ყოველივეს ჩემს მეფეს მოვახსენებო, თქვა, მთავარ
 ლად თავი დაუკრა და წამოსასულელად მოემზადა. ფაშამ კარგული
 მოაცილა „საპატიო ელჩი“. მთელი ბანაკი ერთად შეეჯახა
 არეს. თურქს აზრადაც არ დაუკრავს, — რატომ იმძიმებდა
 ფეხს ქართველი და რატომ არ ჩქარობდა მზის ჩასვლამდე
 დაეტოვებინა ბანაკი.

ფიქრადაც არავის გაუვლია, რომ ეს „სვიმონ მეფის ელ-
 ჩი“ თვითონ სვიმონ მეფე იყო!

დაზვერვა დამთავრდა.

ახლა ბრძოლის ველს იხატავდა გონებაში სვიმონ მეფე...
 მაგრამ ეს კი აღარ შეუტყვეია სვიმონს: ნაშუალამევეს რეზ-
 ვან ფაშას ბანაკს კიდევ ათი ათასი მეომარი შეემატა. სულ
 ოცდაათი ათასი მეომარი ჰყავდა ახლა რეზვან ფაშას. სვი-
 მონ მეფის „ჩანახატში“ კი მხოლოდ ოცი ათასი თურქი იყო
 მონიშნული.

მაშ, 4000 — წინააღმდეგ 30000-ისა!..

(თუმცა ახალი არაფერი ხდებოდა ქართველთა საომარი
 ბედის სასწორზე)...

...ხატისსოფელს მალალი გორა ადგას სამხრეთის მხრი-
 დან.

სვიმონ მეფემ ღამით ქარი აღგეთზე გადაიყვანა, სოფელს
 შემოუარა და იმ გორას თხემზე მოექცა.

დილა-ბნელზე ქართველები უეცრად დაეცნენ თავზე
 მტრის ბანაკს. ბევრი ოსმალო მანამ გაათავეს, სანამ ძილის
 ბურანიდან გამოერკვეოდა. დიდბანს ვერ აღადგინა საომარი
 წესრიგი რეზვან ფაშამ პანიკით მოცულ ბანაკში. ქართვე-
 ლები დაჰქროდნენ და სჩეხდნენ გაალმასებით. ჩქარობდნენ,
 რათა სანამ მტერი გონს მოვიდოდა, როგორმე მანამ შეემ-
 ცირებინათ მისი რიცხოვრები სიჭარბე. რეზვან ფაშამ მაინც
 დააწყო ათასეულები საშინელი კაცთაველის ხაზს უკან. და-
 აწყო და შემოუტია გააფთრებით. მაგრამ ბრძოლის ყველა
 უბანი უკვე მტკიცედ ჩაეჭირათ ხელში ქართველებს. სცემდ-
 ნენ უწყალოდ „ბირითა მახვილისათა“. გადაიშუადლა ოსმალ-
 თა ურდომ ერბაშად პირი აიქცია და გაიქცა. გამოედევნენ
 ქართველები. მზის ჩაწურვამდე სდიეს და სჩეხეს.

მობრუნდა სვიმონ მეფე ნაომარი ველის საბილველად.

მრავალი თურქი დამპყრობელი დარეცილყო. მრავალი ტყვე და ნადავლი ჩავარდნოდით ხელში ქართველებს. კაროენული ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე ბრძოლა გადმოვიდა ჩვენსა და მეფემ ძლევამოსილად.

დასასრული სვიმონ მეფისა

1587 წელს ირანის ტახტზე ავიდა სახელოვანი შაჰ აბასი, რომელმაც ხელმწიფობა აღმოსავლეთ ოზბეგების წინააღმდეგ ლაშქრობით დაიწყო. ამ ლაშქრობაში მას გვერდით, „მარჯვენა ხელად“ ჰყავდა მესხი თვალშეწონიერი, მანუჩარ ათაბაგის უმცროსი ძმა. სამჯერ შეებნენ ყიზილბაშები ოზბეგებს და სამჯერვე, შაჰის ბრძანებით, თვალშეწონიერი უძლოდა ჯარებს. „სამჯერვე გაემარჯვა“ თვალშეწონიერს, ოზბეგები „კიდევ დახოცნა, ხელითაც დაიჭირნა და ყაენს მიუსხა“...

ამასობაში სვიმონ მეფემ ქართლიდან თურქები სულ განდევნა, მაგრამ დანარჩენ ფრონტებზე ჯერ ისევ თურქები სჯაბნიდნენ ირანელებს. შაჰ აბასი დარწმუნდა, საჭირო იყო ზავი და, ომის წარმატებით განახლებაამდე, ქვეყნის შინაგანი ძირეული გარდაქმნები და რეფორმები. და დაიღო კიდევ ზავი ირანსა და თურქეთს შორის (1590 წლის 21 მარტი). ამ ზავით საქართველო ირანმა თურქეთს „დაუთმო“. სვიმონ მეფე მარტო შერჩა გამძვინვარებულ თურქეთთან ომს.

მაგრამ მაინც იბრძოდა გმირი ხელმწიფე, იბრძოდა, „ვიღრე პირში სული ედგა“. ერთ ხანს ევროპის „გონზე მოყვანას“ ცდილობდა ქართველი მეფე, წერილებს სწერდა პაპს, „დიდი რომის ოქროს ნაღარას“, კლიმენტი მეორეს და ესპანეთის მეფეს — ფილიპე მეორეს — შეგვარშორდეთ და ერთიანი ძალებით თავი გავუქვეშყოთ ქრისტიანთა მოსისხლე თურქებსო; გავათავისუფლოთ იერუსალიმი და ვიხსნათ ქრისტიანები უსჯულოების ხელთაგანო; ქართველები აქედან შემოვუტყვეთ და თქვენ მანდედან მოაწეკით ოსმალეთსო.

მაგრამ მიწერ-მოწერა მხოლოდ მიწერ-მოწერად დარჩა. ქართლი ისევ მარტო იყო ოსმალური მონარქიის პირისპირ.

უკანასკნელი ბრძოლა 1899 წელს მოხდა, აღვეთის ხე-
ბაში, სოფელ ნახიდურთან. სწორედ აქ, ქართველთა
მცირე ჯარით, სვიმონ მეფე წინ გადაუდგა უცხოელ მტერს.
რილ და ტფილისისაკენ მომავალ თურქთა ურაცხე მხედრო-
ბას. მტრის მეწინავე რიგები ჩაქაფეს და ჩააწვინეს იერიშ-
ზე გადასულმა ქართველებმა, თურქული დროშები დაიხელ-
თეს და დაფხრიწეს, მაგრამ თოფების სეტყვის ქვეშ ხმლე-
ბი დაუმოკლდათ და უკუიქცნენ ქართველები. თავაწყვეტი-
ლი სრბოლის ეამს ერთმა მხედარმა ქართველ მეფეს უკნ-
ლან უნებურად ცხენი დააძგერა და მეფე სვიმონი ცხენი-
ანად დამეწერილ, ლაფით სავსე ხევეში გადაეშვა. ქართველე-
ბი მეწყერში ჩაფლულ მეფეს გარს შემოერთყნენ და მოზვა-
ვებულ მტერს მთლიანად შეაწყდნენ. თვითონ მეფე, მას შემ-
დგომ რაც უკანასკნელი ისარიც შემოთბარჯა, თურქებმა, მა-
თი მთავარსარდლის თხოვნით, ცოცხლად გამოიყვანეს. დატ-
ყვევებულ მეფეს თურქეთისკენ მიმავალ გზაზე მისი გმირი
მეომარების წარკვეთილი თავებით სავსე საპალნეები მიაცი-
ლებდა.

ზეიმობდა ოსმალეთი. დაცემულიყო ამიერკავკასიის ხალ-
ხთა უპირველესი გმირი — დროშა, რწმენა და იმედი. სულ-
თან მეჭმედ მესამეს ბრძანება გაეცა: სამი დღე-ღამე იზვიმოს
ბრწყინვალე პორტამ! სამი დღე-ღამე ოსმალური დროშები
გადმოჰკადეს ყველა ქალაქში.

მერე თვითონ შეხვდა სულთანი სვიმონს, შეხვდა „დიდი
სიამტკბილობით“, ბევრ წყალობას შეჰპირდა, დიდ სიმდი-
რესა და პატივს, მაგრამ ვერ იქნა და „გათათრებაზე“ ვერ
დაითანხმა. არც ქართლის დახარკვასა და ქვეშევრდომობაზე
დათანხმდა ქართველი მეფე.

განრისხებულმა ფადიშაჰმა სვიმონი „შვიდკოშკიან ციხე-
ში“ (იედიყულუ) ჩააგდო.

რა არ სცადა უფლისწულმა გიორგი სვიმონის ტემ მა-
მის დასახსნელად: არ დაზოგა არც სამეფო ხაზინა, არც
პირადი ქონება, არც ეკლესია-მონასტრებისა და წარჩინებულ
მამულიშვილთა შესაწირავნი — ყველაფერი სტამბოლს გაგ-
ზავნა.

შვილებიც მძევლებად მისცა ხონთქარს გიორგიმ. ვერ
უფლისწული დავითი, მერე ასული, უმშვენიერესი გულ-
ჩარა.



მაგრამ ამით გამოდგა ყოველივე: თურქებმა ქრთანი ქრთამად დაიტოვეს, მძევლები მძევლებად, ხოლურს მძევლებად არ იქნა და ტყვეობიდან არ გამოუშვეს. სიგელი

და 1603 წელს საქართველოს მოუტყვედა სვიმონ მეფე. უცხო მიწაზე, უცხო ციხის კურღელში დახუჭა თვალი დიდმა მიმულიშვილმა, ვინაც „ქართლს ხმალი შეარტყა“ — უიღბლო ეპიგონმა ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალისა.

გამეფდა 19 წლისა, ტყვეობაში გაატარა 12 წელიწადი. იმეფა 35 წელიწადი, აღესრულა 66 წლისა.

იყო იმეფამად სტამბოლს გორელი ვაჭარი დიაცვნიშვილი, რომელმაც ჩამოასვენა სვიმონ მეფის ნათშები სტამბოლიდან საქართველოში.

და დაკრძალეს მცხეთას, მისი საფიცარი მამის, ლუარსაბის გვერდით.

იწუნენ ერთად, ორნივე „დიდნი“ — მადლიერი ხალხისაგან მიძღვნილი ტიტულებით, ორნივე ნიშანსვეტნი ეროვნული სიკველისა, რწმენისა და უკვდავებისა...

...მეთექვსმეტე საუკუნემ სისხლიანი ეტლით გადაიარა საქართველოს გულზე. ამ ასწლეულში ქართველებმა გარედან მომხედურ მტერთან ვადაიხადეს 70 ბრძოლა, აქედან — მთიგეს 49, წააგეს 21. ბევრი სისხლი აღინეს გადამთიელებს, მაგრამ არა უმცირესი — ერთმანეთს. ლამის დაიკცა საქართველო. „არღარა იწერებოდა“. არღარა ისმოდა საზღვარგარეთის ქართულ სავეანთაგან. „არღარა შენებულობა“ შენდებოდა.

მაგრამ მაინც კოფობდა ნაპერწკალი ნაციონორეულ ქართულ კერაზე.

ქოზნა-არყოზნა

და მან განგრავნა წიგნი იგი წინაშე ზემოა და იყენეს მას შინა
დაწერილ: „გოდება, გმინვა და ეყება“.

გზეკიელი, 2, 10

„მთავარი ძარღვი“

მეჩვიდმე საუკუნის დამდეგს განსაკუთრებით გაძლიერდა სპარსეთი. მაშინდელი ხელმწიფე ირანისა, სახელოვანი შაჰ აბას პირველი, მის კარზე შემოკრებულ „გათათორებულ“ ქართველთა შემწეობით და მათზე დაყრდნობით განამტკიცებდა ქვეყნის შინაგან, სამხედრო, სამეურნეო, საღმშენებლო და კულტურულ ცხოვრებას.

ისფაჰანში, ირანის მაშინდელ სატახტო ქალაქში, ქართველები უფრო „სჩანდნენ“, ვიდრე სპარსელები. კიდევაც ამბობდნენ ხშირად: ისფაჰანი საქრისტიანო სამეფო ქალაქია, რადგან იქ უფრო ბევრი ქართველი ცხოვრობს, ვიდრე მთელს საქართველოში.

სპარსეთის შაჰის კარი და სპარსული არისტოკრატია ქართველებთან მოყვრობას და სისხლით დანათესაებას მიეღწევოდა. „სპარსეთში, შაჰიდან დაწყებული და უდაბლესი ქვეშევრდომით დამთავრებული, იშვიათად შეგხედებათ ადამიანი, რომელსაც დედა ან მამა ქართველი არ ჰყავდეს; ან უკიდურეს შემთხვევაში, ქართული სისხლი არ ერიოს ძარღვებში“, — წერს ფრანგი ენ-ბატისტ ბავერნიე.

თვითონ შაჰ აბასსაც თავი მოჰქონდა ქართველებთან „ნათესაობით“ და ქართული ენის ცოდნით.



სახელმწიფოს რეფორმატორული საქმიანობის საბაზისად
 შიე შამ ახასმა უახლოესი კაცი, ტომით ქართველი, ვერდი-ხან უნდილაძე ჩააყენა.

ქართველ სამხედრო რეფორმატორს შამმა თანაშემწეებად დაუნიშნა ინგლისელი ძმები — ანტონ და რობერტ შერლები.

უნდილაძემ 30000-იანი მკაცრად გაწვრთნილი არმია შექმნა, 10000 თოფითა და 5000 ზარბაზნის თანხლებით, ცალკე შეიქმნა „ღულამია“, ანუ ყულის, ჯარი — 10000 რჩეული მხედარი. ეს იყო „გვარდია“, ძველი აქემენიდების დროინდელი „უკედავთა“ ჯარის მსგავსად. „ყულის“ ჯარის უფროსიც — ყულარაღასი — ისევ ალავერდი-ხან უნდილაძე იყო (ამიერიდან მთელი 125 წლის მანძილზე სპარსეთის რჩეული ჯარების მთავარსარდალი, „როგორც წესი“, ყოველთვის იქნება ქართველი).

ალავერდი-ხან უნდილაძეს ევროპელი მოგზაურები და დიპლომატები ირანის „ვიცე-კოროლს“ ეძახდნენ. იგი იყო შაჰის პირველი მრჩეველი, პირველი ვაზირი, მთავარი სპასალარი, „კლასიკური ირანის“ — ფარსის ბეგლარბეგი. უნდილაძეს და შემდგომში მის შთამომავლობას ეკუთვნოდა უამრავი ქარავნა, ფუნდუკი და ბაზარი. მას ხელთ ეპყრა საქარავნო და სამხედრო გზები ირანისა და ისფაჰანისა. მართო ფარსის საბეგლარბეგოდან ასი ათასი ეკიუ შემოსდიოდა. უნდილაძე და შემდგომში მისი მონაგარი ირანში აგებდა გზებს, ხიდებს, წყალსადენებს, კანზალებს, ქარავანებს, საფოსტო სადგურებს, მეჩეთებსა და მეღრესებს. დღესაც მოქმედებს ისფაჰანში ალავერდი-ხან უნდილაძის ნაშენები ხიდი. უნდილაძის ცოლმა, ქართველმა ქალმა, საკუთარი ფულადი სახსრებით, ირანის მთები მრავალგან უღელტეხილებით გადასტეხა, გზები გაიყვანა, მდინარეებზე და ხევხუცებზე ხიდები გასდო. დიდი კულტურტრეგერიც იყო უნდილაძე, კულტურულ აღმშენებლობას მიუღწევოდა შეუსვენებლივ. აშენებდა, აჩუქებდა, აქანდაკებდა, ხატავდა. ისფაჰანში ჩეპელ-სუთუნის სასახლის კედლები ბრწყინვალე ფრესკებით მოაბატონა (იქვე ქართული წარწერაც „შეაპარა“ ქართველ-ყოფილმა). ეტანებოდა ირანულ, არაბულ, ბერძნულ და ქართულ მწიგნობრობას. უყვარდა ფირდოუსი, ჰომეროსი,

პლატონი, არისტოტელე და ლოცულობდა შოთა რუსთაველი



„მთელი სპარსეთი მე შემორჩილება, ხოლო ლაძეს ვემორჩილები“, — ამბობდა თვითონ შაჰ აბასი.

საგანგებოდ უნდა მივანიშნოთ, რომ შაჰის გვარდია, ანუ ყულის ჯარი, რომელსაც ყულარაღასად უწოდებდნენ, თითქმის მთლიანად ყრმობიდანვე ტყვედ წაყვანილი და გამაჰმადიანებული ქართველებისაგან შედგებოდა. აქვე, ქართველთა გვერდით, აქა-იქ ირიცხებოდნენ გამაჰმადიანებული სომხები და ჩერქეზები. ამიტომ წერდა სპარსეთში იმგამად მყოფი პიეტრო დე ლავალე, იტალიელი მოგზაური და მეცნიერი: ირანის არმიის მთავარი ძარღვი ქართველთა მხედრობა არისო...

ირანის დედოფლებიც ქართველი ქალები იყვნენ — შაჰ აბასის ოთხი ცოლი — თამარი, დარეჯანი, ელენე და ლტლა.

„სპარსეთში დედა-დედოფალი ყოველთვის ქართველ მეფეთა შთამომავალია“, — წერდა ინგლისელი ჯონ ფრაიერი,

მორღვეული კარიბჭეები

1603 წელს შაჰ აბასმა ომი გამოუცხადა თურქეთს. ირან-თურქეთის ახალი ომი, მცირე შესვენებებით, 1639 წლამდე გაგრძელდა. შაჰი ამ ომით აპირებდა: დაებრუნებინა თურქეთისგან წართმეული ირანული მიწები და ამიერკავკასია მთლიანად — გამორჩევით, საქართველო დაეპყრო ისე მტკიცედ, რომ აღარასდროს მისი დაუფლების იმედი აღარ დარჩენოდას არც მოსისხლე ოსმალეთს და არც „მეგობარ“ რუსეთს.

პირველი ბრძოლა მოხდა 1603 წლის ზაფხულში, სოფელ სუფიანთან, სალმასის ოლქში. თურქები დამარცხდნენ და გაიქცნენ. სპარსელები დაედევნენ და იმავე წლის 16 ნოემბერს გარს შემოადგნენ ერევანს, სადაც ძლიერი თურქული გარნიზონი გამაგრებულიყო.

შაჰ აბასმა ერევნის საიერიშოდ ქართველი მეფეებიც მიიწვია, ქართული ჯარებით — ქართლის მეფე გიორგი მე-

თე (სვიმონის ძე) და კახეთის მეფე ალექსანდრე მკორე (ლევანის ძე). ისინიც ეახლნენ შაჰს, თავიანთ ქართველ შაჰ აბასმა ქართველებში სპარსელებს წინააღმდეგობა იერიში ბრძანა. ქართველებმა სამი დიდი ჯვარი წაიმძღვარეს და გაუძღვნენ იერიშს. პირველი ეკვეთნენ თურქებს, სძლიეს და შეიჭრნენ ქალაქში. მიჰყენენ ირანელნი. ერეფანი თურქებს წაერთვა და სპარსელებს მიერთვა.

შაჰ აბასმა ქართველ მეფეებს „სამადლობელოდ“ ირანში სოფლები და პირადი ხაზინიდან გამაგირი დაუნიშნა. მაგრამ იქვე შაჰმა, ასეთი „წყალობის“ საფასურად, ქართლის მეფეს სამხრეთ სამფლობელოთაგან ლორეს მხარე ჩამოართვა, ხოლო კახეთის მეფეს — აღმოსავლეთი მხარე, კაკენისეღის მიწები. სულ მალე საქართველოს ეს სასაზღვრო, ჩამკეტი კარიბჭენი, ვერაგ შაჰს თურქმანული, მომთაბარული ტომებით უნდა დაესახლებინა, ქართული სამეურნეო და სულიერი ცხოვრება თანდათან მოეშალა და მოესპო...

ქართველი მეფეები შაჰის მზაკრობას აშკარად ხედავდნენ და საკუთარი ქვეყნების თავისუფლების გადარჩენისათვის ბრძოლას განაგრძობდნენ. ალექსანდრე კახთა მეფე შაჰის, მეფე ლევან მეორის საგარეო პოლიტიკის გზას ადგა და რუსეთთან ურთიერთობისა და მასთან კავშირის განმტკიცებით აპირებდა ქვეყნის გადარჩენას.

შაჰი უფრო რადიკალური სისასტიკის გზას დაადგა. გიორგი მეფე მოაწამელინა, ხოლო ალექსანდრეს მკვლელად შვილი მიუგზავნა.

მ ა გ ლ ე ლ ო ბ ა კ ა ხ ე თ ს

ალექსანდრე კახთა მეფეს ხუთი ვაჟიშვილიდან სამი შემორჩენოდა — დავითი, გიორგი და კონსტანტინე.

დავითი და გიორგი თელავის სასახლის კარზე იყვნენ და ტახტის მემკვიდრეობისთვის ექიშვებოდნენ ერთმანეთს, ხოლო კონსტანტინე ყრმობითვე შაჰ აბასს მძევლად წაეყვანა და იქ იზრდებოდა, სპარსეთს, ყრმობითვე გამაჰმადიანებული და უკვე „თათრად“ გაზრდილი.

კახეთის ტახტი დავითმა წაართვა მამასაჲ და ძმასაჲ, მაგ-



რამ დიდხანს ვერ იმეფა და მალე გარდაიცვალა. ჯერ კიდევ
 ლილს დარჩა ქერივი დედოფალი ქეთევანი იერუსალიმის
 წლის ვაჟი თეიმურაზი და ერთიც ასული — ელენე

ტახტი თეიმურაზს ეკუთვნოდა, მაგრამ მეფობა ისევ
 ალექსანდრემ დაიბრუნა და ტახტის მემკვიდრედაც თავისი
 ძე, გიორგი გამოაცხადა.

ხოლო, თეიმურაზს და ელენეს რუსეთის მაშინდელი მე-
 ფის, ბორის გოდუნოვის სახლთან დასამოყვარებლად ამზა-
 დებდნენ კახელები, მაგრამ ისევ შაჰ აბასმა დაასწრო და
 ორივე სპარსეთს წაიყვანა — ელენე — „ერთ-ერთ ცოლად“,
 თეიმურაზი — „შვილად“...

...გამოხდა ეამი.

დაეაყვავებულ იყო „დიდი ბატონიშვილი კონსტანტინე-
 მირზა“ — ასე ეძახდნენ კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს
 სპარსეთის სასახლის კარზე. ახლა კი იგი შაჰ აბასს დაენიშ-
 ნა შირვანის ბეგლარბეგად და ახალ ტიტულებად დაერქმია
 „ხანი“ და „ამირათა ამირა“.

და გამოეგზავნა კახეთში შაჰ აბასს კონსტანტინე-ხანი
 სპარსელი თანამეგობრე სარდლებითა და სპარსული ჯარით. მო-
 დიოდნენ და მოჰქონდათ შაჰის ნაბრძანები: კახეთის მეფის-
 თვის კახთა ჯარი უნდა გამოერთიანოთ, კახთა თანადგომით
 შირვანს უნდა შეუპოლიყვნენ, იქიდან თურქები განედევნათ
 და ეს ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ სპარსეთისთვის დაემ-
 კვიდრებინათ.

ხოლო, ვერაგი შაჰის „უფრო დაწვრილებითი“ ნაბრძანე-
 ბი მხოლოდ კონსტანტინე-ხანის გულს იყო დამარხელი...

შებვედრა მოხდა ძაგეშს, 1605 წლის მარტში.

იმ დღეებში რუსი ელჩების მისაღებად ემზადებოდა ალექ-
 სანდრე. 12 მარტი იყო დიდი რუსებთან შესახვედრად.
 ხოლო, კონსტანტინე 8 მარტს მივიდა „მეგობარ“ სპარსთა
 თანხლებით. სამი დღე გაგრძელდა „ოქახური სიყვარული და
 სიამტკბილობა“. 12 მარტს კი რუსების მოსვლას კონსტანტი-
 ნემ დაასწრო და დილით აღრე შევიდა ალექსანდრესთან,
 ჭიქური ნაბიჯით, იარაღში ჩასილაღებულ. თავზედუარი გამო-
 ხედდა ჰქონდა. იგი უკვე აღარ ჰგავდა „ალექსანდრეს ძვირფას
 შვილს“ და გიორგი ბატონიშვილის „ძვირფას ძმას“. იგი არც
 ერთს არ მიესალმა — არც მამას, არც ძმას.

თანაშემწე სპარსი სარდლებიც შემოკყენენ კონსტანტინეს,
ყველანი სრული აღჭურვილობით დაღესილნი.

უცებ სასახლის მცველი შემოვიდა და აღეცხა გიორგის წაულაპარაკა: ყიზილბაშთა ჯარი შემოვიდა ქალაქში!

აქვე მეფისგან სადარბაზოდ მოწვეულმა სასულიერო და საერო დიდებულებმაც მოუსწრეს.

აწრიალდა კონსტანტინე-ხანი, არაფერი მოხდესო მოულოდნელი, რუსებმაც არ მოშისწრონო და ცივად უთხრა ალექსანდრეს: შირვანს ლაშქრობის თაობაზე მოვედითო სათათბიროდ.

ეს არ ყოფილა მოულოდნელი ალექსანდრესთვის. აქი შაჰ აბასმაც დააბარა ერევნიდან გამოსტუმრების ჟამს — კონსტანტინესთან ერთად შირვანს უნდა ილაშქრო შენის კახელებითო. მაგრამ რაღა მაინცდამაინც ახლა, რუსებთან შეხვედრას დაასწრეს და აიჩემეს შირვანს ლაშქრობა ყიზილბაშებმა და მათმა ბელადმა, გაყიზილბაშებულმა მისმა შვილმა?

და, შირვანს სალაშქროდ ჯერ ვერ მოვიცლიო, თქვა ალექსანდრემ.

ჯერ ვერ მოვიცლიო? — აიწყვიტა კონსტანტინემ.

დარბაზი სიკვდილის სუნთქვამ მოიცვა.

კონსტანტინეს ხმლის ვადა ჩაებლუჯა და შიგ სახეში ჩაპყიოდა მამას: თუ მართლა შაჰის მოღალატე არა ხარ, დაუყოვნებლივ უნდა შეპყარო კახეთის ჯარი შირვანს სალაშქროდო.

ალექსანდრემ კი, ეს მერამდენედ, გაუმეორა „გადარჯულებულ შვილს“: სანამ შირვანისთვის მოვიცლიდე, მანამ სამეფოს შინაური საქმეები მაქვს გასაწყობი და გასამართავიო.

მამინ ფეხი წაუცდა მამისკენ კონსტანტინეს და უცებ გიორგი ბატონიშვილი გადაუდგა წინ.

თითქოს ამას ელოდაო, უცებ კონსტანტინემ „სისხლისმღვრელი მახვილი იშიშვლა შურისძიების ქარქაშიდან“. იშიშვლა, აღმაცერად მოიქნია და შიგ საფეთქელში შემოკრა სრულის ძალით ძმას.

უსულოდ დაეცა გიორგი ბატონიშვილი.



მომეშველეთო!!! — იბღაეღა ალექსანდრემ და შვილისკენ, რომელმაც მას მოუყვლა შვილი!

წამსვე ხმლები გაიძრეს სპარსელებმა და ასანდრე, მეფე კახეთისა.

ქართველ დიდებულებსაც გაეძროთ ხმლები. მაგრამ გვიან და იყო. დარბაზი უკვე გაქედლიყო ყიზილბაშებით. უკვე გრიალებდნენ ხელთოფები და დამბაჩები.

რუსი ელჩები თავისთან იყვნენ, მეფისგან წვევის მოლოდინში, სოლოის ხმა რომ შემოესმათ, ტატოშჩევი მივიარდა კამენევს და უთხრა; ეგონებ, მეფეს რაღაც უბედურება დაატყდა თავს, ახლავე გაიქეც და კონსტანტინე გააფრთხილე, სისხლი არ დაიდვაროსო.

კამენევმა უფროსი დესპანის ბრძანების დასრულებას აღარ დაუცადა და სასწრაფოდ გარეთ გავიარდა.

ყიზილბაშთა ჯარი ქალაქის ქუჩებსა და სახლებს გასეოდა და შეუწყალებლად ხოცავდა დიდსა და პატარას.

ქუჩა გადაირბინა კამენევმა, ყიზილბაშთა ჯგრო გაარღვია და სასახლეში შეიჭრა. შემზარავმა სურათმა გააქეცა იგი:

სისხლში გათხერილი იდგა კონსტანტინე. მის წინ რომელიღაც ყიზილბაშ მხედარს ალექსანდრე მეფის მოკვეთილი თავი ეჭირა, წვერით ჩაბღუჭული. შვილი გველის უძრავი თვალებით მიშტერებოდა მამის ჩამქრალ თვალებს. ფეხებთან ალექსანდრეს უთავო ტანი ეგდო, დასახიჩრებული და დაჩეხილი.

იქვე გიორგი ბატონიშვილი იწვა საფეთქელშელეწილი, მოშორებით ეყარნენ კახელი წარჩინებულნი.

შემზარუნმა ჭახანმა გამოაფხიზლა კამენევი. მოიხედა და რას ხედავს: კონსტანტინეს ხმლის დარტყმით თავი განეკვეთა გიორგისათვის.

და, „თათარმა ძმამ“ თმებში ხელი ჩააეღო და მალა ასწია „ქრისტიანი ძმის“ თავი...

...მამისა და ძმის თავები კონსტანტინემ ირანს წარგზავნა მისი მიწყალობელისა და აღმზრდელის, შამ აბასის „ძვირფას ძღვნად“. ხოლო თავგანკვეთილი ცხედრები ალავერდის ტაძარში დაკრძალეს გაათათრებული უფლისწულის მხეცობით გაოცებულმა და შეძრწუნებულმა კახელებმა.

კახეთის სამეფო ტახტი, სახელმწიფო საგანძურები და

სრა-სასახლენი დაიჭირა მამისა და ძმის მკვლელობა
ტინემ.

კონსტანტინე საზიზლარი ჯალათი იყო სადისტიკო-სის ხელში, თუმცა თვითონ მკვლელი დაფინებით და — შაჰი არაფერ შუაშია, მკვლელობა ჩემის ნებით ჩა-ვიდინეთ.

რუსი ელჩები სასტიკად იყვნენ გაჯავრებულნი კონსტან-ტინეს გაუგონარი მხეცობის გამო. ამას გარდა, მათ იცოდ-ნენ, რომ გასპარსელებული ქართველის ხელით რუსეთის მეგობარი მეფისა და მისი შვილის მოკვლა კახეთში რუსე-თის მარცხსა და სპარსეთის გამარჯვებას მოასწავებდა.

რუსი ელჩები სამშობლოში გაბრუნდნენ...

...ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ყიზილბაში კონსტანტინეს გამეფება კახეთის „გათათრებასა“ და ირანის „თათრულ სა-ხანოდ“ გადაქცევას მოასწავებდა. მაგრამ სულ მალე კონსტანტინეც და შაჰიც დარწმუნდნენ, რომ კახეთის „გა-თათრება“ არც ისე იოლი საქმე იყო. აქაური ხალხი სიკვ-დილს არჩევდა და ქართველობაზე ხელს არ აიღებდა.

მალე კახელებმა ქეთევან დედოფლის მეთაურობით აჯან-ყება მოაწყვეს და კონსტანტინე მოჰკლეს.

შაჰ აბასმა დროებით ისევ დათმობა ამჟობინა და „ორი-ვე საქართველოში“ კვლავ ქართველთა „სასურველი მეფე-ები“ დაამტკიცა: ქართლში — ლუარსაბ მეორე (გიორ-გი მეათის ძე) და კახეთში — თეიმურაზ პირველი (დავითის ძე).

გ ა მ ო ს მ ლ ა გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ი ს ა

1606 წელს საზავო მოლაპარაკება გაიმართა ირანსა და თურქეთს შორის. თურქეთის მხრივ ელჩობას მეთაურობ-და სტამბოლის კარზე დაწინაურებული ქართველი ქალი გულჩარა, გიორგი მეათის ასული. ვულჩარა მშვიდობიანობის მთავარ პირობად სრულიად საქართველოს, „დათმობას“ მოითხოვდა, თურქეთის სულთნის სასარგებლოდ. შაჰ აბასმა არ დათმო და ომი გაგრძელდა.

იმეამად ქართლის მეფის, ლუარსაბ მეორის კარზე და-წინაურდა აზნაური გიორგი სააკაძე, სულით და სხეუ-

ლით მძლავრი პიროვნება, სოფელ ნოსტეში ჩასახლებული ახლად გამდიდრებული და ახლად გამძლავრებული „ახალი ფეოდალი“, ანუ „გათავადებული მდაბიო“, მას მრავალფეროვანი ფელი, უმაღლესი მამული მოუხვეჭია თემის, მანგლის, ცხენის და ალის ხეობებში, ქვემო ქართლში და თვით ტფილისის შემოგარენში, სულ — ორმოცდაათამდე სოფელი. სააკაძე დამოყვარებია ფეოდალთა შორის უმძლავრეს თჯახს — ცოლად შეურთავს ნუგზარ არაგვის ერისთავის მშვენიერი ასული — მარეხი, რომლისგანაც რვა შვილი შესძენია, ხუთი ვაჟი და სამი ასული.

ლუარსაბ მეფეს იგი ტფილისის მოურავად (ქალაქის თავად) დაუნიშნავს.

მოურავი გიორგი სააკაძე, ანუ „დიდი მოურავი“ — ასეთი სახელებით დაივანებს იგი საქართველოს ისტორიაში.

სააკაძის შფოთიან სულში ერთად ბუდობდა დიდი მამულიშვილობაც და დიდი პატივმოყვარეობაც. დიდსულოვანი შემწყნარებლობაც და სულსწრაფი შურისმგებლობაც, ბავშვური გულჩვილობაც და მძვინვარე დაუნდობლობაც.

მტრული თვალით სჭამდნენ თავადები „მათ წრეში“ — „სახეპურო ერში“ გარეულ და სამეფო კარზე აღზევებულ „მდაბიოს“. შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი და ქაიხოსრო ჭავჭავიშვილი გიორგი სააკაძეს ტახტისმამიებელ უჯიშო მედროვედ თვლიდნენ. ამნაირი ვიგინდარა, ამნაირი „ტარაკუტა“, ამნაირი „მეცამეტე გოჭი“, პირადელი აღზევებისა და მოხვეჭისათვის არც ქვეყანას დაინდობს, არც ხალხს და არც მეფესო. სანამ გვიან არ არის, ჩამოიშორე, თორემ ერთხელაც იქნება დაგულუპავს ეს ცბიერი, ვერაგო, მჩურჩნელი (უფრში მოჩურჩულე მამუზლარი) და დაუნდობელი კაციო, — ჩასჩინებდნენ ისინი ლუარსაბ მეფეს...

...1609 წელს ოსმალთა და ყირიმელ თათართა ურდო შემოიჭრა მოულოდნელად საქართველოში. ახალციხე დაერბიათ და ქართლის სიღრმისკენ მოემართებოდნენ ძარცვარბევით. განზრახული ჰქონდათ მოულოდნელად დასცემოდნენ ცხიჩეთის ციხესიმაგრეს, სადაც მაშინ მცირე ამალით იდგა ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე.

სოფელ კველთაში თურქებმა შეიპყრეს ადგილობრივი

მღვდელი თევდორე, რომელსაც უბრძანეს მეგობრობა და
გაძლოლა ცხირეთისაკენ. მღვდელი შეშპარითი გვირგვინი
მოდგა. მან ცხირეთს გვერდი აუქცია და მტერი უკუაღწია
გზით წაიყვანა. როცა შეუტყვეს, თურქებმა თევდორე ხმლე-
ბით ასჩეხეს.

თევდორეს მამულიშვილური თავგანწირვა შეიქნა ცხო-
ველმყოფელური წანამძღვარი გიორგი სააკაძის გმირობისა.
სანამ თევდორე მტერს მტყუანი გზით მიატარებდა და სა-
ნამ ბოლოს მისი კეთილშობილი თავი გვემულ სხეულს გა-
შორდებოდა, მანამ მეფემ და მოურავმა მტრის შემოსევის
ამბავიც შეიტყვეს და საომრად გამზადებაც მოასწრეს.

გიორგიმ სასწრაფოდ შემოიყარა ლაშქარი. ზაზა ცი-
ციშვილმაც და თამაზ მაჩაბელმაც მოუსწრეს და
მტერს მიუხდნენ.

პირველი შეტაკება მოხდა სხერტის ქალაქზე. თემ-
მის ხეობაში ქართველებმა უმაღლე უკუაქციეს რიცხვმრავა-
ლი თურქობა. ზაზა ციციშვილმა პირისპირ შეტაკებაში თურქ-
ფაშას თავი გააგდებინა, თავი იგი წვერით კბილებში დაი-
ჭირა და ორივე ხელით შეჭურვილმა განაგრძო ბრძოლა. სა-
აკაძემ მტრის შუაგული გაარღვია. საბოლოოდ გაექცნენ ბრძო-
ლას თურქნი.

გიორგიმაც შემოაბრუნა ლაშქარი, რადგან სანამ მთავა-
რი ძალები არ მოსვლოდა, საბიფათოდ მიიჩნია ურიცხო
მტრის გამოდევნება.

თურქები მტკვრის ზეობას იუყვნენ, ტაშისკარის ბოლოს
გავიდნენ და ნახევტას მინდორზე დასცეს ბანაკი. სანგრე-
ბი და თხრილები გათხარეს, მიწაყრილები აღმართეს, ტომ-
რები სილით აავსეს და კედლებად დაისადაგეს.

ქართველებიც, ვინც მოსასვლელი იყო, ყველანი შეი-
ყარნენ. ლუარსაბ მეფემ სათათბიროდ დაისვა სარდლები.
ბოლოს, სააკაძის საომარი განაზრახვი მიიღეს და ომის გაძ-
ლოლაც მასვე მიანდეს.

მაშ, 27 ივნისი 1609 წლისა, ტაშისკარი, ნახევტას მინდო-
რი.

ომის ღმერთს საომარი სასწორის ერთ პინაზე 60000 თა-
თარი დაესვა, მეორეზე — 10000 ქართველი.

რიყრაზე ქართველები უცერად დაეცნენ ომის მოლო-



დინით ლამუნათვე თურქებს და თოფები დაუშინეს. დაუშინეს და მაშინვე შიშველი ხმლებით ჩაუხტნენ ნათოფარ ბაგულნი ნაკში. ბრძოლა გახურდა სასტიკი და სისხლდამდინატი. ბრძოლა ხად იბრძოდეს ქართველნი“. სააკაძე ყველაზე სკლად შეკრულ თურქობას „არჩევდა“ და ეტივებოდა ხმლის ცემით. და იბრძოდა დინჯად, „გულმყაფრად“. „გულსრულად“ იბრძოდა ლუარსაბ მეფე, ჭაბუკი „ტანსარო“, „თამამად მიმხდომელი“, ლახტის მცემელი და შუბის მამკერებელი. „მაშინ იქმნა ომი დიდი იქით და აქეთ, და დიდად მოქიჩრეებით და გულსრულად შეიბნენ, — ძველთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებელად საგონებელი იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდნენ“. დიდი სიმამაცით იბრძოდნენ სააკაძის „მოკიდებულნი“ („მიმდევარნი“, „თანამოდასენი“), გლეხნი და წერილაზნაურნი: ლომი ჩრდილელი, პაპუნა ვაშაყაშვილი, როსიტა გედევანიძე, პაპუნა ჩივაძე, თამაზ ქარციძე, მათარსი შიხაიდრიძე, ქვლივიძე, ინაშვილი. სამჯერ გადაემსხვრა შუბი ხელში სააკაძეს. ლახტი მიართვა ლომი ჩრდილელმა. ფერად ფაშას, გათათრებულ ქართველს, თურქთა მთავარსარდალს შეება გიორგი სააკაძე. ხმალი დააგდებინა, ორივე პაპუნა (ჩივაძე და ვაშაყაშვილი) წამოეშველნენ და შეუკრეს ხელ-ფეხი ფერად ფაშას. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით გათავდა. თურქთა უმრავლესობა ჩაწყდა და ჩაირეცა. ვინც სიკვდილს გადაურჩა, „დაშინებელი და დანქრეული“, ტყესა და ღრეს შეეფარა. ბრძოლის შემდგომ სამი დღის მანძილზე „სამოვარზე“ გადიოდნენ ახლომახლო სოფლელნი და იჭერდნენ ტყეებსა და ხეხუტებში მიმალულ თურქებს...

თურქთა განადგურება შაჰ აბასის წისქვილზე ასხამდა წყალს. სწორედ ამიტომ, ამ გამარჯვების „საფასედ“, ლუარსაბ ქართველთა მეფემ დაითანხმა შაჰ აბასი, გაეყვანა სპარსული ციხიონი ტფილისიდან. ამის შესახებ წერს სპარსი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში: „...და მისცა შაჰ-აბასმა ლუარსაბ მეფეს ტფილისის ვილაიეთი, საქართველოს განთქმული ქალაქი, რომლის ციხესიმაგრეს თავი მარჩბივის ვარსკვლავედის თაღამდე ჰქონდა აღმართული... ხოლო ხეხუტეული ლუარსაბი იყო საოცრად მომხიბლავი, მშვენიერი სახისა, მოხდენილი ყმაწვილი. ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა

შაჰს რომ ეახლა. ჭეშმარიტად, ასეთია თითქმის ყველა ქართველი ბატონიშვილი. ის კი არა და, საქართველოს მთელი ხალხი, ყოველი კაცი და ყოველი ქალი, იქაურობის სინაზის გამო, ნატიფ დაწვთა და ლოყათა და სინარჩართ, ნაკეთებისა და ხელების მოხდენილობით, ყველა სხვა ადგილთა და ქვეყანათა ხალხებს სჯობია. ყველანი სამოთხის ბინადარი ქალის, ჰურიას მსგავსნი და იოსებ მშვენიერის დაწვთა მქონენი არიან, მოსეს შტქმფენი ხელის სხივები გამოკრთის მათი სახეებიდან და ქრისტიანული სასწაულად ცხადად ჩანს მათი საოცარი ენატყბილობიდან და საამური ჭკევებიდან, თუმცა საქართველოში ქრისტიანობაა გავრცელებული და ქართველები მოკლებული არიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას (მაჰმადიანობას), მაგრამ თავისი სიმშვენიერით, ჰაგის სიჯანსაღით და მიწა-წყლის უმწიკვლოებით და ნაყოფიერებით, ქვეყნიერების ვერც ერთი მხარე საქართველოს ვერ შეედრება. სწორედ ქართველთა სამშობლოზე შეიძლება ითქვას ეს ლექსი:

„ყოველ წუთში თითო იესო დაიბადება,
ყოველ სახლში იესოს მშობელი მარიამი ჩასახლებულა“...

დაცემა სპაქაძისა

თურქებზე გამარჯვების შემდგომ გიორგი სააკაძე კიდევ უფრო გაელენიანი კაცი შეიქნა ლუარსაბ მეფის კარზე. ბოლოს დამოყვრდნენ კიდევ მეფე და მოურავი: ლუარსაბმა ცოლად შეირთო გიორგის დაი (სახელი არაა ცნობილი).

და, საქორწინო სუფრა ახალი ალაგებული თუ იქნებოდა, რომ ერთბაშად ისევ ერთმანეთის საჯიჯვანად აიშალა და აზვავდა ორი მოსისხლე ბანაკი — შადიმან ბარათაშვილისა და გიორგი სააკაძისა.

სააკაძეს საქართველოს გაერთინება ჰქონდა გულს ამოკრილი და ეს უზარმაზარი მამულიშვილური ოცნება „აზნაურული ვზით“ უნდა შეესრულებინა „წვრილი ერის“ სათაყვანო ვმირს: აზნაურები თავადთა ქვეშევრდომობას უნდა დასხლტომოდნენ და უმა-გლეხების გაყოლიებით ერთიანი სა-

მეფო ხელისუფლების უშუალო სამსახურში შესულთაგან
ასეთი იყო სააკაძის „მოკიდებულ კაცთა“ (სომხურად „
„თანამოდასეთა“) საბრძოლო განაზრახი.

ლუარსაბ მეფის ქორწინება სააკაძის „დასის“ დიდი გა-
მარჯვება იყო.

მაგრამ არ ეძინა შადიმან ბარათაშვილისა და ფარსადან
ციციშვილის თავადურ წრეს. აიშალნენ თავადები, აიშალნენ
ოჯახებით, ცოლ-შვილით, ქალ-რძალით, და შეუტყვეს ლუარ-
საბ მეფეს: ცოცხალის თავით არ შევეურიგდებით უგვარო
დედოფლის მბრძანებლობას და თავზე წამოსკუბებასო. „და
უშეტესად სუფრაჟმან შადიმან ბარათაშვილმან დაუცადებლად
დაუწყო ბეზლობა მოურავსა“.

ნახევარი წელიწადი ლანძღეს და თათხეს მოურავი და მი-
სი ოჯახი. ნახევარი წელიწადი უჩიჩინეს მეფეს — განუ-
ტყვე. „უჭიშო დედოფალი“ და მოქკალი „მოდალატე მოურ-
რავიო“.

ლუარსაბი ერთხანს მაგრობდა, მაგრამ ბოლოს მაინც
„ფეოდალურმა ღიჯინმა“ თავისი გაიტანა და იგი ორივეზე
დათანმდა — ჯერ ცოლი განუტყვეა და მერე ცოლისძმის მოკ-
ვლაზეც დასტური მისცა.

დათქვეს — 1612 წლის მაისში, წაეყისს, მეფის საზაფ-
ხლო სასახლეში უნდა მოეკლათ გიორგი სააკაძე. მეფემ
ვითომ სანადიროდ მიიწვია მოურავი. შეთქმულებიც მოვიდ-
ნენ. მაგრამ შეთქმულთაგან ერთმა, ბაკა ხეხრელი-
ძემ, წინასწარ იღუმალ გაანდო გიორგის, რასაც უპირებდ-
ნენ იმ დამით.

და გიორგი სააკაძემ ბეწვზე გაასწრო სიკვდილს. იგი გაიქ-
ცა ნოსტეს, ოჯახის გადასარჩენად. შეთქმულებიც დაედევ-
ნენ.

(გარედან მოსულ უცხო მტერს არ დაედევნებოან ქართ-
ველები ისე ვახლებით, როგორც შინაურს. უცხო მოსისხ-
ლეს მხოლოდ თუ მოგერიებამდე დაედევნება ქართვე-
ლი, ხოლო შინაურ მოძმეს ძირისძირამდე მოსათხრე-
ლად და მოსაკლავად დაედევნება.)

ოჯახის გატაცება მოასწრო სააკაძემ, ხოლო თავადებმა
მისი დაცარიელებული სახლ-კარი აიკლეს, იავარჰევეს, გა-
დაწვეს.



გიორგიმ, თავის ოჯახთან ერთად, სიმამრიც, ნუგზარ ერისთავი აიყოლია და სპარსეთს გაიქცა.

შაჰ აბასმა სიხარულით მიიღო და დაიხალისა. შაჰი ძალიან ჰყვიათი კაცი იყო და ჰყვიათრადაც უნდა შეეფასებინა ეს უცნაური ამბავი: საქართველომ თავისი ყველაზე ბასრი იარაღი ყველაზე დიდ მოსიხსნე მტერს თავისი ხელით გაუგზავნა...

ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო უ ს ა ა კ ა ძ ი ო ლ

1612 წლის სექტემბერს სტამბოლში ისევ მიუჯდნენ საზავო მაგიდას სპარსეთისა და თურქეთის დიპლომატები.

სამშვიდობო მოლაპარაკებების მთავარი გმირი იყო ისევ ქართველი დიპლომატი ქალი, გულჩარა, რომელმაც „მთელი კონსტანტინოპოლი განაცვიფრა თავისი ჭკუით, სილამაზით, ბრწყინვალეობით და მქვერმეტყველებით“. გულჩარამ საოცრად ძლიერი სიტყვით ჩააჩუმა ოზბეგი ელჩები, რომლებიც ხონთქარს ირანთან ომის გასაგრძელებლად აქეზებდნენ.

ზავი დაიდო. მეტოქეებმა მახვილები ქარქაშებში სანახევროდ ჩააგეს. აღდგენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები: ქართლი, კახეთი, შირვანი და სომხეთი ირანის შაჰის „საკუთრებად“ გამოცხადდა; დასავლეთი საქართველო და მესხეთი, ახალციხის მითვლით, თურქეთის „ქონებად“ დარჩა.

კვლავ ასე გაიყვეს „ცოცხალი დათვი“ სპარსელებმა და ოსმალებმა.

მალე შაჰ აბასმა შეიტყო, რომ ქართლი და კახეთი მის მორჩილებას არ ურიგდებიან და ერთიანი ძალებით აჯანყების დროშაც აღუმართავთ.

1613 წელს, ზამთრის დამდეგს, შაჰ აბასი უზარმაზარი მხედრობით წამოემართა საქართველოსკენ. ყარაბაღს რომ მოვიდა, თეიმურაზ კახთა მეფეს ერთგულების საწინდრად მძევლები მოსთხოვა. თეიმურაზმა ქვეყნის აზბრებას უახლოესი ადამიანების გაცემა ამჯობინა და გაუგზავნა შაჰს, ერთმანეთის მიყოლებით — დედა, ქეთევან დედოფალი, და მცირეწლოვანი ვაჟიშვილი: ლევანი და ალექსანდრე.

შაჰმა ძვირფასი მძევლები მძევლებად დაიტოვა, მაგრამ არ იკმარა და პირადად თეიმურაზის გამოცხადება მოითხოვა. თეიმურაზი არ გამოცხადდა და სახელდახელოდ რაზმით ქართლისაკენ წამოვიდა, ლუარსაბ მეფესთან შესაერთებლად. შაჰ აბასმა ეალეთთან ჯარი შეახვედრა.

თვითონ შაჰ აბასი მოუძღოდა ირანელთა მრავალრიცხოვან მხედრობას, თეიმურაზმა შუბი გაწვართა და ცხენი გულმუარად გააქანა. ხუთასკაციანი ქართველთა ჯარი ეკეთა სპარსულ ათასეულებს. კახელებმა შუბები შეაღწეს მოპირდაპირის სკლად მიჯრილ მწყრივებს და მაშინვე აავდეს ხმალნი. თავგანწირვით იბრძოდა თეიმურაზი, მაგრამ თავისი უნდა გაეტანა რიცხვით სიმრავლეს და თეიმურაზმა ნაბიჯ-ნაბიჯ იწყო უკანდახევა. უკუსვლით იქნევდნენ ხმლებს კახელნი. შაჰმა მოასწრო და მხედრობის ერთი წილით უკანა გზა ჩაუჭრა ქართველებს. თეიმურაზი მისი ჯარით სპარსთა ალყაში აღმოჩნდა. თეიმურაზმა ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და შეუტია სრული თავგანწირვით. გაალმასებით მიჰყვნენ კახელნი, მძლავრი ძაგრებით განკვეთეს და გადაქაღეს ირანელთა შეაკერძი. სამშვიდობოს გააღწია მეფემ თავისი მხედრობით. შაჰ აბასი ლამის გაგიჟდა. თეიმურაზი რომ გაქცა და ვერ მოიხელთა.

თეიმურაზი მივიდა მუხრანს, სადაც მას ელოდა ლუარსაბ მეფე.

მაშინვე გადაწყვიტეს და იმერეთს გაეშურნენ, იქაურ მეფესთან, გიორგი მეცამეტესთან თავშესაფარებლად.

შაჰ აბასმა იმერეთის მეფეს სტუმრების გაცემა მოსთხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო.

1614 წელი უძძიმესი ტრაგედიის წელი შეიქმნა საქართველოს ისტორიაში. მთელი კახეთი აიკლეს, გადაარცვეს, დაანგრეს, გადასწვეს და ამოწყვიტეს ირანელებმა.

80000 კახელი გადაასახლეს იმ წელიწადს ირანში.

პიეტრო დე ლა ვალე სწერდა რომის პაპს ურბანუს მერვეს: „დღეს მთელს სპარსეთში არ მოიძებნება არც ერთი სახლი, რომელიც სავსე არ იყოს ტყვე ქართველებით, მამაკაცებით და დედაკაცებით. სპარსეთში არ არის არც ერთი დიდი კაცი, რომელსაც არ ჰსურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ უმშვენიერესნი არი-

ან ქართველი ქალები...“ დაიქცა და დაიმეხა „ყველაფერი
სასვე, მდიდარი და ხალხმრავალი“ კახთა ქვეყანა.

კახეთის ოახრების შემდგომ შაჰ აბასმა „ვარსკვლავის
ურციხევი ჯარი“ ქართლში გადაიყვანა და გორს მქრდა. სწორედ
სა და სურამის ციხეები გაამაგრა და შიგ სპარსული ციხიო-
ნები შეაყენა. თან ჯარები სასტიკად გააფრთხილა — ქართ-
ლის მოსახლეობის აკლუბა-აწიოკებისაგან თავი შეეკავებინ-
ნათ, ქართლის ყოველ კუთხეში შაჰმა გზირები დაგზავნა და
გამოაცხადებინა, მე თქვენთან სამტროდ კი არა, სამოყვროდ
მოვედიო. ყველა მშვიდად იყოს, ყველა თავის საქმეს ეწიოს,
ქართველთა და სპარსთა შორის მშვიდობიანი მისვლა-მოს-
ვლა სუფევდეს. თუ ლუარსაბი დაბრუნდება, მის ქვეყანას
მასვე მივართმევ, თუ არა და, „მაშინ აქა მყავს მოურავეო,
აქაური ქართველი, და ქართლს სწორედ ამ მოურავეს ვუბო-
ძებ, მე კი ჩემს ქვეყანაში დაებრუნდები...“

გიორგი სააკაძე შაჰ აბასის დაპირებებს მოთმინებით ის-
მენდა, მაგრამ გული ბოღმით უსივდებოდა. იცოდა, ვერაგი
შაჰი ჩვეულებრივ ცრუობდა და ახალ-ახალ ხეანჯებს ხლარ-
თავდა საქართველოს დასამხობად და ამოსაგდებად. მაგრამ
სააკაძე ჯერჯერობით მაინც შერიგებას ურჩევდა ხალხს. მთა-
ვარი ახლა ის იყო, ქართლის მოსახლეობა კახეთის ტრა-
გედიას გადაარჩენდა.

თვითონ გიორგი თავის მამულში მივიდა, ნოსტეში. მი-
ვიდა და დაანთო ცეცხლი კერაზე. მეზობლად ქაიხოსრო
ჯავახიშვილი ცხოვრობდა, სააკაძეების ოჯახის ერთ-ერთი და-
მაქცევიარი. როგორც კი გიორგის მობრუნება შეიტყო, მა-
შინვე ცოლ-შვილიანად აიყარა ქაიხოსრო და იმერეთისკენ
გაქუსლა, სააკაძის შურისძიებით ზარდაცემულმა. გიორგიმ
მაშინვე მსახური დაადევნა და დაარწმუნა — არას გერჩი,
უკან მობრუნდი, ძველი წყენა დაევიწყე და ამიერიდან კე-
თილი მეზობლობით და მეგობრობით ვიცხოვროთო! და მობ-
რუნდა ქაიხოსრო ჯავახიშვილი სააკაძის „დიდსულოვნებიო“
გაოცებული.

ქაიხოსროსთანა ეგოისტებს ნაკლებად ესმოდათ სააკაძის
ფართო მამულიშვილური განაზრახნი. მართალია, გიორგი
სააკაძე ირანში სწორედ იმისთვის გაიქცა, რომ შაჰის მხარ-
დაქერით ქაიხოსროსთანა და შადიმანისთანა ფეოდალები

დაეთრგუნა, მაგრამ გიორგი მალე მიმხედარა თავის დომას — შაჰ აბასი, რომელიც თურმე საქართველოს დრო-ფესვიანად მოთბრას უპირებდა, გიორგის ქართველ-ლებთან ბრძოლაში მოკავშირედ არ გამოადგებოდა. მტრის მტრის: გიორგიმ შეამჩნია, რომ შაჰს ახლა სააკაძის მტრე-ბი უფრო მოსწონდა, ვიდრე თვითონ სააკაძე. ამიტომ დიდი სიფრთხილე მართებდა „რენეგატად“ — გამოცხადებულს. სა-აკაძისთვის ახლა მთავარია ქართველი ხალხის გადაარჩენა და არა მისი პირადი მტრებისადმი სამაგიეროს მიზღვის ფიქრი. მთავარი იყო, ქართველები — თავადნი, აზნაურნი, თუ უაზ-ნონი — ერთმანეთს არ დარეოდნენ და ამით „ყოველი ხარის-ხის“ ქართველისათვის საერთო მტრის, შაჰ აბასის გული არ გაეხარებინათ. მთავარი იყო, შაჰი როგორმე ქართველი კაცის სისხლდაუქცევლად გასულიყო ქართლიდან, ხოლო შემდგომ... შემდგომ სხვა რამ დიდ-დიდნი საზრუნავნი „გა-მოუჩნდება“ დიდ მოურავს...

შაჰ აბასი კი მძიმე საფიქრალს მისცემოდა. არ დაშინდა და არც ერთმა ქართველმა მეფემ მის წინ ქედი არ მოიხარა — არც იმერელმა „ცხიერმა ბაში-აჩუკმა“, არც კახელმა „მო-სისხლე თეიმურაზმა“, არც ქართლელმა „თვითნიერმა ბიკმა ლუარსაბმა“.

არც იმერეთთან ომი გამოდიოდა. ჯერ ერთი, დიდად სამძიმო და სახიფათო იყო ლაშქრობა იმერეთში, სადაც კვი-ლები ამოდ დამტვრეოდა უველა დიდ დამპყრობელს — რო-მაელს, არაბს თუ მონღოლს. მეორეც, იმერეთი ოსმალეთის „გავლენის სფეროდ“ ითვლებოდა და მასთან ომი სტამბოლის კართან ზავის დარღვევის მოასწავებდა. არა და „ირანის ლომს“ არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მარცხს, დამცირება-სა და თავლაფდასხმას.

და ასეთ მწვავე ეპოს ისევ გამოუჩნდა „ბედნიერ შაჰს“ — მოულოდნელი „მხსნელი“. ეს იყო „ბოროტების მსახური, წყველის შვილი, ეშმაკისაგან აღმართული, სატანის კერძი“ — შადიმან ბარათაშვილი, ლუარსაბ მეფის გამზრდელი მამამ-ძუძე და სუფრაჯი, სამეფო სუფრის მოურავი, გიორგი სა-აკაძის დაუძინებელი მტერი.

და მივიდა შადიმანი, და დაემხო შაჰის წინაშე, ენით მოს-ლიქა „ნოხი კეთილშობილებისა“ და შეჰლაღადა: თუ მიბრ-

ძანებ, მე გადმოვიყვან ლუარსაბ მეფეს იმერეთიდან, ვინა
ნათვან შე ერთადერთს, მის გამზრდელსა და მამამძღვეს და-
მიჯერებს ჩემი გაზრდილიო.

და გავზავნა გახარებულმა შაჲ აბასმა შადინაჲს შადინაჲს
ცლი იმერეთს.

და, მართლაც, ჩამოიყვანა იმერეთიდან შადიმანმა ლუარ-
საბი, ჩამოიყვანა და ჩააბარა ირანის მზრძანებელს.

და წაიყვანა შაჲ აბასმა ლუარსაბ ქართლის მეფე ირან-
ში, წაიყვანა და ასტრახადის ციხეში გამოჰკეტა.

ს ი ს ხ ლ ი ა ნ ი ა ლ ა ვ მ რ დ ო ბ ა

დასაეღეთ საქართველოში მყოფ თეიმურაზ პირველს კა-
ხეთთან კავშირი არ გაუწყვეტია. მან ყოველდღე იცოდა, რა
ხდებოდა სატახტო გრემის სასახლეში.

შაჲ აბასს კახეთის მმართველად თეიმურაზის ბიძაშვილი,
ესე გიორგის ძე დაენიშნა, რომელიც სპარსეთს იზრდებოდა
და სპარსეთიდან მოსულს ახალი სახელიც მოეტანა — ისა-
ხან. მაგრამ ისა-ხანს კახელ პატრიოტთა ხელით სიკვდილისა
შეშინებია და სულაც გაქცეულა კახეთიდან სპარსეთს. ისა-
ხანის თანაშემწეებად შაჲს ადგილობრივი თავადები, დავით
ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე დაეტოვებინა და
ახლა, ისა-ხანის გაქცევის შემდეგ, სწორედ ამ ორ თავადს
შემოარჩენოდა ხელში კახეთის შესვეურობა.

1615 წელს ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის, „მსგავსად
ბავშვების ხელით ქვიშაზე აგებული გოჭილა სახლებისა,
დაინგრა და დაიშალა“, და ომი განახლდა.

თეიმურაზმა ირანის დიდი საომარი საზრუნავი თავისთ-
ვის ხელსაყრელად ჩასთვალა და კახეთისკენ შიკრიკები აფ-
რინა. კახელები ისედაც სააჩანყოდ იყვნენ ალესილნი. აჩან-
ყებას დავით ჯანდიერი მეთაურობდა.

15 სექტემბერს, ალავერდობის დღესასწაულზე, ალავერ-
დის გელესიას მიაყენა ხალხი დავით ჯანდიერმა.

ალავერდის ციხე-გალავანში სპარსელთა ციხიონი იდგა.
თვითონ შაჲ აბასისგან ჩაყენებული. ბუნებრივია, ხალხის
წიგ შეშვება დაუშვებელი იქნებოდა. მაგრამ დავით ჯანდი-



ერს სპარსელები კარგად იცნობდნენ და კიდევაც ეწოდებოდნენ, ვითარცა „შაჰის ერთგულ დაუდ-ბეგ გურჯს“.

და ჭანდიერმა ყიზილბაში მეთაურები გამოიხმლ რა: დღეს ქრისტიანთა დღესასწაულია, აღავერდობა, და აქურებს არ შეუძლიათ აღავერდის ტაძარში არ ილოცონ. ამიტომ შეუშვით ხალხი, წირვა-ლოცვა აღაველინონ და ისევ უკან გამობრუნდებიანო; ხოლო თავმდები მე ვიქნები იმისა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად გათავდებოა.

მეციხოვნენი ჭანდიერს ენდნენ და ვალაენის კარი გააღეს.

კახელები შევიდნენ, ტაძრად ილოცეს და ივალობეს, ტაძრიდან გამოვიდნენ და... უცერად დავით ჭანდიერმა, ნოდარ ჭორჭაძემ და თამაზ ვაჩნაძემ ხმლები იძრეს, ყიზილბაშითა მეთაურებს დააძგერეს და ძუძუ-გული შეუწგრეს. სანამ დანარჩენი სპარსელები გონს მოეგებოდნენ, ვალაენში შემოსულ ყოველ კახელს ხმალი გაეძრო და უწყალოდ სჩებდა მისგანვე წინასწარ „ამორჩეულ“ სპარსელს. აღავერდის ეზო ერთბაშად დაირეცა და დაიხერგა ირანელთა გვაგებთ.

მაშინვე თეიმურაზთან აფრინეს კაცი დავით ჭანდიერმა და ნოდარ ჭორჭაძემ: ყიზილბაშითა ციხიონი განადგურებულია, კახეთის აჯანყება დაწყებულია, სასწრაფოდ მობრძანდო, გვიმეფე და გვიმეთაურეო.

სასწრაფოდ წამოემართა თეიმურაზი. მოვიდა და კახეთი აჯანყების ხანძარში დახვდა ვახვეული. ყველა ციხესიმაგრესა და ციხე-ქალაქში გამძვინვარებულ მამულიშვილთა რაზმები უწყალოდ მუსრავდნენ ყიზილბაშურ ციხიონებს.

კახელთა აჯანყების ამბავი რომ შეიტყვეს, მეზობელი შირვანელებიც აღსდგნენ სპარსელებთან საომრად, დელუმელიქის მეთაურობით. და, დელუმელიქმა, — რაკი „თავზე აჯანყების ჩაღმა მოიხვია“ — თეიმურაზს ერთგულების ფიცი შემოთთვალა და თანაც სპარსელებთან ერთობლივი ბრძოლა და მისი მეთაურობა შემოსთავაზა. თეიმურაზსაც რაღა ეთქმოდა სასიამოვნო დასტურის მეტი. კახელები უფრო გულმიცემით უტევდნენ მტერს. სადაც კი თეიმურაზი, დავით ჭანდიერი, ნოდარ ჭორჭაძე და თამაზ ვაჩნაძე გაიეღვებდნენ თავისი რაზმებით, მაშინვე სპარსელები „საყელის ხელში აძლევდნენ ქართველებს“.



კახეთის აჯანყებით გახელებულმა ჰაშაბასმა მარი აარჩია, სარდლად ალი-ყული-ხანი და საქართველოსკენ აფრინა, აფრინა და დააეალა: კახეთის გზები შეჰკარი, თეიმურაზი იმერეთისკენ არ გაგეჰქცეს, თუ ცოცხლად მომგერი, ძალიან გამაზარებ, არა და სიკვდილს შაინც არ დაარჩინო; კახეთი ხელახლა დაიპყარ, ააოხრე და ააწიოკო.

სპარსელებმა ტფილისი ამოიარეს, არაგვზე ამოვიდნენ და წიწამურთან დაიბანაკეს.

თეიმურაზიც წამოსულიყო 5000 კახის თანხლებით.

ბრძოლა შუაგულზე დაიწყო. თეიმურაზი პირველი ეკვეთა მტრის შუაყერძს, სადაც იდგა თვითონ სპარსთა მთავარ-სარდალი. მარჯვნივ და მარცხნივ დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე მოპყებოდნენ თეიმურაზს მძლავრი შეტევით. უკუქცნენ სპარსელები ორივე ფლანგზე. თვითონ ალი-ყული-ხანი ცენტრში მძლავრად დაუხვდა ქართველობას. თეიმურაზს შუბი დაემსხვრა და ხმლით შეუტია მოპირდაპირეს. ფლანგებიდან გაშიშვლებულ ალი-ყული-ხანს გარშემორტყმა ელოდა და უკანდახევა ამჯობინა. ქართველებმა მტრის წინა რიგი აკაფეს და უკვე გასაქცევად აღძრულ მედრე და მესამე რიგს მიეტანენ. ორივე თანაშემწე სარდალი მოტყლეს ალი-ყული-ხანს. ფლანგებთან ერთად უკვე ზურგიც მოშლოდა მის არმიას. უგზოუკვლოდ გარბოდნენ სპარსელნი. მისდევდნენ ქართველნი და სჩეხდნენ გამძვინვარებით. სპარსთაგან ბევრი, ქართველთა ხმლისაგან გაქცეულნი, არაგვსა და მტკვარში ცვივოდა და იძირებოდა. ტფილისისაკენ მიჰქროდა ალი-ყული-ხანი დაფანტული, გაღაბული და გაწყვეტილი ჯარის ნაშთებით. წიწამურისა და არაგვის სანახები სპარსთა გვამებით დატვირთულიყო. მრავალი ირანელი მხარგაკრული მიპყავდათ ქართველებს. დიდძალი ნადავლი, საომარი აღჭურვილობანი, კარები, ცხენები, ჯორები, აქლემები ჩაუფარდათ ხელში გამარჯვებულებს («საშოარი ასრე გაიაფდა, რომ სანახევროთ წამლები არ იშოვებოდა, აქლემი ერთ ამაზად გაისყიდა»).



ველა ის პოპოტემა, რაც ღმერთს უნდა
შაპ აბასმა ქართველთა ქვეყანას, არ ძალგის
მოვიბხროთ, რადგან ეს სიტყვის ძალს აღე-
მატება.

ი რ ა ქ ე ლ თ ა ვ რ ი ზ ე ლ ა

შაპ აბასმა რომ კახთაგან მისი არმიის განადგურების ამ-
ბავი შეიტყო, „დამწველი ცეცხლივით და ზღვასავით აღელ-
და და აქუხდა... მისი მძვინვარების ცეცხლის ყოველი ნაპერ-
წკალი ქვეყნიერების დამწველად მუხი იყო“.

1616 წელი იდგა.

და შაპ აბასს ერთჯერ კიდევ გადაეწვიეტა „საღვთო ომი
ურწმუნო საქართველოსთან“, ქართველთა საცხოვრისის ძირ-
ფესვიანი მოთხრა და მის ნაფუძარზე „ისლამის გამშვენიე-
რება“.

და დაიძრა, „ეითარცა ვეშაპი განძვინებული“. მოდიოდა
და მოსდევდა ლაშქარი, „როგორც ლურჯი ზღვა დგ ზღვასა-
ვით მღელვარე“. მოგორავდა ურდო „მუდამ მდიდარი სა-
ქართველოს“ გასაძარცვავად და მოსათხრელად.

ჩერ ტფილისს მოვიდა შაპ აბასი და ქართლის ახალი გამ-
გებელი მოიყვანა — ბ ა ვ რ ა ტ - ხ ა ნ. (გაეხსენოთ: მეფე
ლუარსაბ პირველის შუათანა ძე, დავითი, სპარსეთში გაქ-
ციული და სპარსთაგან გათათრებული, სპარსული სახელით —
დაუდ-ხან, განაგებდა ერთ ხანზე ქართლს. სწორედ ამ დაუდ-
ხანის შვილი იყო ბავრატ-ხანი, ისიც სპარსეთში გაზრდილი
და „გათათრებული“).

რაკი ქართლის საქმე ასე „იოლად“ მოაგვიარა, შაპ აბას-
მა კახეთის მოსათხრელად მომართა ჯარები. „კახეთი ყოვე-
ლის მხრიდან შუაში უნდა მოვიმწყვდიოთ ნადირივით, მათი
ურჯულო მამაკაცები საღვთო ომის ელვარე ხმლებით მთლია-
ნად ამოველიტოთ, ქალები და ბავშვები ტყვედ წამოვიყვან-
ოთ, საქონელი, ძვირფასეულობანი და ყოველგვარი ქონება
დავლად წამოვიღოთ. განკითხვის დღე დაეწყენოთ კახეთის
გურჯებს, რისხვის ცეცხლით დავსწვათ და აღმოვეხვართ ყო-
ველივე ნეღლი და ხმელი, წავშალოთ კვალი ყოველივე შენე-

ბულისა და ყოველგვ ეტყვი და მატყველი სულდგმულ-
სა, — ბრძანა შაჰმა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და იქმნა, რაც ითქვა.

თეიმურაზმა ისეე გაასწრო იმერეთს.

და „მეორედ მოსვლის“ დღე დაუდგა უპატრონოდ დაგ-
დებულ ქვეყანას. ყოველის მბრძან შემოიჭრნენ მუსლიმან-
თა ათასეულები ცეცხლით და რკინით. უმძიმესი ნგრევის,
ძარცვის, რბევისა და წარტყვევნის ჯოჯობეთში ჩაეშვა კახ-
თა ქვეყანა. უომრად და უსიკვდილოდ არაფერს თმობდა
გმირი კახელი. ყოველი გოჭი მიწისა, ყოველი დიდი თუ
მცირე შენებულობა, ყოველი ხევი და გზა-დვარტნილი მრავ-
ალი სიცოცხლისა და სისხლის საფასურად უჭდებოდა ირან-
ის შლეგიან მბრძანებელს. „რაც კახეთის ქართველობას
ზოცვა-ელეტა, რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა თავს და-
ატყდა, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან დღემდე“, —
წერდა იმ საშინელებათა მომსწრე მემატიანე. იაყარყოფას
ვერ გადაუტრია ვერც ერთი ქალაქი და სოფელი, ვერც ერთი
ციხე და სასახლე, ვერც ერთი ტაძარი და სალოცავი,
ვერც ერთი სახლი და შრამელი. მრავალი სოფელი სამუდამოდ
ამოწყდა და აღიკავა პირისაგან მიწისა. ჩეხდნენ და
თბრიდნენ ვენახებს, ბაღებს. იტაცებდნენ ქართველი ოსტატ-
ის ნაოსტატარ ნივთებს, სამკაულებს, შაჰ აბასის სახაზი-
ნოდ და „ხარკთა აღსამკობელად“. მიერეკებოდნენ ტყვე-
ებს — „ზოლიეხას მსგავს, საოცრად ლამაზ ქალწულებს და
უწყვერულ, იოსებ მშვენიერის ლაწვებიან, ხალგბით დამშვე-
ნებულ ყმაწვილებს“.

ასი ათასი კახელი შეაწყდა მტერს იმ უბოროტეს წელი-
წადს.

ას ორმოცდაათი ათასი ტყვედ გაირეკეს ყიზილბაშებმა.

ქართველი ქალის მოთქმა-გოდება ჰზარავდა სიციხით გა-
თანგულ ირანის ცისგვამს.

სამშობლოწართმეული ქართველი ბავშვის მღუღარე
ცრემლი ადუღებდა ირანის ცხელ მიწას.

მათთვის აღარ არსებობდა სამშობლო კახეთი, სამშობლო
საქართველო.

მათი გულიდან და გონებიდან უნდა ამორეცხილიყო სა-
ლოცავი სიტყვები — „ქართველობა“, „საქართველო“.



მათი „საქართველო“ ამიერიდან იქნებოდა ირანის, სპარსეთის,

მათი „კახეთი“ ამიერიდან იქნებოდა ფერეიდუნის, ჯაროვანის, ზანდარანის, ან ხორასანის, ან ფეროქაბადის...

...შაჰი ახალი გაბრუნებული იყო, რომ ისევ გამოვიდნენ სამალავთა და სახიზართაგან სიკვდილს გადარჩენილი ნაშთნი კახეთისანი. ისევ ააგეს სახლები ნასახლარებზე. ისევ გააღვივეს დევლფი კერიაზე. ისევ ჩააგდეს ფუძე ნაფუძარზე. ისევ აღმართეს ციხე ნაციხარზე. ისევ გაახარეს ვაზი ნახევანახარზე. ისევ დადგეს აყვანი ნააყენარზე.

თეიმურაზი ჯერ არ დაბრუნებულიყო იმერეთიდან. დავით ჭანდიერი და თამაზ ვაჩნაძე ჩასდგომოდნენ სათავეში კახეთის აღორძინებას.

და ისევ დაენთო ცეცხლი აყანყებისა კახეთში.

აყანყების მთავარი კერეონი იყო ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი.

და 1617 წლის აღრიან გაზაფხულზე ისევ შემოესია კახეთს გამძვინვარებული შაჰ აბასი.

ისევ აღგვა პირისაგან მიწისა სოფლებისა და ქალაქებისა. ისევ ნაცრად და ავლად ქცევა. ისევ ქლექა მამაკაცთა, ისევ ტყვეობა და გადასახლება ქართული ოჯახებისა. ისევ თურქმანულ ტომთა ჩამოსახლება ქართულ ოჯახთა ნასახლარებზე.

სულაც „გააუქმა“ კახეთი შაჰ აბასმა. იგი ორავ გაჰყო აღმოსავლეთი ნაწილი განჯის ბეგლარბეგს მისცა „დამატებით სამმართველოდ“, დასავლეთი ნაწილი კი — ქართლის გამგებელს, ბაგრატ-ხანს...

...სულ, 1614—1617 წლების სპარსულმა შემოსევებმა ნახევარი მილიონი ქართველი შეიწირა დახოცილისა თუ ტყვედ წაყვანილის სახით. კახეთში უმრავლესი სოფელი ნასოფლარად იქცა, ქალაქი — ნაქალაქარად, ციხე — ნაციხარად, ვენახი — ნავენახარად, ფუძე — ნაფუძარად. დედამწულიანად აყრილი ქართული ოჯახებით დაასახლა შაჰ აბასმა ირანის პროვინციები: ფერეიდანი, ხორასანი, მაზანდარანი, ფეროქაბადი. ასე ანგარიშობდა „ირანის ლომი“: ურჩი, გაუტყებელი და შეურჩივებელი კახეთი სამუდამოდ უნდა წაშლილიყო დედამიწაზე, ხოლო მის ადგილზე, „უძლეველ ქარ“



თველთა“ ნასახლარებზე, ესახლებოდა შაჰის ერთგული მოქ-
თაბარე თურქმანული ტომები. მეორე მხრივ, ქართველები
მკვიდრი მეურნეობის დიდოსტატნი, ირანის ფეოდალურ-სამეურნეო
კულტურული სამეურნეო ცხოვრებით აყვავებდნენ. ქართ-
ველი კაცის გამრჩე მარჯვენას სპარსეთი უნდა გაემდიდრე-
ბინა და გაემშვენიერებინა. შემდეგ, დასახლებული ქართვე-
ლობა, უშიშარი გულით და უდრეკი მკლავით, ისევ და ისევ
უნდა ყოფილიყო „მთავარი ძარღვი“ ირანის საომარი ძაღვ-
ბისა.

სპარსეთის კარზე

თვითონ ირანში კიდევ „გამოიჩნა“ ერთი მამადიანი
ქართველი — ხოსრო-მირზა, ქართლის მმართველის ბაგ-
რატ-ხანის ნახევარძმა. იგი დავით ლუარსაბის ძეს, ანუ და-
უდ-ხანს ხარჭად წაყვანილი წავეისელი გლეხი ქალისგან შეს-
დენოდა სპარსეთში. იქვე გაიზარდა და ბოლოს, გიორგი სა-
ეკაძის წყალობით, ეს ნიჭიერი და მამაყო-ქაბუკი დაწინაურდა
კიდევ შაჰის კარზე. 1618 წელს შაჰ აბასმა ხოსრო-მირზა
დანიშნა სატახტო ქალაქის — ისფაჰანის ტარულად (მორა-
ვად). ამიერიდან საუკუნის გადაჭარბებით (1618—1722) მხო-
ლოდ ქართველნი იქნებიან ირანის სატახტოს უმაღლესი გამ-
გებელნი.

1619 წელს ქართლის მმართველი ბაგრატ-ხანი გარდაიც-
ვალა და შაჰ აბასმა მის ადგილზე მისი შვილი, ირანში და-
ზადებული და გაზრდილი სვიმონ-ხანი გამოგზავნა.

ქართველები არც ერთს, არც ბაგრატს და არც სვიმონს,
კანონიერ მეფეებად არ თვლიდნენ და ისევ დატყვევებული
ლუარსაბ მეფეს მოლოდინში იყვნენ. ეამ-ეამად არც შაჰი-
სადმი ურჩობასა და „გათათრებული გვირგვინოსნების“ წი-
ნაღმდეგ გამოსვლას ერიდებოდნენ. ამას ისიც დაემთხვა,
რომ რუსეთის ელჩმა, ქართველების თხოვნით, შაჰ აბასის
წინაშე ლუარსაბ მეფის გათავისუფლება და ქართლის ტახ-
ტზე დაბრუნება იშუამდგომლა. შაჰი აჩქარდა და მეფე ლუ-
არსაბ მეორე მშვილდის საბელით სამატიმროშივე დააბრ-
ნობინა ქალათებს (1622 წელს).

ასე აღესრულა მეფე ქართლისა ლუარსაბ მეორე, „კაცი

შენიერი და კეკელეცი და სანახავად სატრფიალო
არსად გამოსულა ამისთანა მშვენიერი და შემკობილი
ყოვლისა სამლო-საეკობრიო ზნეობით გათავებულ
უკლები".

გამეფდა 14 წლისა, იმეფა 10 წელიწადი, წამებულის სიკე-
დლით აღესრულა შობითგან 24 წლისა.

გადაეგო უშვილძიროდ. მისი ერთადერთი „ხელმწიფური
უნარი“ სამშობლოსათვის პირადი სიცოცხლის გაწირვა იყო
და კიდევაც პირნათლად აღასრულა თავისი ვალი მშობლიუ-
რი ხალხისა და ქვეყნის გადასარჩენად. ქართულ მიწაში გან-
სეჭნება არ ღირსებია ქართული მიწისათვის თავგანწირულ
კაბუჯ ხელმწიფეს.

ცოტა ადრე შამ აბასმა მძევლად აყვანილი კახელი ბატო-
ნიშვილებიც მოიწინა, თეიმურაზ მეფის ძენი — ალექსანდ-
რე და ლევანი. ორივე დაასატურისებინა ბოროტმა შამმა.
ალექსანდრე მაშინვე მოკვდა. ლევანი ჭკუაზე შეცდა.

ქეთევან დედოფალი ჯერ ისევ ელოდა ბედის განაჩენს...

...იმეფამად ბრანის „ეიციკლოლი“, ალავერდ-ხან უნდილა-
ძე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ შთელი მისი მემკვიდრეობა,
ფარსისა და შირაზის ბეგლარბეგობა შამს მისი ვაჟისთვის,
იმამ-ყული-ხანისთვის დაელოცა. 1622 წელს იმამ ყული-
ხან უნდილაძემ სპარსთა და გურჯთა ჯარებით დაიპყრო
შამი და ორმუზიდან გარეკა პორტუგალიელები. ამიერიდან
გაეხსნა სპარსეთის სამხრეთულ ზღვათა კარიბჭენი. ისფაჰანი
დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა შამისა და პორმუზის გმირს. იწე-
რებოდა ლექსები, პოემები და სიმღერები უნდილაძის სა-
ხოტბოდ და სადიდებლად (ხვენს დრომდე მთატანა „უნდი-
ლაძის თემამ“ სპარსულ ლიტერატურაში. სპარსი პოეტი კად-
რი შამისა და პორმუზის ამბებს და მის მთავარ გმირს,
იმამ-ყული-ხან უნდილაძეს, უძღვნის ორ პოემას — „ჯანგნა-
მა-ი ქიშმ“ და „ფარუნ-ნამე“).

იმ საზეიმო დღეებში კიდევ ორი უნდილაძე დააწინაურა
შამ აბასმა: იმამ-ყულის უმცროსი ძმა, და უდ-ხანი განჯა-
ყარაბაღის ბეგლარბეგად დანიშნა, ხოლო იმამ-ყული-ხანის ძე,
სეფი-ყული-ხანი — ლარის ბეგლარბეგად.

მომღვენო 1623 წელს ყანდაჰარის ასაღებად გაეშერა შამ
აბასი. გიორგი სააკაძე გაიძლოლა აჯანყებულ ქალაქზე საიე-

რიშოდ. სააკაძემ და მისმა ქართულმა გუნდმა აიღეს ვაჟი პარის კარიბჭენი, შეიჭრნენ და შეიყოლიეს სპარსელნი იმავე წელს ბაღდადს მიადგნენ სპარსელნი და სპარსელნი. ისევ გიორგი სააკაძე, მისი ძმა ქაიხოსრო და „სწავნი ქართველნი“ იყვნენ მეჭინავენი. ბაღდადიც აიღეს. მთელი ერაყი და ქურთისტანი დაუმორჩილეს ქართველებმა შამ აბასის ტახტს. ახალი ფურცლები „ჩააყერეს“ ქართველებმა ირანის ისტორიაში.

მაგრამ „გურჯისტანის საკითხი“ მაინც მოუშორებლად აღვა ყელზე „ირანის ლომს“. 1624 წელს მან ისევ მიიღო საიდუმლო დასმენა განჯის ხანისაგან: კახელები ისევ ძლიერდებიან და მრავლდებიან; რაღაც საიდუმლო მიმოსვლაც აქვთ კახელ თავადებს აჭარაში გადახვეწილ თეიმურაზ მეფესთან; დღე-დღეზე ისევ აჭანყება არის მოსალოდნელი.

შამ აბასმა თეიმურაზ მეფის დედა მოიკითხა — ქეთევან დედოფალი.

წ ა მ ე ბ ა ქ ე თ ე ვ ა ნ დ ე დ ო ფ ლ ი ს ა

ქეთევან დედოფალი შირაზში იყო. ათი წელიწადი აღარ ენახა საქართველო. მისი სათაყვანო სამშობლოს მიწაც, ცაყ და წყალიც იმ ერთმუჟკა ქართულ მიწაში ჩაკუმშულიყო, მკერდზე რომ ეკიდა იესო მაცხოვრის ჭვარცმასთან ერთად. დღენიადაც, იმ სურნელით სუნთქავდა, საქართველოდან წამოდებულ ნივთებს და წიგნებს რომ ასდიოდა ისე ცხოვლად და დამათრობლად...

შირაზი იმამ-ყული-ხან უნდილადის სამფლობელო იყო და დიდის პატივით ეპყრობოდა ირანის „ვიცე-კოროლი“ „თანამემაშულე დედოფალს“, მთელს მის სახლურულსა და მსახურეულს. ქეთევან დედოფალი ტყვე კი არა, დიდად საპატიო სტუმარი არის ჩვენიო — ამბობდა უნდილაძე — და თუ მაინცდამაინც ტყვეობაზე დადგება საქმე, ჩვენ თვითონ ვართ ამ საოცარი ქალის ტყვეებიო.

ცალკე სასახლე და წალკოტი მიეჩინა უნდილაძეს დედოფლისათვის. ყველაზე უფრო მაინც ამით გაახარა „მასპინძელმა სტუმარი“: პორბუზიდან წამოდებული ბიბლიოთეკა მთლი-

ანად „სტუმარ დედოფალს“ გაუგზავნა „წიგნის გემო“ უნდა
ლაძემ.

ქეთევანს ოცამდე ქართველი ემსახურებოდა — ქრისტეანობა
კაცი. მათ შორის იყო ერთი, რომელსაც „გიორგი ხუცესი“
ეძახდნენ. იგი იყო დედოფლის კარის მღვდელიც, სახლი-
სუცესიც, სუფრაჯიც, მოურავიც და მებაღეც. იგი განაგებდა
ქეთევან დედოფლის გარშემო შეკრულ „წმინდა ქართულ კო-
ლონიას“, „თათარ-სპარსელთა“ და „გათათრებულ ქართველ-
თა“ ზღვაში. გიორგი ხუცესს დაიბარებდა ხოლმე უნდილა-
ძე, დედოფლისა და მისი „კოლონიის“ ამბავს გამოჰკითხავ-
და, ყოველ საჭირო საგანს, „საზრდელს“ და „მისართმეველს“
შიართმევედა და ისე გაისტუმრებდა. უნდილაძემ ერთხელ გი-
ორგი ხუცესის ხელით ნაშენები ბაღი მოიხილა და ისე მოი-
ხაზლა, მაშინვე ისფაჰანს გაგზავნა და შაჰ აბასის ბაღები გა-
ამართვინა და გაამშვენიერებინა „უცნაურ ხუცესს“...

...და ერთ დღეს შაჰ აბასის ბრძანება მიიღო იმამ-ყული-
ხან უნდილაძემ: დაუყოვნებლივ ჩემის სახელით უბრძანე ქე-
თევან დედოფალს, ქრისტიანობა განაგდოს და მაჰმადიანო-
ბა მიიღოს, ხოლო უკეთუ ჩემი ბრძანება არ აღასრულოს, მა-
შინვე სასტიკი წამებით შეჰყარე სიკვდილსო!

ზარი დაეცა შირაზის ხანს. იცოდა, ქეთევანი სიკვდილს
არჩევდა და არ გათათრდებოდა, ხოლო მისი წამებით მოკე-
ლა თვითონ, ქართველს, არასგზობ არ ესურცებოდა... და პა-
სუხი აკადრა შაჰს უნდილაძემ: ნუ იკადრებ და ნუ აღმარ-
თავ ხელს უმწეო ქალის სიცოცხლეზეო. აზეავდა შაჰ აბასი.
ხელახლა აფრინა ბრძანება უნდილაძესთან: შენ რასაც გიბ-
რძანებ, ის აღასრულე დაუყოვნებლივო.

სხვა გზა აღარ იყო და ეახლა უნდილაძე ქეთევანს. ეახ-
ლა და ეაჯა: ნუ შეეცადები წინაღუდგე მძვინვარე შაჰის ბრძა-
ნებასო, მიიღე მაჰმადიანობა, ამით არაფერი დამავდება, გა-
რეგნულად აღიარე მზოლოდ, ხოლო გულით ისევ ქრისტიანი
იქნებიო.

ქეთევანმა კი მოკლედ, მშვიდად და სიტყვაშეუცვლელად
თქვა თავისი პასუხი: „ჩემო კეთილო ძმაო, მე სხეულის გა-
ღარჩენისთვის არ გავწირავ ჩემს სულს, რასაც ჰქვია ქრის-
ტიანობა და ქართველობა. სხეული მიწაა და დღეს თუ ხვალ
ისედაც მიწად უნდა იქცეს, ხოლო ქრისტეს სჯული და სა-

ქართველო, რომელიც ჩემში დაბადებითვე ჩასახლებულია. უკვდავია, მარადიული და მისი მოკვლა არც შენს ხელში იქნება და არც მის ცრუ ღვთაებას. და ასე გადაწყდა წამება დიადი ქართველი ხოლო „წამების ხელოვნებას“ იცდაერთი საუკუნის „გამოცდილება“ ჰქონდა სპარსეთში...

... შირაზი.

1624 წლის 13 სექტემბერი.

უბერავს ქარი, ცხელი, ხორშაკიანი.

ცეცხლი გიზგიზებს „მედიანზე“.

რკინის მარჩუხები, მასები, შამფურები, ლურსმნით სავსე ქვაბები, ბარები და სპილენძის მიტრა-თავსარქმელი — ვარვარებენ ცეცხლში ჩალაგებულნი.

ხალხით გაკედლია „მედიანი“ — სპარსელნი, ქართველნი, სომეხნი, ზერქეზნი, იტალიელი და პორტუგალიელი კათოლიკე მისიონერნი.

გამოდის ქეთევან დედოფალი.

თეთრი, ქათქათა კაბით შემოსილს, მარჯვნივ და მარცხნივ მოაცილებენ წითელხალათიანი ქალათნი, უკან ორმოცამდე ქართველი ქალი და კაცი მოსდევს. მათ წინ — გიორგი ხუცესი.

ზედ ცეცხლის პირზე შეაყენეს ქალათებმა დედოფალი და მისი ამაღა.

ისუფანიდან საგანგებოდ წარგზავნილი დივანბეგი უახლოვდება ქეთევანს და ერთხელ კიდევ აუწყებს კრძალვით და თითქოს მუდარით: უკეთუ დედოფალი აღიარებს მამამადის რჯულს, შაჰი მას შეირთავს ცოლად და აღავსებს უთვალავი საჩუქრითა და პატივით; ხოლო, უკეთუ უარსა ჰყოფს ხელმწიფის თხოვნას, იგი აღესრულება უსასტიკესი ტანჯა-წამებით!

ქეთევანმა ისევ სრული სიმშვიდით და სიმტკიცით არჩია სიკვდილი ქრისტესთვის და საქართველოსთვის.

მაშინ ჰარით შეაბრუნეს მხლებლებისკენ დედოფალი, რათა ჯერ თავისი თვალთ ეხილა „გათათრება“ მისი ერთგული ადამიანებისა. ჯერ გიორგი ხუცესს დაეძგერნენ ქალათები. გიორგიმ სირცხვილს სიკვდილი არჩია, დაასწრო და ქალათის მახვილს გულით წინმოეგო. დანარჩენებს მიესივნენ

ქალათები და ყველანი სათითაოდ „დაახოჩავეს“ და „დაათარეს“ ქეთევანის მსახურეულნი.

ბოლოს, თვითონ დედოფალს მიაღვინენ და უმარტოვნად რალოდ — სიკვდილისათვის მოემზადეო.

ნება მომეცით სიკვდილის წინ ვილოცოთ და იქვე მდგარი კათოლიკური ეკლესიისკენ ანიშნა ქეთევანმა. უარი ვერც შეუბედეს ყიზილბაშებმა. და პატრი ამბროსიო დონანჯოსი და პატრი გრიგორი ორსინი წარუძღვნენ ეკლესიისაკენ. შევიდა და ილოცა ქეთევან დედოფალი, საქართველო დალოცა, ღვთისმშობელს შეაფედრა „მისი წილხვდომილი ქვეყანა“; მერე, მარიამს და იესოს შესთხოვა წამების ეამს ტკივილთა დათრგუნვის ძალა და განწმენდილი და განმტკიცებული გამოვიდა სამლოცველოდან.

ცეცხლთან მივიდა, დადგა და ანიშნა ქალათებს.

ქალადებმა შაშვებით ცეცხლიდან აღმოახდინეს გავარეარებული მიტრა და თავზე ჩამოაცვეს ქალს, დაცემა ვერ მოასწრო ქეთევანმა — უმაღვე წითლად აბღღვიალებული ლერსმნის „სარეცელი“ დაუგეს და ზედ გულადმა „დარეცეს“ ქალათებმა. თეთრი სუდარა შემოაფხრიწეს. ყვარცმა ააგლიჯეს. საკინძე აუშალეს. ქართული მიწა ჩაფშალეს.

ცეცხლის საგებელზე იწვა დედა საქართველოსი, შიშველ და ყვაველ-ჩაუქრობელ მკერდზე ქართული მიწის ნაშთი მოთფანტოდა.

წითლად მოლაპლაპე ბარი დაუსვენა ქალათმა ძეძეთა შორის.

ქალი არ ტიროდა, არც კვნესოდა. ოღონდ ლოცულობდა მკრთალი ჩურჩულით: „ქრისტე“, „მარიამ“, „საქართველო“.

ქალათმა სისხლისფრად აელვარებული მარწუხი აიტაცა, მარცხენა ძეძუს ჩასკიდა და მოგლიჯა. მერე მარჯვენა ძეძუს მისწვდა და ისიც განაშორა მკერდს. მხურვალე შამფურები აძგერეს ორივე ნაძეძურზე. მერე მთელს ტანზე ცხელი ლერსმნის „საბანი“ დაძხურეს.

„საქართველო!“ — კიდევ აღმოხდა წამებულის ბაგეს.

და დედოფლის შუბლს დაუმიზნა და დასცა ქალათმა ნაცეცხლარი და ნასისხლარი ბარი.

და კიდევ ერთი სიტყვა მოასწრო უკვე სიკვდილის საუფლოში ჩაძირულმა:



„შვილო!“

და არავინ იცის, ვინ გაახსენდა სიკვდილ-სიცოცხლის განსადრეველზე საქართველოს დედას — სვეცამწარე მტრისა წინა მურაზ მეფე, მისი შვილები, თუ თვითონ საქართველო...

...ქეთევან დედოფლის დამწვარი, დასახიჩრებელი და დარღვეული სხეული ქალათებმა დაუსაფლავებლად დააგდეს ცა-სა და მიწის შუა.

ლამით ამბროზიო დონ ანგოსმა და გრიგორი ორსინიმ მოიპარეს წამებული ქალის ცხედარი. საკმევლითა და მურიტ გაეღწათილ ქსოვილში გაახვიეს, ისფაჰანს წაიღეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, ვითარცა ქრისტიანი და ქრისტესათვის წამებული დედოფლის უწმინდესი ნაშთი. ორი წლის შემდგომ კათოლიკე ბერებმა ქეთევანის ნაშთთა ნაწილი მის შვილს, თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანეს საქართველოში, ხოლო ნაწილი ინდოეთში, ქალაქ გოაში წაიღეს და იქ დაკრძალეს, და-გრაასა მონასტერში.

ა ლ ო რ ძ ი ნ ე ბ ა ს ა ა კ ა ძ ი ს ა

შაჰ აბას „გურჯისტანის საკითხი“ უკვე „საბოლოოდ“ გადაწყვიტა. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ყოფნა-არყოფნის „საქმე“ სრული არყოფნით უნდა გათავებულყო. ამიტომ — „გაუქმებულ კახეთში“ რაღაც სასწაულად ხელახლა აღმოცენებული კახელობა ხელიერთობიად გაივლიტოს, ხოლო ქართლი, კახეთის მსგავსად, დედაბუდიანად აიყარონ და სპარსეთში გადასახლდეს!

ყოველივე ამის აღსასრულებლად შაჰი ამზადებს ახალ დიდ მხედრობას, რომელსაც საქართველოსკენ გაუძღვებან სპარსეთის უსაჩინოესი სარდალი ყარჩიხა-ხანი.

ყარჩიხა-ხანს მთავარ მრჩეველად ენიშნება გიორგი სააკაძე, ქართლის მოურავ-ტარულა და ნამდვილი გამგებელი.

მხოლოდ... შაჰი „მაინც“ მძევლად იტოვებს სააკაძის ძეს პაატას...

...1625 წელს სპარსული ურდო ქართლში შემოვიდა და მუხრანის ახლოს, ალაიანის ველზე დაბანაკდა. ყარჩიხა-ხანმა, დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის მომიჯნებით, კახე-



ლები დაიბარა და შეუდგა კიდევ სათითაოდ შათი ამოსაწვეტას. მაგრამ კახელებმა მუხანათობა მაინც დროზე აკვირებულნი ხმლები გაიძრეს, ყიზილბაშთა სალტე გადათქერდნენ და ხარხიშის ვიდობოს გავიდნენ.

სპარსელებმა ადგილი მოინაცვლეს და მარტყოფის ველზე დაიბანაკეს. აქედან უნდა შესდგომოდნენ ისინი ქართლელთა გადასახლებას ირანში.

მაგრამ სპარსელთაგან არავინ იცოდა, რომ საქართველოში მოსვლისთანავე გიორგი სააკაძე ქართველთა აჯანყებას ამზადებდა სპარსელთა ამოსაწვეტად. იგი შეუთანხმდა ჯერ საქართველოს კათალიკოსს, შემდეგ ქართველ თავადობას, განსაკუთრებით თავის ცოლისძმას, ზურაბ არაგვის ერისთავს, და მათთან ერთად იღუმალ შეუდგა ხალხის საომრად გამზადებას. გიორგიმ შემთხვევით, ლოჭინის ხევში ნადირობისას, სპარსეთიდან მომავალი შიკრიკი ჩაიგდო ხელში. შიკრიკს შაჰის წერილი აღმოაჩნდა, ყარჩიხა-ხანისადმი საიდუმლოდ მიწაწერი. წერილში ეწერა: «გიბრძანებ, კახელნი ამოსაწვეტო, ქართლელნი დედაწულიანად აყარო და სპარსეთს მოასხა, ხოლო გიორგი სააკაძე დაუყოვნებლივ მოჰკალ, თავი მოჰკვეთე და გამომიგზავნე!»

საკაძე სწრაფად ამოქმედდა.

აჯანყების დღე დაინიშნა — 25 მარტი 1625 წლისა, დღესასწაული — ხარება.

ყარჩიხა-ხანს საეჭვო არაფერი ჰქონია, რადგან იმ დამით გიორგი სააკაძე სპარსელთა ბანაკიდან არ გასულა, იგი მხოლოდ ოთხი ქართველის — მისი ძე ავთანდილის, თავადი პაატა ხერხეულიძის, თავადი ელია დიასამიძისა და გლეხი პაპუნა ვაშაყაშვილის — თანხლებით „ისვენებდა“ თავის კარავში.

რიყრაყზე ქართველთა ლაშქარი, ზურაბ არაგვის ერისთავის სარდლობით, ანაზღად შემოესია სპარსელთა მძინარე ბანაკს. ქართველთა ხუთეულიც მაშინვე დაერია სპარსელთა მთავარსარდლობას. გიორგი სააკაძემ შუბით განგმირა ყარჩიხა-ხანი. ავთანდილ სააკაძემ ყარჩიხას ვაჟი ასჩეხა, დანარჩენი სარდლებიც ასწვეიტეს ქართველებმა. უმეტაუროდ დარჩენილი სპარსული მხედრობა საშინელმა პანიკამ მოიცვა. 50000 სპარსელისგან მხოლოდ 3000-მა გაასწრო სიკვდილს.

მარტყოფის ძლევა მოსილუბის შემდეგ, გიორგი სააკაძე
სალაშქრო უნაგირიდან აღარ ჩამომხდარა. მაშინვე მიუხედა,
ქალაქში შეიჭრა და ციხეში გამაგრებულ ციხიონს
ციხიონს ალყა შემოარტყა. სვიმონ-ხანმა ძლიერ გაასწრო ქა-
ლაქიდან.

ტფილისიდან გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი კა-
ხეთს გაფრინდნენ და იქ მდგარ სპარსულ ბანაკებს დაერივე-
ნენ. რამდენიმე დღეში კახეთი გაწმენდილ იქნა დამპყრობელ-
თაგან.

კახეთიდან განჯა-ყარაბაღს გაილაშქრეს ქართველებმა, იქა-
ური ყიზილბაშები გაანადგურეს და გარეყეს.

ისევ ქართლს მობრუნდა სააკაძე. მთელი აღმოსავლეთი
საქართველო, ქართლი და კახეთი მის ხელში იყო. ახლა ქვე-
ყანას ერთიანი საჰერმპყრობელი სჭირდებოდა. თვითონ,
სააკაძის „მდაბიური გეარისა“, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა
„კანონიერი მონარქი“, და მან მაშინვე მოუხსმო ქართლ-კახე-
თის ერთიან ტახტზე გონიოში გახიზნულ თეიმურაზ მეფეს.

თეიმურაზი ის იყო რუსეთში წასასვლელად ემზადებოდა,
სააკაძის ელჩებმა რომ ასეთი „ციოთოვლენილი“ ამბავი და
შეთავაზებზე მოართვეს. მაშინვე ქართლ-კახეთისაკენ წამოე-
მართა სიხარულით აღტაცებული. თუმცა სხვა, მალულმა
მოწინებმა ესეც უთხარეს თეიმურაზს: ღმერთი არ გაგიწყ-
რეს და გონიოს ციხიდან ფეხი არ გადგა, თორემ იცოდე, სა-
აკაძე მიგიტყუებს და ცოცხალი ვერ გადაურჩებიო, მაგრამ
მაინც მოდიოდა და ამბობდა: „თუ მართლაც და, უფალს
ჩემი სიკვდილი ნებაგს, დაე აღსრულდეს მისი სურვილი მე
მაინც ბედნიერი ვიქნები, რაკი უკანასკნელად ვაფუღიმებ
მშობლიურ ცას, რომლის ქვეშ მე თვალი ამებილა და გონი
გამეხსნაო“.

და მცხეთაში შეეგებნენ ერთმანეთს თეიმურაზ მეფე და
გიორგი სააკაძე, ორი გმირი, ორნივე სამშობლო საქართვე-
ლოსთვის უმძიმეს ბრძოლებში გაწამებულნი და გათეთრე-
ბულნი.

და სვეტიცხოველში ეკურთხა თეიმურაზი ქართლისა და
კახეთის მეფედ.

აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანდა.

ზეიმობდა ქართველი ხალხი დიდ გამარჯვებას, ზეიმობ-



და გიორგი სააკაძე, მთავარი გმირი ქართველთა ძღვენი
 ლებისა და ყველაზე დიდი მეოცნებე „ყოველი საქართველო“
 გაერთიანებისა.

გიორგი სააკაძე

მაგრამ ჰამ აბასი ჯერ ისევ ცოცხალი იყო. ცოცხალი და
 თავზარდაცემული — მარტყოფის კატასტროფით, უზარმაზარ
 ყიზილბაშური მხედრობის განადგურებით, უპირველესი
 სარდლების ამოწყვეტით და, რაც მთავარია, ქართლ-კახეთის
 გაერთიანებით.

და ცოფით ატანილმა შამ აბასმა გიორგი სააკაძის ვაჟს,
 მძევლად დატოვებულ ჰაატას, თავი გააგდებინა.

შვილის თავი საქართველოში ჩამოუტანეს გიორგი სააკაძეს.
 ტანი ხევში გადაეგდოთ, შამის ბრძანებით. ერთაწმინდას
 ეკლესიაში დაკრძალეს წმინდანი ჭაბუკის თავი. მალე
 ტფილისელმა ვაჭრებმა, ევროპელ მისიონერთა დახმარებით,
 იპოვეს და წამოასვენეს ჰაატას გვამი საქართველოში. როგორც
 იქნა, ელირსა განკვეთილი მარტვილის თავსა და ტანს
 ერთად დაეანება მშობლიურ მიწაში. „ყოველი საქართველო“
 იყო მისი ჭირისუფალი. მისი დევაებრივი სახე სალოცავ ხატად
 დაისვენა მშობელმა ხალხმა.

მ ბ რ ა ბ ღ ა

ხალა და მხარო გასტერი,
 ავლო ნუ შეგვიშინდები,
 სისხლისა ნატალახვესა
 ფეხო, ნუ მოგვიცურდები.

ხ ა ლ ხ ე რ ი

ისევ დგას 1625 წელი. და ისევ მოჰქრის ვებერთელა ურდო
 საქართველოსკენ, საუკეთესო, ანარჩევი მხედრობა სპარსეთისა.
 მოჰქრის ურდო და მოაქვს „მსოფლიო რისხვა“ შამ აბასისა: ან ახლა
 უნდა მოისპოს საქართველო, ან ევრასოდეს!

ურდოს მოუძღვის ის ა-ხ ა ნ ყო რ ჩ ი ბ ა შ ი, სიძე შამ აბასისა.
 თანამემწე სარდლებად დანიშნული არიან: შირვანის

ბეგლარბეგი ყაზახ-ხან ჩერქეზი, ერევნის
ამირგუნე-ხანი („უვითელი ჭიქი“), აზერბაიჯანის
ლარბეგი შაჰბენდე-ხანი და ხოსრო-მ-გუნე-
ველი ბატონიშვილი, ისფაჰანის ტარულა...

იენისის ბოლოს მოვიდნენ „დიდითა მძლავრობითა“ და
დაიბანაყეს ალგეთზე, სოფელ მარაბდასთან.

50000-მდე მეომარს მოითვლის ყიზილბაშთა ბანაკი, და
ჯერ კიდევ არ ჩანს თავის მხედრობით აზერბაიჯანის ბეგ-
ლარ-ბეგი შაჰბენდე-ხანი...

ქართველებიც მოსულან, სულ — 20000 მეომარი.
კოჯრის მთაზე დგანან.

და სხედან თათბირად წინამძღოლნი: თეიმურაზ მეფე,
გიორგი სააკაძე, ზურაბ არაგვის ერისთავი, მისი ძმა დავით
ერისთავი, ქვემო ქართლის სპასპეტი ბარათა ბარათაშვილი,
იასე ქსნის ერისთავი (გიორგი სააკაძის სიძე), თეიმურაზ მუხ-
რან-ბატონი (ესეც სააკაძის სიძე), მისი ძმა ჭაიხოსრო მუხ-
რან-ბატონი, ალათგან ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, და-
ვით ჯანდოერი, მანუჩარ ათაბაგი, და ებისკოპოსნი — მრო-
ველი, ალავერდელი, რუსთველი, ხარჭაშენელი.

თათბირად ისხდნენ, თუმცა ბევრი სათათბირო და საცი-
ლობელი რა უნდა ყოფილიყო, როცა ყველას ერთნაირად
უნდა სცოდნოდა: მცირე ჯარი რიცხვმრავალ მტერს გაშლილ
ველზე არ უნდა ჩაჰყვეს, ხოლო მთაგორიან ადგილებში
ბრძოლის მოგების მეტ შანსებს ინარჩუნებს. გაშლილ ველზე
მრავალრიცხოვანი მცირერიცხოვანს ალყაში მოაქცევენ და
განადგურებს, მთასა და კლდეზე კი ვერ გაიშლება და თა-
ვის სიმრავლესაც სათანადოდ ვერ მოიხმარს. ამასთან, რა-
კი სიცხიანი ამინდები იდგა, ბუნებრივად ისიც უნდა ეფიქ-
რათ, რომ პაპანაქებით გათანგულ მარაბდის ველზე მზის
გულს შეზრდილი ირანელები უფრო ძალმოსილებით იომებ-
დნენ, ვიდრე „უფრო ჩრდილოელი“ ქართველები.

მაშ, ქართველები კოჯორ-ტაბახშელას მთებში უნდა დარ-
ჩენილიყვნენ და აქვე დალოდებოდნენ მტრის შემოტევას.
ეს მოსაზრება წარმოადგინა გიორგი სააკაძემ. განსაკუთრებ-
ებით ქვეითად მოსული ჩენი გლეხკაცობა ვერ გაუძლებს
სიცხიან მინდორზე ირანულ მხედრობასთან რყენასა და ერ-
თიანად დაგველუბებაო, ამბობდა გიორგი. ბაადურ ციცი-



შეიღმაც მაშინვე აეხა მხარი სააკაძეს: „სიცხით ცეცხლ-
მოკიდებულ მიწაზე ქვეითად მბრძოლი გლეხობა, მართლაც, აი-
ამოგვიწყდება, ხოლო — რა ამოსწყდეს გლეხთაგან — სიძინეობა
თველო დამაბუნდესო“, — დაასვენა ციციშვილმა სიტყ-
ვით, რომელმაც სამარადისოდ დაივიანა საქართველოს ისტო-
რიაში.

მაგრამ გიორგი სააკაძე და ბაადურ ციციშვილი მარტო
აღმოჩნდნენ თავიანთი „სალი აზრებით“. ვველა დანარჩენმა
სარდალმა შეტევაზე გადასვლა მოითხოვა — მოშავალ დღეს,
დილით ადრე, მარაბდის ველზე.

ზურაბ ერისთავმა თქვა: გიორგის რჩევა კარგია,
მაგრამ ჩვენ რა ვიცით, რომ მტერი მაინცდამაინც აქეთ, ჩვენ-
ნი საფარისკენ წამოვა და სხვა გზას არ აირჩევსო. ამიტომ
სჭობია დავასწროთ და პირდაპირ დავეცეთ იქ, სადაც ახლა
დგასო.

ბარათა ბარათაშვილმა თქვა: მტრის დაცდა და
ლოდინი ჯარებს დაგვიშლის, ლაშქარი დაგვეფანტება; ისე-
დაც, ყიზილბაშთა მხედრობა ქვემო ქართლის მიწაზე დგას,
საბარათიანოში, აჭაურობას ავერანებს და ამას ჩვენ დიდხანს
ვეღარ მოვითმენთ. ამიტომ ხვალ დილითვე უნდა დავეცეთ
მტერსო.

ძმებმა მუხრან-ბატონებმა თქვეს: დიდხანს
დგომა არც ჩვენ შეგვიძლიაო. ამიტომ თუ დაგიწყიათ ბრძო-
ლა, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენის ლაშქრით ავიყრებით და
სულ გაგეცლებითო! იგივეს ამბობდა იასე ქსნის ერის-
თავი.

კახელმა სარდლებმაც თქვეს: თათრები ბარე-ოჩჯერ გაგ-
ვილახავს და კიდევაც გაელახავთო; ამიტომ ხვალ სისხამზე
დავიწყით, დილა-გრილოზე ვიომოთ და სანამ ასიცხდებოდეს
მანამ მოვრჩეთო.

მანუჩარ ათაბაგმა თქვა: ბრძოლის საბრუნავს ბე-
დისწერა და ღმერთი აბრუნებს; უმეტესწილად მაინც ის იმარ-
ჯებს, რომელიც მოულოდნელ დარტყმას დაასწრებს, ამიტომ
მეც ვამჯობინებ, ხვალ უთენია დავესხათ მტერსო.

ჯარიც საომარი ცეცხლით ანთებულა. გამორჩევით,
ახალგაზრდობა ვეღარ იჭერდა თავს. იარაღს აწვალებდნენ,
„კბილებს იმსხვრევდნენ“ ჯა გაიძახოდნენ: ჩვენ მტრის მოხ-

დომას რად ველოდებით. ან სიმაგრეში ჩასაფრებზე ვის ვაძრ-
რება, თქვენ გაგვიძებნით და მიგვიშვით და, მეფის 
ცაეთ, დაგანახებთ ყიზილბაშთა სისხლისა და ტრეპლსითა
ნასო...

გადაწყდა: მთიდან დაშვება და გამლილ ველზე ბრძო-
ლის გამართვა.

ეს იყო ბირველი შეცდომა.

მერე მთაფარსარდლობის საკითხი დადგა და იგი მიან-
დეს თეიმურაზ მეფეს და არა გიორგი სააკაძეს.

ესეც მეორე შეცდომა...

...თეიმურაზ მეფემ წინასწარ მზვერავი რაზმი გაგზავნა
დავით ქანდიერისა და ალათგან ხერხეული-
ძის მეთაურობით. ორივეს ყიზილბაშებთან ბრძოლაში თი-
თო თვალი დაქარგვოდა, დავითსაც და ალათგანსაც. ქარში
ზოგს ეცილებოდა, ზოგს ეფიქრებოდა მეფის ამნაირი გადაწყ-
ვეტილება — ბრძოლის წინარე ეამს რაღა მაინცდამაინც უთ-
ვალო სარდლები დანიშნა მტრის სათვალთვალოდო...

ღამე მომძლავრდა. უკანმოუბრუნებლად მიგორავდა 30
იენისი 1625 წლისა.

ქართველთა ჯარი ზიარებად იდგა.

ეპისკოპოსნი — მროველი, ალავერდელი, ხატკაშენელი,
რუსთველი — და მრავალი მღვდელი და ბერ-ფიჩოსანი ია-
რალასხმული დამდგარიყო ერისკაც მამულიშვილთა გვერ-
დით.

მეფემ რუსისს ეპისკოპოსს, მროველს, დომენტი აე-
ლი შვილს სთხოვა ზიარება და დალოცვა ჯარისა. მროველ-
მა მეფეს მდაბლად დაუქრა თავი, ჭვარისმტვირთველს ჭვარის
გამოსვენება უბრძანა და თვითონაც წინ წამოვიდა იარაღ-
ასხმული. ყველას ეფუნაურა საომრად შექურცილი სამღვ-
დელოსაგან ზიარება. თეიმურაზმაც იგარძნო „უხერხულობა“
და უთხრა მროველს: „უკეთუ აპირებ აღიღო ხმალი საბრ-
ძოლველად, მაშინ უბრძანე, რამეთუ გვაზიაროს სხვამან სამ-
ღვდელმან, ხოლო უკეთუ ხმალს შემოიხსნი, გვირჩევნია შენ
გვაზიარო“.

მაგრამ მროველმა არც ხმლის დათმობა მოისურვა, არც
ჭვარის და მხურვალედ მიმართა ერსა და ბერსა: „ქართველ-
ნო, შეიღწო და ძმანო! იცოდეთ ყველამ — მე მახვილს ვაძ-

დებ არა ჩემი პირადული წადნიერების საკეთილდღეოდ, არა მედ ჩვენი სამშობლო საქართველოს დასაცავად და მტერთა მისთა სისხლის საღვრელად. ამიტომ ჯერ არს სწორედ შენს წინა ზიარო ქართველი გმირნი და მამულიშვილნი, რამეთუ შათთან ერთად მეც მზადა ვარ დავათხო საკეთილთა სისხლი ქართველობისა და ქრისტიანობის გადასარჩენად!

ილტაცებამ მოიციეა ლაშქარი. მროველმა გვაზიაროსო! — იფრიალა ყველამ.

აზიარა და დალოცა სალაშქროდ შემართული ქართული მხედრობა რუისელმა სულიერმა მამამ. ჯვარი გარდასახა — ჯვარით და ხმლით. ყოველ ქართველს ზიარებად მისცა ქართული პური და ქართული ღვინო, ვითარცა ხორცი და სისხლი სამშობლო საქართველოსი. დალოცა დროშა საქართველოსი, ნაშთ-ნაფლეთი ერთ დროს მძლავრად მქროლავი „გორგასლდანი-დავითიანი-თამარიანისა“.

მედროშე აღმოჩნდა მტრის საზვერავედ წასული ილათგან ხერხეულიძის ძმა.

აღამდარ ხერხეულიძეს კიდევ შვიდი ვაჟაკი უდგა მხარმარჯვნივ. ისინიც მისი ძმები აღმოჩნდნენ. დედისგან ყოფილან დალოცვილნი და შეგონებულნი: საქართველოს დროშა არ დასცეთ მიწაზეო; თუ მეწინავე მედროშე ხერხეულიძე მკვდარი დაეცეს, მომდევნო ძმამ ილტაცოს დროშა, თუ ამა-საც ბედმა უმუხთლოს, მერე მესამემ... და ასე, სანამ უკანასკნელი ხერხეულიძე დაეცემოდესო. ამასობაში მტერიც ამოწყდება და ქართული დროშაც დაუხრელად იფრიალებს ქართული ცის ქვეშ!

მამ, ცხრა ძმა ხერხეულიძე გამოდის მამულისათვის სისხლის საღვრელად.

იქ კიდევ, ცხრა მამაბელი ჩამდგარა ერთიან, ჩაკირულ კედლად.

იქ კიდევ — შვიდი ჩოლოყაშვილი...

...ლამე განზოგადდა. კოჭრის მთებიდან ეშვება ქართველთა მხედრობა. მიდიან „მზიარულად, თამამად“. კახელთა რაზმებში ხუმრობენ ბიჭები: მივალთ, მივდივართ იქ, სადაც მამა ფურები გველოდებიანო. გზაზე ჯანდიერისა და ხერხეულიძის მზვერავეებმა დახოცილი ყიზილბაშები შემოაგებეს. ისა-ხან ყორჩიბაშის მსტოვრები ყოფილან, ქართველთა და-

საზვერავად წამოსულნი. ქართველ მზვერავებს ვადაქრებოდა! ნენ და ზედ შემოაკვდომოდნენ. ჯანდიერი „მუქრებოდა“! სადაცაა გათენდება და ისწრაფეთ, თორემ ჩვენ ვადაქრებოდა! ლოდებით, ისე შევებმებით მტერსო. ფეხი აიჩქარეს. ფე-
დობი ჩაითავეს და ღამეც გაიცრია.

გათენებულიყო 1 იელისი 1625 წლისა.

ღღე — მარაბდის ბრძოლისა.

ღამის გამსკდარიყო მოსარკელი ცა. უკვე ჩანაელებუ-
ლი ცისკრისვარსკვლავი უსაშველო სიციხით და ღულით
ემუქრებოდა საომარ ველს. ამიტომ დროზე, შხის გამძვინვარ-
ებამდე უნდა მოეხდინათ ქართველებს მოსახდენი.

თეიმურაზმა ღამქარი მოუმეველ ყანაში შეიყვანა და მუხ-
ლი ჩააკრეფინა. მტრის ბანაკი გამოიკვეთა მოძალებული სი-
ნათლის ჩქერზე. ხშირ ტყვესაივით ჩაგებებულიყო ყიზილბა-
შური ურდო.

სანგრები გაუთხრიათ სპარსელებს. სანგრებს უყან, მიწა-
ყრილებზე, ზარბაზნები ჩაულაგებიათ. ზარბაზნების შემდგომ
თორმეტი თასი მეთათფე ჩარიგებულიყო, ოთხ „ტერასად“:
პირველი ტერასა — ცალ მუხლზე დაჩოქილნი, მეორე —
ფეხზე მდგარნი, მესამე — ცხენებზე ამხედრებულნი, მეოთ-
ხე — კიდევ მაღლა, აქლემებზე აღმჯდარნი.

თოფიანი ათასეულების სარდლად იდგა ამირგენე-ხანი,
სიმამაცისთვის „სარე ასლანად“ (ყვითელ ჭიქად) წოდებუ-
ლი.

ყიზილბაშური ურდოს შუაგულში რჩეული მხედრობით
ჩამდგარიყო თვითონ მთავარსარდალი, ისა-ხან ყორჩიბაში.

დანარჩენი ქარები ფლანგებზე იდგა ჩატბორილი და ჩა-
გუბებელი.

მარჯვენა ფლანგის სარდლად — ზოსრო-მირზა, მაჰმად-
დიანი ქართველი, ხოლო მემარცხენე სარდლად — ყაზახ-ხან
ჩერქეზი.

არსად ჩანს აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი და
მასი მხედრობა...

თეიმურაზმაც განაღვა ღამქარი საომრად. წინ ცხენოს-
ნები დააყენა, უყან — ქვეითი ქარი (არ ჩანს, რომელ სარ-
დალს რა ადგილი ეჭირა)...

...ომის ღმერთმა აიღო ხელში ბრძოლის სასწორი: ქართ-

ველთა პინაკზე 200000 სპარსელთა პინაკზე, ^{ქვემოთ} 50000...

...შეტევა ქართველებმა დაიწვეს, სათოფე ნელი, წყობილი ნაბიჯით იარეს, სათოფეზე ფარ-მუბი გაი-
მართეს და ცხენები გააქენეს.

თორმეტი ათასი სპარსელი თოფისა და ზარბაზნის გრილა-
მა შეარყია მიწა და ზეცა; ნათოფარ-ნამეხარმა კვამლმა და-
აბნელა მტერთაშორისი თვალსარბიელი, წუთით შედედდა
ქართველთა იერიში. პირველი სისხლიც ქართული დაქცეუ-
ლიყო მარაბდის ყანებში. წუთში კვამლიც გათხელდა და ისევ
მოსხლიტეს ცხენები ქართველებმა. მძლავრი ყიფინით ეკვეთ-
ნენ და შუბის ძვერებით შეანგრიეს სპარსელთა მეწინავენი.
„და შეიქნა შუბთა ძვერება, ხმალთა და ლახტთა მუხარაღ-
ზედ ხეთქინება“. ქართველთა ძლევამოსილებით დაქანდა
ბრძოლის სასწორი მეომარი ღვთაების ხელში. უტევდნენ
ქართველები „ერთპირობით, გულსრულად, ჯავრიანად“,
„ჰხოცდნენ, ჰლწავდნენ, ჩამოჰყრიდნენ“. აბლავდა, აღმუე-
ლდა, აღრჭიალდა მარაბდის ველი. მზე შუბის ტარზე წამო-
სულიყო, ქართველებმა რომ გაალმასებული ხმალთაყვეთით
სრულად აკაფეს „ყვითელი ჯიქის“ მეწინავე-მეთოფენი და
„გაზურბებული ხოცეით“ შეიჭრნენ ცხენოსანთა და აქლემო-
სანთა „ტერასებში“. მალე ამირგუენ-ხანის თორმეტი ათასი
მეთოფე აღარ იყო თორმეტი ათასი. დარეცილიყო, დანგრე-
ულიყო და გაქცეულიყო ყიზილბაშთა წინა ლაშქარი.

ამირგუენ-ხანს მიუხტა მანუჩარ ათაბაგი „ყაენის სიციოც-
ხლეს გაფიცებ, იქნება მიცნო მანუჩარ ათაბაგი!“ — შესძახა
მესხთა მთავარმა. დიახაც, იცნობდა „ყვითელი ჯიქი“ თავის
გაზრდილს. ცხენდაცხენ ეკვეთნენ ერთურთს. გამზრდელის
ხმალი აისხლიტა გაზრდილმა. თვითონ გადაჰყრა „თავსა თა-
ჯიანსა“ მანუჩარმა, და თავგაპობილი გადმოეშვა ცხენიდან
„ყვითელი ჯიქი“. მაინც აღმართა მეორედ ხმალი ათაბაგმა.
ქვევიდან დაასწრო ამოძახილი ძირს დაცემულმა: „ნააქაფარ-
მო, რისთვის მკლავ, აქი ჩემი გაზრდილი ხარ?“ ხმალი დაუშ-
ვა მანუჩარმა. ხელიც აღარ გაუნძრევია, როცა ყაჩაღები წინ
ჩაუხტნენ და ვაიტაცეს მძიმედ დაჭრილი თავისი სარდალი
(მაინც მანუჩარ ათაბაგის დანაჭრევი ჭრილობას გადაჰყვა შემ-
დგომ ამირგუენ-ხანი).



დუღდა მარაბდის ველი, გმინაედა, ღმუოდა, ~~შეხოდა~~ ^{შეხოდა}
 მისდედნენ ქართველები მტერს ვაგეშებულს, ^{ხეჩვენ და} ~~ხეჩვენ და~~
 კაფვიტ. ყველა ლომ-გმირი შექმნილიყო — ^{მეფე-ლიონი} ~~მეფე-ლიონი~~
 დიც, აზნაურიც, გლეხიც, ეპისკოპოსიც, მღვდელიც და ბე-
 რიც. ზედიზედ ენარცხებოდნენ სისხლიან მიწას ლომის გერ-
 ბიანი დროშები. ამაყად ფრიალებდა ხერხეულიძეს ხელით
 აღმართული ქართული დროშა — მაინც გოორგასლიან-დავი-
 თიან-თამარიანი.

მაინც ისეე „სხვანაირი“ იყო შემშართებლობა დიდი მოუ-
 რავისა. მუზარადი მოეხადა გიორგის. ასე „უჯობდა“, რადგან
 „მოურავ-ბეგის“ მძეინეარე სახის ხილვით თავზარი დასცემო-
 დათ „მის ნაცნობ“ ყიზილბაშთ. იბრძოდა გიორგი სააკაძე. იგი
 იყო ყველგან, სადაც მისი საარაკო ვაჟაკობა საგანგებოდ
 ეჭირებოდა მისიანებს. ყიზილბაშთა სქელ რაზმებს არჩევ-
 და, შეუტევედა და „მუხლჩაქცილი ვშვებოდნენ“ სპარსელ-
 ნი. თოფი ესროლა სპარსმა მხედარმა. ცხენი ყალყზე შეაგ-
 დო გიორგიმ. ტყვია ცხენს მოხვედა და სანამ ძირს დაეცემო-
 და, საკუთარი ცხენი მოართვა ლომი ჩრდილელმა: ელვასაყით
 მოეველო სააკაძე, ცხენის მკვლელს წამოეწია, ხმლით ჩამოაგ-
 დო და მოკლულის ცხენი ლომი ჩრდილელს მიუმაგვირა.

დიდი სიმამაცით იბრძოდა „მეორე გმირი“ — ზურაბ არა-
 გვის ერისთავი. დაჭრილიყო ზურაბი — „შუბლზედ თოფსა
 გარდაეკრა“ — მაგრამ მაინც არავეის შეუსმინა და არ გა-
 ვიდა ბრძოლის ველიდან.

ბლაოდა, ზრიალებდა, ღრჭიალებდა მარაბდის ველი.
 ქართველები ყიზილბაშთა შუაგულში შეიჭრნენ და ფლან-
 გებისაყენ გაიშალნენ საიერიშოდ. ყიზილბაშთა ვერც ერთ-
 მა ფლანგმა ვერც თავისიანთა შუაყერძზე მიშველება მოახერ-
 ხა, ვერც ქართველების გახელებული იერიშების შეკაგება.
 მარცხენა ფლანგზე ყაზახ-ხან ჩერქეზი გაეჭეა აეთანდილ სა-
 კაძისა და დავით ერისთავის იერიშს. ყაზახ-ხანს მისი შირ-
 ვანული მხედრობაც ვაჟყვა, ცხვირ-პირის მტკრევით. გამოე-
 დევნენ აეთანდილ სააკაძე და დავით ერისთავი. ბრძოლის
 ველიდან გადაიყარგნენ გაჭეულებიც და მდევრებიც. ვაი
 თუ ეს შეცდომა იყო, ასე სულსწრაფად რომ ჩამოკვეთეს
 მხედრობის დიდი ნაწილი ახალგაზრდა ქართველმა სარდლებ-
 მა ბრძოლის ველს?!
 მარაბდის ველიდან

თუქცა... ყიზილბაშთა მარჯვენა ფლანგიც მოეხსნა ბრძო-
ლას, ხოსრო-მირზას ფლანგი. ვერ იახელა თავი ესტაპკინის
ტარულამ, შაჰ აბასის „რჩეულმა გურჯამა“.

გვიზღვიოთქაჲ

მზე საშუადღეოს დაეყუდა და სიციხით გაფატრული მღუ-
ღარეს აფრქვევდა დაბრისყვებულ დედამიწას. მაგრამ მზე რა-
ღად ენადღებოდათ „უკვე გამარჯვებულ“ ქართველებს! აჰა,
ყიზილბაშთა უკანასკნელი ძალაც — შეაკერძი — უკუაქ-
ციეს გავეშებელი ხმალთაყვეთებით.

მთავარსარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა „უღარესად გულად
და შემმართებელ მამაცთა მცირე რაზმით“ ღრმა ზურგში
გადაინაცვლა და მოიერიშე მტერს წინ დაუგდო ორდუბაზა-
რი (ორდუბაზარი ყიზილბაშთა ქონების, საქონლისა და სიმ-
დიდრის სათავესო სადგომი იყო).

და ერთბაშად დაეძგერნენ ქართველები მტრისგან დაგდე-
ბულ ყველაზე „ქონიან ნაჭერს“. საკუთარი ხმლები შორს
მოისროლეს — ხმლები, რომლებმაც აქამდე ძლევით მოიყვა-
ნეს თავიანთი ბატონნი.

ხმლები ხელიდან გაუშვესო?!

ეს უკვე ბედისწერა იყო!

მტრისგან დაუნჯებულ სიმდიდრეს დაერივნენ და თვი-
თონაც აირივნენ. იტაცებდნენ ყველაფერს „უცხოს“ და „სა-
უცხოოს“ — ოქრო-ვერცხლით მოსიყვადებულ მურასა ხმლებს,
ხანჯლებს, აკინაეებს, რაზტსა და უნაგირს, თაქსა და ჯილას,
ოქრონემსულ ხალათებსა და კაბა-ჯუბაზას.

ეს აღარ იყო ქართული ჯარი და აღარც ჯარი საერთოდ.

თეიმურაზ მეფემ და გიორგი სააკაძემ ჯერ არაფერი იცო-
დნენ, რა ამბავიც დაეტრიალებინა „ორდუბაზართან“ ქართ-
ველთა შინამდე გაუგონარ სიხარბესა და სიწუწუკეს. ისინიც,
„სრულ გამარჯვებაში“ დარწმუნებულნი, უკან ჩამორჩენოდ-
ნენ ლაშქარს, რადგან ზურაბ ერისთავს წამდაუწუმ გული
მისდიოდა ჭრილობიდან სისხლდამდინარეს, და იმას დასტრი-
ალებდნენ შეფე და მოურავი.

და ერთბაშად, ანაზღაითად, სისხლით ნარწყულეზ მარაბ-
დის ველზე „მესამე ძალა“ შემოიჭრა გამძვინვარებით აზერ-
ბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდგ-ხანი მოჰქროდა ახალი, ხელ-
უხლებელი, საომარი ყიყინით ანთებელი დიდი მზებრობით.
მოთქარუნობდნენ ისლამიტური დროშების ფრიალით, საო-

მარი ნალარების, ბუკებისა და ზურნაიკების ზმუილით და
ბარბითების დაგადუგითა და გაბჰული ყივილით: „შაპ გელდი
დი! შაპ გელდი! შაპ გელდი!“

ქართული
ენის
სისტემის
პირველი
გამოცემა

შაპი მოდისო?

წამოიშალნენ ქართველები. მაგრამ გვიანდა იყო თავის
აღებაც და ხელის გამოღებაც. ძნელი ყოფილხეულიდან გაგ-
დებული, ნამსახური ხმლის მონახვა და კვლავ ხელში მო-
ვარგება!

ელვის სისწრაფით ბზრიალებდა ჩარხი ბედისწერისა.

ერთბაშად დაქანავებულიყო ბრძოლის სასწორი ქართ-
ველთა ბედით.

სამი მხრიდან წამოემართნენ ყიზილბაშნი გამძვინვარე-
ბით: შუაყერძით — ისახან ყორჩიბაში, მარჯვნივ — შაჰბენ-
დე-ხანი, მარცხნივ — ხოსრო-მირზა.

მაშ, სპარსელები მაშინ იწყებდნენ ბრძოლას, როცა იგი
ქართველებს დამთავრებული ეგონათ.

„აღლაპ ილაღლაპ!!!“ — აზანზარდა მიწა და ზეცა.

„ქრისტე და საქართველო!“ — უკვე სისხლნაკლულად
გაისმა სოდომ-გომორულ მებთატეხაში.

ნათლეთ-ნათლეთი რახმებით იბრძოდნენ ქართველები.
იბრძოდნენ მაინც საარაგო შემმართებლობით, გააფთრებით,
თავდაეიწყებით. იბრძოდნენ თუნდაც ღირსეული სიკვდილი-
სათვის.

ფეხი ცურავდა სისხლით აზელილ მიწაზე. მკლავი იქან-
ცებოდა. მუხლი იკვეთებოდა. მაჯა დუნდებოდა. გული ძრწუნ-
დებოდა.

ორი ცალთვალა დევგმირი დაეცა შორიდან ნაძგერალი
გმურებით გულგანგმირული — დავით ჭანდიერი და ალითგან
ხერხეულიძე.

მკერდშელეწილი დაეცა თეიმურაზ მუხრან-ბატონი.

„თეიმურაზი მოჰკლეს! თეიმურაზი მოჰკლეს!“ — მებივით
დაურბინა ქართველობას საბედისწერო ძახილმა. სწორედ
„საბედისწერომ“, რადგან ჭარს მოკლული ეგონა თეიმურაზ
შეფე და არა თეიმურაზ მუხრან-ბატონი! ხოლო ბევრისთვის
შეფის სიკვდილი ომის დასასრულს ნიშნავდა. სულ წარეკ-
ვითა ნასოება ისედაც ძალადაშრეტილ ჭარს.

ქართული ცხენოსანი ლაშქარი შებრუნდა და გაიქცა. იმა-

ოც ცდილობდნენ თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე, მანუჩარ ათაბაგი და ბაადურ ციციშვილი გამოქცეულთა შეკავებას. ისევე არ ჩანდნენ ავთანდილ სააკაძე და დავით ქარსაძესთან აღრე გაქცეულ სპარსელებზე მადევარი ჯარით. არსი და მისივე გორ ექირვებოდა მათი მოსვლა ქართველობას.

ქართული დროშაც შექანდა ანაზღაითაჲ. ეს — მედრო-ზე ხერხეულიძე დაცემულიყო მკვდარი.

მისმა ძმამ აიტაცა დროშა. ისიც დაეცა განგმირული. მესამე ძმამ მიუსწრო და ისევე აღმართა დროშა საქართველო-სი...

იბრძოდა თავშიშველი და სისხლში მოსვრილი გიორგი სააკაძე. „იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა“.

იბრძოდა მეფე თეიმურაზი, იბრძოდა ვითარცა შეენოდა გმირ ხელმწიფეს, სარდალს და მხედარს. „მას დღესა ბატონ-მა თეიმურაზ დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღა-რა შემორჩომოდა რა და ბეჭდებიცა დაემტვრია“ მუშტის ძგერებით.

ისევე „დიდაჲ მხნედ და ძლიერად ომობდნენ“ მანუჩარ ათაბაგი და „ყმანი მისნი“.

ტყვიით განგმირულნი დაეცნენ ეპისკოპოსნი — რუსთ-ველი და ხარჭაშენელი.

დაეცა ბაადურ ციციშვილი, რომელმან თქვა სიტყვა უკ-ვედავი და მარად სასოვარი: „რა ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს!“

და წყდებოდა „გლეხიკაცი“, უკვე წყდებოდა მარაბდის ველზე მისი თანამემამულე „საზებურო ერისაგან“, თავადო-ბისაგან ქვეითად დაგდებული და მიტოვებული.

კიდევ ზედიზედ დაცემულიყო სამი ხერხეულიძე, შორი-დან ტყვიით დაცხრილულნი ..

კიდევ სამი ძმა დარჩენილიყო ხერხეულიძის ნაშიერი.

ამიტომ ისევე ფრიალებდა ქართული დროშა.

უკანასკნელმა ცხენოსანმა ქართველმა თავადაზნაურობამ მიიტოვა ბრძოლის ველი და კოჭრის მთას მიამურა თავშესა-ფარებლად.

სულ მარტო დარჩა „წერილი ერი“. მაინც იბრძოდა

გლახკაცობა, მარადიული სიმტკიცე და სინდისი ხაქინოვე-
ლოსი, იბრძოდა შეურაცხვენილი, ღირსეული სიყვდილითა
ვის. „ალაგ-ალაგ ერთგან შეგროვდნენ და სიღამდობით
ხოცებოდეს, თავი აღარ დაიზოგეს, ვისაც ხელში მოწყვეტდნენ
მოუკლავი არ გაუშვეს...“

მზე ჩაესვენა დაქანცული, ჯანდაშრეტილი.

მაინც ფრიალებდა ქართული დროშა უკანასკნელი ხერ-
ხეულიძის ხელით ზეადმართული და სისხლდადენილ გლახკა
მცირე გუნდით შემოსალტული.

მეთოფეთა ათასეული შემოუსია ყოველის მხრიდან ყა-
ზილბაშთა მთავარსარდალმა.

და დაიგრილა ათასმა თოფმა.

და უკანასკნელმა ნამეხარ-ნახმევმა შეაზანზარა მარაბდის
ზეცა.

და უკანასკნელი მამულიშვილნი დაენარცხნენ მარაბდის
მიწას.

და უკანასკნელი ხერხეულიძის დაღეწილ მკერდზე დაცე-
მულიყო ნაშთი-ნაფლეთი ერთ დროს მძლავრად მქროლავი
„გორგასლიან-დავითიან-თამარიანისა“.

ასე აღესრულა კიდევ ერთი სისხლიანი ზორვა ქართული
მიწა-წყლის საეკრთხეველზე. აღესრულა უკანაჩენო მარც-
ხისა და უბადლო გმირობის ამოთეოზით.

ლამის წყვედიადში ჩაიძირა ადამიანის გვამებით დარეცი-
ლი საომარი თაღპიონი.

მთელი ღამე გმინავდა მარაბდის ველი.

დილით ახალმა მზემ პირველმა აღითვალა ადამიანთა ურ-
თიერთნამსხვერპლარი.

24000 მკვდარი ესვენა მარაბდის ველზე — 14000 ირა-
ნელი და 10000 ქართველი.

მზის თვალმა საგულდაგულოდ მოითვალისა: ცხრა ხერ-
ხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი...

...გლოვისფერი კაბით მოსილი ქალი მიადგა უკანასკნელ
მამულიშვილთა გვამების გროვას.

დაიჩოქა.

დაემხო.

დაღეწილი მკერდი დაუკოცნა ხერხეულიძის.

და ისევ აღმართა ცხრა ქართველი მამულიშვილის დედამ
შვილის მკერდზე დაფენილი ქართული დროშა.



ქვა არსად არის შენახული
რომ ჩემი სისხლშიც არსებობს
გიორგი სააკაძე.

ქართველებმა მარაბდის ველზე წაგება მაინც წაგებად არ ჩაითვალეს და პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. ისევ გიორგი სააკაძე მოთავეობდა სამამულო ბრძოლებს. ათი დღე-ღამე აკავებდნენ ქართველი მეომრები კოჯრის წყვარამებში შემოწოლილ ყიზილბაშობას. ამისობაში ქართლის მოსახლეობა სიმაგრეებსა და სახიზარებში აფარებდა თავს.

გათამამდა ტფილისის ციხეში ჩაკეტილი ციხიონი. შეიდასი ყიზილბაში გამოვიდა და სათარეშოდ შეესია ახლომანლო სოფლებს. ღისი აიკლეს საგანგებოდ, სააკაძის საუფლო სოფელი. სამოცი მეომრით მოიჭრა გიორგი სააკაძე. მოიჭრა და შეიდასივე ყიზილბაშის თავი ისე დააგორა, არც ვრას საკუთარს განაჯაწრიც არ მიუღია.

ისა-ხან ყორჩიბაშმა არაგვის ხეობისყენ სალაშქროდ 12000 ყიზილბაში ჯა ყაჯარი აარჩია და მეთაურებად სამი სარდალი უჩინა — შაჰბენდე-ხანი, ყაზახ-ხან ჩერქეზი და ზოსრო-მირზა.

გიორგი სააკაძემ წიწამურისა და ღართისკარის ხეცები ჩახერგა, თავისი „პარტიზანები“ ჩააყენა და არაგვისყენ წამოსულ სპარსულ მხედრობას წინ გადაუდგა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ქართველებმა ათჯერ უმრავლესი მტერი ველარ შეიმაგრეს. გიორგიმ წეროვანისყენ დაიბია და სპარსთა მხედრობამ საარაგვოზე გააღწია. არაგვიდან ქსანზე გადავიდნენ. მარამ სწორედ აქ, ქსნის ხეობაში, გიორგი სააკაძემ ყოველი მხრით გზები მოუჭრა სპარსულ მხედრობას. საშინელი ზოცვა-ყლეტისგან ქსანი სავსებით „იქმნა ვითარცა სისხლი“. სააკაძემ ხუთი კონა ისარი შემოიხარჯა და მერე ხმლით დაერიო სპარსელებს. ქართველებმა ტყვედ იგდეს და იქვე ასჩეხეს აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი, სწორედ ის, ვინც ქართველთა მარცხით გადასწონა მარაბდის ბრძოლის სასწორი. ტყვედ აიყვანეს შირვანის ბეგლარბეგიც. ყაზახ-ხან ჩერქეზი, მხოლოდ ზოსრო-მირზამ, საარაგო სიმაძაცისა და

თავგანწირულების წყალობით, შეძლო ქართველთა ვაჭარებმა და გაეღწია ტფილისისაკენ მიმავალ გზაზე. ვაჭარნი, მაგრამ თორმეტი ათასი სპარსელისაგან ერთი ათასი გაყოლია ცოცხალი.

ამრიგად, ქსანზე გამარჯვებით მარაბდის სისხლი გადაქარბებით ამოიგეს ქართველებმა.

დიდი იყო შედეგნი 1625 წლისა. სრულიად სპარსეთის ლაშქარი იქამად 120000 მეომარს მოითვლიდა და აქედან ნახევარი, 60000 მეომარი, საქართველოში დაკარგა შამაბასმა. თანაც ეს „სპარსული ტრაგედია ქართულ სცენაზე“ ნახევარი წელიწადიც არ გაგრძელებულა. სპარსეთი დამარცხდა. საქართველო ისევ ქართველებს ეკუთვნოდა. შამაბასი უკვე თეიმურაზთან შერიგების გზებს ეძებდა. წარმოგზავნა კიდევ ქართლ-კახეთის მეფესთან „სილაპარაკოდ“ დაუდ-ბან უნდილაძე. მაგრამ ქართველი მეფე და „გათათრებული“ ქართველი ბეგლარბეგი ფიც-ვერცხლით დამშობილდნენ და თვითონ შამას წინააღმდეგ შეითქვენ.

მაგრამ სანამ ეს შეთქმულება „თავის სიტყვას“ იტყოდა, ისევ აეშალნენ ერთმანეთს გიორგი სააკაძე და თეიმურაზ მეფე. ჯერ „შორიდან ნაგრძნობი“ იჭვენულობითა და უნდობლობით ზვერავენენ ერთმანეთს მეფე და მოურავი. ისევ თავადობა იდგა გამთიშველ ძალად მათ შორის. დღენიადაგ ჩასჩინებდნენ თეიმურაზს: აღარ შეიძლება იმის მოთმენა, რომ ქართლზე სინამდვილეში შენ კი არა, სააკაძე მბრძანებლობსო; ვისაც მოისურვებს, შენს დაუკითხავად პატივს მიუვებს, მოისურვებს და ისევ თვისის ნებით უპატიურობაში ჩაადგებასო; თვითონ ტახტზე დაბრძანებული ჩვენ, თავადებს მანამ დასხდომის უფლებას არ გვაძლევს, სანამ თვითონ არ მოესურვებასო; თავადები სააკაძეს ძალებივით ქეშიკში (ყარაულში) უწევებიათ; ჩვენ რაც დაგემართა—დაგემართა, მაგრამ არც შენ გაგდებს რაიმედო; შენი მეფობაც აღარ მოსწონს და „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებაც იმიტომ მოსურვებია, ერთიან ტახტზე შენ კი არა, იმერელი უფლისწული უნდა დასვასო; ლუარსაბ მეფე ხომ მოინელა, მალე შენც გამახვერპლებსო...

უკანასკნელად შეხედნენ ერთმანეთს მეფე და მოურავი. და შერიგდნენ კი არა, უფრო დაემტერნენ ერთმანეთს. და

უკანასკნელად ეს უთხრა გიორგიმ თეიმურაზს: „ღმერთის
იცის, შენ, კასეთის მეფეს, ქართლი მოგეცი, ჩემი თავიც მარ-
გოდღვენ და თავს შემოგაეღვე, მაგრამ რა ვქნა, რომსაღმერთის
დონეს და არც ინდომე ჩემი სიცოცხლე. რა გავწყვიტა, ^{მეცხრანის}
ეგზომი უმადურობისათვის მე გულში დანას არ დავიციებ!“
გათავდა.

ძმათაშორისი ომის შემორიანი სუნი ჩამოწვა საქართვე-
ლოს ცისგვამში...

...მთავარი ახლა ის იყო, ვის მხარეს დაიჭერდა თავადთა-
ვან ყველაზე ძლიერი ზურაბ არაგვის ერისთავი.

და უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს „პირველი და მე-
ორე გმირი“ — გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი. ყველა-
ღერი ერთად გაახსენა გიორგი ზურაბს: მამაშენი, ნუგზარ
ერისთავი, მუდამ ჩემი ერთგული და თავდადებული მოყვა-
რე იყო, შენ ხომ ჩემი გაზრდილი და საყვარელი ცოლის-
ძმა ხარ. თათრობის უმძიმესი წლებიც ერთად გაგვიტარებია.
ყიზილბაშებიც ერთად შეგვიმუსრავს მარტყოფისა და მა-
რაბდის მინდვრებზე, ჩვენი წუთისოფლის წილხვედრიც და
ქვეყნის ჭირ-ვარამიც ერთად გაგვიტარებია და ახლა ისეთი
რა მოხდა, რომ მე გადამიდექ და თეიმურაზს მიუდექიო?!

მეფეს ვერ ვუღალატებო, ცივად უპასუხა ზურაბმა. მუხ-
რანს ვპირდებო და იმიტომო — მიახლა გიორგიმ. შენ კი
მუხრანის ბატონი წამომასკუბე თავზეო — შეაგება ზურაბ-
მა.

გიორგი მიხვდა, რომ სამუდამოდ დაქარგვოდა ზურაბ
ერისთავი. ცოლისძმას უყვე აღესილი ჰქონია ხმალი სიძის შე-
სამუსრავად.

„კარგად დაიმახსოვრე, ზურაბ ერისთავო! მე რომ მომე-
ლაგენ, მაშინვე ჩემი მკვლელები შენ გწვდებიან ყელში და
მუხრანსაც ოხრად დაგიჩვენენ, დღშეთსაც და სიცოცხლე-
საც!“ — თქვა და გაშორდა გიორგი სააკაძე არაგვის ერის-
თავს.

მაშინვე ელჩი აფრინა იმერეთს სააკაძემ და მეფე გიორ-
გი მესამეს შეუთვალა: შენი შვილი ალექსანდრე „ქარლის
საბატონოდ“ გაამზადე და სასწრაფოდ ქარიც მომაშველე
თეიმურაზთან საომრადო.

იმერეთის მეფემ საბოლოოდ ირწმუნა, რომ თეიმურაზის

დამბობის წყალობით ქართლიც და კახეთიც მთხი შევიდა/ სამეფო საკუთრებად გადაიქცეოდა, რაიც თავისებურად „პირველი საფეხური“ იქნებოდა ქუთათისის ტყეებში, გვირგვინ- მო „ყოველი საქართველოს“ გაერთიანების გზაზე. და შამში- ვე გამოუგზავნა გიორგი მესამემ გიორგი სააკაძეს იმერთა ლაშქარი. შამშუკა ბოქაუ ლთხუცესის, ამირბარ აბაშიძისა და ხოსია მაქავარიანის სარდლობით.

სამცხრიდან კიდევ მესხთა ჯარი ჩამოუვიდა სააკაძეს, დავით გოგორიშვილის სარდლობით.

სანამ იმერლები და მესხები მოაღწევდნენ, მოურავმა მისი მომხრე ქართლელი თავადები შემოიყარა: ქაიხოსრო მუხრან ბატონი, იასე ქსნის ერისთავი და აზნაურობა...

...მაშ, თანამოძმეთა და თანასისხლიერთა ორი მტრული ბანაყი!

თეიმურაზ მეფისა — დუშეთს, ზურაბ ერისთავის სასახლესთან.

გიორგი სააკაძისა — მუხრანს, ქაიხოსრო მუხრან-ბატონის სასახლესთან.

შავი ღრუბლებით გატენილა საქართველოს ცისგვამი. წვიმს კოკისპირულად. გზები ლაფით აივსო. მინდვრები დაიტბორა. მცირედ გადაიყარა თუ არა, გიორგი სააკაძემ ბანაყი აპყარა და დუშეთისაკენ გაემართა. თეიმურაზმა „მტრის“ წამოსვლა შეიტყო, ლაშქარი დუშეთიდან გაიყვანა, ბაზალეთის ტბასთან დადგა და საომრად გაემზადა. სააკაძემაც შეამჩნია „მტრის“ მოძრაობა და თვითონაც ბაზალეთს მიაშურა. თითქოს ნაწვიმარი არ კმაროდა კახელებმა ბაზალეთზე მისასვლელი გზები წყლით „დამატებით“ დატბორეს, იქნებ სააკაძე და მისი ლაშქარი შიგ დავეფლოს და უფრო იოლად გავლესწორდეთო. მაგრამ მოურავი იმ ადგილებს კარგად იცნობდა, „მტრის“ განზრახვაც ადვილად შეიცნო, დაგებულ მახეს გვერდი აუქცია, ბაზალეთის ტბას სხვა გზით მიადგა და „თეიმურაზელთა“ პირისპირ საომრად დააღაგა ლაშქარი.



მე ჩემი უბედურება
 ღმერთმ დააწერა ხმაღზედ
 მოკვალი ზემოვე სისხლი,
 ხმალი ვახმაზე ძმანუდა,

ქართულნი
 ბიზლითიქსა

ხ ა ლ ზ რ ა ი.

1626 წლის გვიანი შემოდგომა, ბაზალეთის ომი, სამგლოვიარო სამანი ქართული მატინისა.

დგანან და გასცქერიან ერთმანეთს სამკედრო-სასიცოცხლო შერკინების მოლოდინში, გარინდებულნი, ჯადოქმნილნი, სატანიო „მხარდამშვენებულნი“.

თეიმურაზის ამაღლაში დემილი დაარღვია ე დ ი შ ა ვ ა ჩ ნ ა ძ ე შ. ახალგაზრდა კახმა თავადმა: „ჩვენზე მეტი ჯარი ჰყოლია სააკაძეს — ტყის ტყვარივით ჩამდგარან და შავ ზღვა-საგით ჩაგუბებულანო“.

ჰო, ბევრი არიანო, უგემურად თქვა თეიმურაზმა.

„არაფერია, მეფეე პატრონო, მადლობა ღმერთს, ჯერ არ მომხდარა, ყმას რომ პატრონზე გაეშარჯვოს“, — ჩაილაპარაკა ზურაბ ერისთავმა...

...მძიმე, ლაფიანი გზები გამოეგლო სააკაძეს და მის ქარს. დაქანცული იყვნენ, სახსარმოშლილნი. გიორგის უნდოდა როგორმე იმ დღეს ბრძოლას მორიდებოდა და ჯარი დაესვენებია. მაგრამ იმერლებმა და სამცხელებმა მოითხოვეს — რაკი საომარ ველზე მოესულვართ, ახლავე გაგვიყვანე ბრძოლაშიო.

ეტყობოდა, არც მოპირდაპიე ბანაკი ამირებდა ბრძოლის გადადებას...

მდუმარედ იდგა სააკაძე, ხმლის ვადაზე ხელჩამოსვენებული (ეს ხმალი ჯერ ქართველ კაცს არ მოხვედროდა!).

უცებ თითქოს რაღაც ახალი აზრი იაზრა, ინაშვილი მიიხმო, იღუმალ ელაპარაკა და „მტრის“ ბანაკში გაუშვა.

ინაშვილი თეიმურაზს ეახლა, მდაბლად თავი დაუყრა და მოახსენა: „მოურაგმა გიორგი სააკაძემ გთხოვათ, ნება მოწყვიტოთ პირადად გაახლოთ ჩემი თავი ბრძოლაშიო, ძალიან

მინდა ჩემი სიბერეცავე შენს სიუმაწვილესთან ~~გამოვცადო~~ გამოვცადო”.

წამოიქანნენ ზურაბ ერისთავი და კახელი თემურაზი. თემურაზმა დაასწრო თეიმურაზს: „მოხალდასხმალ მევხედე სახელოვან მოურავსა, ოღონდ მითხარით ბრძოლის ველზე შესაცნობი ნიშნეულობა!“

„თვითონ დამაბარა მოურავმან: ლურჯა ცხენზე შევჯდებო, შავ კურტავს ჩავიცვამ და შავ მუზარადს დავიხურავო“, — მიუგო ინაშილმა.

„კეთილი, მაშინ ჩემი ნიშნეულობაც ინებოს სააკაძემ: შავი ცხენი, თეთრი წამოსასხამი და თეთრი თავსარქმელი“ — შესძახა მეფემ.

ინაშიელი სააკაძესთან დაბრუნდა.

ზურაბ ერისთავი მივარდა თეიმურაზს: არ არის საკადრისი, რომ მეფე თავის ყმას შეეხასო; ისა სჯობია, თქვენს მაგივრად, თქვენი ნიშნეულობით სხვა ვინმე შეებრძოლოს მოურავსო.

„მე გავალ სააკაძესთან საბრძოლველად“ — იყვირა ედიშა ვაჩნაძემ.

ყველამ შეუქო გაბედულება ქაბუჯ თავადს.

მეფის შავი ცხენი მოკვეარეს ვაჩნაძეს, თეთრი წამოსასხამი წამოსახეს საომარ კურტაკზე. თეთრი თავი დაქუტრეს მუზარადზე.

გიორგი სააკაძეც მზად იყო, ლურჯა ცხენზე ამხედრებულ, შავი საომარი კურტაკით და მუზარადით გამოწყობილი.

დაკით გოგორიშიელი მოიხმო სააკაძემ და იმასაც თავისი ერთი ხელი საომარი აღჭურვილობა აასხა, თავის მარჯვენა ცხენზე შესვა და უთხრა — ბრძოლაში ისე გახვალ, როგორც გიორგი სააკაძეო. თურმე ეს ყოფილა მოურავის განზრახვა: ბრძოლაში „ორი სააკაძე“ მიიღებს მონაწილეობასო; მე რომ თეიმურაზს შევებმებო, „მეორე სააკაძე“ (გოგორიშიელი) დანარჩენებს დაერევაო „მტერი“ ნამდვილ სააკაძედ მიიჩნევს, დაიბნევა, დაღრთება და აირ-დაირევაო...

...ოში დაიწყო.

გაალმასებით ეკვეთნენ ერთერთს ერთი ცის ქვეშ შობილნი, ერთი დედის რძენაწოვარნი, ერთ ემბაზში განათლულნი და ერთი დიდედას ხელით ჭიკმობანილნი.

„შესდექით, ძმანო უგუნურნო!“ — არ იქნა და მისი გარდა
მა ეს შეძახილი, არც ზეციდან, არც მიწიდან.

მხოლოდ ომის ღმერთი თახთახებდა ცის კამარში ^{სიხარული}
ლის წყურვილით გახელებული.

გამხეცებით სჩეხდნენ ერთმანეთს ერთისისხლიერნი. ძმის
ძმის მოკვლა უკეთ ეხერხება, ვინათგან ძმამან ძმისა უკეთ
იცის, სად უნდა დაჰკრას, რომელ ადგილზე დანაჰკრავი უფ-
რო იოლად აღმოახდენს სულს..

...„სააკაძე!“ — იყივლა ედიშა ვახინაძემ და მიაშურა
ლურჯა ცხენზე ამხედრებულ, შავი კურტაკით შემოსილ გო-
ლიათ მხედარს.

„პატრონს თვიმურაზს ვახლავარ!“ — დაიქუხა სააკაძემ და
თვითონაც გაექანა შავ ბეღურზე აღმჯდარი, თეთრად მო-
კაზმული მხედრისაყენ.

ერთმანეთს შეასკდნენ „შავი“ და „თეთრი“ რაინდები. შუ-
ბები შეაღწეეს ერთურთს ფარებზე. წამსვე ხმლები ამოაგე-
ლეს.

მიხვდა სააკაძე, რომ მისი მოპირდაპირე არ იყო მეფე.
დაასწრო ვახინაძემ და თავზე უბეთქა ხმალი სააკაძეს.
„მუზარადი გაუტება, მაგრამ გერში ვერ ააღებინა“.

ტყვიელს აღარ დაუცადა გიორგიმ. ელვასავით მოიქნია
ხმალი. თავგაბობილი და ვსულოქმნილი დაენარცხა მიწის
ედიშა ვახინაძე.

„ნეტავ იმ ყმასა, თავის პატრონს რომ ენაცვალოს“, —
სინანულით ჩასძახა სააკაძემ მომაყვდავ ქაბუცს. და უმაღ-
ვე რალაც უცნობი, მანამდე განუცდელი სისუსტე იგრძნო
გიორგიმ მთელს სხეულში. სახსრები მოშლოდა და მოსხლე-
ტოდა, რეტდასხმული თავი უსაშველოდ დამძიმებოდა, ბრძო-
ლის ველი აიჭრა და ატორტმანდა მის თვალსარბიელში. თიბ-
ქოს დედამიწაც დასხლტა და გაფრინდა ზეცად... ცხენმა გაი-
გვანა ბრძოლის ველიდან უკონო მხედარი. მიწამ დაითრია
და ცხენიდან გადმოაგდო. ძლივს დაიხსნა თავი გაღრეცილი
მუზარადისგან. სიგრილემ დაჰკრა ცეცხლმოკიდებულ თავ-
ბირში. გონი მოუბრუნდა. ბრძოლის ველიც გასწორდა თვალ-
სარბიელში. დედამიწამაც შეწყვეტა სრბოლა. ეს კი ვეღარ
გაიხსენა, როგორ გამოაღწია საომარი წრეწირიდან. მხოლოდ
ტყვიელი გაიაზრა, მანამდე განუცდელი ტყვიელი, ქართველი

კაცის ხელით დანაკრავმა რომ დაურბინა თავის თხევალს
ფერხთა ქუსლებამდე. მეხი ჰქონია მკლავში იმ ქართველ ქა-
ბუკს პირველად მოხვდა ქართველის ხელით მოქნილ სხმის
ლი. ვინ მოთელის, რამდენი შეხვედრა ჰქონია სააკაძეს სარ-
მარ ველზე პირდაპირი ხმლის ჯვარედინით, მაგრამ არასდროს
მისთვის ასე ძლიერად არავის არ შემოუყრავს, როგორც იმ
ქართველმა შემოჰკრა. მაგრამ არც არასდროს თვითონ დაუ-
ოტყამს ისე მძლავრად, როგორც იმ ქართველს დაარტყა...

ქეშმარიტად: არავის ისე არ ემარჯვება ქართველი კაცის
დამარცხება, როგორც ქათველ კაცს..

ბრძოლის ველს გაჰხედა.

დიდი საომარი ხელოვნებით ხოცავდნენ ქართველები ქარ-
თველებს.

წამოიწია მიწას მიკრულმა სააკაძემ, მაგრამ ისევ არ აღშ-
ვა მიწამ...

...ქართველები კი გააღმასებით ელვტდნენ ქართველებს.

გაღომებულ იბრძოდა „მეორე სააკაძე“ — დავით გო-
გორიშვილი ვისაც შემოჰკრა, ყველა სიცოცხლეს გაჰყარა და
სიკვდილი ჩაუყენა. ეტყვი არავის შეჰპარვია, რომ ნამდვილი
საკაძე იბრძოდა მისთვის ჩვეული შემმართველობითა და
საომარი ხელოვნებით.

მიუხედავად თეიმურაზ მეფე. შემოეგება გოგორიშვილი „სა-
აკაძერად“. ნაეარდი დაჰკრეს და ცხენები დასხლიტეს. შებ-
გაწვართულნი დაეძგერნენ ერთმანეთს. ორივემ აისხლიტა ფა-
რზე ნაძგერალი შუბი. მხოლოდ თეიმურაზი გადინიჭა ზურ-
გით უნაგირზე. წამსვე მოიჭრა საამ კობიასძე და გვერ-
დიდან დაატყა ლახვარი გოგორიშვილს. ეს დარტყმაც აიცი-
ლინა მესხმა რაინდმა და საპასუხოდ გამართა შუბი, გაექცა
კობიასძე. გამოედევნა გოგორიშვილი.

„დამიდექ, მოურავო!“ — უკანიდან მოესმა გოგორიშვილს.
ეს ზურაბ ერისთავი იყო. შემობრუნება ვეღარ მოასწრო
მესხმა. შიშველ ბარძაყზე უხეტქა ხმალი ზურაბმა. ხმლიანი
ხელი წამიერად დაკოდილი ბარძაყისაკენ გაექცა გოგორიშ-
ვილს. იმ წამსვე ხელმეორედ მოიქნია ხმალი არაგვის ერის-
თავმა. მისმა მეომრებმაც მოუსწრეს და ხელის გამოღება
იღარ აცალეს, ისე აკუწეს გოგორიშვილი.



„სააკაძე მოჰკლეს!“ — ბედისწერის ზარივით დაერია ბრძოლის ველს ეს ძახილი.

მუხლი და მკლავი მოეშალათ „სააკაძელებს“, მუხლი და მკლავი გაათაყეცებით გაუმძლავრდნენ „თემურაზებს“.

ბრძოლის ველი საესებით დაიხელთავეს თეიმურაზმა და ზურაბ ერისთავმა. თავდავიწყებით ეტყეებოდა მეფე „მტრებს“ და „თავდავიწყებულმა“ ვერ შენიშნა როგორ მოუხდა მარცხენა მხრიდან ქვიშხეთელი აბაშიძე, მოუხდა და აძგერა შუბი. მაინც გულიდან ფართით აისხლიტა მეფემ იარაღი, მაგრამ დანაკრავი მაინც უსისხლოდ არ მოსცარვია აბაშიძეს, შუბი მარცხენა მკლავში შეურტო და შეატოვა მეფეს და თვითონ წამსვე ვაეჭვა სამაგიერო სისხლის დაქვევას.

ფიცხლავ შეუკრეს ჭრილობა მეფეს. ბრძოლიდან მაინც არ გავიდა ბრძოლით გახელებულ თეიმურაზი.

(ამ დღეს იყო იგი ყველაზე „დიდი გმირიც“ და ყველაზე „დიდი სარდალიც“)...

...ბრძოლა ვათავდა, ბაზალეთის ბრძოლა, გლოვის სამანი ქართველი ხალხის ისტორიისა.

უძლური ხდება სიტყვა „სისასტიკე“.

განადგურებული იყო სააკაძის ბანაკი.

ქართველთა ხელით დახოცილი ქართველებით დარეცილიყო ქართული მიწა.

ვინც დაიღუბა — დაიღუბა, მაგრამ ვინც ცოცხალი დარჩა — მეფე, თავადი, აზნაური, გლეხი თუ ასხვა რამ მდაბიო — დაუტრელ-დაუყოდავი და სისხლდაუდენელი არაეინ გადარჩენილა — არც დამარცხებულთაგან, არც გამარჯვებულთაგან.

თეიმურაზ მეფემ გაიმარჯვა და მოურავი სააკაძე დამარცხდაო, გაიძახოდნენ ბაზალეთის ცოდვისშვილები — ზოგი ადტაცებით, ზოგიც სინანულით — და არაეინ ამბობდა, რომ დღეს დამარცხდა საქართველო!

სააკაძის მემორებთან ერთად ბაზალეთის მიწაში დამიწდა დიადი მამულიშვილური განაზრახი „ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა და აღორძინებისა.

არა! — გარნისის ლალატიანი ბრძოლის შემდეგ საქართველო ასე სასტიკად არასოდეს დამარცხებულა..



...იმერელი ტყვეები მოპვარეს თეიმურაზს. ყველანაირად
 თო ყური აათაღეთ და ისე გაუშვილო, ბრძანა, ყველგან
 ერთვერ კიდევ შეირცხვინა თავი ესოდენ უფროსად, მან
 ბით რატომღაც ხოსია მაქავეარიანს ორივე ყურის მოჭრა გა-
 დაუწყვეტა თეიმურაზმა. — სულ მთლიანად ნუ მომაჭრით
 ხახვეარ-ნახვეარი შაინც შემარჩინეთო, შეპლაღადა ხოსიამ. —
 ორივე ძირში დაათაღეთო, — ეინიანად გაიმეორა მეფემ. —
 არ შეგონა, თუ ასეთი გულბილწი იყავით — შებღაღლა უკვე
 უყურო მაქავეარიანმა.

გულბილწიო? იქნებ არ გაემტყუნებოდა ასეთი სიტყვის
 წამოძახილი დასაბიჩრებულ კაციშვილს, მაგრამ არც ერთ
 სხვა ქართველს — არც „უყუროს“ და არც „ყურიანს“ —
 მსგავსი მაყვედრებელი საბელნართაული სიტყვა არ უკადრე-
 ბია თეიმურაზისთვის უფრო დიდ ბოროტების გამო.

მან, საქართველოს მეფემ, იმ დღეს ხომ საქართველო
 დაამარცხა!



ბაზალეთიდან ბასტიონამდე

პარსების დამარცხება არავის ძალუბ
თვინებარ მარსებისა.

ქველრომაული ქრონიკა

კვლავდაცვება სააკაძისა

ერთსა და იმავე ადამიანს გულში
სხვადასხვა ღვთონი უბის.

სიფოკლე

ბაზალეთის ცოდვიანი მიწიდან გიორგი სააკაძე და სიკე-
დილს გადარჩენილი მისი თანამებრძოლები სამცხეში გაიქცე-
ნენ. ახალციხეში თათბირად დასხდნენ და ძალიან მალე გადა-
წყვიტეს: თურქეთში უნდა გადახვეწილავყენენ და ხონთქრის
სამაჩხურში შესულიყვენენ, ხოლო შემდგომ... შემდგომ, გი-
ორგი სააკაძის აზრით, ხონთქრისაგან ოსმალურ ჯარს გამო-
ითხოვენ და საქართველოა „დასაბრკლად“ გამოუძლე-
ბილენეს (!).

ის ზამთარში სამცხეში გაატარეს. სააკაძემ ოქ.ხი სამცხეს
დატოვა. მხოლოდ ავთანდილი წაიყოლია უფროსი ძე და გა-
ნუჯრელი თანამებრძოლი.

და, 1627 წლის გაზაფხულზე, ბაზალეთის ცოდვისშვილ-
ებმა თურქეთისაკენ გაქუსლეს.

თურქეთის სულთანმა, მუჩად მეოთხემ, დიდის
ზარ-ზეიმით მიიღო და დიაიახლოვა ლეგენდარული ქართვე-



ლი მხედართმთავარი. სამმართველოდ და „საზრდელად“ ოს-
მალეთის ყველაზე დიდი ვილაიეთი მისცა ხონთქარჯეველურ
გის — იაკონიის, ანუ ყარამანიის ვილაიეთი. **გიორგი** **სააკაძე**

იმავე 1627 წლის ზაფხულში თურქებსა და სპარსელებს
შორის ბრძოლა გაიმართა არზრუმისათვის. გიორგი სააკაძე
ამ ბრძოლაში „მარჯვენა ხელად“ ედგა თურქეთის დიდვე-
ზირსა და სერასქერს, ხალილ-ფაშას. არზრუმში, ხა-
ლილ-ფაშას უნიჭობისა და სიმხდალის წყალობით, სპარსე-
ლებს დაჩაიბა, მაგრამ გიორგი სააკაძეს კი ისევ დიდი სახე-
ლი გაუვარდა ამ ბრძოლაში.

მომდევნო წლისთვის სულთანმა, ხალილ-ფაშა გადააყენა
და მის ნაცვლად დიდვეზირად და სერასქერად დანიშნა თა-
ვისი სიძე (დის ქმარი) ხუსრევ-ფაშა. წარმომავლობით
ბოსნიელი, ყრმობითვე გათურქებული, ფრიალ შურიანი და
სისხლისმოყვარე კაცი.

და დაიძრა ხუსრევ-ფაშა დიდის მხედრობით არზრუმის-
კენ. „მარჯვენა ხელად“ იმასაც გიორგი სააკაძე ედგა. მიად-
გნენ არზრუმს და ოთხი თვის ალყის შემდეგ გამოსტაცეს
ხელიდან სპარსელებს.

ბრძოლის მთავარი გმირები ისევ გიორგი სააკაძე და მი-
სი ქართველები აღმოჩნდნენ და კიდევაც მოახსენეს მურად
სულთანს: გურჯი მოურავი რომ არ ყოფილიყო, ხუსრევ-ფა-
შა არზრუმს ვერასგზით ვერ აიღებდაო.

იმავე 1628 წელს ხუსრევ-ფაშა და გიორგი სააკაძე არზ-
რუმიდან სამცხეს შემოიჭრნენ და აქაური ციხე-ქალაქებიდა-
ნაც განდევნეს სპარსული ციხიონები. აქაც „მშობლიურ
მიწაზე“ მეომარმა გიორგი სააკაძემ საესეებით დაჩრდილა ოს-
მალეთის დიდვეზირი და მხედართუფროსი.

მალე ხუსრევ-ფაშა და მისი სახლეულო მტრად გადაიქა-
და გიორგი სააკაძეს. ამას ვარდა, სააკაძის საბეგლარბეგოს,
ეკონია-ყარამანიის თურქი დიდკაცობაც შურითა და მძულვა-
რებით ზომავდა „ზეიადი გურჯის“ აღზევებას. აქაური ფეო-
დალები უკვე ხლართავდნენ ხეანჯებს სააკაძის სახელის შე-
საღიხავად და ხონთქარის თვალში დასამციკრებლად. იკონია-
ში დატრიალებულ ყოველ ბნელსა და უწესო საქციელს ქარ-
თველებს აბრალებდნენ. ერთი მიზეზიც „ემოვნა“ ხუსრევ-
ფაშას გიორგი სააკაძის გასანადგურებლად: ვილაც იტყობინე-



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საბიბლიოთეკა

ბოდა, სააკაძე საქართველოში აპირებსო „გაპარემა“ ვერ
„დადიანის ქვეყანაში გაიქცევაო“ და იქიდან ქართლში გადა-
ღწევსო...

ხუსრევ-ფაშა ამჯერად არ ტყუოდა: გიორგის მართლა
პქონია გულს ამოჭრილი საქართველოში დაბრუნება.

და 1629 წლის 3 ოქტომბერს, ქალაქ პალაბში (აღეპო),
ხუსრევ-ფაშას ბრძანებით, გიორგი სააკაძეს, მის შვილს ავ-
თანდილს და კიდევ ორმოცდაათამდე ქართველს თავები და-
აქრევიწეს...

.. ეღარ იყო ამ ქვეყნად გიორგი სააკაძე. აღსრულებულია-
ყო გულით მუდამ წმინდი მამულიშვილი. მისი მამული-
შვილური გულწრფელობა შეურყეველი იყო თუნდაც იმ
თხუამეტწლიანი „ორთათრიალობის“ (სპარსულ-ოსმალურ)
ეპისაბრუნავშიც. გულწრფელობა-მეთქი, რადგან სულ სხვა
იყო მისი ცადკეული პოლიტიკური ცდომილებანი. უადრე-
სად კეთლშობილური და გრანდიოზული იყო მისი განაზრახვა
„ყოველი საქართველოს“ გაერთიანებისა და აღზევებისა, მაკ-
რამ ამდენადვე უმართებულო და უნიადაგო იყო ამ უკეთილ-
შობილეს განზრახულობათა განხორციელების გზები და სა-
შუალებები. მას ბავშვის სიწრფელით სჭეროდა, რომ მისი
სალოცავი საქართველოს გადაჩენა, გაერთიანება და გამა-
ლაერება სწორედ ქართველი ხალხის მომტერე „უცხო ძა-
ლების“ საშუალებით შეიძლებოდა. სწორედ ამ „უბედურ
წინააღმდეგობათა“ წყალობით იყო, რომ სააკაძის ბევრ თა-
ნამედროვეს (ზოგჯერ ჩვენს თანამედროვესაც), უცხოეთის
გზებზე მისი „სამამულიშვილო ძიებანი“ სამშობლოს დალა-
ტად და რენეგატობად ეჩვენებოდათ. ეჩვენებოდათ, ვინათ-
გან დიდი მჭედელი მშობლიური ისტორიისა ხშირად საკუთარ
სამშობლოს მოსისხლე „უცხო თესლით“ ისტორიისაც
სჭედდა თავგამოდებით.

აღსრულებულიყო ქართველი გმირი, რომლის აკვანს ვახ-
ტანგ გორგასალისა და დავით აღმაშენებელის აჩრდილები არ-
წევდნენ. მისმა მხედრულმა შემმართველობამ და სარდლურ-
მა ნიჭიერებამ ააღორძინა, განადიდა და უმადლესი რწმენით
აღავსო ქართული სული. თუმცა მას აკლდა გერშიანობა სა-
კუთარ ხალხში „შინაგან ძალთა“ მიგნებისა და გამონახვისა,

რას უნარიც ისე ქარბად გააჩნდათ დაეით აღმშენებელს და გიორგი ბრწყინვალეს.

ვინ იცის, ღამდენს შერჩა ქვეყნისა და ხალხისა და მათი ღირსეულობა თუ დაუფარავი დალატი. ხოლო სააკაძეს უნებლიეთ თუ რაზე შეეცა, იმ ცდომილებამ ყველაზე მეტად თვითონ მას და მის სისხლიერ მონაგარს ავნო. ორი ვაეკაცი შეილი უყოყმანოდ გასწირა და თვითონაც მთელი წუთისოდელი ჯვარზე ეკიდა სალოცავი საქართველოსთვის. ღამდენ მოლაღატეა ერგო პატივად ნაღალატევე მშობლიურ მიწაში განსვენებია. სოლო სააკაძის ტანჯულსა და წამებულ სხეულს არ იქნა და არ ეღირსა მისგანვე გაღმერთებულ ქართულ მიწაში დამიწება. არც ბრძოლის ველზე გმირის სიკვდილი ღირსებია საომარი თაღბონის სწორუპოვარ ხელოვანს.

აღსრულებულიყო პაატა სააკაძის მამა.

აღსრულებულიყო დვიძლი შეილი უბოროტესი დრო-ვამისა, მშვენიერი, სპეტაკი სულით, მაგტამ ავი დროის სახიჩარი დანაშრეგებით და ზადიერებით.

მადლიერმა და დიდსულოვანმა ქართველმა ხალხმა თან გააყოლა „დიდის“ სახელი — „დიდი მოურავი“ — ვითარცა დიდი ვახტანგ, დიდი დავით, დიდი თამარ, დიდი გიორგი, დიდი ლუარსაბ, დიდი სვიმონ.

მისი ბოზოქარი სახე საქართველოსა და წინა აზიის სისხლიანი ისტორიის ჩარჩოში გამოჩრევეთ გამოკვეთა და გაქვავდა.

ხოლო, თვითონ საქართველო ცხოვრებას განაგრძობდა — უ-ს ა ა კ ა ძ ე -ოდ.

ს ა ა კ ა ძ ი ს ს ი კ მ დ ი ლ ი ს უ მ ი მ დ ე ბ

იმვე 1629 წლის იანვარში, გიორგი სააკაძის დაღუბვამდე შეიდი თვით ადრე, გარდაიცვალა შაჰ აბასი და ირანის ტახტზე ავიდა მისი შვილიშვილი — შაჰ სეფი. ახალი შაჰის ტახტზე აყვანა, გარდაცვლილი „ლომი აბასის“ ანდერძით, განახორციელა მისმა უახლოესმა ხოსრო-მირზამ ისფაჰანის ტარუდამ და სამეფო გეარდიის ყულარაღასმა. ეს მაჰმადიანი ქართველი მაშინდელი ირანის ფაქტური გამგებელი შეიქნა.



თვითონ ახალი შაჰი უმწეო საქეთმპყრობელი გამოდგა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა „ნამდვილ მამას“ ხოსრო-მირზას მიანდო. ამიტომ გაიძახოდნენ მაშინ: ირანის სულთანს საქმე ხოსრო-მირზას ეკითხებოა.

ბოლო აღმოსავლეთ საქართველოში, ბაზალეთის ტრაგედისა და გიორგი სააკაძის განადგურების შემდგომ, სამი მთავარი მესვეური ღარჩა — თეიმურაზი, სვიმონ-ხანი (იგივე მეფე სვიმონ მეორე) და ზურაბ ერისთავი. სამივეს ცალკეულად, საკუთრივ და განუყოფლად ეგულებოდათ აღმოსავლეთი საქართველო.

თეიმურაზ მეფე, იმეამად „ყველაზე კანონიერი და აღიარებული“ ბაგრატიონი ხელმწიფე, მარტო კახეთს არ სჯერდებოდა და ახლა (გამორჩევით, „ყველაზე სახიფათო მეტოქის“ გიორგი სააკაძის მოსპობის შემდგომ) ქართლსაც თავისად მიიჩნევდა.

სვიმონ მეფე წარმომავლობით ბაგრატიონიც იყო და, რაც მთავარია, „სპარსეთის კაციც“. ამიტომ მას „ტფილისის ქუეყანასთან“ ერთად კახეთის შემოერთებაც „არ აწყენდა“.

ამ ორ ტახტს შორის ზურაბ ერისთავი იდგა, საქართველოს „მეორე ვმირი“ (რასაკვირველია, სააკაძის შემდგომ), რომელმაც თავისი „წონით“ ორი დიდი, ყველაზე სანიშან-სვეტო ბრძოლის სასწორი „გადასწონა“ — მარტყოფისა და ბაზალეთისა. ზურაბს ქართლ-კახეთზე „განუყოფელი“ მმართველობის „საკუთარი განაზრახვი“ ჰქონდა. მან კარგად იცოდა, არც ერთ ტახტზე არაგვის ერისთავს, თუნდაც თეიმურაზ მეფის სიძეს (მას ცოლად ჰყავდა თეიმურაზის ასული ხორეშანი), არაეინ დააბრძანებდა. ამიტომ ზურაბს „სწადოდა, რათა იყოს თეიმურაზ კახ-ბატონად და სვიმონ ქართლისად და ორნივე იყენენ მავედრენი მისნი“. ორივე იყოს და ორივენი მე შემოირჩილებოდესო, — ფიქრობდა ერისთავი და გულდინჯად „აწონასწორებდა“ ქართლ-კახეთის „სასწორს“ ჯანიან ხელში.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს ზურაბ ერისთავიც უნდა მიმხედარიყო, რომ „ვერ ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად“. მაინც ძლიერი თეიმურაზი უფრო აფიქრებდა ზურაბს, ვიდრე სუსტი სვიმონი. ამას ისიც დაერთო, რომ სამუხრან-ბატონო მამულები, რომლებიც თეიმურაზმა ბაზალეთის

ბრძოლის წინ ზურაბს აღუთქვა, ახლა თავის შვილს, და ვით (დაათუნა) ბატონიშვილს მისცა. გიორგი საცაძის სიტყვები გაახსენდა ზურაბ ერისთავს: მე რომ ვიქნებოდა ჩემი მტრები მუხრანსაც ოხრად დაგირჩენენ და სიცოცხლესაცო. გამოერკვა ზურაბ ერისთავი. და ერთბაშად საცნაური შეიქნა, რომ არაგვის მბრძანებელი კართლ-კახეთის „სასწორს“ სვიმონ-ხანისკენ ჰბრძოდა. ზურაბი ტფილისის ხშირა სტუმარი შეიქნა. სვიმონ მეფე ზურაბ ერისთავს უკვე „მამას“ ეძახდა. ზურაბ ერისთავის წყალობით ახლა მთელი ქართლა სვიმონ მეფეს ემორჩილებოდა. სულ აიწყვიტა არაგვის ერისთავმა. ეამ-ეამად ქართლის სოფელ-ქალაქებსაც გაესეოდა და ძარცვავდა და აწიოვებდა. ასე, „საომარი წესით“ აიღო და გაძარცვა გორი.

ერთ დღეს თეიმურაზის შემონათვალე მოუვიდა: მე ახლა ირანს მივდივარ და შაჰს ყოველივე დაწერილებით უნდა მოვახსენო, რასაც ეგზომ კადნიერად სჩადიხარ საქართველოშიო. ეს რომ გაიგონა, ერთბაშად დაფრთხა და დადებლდა ხმალთავკვეთებაში სწორუბოვარი გმირი. მაშინვე თავისი კაცი გამოაკიდა სპარსეთისკენ მიმქროლავ თეიმურაზს — ნუ აჩქარდები ნუ წახვალ, მოერიგდეთ და შეერიგდეთო. წელში გაამართა თეიმურაზი და მაშინვე შემოუთვალა ზურაბს: „სიძეე მყავხარ და შეილად მიმჩინიხარ; როგორ არ იცი, რომ შეუგვანებელ-არს განწირვა სიძისაგან სიძამრისა?.. თუ არ დაიშლით, ბოლოს ვიხილოთ შენი და შენი სვიმონისა! ისე კი, მე შენთვის იერის პირისა და თიანეთის მამულებს მოცემა მიზღოდო“.

ამის მოსმენა და ზურაბი უკვე სვიმონ-ხანისაგან ერთბაშად თეიმურაზისკენ იყო პირმიქცეული. სულ მალე არაგვის ერისთავის ასეთ „გარდასახვას“ მუხანათურად სისხლის დაქცევაც მოჰყვა. ზურაბმა სვიმონი სხვილოს ციხეში მიიბატეა. ნადიმის შემდეგ, მძინარე მეფეს მკვლელი შეუგზავნა და გულში ხანჭალი დააკერეცინა. თავი მოჰკვეთა და თეიმურაზს გაუგზავნა.

თეიმურაზი ამოდენა მსხვერპლს არ მოელოდა და მეტოქის მოკვეთილი თავი დაიტირა: „საცოდავო ხელმწიფეო, ცრემლები მახრჩობს და უდიდესი მწუხარება მეუფლება როცა ვხედავ შენს ესოდენ უბედურებას, — ვინც გიყვარდა

იმან ვილაღატა, და, ახლა აღატც ის მიხარია, შენგან დიდი-
ლებული ქართლის მფლობელი რომ შევიქნები“

ეს ამბები 1630 წელს დატრიალდა — იმ წელს საქართველოში
საქ შაჰ სეფი ჯარს აგზავნიდა ბაღდადს, თურქთა შემოტევას
უქუხავდებოდ. საბღდად ხოსრო-მირზა დაეყენებია შაჰს —
მისი „მამობილი“, ყულარაღასი და ტარულა. სწორედ მაშინ
მოუსწრო შათიჩმა საქართველოდან სვიმონ-ხანის მკვლელო-
ბის ამბით. სვიმონი ზომ ხოსრო-მირზას ძმისწული იყო და —
მაგ სისხლს ბაღდადიდან რომ მოვბრუნდები მაშინ მოვიკი-
თხავო, — თქვა ხოსრომ, და შაჰშაჰ დასძინა: მანამდე ისიც
გაიბრკევეა, რას აბირებს თეიმურაზიო.

თეიმურაზმა კი, ისევ ზურაბ ერისთავის წყალობით, ქარ-
თლი და კახეთი ერთ სამფლობელოდ გაიერთიანა. მხოლოდ
ტფილისში იდგნენ სპარსელნი. მაგრამ თეიმურაზ „ორისავე
ტახტის მქერის“ და არაგვის ერისთავის „ერთეული პატრო-
ყმობაც“, „მოყვრობაც“ და „მამაშვილობაც“ დიდი ცოდვას
სისხლით გაეღწითილ შლამზე იდგა. უკვე სისინებდნენ ენა-
ნი „ფოლადის დამადნობელნი“: ზურაბ ერისთავი ძალიან
განდიდდაო, ზურაბ ერისთავი მეფეს მეფედ არა სცნობსო,
ზურაბ ერისთავი „ვისაც უნებს მოჰკლავს, ვისაც უნებს გა-
ნაძებსო“, ზურაბ ერისთავმა თავისი კეთილისმყოფელი სვი-
მონ მეფე მოჰკლა და იგი არ დაინდობს „უფტო დიდ მეფესა-
ცო“. ზოგი იმასაც ჩასჩინებდა თეიმურაზს: სპარსეთის შაჰს
„მისი კაცის“, სვიმონ-ხანის სისხლს არ შეგვარჩენსო; შაჰს
რომ შეგვარჩინოს, სვიმონის ბიძა ხოსრო-მირზა მაინც არ გვა-
პატიებსო. მთელი ირანის საქმეები ახლა-ხოსრო-მირზას ეკ-
თხება და იმან რომ მოინდომოს, ძმისწულის სიკვდილის მო-
მიზეზებით დიდ უბედურებას რასმე დაგვატეხსო. ამიტომ
აღატ ეგვიანების: ზურაბ ერისთავი, ვითარცა სვიმონ-ხანის
მკვლელი, უნდა მოიკლას და მისი თავი ირანში შაჰ სეფისა და
ხოსრო-მირზას გაეგზავნოსო...

და თეიმურაზმა „სარწმუნო აღამიანები“ შემოიყარა...

და სიმამრმა სიძე საფურცლეს სანადიმოდ მიიწვია. მივი-
და ზურაბიც გულდანდობილად. პირისპირ მიუსხდნენ სუფ-
რას თეიმურაზი და ზურაბი. ზურაბს მარჯვნივ ბარამ საგა-
ნაშვილი ჩაუჭდა, მარცხნივ — ელუმ თოღუმშივილი, ფშავის
მოურავი.

პურობა ჩათავდა. ღვინობაც განესრულა, და ის იყო, ხოლო
ლობას უნდა შესდგომოდნენ, რომ მეფემ, ერისთავისგან
შეუმჩნევლად, ბარამ საგინაშვილს ანიშნა. საგინაშვილს უწევდა
მოდგა და სუფრიდან გადავიდა. გადასვლა და იქნებოდა
ლმა — „ესეც შენა მოლაღატვე, მკვლელო, კახის ნაშობო!“ —
დააყოლა საგინაშვილმა. თავგაჩეხილი დაემხო სუფრას ზუ-
რავ ერისთავი. სისხლმა იქექა, სუფრა გადირბინა და მკერდ-
ზე დაეძვრა თეიმურაზს. წამოიჭრა თეიმურაზი. წამოიჭრა
ზურავ ერისთავიც. და იმ წამსვე ელემ თოღუმიშვილმა შიგ
მარცხენა ძუძუში შეუგდო სატყეარი. ისევ დაენარცხა სუფ-
რას ერისთავი მომაკვდავი ნადირის ზმუილით. კიდევ ათიო-
დე ხმალი და ხანჯალი შემოჰკრეს, მაგრამ იმ ორი პირვანდე-
ლის გარდა ყველა დანაკრავი შეუგრძობლად უნდა დარჩე-
ნილიყო უკვე არყოფნის მორევში ჩათრეული სხეულისათ-
ვის. სისხლისა და ღვინის ნაზავ ტბორეში ეგდო ზურავ ერის-
თავი. ღალატით აღსრულებულიყო მთელი მისი წუთისოფე-
ლი ღალატის წყურვილ-დაურწყულელებელი კაციშვილი. აღარ
იყო ზურავ ერისთავი — ხან დიდი მამულიშვილი. ხან მამუ-
ლის მამხარი და სისხლმაქცევარი, ხან გულმზურვალე ერის-
კაცი, ხან რენეგატი ერისწყეული, ხან ზნემაღალი ზრდილი
ვაჟკაცი, ხან უზნეო ლოთი და მრუში, „მეზობლის ქალთა“
საკინძის მოხარბე, გმირი მარტყოფისა და მარაბდისა, ცოდ-
ვისშვილი ბახალეთისა.

თავი გააგდებინეთო, — ამოიხრიალა თეიმურაზმა და სი-
სხლიან მკერდზე დაიკრითა ათრთოლებული ხელები...

...ხოსრო-მირზა ახალი მობრუნებული იყო ბაღდადიდან,
სადაც მას დაემარცხებინა და განედევნა თურქთა არმიები.
და სწოროდ მაშინ ჩამოუტანეს შაჰს საქართველოდან ზუ-
რავ ერისთავის თავი. ორივეს ესიაშოვნა — შაჰსაც და მან
„მამიკოსაც“. ორივემ ერთად გადაწყვიტეს: ქართლი და კახე-
თი ორივე თეიმურაზს დარჩესო, ოღონდ ტფილისს არ ახ-
ლოს ხელი ქართველმა მეფემო. ასე დაადგინეს და თეიმურაზს
საგანგებო რაყამი და ძვირფასი ხალათი გამოუგზავნეს.

მაგრამ მალე გამოიჩინა, რომ თეიმურაზის გულის მოგე-
ბა ისევ არ იყო იოლი საქმე. საქართველოდან ისევ ფრიად
სამშფოთარი ამბავი მიიღეს ირანის მესვეურებმა: კახეთში
ივრის ხეობაში, შეთქმულებმა და ადრე ფიც-ვერცხლით შე-

ქმობილებულმა თეიმურაზ მეფემ და დაუდ-ხან უნდად
„სტუმრად მიყვანილი“ შეიდასი ირანელი ამოაწყვეტინეს
კახელებსო.

უფრო ადრე თეიმურაზ მეფე ევროპაში ეძებდა მოკავ-
შირეებს, სპარსეთის სარეევანშო აგრესიების უკუსაგდებად.
1626 წელს თეიმურაზმა რომის პაპთან და ესპანეთის მეფეს-
თან გაგზავნა ნიკიფორე ჩოლოყაშვილი-რუმ-
ქიძე (ევროპელები „ირბახს“ ეძახდნენ), დიდად განსწავ-
ლული საეკლესიო მოღვაწე, დიპლომატი და პოლიტიკოსი,
პოლიგლოტი, „ბრძენი ფილოსოფოსი და რიტორი“. მაგრამ
რჩეულმა ელჩმა თავის მეუფეს, პაპის „მწურვალე ეპისტო-
ლეს“ გატდა, ვერაფერი ჩამოუტანა სახელმწიფო ტალანტე-
ბით ლატაკი იმდროინდელი ევროპიდან.

ზ ე ო ბ ა რ ო ს ტ ო მ მ ე ფ ი ს ა

„მეველს ნაშობმა მეფემან ხაქმე ქნა
მეღაურისა“.

• რ ხ ი ლ ი

ქართველი კაცის დამარცხება არავის ისე არ ემარჯვება,
როგორც ქართველ კაცსო,— იყო მოარულ „შეგონებად“
სპარსეთში დიდი შაჰ აბასის დროიდან. იმავე შეგონებას უეჭ-
ველად ქარგად იცნობდა შაჰ სეფიცი, რომელსაც არ აყლდა
ირანში ისეთი ქართველები, საქართველოში ლაშქრობას რომ
„არ დაამადლიდნენ“. სწორედ „ამნაირი ქართველები“ სჭირ-
დებოდა ახლა შაჰს „იმნაირი ქართველების“ წინააღმდეგ,
როგორიც თეიმურაზ მეფე იყო. ბოლოს და ბოლოს, „ქარ-
თული სახელმწიფო სამართალიც“ ამას კარნახობდა ირანის
შაჰს: ქართლის ტახტი თეიმურაზს „უკანონოდ უჭირავს“;
ქართლისთვის იგი „მშობლიური მეფე“ კი არ არის, არამედ
„ამყარა დამპყრობელი“! კახელებიც ქართველების „დამპყ-
რობელნი“ არიან; ამას თვითონ კახელებიც არ ფიცავენ და
ქართლებს „ხმლით დაჭირულს“ ეძახიან! და ყველაფერი
ეს ხდება მაშინ, როცა ქართლს თავისი საკუთარი, „მშობლი-
ური“, „კანონიერი“ სამეფო კაცი მყოლია.



ეს კაცი ვახლავთ ხოსრო-მირზა, ქართულად ქაიხოსრო ბატონიშვილი, ქართლის ბაგრატიონთა პირდაპირი შტოს შთამომავალი; შვილი დავით (დაუდ-ხან) ბატონიშვილისა მეფე დავით მეფერთმეტისა, შვილიშვილი დიდი ლუარსაბ პირველისა, ძმისშვილი დიდი სვიმონ პირველისა, ბიძაშვილი მეფე გიორგი მეათისა, ბიძა მეფე ლუარსაბ მეოთხისა.

აქამდე, შაჰის ტახტის გარდა, ყოველი სხვა უმაღესი „ტახტი“ დაეპყრო ირანში ხოსრო-მირზას. მაგრამ ქართლის სამეფო ტახტ-გვირგვინის დაუფლების წუურელი არასოდეს განელეზბია უკვე 67 წლის კაცს. იყო ნიჭიერი, იყო ჰქვიანი, იყო მამაცი, იყო „ხერხიან-ილათიანი“ და იყო ირანის შაჰის „უსაყვარლესი გურჯი“, და აღესრულა მისი მარადი სურვილი: შაჰ სეფიმ ხოსრო-მირზას მისცა ქართლი. სიმამაცისა და გმირობისთვის დაარქვა სპარსული სიტყვიერების ყველაზე დიდი გმირის სახელი — როსტომ, ანუ როსტომ-ხანი. უწოდა „ვალი“ („მოადგილე“). ამიერიდან შაჰის ყოველ საქმიან და შინაურულ მიმოწერაში ასე გატარდება — „ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხანი“. ხოლო ქართველებმა მას დაარქვეს როსტომ მეფე. თვითონ იგი თავს უწოდებდა და ხელრთვად ურთავდა, ვითარცა — „მეფეთ-მეფე და პატრონი“ ქართლისა. საყურადღებოა ისიც, რომ შაჰ სეფიმ როსტომ-ხანს ქართლის გამგებლობასთან ერთად ძველი თანამდებობებიც დაუტოვა. ამიერიდან როსტომი ქართლის მეფეც იყო, ირანის ყულარაღასც და ისტაქანის ტარულაც.

მაშ, 1632 წლიდან ქართლის მეფობა წაერთვა „უკანონო“ თეიმურაზს და გადაეცა „კანონიერ“ როსტომ-ხანს, ანუ როსტომ მეფეს. ის კი არა და, თეიმურაზი, აქამდე „ორისაც ტახტის მკერი“, გადაყენებულია კახეთის მეფობიდანაც. და მის ნაცვლად კახეთის მმართველად დანიშნულია ირანელი მოხელე სალიმ-ხანი.

...შაჰ სეფიმ როსტომ-ხანს საქართველოში თანამოლაშქრედ კიდევ ერთი როსტომი დაუნიშნა. ეს იყო როსტომ-ხან სააკაძე, ირანის საომარ ძალთა მთავარსარდალი, ანუ ამირსპარსალარი.

ეს როსტომი ბეჟან სააკაძის შვილი იყო. ბეჟან სააკაძე ადრე დაუდ-ხანს (ხოსრო-მირზას მამას) გაპყლია



ერთგულ აზნაურად სპარსეთში. სპარსელები მის უარა-ბეჯან-
 ბეგს ეძახდნენ საარაგო სიმამაცისათვის. მერე საქართველოში
 შივ დაბრუნდა ბეჯანი თავის ოჯახით. მაგრამ მისი მოსახლე
 მოსისხლე ფარსადან ციციშვილმა მოაკვლევინა იგი, ცოლ-
 შვილიც აუწიოჯ და უკანვე სპარსეთს გადაჰხვეწა. დაობ-
 ლებული 11 წლის როსტომი დიდმა შამ აბასმა აიყვანა პი-
 რად ღულამად. მალე დაწინაურდა და სახელი გაითქვა. ახლა,
 საქართველოში გამომგზავრების უამს, როსტომ-ხან სააკაძე
 არის ირანის ჯარების ამირსპარსალარი და თავრიზის ბეგლარ-
 ბეგი. გადახდილი აქვს ბევრი ომი, მაგრამ მის მხედრულ
 გვირგვინთაგან გამორჩეულად ბრწყინავენ: გალაშქრება ვა-
 ნის ციხეზე, ქურთების განადგურება, თურქთაგან ბაღდადს
 გამოსხნა, ომი ჰამადანს, ჰელეს ციხის აღება. ახლა კიდევ
 „ყველაზე დიდ სახელს“ საქართველოში ლაშქრობით გამოე-
 ვლის ჯერ ისევ ახალგაზრდა (43 წლის) პატივმოყვარე „გურ-
 ჯი სპასალარი“..

...და ამა, ქართველები მოუძღვიან საქართველოსკენ
 130000-იან სპარსულ მხედრობას — როსტომ-ხან ბაგრატიო-
 ნი და როსტომ-ხან სააკაძე.

თეიმურაზს დროზე შეეტყო ორი როსტომის გამოლაშქ-
 რების ამბავი, და დროზევე დაეგზავნა საომარი წვევა ქართლ-
 კახეთის ყველა კუთხეში. მაგრამ არაფერ არ მოეშველა და
 მარტოდ დარჩენილი თეიმურაზი იძულებული გახდა ოჯახით
 ისევ იმერეთს გაქცეულიყო.

როსტომ მეფე მოვიდა გორს და იქიდან ყველას სამშვი-
 დობო მიმართვა დაუგზავნა: ვინც ადგილზე ხართ, მშვიდად
 იყავით და თქვენი საქმე მშვიდადვე აყეთეთო, ვინც გაქცეუ-
 ლები ხართ, სამალაგებიდან გამოდით, თქვენს კერას დაუბ-
 რუნდით და სრული უშიშროებით განაგრძეთ თქვენი ცხოვ-
 რებაო. ყველამ იცოდეს, მე ქართლის საპატრონოდ და მო-
 სავლელად მოვედი და არა დასაპყრობად და დასამონებლ-
 დო. ჯარშიც ასეთი ბრძანება გასცა როსტომ-ხანმა — რომელი
 ჯარისკაციც ადგილობრივ მოსახლეს შეაწუხებს, იმ ჯარის-
 კაცს უაშველად მუცელზე გაეფატრაო.

მალე დადასტურდა, რომ როსტომ მეფის სიტყვა და საქ-
 მე ერთი იყო. მართლაც, იგი ქართლის „გადასამუნებლად“
 კი არა, „მოსამუნებლად“ ყოფილა მოსული. მალე ყველა თა-



ვადი და აზნაური მოვიდა ქართლის „ნამდვილ მეფესთან“
ფეხზე სამთხვევად. ერთმა, სააკაძეების მოსისხლე დასჯიდან
ციციშვილმა ვერ გაბედა როსტომ მეფესთან გასულიყო და
ვერ გაბედა იმიტომ, რომ იქვე როსტომ-ხან სააკაძე იღვკა
სწორედ ის როსტომ-ხან სააკაძე, რომელიც ფარსადან ციცი-
შვილმა ყრმობის ასაკში დააობლა — მამა მოუყლა, ოჯახი
დაუქცია და სამშობლოდან გააქცია.

თვითონ გაუძახა ლაშქარი საციციანოში როსტომ სააკა-
ძემ, ფარსადან ციციშვილის სამფლობელო ააწიოკა ააოხრა,
გადარცვა და მოსტყვევნა.

როცა ეს ამბავი როსტომ მეფემ შეიტყო, რისხვით აღიფ-
სო და როსტომ სააკაძეს შეუთვალა: ვინ მოგცა ნება, ასეთი
რამ უჩემოდ გაგიბედავსო? საქართველო ისედაც აოხრებუ-
ლი არის და რაც გადარჩენილა, იმასაც შენ მიოხრებ და მი-
ტიალებ, — მაშ, შე რიღას ბატონი და პატრონი ვყოფილვა-
რო?!

როსტომ-ხან სააკაძემ არ მოუხარა თავი როსტომ მეფეს
და საჩივარი გაგზავნა შავთან სპარსეთში. საჩივარი აფრინა
მეფემაც. შავ სეფიმ, როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ თა-
ვისი „ერთგული მამიკოს“ მზარე დაიჭირა და როსტომ-ხან
საკაძე სასწრაფოდ საქართველოდან გაიწვია...

...მაშ, ქართლის ტახტზე ზის როსტომ მეფე (1632-1658).
ზის და განაგებს ქართლს „ქართულად“: ქართული ენით და
სიტყვიერებით, ქართული წესით და ადათით, ქართული მი-
წათსაკუთრებით და მიწათმეურნეობით, ქართული ხელოს-
ნობით და ხელოვნებით, ქართული სულით და ქართული გუ-
ლით. საქართველოს „სრული გაათათრების“ განაზრახი აღტყ-
ვეთა სპარსეთის შესვეურებს. მათ საკმარისად უნდა მიეჩნიათ
ყოველწლიური ხარკის აკრეფა, „მისართმეველის“ მირთმევა
და ქარის გაყვანა საქართველოდან.

მაგრამ საქმე ისედაც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ როს-
ტომ-ხანმა სპარსელობას პირწმინდად უღალატა და ქართ-
ველობას სულხორციანად დაუბრუნდა. საქმე ისაა, რომ იგი
ქართულისა და სპარსულის „ნებაყოფლობით შერიგებასა“
და „შერწყმას“ ცდილობდა. რა ვუყოთ, რომ როსტომ მეფე
ტფილისში სახელმწიფო საქმეებს ქართულ ენაზე აწარმოებ-



და (აქი თვით დიდი შამ აბასიცი ძალიან ხშირად სპარსეთს
სატახტოშიც ქართულად ლაპარაკობდა).

მაინც და მაინც როსტომის მმართველობით „ახალი-ქართლი“
დადგა საქართველოს მატაიანეში. მისი მოსვლიდან მთელი 112
წლის სიგრძეზე (1632-1744) ქართლის გამგებელნი მხოლოდ
სპარსელი მოხელენი — „ხანები“, „ვალები“ თუ „ჯანიშინე-
ბი“ იყვნენ, მართალია, ქართველები, მაგრამ მაინც სპარსე-
თის კარზე სპარსულად აღზრდილნი, გამაჰმადიანებულნი და
„გარდასახულნი“.

საუკუნეზე უგრძესი დრო-ეპი წარიმართა, ვითარცა უდი-
დესი გამოცდა ქართული კულტურის გამძლეობისა, ცხო-
ველმყოფელობისა და უკვდავებისა. როსტომ-ხანისა და მისი
მომდევნო „გურჯი-ხანების“ მმართველობის დროინდელ ქარ-
თულ და სპარსულ კულტურათა „შერწყმის პოლიტიკა“ ისევ
და ისევ „ქართულ სისტემათა“ გამარჯვებით გათავდა. ქარ-
თულმა კულტურამ, ბუნებრივია, მაღალი ირანული სულიერ-
ი და ნივთიერი მეგვიდრეობიდან ბევრი რამ შეითვისა და
გაითავისა, მაგრამ თავის მხრივაც მრავლად „ჩაასესხა“ და
„ჩაასისხლხორცა“ სპარსულს ქართულმა.

შეწყდა სპარსულ-თათრული შემოსევები საქართველოში.
ქართველ კაცს საშუალება ეძლეოდა მშვიდობიან ცხოვრე-
ბას დბრუნებოდა.

როსტომ მეფეზე მაინც დაბეჭიბებით ამბობდნენ: იგი,
ვითარცა ქართლის მეფე, ირანის ყულარაღასი და ისფაჰანის
ტარულა — „განუყოფლად“ განაგებს ქართლსაც და სპარ-
სეთსაცო. ქართლში ქართული თანამდებობანი უკლებლივ
და უცვლელად დატოვა, მაგრამ მათ გვერდით სპარსულიც
შემოიღო და სპარსეთიდან ჩამოყვანილ გამაჰმადიანებულ
ქართველებს ჩამოურიგა. ოღონდ კი მისი ერთგულნი ყოფი-
ლიყვნენ და ყველას ერთნაირი სიუხვით სცემდა პატივს —
დამხვედრ „სჯულიერ ქართველსაც“ და მომსვლელ „გადარ-
ჯულებულ გურქსაც“. ქართული ცხოვრების გარეგნულსა და
შინაგან სახეს ზელს არ ახლებდა, მაგრამ თვითონ სპარსეთი-
დან თანმოყოლილ „გურჯებთან“ ერთად სპარსეთში გაჩვე-
ული წესითა და ადათით ცხოვრობდა.

ქართველთაგან ბევრი ისევ ინარჩუნებდა ძველ ქართულ
ღირსებებს: „იყვნენ მხნენი, ტყულ-მტკიცენი, წრფელნი, ვერ-
ცხლის უყვარულნი“.



მაგრამ როსტომის მხლებელ თათართაგან და გათათობულ ქართველთაგან „შერჩიით ქართველთა განცხრომერ, ცხვრე-ქმე-ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუელი, ზორცხ-ჯანსუქმცა-ბა, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე მეოსანი“. „და მას ეამსა იწყო ქართლის წესიან და რიგმან გარდაცვალება, და უოველთავე შეიყვარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყვარეობა, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან, და განმრავლდა ტანთ-ცმა ყიზილბაშურად, და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან განმდიდრდებოდნენ და რაყმით იშოვნოდნენ მამულესა“.

ბევრი ქართველი, საეროც და სასულიეროც, აყვა ცდუნებას: ქონებას ეხარბებოდნენ, ქრთამს ღებულობდნენ, მოფენილზე ფეხმორთხმულნი უზომოდ ჭამდნენ და სვამდნენ, ცრუობდნენ, მრუშობდნენ, მთელი დღეები აბანოს ორთქლში ჩანთქმულნი ბაიათებს ჰკიოდნენ, თეძობის მრუში მიმოტანით როკავდნენ.

ბევრ ქართველს რვალის მკლავი დაუცომადა, მუცელი დაუზორზოსდა და თეძო დაუდებლდა.

როსტომ მეფე დანგრეულ ქრისტიანულ ეკლესიებს აღადგენდა, ახლებს აშენებდა, შესაწირავეებით ამდიდრებდა, წირვა-ლოცვას ესწრებოდა და თვითონაც, სპარსელთაგან შეფარვით, ქრისტიანულად ლოცულობდა. ქრისტიან მოწესეებს ჯამაგირს უნიშნავდა, თავმდაბლად და ტკბილად ექცეოდათ“. სათქმელად ემარა — მან „აღამენა წმინდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხვანიცა...“ აღადგინა დანგრეული გრემი, შისი სასახლე და მისი ტაძარი.

მაგრამ როსტომმა ისნის ქართული, მამაბაბური ციხე და სასახლე შიატოვა და საცხოვრებლად სიონ-ანჩისხატს შორის დასახლდა, მტკვრის პირას. აქ „აღამენა სახლი ყიზილბაშური კეკლუცად და ტურფად ნაგები“. მდინარის გაღმავამოღმა ციხეებიც ააგო, ბაღებიც და მეჩეთებიც. მეტეხისა და ნარიყალას ციხეებს ახალი ზღუდეები შემოავლო და შიგ ყიზილბაშური ციხიონები ჩაასაგრა.

როსტომ მეფემ ფულის ყადრი იცოდა და ვაჭარ-ხელოსნობას ძალიან აქეზებდა და მფარველობდა. გამორჩევით ტფილისელ და გორელ სომეხებს ეხმარებოდა, ემზრუნველებოდა და ემეგობრებოდა. სომეხთა კათალიკოსი როსტომს სომეხთა



მოამაგესა და მეგობარს უწოდებდა. საქირო შემთხვევაში როსტომ მეფე მისებრ „ხერხიან და ილათიან სომეხებს“ უწოდებდა. ურჩებელი ქართველი თავადების წინააღმდეგაც კარგად იყო ცნობილი.

შენდებოდა და მრავლდებოდა ქართული სოფელი. როსტომ მეფის დროს ქვემო ქართლში 61 დაცარულეული სოფელი დასახლდა, ქართლ-კახეთში 12 გაუკაცრიელებულ სოფელი აღორძინდა.

როსტომ მეფეს გაჰყავდა გზები, წყალსადენები, სარწყავი არხები, აგებდა ხიდებს. წისკვილებს, სავაჭრო ქარავანებს, საფოსტო და სამიმისვლო სადგურებსა და სასტუმროებს. ყველაზე დიდი, გუმბათიანი ხიდი მდინარე ხრამზე ააგო, განჯისკენ მიმავალ გზაზე. ხიდთან საგანგებოდ სოფელი დასახლა და საფოსტო სადგური — „ქარაიან-სარაიცი“ ააგო, „რათა მგზავრი არ გაისარგოს, სადგომი და საქმელი მზად დახვდესო“, აქედან (1652 წლიდან) იწყება „თავის ისტორიის“ სახელგანთქმული „გატეხილი ხიდი“...

...სპარსეთიდან ჩამოსულ როსტომ მეფეს არც ცოლი ჰყოლია და არც შვილი. და ჩამოსვლისთანავე, 67 წლის კაცმა ცოლად შეირთო ახალგაზრდა ქალი, ქეთევანი, გორჯასები აბაშიშვილის ასული. მაგრამ ქალმა დედოფლად ერთი თვეც ვერ მოათია, ისე გარდაიცვალა მოულოდნელად. გამწარდა როსტომი, ესოდენ გვიან გახსენებულზე რომ უმუხთლა ბედმა. ტახტის მემკვიდრე ეჩქარებოდა, რათა დროზე წამოსწოდა მომავალი სისხლიერი შემცველი ესოდენ სანატრელი ქართული მეფობისა. და როსტომ მეფემ მეორედ იქორწინა. ამჯერად ცოლად შეირთო ოდიშის მთავრის ლევან დადიანის და მარიამი, ქალი ძალზე ლამაზი და განათლებული. ამ ქორწინებას პოლიტიკური სარჩულიც გააჩნდა: ოდიშის მთავარი და იმერეთის მეფე დანასისხლად იყვნენ ვადამტერებულნი. თანაც როსტომის მეტოქე თეიმურაზი იმერეთის მეფეს აფარებდა თავს. ისე გამოდიოდა, რომ როსტომს და ლევან დადიანს საერთო მტრები ჰყოლიათ, ამიტომ საქირო იყო „გაერთიანებული მტრების“ საპირისპიროდ თვითონაც გაერთიანებული იყვნენ როსტომი და ლევანი. ასედაც მოხდა — კიდევაც შეკავშირდნენ, კიდევაც დამოყვრდნენ.

1634 წელს თეიმურაზ მეფე უეცრად გადმოვიდა იბრა-
თიდან კახეთს, კახელები აიყოლია და შეუტია შაჰისგან აქ
გამოგზავნილ სალიმ-ხანს. სალიმ-ხანმა ძლიერ მოეწინააღმდეგა
„ფეხშიშველამან“, ხოლო მისი ყიზილბაშური ჯარისკაცები
ამოწყვეტეს კახელებმა. ისევ „იწყო კახეთმან შენობად და
მოსახლეობად“. მაგრამ თეიმურაზმა იცოდა, რომ ირანის
შაჰი და როსტომ მეფე კახეთის წართმევას ასე იოლად ვერ
მოინებლებდნენ. ამიტომ ისევ დაიწყო დიდი მოკავშირის ძებ-
ნა თეიმურაზმა. ეს „დიდი მოკავშირე“ ისევ რუსეთი უნდა
ყოფილიყო.

ქართველი მეფე რუსთა ხელმწიფეს მიხეილ რომა-
ნოვს ერთხელ კიდევ ატყობინებდა საქართველოს გასაჭირს.
ატყობინებდა, რომ სამის მხრიდან ისევ განუწყვეტლივ ესხმი-
ან თავს საქართველოს სპარსელები, თურქები და ლეკები, იქ-
ნებ როგორმე ბოლოს და ბოლოს მოეშველოს დიდი რუსე-
თი ჯარით და ფულით მის „მომშე საქრისტიანოს“. მაინც არა-
ფერი გამოვიდა. მხოლოდ 20000 მარტჩილი გამოუგზავნა მი-
ხეილ რომანოვმა თეიმურაზს; თან სპარსეთის შაჰთან შეა-
მდგომლობასაც შეჰპირდა.

როსტომ მეფემ კი დიდძალი ჯარი შეჰყარა და დაიძრა
თეიმურაზთან საომრად. თეიმურაზმა შერიგება სთხოვა მე-
ტოქეს. როსტომი დათანხმდა. შაჰიც შეურიგდა კახეთის
ტახტზე თეიმურაზის აღდგენას. ეს დიდ გამარჯვებად უნდა
ჩათვლილიყო, ვერ — ამოწყვეტილი კახელი ხალხისთვის, მე-
რე — მათი დაქანცული ხელმწიფისათვის. ირანმა ისევ სცნო
კახეთის დამოუკიდებლობაც და მარად „რჯულშეუცვლელი“
თეიმურაზის „დამოუკიდებელი მეფობაც“.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თვითონ თეიმურაზი არ
სცნობდა არც როსტომისა და არც სპარსეთის შაჰის მბრძა-
ნებლობას საქართველოში. 1642 წელს შაჰ სეფი მოკვდა და
ირანის ტახტზე ავიდა მისი ძე შაჰ აბას მეორე. ამა-
ვე წელს თეიმურაზმა ომი აუტეხა როსტომ მეფეს. მაგრამ
ისევ დამარცხდა და კვლავ შერიგება ითხოვა. ისევ დათმო
როსტომმა. ისევ დარჩა კახეთის ტახტზე თეიმურაზი.

1648 წელს ისევ შეიბნენ როსტომი და თეიმურაზი. ისევ
გაიმარჯვა როსტომმა. თანაც, ბრძოლაში დაიღუპა თეიმურა-
ზის ერთადერთი ვაჟი დავით (დათუნა) უფლისწუ-



ლი. განადგურებული თეიმურაზი ისევ იმერეთს გადაიხვე-
წა.

ეროვნული
ენების

მინც არ აიღო ხელი ბრძოლაზე თეიმურაზმა. თის დახმარების მოიძებდა და მოსწრაფე იყო. შეუჩნდა იგი ალექსანდრე იმერთა მეფეს და დაიყოლია, სასწრაფოდ ელჩები გაეგზავნათ მოსკოვში და დახმარება ეთხოვათ რუსთა ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძე რომანოვისათვის. და 1649 წელს მოსკოვში ჩაეიდნენ ქართველ მეფეთა ელჩები — თავადი ივანე გრიგოლაშვილი, არქიმანდრიტი პანოში, მღვდელი დავითი და ბერი ვასილი. იმერეთის მეფე რუსეთის ხელმწიფეს „მფარველობაში აყვანას“ სთხოვდა. თეიმურაზი ალექსი რომანოვს 20000 რუს ჯარისკაცს სთხოვდა დამხმარე ძალად. 1650 წელს ქართველი ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ საჩუქრებით, ტკბილი სიტყვებითა და სამომავლო დაპირებებით დატვირთულნი. მათ რუსი ელჩებიც ჩამოყვანენ, ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევილიევი. 1651 წლის ოქტომბერს იმერეთის მეფე ალექსანდრე შესამეშ და მისმა დარბაზმა, რუს-ხელმწიფის მოთხოვნის თანახმად, ხელი მოაწერეს რუსეთის მეფის „ერთგულების წიგნს“. ხოლო, თეიმურაზისგან რუსებში, მისთვის „დახმარების“ გაღებამდე, მოითხოვდნენ ერთ-ერთი ქართველი უფლისწულის რუსეთის სასახლის კარზე გაგზავნას. ლაპარაკი იყო თეიმურაზის შვილიშვილზე — ნიკოლოზ (ერეკლე) დავითის ძე ბატონიშვილზე. თეიმურაზი თავის მხრივ ამას ამბობდა — ნიკოლოზს იმ შემთხვევაში გაეგზავნი, თუ რუსთხელმწიფე ცოლად თავის დას შერთავსო. ტოლოჩანოვს და იევილიევს კი ასეთი თანხმობის რწმუნება თავისი მეუფისაგან არა ჰქონიათ. ამიტომ შეთანხმება იმკერად არ შედგა და თეიმურაზს ისევ უნდა ეთმინა. მაგრამ ბოლოს, მოთმინებაც რომ დაეღია, 1652 წელს მან აღასრულა რუსეთის ხელმწიფის მოთხოვნა და მოსკოვს „ასაყვანად“ და „აღსაზრდელად“ გაგზავნა ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე.

რომანოვების სასახლეში ქართველი ბატონიშვილი, „ცარევიჩ ნიკოლაი“, უაღრესად შინაური და უახლოესი ადამიანი შეიქნა.

1658 წელს თვითონ ეწვია მოსკოვს თეიმურაზ მეფე. იგი



დიდის ბატონით მიიღო ალექსი რომანოვმა. მაგრამ, პოლონეთთან და შვეციასთან ომის მომხრეებზე, ქართველებზე დახმარებაზე უარი უთხრეს და ისიც ისევ „სამეფო“ დის“ ამარად უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში. სამგზავროდ ექვსი ათასი ფულად და ათასი მანეთის ღირებული სასამურები გამოატანეს. ეს უნდა ეკმარა „ჭერჭერობით“. რა გაეწყობოდა! ისევ უნდა „შერიგებოდა ბედს!“ ისევ უნდა ეცადა და ეთმინა ჭაში ჩაეარდნილი კაცის მოთმინებით. შეიღწეულს შეხედა უკანასკნელად თეიმურაზი, ნიკოლოზ ბატონიშვილს; აქაურ „ფიცებელ სასმელს“ ნუ მივძალებიო, დაარიგა, გამოეთხოვა და წამოვიდა. მოდიოდა და მაინც უხაროდა, რომ ტანზე რუსული სიასამური ემოსა და არა სპარსული ხალათი.

ასტრახანს რომ მოაღწიეს, საშინელი ამბავი დაახვედრეს: იმერეთს მომკვდარიყო მისი შეიღწეული ლუარსაბი. ჩამოვიდა და მეუღლე-დედოფალიც მიცვალებული და დაკრძალული დახვდა. უკვე აღარააინ აღარ დარჩენოდა მსცოვან ხელმწიფეს მოსკოვს მყოფი ნიკოლოზ-ერეკლე ბატონიშვილს ვარდა.

...მაგრამ მთავარი მეტოქე, ვისი ბრალითაც თეიმურაზ მეფე ამდენს ეწამა, ეთრია და ეთავყემა, რუსეთიდან მობრუნებულს ცოცხალი აღარ დახვედრია: მომკვდარიყო როსტომ მეფე...

...როსტომს საკუთარი შეილი არ გაუჩნდა და ტახტის მემკვიდრე სამჯერ იშვილა, მაგრამ სამი შეილობილიდან არც ერთი არ შერჩა. მეოთხედ სცადა, მაგრამ „მეოთხე შეილობილიც“ მანამ მოკვდა, სანამ მისი მემკვიდრეობის საკითხა საბოლოოდ გადაწყდებოდა. მაინც არ დადგა როსტომ მეფე და მეხუთედ სცადა ბედი. ამჯერად ბაგრატიონების მუხრანულ შტოს მიადგა „მემკვიდრის უფურობით“ ატანილი ბებერი ხელმწიფე. ეს ახალი სამემკვიდრო კაცი იყო ვახტანგ მუხრანბატონი, მარაბდის ბრძლაში დაღუპული თეიმურაზ მუხრანბატონის ძე, გიორგი სააკაძის შეილიშვილი დედის ხაზით.

ძალიან „უყუარდა როსტომ მეფეს“ ვახტანგ მუხრანბატონი, რომელიც ყოველთვის „იყო საქმის ხელ-გამომავალი, მხნე, ახოვანი და გამარჯვებული“. თეიმურაზ მეფესთან



ბრძოლაშიც პირველი უდგა მხარში ვახტანგი ქართლის მეფეს. და ამ უკვე მეხუთედ, შეილად, ანუ შემეკვიდრებდა, ანუ „ჩანიშინად“ (მოადგილედ) როსტომ მეფემ აირჩიეთ ვახტანგი მუხტანბატონი და დასამტკიცებლად გაგზავნა ირანს. შაჰ აბას მეორის კარზე ვახტანგი მისვლისთანავე „დიდად მიიჩნივეს“ და „დიდი პატივიც“ მიაგეს. მთავარი მაინც ეს რყო: მაშინვე „შეუცვეთეს სჯული შაჰმადისა“. ბევრი იუარა ვახტანგმა, მაგრამ ბოლოს, რაკი სხვა „არღარა დონე ჰქონდა“, ისიც „გათათრდა“. შაჰმა ქართლის მომავალი მეფე დაამტკიცა, ახალი სახელი — შაჰ-ნავაზ დაარქვა, კვლავ მრავალი წყალობა უყო, მრავალი მოსცა“ და ასე გამოისტუმრა საქართველოში...

და იდგა 1658 წელი.

და მომკვდარიყო ბატონიშვილი ქაიხოსრო დავითის ძე, ანუ ხოსრო-მირზა, ანუ როსტომ მეფე, ანუ როსტომ-ხანი, სისხლით „წმინდა ქართველი“ — მამით ბაგრატიონი, დედით ქართველი გლეხი; რჯულით შაჰმადიანი, სულით გახლეჩილი „ქართველ-თათარი“. მამაცი მხედარი, დიდი სარდალი და პოლიტიკური თავკაცი; ავი დრო-უამის ჰკვიანი და მკლავ-ლონიერი ეტლისმწაფელი; დიდი ვიორგი სააკაძის აღზრდილი, მისი წყალობით ამაღლებული და აღზევებული; მთელი ნახევარი საუკუნის სიგრძეზე სპარსეთის ტახტ-გვირგვინის „პატრონთა-პატრონი“, დიდი მხედრული „სახელები“ კაბუკობიდანვე მოსდევდა თუმცა დიდი სახელმწიფოებრივი „სახელოები“ ყოველთვის ასაკმორეულს ეწვეოდა ხოლმე: ისფაჰანის ტარულა შეიქმნა 53 წლისა, ირანის ყულარაღასი — 60 წლისა, საქართველს მეფე — 67 წლისა. მაგრამ მაინც მისი ჩაკირული სხეული და უძვრელ-უშფოთვარი გული საკაციშვილო წუთისოფლის სათავედამართო „მეორე ნახევარს“ კაბუკური აღმავლობის წლებად აქცევდა. სიბერე მისთვის თითქოს ზრდა იყო, დავაყვაცება და არა მიხრწნილება. ამიტომაც მისი ტარულობა გაგრძელდა 40 წელი, ყულარაღასობა — 33 წელი, მეფობა — 26 წელი.

და აღესრულა შობითგან 93 წლისა.

ორდღიანი „ქართული ტირილის“ შემდგომ სპარსეთს წაასვენეს და დაკრძალეს „წმინდა ქალაქ ყუმში“, დიდი შაჰ აბასის გვერდით.



ვ ა ზ ე მ ა ვ ე ლ ა

სანამ ვახტანგ მუხრანბატონს როსტომ მეფე შემევიდრედ აიყუანდა, მანამ ზაალ არაგვის ერისთავი და ელიზბარ ქსნის ერისთავი როსტომთან ერთად „ერთ ბანაკში“ იყვნენ, მაგრამ მუხრანბატონის მომავალი მეფობა ერისთავებმა იუკადრისეს და მაშინვე მას მტრად გადაეციდნენ. ვახტანგმა ერისთავებთან ზავის ჩამოგდება სცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, როსტომი მოკვდა. ვახტანგი გამეფდა. მაგრამ ზაალ ერისთავმა ქედო მაინც არ მოიხარა. იგი „უკუნ იქცა დუშეთს და არღატა იწება მონება ვახტანგისა“. ვახტანგმა „დრომდე“ გადასდო გაურჩებულ ფეოდალებთან ანგარიშსწორება.

ესე იწყებდა მეფობას ვახტანგ მეხუთე, შაჰ-ნავაზი (1658-1675) — პირველი მეფე ბაგრატიონი „მუხრანელი შტოისა“...

...როსტომ მეფისგან აღორძინებული, კერაგამთბარი ქართლი ახალი მეფის მმართველობის დასაწყისს კიდევ მეტი იმედისა და სამომავლო რწმენის თვალთ ხედავდა. მაგრამ ამდენადვე სახიფათო, სავაგლახო და სავაებო მდგომარეობაში ჩაეარდნილიყო კახეთი.

როსტომის დროიდან კახეთი ზაალ არაგვის ერისთავს ჰქონდა სამმართველოდ მინდობილი. მაგრამ ზაალ ერისთავი თავს იტყუებდა: სინამდვილეში კახეთს სპარსეთის მოხელე სელიმ-ხანი დასცხრომოდა თავს.

სელიმ-ხანს კი ირანის შაჰისგან დიდი ამოცანა ჰქონდა დაკისრებული.

კახეთის მოსახლეობის გაუტეხლობამ და მისი მეფის თემურაზის ცხოველმა „რუსულმა პოლიტიკამ“ ირანის სასახლის კარზე ისევ აღორძინა დიდი შაჰ აბასის უბოროტესი განაზრახი — კახეთიდან კახელთა აყრა და მათ ნაცვლად მომთაბარე ელებისა და თურქმანების ჩასახლება. და ამ განაზრა-

ხის აღსრულება ახლა სწორედ სელიმ-ხანს ჰქონდა დასრულებული.

პირველ ჯერზე ერთბაშად 15000 მრავალსულელები წმანული ოჯახი უნდა ჩაესახლებინათ შიდა და გარე კახეთის მაღლიან მიწებზე. უნდა ჩაესახლებინათ და როგორმე ეს ჭოჩად მლოდავნი მიწაზე დაემაგრებინათ, ხენა-თესვა, შენება და მკვიდრი ცხოვრება შეეთვისებინათ.

ელნი-თურქმანნი ყიშლად-იალადურ ცხოვრებას მისდევდნენ და ქინქლასავით მრავლდებოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ სულ მალე მთელი კახეთი ამნაირი „ქინქლებით“ გატენილიყო, მაღალკულტურული ქართული მიწათმეურნეობა დაქცეულიყო და ყიშლადური ჭოჩადმავლობით კახეთის დოვლათიანი მიწები სავსებით გაბერწყნებულიყო.

ასედაც დაიწყო. სელიმ-ხანმა ორ წელიწადში აზერბაიჯანიდან კახეთს თურქმანთა უძროები კალიასავით შემოუსია და ტანში ტყობასავით ჩაუქედა.

იღროვეს ლეკებმა და კახეთის სოფლებზე აბრაგული შემოსევები გააჩადეს. სელიმ-ხანი ლეკთა უაჩალობას თითქოს ვერა ხედავდა და კახეთის „თურქმანიზაციას“ გულდანდობილად განაგრძობდა.

სპარსეთის ხელმწიფემ, შაჰ აბას მეორემ, ეს საკმარისად არ მიიჩნია და თურქმანული კოლონიზაციის უფრო გაფართოებისათვის კახეთში საგანგებოდ გამოგზავნა ირანის მაშინდელი ყულარადასი და სპასალარი ალავერდი-ხანი.

ალავერდი-ხანმა კახეთში სამი ციხე ააშენა — ბახტრიონს, ალავერდს და ყარაღაჯს. საამისოდ ირანიდან ხუროთმოძღვარი, კალატოზები, მშენებლები და ფულიც კი გამოგზავნეს. სამივე ციხეში ძლიერი ყიზილბაშური ციხიონები ჩააყენა ალავერდი-ხანმა. ამ სამ ციხეს უნდა დაეცვა ყიზილბაშობა და თურქმანობა კახელი შურისმგებელი გუნდების თავდასხმებისაგან.

ბახტრიონის დიდი ციხის (სიგრძით ას მეტრზე მეტი) მშენებლობა რომ დაამთავრეს, სელიმ-ხანს კახეთი ჩამოართვეს და ორად გაჰყვეს: მისი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთუზ-ყული-ხანს ჩააბარეს, ხოლო დანარჩენი კახეთი — ნახიქვენის ბეგლარბეგს ალი-ყული-ხან ქენ-გერლუს. ორივე ბეგლარბეგს შაჰისაგან საგანგებოდ ებრა-

ძანათ კახეთის მიწებზე თურქმანთა ჩასახლება-ფაქტობრივად დაჩქარება და გაფართოება.

კახეთის ბარში ერთბაშად 80000 ელი-თურქმანნი ჩასახლდნენ.

ბარი ილუპებოდა და მისი პურისა და ღვინის შემყურე მთიელობაც დაქცევისა და დამეხვის უფსკრულს მისდგომოდა.

ველური ელი-თურქმანნი ყრუ ვულცივობით ჩეხადნენ ქართველთა ხელით ნახარებ და ნალოლიავებ ვენახებსა და ბაღებს და საიალალო საძოვრებად აქცევდნენ აულტურულ მიწა-სავარგულებს.

სწორედ ამ უბოროტეს ეამს დაიბადა ეს უბედური, მწარე სიმღერა:

ბატრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ამბეტას ჩაგჭრით ვენახსა,
შიგ ჩავასახლებთ ელსაო!

...კახეთის მთა და ბარი საომრად იქურვებოდა.

დაპქროდნენ შურისმგებლური სახალხო რაზმები ხან აქ და ხან იქ ყიზილბაშთა და თურქმანთა ზარსაცემად და სისხლის საქცევად. ხალხის წიაღში შობილნი შექმნილიყვნენ მშობელი ხალხისვე ბელადნი — ლეგენდარული თუში ზეზვა გაფრინდაული და ზევსური ნადირა ბოშარეული, ფშაველნი — გურგენ ჭინჭაძეული, გოგოლაური და ძმანი გულუხიძენი, ალვანელი ფუნჩაიშვილი, თუშები — შველაიძე და საღირიშვილი.

აქანყება დღედღეზე უნდა დაწყებულიყო. მეთაურები იყვნენ — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი და ეპისკოპოსი ალავერდელი. სათათბიროდ შეიყარნენ ზაალ არაგვის ერისთავის კარზე, დუშეთში. ზეზვა გაფრინდაულიც მოიწიეს („შემოიფიცნება მთის კაცნი თუშნი“) და მტკიცედ გადაწყვიტეს აქანყება „უსჯულო თათართა“ ამოსაწყვეტად და კახეთის გასათავისუფლებლად. საომარი განაზრახიც განსაზღვრეს და გაითვალეს. საპაემნო ადგილებიც დაიგულეს, საიდუმლო ნიშნებიც



დაინიშნეს და გულს დაიდუმეს, ერთმანეთს შექტყნეს. იარაღი „მოიყარგეს“ და გაუჩინარდნენ.

ზაალ ერისთავი თვითონ არ წასულა ბრძოლაში (არც რაიმე იცოდა ამ ბრძოლისა). სამაგიეროდ თავისი ძე ზურაბი გაგზავნა არაგველთა ჯარით.

...საომარი განაზრახი იყო მარტივი, გაბედული და გამანადგურებელი: ნაშუალამეკი, ერთდროულად და ანაზღვეულად, უნდა დასცემოდნენ თათართა მთავარ ბუდეებს, ბახტრიონსა და ალავერდს. და ორ ნაკადად დაიძრა ქართველთა ლაშქარი — კახელები ბიძინა ჩოლოყაშვილის სარდლობით ალავერდისკენ მიისწრაფიან; ქსნისა და არაგვის ჯარები შალვას, ელიზბარისა და ზურაბის მეფაურობით თიანეთს გადაივილიან, ახმეტას ჩავლენ და ბახტრიონს მიადგებიან. ბახტრიონისკენ მიუძღვის ზეზვა გაფრინდაულიც უკულმა დაქვდილ ცხენებზე ამხედრებულ მთიელთა ლაშქარს...

1659 წელი (დღე უცნობი). ნაშუალამეკი. ბახტრიონი.

მოივრისე რაზმს მიუძღვის ზეზვა გაფრინდაული.

ნაბდით თავწაქრულ პალოებს ზეზვა ურჭობს და საოცარი სისწრაფით არბის ციხის კედელზე. უკვე კედელს მოეველო და გადაეველო, „გადაფრინდა ბახტრიონ გალაგანზედა“. სხვებიც მიჰყვნენ, მთიელნი — თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი — კედლებზე „ჩიხებრ მსლტომელნი“. ციხის ალაყაფს დაეძგერნენ. გუშაგები ჩაბოცეს. ხმლის ჩახაჩუბმა და მომაკვდავთა ბლაკილმა ფეხზე წამოგადო ყიზილბაშთა ბანაკი, მაინც დაასწრო გაფრინდაულმა კარის ვალები. ციხეში ნიაღვრად შეაგდეს ქსანელთა და არაგველთა ჯარები შალვამ, ელიზბარამ და ზურაბმა. ახლად აღმობდენილ მზეს მეწამული სამოსელით შეეგება ბახტრიონი. ყიზილბაშთა უმრავლესობა დაირცა მთივე სისხლით ატალახებულ მიწაზე. ერთმა ნაწილმა მაინც მოახერხა გარეთ გაღწევა და ალავერდისკენ გაქცევა. გამოედევნენ ქართველები. ალავერდის ციხეში თავშესაფარებლად გარბოდნენ ბახტრიონის ჯოჯოხეთიდან თავდახსნილი ყიზილბაშები და არ კი იცოდნენ, რომ ალავერდშიც „ის ჯოჯოხეთი“ დატრიალებულიყო, რაც ბახტრიონში დატრიალდა.

ბიძინა ჩოლოყაშვილს და მის კახელობას ალავერდი უკვე აედოთ, იქაური ირანული ციხიონი სანახევროდ ამოეკლიტათ,

დანარჩენ ყიზილბაშობას ალავერდის გალავნიდან გამარჯვ-
წია და ბახტრიონის ციხისკენ მირბოდა თავშესაფარებად.
სწორედ საოცარი „სახილველი“ იყო: „ბახტრიონის ყიზილ-
ზილბაშები“ ალავერდს გარბოდნენ, „ალავერდელი ყიზილ-
ბაშები“ — ბახტრიონს!

და ზედ შუა გზაზე. ალვანის ველზე, ერთმანეთს შეასკდა
ორის მხრიდან თავების მტერეციით მომლტოლვარე „ორი ცი-
ხის“ ყიზილბაშობა. და სანამ გონს მოეგებოდნენ, „შესაბამი-
სად“ ორივე მხრიდან წამოეწივნენ და წამოესივნენ შურის-
გების ცეცხლით აღუღებული ქართველები. წამოესივნენ და
ისე გაწყვეტეს, ცოცხლად მოამბეც არ გაუშვიათ.

როგორც კარგი მთიბაეის ხელით „ლესურად“ მოთიბული
ბალახი ისევ ცერზე დადგება ხოლმე, ასე „ფეხზე შეყენებულ
ძნებად“ ეყარა დახოცილ ყიზილბაშთა გროვანი.

და თქვა მაშინ ზეზვა გაფრინდაულმა: „როცა დახოცილა
მტერი ასე დათიბული ბალახივით ფეხზე დადგება, ხმალი უნ-
და შეაყენო და ბრძოლის ველს გაშორდე, რადგან მაინც ცო-
დო არს ადამიანი!“

„ადამიანი?!“

„ჰო, რამეთუ მტერი მტერია, მაგრამ მაინც არის ადამი-
ანი“.

და ცოცხლები მკედრებს გაშორდნენ.

იმ დღიდან იმ ადგილს, მტრის სისხლით და ძვალ-ხორ-
ცით გაპოხილ მიწას, ხალხმა დაარქვა „გაწყვეტილა“.

„გაწყვეტილადან“ ქართველები თურქმანთა დასახლებებს
მოედნენ და დედაწულიანად გაეღოტეს ყველა, ვისაც ამ
დღემდე წილი დაედო კახური ოქაბის დაქვეყნაში, კახური ვა-
ზის განებვაში, კახური სალოცაევი მიწისა და წყლის შებილ-
წეაში...

...„ბახტრიონულმა ომმა“ მტერიც და მოყვარეც ერთხელ
კიდევ დაარწმუნა ქართველი ხალხის გაუტეხლობაში. უძლე-
ველობასა და უკუდაგებაში. ირანის სასახლის კარმა ეგზომ
დიდი მსხვერპლის სამაგიეროდ დამსჯელი „ილღარის“ მოწყობა-
ბაც ველარ შეუბედა საბალხო აფანეებით ანთებულ კახეთს.
კახეთის „თურქმანიზაცია“ შეწყდა. მსლოდ აფანეების მე-
თაურების დაჰქისათვის სამზადისს შეუდგა სპარსეთის ხელი-
სუფლება (აკი ასე ზღბა თითქმის ყოველთვის: ხალხის რისი-



ვით ზარდაცემული ხელისუფალნი აჯანყებულ ხალხს უცოდველ კრავად ჩათვლიან და გულის ჯავრს ხალხის ქვეყნულნი ბზე ამოიყრებინ).

სპარსელებმა ჯერ ზაალ არაგვის ერისთავს დაადგეს თვალი, ვითარცა აჯანყების მეთაურს. ზაალმა თავისი „უდანაშაულობა“ იმით „დაასაბუთა“, რომ აჯანყებაში პირადად მონაწილეობა არ მიუღია და ყველაფერი ბეგლარბეგ ალი-ყული-ხან ქენ-გერლუს „ცოდ ქცევას“ დააბრალა. ალი-ყული-ხანი შაჰმა ბეგლარბეგობიდან გადააგდო და კახეთი მთლიანად მურთუზ-ყული-ხანს ჩააბარა, მაგრამ ზაალ ერისთავი დაუსჯელად მაინც არ დატოვა. სპარსელებმა არაგვის ბატონის განადგურება მეფე ვახტანგ შაჰ-ნავაზს დააყენეს.

ვახტანგ მეფე ამდენხანს თითქოს განზე იდგა, თითქოს მას „ბახტრიონული ომისა“ არც არაფერი სცოდნოდა. სინამდვილეში ვახტანგის „ზომიერი პოლიტიკა“ კახელთა აჯანყებაში მის პირად მონაწილეობას გამორიცხავდა; მაგრამ კახელთა შურისმაძიებლური ხელით სპარსელთა ამოწყვეტას სულით და გულით თანაუგრძნობდა. ხოლო, რაც შეეხება თვითონ ზაალ ერისთავს, მისი პირადი განადგურება ვახტანგს კიდევაც ჰქონდა გულს ამოჭრილი. ზაალ ერისთავი ქართლის მეფას განუყოფელ ხელისუფლებას ებრძოდა. ცალკე „ხელმწიფობას“ ჩემულობდა და კახეთის მიტაცებისთვისაც თავს არ იზოგავდა, და ეს ყოველივე მაშინ, როცა ვახტანგ მეფე, ვითარცა ქართლის უმაღლესი ხელისუფალი, თვითონ აპირებდა კახეთის შემოერთებასაც და საარაგვის სრულ დამორჩილებასაც.

მერმე, როცა დასავლეთ საქართველოში შინაფეოდალური არეულობა გახშირდა, ვახტანგ მეფე ჯარით წავიდა იმერეთისკენ (იქნებ, დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზეც ოცნებობდა ვახტანგ შაჰ-ნავაზი), ხოლო ზაალ ერისთავმა მაინცდამაინც მაშინ „აიტეხა“ აჯანყება კახეთში და იმერეთისკენ მიმავალი ვახტანგიც იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფეს ზაალ ერისთავი უნდა მოესპო და მოსპო კიდევ; იგი მისსავე ძმისწულებს მოაყვლევინა, დუშეთის სასახლეში. სიკვდილს გაასწრეს ზაალის შვილებმა, ზურაბმა და ნაბერალმა, მაგრამ ისინიც შეიპყრო ვახ-

ტანგმა, შეიპყრო და ორივე იარსს ვაგზავენა. ზურაში, ვითარცა
ბახტრიონის აჯანყების მოწაწილე და ერთ-ერთი მეთაურის
სპარსელმა ჯალათებმა ციხეში ჩაკლეს, ხოლო ნახტანს
აბას მეორემ გაათათრა და პირად ღულამად აიყვანა.

არავეის ერისთავობა ეახტანგ მეფემ მისცა ზაალის
მკვლელ ძმისწულთაგან ერთ-ერთს — ოთარს, რომელსაც
ცოლად ჰყავდა თვითონ მეფის დაი...

...ზაალ ერისთავის განადგურებისთანავე დადგა საკითხი
აჯანყების ნამდვილი ბელადების — ბიძინა ჩოლოყაშვილისა
და ქსნის ერისთავების დასჯისა. რაკი საქართველოს „ყოვე-
ლი საქმე“ როსტომ მეფის შემდგომ ეახტანგ მეფეს „ეკითხე-
ბოდა“, ბუნებრივად, ბიძინა, შალვა და ელიზბარი სწორედ
ეახტანგთან უნდა მისულიყვნენ მსჯავრის მისაღებად. მაგრამ
ქართველები ქართველს არ ენდნენ. კახეთის აჯანყების ბე-
ლადები ეახტანგ მეფის ნაცვლად ყიზილბაშ მურთუზ-ყული-
ხანს ეახლნენ ყარაღაჯში.

სპარსელმა ბეგლარბეგმა სამივე ქართველი — ბიძინა ჩო-
ლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი — მისე-
ლისთანავე შეიპყრო და ირანს ვაგზავენა, შაპის სამსჯავრო-
ში.

შაპ აბას მეორე თავისი დიდი წინაპრისა და სეხნიის მიმ-
დევარი და მიმბაძველი იყო. ეს „პატარა შაპ აბასი“ დიდი
შაპ აბასივით ცდილობდა ყოველი დიდი ქართველი თათრო-
ბის გზაზე შეეგდო და თვითონ საქართველოს სამტროდ და
საზიანოდ, სპარსეთის „ისტორიის მკედლად“ გადაექცია.

ასე დაუბიჯეს მაშინ ბახტრიონის აჯანყების მეთაურებ-
საც. სამივეს იგივე უთხრეს, რაიც სპარსეთში მოუსმენია „მი-
ლიონ ერთს“: ან მაჰმადიანობა მიიღეთ და სპარსეთის სამ-
სახურში შედით, ან სიკვდილისთვის მოემზადეთო.

სამივემ, უყოყმანოდ, ქართველობაზე და ქრისტიანობაზე
ხელის აღებას სიკვდილი არჩია.

ბიძინამ მშვიდად უთხრა შალვას და ელიზბარს: „ძმებო,
ნუ მოვეშვებით და ნუ შევშინდებით, რამეთუ სიკვდილი
ჩვენს უკითხავად დაბადებიდან თან მოგვდევს, ვერც ვერა-
ვინ წინააღუდგების სიკვდილსა, და რაკი უნდა მოგვედეთ,
ბარემ მოგვედეთ ქრისტესთვის და საქართველოსთვის და სა-
მარადყამოდ დავიმკვიდროთ სასუფეველი!“

არც შალვას და არც ელიზბარს წაქეზება არ სწორდება დათ, რადგან არც ერთი მათგანის გულსა და გონებას სხვა რამ აზრი არ გაჰყარებია — მხოლოდ სიკვდილი ღმერთისა და ღმერთისა და ქართველობისთვის!

სამივემ „განბასრეს (გაკიცხეს) და გინებულ ჰყვეს სჯული „მაჰმადისა“. სამივემ „ერთხმობით“ სამარეში ჩასატანად დაინარჩუნა ქრისტიანობა და ქართველობა.

გაცოფდა ირანის მბრძანებელი. და, — „ეითარცა წესი და ჩვეულება არს თათართა, რამეთუ მკვლელს ხელში მისცემენ მოსისხარსა“, შაჰის ბრძანებით სამივე ქართველი მამულიშვილი მიუგდეს იმ ელ-თურქმანებს, რომელთა ნათესავნი ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავთა მეთაურობით ამოწყვიტეს ქართველებმა ბახტრიონულ ომში.

ალბათ, რამდენჯერ უნატრიათ პირუტყვეულად გონება-ბრჯვე ელებს ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავთა სისხლის დაღვეა! და აი, ახლა აესრულდათ ეს დღე-ღამ დაუღვენელი სანატრებელი. და წამებასაც ხომ მრავალი საუკუნის „პრაქტიკულ-ნოვატორული“ ისტორია ჰქონდა ირანულ-თურქმანულ ტომებში.

და აწამეს დიდი ქართველი მამულიშვილნი.

ასოეულებად ასტრეს და აკაფეს („ხოლო უწყალოთა მათ მტარვალთა იწყეს რა მოკრად თვითთულთა ასოთა ყოველნივე თითნი ხელისა და ფეხისანი მოჰკვეთნეს თვითთულად საბსარ-სახსრად. და შერე, მაჟა-იდაყვნი, და მზარნი, და ფეხნი კოჭებიდგან მუხლებადმდე. და ესრეთვე თქონიცა...“).

ასოეულებად აკრილნი და აკაფულნი ისრებით დაცხრილეს, მახვილებით დაჩეხეს, ტყეობით დახერიტეს.

ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაშთები ვეროპელმა კათოლიკე ბერებმა მოიპარეს და იდუმალ დაკრძალეს, სადღაც უცნობ ადგილას.

შალვასა და ელიზბარის ცხედრები, როგორც იქნა, მათმა სევტაშავებულმა მეუღლეებმა გამოიხსნეს, საქართველოში ჩამოასვენეს და ქსნის ერისთავთა საგვარეულო იყოფთის მონასტერში მიაბარეს მიწას.

ქართველმა ხალხმა გააღმერთა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და მათა ქსან-ერისთავთა სახელები და მათი სამამულიშვილო საქმენი. ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა სამივე

გმირი, წამებულნი ერისა და სარწმუნოებისათვის. ბრძოლა, შალვა და ელიზბარი სამშობლო ქვეყნისათვის, თეოდორე მღვდელის შარავანდედით შემკობილნი შეუერთდნენ ირმ-კარგმშენ ნოებრივ და საეროვნებო რაინდთა გუნდს, რომელთა შორის ბრწყინავდნენ: დავით და კონსტანტინე მხეიძენი, გობრონი, კონსტანტი კახი, შალვა ახალციხელი, თევდორე მღვდელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე და პაატა სააკაძე.

ასე დაასრულა სიცოცხლე ბახტრიონული ომის მეთაურთა „თავადურება წრემ“. რაც შეეხება აჯანყების „ხალხურ წრეს“, ამითთავანნი არც ქართველ მეფეს ენდნენ, არც ქართველ თავადებს, არც სპარსელ ბეგლარბეგებს და არც სპარსეთის შაჰს. იმათ საერთოდ არც უფიქრიათ „რაიმე შერიგება“ ან საერთოდ იარაღის დაყრა და მორჩილებით მუხლის მოკეცვა. ისევ იბრძოდნენ თუში ზეზვა ვაფრინდაული, ხევსური ნადირა ხოშარეული, ფშაველი გოგოლაური. ისევ იბრძოდნენ „სანამ პირში სული ედგათ“. იბრძოდნენ, ვინათგან შეურყეველად სწამდათ მათი მშობელი ხალხის გაუტეხელობისა, უძლეველობისა, მარადიულობისა.

განუხომლად დიდი მოკლენა იყო ქართველი ხალხის მატრიანში „ბახტრიონული ომი“. შესატყვისად, დიდად მეხოტბეებიც გამოუჩნდნენ ამ საოცარ სამამულიშვილო გმირობას — სამი გენიალური მეხოტბე:

ქართველი ხალხი — „ხალხური პოეზია“,

იაკობ წერეთელი — „ბაში-აჩუკი“,

ვაჟა-ფშაველა — „ბახტრიონი“.

გახტრონიდან ესპინძაძემ

ძნელი საქმე მოვიდა ჩვენზედა,
აქ ღმერთი არის და ქაბუღობა
ჩვენი დამარხუნული!
ამირან დარეჯანიანი

თეიმურაზის საწუთროს დასასრული

„რად სოფელო, სხვა არ დასწვა
ჩემებრ, მე მქვენ დასადაგვი?
გლახ, ლახვარი სასიკვდილე
წააღა მე მკარ, დასად აგვი!“

თეიმურაზ პირველი

იმერეთში ღვინაღვლიანი შინააშლილობა და ტახტის ვარშემო ბრძოლა არ წყდებოდა. ვახტანგ ქართლის მეფე ქართლს გადავიდა და ჩაერია დასავლეთ საქართველოს ასე გაუთავებლად მოუწესრიგებელ საქმეებში. აქვე იგი შეხვდა თეიმურაზ მეფეს, ნახევარსაუკუნოვანი სამამულო ხმალი-კვეთების მთავარ გმირს. სავსებით დაბერებულ იყო და გატეხილიყო, სულითაც და სხეულითაც. და თეიმურაზმა ვახტანგ მეფეს ირანის შაჰთან შერიგება სთხოვა! უსაზღვროდ გაახარა ვახტანგი ირანთან მარად შეურიგებელი ლეგენდარული გმირის ამ მოულოდნელმა თხოვნამ. მაშინვე ბეჭითად დაარწმუნა და დაანუგეშა, შაჰი დიდის პატივით, სიხარულით და სიყვარულით მიგიღებს, შეგირიგებს და „შეგიტაბობსო“. სახლთუხუცესი გივი ამილახორი ამილით აახლა თეიმურაზს

და ტფილისში გაგზავნა. იმერეთის საქმეებს რომ მოელონო, მეც ტფილისს გადახლები და იქიდან ირანს გაგვსტუმრებო და აბარა ვახტანგმა თეიმურაზს.

ვახტანგ მეხუთემ დაიპყრო ქუთაისი, დაიპყრო ოდიში, ოდიშიში მთავრად დასვა ლევან მესამე და დიანა. ხოლო იმერეთის სამეფო გვირგვინი თავზე დაადგა თავის უფროს ძეს, 14 წლის არჩილს (1661).

იმავე 1661 წელს, ტფილისში დაბრუნებისთანავე, ვახტანგ მეფემ ბრწყინვალე ამაღა აარჩია, მეთაურად ისევ გივი ამილახორი უჩინა და მათი თანხლებით თეიმურაზი სპარსეთს გაგზავნა. წინასწარ შეატყობინა შაჰ აბას მეორეს ვახტანგმა: თეიმურაზი მოეშურება შენთან სტუმრად და შესარიგებლადო. თეიმურაზ მეფე მოეშურებაო? ისიც, თავისის ნებითა და ფეხით მოდისო? ცას ეწია შაჰი სიხარულით. მართლაც, რა საოცრება იყო: დიდი შაჰ აბასი ისე ჩავიდა საფლავში, თეიმურაზის ქედის მოდრეკას ვერ ეღიროსა, და ახლა, დიდი შაჰ აბასის ოცნება ასე უბრალოდ და უმსხვერპლოდ უსრულდება „მცირე შაჰ აბასს“! ირანს ნებდებოდა მისი ნახევარ-საუკუნოვანი დაუძინებელი მტერი, „რუსთმოყვარე“ თეიმურაზ მეფე!

შაჰის ბრძანებით, საქართველოდან ისფაჰანამდე, მთელი გზის გასწვრივ სპარსელები დიდი „ფიშვანებით“ (სახეიმო შეხვედრებით) ეგებებოდნენ მხცოვან მტერს, გმირსა და ხელმწიფეს. ისფაჰანს რომ მიადწიეს, სატახტოში ძებორციელი აღარავინ დაკავებულა — მთელი მოსახლეობა, დიდიან-პატარიანად და ქალიან-კაციანად, ქართველებს შემოეგება. ქალაქის ალაყაფთან ეთიშადოვლე (დიდვეზირი) დაუხვდა თეიმურაზს, თავყანი სცა და თავისი სასახლისკენ წარუძღვა უკვე მიმწუხრის ეამი დამდგარიყო და ეთიშადოვლეს მდიდარი საეახშმო სუფრა — გაეწყო ქართველი სტუმრებისათვის. მოხუცი მეფე ნადიმს დიდხანს არ შერჩენია და დასასვენებლად შევიდა მდიდარულად მორთულ სანთითობოში.

წაძინება ძლივს მოასწრო, რომ ვილაყამ გამოალეიძა, ფრთხილი ხელის შეხებით. ეს თვითონ შაჰ აბასი ყოფილა. იგი თავისი ფეხით მოსულა „ძვირფასი სტუმრის“ სანახავად! ასეთ პატივს სწორედ არავინ მოელოდა.

თეიმურაზი ფეხზე წამოიჭრა და მუხლის მოყრა დააპირა,

მაგრამ შაჰმა არ დაანება, ფეხზე წამოაყენა და ისე გადაუხურა როგორც „შვილი მამას“. ძალიანძალიად სამგლოვიარო საცმელი გამოუცვალა შაჰმა თეიმურაზს და მამიქე, სანადიმო სუფრაზე გაიტაცა. მთელი ღამე და მეორე დღის მზის დაფუძებამდე გაგრძელდა სმა, ზმა, სანადიმო ლიწინ-ლიწინი. დასასრულს, „ვითაც შვილმან მამას“, შაჰმა თეიმურაზს „ათასი თუმანი თეთრი და ათასი თუმნის ფარჩა“ მიართვა. უხვად დააგიღდოვა ქართველთა ამაღაც, გამოტყვევით გივი ამილახორი, ტომელიც შაჰს ძალიან მოსწონებია „შვენიერობისთვის და კარგ საქციელობისთვის“. ამილახორი და სხვანი ქართველნი თეიმურაზს გამოეთხოვნენ და საქართველოსკენ გამობრუნდნენ.

ღღე და ღამე არ შორდებოდა შაჰი თეიმურაზს. „ანადიმე-ზღა და ანადირებდა თვისთა-თანა და ნიჭვიდა მრავალსა“.

მაგრამ სტუმარ-მასპინძლის „შეხმატკბილებული ცხოვრება“ ერთბაშად მოვარდნილმა საშფოთარმა ამბავმა შეაჩეხა. და ისევ საქართველოდან მოდიოდა ეს „შემარყვეველი“ ცნობა. თურმე საქართველოს მთაში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ისევ აუსხამთ იარაღი ქართველებს. „ბახტრიონული ომა“ მხოლოდ დასაწყისად მიუჩნევიათ მთიელ მამულიშვილებს. ელნი და სპარსელნი დიახაც დაეიდრინეთ, მაგრამ კახეთა მაინც სპარსეთის შაჰისა და „გათათრებული ქართველი“ ხელმწიფისგან საბოლოოდ უნდა გათავისუფლდეს და ისევ თავისი საკუთარი ბატონ-პატრონი დაუბრუნდესო!

კახეთის „საკუთარი ბატონ-პატრონი“, რასაკვირველია, თეიმურაზი იყო, მაგრამ რაკი მოხუცმა მეფემ იმერეთიდან, ქართლის გავლით, სპარსეთს ჩაიტანა სული, კახეთის მთიანეთმა თურმე ხელმწიფედ და „პატრონად“ რუსეთიდან მოიხმო თეიმურაზის შვილიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე.

ნიკოლოზი აგერ რვა წელიწადი იმყოფებოდა მოსკოვში „ვითარცა ძე“ რუსთა ხელმწიფე ილექსი რომანოვისა.

ილექსიმ თავის „საყვარელ შვილობილს“ საქართველოში წამოსვლის წინ დიდი „გაცილება“ მოუწყო. სამკერ „სამსაფეხურიანი მიღებით“ მიიღო, ნადიმ-ღრეობანი გაუმართა უმაღლეს სახელმწიფო მოხელეთა და ბოიართა თანდასწრებით. თავის გვერდით, სადაფის მაგიდასთან, ხელმარცვნივ დაისვა, ტკბილად, „შინაურულად“ ესაუბრა, უხვად დაასა-



ჩუქრა და შინ თავისი სამეფო კარტით გაისტუმრა. ბოლო მხედრია სოფელ პოკროვსკოეში დაუნიშნა აფექციონის თველ შვილობილს“. მეფესთან მიმავალი ნიჭიერების ტას სამასორმოცდაათი რუსი მხედარი მიაცილებდა. ამდენ-ვე ცხენოსანი და მოისარი მისთვის განკუთვნილი ბინის წინ ჩამწკრივებულყო სახელმწიფო აღმებითა და დაფდაფებით.

მთელი დღე ერთად გაატარეს მეფემ და „სამეფოდ გაზადებულმა“ უფლისწულმა. ბოლოს, აღექსიმ ახალ ტანსაცმელში გამოაწყო ნიკოლოზი, ძვირფასი საჩუქრებიც უბოძა, სახარყო ფულიც „ჩაუჭიბა“, დალოცა, გამოეთხოვა და გამოუშვა. 1660 წლის 3 ივნისს გამოემგზავრნენ საქართველოსკენ ნიკოლოზი და დედამისი ელენე. მოსკოვიდან თურგამდუ, მეფის ბრძანებისამებრ, ყველგან დიდის ზარ-ზეიმით ეგებებოდნენ ქართველ უფლისწულს. 1661 წლის ზაფხულის მაჩურულს თუშეთს მოაღწია ნიკოლოზმა. მოაღწია და მაშინვე შემოეყარნენ „მის იმედად დამდგარი“ მთიელი პატრიოტები.

მოსვლისთანავე თუშებმა უფლისწულს ყრმობის სახელი — ერეკლე დაუბრუნეს (ამიერიდან ასე ეწოდა — ერეკლე ბატონიშვილი, ანუ ერეკლე პირველი).

და გამალეებით შესდგომოდნენ საომარ სამზადისს ქართველნი ერეკლეს მეთაურობით...

შამ აბას მეორეს თავზარი დასცა ამ ამბავმა. მაგრამ „თავიდან ზარი“ მოიშორა და თეიმურაზ მეფეს „ტყბილად“ ჩაუჭდა სალაპარაკოდ — შენი შვილიშვილი ჩამობრძანებულა რუსეთიდან კახეთში, თურმე ხალხს მიჭანყებსო. მე კი შენთვის მინდოდა დამებრუნებია კახეთით. ახლა ამას გირჩევიმ შენს შვილიშვილს კაცი გაუგზავნო და ჩემთან მოვიდეს და შეახლოს. სიტყვას გაძლევთ, არაფერს ვეუნებ, ძმისაგან შევიყვარებ და შევიტყობო, ოღონდ კი რუსეთს თავი დაანებოს და ჩემს სამსახურად დადგესო. თუ ამას აღასრულებთ, მაშინვე შენს კახეთს დაგიბრუნებთ, თქვენსავე სამეფოდ და საპატრონოდ, თუ არა და...

გასაგებად იყო ნათქვამი. ენდობოდა თუ არ ენდობოდა შამის „პატროსან სიტყვას“ თეიმურაზი, სულ ერთია, ტყვეს მისი მეუფის ბრძანება მაინც უნდა შეესრულებინა.

თეიმურაზმა ორი ერთგული კაცი გაამზადა საქართველოში გასაგზავნად. შამმა ქართველ მათირებს ერთი თავისი სპა-



რსელიც გააყოლა. ამით უნდა ჩამოეყვანათ ერეკლე ზატონა
 შვილი საქართველოდან სპარსეთში. ერკუნული

მაღე უკანვე მოხტუნდნენ წარგზაენილნი, მოჭრულნი და პირში ჩალაგამოვლებულნი. ერეკლეს ცივი უარი ეთქვა რუსთა და ქართველთა ღალატზე და სპარსეთს წამოსვლაზე. დედამისი ელენეც და საომრად შემართული მთიელებიც აღეშფოთებინა შაჰ აბას მეორისა და თეიმურაზის „მიწვევას“.

ყველაფერი მიანც თეიმურაზის ბრალისაო, აიღესა შაჰი. — აღბათ, ამ ცბიერმა ბებერმა რაიმე კალამბურით მიანიშნა თავის შვილიშვილს, ღმერთი არ გაგიწყრეს და მართლა არ წამოხვიდე სპარსეთსო...

დიდხანს იყო შაჰ აბას მეორე აღესილი, ბალანაშლილი და მძიმე ფიქრებით დარეგვილი. შერე ბრძანა, სანადიმო სუფრა გააწყვეთ და თეიმურაზი მომიპატოეთო. ისევ მოვიდა თეიმურაზი. ღვინო და ნანადირევი მიიძალა მისპინძელმა სტუმარს. ახლა ჩვენებური მარხვია და სახსნილოს არ გეახლებითო, იუარა თეიმურაზმა.

— ჩვენებურიო?! ქართულიო?! ქრისტიანულიო?! პო, მართლა, ეგ კარგი გამახსენე, ბოლოს და ბოლოს, სანამ უნდა სდიო ამ ქართულსა და ქრისტიანულს?! მე გირჩევ, გირჩევ კი არა, მოვითხოვ ქრისტიანული სარწმუნოება დააგდო და მაჰმადის სჯულს ეზიაროო! — იყვირა შაჰმა და ისევ მიიძალა ხორცეული სტუმარს.

— ვერც ქრისტიანობას მივატოვებ და ვერც მარხვას გაეტეხავო, — ცივად მოსკრა თეიმურაზმა.

ღვინით სავსე თასი აუძაგძაგდა ხელში შაჰ აბასს. ერთბაშად გაიჭნია და ღვინო სახეში შეაქცია თეიმურაზს. თხუთმეტი წლის ბიჭივით წამოფრინდა ფეხზე მსტოვანი მეფე, გულაწყვეტილი და სახელაღწილი. — მამატიეო, უმაღლვე შეფება შაჰმა — აკი შვილი შეცდება ხოლმე და მშობელ მამას ჰყადრებს რაიმე უყადრისსა, ხოლო მამა დიდსულოვნებით შეუნდობს შვილსო! რა გაეწყობოდა! „მამას შვილისთვის“ უნდა შეენდო და თეიმურაზმაც „შეიწყნარა“ შაჰის „უტაქტობა“.

მეორე დღეს შაჰმა შეუთვალა თეიმურაზს: აშრათს ვაბირებ წასვლას, თქვენც თან უნდა წაგიყვანოთ, მაგრამ მანამ

ქრისტიანობა უნდა დაავდოთ და მაჰმადიანად მოიწილოთ. თეიმურაზმაც მაშინვე უყოყმანოდ შეუბრუნა პასუხი: მე უკვე მოგახსენეთ და ახლაც იმავე აზრზე ვახლავარ. არამც და არამც არ მოხდება, ცოცხალის თავით ქრისტიანობას და ქართველობას გადავუდგე და თათრად მოვიწიოთ!

მაშინ, შაჰ აბასის ბრძანებით, თეიმურაზ მეფეს ბორკილები გაუყარეს და ასტრაბადის ციხეში ჩააგდეს.

ასტრაბადის ციხე! რამდენი ქართველი მამულიშვილის გული გაცივებულა მის ცრემლიან ჟურღმულებში! (აქ ეწამებოდა ქართლის მეფე ლუარსაბ მეორეც...).

და იქდა თეიმურაზ მეფე ასტრაბადის ციხეში და ელოდა სიკვდილს.

და დადგა 1663 წელი, მკაცრი, ყინვიანი, და ეწვია სიკვდილი თეიმურაზს... და გაჩერდა სამშობლოზე ზრუნვით და ურევით დამდნარი გული.

ყოველის დამაწყენარბელი სიკვდილის საუფლოში იწვა მთელი თავისი წუთისოფელი დაუწყენარბელი კაცო, — კაცო, რომელიც მცირე ხნით, „სულის მოსაბრუნებლად“ თუ მიაყრდნობდა ხოლმე მძიმე ცხოვრებით დამაშვრალ თავს — ხან საომარი ცხენის უნავირს, ხან ლირიკულ და ეპიკურ მუზათა კალთას. მთელი სიცოცხლის მანძილზე არც ერთი ანუ გაუგდია ხელიდან — არც მამულის საკეთილდღეოდ აღმოხდენილი ხმალი, არც ქართული ხატოვანი სიტყვიერების შემამკობელი პოეტური ქნარი. ასე იყო, რადგან „ორივე ბუნება“ მძლავრად ჩაბუდებულიყო მის სხეულში — „ბუნებაი კაცობრივი“ და „ბუნებაი საღმრთოი“. თუმცა იყო შემთხვევები, როცა მისი უდროეამოდ მოქნეული ხმალი შინაურ თანამოქმედს უფრო მეტ სისხლს აქცევიანებდა ხოლმე, ვიდრე ქართველი ხალხის მტერს და მოსისხლეს; და ზოგჯერაც მისი „პოეტური პიი-პუიცი“ მისსავე ხალხს საბედისწერო „ეპივიას“ გმინვად უჭდებოდა. მაგრამ თვითონ — მეფეს, სარდალს, მხედარს და პოეტს — ყოველთვის გულწრფელად სჯეროდა, რომ მისი ხმალიც და ქნარიც მხოლოდ სამშობლოს საკეთილდღეოდ იღვწოდა, იწვოდა და იხარჯებოდა. ამიტომაც ძნელი ზდება ეგზომ რთული, წინააღმდეგობრივ თვისებათა მქონე პიროვნების განსაზღვრებად მოიძებნოს რაიმე ერთი სახელნართაული სიტყვა. მაგრამ მაინც მის პიროვნებაში იყო ერთი

ყველაზე დიდი „მთლიანობა“ — მარად შეურყეველ რწმენა
 საკუთარი ხალხის დაუშრეტელი ძალმოსილებიდან, უძლევე-
 ლობისა და უკვდავებისა. დაეით აღმაშენებლისა და მისი
 ბრწყინვალის შემდგომ, საკუთარ ხალხში არაეის მსუ-
 ნათლივ არ ესახებოდა მარად „თვითაღდგომადი“ და „თვით-
 ამალორძინებელი“ ფენიქსი, როგორც მეფე თეიმურაზ პირ-
 ველს. ეს რწმენა, ვითარცა „განუქრელი თვისება“ (იოანე
 დამასკელის ფორმულა) მასში ყოველთვის „მაღალ დონე-
 ზე“ იდგა ერთნაირად — მისი პირადი თუ მისი ხალხის უსე-
 მოესი აღზევების დროსაც და უქვემოესი დაცემის ებსაც.
 საქართველო მისთვის უნივერსალური ფენომენი გახლდათ.
 სამშობლოსთან მიმართების გარეშე ყოველი „სხვა-არსი“ მის-
 თვის იყო მხოლოდ „არარსი“. მთელი მისი პირადი ცხოვრება
 უმძიმესი გოლგოთა იყო. მთელი მისი წუთისოფელი ამ ქარ-
 თველი იობს სამგლოვიარო თალხის გაძრობა არ ღირსე-
 ბია. ყრმობის ეამს დაობლდა მამით, მერე დედა მოუტლეს
 გაუგონარი ტანჯვა-წამებით. ორი ოჯახი მყავდა და ორივე მის
 სიცოცხლეშივე ამოუწყდა: მოესწრო ორივე მეუღლის სიკე-
 დილს, ორი ეავი შამ აბასმა დაუსახიჩრა და მოუტლა, ერთიც
 სპარსელეს შეაკვდა, ერთი ასულიც სპარსეთის შამის კარზე
 დაახრჩვეს. ერთი ქალიშვილი დარჩა და ისიც უშვილობიოდ
 გადაეგო. შვილიშვილ „გეარისგამგრძელებელთაგან“ ორი მო-
 უკვდა და ერთი ძლივს დაურჩა... მაინც იბრძოდა. იბრძოდა,
 რადგანაც ყოველივე პირადულზე მაღლა, გაცილებით მაღლა
 მაინც იდგა საქართველო! იგი იბრძოდა მაშინაც, როცა მისი
 სამშობლოს ძალ-ღონე ლამის უკანასკნელ მამულიშვილზე
 იყო დასული. იბრძოდა, რადგან რაღაცნაირი, აუხსნელი მის-
 ტურობით სწამდა, რომ არასოდეს მისი სამშობლო და მისი
 ხალხი არ დაიღუპებოდა. მისი ღრმა (გინა „მისტური“) რწმე-
 ნით, საქართველოს ასლავს მხოლოდ ფენიქსისებური „მოქ-
 ცევანი“ — ეამნი დაცემისა და ეამნი აღორძინებისა — და
 და ქართველი ხალხიც იარსებებს ამ ქვეყანაზე, სანამ აჯსე-
 ბობს „სხეული ცისაი“ და „სხეული მიწისაი...“

გამეფდა 16 წლისა, იმეფა და იომა 58 წელიწადი, აღეს-
 რულა შობითგან 74 წლისა.

საქართველოს დალოცვა მოასწრო.

ესეც დაასწრო სიკედილს: აქ არ დატოვოთ ჩემი ცხედა.



რი, მტრის მიწაზეო. საქართველოში წასვენეთ და იქ დაკრძალეთ, ჩემი კახეთის მიწაშიო.

ეროვნული

ერთგულ კახელთა ზეგნა-მუდარას შაჰმა ჭეჭეყინი (ქუჩა) ზოგა და „არ გამოუშვა“ თეიმურაზი საქართველოში. ზამთრიდან შემოდგომამდე ისევ გრძელდებოდა „ტყვეობა“ აღსრულებული გმირი ხელმწიფისა. მერე ვახტანგ ქართლის მეფემ შეუთვალა შაჰს: მაინც სჯობია ნება დართოთ და წამოასვენონ საქართველოში გარდაცვლილი ქართველი ხელმწიფეო. შაჰმა „შაჰ-ნავაზის“ თხოვნაზე მაშინვე თანხმობა ბრძანა.

წამოასვენეს კახელებმა თავისი ხელმწიფისა და პატრონის ცხედარი. ალავერდის ტაძარში დაკრძალეს, წამებული დედის წმინდა ნაშთთა გვერდით...

...ალაზნის გასწვრივ კახელ მხედართა გუნდი მიითქარუნობდა და მღეროდა:

იმ ადგილს კირიმე,
სად თეიმურაზ ბრძანდება;
დაიცივს წითლს კარავსა,
ზედ ოქროს სვეტი დადგება”...

მ ა შ ა - შ ვ ი ლ ი ს „ ს ი მ ფ ო ნ ი ა “

ირანის შაჰს თურქეთის სულთნისაგან რისხეანი წერილი მოუყიდა: ჩვენს შორის ახლა ზავია და როგორ მოხდა, რომ ჩემს საყმო იმერეთში შენს ყმა ვახტანგ შაჰ-ნავაზს თავისი შვილი არჩილი მეფედ დაუსვამსო?! ამიტომ, ჩვენ მოვიტხოვთ, ახლავე გაიყვანოთ არჩილ ვახტანგის ძე იმერეთიდან. ხოლო უკეთუ არ აღსრულებთ, მაშინ ომი გსურავებით და ჩვენც დაუყოვნებლივ წამოვალთ ჩვენის მხედრობითო!.. ეს მოსწერა სულთანმა შაჰს და პასუხსაც აღარ დაუცადა, ისე უბრძანა ახალციხის ფაშას იმერეთს ლაშქრობა და იქიდან არჩილის განდევნა.

დამფრთხალმა შაჰ აბას მეორემ მაშინვე აფრანსა შიკრიკი ვახტანგ მეფესთან: ახლავე არჩილი იმერეთს მოაშორე და ჩემთან გამოგზავნე, თურქებთან ზავს ნუ ჩამიშლი და არ-

ჩილს მე თვითონ მივცემ სამეფოდ იმერეთზე „უმჯობეს“
ქვეყანას.



ეროვნული

ვახტანგმა შაჰის ბრძანება აღასრულა. არჩილი დაიწყო მისი
დან გაიწვია და სპარსეთს გაგზავნა. იმერეთის ტახტზე ისევ
დაჯდა ბაგრატ მეოთხე (რომელიც ვახტანგს ქართლში ტყვედ
წამოიყვანა).

შაჰმაც თავისი სიტყვა შეასრულა, არჩილი „შეიყვარა“,
მაჰმადიანად მოაქცია, ახალსახელად „შაჰ-ნაზარ-ხანი“ დაარქვა
და სამეფოდ ის აღიქმული „უმჯობესი ქვეყანაც“ მისცა —
კახეთი. რასაკვირველია, შაჰს ამ პოლიტიკური სვლით თავი-
სი განაზრახი ჰქონდა. მას ძალიან ამფოთებდა კახეთში „რუ-
სეთზე“ ერეკლე ბატონიშვილის ყოფნა და მთიელი ქართვე-
ლების საომარი იარაღის ეღრიალი. სწორედ ამიტომ აძლე-
და კახეთს შაჰი „გათათრებულ არჩილს“, რომ მას, „გათათრე-
ბული შაჰის“ თანადგომით, კახეთიდან უნდა გაეძევიბინა
ქრისტიანი ქართველებისა და მათი „ქრისტესმიერი ძმების“,
რუსების რჩეული ბატონიშვილი — ერეკლე-ნიკოლოზი.

ასე გამეფდა არჩილი კახეთს, 1664 წელს. მამა-შვილი
მაშინვე შეუდგნენ ერეკლე ბატონიშვილთან ბრძოლას. ერე-
კლე დამარცხდა და ჯერჯერობით ხელი აიღო „თათარ მამა-
შვილთან“ ბრძოლაზე. იგი ისევ დედასთან ერთად, 1666 წელს,
გაბრუნდა რუსეთს.

„19 აპრილს მოსკოვში დიდი ზემოთ შემოვიდა ქართ-
ველი უფლისწული ნიკოლოზ დავითის ძე“, — ჩაიწერა დღი-
ურში რუსეთის ჯარის პოლკოვნიკმა, შოტლანდიელმა პატ-
რიკ გორდონმა.

10 ივნისს მეფე ალექსი მიხეილის ძე „წახნაგოვან პალა-
ტაში“ დიდის ამბით შეხვდა „ნანატრ შვილობილს“. ისევ
გვერდით უჯდა სანადიმო სუფრასთან რუსთ ხელმწიფეს ქარ-
თველი უფლისწული. თერთმეტი ახალგაზრდა ბოიარი ნიკო-
ლოზს დვინის მწვედ უდგა და ოცდაათი ჭაბუკიც კერძთა მიმ-
ტანად ემსახურებოდა...

...ხოლო, არჩილი „დაჯდა მეფედ და დაიპყრო ყოველი
საზღვარი კახეთისა. სატახტო ქალაქად იავარქმნილი გრემის
ნაცვლად გამოაცხადა თელავი. მისი ზრუნვით „შენდებოდა
კახეთი, ვინათგან იყო მშვიდობა და უმტრობა“. რამდენჯერმე
ღმკებს მიუხდა არჩილი, სააბრაგო ბუდეები მოუშალა და



კახეთის მშვიდობიან მოსახლეობაზე ყაჩაღური თავდასხმების მადაც გაუჩნდა. დიდ საღმშენებლო საქმეებს განსაკუთრებულად: „ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს, მან კახეთში გელესიანი უოველნი კახეთისანი და დასხნა ებისკოპოსნი, ძატა სჯულსა და შენობასა ქვეყნისასა“. კახელებს ძალიან მოსწონდათ ეს მომზიბლავი ჭაბუკი, რომელიც „იყო ახოვნებითა, მშვენიერებითა, სიმზინითა და ყოვლითა სამხედრო სანადიმო ზნითა სრული, რომლისა ისარი 12 მუჭი სიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ლალი და ამაყი, მონადირე და მოსაპარეზე, წარჩინებული და საღმრთოთი აღმატებული“. უკვე ლექსებსაც წერდა მაღალი პოეტური ხელოვნებით, თუმცა თვითონ კრძალვით ამბობდა, მე ვწერ მხოლოდ „ნაღელის რასმე საქარეებლად“. წრფელად ამბობდა — „სიტყვა ნაგრეხი არ მითქვამსო“, და მართლაც, მსმენელს ატკბობდა მისი მშვენიერი, დახვეწილი, უცხოური „მომძლავრებისაგან“ განწმენდილი ქართული სიტყვა და სიტყვათა წყობა.

მაგრამ ჭერ იგი მხოლოდ „გზების“ დასაწყისში იდგა — პოლიტიკისა და პოეზიის უმძიმესი გზების დასაწყისში...

...არჩილი კახეთს „მეფური მეფობით“ განაგებდა, მაგრამ იგი მაინც მამის, ვახტანგ ქართლის მეფის ქვეშევრდომად უფრო ჩაითვლებოდა. ევროპელებსაც (უან შარდენი) არჩილი მამამისის „მოადგილედ“ მიაჩნდათ. არჩილი ასეთ „ქვეშევრდომობას“ არც უჩიოდა და არც უწუბდებოდა. საბედნიეროდ, შვილიც და მამაც მთავარ საქმედ მაინც ქართლისა და კახეთის ერთიანობას მიიჩნევდნენ. ასედაც იყო, მამა-შვილის „პოლიტიკური სიმფონია“ აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობას და ერთიან აღორძინება-გამძლავრებას ემსახურებოდა. ირანის სახელმწიფო კარსაც ქართლ-კახეთის საქმეთა მთავარ გამგებლად ვახტანგ შაჰ-ნაფაზი მიაჩნდა.

ვახტანგ მეფის „სპარსული პოლიტიკა“ როსტომ მეფის პოლიტიკის გაგრძელება იყო, მაგრამ ვახტანგს მაინც უფრო დამოუკიდებლად ეჭირა თავი. ამას ევროპელი უან შარდენიც ამბობდა: „საქართველოს მეფე ვახტანგი მაინცდამაინც არც ისე ძლიერ ემორჩილება სპარსეთის შაჰის ბრძანებასო“. ქართველი მეფის ეს „დამოუკიდებლობა“ გამორჩევით მისი სამეფოს შინაურ საქმეებში იგრძნობოდა. ვახტანგი და არჩილი სპარსეთის შაჰის დაუკითხავად იღვწოდნენ თავ-



გამოდებით ქართული მიწა-წყლის აყვავებისათვის, ქართული აღმშენებლობისათვის, ხალხის სულიერი აზროვნებისა და ნივთიერი გამდიდრებისათვის. ვახტანგი ევროპულ-აზიურ ინფლუენსა საქართველოში, ტფილისში ბინებისა და ქარვასლების აშენებას ჰპირდებოდა, ბაქისაგან გათავისუფლებას აღუთქვამდა და დაბეჯითებით არწმუნებდა: ევროპელები რომ ინდოეთში მიმავალ გზებს ეძიებენ, „ქართულ გზაზე“ უკეთეს გზას ვერსადაც ვერ იპოვნიან, ოღონდ ერთხელ გაიარონ საქართველოზე და მერე სხვა გზას არასოდეს აღარ დაადგებიანო.

შენდებოდა ქართლ-კახეთი. ისევ ყვავილობდა სამამულე რქა ახლად მომპლავრებულ ზვრებში. ყვაოდა ბალი. შენდებოდა სარწყავი არხები: მარნები, წისქვილები, ზეთსაბდულები, ქარვასლები, დუქნები, გზები, ხიდები, ბოსლები, საჯინობოები, სრა-სასახლენი ციხესიმაგრენი. ვახტანგ მეფე მის „მეგობარ“ კათოლიკე მისიონერებს ევროპიდან ინციზორებსა და მექანიკოსებს აწერიებდა. ისევ მოეშენენ ამოგდებული სოფლები, დაქცეული ქალაქები და დაბეები. აღმოცენდნენ „ახალ-სოფლენი“, „ახალ-დაბანი“, „ახალ-ქალაქნი“. მაშინ დაიბადნენ: ახალქალაქი, ატენი, ბოლნისი და წინწყარო. აღორძინდნენ და აშლდნენ: ნაბახტევი, ალი, სურამი, ახალდაბა. ერთხელ კიდევ აშენდა და აღორძინდა მრავალგზის ნაოხარა, ნაჭირვალი და ნაწამები დიდი ქართული ქალაქი ვორი.

ხოლო. საქართველოს სატახტო ასე აღუწერია ეან შარდენს: „ტფილისი ერთი უკეთესი და უმშვენიერესი ქალაქია... სახლების უმეტესი ნაწილი ციყაბო კლდეზე დგას. ქალაქა შემოზღუდულია მშვენიერი და მაგარი კედლით. მდინარისკენ კი კედელი არა აქვს.

ტფილისში რამდენიმე აკლესიაა, ექვსი მათგანი ქართველებისაა... დედა ეკლესია, რომელსაც სიონს უწოდებენ, დგას მდინარის პირზე და მშვენიერი თლილი ქვებით არის ნაშენი ..

ტფილისში რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა. აქ არის ქეით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო ნაგებობანი. ასეთივეა ქარვასლებიც, რომელშიც უცხოეთიდან მოსულნი ბინავდებიან დროებით. თვითონ ქალაქში აბანოები ცოტაა და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყლებში, რომლებიც ციხის გაღავანს შიგნითაა. ამ აბანოების წყალი არის გოგირდი-



ანი და ძალიან ცხელი. ჟანმრთელთა გარდა, აქ სწულელები ბანაობენ სამკურნალოდ... დუქნებიც კარგად არეკმუნებულნი, სუფთად მოვლილი, მაღლობზე წამოჭიმულნი და მათს მოედნის პირად ჩარიგებულნი.

მეფის სასახლე ერთი უმშვენიერესი შენობაა ტფილისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომლებიც მდინარესა და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან ფართოა... სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი, რომელზეც ათას ცხენამდე დაეტევა, მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული და ბოლოს გრძელი ბაზარი გახლავთ სასახლის პირდაპირ. მშვენიერი სანახევია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან...

ტფილისის მიდამო შეკრულია რამდენიმე საღვინო საბლით და მშვენიერი ბაღებით. ყველაზე დიდი მეფის ბაღია. ხეხილი ცოტაა, მაგრამ იმისთანა ხეებით არის სავსე, რომლებიც ამშვენებენ ბაღს და ჩრდილსა და სიგრილეს ავრცობენ გარშემო...

თვითონ მეფის სასახლის დარბაზი სიგრილით ას ათი ფუტი იყო, სიგანიოთ ორმოცი; სასახლე მტკვრის პირას იდგა და მტკვრის დარბაზი ახდელი იყო. საროთი ნაკეთებს დარბაზის პერს რამდენიმე დაბატული და ოქროთი მოვარაყებულ სვეტი ედგა; სვეტებს სიმაღლე 35 ფუტიდან 40 ფუტამდე ჰქონდა; მთელი დარბაზი მშვენიერი ორბოებით იყო მორთული..."

მოსკოველი ქართველი უფლისწული

1666 წელს მოკვდა შაჰ აბას მეორე და ირანის მბრძანებელი შეიქმნა მისი ძე სულეიმანი (1666-1694). სულეიმან შაჰმა ქართველთა „დამოუკიდებელი პოლიტიკა“ თავიდანვე ავად დასუნთქა. იგი ვახტანგ მეფის „ფრთხილ ნაბიჯებში“ ირანისათვის დიდ სამომავლო საფრთხეს ხედავდა, ხოლო არჩილი მას სპარსეთის ნამდვილ მტრად მიაჩნდა. კიდევაც იძლეოდა კახეთის გამგებელი სპარსელთაგან ამნაირი შეფასების საფუძველს. ვინათგან „არჩილ იყო მოძულე შაჰმადიანთა და შაჰმადიანობისა“.

და შაჰ სულეიმანმა გადაწყვიტა დაერღვია შაჰ-შვილის

„პოლიტიკური სიმფონია“ და უფრო მძიმე კირთებით დაეთრგუნა „კადნიერ გურჯთა დამოუკიდებლობა“. ბოლოს, მოხდა ვალ „ვარიანტთა“ შორის, მაინც ეს ამჟობინა შაჰმასთან თიდან მოეწვია კახეთის ტახტზე „შეყვარებული“ ერეკლე ბატონიშვილი, მიეცა მისთვის კახეთის ტახტი და ამით ქართლ-კახეთის ერთიანობაც დაენგრია, ვახტანგისა და არჩილის „სიმფონიური მშართველობაც“ გაექრო და გაზვიადებული ვახტანგ მეფეც დაეკნინებია...

...ერეკლე ბატონიშვილი მოსკოვის ქართველ „კოლონისტთა“ იმედი და სასოება იყო. ერეკლეს უნდა აღსრულებინა მისი დიდი პაპის თეიმურაზის მარად აღსრულებელი ოცნებანი — ჯერ კახეთისა და ქართლის დაუფლება, ყიზილბაშთაგან გათავისუფლება, და ბოლოს, „ყოველი საქართველოს“ გაერთიანება და გამძღავრება. დროც ხელსაყრელად მიიჩნდათ მოსკოველ ქართველებს. დიდი შაჰ აბას პირველის შემდგომ საქართველოს მოსისხლე სპარსეთი სრავად ეცემოდა და კნინდებოდა. რამდენიმე ათასეული რუსი ჯარისკაცი, თანამოძმე ქართულ ლაშქართან ერთად, ადვილად გაანადგურებდა სპარსეთს, ქრისტიანთა ამ მარადიულ სამტრო-საბუდარს. დრო ხელსაყრელი იყო იმ მზრვიაც, რომ „ცარევიჩ მიკოლაი“ რუსთა ხელმწიფის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მოსკოვის კარზე ძალიან ჩანდა ეს მომხიბლავი ქართველი ტაბუკი — ახოვანი, წელწვრილი და მხარბეჭიანი, ვნებიანი სახის ნაკვეთებით და ძლიერი შუქმოსიერი თვალებით, ეტოდროულად ფიცხელი და დარბაისელი, მამაცი მახვილოსანი და სწორუპოვარი ცხენოსანი. რუსულ წრეებში ყველამ იცოდა, რომ საქართველო ამ ახალგაზრდა ქართველ რაინდს „ეკუთვნოდა“. რაც მთავარია, ეს იცოდა თვითონ ხელმწიფემ. ალექსი რომანოვს დიახაც „ესურვილებოდა“, რომ კავკასიის საქრისტიანო, ქრისტიანი შვილობილის საშუალებით, თავისი დიდი სახელმწიფოს საზღვრებში მოექცია.

მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა ერთბაშად ისე აიწეწა, რომ „საქართველოს საქმეებისთვის“ ისევ ვეღარ მოიკალა მოსკოვის უმადლესმა კარმა. ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვა: ნიკონის რეფორმა და სასულიერო „ბუნტები“, ომები პოლონეთთან და შვეციასთან, „სპილენძის აჯანყება“ მოსკოვში, დონელი კახაყების გა-

მოსკლა ვასილი უსის მეთაურობით, გლეხთა ომი სტენკა ჩინის წინამძღოლობით, და ბოლოს, ალექსი რომანოვის მუღლისა და დედოფლის, მარია ილიას ასული მიღებული გარდაცვალება.

ქართველი ბატონიშვილი მაინც ისევ დიდ პატივში იყო მოსკოვის კარზე. 1671 წლის იანვარში მეფე ალექსი რომანოვი მეორედ დაქორწინდა — ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინაზე და ამ ქორწინებაზე ნიკოლოზ ბატონიშვილი „ტისიაცი“ იყო — მთელი საქორწინო განწესების, ხარჯების, მსვლელობისა და დაგვირგვინების მეთაური. „ტისიაცი“, ვითარცა ნეფე-დედოფლის მეჯვარე, განუყრელად თან ახლდა ახლად შეუღლებულებს, იგი იხდიდა საქორწინო ფულს, ჯვარსაწერად მიუძღოდა ნეფე-დედოფალს, საქორწინო ბეჭდებსაც თვითონ უცვლიდა შეუღლებულებს, სანადიმო სუფრის გაწყობასაც იგი მეთვალყურეობდა და მეურვეობდა.

1672 წლის მაისის ბოლოს ნატალია ნარიშკინამ შვა მომავალი უდიდესი ხელმწიფე რუსეთისა — პეტრე.

მოსკოვის სასახლის კარზე რუსთა და ქართველთა სიყვარულსა და სიახლოვეს დიდი სამომავლო პირი უჩანდა. მოსვენება დაქარგვოდან ირანისა და ოსმალეთის სატახტოებს. გამოირჩევით ირანის შაჰი ვერ შერბიგებოდა რუსეთის კარზე ქართველი უფლისწულის დაწინაურებას და აღზევებას. ვაი, თუ ამიერიდან „გარუსებულმა ქართველებმა“ შეცვალონ „გათათრებული ქართველები“ საქართველოს ტახტზე!

და ნიკოლოზ-ერეკლეს ირანის შაჰის წერილი მიუვიდა — სპარსეთს მეწვიე და კახეთის მეფობას ისე ჩაგაბარებ, ქრისტიანობის გამოცვლასაც არ მოგთხოვო.

რუსეთის მეფის დახმარებით საქართველოში გამეფების იმედი, როგორც ეტყობა, სავსებით დაქარგვოდა ნიკოლოზს. ამიტომ იგი დათანხმდა წასულიყო სპარსეთს.

— იგი ცივად გამოისტუმრეს რუსეთიდან.

დარიალს რომ გამოაღწია, ირანის შაჰის შათირებმა ხმალი და „საფიცარი რაყამი“ შემოაგებეს. „ამ ხმალსა და საფიცარს მოენდევ და სპარსეთს მეწვიეო“, — სწერდა შაჰი რუსეთიდან წამოსულ ქართველს.

იგი დიდის ამბით მიიღეს სპარსეთში. ყაზმინს იღვა და იქ ელოდებოდა შაჰ სულეიმანი ქართველ ბატონიშვილს. მისი

ბრძანებით, წინასწარ „გზის ხარკათ“ ათასი თუმანი შეაგროვეს სტუმარს. ხუთი დღის შემდეგ კვლავ დაახვედრეს „ათასი თუმანი ნაღდი და ათასი თუმნის სხვა მფრედელონი და იარაღი“, ბოლოს, ყაზმინს რომ მიუახლოვდა, შაჰმა ქალაქის მთელი მოსახლეობა შეაგება ბატონიშვილს. შემოვიდა ყაზმინში ერეკლე ქართველთა ამალით, „ქართულთ მოკახმულნი, ყველანი ახალგაზრდა ვაჟაკნი, ტურფანი და მშვენიერნი, ნამეტნავად ბატონიშვილს ერეკლეს წვერ-ულვაში ახლა ეხვეოდა და ტანად ყველას უმაღლე იყო და ნაქმარათ ყველას ამჯობინეს“. შაჰის მეჯლისზე რომ შევიდა, „ბატონიშვილის სიტურფემან და შევნიერობამან და ტანადობამან ყველაკანი გააკვირვა“. შაჰ სულეიმანმა გვერდით დაისვა. „რუსეთის ხელმწიფის ამბავი ჰკითხა, მერე თავისი და რუსთ შექცევა, განწყობა და მათი კაცობა გამოჰკითხა“. შემდეგ, როგორ იმგზავრეთ, ეს გამოიძია დაწვრილებით. ერთი სიტყვით, შაჰ სულეიმანმა ერეკლე ბატონიშვილი „კარგის თვალით ნახა და შეიყვარა, თავად დიდ გვარის კაცობისათვის და მერმე შევნიერობისათვის და კარვად აგებულობისათვის“. მაშინვე „საზრდელიც“ დაუდგინა სულეიმანმა ერეკლეს: „წელიწადში ორი ათასი თუმანი თეთრი, დღეში თორმეტი ჭიქა შირაზული ღვინო და ხუთასი თუმანიც სხვა რამეების ფასათ გაუჩინა“.

ამასობაში ორი მოულოდნელი ამბავი მოვიდა სპარსეთს: ერთი — არჩილს კახეთის ტახტი მიუტოვებია და იმერეთის ტახტის ხელახლა „საძიებლად“ წასულა ახალციხეს, და მეორე — გარდაცვლილიყო ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზი.

იყო 1675 წელი. დაესრულებინა თავისი წილხვედრი წუთისოფელი მეფე ვახტანგ მეხუთეს, გონებაგრცელ ქართველ ხელმწიფეს, ქვეყნისა და ერის ღირსეულ წინამძღოლს, ჰკვიან სჯულმდებელსა და მამაც მხედარს.

გამეფდა 40 წლისა, იმეფა 17 წელიწადი, აღესრულა შობითგან 57 წლისა. დაკრძალეს ყუმში, სპარსეთის „უწმინდეს ქალაქში“, როსტომ მეფის გვერდით (იქვე, სულ ახლოს, დიდი შაჰ აბასის ძვლები განისვენებდა)...

...თითქოს ერეკლე ბატონიშვილის „იღბალი“ იყო, რომ ერთდროულად გათავისუფლდა ორივე ტახტი, ქართლისა და



კახეთისა და შესთავაზა სულეიმან შაჰმა ორივე ერეკლეს ქართლიც და კახეთიც, ოღონდ... წინასწარ სარწმუნოებად და გამოიყვალათ, — ბრძანა სულეიმანმა. ებრაელებმა მაშინვე მისი „საფიცარი ბარათი“ აჩვენა და მოაგონა — აჲ სარწმუნოებას „ხელს არ ვპყვოდო“?! მაგრამ შაჰმა თვალითაც არ შეხედა თავის ნატყუარ წერილს. ერეკლე კი განავრძობდა: „მეფენი მბრძანებლობენ, გარნა არ უნდა სტყუოდნენ, მე წავიკითხე შენი ბარათი, ვერწმუნე შენს ფიცს და დაუქმებლად მოვედი შენთან. მე ჩემს სარწმუნოებას ვერ გადავუდგები. ხოლო თქვენი დიდებულებისათვის ლამაზი არ იქნება ფიცის გატეხვა“. ტახტიდან წამოდგა სულეიმან შაჰი, ერეკლეს მკლავში ჩააფრინდა და მუდარით უთხრა: „მეტი რაღა გინდა, გაძლეე კახეთს. ტფილისს, მთელს საქართველოს და ყოველივეს თერგიდან ვიდრე არეზამდე, — ეს ირანის ერთი მეხუთედია. ამას გარდა, მოგანიჭებ ისფაჰანის ტარულობას და შენც იმდენსავე ჯამაგირს მოგცემ, რამდენსაც ვახტანგ შაჰ-ნაეაზს ვაძლევდი. მხოლოდ სთქვი: დიღია ალლაჰი და მუჰამედი მისი წინასწარმეტყველი სთქვი, რომ ღებულობ ჩვენს სჯულს. რათა აღსრულდეს სიტყვა ჩემი, რათა არა მკაცხედნენ გარემო სახელმწიფოთა მეფენი იმის გამო, რომ მუსლიმთა სამფლობელო მიწა მე ქრისტიანს მივეცი. გამიგონე და დამეთანხმე, რასაც გეუბნები, ხოლო როცა საქართველოში დაბრუნდები, იქ ის სჯული იწამე, რომელიც შენ მოგესურვოს“. მაგრამ მაშინვე შეაგება შაჰს „ორი ქრისტიანი ქვეყნის შერღვა“: „მარტო საქართველო კი არა, მთელი ირანიც რომ მიბოძო, ჩემთა ბაგეთაგან არ ამოვეუშვებ ქრისტიანობის მგმობელ არც ერთ სიტყვას, ჩემს სარწმუნოებას არ ვუღალატებ სიმდიდრისა და ხელმწიფობის მოპოებისათვის. უკეთუ დმერთსა ჩემსა მოვატყუებ და წარმავალი ხელმწიფებისათვის სარწმუნოებას განუდგები, მაშინ შენი ერთგულიც როგორღა ეიქნები?“ ისევ სცადა შაჰმა თუ რჩევით და თუ მუქარით ერეკლეს დაყოლიება, მაგრამ ვერაფერს გახდა. რა გაეწყობაო, ბრძანა უკვე განრისხებულმა შაჰმა, მე სამოთხეში ყოფნას გირჩევდი და რაკი არ ინებე, ჯოჯოხეთში მიბრანდიო, და ჩაავდო ციხეში ერეკლე ბატონიშვილი.

და დადგა 1677 წელი, დადგა და ქართლის ტახტზე ირანის შაჰმა, სულეიმანმა, დასვა ვახტანგ შაჰ-ნაეაზის ძე, გ. 9-

ორგი „შამ-ნავაზ მეორე“ ანუ ისტორიაში ცნობილი გიორგი მეფეთმეტე (1677-1688). ხოლო, კახეთში სულეიმანმა სამმართველოდ მისცა ისევ ირანის მთავრობის ბეჟან-ხანს, წაომომავლობით ქართველს.

ქართლის ახალი მეფე, გიორგი მეფეთმეტე, „იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა, მშვენიერ-ჰაეროვანი, პირ-მზიარული, ენა-ტუბილი, უხვი და მრისხანე, მოსიარ-მოსპარეზე უებრო“. სულ მალე საცნაური შეიქნა, რომ გიორგის სპარსეთისგან გაცილებით უფრო დამოუკიდებლად ეპირა თავი, ვიდრე მის მამას და ძმას — ვახტანგს და არჩილს. იგი სპარსეთის დაუკითხავად და ანგარიშგაუწევლად აწყობდა მეგობრობას, მოყვრობას თუ მტრობას და მესისხლეობას, ვისთანაც როგორ მოსურვებდა. უფრო მტრიც — სპარსეთის მტრებთან უფრო სიახლოვესა და „სიყვარულს“ ამეღანებდა, ვიდრე სპარსეთის ერთგულ მეგობრებთან და ქვეშევრდომებთან. ამიტომ შამ სულეიმანი აღივსო შურისგებით „გიორგი მეფესა ზედა და მცდელობდა შემუსვრასა მისსა“. „გურგინ-ხანი მეგონა გამაჰმადიანდა, მაგრამ ისევ ქალარი (ურჯულაო, ქრისტიანი) დარჩენილაო“, — იძახდა გამწარებული შამი. უკვე გადაეწყვიტა კიდევაც შამს გიორგის დამხობა და აქმაზები დაუგზავნა ქართლში ქართველ თავადებს, გადასდგომოდნენ „უღირს ხელმწიფეს“. მაგრამ გიორგი მეფეც არ დარჩა ვალში: მისდგა და ყველა მოღალატე და „მოთათრე“ თავადი დაუნდობლად ამოწყვიტა ღელა-ბუღიანად. მერე, შამმა ისიც შეიტყო, რომ გიორგი ქართლსა და კახეთში აჯანყებას ამზადებდა და მძევლებად ძმა (ლევანი) და ერთადერთი ძე (ბაგრატი) მოსთხოვა. გიორგიმ აჯანყება დააჩქარა, მაგრამ მოულოდნელი ღალატის წყალობით ჩაეშალა და იძულებული გახდა ლევანი და ბაგრატი ორივე გაეგზავნა ირანს. შამი ბოლომდე მაინც არ ენდო „ცბიერ გურგინ-ხანს“ და შემოუთვალა: ქართლის მეფობა ერეკლე ბატონიშვილს ვუბოძეთ, შენ კი ჩემს წინაშე მობრძანდი, რამეთუ „მოგვე ქვეყანა სხვა და ნიჰნი დიდნი“. გიორგიმ შამის რაყაში შორს მოსროლა და არც სპარსეთს წავიდა და არც ახალ მეტოქეს შეეგება.

ქართლში კი ახალი მეფე შემოდიოდა. მაინც ვერ გადაჩენილა „გათათრებს“ ამპარტავანი ერეკლე ბატონიშვილი.

ახალი, თათრული სახელიც მიუღია, ნაზარ-ფლი-ნო/ თუმცა საისტორიო მეფეთა ნუსხაში დაივანებს როგორც მეფე ერეკლე პირველი (1688—1703).  წლის კაცი იყო. საქართველოდან მას მხოლოდ ბაეშეობა და ყრბობა ახსოვდა. 22 წელიწადი რუსეთში გაატარა, 14 წელიწადი — სპარსეთში. გარეგნულად, დიასაც, უმშვენიერესი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო საგრძნობლად აემღერბა უცხოობაში ხანგრძლივ ცხოვრებას. თამარ მეფის პირველი ქმრის შემდგომ საქართველოს ტახტს არ მოსწრებია ეგზოში „მსმელი“ და „ქალთა მოლაღე“, როგორც „ცარევიჩ ნაიკოლია“ აღმოჩნდა. ღვინო მაინცდამაინც არ უყვარდა. თურმე ვერ შეუხსრულებია თავისი პაპის თეიმურაზ მეფის შეგონება და მაინც მისჩვევია „ფიცხელი სასმელის“ ყლურწევას რუსეთში. ხშირი „სმისა და შვება-ლხინის მოყვარეს“ არ შეეძლო „ზარხოშობის დონემდე“ თავის შეკავება და თრობით დათრგუნვილი „ლირწიანად და უშვერად“ ენამყარალობდა. შიმშნეარ ქალებს უგვანად ელაციცებოდა. ბუნებით კი გულმოწყალე იყო, „მცირეთა ყურის მიმპყრობი“, თანაც „დიდთა დამამდაბლებელი“. ირანის შაჰის გარდა ძალადაც არავის აგდებდა. მაინც კახეთისკენ ეჭირა თვალი კახეთის ბაგრატიონთა ნაფესვარს. სულეიმან შაჰმაც შეიწყნარა მისი „კახური მისწრაფებანი“ და „სახასოდ“ მისცა ქიზიყი და თუშეთი.

ქართლის ძველ თავადობას არ შეიძლებოდა მოსწონებოდა „არუსეთუმეს“ ახალი, „უცნაური“ ღონისძიებანი — ძირძველ ფეოდალთა დაკნინება, ჩამოქვეითება და „ახლების“, ლამის „ვიგინდარების“, დაწინაურება. ერეკლემ იცოდა, რომ მისგან დაქვეითებული ძველი ქართლელი თავადობა, იღუმალ თუ აშკარად, ისევ გიორგი მეფეს ეძიებდა ტფილისის ტახტზე დასაბრუნებლად, მაგრამ არც ამაზე ფიქრით იწამლავდა „ორი დღის წუთისოფელს“ ლხინისა და დროსტარების მოტრფილვე მეფე. არხეინად იყო, რადგან ქართლის მთავარ ციხეებში ყიზილბაშური ციხიონები ჰყავდა.

გიორგი მეფეს შაჰ სულეიმანი მეფედ აღარ სცნობდა, მაგრამ თვითონ გიორგი „სცნობდა თავის თავს“ და ეს საკმარისად შიანდა მას. ოთხი წელიწადი ებრძოდნენ ერთმანეთს ერეკლე და გიორგი თავთავიანთი „დასებით“ ქართლის ტახ-



ტისთვის. ოთხი წელიწადი ძმათაშორის სისხლმთავრად
 ბრძოლა! ცოდვიანი ომის სასწორი წონასწორად
 ზიარტურტლებივით ერთიმეორეს ანაკლულუბდნენ
 ნენ ერთმანეთის სისხლით: ერთიმეორის ბანაკენში მოძო-
 ბოდნენ პოლიტიკურ წყევლიადში ბრმად მოფართხალე საო-
 მარი ძალები. იდგა ხმალთა გაუთავებელი კვეთება — „კვე-
 თებითა მუხისათა“, ჩაღბად ბრძოლა (ნინოწმინდაში, ქი-
 ზიყის მოტრავმა დუშია ანდრონიკაშვილმა ქართლის სახლ-
 უსუცესს ბარძიმ ერისთავს უბრალოდ, „შესაშინებლად“,
 ტყვიით ბეჭი დაუღეწა), თოფების ბათქაბუთქი ზარბაზნების
 გოიალი (ერთი ჭურჭი მცხეთის სვეტაცხოველსაც დაეტყა,
 მაგრამ გადაურჩა. არსუკისძის ნახელავი უგუნურად ხას-
 როლს), განუკითხავი ყელის დაჭრა და თვალთა „აღმონდო-
 მანი“ (გიორგიმ შეიპყრო და თვალები დათხარა ერეკლე's
 მომხრე ბეიან სააკაძეს).

ერთხელ შერიგებაც სცადეს გიორგიმ და ერეკლემ. კი-
 დევაც შეთანხმდნენ. გიორგი ქართლის ტახტს დაიჭერდა, ერე-
 კლე — კახეთისას. კიდევაც უნდა ეუწყებინათ ეს შეთანხმე-
 ბა შაჰისათვის. მაგრამ „არა იუფლეს მემფოთეთა ესე ყო-
 ფად“ — არც ერთი ბანაკის თავადობამ არ ინება იარაღს
 დაყრა.

ერთხელ გიორგის ისეთი შემთხვევაც მიეცა, იოლად შე-
 ეძლო თავიდან მოეშორებინა მეტოქე. ღამე იყო და გიორგის
 აცნობეს: ერეკლე ბოლნისიდან მოდის ტფილისისკენო. გზა
 გადაუჭრა გიორგიმ ერეკლეს. არჩილიც თან ახლდა გიორგის.
 ერეკლე გამოჩნდა მცირე ამალით. გიორგი აიშართა საიერაი-
 შოდ. მაგრამ არჩილმა არ დაანება: ხელს ნუ ახლებ, რა ვაე-
 კაცის საქმეა ასე ქურდულად დაცემაო! და გიორგიმაც აიღო
 ხელი „მოპარულ გამარჯვებაზე...“

...ირანის ახალი შაჰი, სულთან ჰუსეინი კი დაეინებით იწ-
 ვევედა გიორგის თავისთან. სხვებიც წერდნენ წერილებს ირა-
 ნიდან, შაჰს ეწვიე და აჩამცოთ წყენა, „არამედ უფროს სარ-
 გებელი და წყალობა და კეთილის ყოფა“ გელის მის-
 განო.

და, ბოლოს და ბოლოს, 1696 წელს, გიორგი მეფე სპარ-
 სეთს გაემგზავრა.

ქართლის ტახტზე უმეტოქეოდ დარჩა ერეკლე პირველი,
რომელიც კიდევ ბევრ წელიწადი იმეფებს ფრიად უმჯობეს
მეთოდით.

ბიზლიმთხა

კულტურის კატალოგი

ქართველები მთელს აზიაში უმამაცესი ხალხია და მათ
საშინაო თანხმობა რომ ჰქონოდათ, მაშინ ვერავითარი საგარეო
მტრული ძალა უმცირეს ზიანსაც კი ვერ მიაყენებდა. წერდა რუსი
დიპლომატი პ. ლევამოვი 1766 წელს. მართლაც, შინაფეოდალურმა
აშლილობამ ფრიად გაუადვილა ქართველთა მიწა-წყლის უთავებო
რბევა და ნგრევა გარედან მოსულ უთვალავ მტერს. ხუთასწლოვანმა შინა და გარე
ომებმა სამეურნეო ცხოვრების მოშლასთან ერთად, ძალზე დასუსტა და
დააყენა ქართული კულტურის ყოველი დარგი, სულიერიც და
ნივთიერიც.

შენვიდმეტე საუკუნის მანძილზე უმძიმესი სისხლათხვეანი
მარცხ ქართველთა აქტიური ბალანსით განესრულა: გარეშე მტრებთან
გამართული 28 ბრძოლიდან მათ მოიგეს 21, წააგეს 7.

მაგრამ შენვიდმეტე საუკუნის სივრცეზე ქართველებმა უფრო
მეტე სისხლი ადისეს ერთიმეორეს. მარტო ბაზალეთის ცოდვანი,
ძმათაშორისი ომის გახსენებაც იკმარებს უამური ერეოლის აღსაძვრელად. გამორჩევით დასავლეთ
საქართველოს მესვეურებმა „სახელეს თავი“ უთავებო შინა
მტრობით და შინაომებით. აქ, მთელი საუკუნეების გასწვრივ
მძვინვარებდა ქართველთა ხელით ქართველთა სისხლის ღერა,
— მძვინვარებდა რამეთუ გადაწყვეტილიყო: ვინ ვის „ტახტზე“
დამკდარიყო, ვინ ვის „სახელოში“ გამძვრალიყო, ვინ ვის
სარეცელში ჩაწოლილიყო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ბრწყინავდნენ ქართული
საზოგადოებრივი, თეოლოგიურ-თეოსოფიური, სამეცნიერო და
სახელოვნებო ერები: ტფილისი, ქუთაისი, მცხეთა, გელათი,
ილავერდო ნიკორწმინდა, დავით-გარეჯა, წილკანი, სამთავისი,
თელავი, გრემი, ლარგვისი, ჭრუჭი, იკორთა, კაბენი, ქვათახევი,
მუხრანი, მძოვრეთი, ტანძია, ცაიში, ბედია, მარტვილი,
ხობი, შემოქმედი, უშგული.



მარიამ დედოფალი, როსტომ მეფის მეუღლე, აწარმოებენს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს. სულხან-საბა ორბელიანი აღგენს ქართულ განმარტებით ლექსიკონს სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილებმა გალექსეს „ამიონაშვი-ჯანიანი“. ბარძიმ ვაჩნაძემ „შაჰ-ნამეს“ მოტივებზე დაწერა პოემა „უთრთუთიან-საამიანი“; მამუკა თავაქალაშვილმა — „ზაქიანი“; მუჟე თვიმურაზ პირველმა — „ვარდ-ბულბულიანი“, „შამი-ფარვანიანი“, „ღვილ-მაჯუნიაანი“, „იოსებ-ზილიბანიანი“, „მედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, „მაჯამა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „სოფლის სამღურავი“, „გრემის სასახლეზე“, „თამარის საზე დავით-გარეჯას“, „ანბანთქე-ბანი“, „შვიდთა კრებათათვის“; მუჟე არჩილმა — „გაბაასება თვიმურაზისა და რუსთველისა“. „საქართველოს ზნეობანი“, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, „სამიჯნურონი“, „ლექსნი ასეულნი“ „ანბანთქებანი“ იოსებ ტფილელმა — პოემა „დიდ-მოურავიანი“, ფარსადან გორგიჯანიძემ — „საქართველოს ისტორია“.

სწავლა-აღზრდის ქართული კერების გარდა, საქართველო-ში (ტფილისში, გორში) სკოლები გახსნეს ევროპელმა კათო-ლიკე მისიონერებმა. აქ, საღვთისმეტყველო საგნებს გარდა, ასწავლიდნენ ქართულ, ლათინურსა და იტალიურ ენებს.

მეჩვიდმეტე საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა ინტე-რესი „საერთო მწიგნობრობისადმი“ — ისტორიის, ფილოლო-ლოგიის, პოეზიის, უცხო ენების, საბუნებისმეტყველო მეც-ნიერებათა (ასტრონომია, მედიცინა, გეოგრაფია) შესწავლი-სადმი. ამიტომ წერდა თვიმურაზ მუჟე: „არვის უნდა სახა-რება, არცა წიგნი მოციქულთაო“.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს რომში დაარსდა პირ-ველი ქართული სტამბა, სადაც 1629 წელს გამოჩენილი ქარ-თველი სწავლულისა და დიპლომატის ნიკიფორე ჩოლოყაშ-ვილის (იხბახის) მონაწილეობით, დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა.

აღარსად იყო მეთუ-მეცამეტე საუკუნეთა არქიტექტუ-რული აღმშენებლობის მასშტაბები, მაგრამ მეჩვიდმეტე საუ-კუნემ მაინც გვიანდერძა ზოგიერთი საინტერესო ხუროთ-მოდღერული ნაგებობანი: აღდგენილი ვრემის ქალაქი ეკლე-სიებით, გალანებით, აბანოებით; ანანურის არქიტექტურუ-



ლი ანსამბლი; ლევან დადიანის მიერ გამშვენებულ მოქვის ტაძარი; როსტომ მეფის მიერ აგებული ხიდის მხარე ხრამზე — „გატეხილი ხიდი“, რომელიც დღესაც მოქვის საქართველო-აზერბაიჯანის დღევანდელ საზღვარზე. ამავე საუკუნიდან მრავლად შემთგვრხა ფრესკული მხატვრობისა და ქედურობის ნიმუშები.

პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად, დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველები უცხოეთში: სპარსეთში — ალავერდი-ხან უნდილაძე, იმამ-ყული-ხან უნდილაძე, დავით (დაუდ-ხან) უნდილაძე, კონსტანტინე-მირზა თეიმურაზის ძე, იესე (ისა-ხან) ლევანის ძე, თამაზ-ყული-ხანი, მანუჩარ-ბეგი (შაჰ აბასის ელჩი ინდოეთში), გიორგი სააკაძე, ბაგრატ-მირზა (მეფე ბაგრატ მეშვიდე), სვიმონ-ხანი (მეფე სვიმონ-ბეგ სააკაძე, როსტომ-ხან სააკაძე, ფარსადან გორგიჯანიძე, პაატა-ბეგი, ალექსანდრე მუხრანბატონი, ხოჯასთე-ბეგი, რამაზ-ბეგი, იოთამ-სულთან გურჯი, ფეროხ-სულთანი, დაუდ-ბეგ გურჯი ალი-ყული-ბეგ სააკაძე, მუსლიმბეგი, ადამ სულთან ანდრონიკაშვილი, სიომ-ხანი, მერაბ-ხანი, ოთარ-ხანი, მანსურ-ხან ბარათაშვილი; პოეტები მირზა მოჰამედ თაქერ ნასრაბადი, ჭაიხოსრო-ხანი (როსტომ-ხან სააკაძის დისწული), ზეინალ-ბეგი, ზურაბ-ბეგი, ფაზალ-ალი-ბეგი, შერმაზან-ბეგი, ალი-ხან-ბეგი; თურქეთში — გიორგი-ბეგი, მეამედ-ფაშა, გულჩარა (დიბლომატი ქალი, მეფე გიორგი მეათის ასული), ფერად ფაშა, ჭენან ფაშა „კოჯა“ („ზორბა“), გურჯი მეამედი, საფარ ფაშა, მურთაზა ფაშა. რუსეთში — ბატონიშვილი ნიკოლოზ (ერეკლე), არჩილ მეფე, ალექსანდრე არჩილის ძე.



ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ა

დადგა მეთვრამეტე საუკუნე. „ქართველები უდავოდ ყველაზე მაშაყი ხალხია აღმოსავლეთში“, წერდა მარტინ გოდენო. ამას იმეორებდა რუსი დიპლომატიც, ბარტემეოლინსკი: „მთელს ირანში საუკეთესოდ მიმანია ქართველთა მხედრობათ“. მაგტამ ქართველთა სიმაჟაცე და „უკეთესობაც“ უფრო სპარსეთს ხმარდებოდა, ვიდრე თვითონ საქართველოს...

...მაშ, გიორგი მეთვრამეტე ისფაჰანს ჩავიდა და შაჰს შეურჩგდა. შაჰ სულთან პუსეინმა დიდის ამბით მიიღო და „შეიტკბო“ დიდი ქართველი მხედარი და მხედართმთავარი. მან ყველაფერი დაივიწყა, რაც კი „ამპარტავან გურგინ-ხანს“ ირანელი „უფროსი ძმებისთვის“ ვნება მიეყენებინა. დაივიწყა, ვინათგან იმყამად არავინ ისე არ სჭირდებოდა პუსეინ შაჰს, როგორც გიორგი. ჯერ ქირმანის ბეგლარბეგობა „აკმარა“ და აღმოსავლეთიდან შემოსეულ ბელუჯთა ტომების წინააღმდეგ წარგზავნა შაჰმა გიორგი და მისი ძმა ლევანი, ქართველებმა ზედინედ გაანადგურეს ბელუჯები. მერე ბელუჯები და ავღანელები გაერთიანდნენ და ერთად შემოუტყეს ყიზილბაშებს და შეუთვალა დამფრთხალმა შაჰმა გიორგის: „დამირბიეს ქვეყანა და ამომიწყვიტეს ლაშქარი, წამოვიდნენ ქვეყნისა შენისაყენ (ქირმანისკენ), გამოაჩინე ლომგულობა შენა და ნუ გაუშვებ მაგათ უზიანოთ“. გიორგისაც წაქეზება აღარ სჭირდებოდა, რადგან ისედაც „წესი იყო მისი: სითყენაც მტერი გამოჩნდის, უომარი არ გაუშვის“. გაემართნენ გიორგი და ლევანი და სასტიკად გაანადგურეს ბელუჯნი და ავღანნი. გიორგის ბრძანებით, ცალკე ბელუჯთა და ცალკე ავღანთა თავებისგან მინარეთის მსგავსი ორი კოშკი აღმართეს, თითოეული ოცი წყრთის სიმაღლისა (ქართველთა მეფეც აპუოლია „თათრულ ყაიდასა“ და ნაქცეურობასს)...

ცას ეწია ირანის შაჰი ქართველთა გამარჯვებისა და ყიზილ-

ბაშთა მომტერე ბელუქთა და აელანთა განადგურებისაჲს
მაშინვე მალემსაბოლნო აფრინა ქირმანისკენ და მიორთვეს
გიორგი მეფეს ირანის ხელმწიფისგან „წყალობა“ და მშენი
ლება დიდი, თაჲი და ჯიღა მურასა, ხმალი და ხაჩალი, შეი-
კელნი თვალითა და მარგალიტითა, ცხენი ოქროითა უნავირა-
თა, თეთრად ორი ათასი თუმანი, ხალათი მძიმე სიასამურის
ქათიბითა“. დანარჩენ ქართველებსაც ებოძათ შაჰის ნაძღვნივე
„ინამი და ხალათი“.

1703 წელს ირანის ხელმწიფემ „საბოლოოდ მოაგვარა“
ქართ-კახეთის საქმეები. მან აღასრულა „საყვარელი ქართ-
ველი მეფეების“ დღენიადაგი ნაოცნებარია: ერეკლე ნახაო-
ალი-ხანი ქართლიდან კახეთის მეფედ გადაიყვანა, ხოლო ქარ-
თლის უმაღლესი ხელისუფლება ისევ გიორგი მეთერთმეტეს
დაუბრუნა. სულ მალე კი გამოიჩვენება, რომ არც ერეკლეს
უნდა ეღიროსო კახეთის მიწაზე ფეხის დაბიჯება და არც გი-
ორგის მოესწრება ქართლის წყაროს წყლით დარწყულება
ირანულ-უდაბნოური მწყურვალეებით ადუღებული გულისა.
ერეკლეს ბრძანება მოუვიდა, კახეთის მმართველობის მი-
საღებად ისფაჰანს გამოცხადდით. ერეკლე „სიხარულით“ შე-
უდგა სპარსულ „შაჰ რას“ („შაჰის გზას“). ხოლო მანამ პე-
სეინ შაჰმა ქირმანში მდგარ გიორგის რაყაში გაუგზავნა: ამი-
ერიდან შენ ხარ ქართლის „მეფე-ვალიც“, სპარსეთის უმაღ-
ლესი მთავარსარდალიც და ბეგლარბეგიც ქირმანისა, ყანდა-
პარისა და გირიშეისათ.

მალე გაიჩვენება, რომ მთავარი აქ ყანდაპარის გამგებლო-
ბა და მოვლა-პატრონობა ყოფილა, რადგან ისევ მოიწვედნენ
აელანელნი ცოფიანი იერიშებით აღმოსავლეთიდან. უკანას-
კნელად ქართველი თამაზ სარდალი შეჰკედომოდა
ქართველთა გუნდით ყანდაპარის კედლებთან მოიერიშე ავ-
ლანთა ჯარებს. ახლა გიორგი მეფეს, ყანდაპარის ახალ მმრძა-
ნებელს, ავალბდა შაჰი „მისი საბეგლარბეგოს“ დაცვას ავ-
ლანთა შემოტყეებისაგან. მაშ, გიორგი მეფე ყანდაპარს უნდა
წასულიყო დაუყოვნებლივ, ხოლო „მის სამეფოს“, ქართლს,
ვითარცა გიორგის „ნაიბი“ (მოადგილე), გაიგზავნებოდა მა-
სი ძმა ლევანი. თუმცაღა, ლევანი ირანის მდივანბეგაც
იყო, მაგრამ, სანამ იგი ქართლში ნაიბობას გასწეედა, მანამ
შაჰი ირანის მდივანბეგობას ლევანის ძეს, ქაიხოსროს



აკისრებდა. ვიმეორებ: ყველა ეს „გადანაცულებანი“ არის „დროებითი“ — მანამ, სანამ გიორგი მეფე ყანდაპარისკენ აღდგენილების „საქმეებს მოძრებოდეს“.

...ამისობაში ერეკლევ ჩავიდა სპარსეთს. ირანის „ხელმწიფე მზიარულად დახუდა“ მას. კახეთის მეფობა პირადად დაუდასტურა და „დამატებით“ სამეფო გეარდიის ყულარაღასობაც უბოძა. მაგრამ იქვე დასძინა შაჰმა მოულოდნელად: ვითარცა სპარსეთის ყულარაღასი, შენ ჯერჯერობით სპარსეთს უნდა დაჩხუბო, ხოლო კახეთის სამმართველოდ შენს ნაცვლად შენი ძე დავით იმამ-ყული-ხანი გაემგზავრებო. დიდი პატივი დაუდევს ჰუსეინ შაჰს ერეკლესათვის: პირადად — კახეთის მეფობა და სპარსეთის ყულარაღასობა, უფროსი ვაჟისთვის — კახეთის „ნაიბობა“, ანუ „ჯანიშინობა“, ხოლო უმცროსი ძისთვის, კონსტანტინესთვის — ისფაჰანის ტარულობა.

მაშ, ისევ ქართველებს უპირავთ ირანის უზენაესი „სახელონი“: მთავარსარდლობა (გიორგი), ყულარაღასობა (ერეკლე), მდივანბეგობა (ლევანი), ტარულობა (კონსტანტინე).

მაგრამ ვერც გიორგი და ვერც ერეკლე, მეფენი „უმთავრესი საქართველობისა“, ჯერჯერობით საქართველოსკენ ფეხს ვერ გადადგამენ, „ჯერჯერობით“ მათ იკმარონ „ქართველ მეფეთა“ ტიტულები, ვინათგან „ჯერჯერობით“ მათ „არსცალიათ“ საქართველოსთვის...

...1704 წელს გიორგი მეფე ქირმანიდან ყანდაპარისკენ გაემართა. 20000-იან სპარსულ მხედრობას მეწინავე ძალად 2000 ქართველი მიუძღოდა. ყანდაპარსაც მიატანეს. გამოეგება ხალხი და ჯარი ყანდაპარისა ქართველ ხელმწიფეს, აღდგენითაგან დაშინებულნი. „როგორც ქირმანის ქვეყანა მოარჩინაო მტერთა ხელთაგანო, ლეთით ისე ჩვენც გვიშველის ქართველი მეფე და მისი ქართველობაო“, — ბლაოდა ხალხი.

მისვლისთანავე ბრძანებანი დაგზავნა გიორგი მეფემ აღდგენისკენ: ყველა ვინც ჩემს მორჩილად თავს მიიჩნევს, დაუყოვნებლივ მეწვიოს, რათა მივანიჭო მათ ღირსნი პატივნი, ხოლო უკეთუ ურჩნი აღმოჩნდებიან, უწყალოდ განადგურდებიან პირითა ჩემი მახვილისაგან! „ამისნი მსმენელნი მოვიდნენ ყოველნივე ძღვნითა დიდითა წინაშე მეფისა და დამორჩილნი სრულიად და მებარკე-პყენა“.



ქართველი მეფე საქართველოდან შორს, უცხო ქვეყანაში იწყებდა მეფობას — მკაცრად, სასტიკად, საქართველოში კაბულიდან ინდოეთის მეფის ძემ გიორგიმ დაიწყო ძღვენი გამოუგზავნა და მშვიდობიანობის ჩამოგდება სთხოვა, — „რამეთუ ჰგონებდა იგიცა მისეღისა მეფისასა“ მასზე საომრად. გიორგიმ ინდოელის ძღვენი და წერბლი შაჰს გამოუგზავნა. ამისთვის ჰუსეინ შაჰი „ფრხად მადლიერი იქმნა“, ინდოელის ძღვენი და თავის მხრივ „სხვანი უმეტესნი საძლნოცა“ ყველაფერი ერთად გიორგის გამოუგზავნა და ნება დართო, შენ თვითონ შენის ნებით იქონიე ურთიერთობა ინდოელებთანო.

ამის შემდგომ კიდევ მეტად „მისინდობელი იქმნა“ მეფე გიორგი შაჰისათვის.

ხოლო, ამის გამო „შურობდნენ ამას ყიზილბაშნი“...
 ...ამის მაგვრად „დროებით“ ისფაჰანში მდივანბეგად დატოვებული ქაიხოსრო ლევანის ძე კეშმარიტი სახელმწიფო კაცი გამოდგა. მართლაც ყოფილა ეს ახალგაზრდა ქართველი „ცოდნის იადგარი“. იგი „ასე გაუძღვა ირანის მდივანბეგობას, რომე დიდი და მკორე ვააკვირვა“. შაჰმა იგი ძალიან დაიახლოვა და „სდებდა პატრესა უშურველსა“. მაგრამ 1705 წელს ჰუსეინ შაჰმა მაინც გაიძახა ლევანი ქართლიდან სპარსეთს.

ლევანმა ქართლის „ნაიბად“, ანუ „ჩანიშინად“ დატოვა თავისი ძე ვახტანგი, ხოლო თვითონ კიდევ ერთი ძის იესეს თანხლებით ისფაჰანისკენ გაქუსლა. შაჰს ძალიან მოეწონა იესე ბატონიშვილი, „სიმზნე და სიმშვენიერე მისი“ და მაშინვე გადაწყვიტა: ეს ჭიბუკი ბიძამისს, გურგინ-ბანს გამოადგებაო და გაგზავნა კიდევ ყანდაპარს. გიორგი სიზარულით და სიყვარულით შეხვდა ძმისწულს...

...დაუდგრომელი და დაუწუნარებელი ცხოვრებით ცხოვრობდა და განაგებდა გიორგი მეფე უცხო ქვეყანას. მხოლოდ უზომო შიშითა და სისასტიკით შეეძლო სიუკუნეების სიგრძეზე ველურ მტარვალობაში ნაზარდ ქვეშევრდომთა დამორჩილება. ამიტომ ბოროტებას ბოროტებით კურნავდა „თათრობითა“ და „თათრობაში“ გამწარებული მეფე. ზოგიერ გაურჩებულ სოფელ-ქალაქებს ჯარს გაუსევდა და აწიოკებინებდა, „ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი და-



მარხის, ზოგთა კბილები დააძერის და თავზე დაარქვინა“ ვა
 მორჩეული სიმკაცრით და თავაშვებულობით ექცეოდნენ ყვე
 დაპარელებს ყიზილბაშები. ისინი იტაცებდნენ და
 რებდნენ ყველაფერს, მოძრავს და უძრავს, სულიერსა და
 უსულოს. ყანდაპარშიო, — წერს ისტორიკოსი იოსებ ქართ-
 ველი, — „ვაყები და ქალიშვილები უკვე აღარ მიეკუთვნე-
 ბოდნენ თავიანთ მამებსა და დედებს, ცოლები აღარ ეკუთუ-
 ნოდნენ ქმრებს, ვაჟრები აღარ იყვნენ თავიანთი ფულისა და
 საკუთრების ბატონ-პატრონნი და მოსახლეთაგან არავინ იყო
 დარწმუნებული, შეეგებებოდა თუ არა იგი ცოცხალი ხვალის-
 დელ დღეს“.

დაშინდა ქვეყანა.

და რაკი დაშინდა, კიდევ „დაწყნარდა“...

...გიორგი მეფე კი „ქეშმარიტი ქართველი“ იყო. ყოველ
 შაბათ დღეს მხოლოდ ქართველებთან ჰქონდა შეხვედრა, ნა-
 დიმი, სიმღერა, ზმა, სმა და სამშობლოს დარდით და ნატყ-
 რით აშლილი ცრემლების ღესვა.

მაგრამ გიორგი მეფე „ქეშმარიტი თათარიც“ იყო და ყო-
 ველ სამშაბათს მხოლოდ თათრებს ხედებოდა, მათთან ნა-
 დიმობდა და „თრიაქდებოდა“.

ასე მიდიოდა საწუთრო მეფე გიორგი მეთერთმეტისა უცხო
 და უარშიო ქვეყანაში — „სამართლობდის, განისვენებდის,
 ნადირობდის, შეექცეოდის“.

კიდევ აჯანყდნენ ავღანნი. გიორგიმ ძმისწული, იესე ლე-
 ვანის ძე აფრინა ქართველ ცხენოსანთა და ქვეით სპარსელთა
 ჯარით. და „შეიქნა ომი ფიცხელი, და... იმ დღეს ბატონიშ-
 ვილი იესე გენახათ, ამას ბრძანებდი, კაცთა შეილი ამისთანა
 რა ინახებოდა! გაიმარჯვეს, ამოსწყვიტეს, ცათა ღმერთი შე-
 არისხეს, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი“. გაიხარა გიორგიმ
 კიდევ ერთი გამარჯვებით ძმისწულის სიმამაცით და საბრა-
 ანობით. წელზე ძვირფასი ხმალი შეარტყა საკუთარ ხელით.
 ყველას მიუგო საბოძვარი, ვინც ბრძოლაში თავი გამოიჩინა...

...ბევრი ავღანელი ბელადი თვითონ დაიმორჩილა გიორ-
 გიმ, ბევრი თავისით ეახლა და ეყმო. ამათგან იყო ერთი —
 სახელად შირ-ვეისი, ნიჭიერი და მამაცი ავღანი. „უსა-
 ზღვრო ერთგულების“ მეტი ჯერჯერობით ვერაფერი ამო-
 ეკითხა ამ კაცში ქართველი მეფის ფხიზელ თვალსა და საღ-



მასურ გონებას. კიდევაც გამოსცადა იგი გიორგიმ. ერთ-ერთი აქანყების ჩასაქრობად ვაგზავენა მირ-ვეისი. წავიდა მირ-ვეისი, აქანყებულნი გაანადგურა და მათი ბელადი გაყრილი მთართვა მეფეს. ძალიან გაიხარა გიორგიმ და უბოძა საბოძვარი გამარჯვებულ მირ-ვეისს და საბოლოოდ დაიჯება მისი „გულწრფელი ერთგულება“. მაგრამ სულ მალე იგრძნო, რომ მწარედ მოტყუვდა. მირ-ვეისი აღმოჩნდა ცბიერი და მხაკვარი. მსტოვრები ატყობინებდნენ გიორგის: მირ-ვეისი თეთრი კბილით იცინის და შავი გულით მოქმედებს, იდუმალ შეთქმულებებს აწყობს, ავლანელ ტომებს საჭანუოდ ამზადებსო. გიორგიმ მირ-ვეისი შეიპყრო და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ იგი ისფაჰანში შამ სულთან ქუსეინს ვაუგზავენა და შეუთვალა: „ეს კაცი აღმოჩნდა გარდასულ არეულობათა და უწყესობათა გამომწვევი და სულისჩამდგმელი; ახლაც უარშიობს თავაშებული; დააკავეთ და არასგზით არ გამოუშვათ, თორემ იგი გახდება ისეთ ახალ არეულობათა მიზეზი, რომლებიც შეიძლება დიდად სახიფათონი აღმოჩნდნენ სახელმწიფოსთვის“.

გიორგის ასეთი „ლმობიერება“ მისთვის დამღუბველი გამოდგება...

მირ-ვეისი რომ „მოიშორა“, რაღაც უზრუნველობას მიეცა გიორგი. თითქოსო აღარ იყო „შეკრება გულსა მისსა“. საფრთხის ალღო და გერში სავსებით მოეშალა. ავლანელთა ყრუ დრტკინებასა და ელავილს ძალის ვეფადაც აღარ აგდებდა. მარტო ციხიონი ჩაიტოვა ქალაქში, ქართველთა გუნდი მკველად დაიყენა, ხოლო უმეტესი საომარი ძალა — სპარსელთა მხედრობა — სულ დაშალა და დაითხოვა სამსახურიდან.

ისფაჰანში კი მირ-ვეისმა მისვლისთანავე დაყნოსა სასაზღის კარის განწყობილებანი და უმაღლე იგერშა, რომ შაჰის უმაღლეს მოხელეთა შორის გიორგი მეფისადმი უფრო შური, შიში და მტრობა სუფევდა, ვიდრე თანადგომა, პატივისცემა და სიყვარული. მართლაც, აშკარად „შურობდნენ ყიზილბაშნი“ ქართველ ხელმწიფეს. გიორგი მეფის მტრების მოთავესაც მაშინვე მიაგნო მირ-ვეისმა. ეს ყოფილა სასაზღის კარის უმაღლესი გამრიგე და ბაზიერთუხუცესი ფათ-შალ ი-ხ ა ნ ი (წარმომავლობით ლეკი), რომელიც შემდგომ



მში ირანის პირველი ვეზირი უნდა შეიქნეს. ესეც არ დაგვაიწყდეს: ავღანელ ბორკილოსანს უკან უამრავი სახეობის ბი და ფულად ოცდაათი ათასი თუმანი მოსდევდა. და იყო საჭირო? ქრთამი, შური და სიძულელი ერთ კავშირში — ქართველი მეფის წინააღმდეგ! ბოლოს, გიორგის მტრებმა იმდენი ქნეს, რამდენჯერმე შაპთანაც მოახერხეს მირ-ვეისის შეწყვანა... და შეუჩნდნენ შაპ სულთან ქუსერის — გავათავისუფლოთ და გავუშვათ თავისკავე ქვეყანაში უღანაშაულო და ერთგული მირ-ვეისიო. შაპს ყრწმანი შეუდგა. ეს კარგი ნიშანი იყო. მირ-ვეისმა ვითომც გიორგი დაივიწყა და შაპს სთხოვა მექაში გამიშვი სალოცავადო. შაპი დათანხმდა. წავიდა მექაში მირ-ვეისი. ილოცა ქააბას, „ღვთაებრივ ქვაზე“, და დიდხანს ეთათბირა ისლამიტური სამყაროს უმაღლეს ქურუმს. ეთათბირა და მიიღო ნება და კურთხევა საღვთო ომისა „ურწმუნო ქართველების“ წინააღმდეგ, რომლებიც „ჩაგრავენ ნამდვილ მორწმუნეებს, ყანდაპარელებს“. ისფაჰანს დაბრუნდა მირ-ვეისი და წარუდგინა შაპს მუსლიმური რელიგიის საკეთმპყრობლის მოწოდება „საღვრთო ომისა“ ქართველთა წინააღმდეგ.

ყოველივე ამას ზედ დაერთო კიდევ ერთი „ძლიერი შემთხვევა“, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მირ-ვეისის ბედიც, გიორგი მეფის იღბალიც და, ასე გასინჯეთ, სპარსეთის მომავალიც. სპარსეთს ჩამოვიდა რუსეთის ელჩი, სომეხი ხალხის რჩეული შვილი ისრაელ ორი, რომელსაც ჩამოსვლისთანავე რაღაც საიდუმლო „მი-მო-სელა“ გაუმართავს გიორგი მეფესთან.

ეს სავსებით საკმარისი შეიქნა, მირ-ვეისს, ფათა-ალი-ხანსა და მათ მომხრეებს მთელს სპარსეთში ხმები დაეგდოთ: ქართველთა მეფე თანაქრისტიან რუსებთან და სომეხებთან რაღაც სპარსეთის სამტრო კავშირს ჩარბავსო. „ვის შეუძლია დაიჯეროს ქართველების ერთგულება? — ამბობდა მირ-ვეისი, — განა საეჭველია, რომ ისინი თავისი ნებით არ ემორჩილებიან სხვა რჯულის ქვეყანას? განა დაგვაიწყდა მათი მრავალგზისი ცდა გადაეგდოთ სპარსეთის იმპერიის უღელი ამავე გურგინ-ხანის მეთაურობით რომელიც ატლა სპარსეთის იმპერიის სამი პროვინციის გუბერნატორია!“ ნურც ის დაგვაიწყდება, გურგინ-ხანის უფროსი ძმა რომ რუსეთშია

(არჩილი მაშინ რუსეთს იყო) და იქ პეტრე პირველთან ერთად დახმარებას; რუსეთის არმიებმაც ხომ შეუძლიათ. კაცვასია გადმოლაზონ, ქართველებს ხელი მისცენ და სპარსეთს შიშალო მოულონ. „გურგინ-ხანიც ხომ გულით შეპყრობილია და უეჭველად ასე მოხდება: ქართველები და სომხები ერთმანეთს შეეკერებიან (რეფორც ეს ადრეც „სჩეეოდათ“) და რუსეთის დახმარებით სპარსეთისგან თავს დაიხსნიან და ამ დიდ „საქრისტიანო ბრძოლაში“ მთავარ ძალად „საქართველოს მამაცი მცხოვრებლები“ იქნებიან, ხოლო მთავარ გმირად უეჭველად გიორგი მეფე ეყოლებათ მონიშნული!

და ყოველივე ეს მართლაც რომ ჰგავდა სიმართლეს...

და ერთ დღეს გიორგი მეფეს სპარსმა შათირმა პუსეინ შაჰის გამოგზავნილი ძვირფასი ხალათი და რაყამი მოართვა. რაყამში ეწერა: „ჩვენ მირ-ვეისი უბრალოდ ვსცანიით და შევირიგეთ, ვინაჲს ჩვენი გადაწყვეტილება მართებულად მიიჩნით, მირ-ვეისი თქვენც მართლად ჩათვალთ, შეირიგეთ და თქვენს სამსახურად დაიბრუნოთ!“

რალა გაეწყობოდა — მიიღო და შეირიგა მირ-ვეისი გიორგი მეფემ. საშიშარი და საფთხურიც არაფერი უგრძენია, რადგან მის წინაშე მუხლებზე დაცემული მიჩ-ვეისის თვალებიდან მხოლოდ მორჩილი და ბედსშერიგებული მონა იმხირებოდა და სხვა არაფერი.

წელიწად-ნახევარი გავიდა „შერიგებიდან“. მირ-ვეისი ძაღლურ ერთგულებას იჩენდა. გიორგის სავსებით ამორეცხოდა გულიდან მისდამი „ოღინდელი“ წყენა და ეჭვი.

1708 წელს გიორგი მეფემ თავისი ძმისწული იესე ლევანის ძე ქირმანს სამმართველოდ გაგზავნა და მის ნაცვლად ყანდაპარს მეორე ძმისწული ჩამოიყვანა — ალექსანდრე ლუარსაბის ძე. იმავე წელს გიორგიმ იერუსალიმსა, გოლგოთისა და ჯერის მონასტრის „სახსრად“ და შესამკობად გაგზავნა ორი ათასი თუმანი და „სხვანი მრავალნი შესამკონი“ (დიდი საბუთი უნდ მისცემოდა მირ-ვეისს: გიორგი მეფე ქრისტიანობას არ იშლიდა!). მერე, ოქონის განთქმული ხატი, ჯეარნი და სანაწილენი, რომლებიც ადრე, საქართველოში ყოფნის დროს, გიორგის მესხეთიდან გამოქცეულმა ქართველმა ჩამოუტანა, ახლა მეფემ საქართველოშივე გაგზავნა თავის მძისწულ ვახტანგ ჯანიშინთან...

...იმ დღეებში მირ-ვეისმა ნადიში გამართა და გიორგი მეფე მიიწვია. გიორგიმ მირ-ვეისის ასული იხილა და „გარდა რეულად მოესურვა“. ეს ქალი უნდა მომცეთ, მტკიცედ უნდა რა სტუმარმა მისპინძელს. მირ-ვეისი „სახარულით“ თქვა, ოღონდ „მოფიქრებისთვის“ მცირე დრო უნდა მომცეთ.

განვლო კიდევ მცირე დრომ და ერთ დილას მირ-ვეისი მოიჭრა სასახლეში და მეფეს აცნობა: ფირინების ტომი აჯანყებულია ჩვენს წინააღმდეგო! (ქართველთაგან კი არაფერ იცოდა, რომ იმ „მოფიქრების დროში“ ფირინები სწორედ მირ-ვეისის ნიშანზე აჯანყებულიყვნენ!).

აღრეც ვამბობდი. ფირინების საზიზლარი მოდგმა უნდა ამოწყდეს და ამოიძირკვოსო, — ყვიროდა მირ-ვეისი ვითომ გულწრფელი ლანძღვით. გიორგიმ იგი „დაამშვიდა“ და მისწული ალექსანდრე ლუარსაბის ძე იხმო სასწრაფოდ. ქართველთა ჯარი, სულ ათასი კაცი, ჩააბარა და ფირინთა ბუდეების მოსათხრელად გაგზავნა.

მირ-ვეისს კი ისევ ნადიში აქვს, გიორგი მეფის, ვითარცა „სიძის“ საპატიოდ. თავს ეველებიან ავღანელნი დიდებულ სტუმარს. „ყველაფერი მოართვეს, რისი მირთმეცა კი შეიძლებოდა. ყველა ცდილობდა ყოფილიყო ბირველი ქართველი სტუმრისადმი ყოველნაირ სამსახურში... საუცხოო ღვინო გაჩაღდა“. უკვე დიდი სასმურებით დაეძალნენ ღვინოს. სვამენ ქართველები მწყურვალედ, დაურიდებლად, უდიერად. ნადიში (თუ ქორწილი) გრძელდება შუალამემდე. ქალაქიდან სამი ვერსის მანძილზე დგანან ავღანთა ჯარები და მირ-ვეისის ნიშანს ელიან. ქართველები კი ჯერჯერობით ღვინოში იხრჩობიან (ღვინოში და არა სისხლში — ჯერჯერობით). ნადიში აბარბაცდა, აიშალა და გაიყარა. ღვინით ხელდარეული ქართველები ერთმანეთს შორდებიან და ცალკეობილად ბრუნდებიან თავიანთ სახლებში (მათ არ იციან, რომ სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს). მეფე გიორგიც მარტოდმარტო შედის სასახლეში...

მესამედ იყივლეს მამლებმა. ავღანთა რაზმეულები ერთსა და იმავე ეამს მიადგნენ ძილში ჩაძირულ ქართველთა ცალკეობილ საბინადროებს: ორმოცდაათ-ორმოცდაათი ავღანი შეომარია — თითოეული ქართველის სიცოცხლის ჩასაჭრობად. ასაკიანი რაზმი — „ყოვლისმძლეველი ქართველი მეფის“ შესამუსრავად...



...ქარის ზრიალმა და თოფის გრიალმა წამოაგდო ფეხზე გიორგი მეფე. მშვილდი და კაპარტი აიტაცა და რევერენსით სწრო ისრის გასროლა. რვაჯერვე გაისმა მომაკვდინებელი დაღწილ ქართან. ისრები რომ შემოეხარჯა, ხმაღვამართული ეკვეთა უკვე სანთიობოში შემოჭრილ მტრებს. ზედიზედ დასცა და დარცა, ვისაც მიუხდა და ვინაც მოუხდა. „თოფებიო!“ — გაისმა ბღავილი მირ-ვეისისა და საშინელმა გრიალმა შეაზანზარა სასახლე... სისხლით დატბორილ იატაკზე ათი-თორმეტი მკვდარი ესვენა — ზოგი ისრით გულგამობილი, ზოგიც ხმლით შუაგახეხილი. ცალკე იწვა ვეება გვამი, ტყვიით დაცხრილული. ეს იყო გიორგი მეთერთმეტე, მეფე ქართველთა.

...მიეჭრა მირ-ვეისი, დაღწილი მკერდი მოუხსრია და... ქრისტეს ჯვარცმამ იელვა ქართველი მეფის მეწამულ მკერდზე. იქვე, სარეცლის სასთუმალქვეშ ბიბლია გამოჩნდა, ფსალმუნზე გადაშლილი. იტაცებული დმუილი აღმოხდა მირ-ვეისს. სხვა საბუთები რაღა საჭირო იყო ქართველი მეფის „ლაღატის“ დაამტკიცებლად. შაჰსა და ქვეყანას მამამდიანობას ეფიცებოდა, ხოლო სულით დ გულით ისევე ქრისტიანად დარჩენილს ჯვარი აავლიჯა მკერდიდან მოკლულს, ბიბლიაც აიტაცა და მალეშრბოლი იხმო.

მიჰკროდა შათირი ისფაჰანისკენ და მიჰქონდა ქრისტიანული ნივთები გიორგი მეფისა და წერილი მირ-ვეისისა. ავღანთა ბელადი იჩანის ხელმწიფეს სწერდა: „აჰა, დახედე და დარწმუნდი, როგორ გაედუნებდა მეფე ქართველთა!“.

...ყანდაპარი კი მირ-ვეისის ქარებით ავსებულყო. დახოცილ ქართველთა გვამები გამოათრის და ქალაქის შუაგულ მოადენზე გროვად დაჰყარეს. გიორგი მეფის უზარმაზარი ცხედარი ზემოდან წამოაწვინეს, ხალხის და ქარის „თვალსასვიროდ“. მირ-ვეისი ცხენზე აღიმართა, გიორგისკენ ხელი გაიშვირა და შესძახა: „აი, ხელმწიფე გურგინ-ხან, იგი უკვე აღარ არსებობს ცოხალთა შორის; ქართველი კაცი, ერთადერთი სპარსელთა შორის, რომელმაც ღირსეულად დაიმსახურა სახელი ჭეშმარიტი მხედრისა, ხელმწიფისა და ვაჟაკობისა“.

იღვა 1709 წლის 21 აპრილი, დიდი ხუთშაბათი. აღსრულებულყო გიორგი მეთერთმეტე, უკანასკნელი დიდი გი-



ორგი (გიორგი მწათმინდელის, გიორგი ჭყონდიდელის, გიორგი მესამის, გიორგი მეოთხე ლაშის, გიორგი მესხელის ბრწყინვალისა და გიორგი სააკაძის შემდგომ). ასევე და მისი სახელით გამოჩნეული „გიორგი-შვიდეული“ საქართველოს ისტორიაში.

აღსრულებულიყო მეფე ქართლისა „გენერალისიმუსი სპარსეთის ჯარებისა“ (როგორც უწოდებდნენ მას იმდროინდელი ევროპელები), ბეგლარბეგი ქირმანისა, ყანდაპარისა და გირიშკისა — ერთდროულად სამშობლო საქართველოს თავდადებული გმირიც და მისი სამშობლოს მოსისხლე „უცხო თესლთა“ ისტორიის მკვდელიც. აღსრულებულიყო „მეფე მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა („ძლიერი გოლიათებრ“), მშვენიერ-პაეროვანი, პირ-მზიარული, ენატკბილი („ასეთი სიტყვა ჰქონდა, მტერნი მოყვრად შეცვალის“). უხვი და მრისხანე, მოისარ-მოსაპარეზე უებრო, სამხედროთა საქმეთა სრული და ხელგამომავალი“, იმდროინდელი აღმოსავლეთის უდიდესი გენერალი და პოლიტიკოსი, თავისი დროის ქართული ენის დიდი მესიტყვე, ქართული მწიგნობრობის თავკაცი და მეცენატი, თვითონაც მწერლობაში ხელგაწაფული (მისი თხზულებათა „თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ“). გადაეგო უშვილძიროდ (ის ერთადერთი ძე, ბაგრატი, სპარსეთის მძევლობაში მოუყვდა), თვისტომთაგან დაუტარებლად. გადაეგო ყველაზე მწარე ტრაგედიით — სამშობლოდაკარგული კაცის ტრაგედიით (აქი უცხო სამყაროში ჩადენილ უდიდეს გმირობასაც ადგილობრივი უმადურობისა და უფასურობის მიწა ეყრება უმეტეს წილად!).

უცნაური იყო მისი წუთისოფელი: დიდმა მამულიშვილმა საყვარელ სამშობლოს საკუთარ წიაღში მოღვაწეობისას ვერ მისცა იმდენი მადლი და სიკეთე, რამდენიც უცხოეთში მოღვაწეობით და უცხოელთათვის თავის გაწირვით. ამიტომაც უიღბლო ჩანს მისი გმირობა... განა ვინმეს გაეგებოდა (ან გაეგება?!), რომ მისი უებარი სიქველე და თავგანწირვა უმადურ „უცხო თესლათვის“ უცხო მხარეში, მაინც დიდ მადლად გამოადგა მის ღვიძლ სამშობლო საქართველოს?! სწორედ მან წარმართა საქართველოს მოსისხლე სპარსეთის ხარბი თვალყური აღმოსავლეთ ირანსა და ავღანისტანისაგან,



ხოლო მასვე უამს გიორგის ძმისწულმა, დიდმა მამულმა, მა ვასტანგ მევექსემ დრო დაიხელთა და ირანის ქვეყანაში მშობლიური ქართლი მკვდრეთით აღადგინა, დაეხსენებოდა ააყვავა. განა, ყოველივე ეს გიორგი მეთერთმეტის „უიღბლო გმირობის“ მაღლი არ იყო?! განა მისი „უიღბლობა“ მისსავე სამშობლოს ფესბედნიერ „იღბლად“ არ მოევიღინა?!

გამეფდა 26 წლისა, იმეფა 18 წელიწადი, აღესრულა 51 წლისა.

საქართველოდან შორს, უცხო ცის ქვეშ, ცხელ უდაბნოში-განზავდა ქართული მიწისა და წყლის მონატრული მხურვალე გული.

გიორგი დან მახტანგამდი

უიღბაშები დიაცები არიან ავღანებთან შედარებით, ხოლო ავღანები დიაცები ვართ ქართველებთან შედარებით.

ავღანთა აღიარება

გიორგიმ რომ აჯანყებული ფირინების წინააღმდეგ აღექსანდრე ლუარსაბის ძის სარდლობით ქართველთა ათასეული გაგზავნა, იმ ათასეულმა აჯანყებულები მძიმედ დაამარცხა, ხელახლა დაბარკა, ნადავლი აიღო და უკან გამობრუნდა. გიორგისთან მოიჩქაროდნენ და არკი იცოდნენ, რაც დამართნოდა მათ მეფეს. ყანდაპარს რომ მიუახლოვდნენ, მაშინ შეიტყვეს შემხთვევით ამბავი მეფისა და ქალაქში დარჩენილ ქართველთა დაღუპვისა. აღექსანდრე მიხედა, ათასი მეომრით ავღანთა ჯარებითა და ზარბაზნებით გატენილ ქალაქს ვერ აიღებდა და ყანდაპარის გზიდან გირიშის გზისკენ გადაუხვია. 5000 მეომრით დაედევნა მირ-ვეისი, შემობრუნდნენ ქართველები და შეებნენ. ლესურად ჩათიბეს მეწინავე ავღანნი ქართველებმა უაუქცა მირ-ვეისი. ქალაქიდან ახალი ძალები გამოიხმო და კვლავ გამოედევნა. ისევ უაუქციეს ქართველებმა მკვლელი მათი მეფისა. მაინც არ მოეშვა მირ-ვეისი და რვა დღე-ღამე გაგრძელდა დევნა, დაცემა, უაუქცივა ყანდა-

პარიდან გირიშკისკენ მიმავალ გზაზე. თორმეტკერ დაამარცხეს და გააქციეს ქართველებმა მირ-ვეისი, რამდენიმე ათასი მეომარი გაუწყვიტეს და გაუხეიბრეს. გირიშკის ციხეში შეტრფნულნი და შეიკეტნენ ქართველნი. მირ-ვეისმა, „დაუტბარტყლმან მანქანამან“, 13000 მეომარი მიაყენა გირიშკს ალყაში ქართველთა მოსაქცევად. მაგრამ მტრის ალყად დადგომას დაასწრო ალექსანდრემ, დილა-ბნელზე ჭარი გამოიყვანა და უეცრად დაეცა თავს ავღანთა ღამენათევ ლაშქარს. მრავალი ავღანი შეაყვდა ქართულ ხმლებს. მირ-ვეისმა თავისი მხედრობის ნაფლეთებითა გაასწრო სიყვდილს...

...გიორგის დაღუპვის შემდგომ ჰუსეინ შაჰმა უქართველებოდ სცადა ყანდაპარის დალაშქერა და გაგზავნა კიდევ 15000 ცხენოსანი ყიზილბაში პერათის ხანის სარდლობით.

„მე ქართველებთან ომი მიჭირს, თორემ ყიზილბაშები ჩემი ცხვრები არიანო“, — უთქვამს მირ-ვეისს და 5000 ავღანი იკმარა თხუთმეტი ათასი სპარსელის წინააღმდეგ. პირველი დატაკებისთანავე დაფრთხნენ და აირივნენ სპარსელნი და თითქმის ერთიან ასწყვიტეს ისინი ავღანელებმა.

მაშ, ისევ საჭირო ყოფილა ქართველი სპასალარი და „წინამძღოლობა ქართველთა“, ანუ საჭირო იყო შეეცვალათ მზაკვრულად მოკლული გიორგი მეფე — „ვალი“ ქართლისა, ბეგლარბეგი ქირმანისა, ყანდაპარისა, გირიშკისა და სხვათა და სხვათა.

გიორგის „მაგიერობა“ ყველაზე მეტად ალბათ მის ძმას, ლევანს დაშვენდებოდა, მაგრამ ლევანი უკვე ცოცხალი აღარ იყო — იგი მოულოდნელად გარდაცვლილიყო. გიორგის სიყვდილიდან ორმოცის თავზე. გიორგისა და ლევანის შემდეგ სპარსელებს ლევანის უფროსი ძე ქაიხოსრო ჰყავდათ თვალში ამოღებული. არც ტყუედებოდნენ ირანის გონებასუსტი მესვეურები: ქაიხოსრო ნიჭით, სიმამაცითა და სიჭველით, დიდაც, ღირსეული მემკვიდრე იყო სახელოვანი ბიძისა და მამისა. და შაჰ ჰუსეინმა ქაიხოსროს ჩააბარა: მეფობა ქართლისა („ვალი გურჯისტანისა“), მთავარსარდლობა ირანისა და ბეგლარბეგობა თაერიზისა და ბარდისა. ხოლო, დანარჩენი „სახელოები“ შაჰმა ასე გაანაწილა: ქართლის ჯანიშინობა, ანუ ქაიხოსროს მოადგილეობა დაუტოვა ისევ მის ძმას ვახტანგს, ქირმანის ბეგლარბეგობა მისცა მესამე ძმას

იესეს და ისფაჰანის ტარულობა — მეოთხე ძმას...
...1710 წელს ქაიხოსრო მეფე ყანდაპარისკენ წაიშრა.
30000 იტანელს წინ მთავარ, „უტყუარ საიმედო“
ქართველი მიუძღოდა. ქირმანელთა ჯარს ქირმანის მეგობრებ-
გი იესე ბატონიშვილი სარდლობდა; ვირიშეის ომგადანახადი
ქართველთა ათასეულიც შეუერთდათ. ალექსანდრე ლუარსაბის
ძის მეთაურობით. ყანდაპარს რომ მიუახლოვდნენ, შემოეგე-
ბათ მირ-ვეისი, ავღანთა უზარმაზარი მხედრობით. ბრძოლა
ისევ ქართველებმა გახსნეს. შუაგულს თვითონ ქაიხოსრო მი-
უძღოდა, მარჯვენა ფლანგს — იესე. მარცხენას — ალექსანდრე.
პირველი დატაკებისთანავე გაექცნენ ავღნელნი ქართველთა
შეტევას. გამოედევნენ ქართველები. მიჰყვნენ სპარსელები.
მირ-ვეისი ტყვეობას ძლივს გადაურჩა და ყანდაპარის კედლებ-
ში შეაღწია. ქაიხოსრომ ალყა შემოარტყა ყანდაპარს. რამდენ-
ჯერმე გამოიჭრა მირ-ვეისი ჯარით, მაგრამ ყოველთვის ისევ
დამარცხდა, კვლავ შეეფარა ქალაქის კედლებს. ალყა გაჭია-
ნურდა რამდენიმე თვეს. ქაიხოსროს ბანაკში შიმშილი და
აუადმყოფობა გამძლავრდა. მირ-ვეისმა დრო იხელთა და გა-
მოიჭრა ქალაქიდან დიდის მხედრობით. საშინელ ბრძოლაში
ჩატოვეს ქართველები ყიზილბაშებმა, თვითონ კი გამოქცე-
ვით თავს უშველეს. ქართველთა უმრავლესობა შეაკვდა მტერს.
ბრძოლაში დაიღუპნენ ალექსანდრე ლუარსაბის ძე და თვი-
თონ ქაიხოსრო, მეფე ქართლისა: „გენერალისიმუსი სპარსე-
თის ჯარებისა“,* ზეგლარბეგი თავრიზისა და ბარდისა, „ცოდ-
ნის იადგარი“, მაღალგონიერი სახელმწიფო კაცი, მამაცი მხე-
დარი და ნიჭიერი მხედართმთავარი.

ეს მოხდა 1711 წლის 27 სექტემბერს.

და სწორედ მაშინ ითქვა თვითონ ავღანელთ შორის: „ყი-
ზილბაშები დიაცები არიან ავღანებთან შედარებით; ხოლო
ავღანები დიაცები ვართ ქართველებთან შედარებით“.

* ასე უწოდებს ქაიხოსროს ფრანგი პეერ ისუდენი.



სანამ მეფენი გიორგი და ქაიხოსრო აღმართნენ და იხოცებოდნენ, მანამ ქართლის ტახტზე „ჯანიშინი“ (მოადგილე) იჯდა — ვახტანგ ლევანის ძე. ვახტანგის „ჯანიშინობა“ საერთო სათვალავით გაგრძელდა ცხრა წელიწადი. ქართლი დიდი ეროვნული აღორძინების აღმავლობისა და აყვავების გზას შეუდგა. ქვეყნის ნივთიერ, სულიერ, სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ვახტანგი სწორედ ღირსეული მემკვიდრე გამოდგა დიდი სახელმწიფო და კულტურული მოღვაწეებისა.

ვახტანგი ჯერ პიროვნულად იყო მომზადებული ეგზომ მალაღსახელმწიფოებრივი და მალაღკულტურული მოღვაწეობისათვის. იყო იგი „ზნესრული“, „ფრიად მოღვაწე, სამღვდელთა პატივისცემელი, ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, შებრაღე, ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა, ჭვართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნისმოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შვენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი, არამედ მრისხანე. ამან მოიწყო ყოვლითა ქართველნი“. დიდაც მრავალმხრივი იყო მისი გონებისა და „მუშაკობის“ თვალსაწიერი. იგი არ ყოფილა მხოლოდ „მშრალი გვირგვინოსანი“, არამედ იყო ქვეყნის ქეშმარიტი განმანათლებელი, დიდი მწიგნობრობის მოთავე და მეცნატ-მფარველი, თვითონ მგრძნობიარე პოეტი, მეცნიერული მუშაკობის სულისჩამდგმელი, სამწიგნობრო გამომცემლობის მესაფუძელე. სამოსამართლო სჯულმდებელი და სახელმწიფოებრივი კანონმყრელი. ვახტანგი არის დამაარსებელი საქართველოში პირველი სტამბისა, სადაც პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, თვითონ ვახტანგის მიერ მეცნიერულად კომენტირებული და რედაქტირებული. იქვე დაიბეჭდა მრავალი საღვთისმეტყველო და საერო ხასიათის წიგნი. მბეჭდველობითი საქმიანობით ვახტანგმა შექმნა ისეთი განწყობილება, რომ „უმეცარნიცა სამღვდელთა წერილთა იკითხვიდიან“.

სტამბის შექმნაში ვახტანგს ფასდაუღებელი დახმარება გაუწია რუმინეთში მცხოვრებმა დიდმა ქართველმა მოღვაწემ ანთიმოზ ივერიელმა, დიდმა საეკლესიო რეორგმატორმა, ხუროთმოძღვარმა, მოქანდაკემ მხატვარმა,

ორატორმა, რომელსაც მანამდე შეეკმნა სტამბეტი რუმინულ, ბერძნულ, სლავურ და არაბულ ენებზე.

ვახტანგი იყო პირველი, რომელმაც ხელი მოსწავლა „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერულ შესწავლას, ხელსწინააღმდეგეობა შეუგებას, გასწორებას და შევსებას. საამისოდ მან, ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით, შეეკმნა „მეცნიერ კაცთა“ კომისია, რომლის საკვლევადიებო განზრახულება, სამუშაო განწყობა და ჩატარებული მუშაობის შინაარსი წარმოდგენილია ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ წინასიტყვაობაში, ანუ თავისებურ „შანიფესტში“.

ვახტანგმა ქართლის სამეფო სადარბაზოდან ზედიზედ გააძევა სპარსული ნასუფრალის შემყურე „ანტიქართველი“ თანამემამულენი და მათ ადგილზე დანიშნა, ჰუმარატი პატრიოტები — გონიერნი, განათლებულნი, მამულისთვის თავდაუდებულნი, მსგავსნი დიდი შწერლისა და განმანათლებლის სულხან-საბა ორბელიანისა.

საქართველოს ერთიანი იდეოლოგია ისევ ქრისტიანულ სარწმუნოებას ემყარებოდა. „ქრისტიანობა“ და „ქართველობა“ ისევ ერთ მთლიან სულიერ-სხეულებრივ ერთოვნულ თვითმყოფობას გულისხმობდა. ეს ყველაზე კარგად ვახტანგ ჯანიშინმა იცოდა და იმიტომაც „ინება საქართველოს სარწმუნოების გაძლიერება“, ქრისტიანული ეკლესიის განწმენდა, განმტკიცება და აღზევება. 1705 წელს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც საქართველოს კათალიკოსად აყურთხა ვახტანგის ძმა დომენტი, რუსეთიდან ახლად დაბრუნებული, ფრიად განათლებული და განსწავლული კაცი.

ვახტანგმა აღაშენა და განაახლა ბევრი ტაძარი და ეკლესია, მათ შორის „სიონის ვუმბათი და სამხრო და შეამკო ყოვლითურთ სიპატიოსნითა, განაპატიოსნა ცხოვლისმყოფელი სვეტი და დაასვენა კარსა სვეტისასა ხატი პატიოსანი. შემკული ყოვლითურთ სიპატიოსნითა, შემოავლო სვეტსა ფარდა მძიმისა ზარბაზისა, გამოუცვალა კანკელსა ზევითა სვეტები, თლილის ქვისა და აღაშენა ურბნისის სამრეკლო და გალავანი, განაპატიოსნა შიგნით გარემდი“. გაჰყავდა გზები, აგებდა ხიდებს, სავაჭრო ქარვასლებს, წისქვილებს, წყაროებს („ვახტანგის რუები“), მართავდა წყალსადენებს. აშენებდა ახალ ქალაქებს, დაბებს, სოფლებს. „აღაშენა ხუნანი და სოფლები

უშენსა ადგილებსა“. აშენდა, დამშვენდა და გაიზარდა თქონ ტფილისი. საქართველოს სატახტოში მაშინ იყო მცხოვრებზე მეტი ითვლებოდა. იყო გაცხოველებული, მტკიცეობა, ხელოსნობა ნაირსახოვანი — წარმოება საფეხურიანი ქურველისა და სამუშაო იარაღებისა, ოქრო-ვერცხლის სამკაულთა, მუსიკალურ საკრავთა, ქსოვილთა, სოჯახო ქურჭლეულთა, თოფის წამლისა და ტყვიისა, ცხენთა და აქლემთა მოკაზმლობისა, საღებავებისა, სასმელებისა. ტფილისს ვახტანგმა აღაშენა ბტწყინვალე სასახლე.

ვახტანგი შეიქნა სამართლებრივი (გინა „იურიდიული“) სჯულმდებელი (გინა „კოდიფიკატორი“), რომელმაც „დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი“. ვახტანგის სამართალი“ ეხებოდა ცხოვრების ყოველ მხარეს — საბატონ-ყმო ურთიერთობებს, წოდებრივ მიმართებებს, ქონებას, ნასყიდობას, ვალს, მემკვიდრეობას, ქურდობას, მკვლელობას, თჯახს, ზნეობას. ცალკე საკანონმდებლო ძეგლად შეადგინა ვახტანგმა „დასტურლამალი“, თავისებური „ახალი ვარიანტი“ ძველი „ხელმწიფის კარის ვარიგებისა“, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფო „ინსტიტუტების“ გატეგნულ სახესადა და შინაარსსაც.

თავისი, ვითარცა ერთპიროვნული მეუფის, ხელისუფლების ასამაღლებლად, ვახტანგმა „განაწყენა სპანი როქითა მცველად თვისად“, ანუ „სამეფო გვარდია“. ეს უნდა ყოფილიყო ჯანიშინის საყრდენი ძალა „თავგანმზიდავი“ ფეოდალების დასათრგუნავად და „დასამშვიდებლად“.

და კიდევ — უდიდესი ჰუმანიზმი ვახტანგ ჯანიშინისა: მან „მოშლა ტყვის-ყიდვა“.

ამას კი არ შეურიგდნენ საქართველოს სატახტოში ჩამყვიდრებულნი სპარსელები, რომლებიც ქართველი ტყვის ყიდვა-გაყიდვით დიდ შემოსავალს ღებულობდნენ. ასე არ უნდაო, და ვახტანგმაც „დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისის ციხის მცველნი და აღამაღლა ქართველნი“. ამან სულ გააცოფა ტფილისელი თათრები, ისინი „განდგნენ და დაბშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზანთა“. ვახტანგმა შაჰს „მიანდო“ ამბობებულ ყიზილბაშთა „მოვლა“. შაჰ სულთან ჰუსეინს ეამა „ერთგული ჯანიშინის თავაზიანობა“ და „წარმოავლინა მტარვალნი“, რომელთაც შეიპყრეს მეამბოხე სპარსელები, ხელ-ფეხზე ხუნდები დაადეს, ვახტანგის წინაშე

მუხლებზე დაახოქეს, მერე ირანს წაიყვანეს და ალექსანდრის
ციხეში ჩაპყარეს.

ქართლში ტყვეთა სყიდვის აკრძალვა ძალაში შემოსული
ვახტანგის ძალმოსილება და უზენაესობა უკვე ქართლის
სახლვერებსაც სცილდებოდა: „ამას მორჩილებდნენ იმერსა,
უსმენდნენ კახსი“. კახეთთან და იმერეთთან „სიახლოვეს“
გულისხმობდა ვახტანგის ორივე ასულის ქორწინება. თამარ
ბატონიშვილი მამამ ცოლად შერთო კახეთის მეფის ერეკლე
პირველის უმცროს ძეს თეიმურაზს (შემდგომში მეფე თეი-
მურაზ მეორე. ეს ქორწინება უაღრესად ილბლიანი გამოდგე-
ბა თუნდაც იმიტომ, რომ თამარი გახდა დედა სახელოვანია
ერეკლე მეორისა). ხოლო თამარის მომდევნო დაი ანუ ევა ვახ-
ტანგმა შეაუღლა იმერეთის დიდ ფეოდალს, ვახუშტი აბაში-
ძეს...

...ვახტანგის წანიშინობის დროს, მისი უფროსი ბიძა, კა-
ხეთსა და იმერეთს მეფედ ნამყოფი გ რ ჩ ი ლ ი, რუსეთში
ცხოვრობდა ოჯახით. იგი რუსეთს გაემგზავრა 1698 წელს. მა-
ნამდე კი მისი ვაჟი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი
პეტრე პირველთან ერთად ატარებდა ვასუკობის წლებს. ქარ-
თველები მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვსესვიატსკოეში
ცხოვრობდნენ. 1697 წელს პეტრე პირველმა მოაწყო სახე-
ლოვანი „დიდი ელჩობა“ ევროპაში, სადაც ინკოგნიტოდ ჩა-
სულ ხელმწიფეს თან ახლდა — როგორც ევროპელები ამბო-
ბდნენ — „ქართველი თავადი ალესანდრე ბაგრატიონი“, ანუ
„ცარევიჩ იმერეტინსკი“. კენიგსბერგში პეტრე და ალექსანდ-
რე საარტილერიო და საფორტიფიკაციო ხელოვნებას სწავ-
ლობდნენ გამოჩენილ პრუსიელ ინჟინერთან შ ტ ნ ე ი ტ ნ ე რ
ფ ო ნ შ ტ ე რ ნ ფ ე ლ დ თ ა ნ, კენიგსბერგიდან ალექსანდრე
ბატონიშვილი პაგას გაემგზავრა საარტილერიო ცოდნის გა-
სადრმავებლად. პოლანდიაში ყველას აოცებდა „ქართველი
თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი“ — ნიჭით, დაყვირებუ-
ლობით, სწრაფსაზრიაანობით, ვაჟკაცობით, აღზრდილობით.
მეილდენბერგში გამართულ საარტილერიო გამოცდებზე ყვე-
ლა გააყვირვა „ბომბარდირების ხელოვნებაში“ ქართველი ბა-
ტონიშვილის განსწავლულობამ და გაწაფულობამ. პეტრე აღ-
ფრთოვანებული იყო „ძმისა“ და „მეგობრის“ წარმატებით.
ალექსანდრესთან სიახლოვეს ესწრაფვოდნენ პოლანდიელი



სწავლულნი, სამხედრონი, იურისტები, „მაღალ საზოგადოებრივ ბაზე“ დახარბებული პლუტოკრატები. ევროპელებსათვის პირდაპირ „აღმოჩენა“ იყო ეს „საოცარი ქართველ-საქველნი“ სუფაჲ დროს ქართული ტანსაცმლით მორთულ-მოკაზმული. მერე ქალაქ უტრეხტში სწავლობდა არტილერიისა და ფორტიფიკაციის ალექსანდრე ბატონიშვილი. აქ მისი მასწავლებელი იყო დიდი სპეციალისტი იან ვოშკა. ალექსანდრე არტილერიისა და ფორტიფიკაციის გარდა სწავლობდა ყველაფერს, რაიც იმდროინდელი ევროპის ქვეყნებში შეეძლო ეხილა, ვითარცა უმაღლესი სულიერი და ნივთიერი კულტურის მონაპოვარი — მწერლობა, წიგნის ბეჭდვა, ფერწერა, ქანდაკება, ხეროთმოდგერება. 1689 წელს პეტრე ინგლისს წავიდა და თან წაიყვანა ალექსანდრე ბატონიშვილი. ავსტრიელი რეზიდენტი პოფმანი წერდა, რომ აქ, ინგლისში, რუსეთის ხელმწიფეს „ძინავს ეგრეთ წოდებულ თავად ალექსანდრე იმერეტინსკისთან, ერთ ექიმთან და კიდევ სამ თუ ოთხ ადამიანთან ერთად, ერთს პატარა ოთახში“.

1700 წლის 19 მაისს, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანება: „საქვემეხო („ბუშკარული“) პრიკაზის ყველა საქმე განაგოს არტილერიის გენერალმა, უფლისწულმა ალექსანდრე არჩილის ძემ“. მაშინვე პეტრემ დააწესა უმაღლესი სამხედრო წოდება „გენერალ-ფელდცეხმეისტერისა“. და ეს წოდებაც მიანიჭა პირველად ისევ ალექსანდრე ბატონიშვილს.

ასე შეიქნა არჩილ მეფის უფროსი ვაჟი რუსეთის არტილერიის „მამამთავარი“ — რუსეთის პირველი არტილერისტი, არტილერიის პირველი „მინისტრი“ და პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი. იგი მაშინ ოცდაათი წლისა იყო.

ალექსანდრე მისთვის ჩვეული ცხოველმყოფელობითა და დაუცხრომლობით შეუდგა რუსეთის საარტილერიო-საომარა სხეულის ჩამოყალიბებასა და დაფუძნებას. მაგრამ უეცარმა კატასტროფამ უეცრადვე დაამხო დიდების მწვერვალზე აღზევებული უფლისწული. „საქვემეხო პრიკაზის“ უფროსად ალექსანდრეს დანიშნვიდან (1700 წლის 19 მაისი) ზუსტად სამი თვის თავზე (1700 წლის 19 აგვისტო) დაიწყო „ჩრდილოეთის ომი“ — ოცდაერთწლიანი სამეკდრო-სასიციოცხო პიდილი რუსეთსა და შვეციას შორის. პირველ შეტაკებაში,

ნარვასთან, შეედებმა მოპირდაპირე დაამარცხეს, გენერალი
ტიტი ტყვედ წაიყვანეს, ტყვეთა შორის იყო ალექსანდრე
ჩილის ძე...

გენერალი
ტიტი ტყვედ წაიყვანეს

— ალექსანდრე არჩილის ძე არის შესანიშნავი მაგალითი
ბედის უკუღმართობისა, — წერს სახელოვანი ვოლტერი, —
იგი, საქართველოს გვირგვინის უდავო მემკვიდრე, ბედისწე-
რამ შეეციის ტყვედ აქცია. მამამისი — არჩილი, ხელმწიფე
ყველაზე მშვენიერი ქვეყნისა, — რომელიც გაშლილია არა-
რატსა, კავკასიონსა და შავ ზღვას შორის — მტრებმა მიძუ-
ლეს სამშობლო დაეტოვებინა. მან ოსმალების ხონთქართან
თავშესაფარს რუსეთის იმპერატორის წყალობა არჩია. არჩი-
ლის ვაჟი ნარვასთან შეტაკებისას ფინელ ჯარისკაცებს შეუპყ-
რიათ. ტანზე შემოუძარცვავეთ და ის იყო კიდევაც უნდა მო-
ეკლათ, რომ გრაფმა რენშვილმა გამოჰგლიჯა ხელიდან გამ-
ხეცებულ მეომრებს ძვირფასი ტყვე და მეფეს მიჰგვარა. გა-
ოცდა კარლოსი, როცა შეიტყო ვინაობა ამ მშვენიერი ვაჟკა-
ცისა. კავკასიის მთების ძირას დაბადებული აზიელი პრინცი,
რომელმაც ტყვეობა უნდა გაატაროს ყინულოვანი შეეციის
მიწაზე! „ეს იმას ჰგავს, ერთ მშვენიერ დღეს მე რომ აღმოვ-
ხნდე ტყვედ ყირიმელ თათრებთან!“ — შესძახა კარლოსმა...

ბევრი ეცადა და იბრძოლა არჩილმა შვილის გამოხსნისა-
თვის, პეტრე პირველიც ბევრს პირდებოდა, მაგრამ წელი
წელს მისდევდა და რუსი ოფიცრებისა და ქართველი უფ-
ლისწულის უმძიმესი ტყვეობა კვლავ გრძელდებოდა. ბო-
ლოს, შეეციის მეფემ კარლოს მეთორმეტემ ალექსანდრეს
გასათავისუფლებლად ათი ტონა ოქრო მოითხოვა! პეტრემ
ალექსანდრეს შეუთვალა, როგორ მოვიქცეო. ალექსანდრემ
სასწრაფოდ მოაბრუნა პასუხი: „არა თუ სათქმელად. ფიქრა-
დაც არ მომსვლია, რაიმე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს
ჩვენი გულისათვის, თუნდაც ათასჯერ უკეთესები ვიყოთ.
ჩვენ ამისთვის ვართ მოწოდებული მხოლოდ: ვითმინოთ
და მოვკვდეთ ხელმწიფისა და მამულისათვის!“.

და შეეციის ტყვეობაში მოკვდა ქართველი უფლისწული,
უახლოესი თანამოღვაწე რუსეთის უდიდესი ხელმწიფისა,
რუსული არტილერიის მთავარსარდალი, რუსული არმიის პირ-
ველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი.

დარჩა არჩილ მეფე, მეუღლე დედოფალი ქეთევანი და



ასული დარეჯანი. პეტრე პირველმა ალექსანდრეს სიკვდილიდან არჩილს სამუდამო საკუთრებად დაუბრუნა ესეცკრტკენჯულის მასთან — სოფელი პახრა და ნიენიგოროდას „ეოლმსტენჰაუსენის ტერიტორიები, ბელგოროდი და ლისკოვი.

პეტრემ არჩილს საგამგებლოდ და საპატრონოდ გადასცა რუსული ქრისტიანული კულტურის მშენებელი — დონის მონასტერი. სადაც ესვენა დონის ლეთისმშობლის ხატი, სიმბოლო და სიამაყე რუსული გმირობისა და მამულიშვილობისა (ეს ხატი წინ მიუძღოდა სახელოვან დიმიტრი დონელს კლიკოვოს ველზე მონღოლ-თათრებთან გამართულ ბრძოლაში 1380 წელს). დონის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა ქართული საეკლესიო მოღვაწე არქიმანდრიტი ლავრენტა. დონის მონასტერი არჩილმა პირველხარისხოვან საომარ ციხეებურჯად გადააქცია. მას მოსკოვი უნდა დაეცვა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან.

არჩილის გვერდით იქამად ქართულ კოლონიაში ცხოვრობდნენ და რუსული სახელმწიფოსა და კულტურის სამსახურში იდგნენ „ჩრდილოური ოდისეის“ თანამგზავრები: დავითაშვილი, თურქესტანიშვილი, ამბრასაძე („ამბრაზანცევი“), ხერხეულიძე („ხერხეულიძევი“), სოლოდაშვილი („სოლოგოვი“), დადიანი („დადიანოვი), ქვარიანი, ჭაფარიძე, საყვარელიძე, ბეჟანიშვილი, ალადაშვილი — სულ ოცამდე წარჩინებული და ასორმოდამათამდე „მდაბიური“ ქართული გვარა.

არჩილი დაუცხრომლად ზრუნავდა ქართული წიგნის ბეჭდვისათვის მოსკოვში. 1703 წელს პეტრეს ბრძანებით შეუდგნენ ქართული წიგნის ბეჭდვას და 1705 წელს გამოვიდა კიდევაც ქართული „დავითნი“.

გარდაიცვალა არჩილი 1713 წლის 16 აპრილს. დაიკრძალა იქვე, დონის მონასტერს, შვილების გვერდით. აღარ იყო ამ ქვეყნად არჩილ მეორე, მეფე ქართველთა და პოეტი ქართველთა. უმძლავრესი მკლავი რომ ჰქონდა, უბასრესი ხმალი, უგრძესი ისატი („12 მუჭი სიგრძითა“) მავრამ მხედრობას და ხელმწიფობას მაინც მისმა პოეტურმა ქნარმა აჭობა!

მეფე იყო და ჰგოდებდა: „მეფედ ვიწოდე, ვერ გავიწოდებები ჩემისა გონებისადა“.

მხედარი იყო და თავს დასცინოდა: „ვიყავ მხედარი — კარგ სახედარი“.

პოეტი იყო და მართლაც დიდებულ პოეტურ ქმნილებად „წმინდა ქართულ პოეზიად“ დარჩა მისი „აოჩილუბანი“ ალსრულებულიყო უბედური კაცი-ამბოკაძის მამა-მშობელი უბედური ხელმწიფე-პატრონი.

გამეფდა 14 წლისა, იმეფა იმერეთში 6 წელიწადი (ხუთჯერ წვეტილი მეფობით), კახეთში — 11 წელიწადი, უცხოობაში გაატარა 17 წელიწადი, აღსრულა შობითგან 66 წლისა.

იმ ჩეიდმეტი წლის „უცხოობაში“, დიხანც, „მოალერსებული“ იყო „ქრისტესმიერ ძმთაგან“, მაგრამ მაინც „წამოსტენია“ ეს მწარე ლექსი:

თუ კაცსა მიხედეს გრძლად ყოფნა უცხოს თემსა და მიწებსა,
შარბათიც მქონდეს სასივლად, ნაღველად ამოიწებსა...

დარჩა ორი ქალი, — ერთი არჩილის სიკედილით დაქვრივებული, მეორე დაობლებული — მეუღლე ქეთევანი და ასული დარეჯანი. რუსები ქეთევანს ეკატერინეს ეძახდნენ, დარეჯანს — დარიას. ქეთევანი გარდაიცვალა 1719 წელს. პეტრე პირველის ბრძანებით, მეუღლე არჩილ მეფისა და დედა საყვარელი „მეგობრისა“ და „ძმის“ ალექსანდრე ბატონიშვილისა, დაიკრძალა დიდი ზარ-ზეიმით. ქართველი დედოფლის წესის აგებაში მონაწილეობდნენ უმაღლესი სამღვდელთა რუსეთისა და უცხოეთისა: სარსკისა და პოდოლსკის მიტროპოლიტი ეგნატე, პალესტინელი არქიელი მიტროპოლიტი თეობაიდელი, მელეკენის მიტროპოლიტი გრიგორი, პეტროვსკისა და ზლატოუსტის არქიმანდრიტები და სერბიის არქიმანდრიტი იოაკიმე.

ალარავინ დარჩენილიყო არჩილ მეფის ოჯახისაგან, თვინიერ დარეჯან-დარიასი...

...1711 წელს, ქაიხოსრო მეფის დაღუპვის შემდეგ, ვახტანგი სპარსეთს გაეშურა ქართლის სამეფო შემკვიდრეობის მისაღებად. შაჰ სულთან პუსეინმა იგი დიდი პატივით მიიღო, მაგრამ ბოლოს, „როგორც წესი“, მაინც ქრისტიანობის უარყოფა და შაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა. ვახტანგმა ცივად იუარა.

ოსტაპანში ფრანგი მისიონერი პიერ ისუდენი შეწვედრია და მისთვის უთქვამს ვახტანგს: ნაკუწებად რომ მაქ-

ციონ, ქრისტეს სჯულს მაინც არ ვუღალატებ და შამშად
ნად არ მოვიქცევიო.

პუსეინ შამშა ვახტანგი ქირმანს გადაასახლა, ^{ქართულში} ~~ქრისტეანულში~~
თლი მის ძმას, გამაჰმადიანებულ იესეს ჩააბარა.

იესემ ორი წელი (1714-1716) იმეფა უღარესად მიძიმე მე-
ფობით: ქართველები არ სცნობდნენ „გადარჯულებული“ რე-
ნეგატის „თათრულ მეფობას“. იგი მხოლოდ „დროებით ბო-
როტებად“ იყო მიჩნეული, ხოლო ნამდვილ და „მუდმივ“ ხელ-
მწიფედ ისევ ვახტანგი ეგულებოდა ხალხს, ჯარს, ერსა და
ბერს.

იესეს საწინააღმდეგო მოძრაობა ქართლში მისი მოსვლის
დღიდანვე დაიწყო. ამ „მოძრაობის“ მეთაური იყო ვახტანგის
უფროსი ძე ბაქარ ი...

...1714 წელს ისევ აუჯანყდნენ სპარსელებს ავღანელები.
ირანის მესვეურებმა ისევ მიაპყრეს მადედრებელი მზერა
„სპარსელ ქართველებს“. ხოლო ქართველებმა (როგორც ამას
გვაუწყებს ინგლისელი ჰანვეი) შამშ შეუთვალეს: ყოვე-
ლი მარცხი, რაც კი ავღანთაგან სპარსეთს უგემნია, არის მხო-
ლოდ ყიზილბაშთა ლაჩრობისა და უნიკობის შედეგი. ამიტომ
ჩვენ საომრად წავალთ და ავღანელებს კიდევაც გავანადგუ-
რებთ, უკეთუ ჯარი მხოლოდ ქართველებისგან შეიყრება და
საომარი ხარჯებიც საყმარისად და დროისად გაიცემაო. მაგრამ
ვერ გაბედეს ირანის მესვეურებმა ქართველთა მოთხოვნის
შესრულება: ექვი არ არის, მართლაც გაიმარჯვებენ ქართვე-
ლები ავღანელებზე (აქი თვითონ ამბობენ ავღანელნი — ყი-
ზილბაშები ჩვენთან დიაცები არიან, ხოლო ჩვენ ქართველებ-
თან ვართ დიაცებიო!), მაგრამ შემდგომ, გამარჯვების შემდ-
გომ როგორღა მოიქცევიან ქართველები? ეინ დაგვარწმუნებს,
რომ ავღანთა მიღვეული ქართველები ავღანელებზე „უფრო
დიაც“ ყიზილბაშებს არ დაერევიან და „თავის მბრძანებელ“
სპარსეთს „თავის საყმო“ ქვეყნად არ გადააქცივენ? არა! უმ-
ჯობესია გვეშინოდეს ავღანელებისა, ვიდრე გვემუქრებოდეს
უძიკელი უღელი აღზევებული ქართველებისა!..

სანამ ეს ამბები ხდებოდა, ვახტანგი ქირმანის ტყვეობაში
მწერლობით „შეექცეოდა“ და პოეტურ მუხასთან ტრფიალე-
ბაში იქარებდად ჯავრსა და კაეშანს. „სხვა საქმე არა მქონდა
რა, ამის შექცევას გამოვეციდეთ... თუმცა დამეკლოს რამე, ნუ

დამგმობთ. ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ჭირი და ნადველი ზღვის ალაგს აავესებდა", — წერდა იგი ნადველიანად. ქირმანში თარგმნა ვახტანგმა მსოფლიო ქრისტიანების შესანიშნავი კმნილება „ქილილა და დამანა“. წუხილმა შთააგონა პოეტ-პოლიტიკოსს ბევრი სტრიქონი მისი „ტრისტრაციებისა“.

მაგრამ მხოლოდ ლიტერატურული კეთილით როდი ცხოვრობდა ქირმანში ვახტანგ ბატონიშვილი. იგი დაუცხრომლად ეძიებდა უფრო „ძლიერ საშუალებას“, რაიც აიძულებდა ან დაიყოლიებდა სპარსეთის ხელისუფლებას, მიეკუთვნებიათ ქრისტიანი ბატონიშვილისთვის მისი ქრისტიანი ქვეყანა, „რჭულშეუცვლელად“.

ასეთ საშუალებად ვახტანგმა მიიჩნია დასაველეთი ევროპა, საითაც მის წინაპრებს დიდი ხნის წინათ ეკელიათ გზებია. ევროპას ვი ელჩი სჭირდებოდა „ევროპის დონისა“... და ჰყავდა კიდევ ასეთი კაცი ვახტანგს.

ეს იყო სულხან-საბა ორბელიანი, ჭეშმარიტი „მამა საქართველოსი“.

„ს ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ა მ ა“ მ მ რ ო პ ა შ ი

იგი დაიბადა 1658 წლის 4 ნოემბერს, კვირა დღეს, „ქაშსა შუალამისასა“, ტანძიაში.

მამა — ვახტანგ ორბელიანი (ანუ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ანუ ყაფლანიშვილი), მდივანბეგი ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთის დროს. ვახტანგის დაი, როდამი, ქართლის დედოფალი იყო — იგი ცოლად ჰყავდა ვახტანგ მეხუთეს.

დედა — თამარი, ასული ზაალ არაგვის ერისთავისა, ბატონიშვილი აჭანუების ერთ-ერთი მოთავისა.

სულხანი დაარქვეს პირშშო ძეს.

ალიზარდა იმეამინდელ „უმაღლეს სკოლაში“ — მუხრანელ მეფე-ბაგრატიონთა ოჯახში, ანუ უფლისწულ-მამიდაშვილთა (არჩილი, გიორგი, ლევანი) შორის.

შეისწავლა თეოლოგია, ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება, გამორჩევით — ფილოლოგია.

იგი შეიქნა გამზრდელი და მასწავლებელი ვახტანგ ლევა-ნის ძე ჯანიშინისა.

გიორგი მეთერთმეტის დაცემისა და ერეკლე პირველი გამეფებისთანავე სულხან ორბელიანი პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა, ბერად აღიკვეცა და სასულიერო დასაქმებას დაიკავა. იგი დამკვიდრდა გარეჯს.

გარეჯაში დაწერა საბამ თხზულება „სწულა-მოძღვრებანი“. უკვე დაწერილი ჰქონდა „სიტყვის კონა“, პოეტურად ხორცშესხმული ლექსიკონი. მერე დაიწერება მშვენივანი ქართული სიტყვიერებისა, პოეზიისა და პროზისა: „სობრძნე-სიცრუისა“, „ქილილა და დამანა“, „მოგზაურობა ევროპაში“, ლექსები.

1712 წელს „საქართველოს მამა“ სპარსეთში წაპყვა თავის გაზრდილს ვახტანგ ჯანიშინს...

...1713 წლის 17 აგვისტოს 55 წლის სულხან-საბა ორბელიანი მიემგზავრება ევროპაში, ანუ „მიიპარება“ სპარსელთაგან და ვახტანგის მტერთაგან იღუმალ. იგი წაპყვა ფრანგ კათოლიკე მისიონერს ჟან რიშარს. ჩაეიდნენ სტამბოლს. აქ რიშარმა სულხან-საბა წარუდგინა საფრანგეთის ელჩს დეზალურს, რომელიც დიდი პატივით შეხვდა „მადალ ქართველ დიასპანს“. სტამბოლიდან წასულნი, 1714 წლის 23 ივნისს ჩაეიდნენ ქალაქ მარსელში. აქაურმა მერმა აგრეთვე პატივით მიიღო ქართველი ელჩი. მარსელიდან რიშარმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჟან ბატისტ დე ტორსის აცნობა „საქართველოს მეფის ბიძის“ ჩამოსვლა და საფრანგეთის ხელმწიფესთან მისი შეხვედრის სურვილი.

აქედანვე სულხან-საბამ წერილი გაგზავნა რომში, კარდინალთან, რომელსაც შეატყობინა ევროპაში მისი ჩამოსვლის მიზანი და სთხოვა შეამდგომლობა პაპთან — მფარველობის კალთა გადააფაროს საქართველოს და სამაგიეროდ მოეღოს ჩვენს ქვაყანას კათოლიკურ ქრისტიანობაზე მოკაქცევით... მარსელიდან პარიზს ჩაეიდნენ რიშარი და ორბელიანი.

1714 წლის აპრილში „საქართველოს მამა“ ვერსალის სასახლეში შეხვდა საფრანგეთის დიდ ხელმწიფეს ლუი მეოთხეტეს. მეფე ნააჲადმყოფარი იყო; სულხან-საბამ გამოჩანმართებდა მიულოცა. ხელმწიფეს ეამა უცხო სტუმრის თავაზიანობა, გაიღიმა და სუსტი ხმით თქვა: თუმცა ერთ



მტერს, ავადმყოფობას, გადაეურჩი, მაგრამ მერჯე მტერს სიბერე დამესხა თავსო. სიბერე რას დაგაკლებოდა, ახლა უკვე ხია უკან ორბელიანმა. ასე იოლი არ გახლავართო. ახლა გადაბიჯებაო, თქვა მეფემ ათი წლის მოპარვით (იგი სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული). მაშინვე საბამ მიაგება ახალი ქათინაურით: „ხელმწიფეო, თქვენი უედიდებულესობა მაგ სამოც წელს ისე მოხდენილად, ისეთი გრაციით ატარებს, რომ ყველა ისურვებდა მაგ ასაკში ყოფნასო“. საბას სიტყვამ ყველა მოხიბლა — მეფეც და მისი დარბაზიც.

მაშინ „იდროვა“ ქართველმა ელჩმა და ლუი მეოთხემეტს მიაართვა მოხსენება, რომელშიც ეწერა: „საქართველოს მეფე ვახტანგი ისფაჰანშია, საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია. თუ დაბრუნდა თავის სამეფოში, ქართველები არა მარტო დარჩებიან ქრისტიანებად, არამედ კიდევაც შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც საამისოდ მზად არის და რომელმაც აღუთქვა, რომ მობრუნდება თუ არა თავის სამშობლოში, კათოლიკობა მიიღოს, რადგან იგი თავის უბედურებას აწერს იმას, რომ აქამდე შეაყოვნა კათოლიკობის მიღება. მეფე, ამას გარდა, ფიქრობს ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქციონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა... იმედი მაქვს, ამ წერილმა წადილსა გეწიოს და დაევალოთ ყვინს, რათა თქვენი ბრძანების აღსასრულებლად ვახტანგი საქართველოში გამოგზავნოს. უკეთეს შეჰპირდებით საჩუქარს სპარსეთის დიდებულთ, მაშინ ამ დაპირების გამო ყვინს დაევალებენ, რომ მალე აღასრულოს. ამნაირის საშუალებით ვერაფერს ვაიგებ, თუ რა დახმარების აღმოჩენა ეწადა თქვენს იმპერატორობას; ხოლო ამის აღსრულებას მიანდობთ თქვენს მიერ არჩეულ პირს. სპარსეთში ჩვეულებად აქვთ ხოლმე, რომ რომელსამე საქმის შესასრულებლად ჯერ შეპირდებიან მარტო წერილით და არაფერა მისცემენ, ეიდრე საქმეს ბოლომდე არ აასრულებენ. ამიტომ სპარსეთის გავლენიან პირთ ჯერ არაფერი უნდა მიეცეს, ვიდრე ვახტანგი თავის სამეფოში არ დაბრუნდება უვნებლად. დაეასახელოთ, თუ რაგვარი დახმარება იქნება საჭირო. საჭიროა 300 000 ეკიუ და კიდევ კმარა. მაგრამ საქართველოს



მეფემ რა ქნა ისეთი, რომ ღირსი გახდეს ამ წყალობისა...
 ეოთი ქრისტიანი მეფეა და, იმის საბუთად, რომ ისევეა
 დახმარებისა, ასახელებს ბევრ მეფეებსა, მთავრებსა და
 თაც სხვადასხვა უბედურების დროს შეეწია და კვალად ეწე-
 ვა ეგოდენის დიდებით მათი უქრისტიანესი ხელმწიფება... თა-
 ვის გულმოდგინებისა და საბიერების გავლენით თუ აწ ინე-
 ბებს ყოვლად ქრისტიანი ხელმწიფე და შეეწევა ამ მეფეს,
 საუკეთესო საშუალება ამის სისრულეში მოყვანისათვის არის,
 რომ ინებოს და ერთი თავისი საიმედო პირი გავზავნოს და
 მასვე გაატანოს ვახტანგისთვის საქარო ნივთიერი შემწეო-
 ბა, რათა იმან შესძლოს სპარსელთა მოწინავე პირთა გუ-
 ლის მოგება; აგრეთვე სპარსეთის მეფეს ერთი წიგნი მის-
 წეროს და სთხოვოს, რომ მან უბრძანოს საქართველოს მმარ-
 თველებს, რათა ფრანგებს, რომლებიც იქ გაატარებენ თავი-
 ანთ საქონელს სპარსეთში წასაღებად, შიში არაფრისა პქონ-
 დეთ“...

ლუი მეოთხემეტე ცარიელი, გაყინული თვალებით მის-
 წერდებოდა ამ უცნაურ აღმოსავლელს. თითქოს არაფერიც არ
 გაუგია. რაც იმ მოხსენებიდან წაუკითხეს. მერე თავისივე
 ხელით შედგენილი საქართველოს რუკა წარუდგინა ორბე-
 ლიანმა საფრანგეთის ხელმწიფეს. მაგრამ ისევ გულგრილი,
 უაზრო თვალები უქქარდა ქართველი კაცის ხელში რუდუ-
 ნებით გაშლილ „უცხო ქვეყანას“.

იმდღევანდელი აუდიენცია ასე გათავდა.

სულხან-საბამ რომის კარდინალთან გავზავნილი წერილის
 პასუხი მიიღო: თქვენი თხოვნა პაპს მოვახსენე, პაპი საფ-
 რანგეთის მეფის სახელზე წერილს აგზავნის, თვითონ თქვენი
 ხელით მიართვით და უმკველად დაგეხმარებათო. მეორედ
 ითხოვა საბამ მეფესთან შეხვედრა. ლუი მეოთხემეტე ისევ
 თავაზითა და პატივით შეეგება შვიათ სტუმარს. პაპის სა-
 შუამდგომლო წერილიც წაიკითხა, მაგრამ ყველაფერი ისევ
 ამოუ გამოდგა. მისიონერებს გამოეგზავნი საქართველოშიო,
 აღუთქვა მეფემ საბას. ეს იყო და ეს. არც ფულადი დახმარე-
 ბა უხსენებია, არც ყაენთან შუამდგომლობა ვახტანგის და-
 სახმარებლად.

საქმე ის იყო, რომ ქართლი საფრანგეთისთვის არავითარ
 „პოლიტიკურ ანგარიშს“ არ წარმოადგენდა. საქართველოს

მტრებთან — სპარსეთთან და თურქეთთან კავშირს და საბრძოლო ვე სჭირდებოდა მაშინ ფრანგთა მეფეს.

1714 წლის ივნისში საბა ორბელიანი პარიზში წაიყვანა და გაემგზავრა, ჯერ სავოიის საპერცოვოში მივიდა. საპერცოვო პერცოვმა ქალაქის მერის ხელით ძღვენი გაუგზავნა და დიდის მოწიწებით მიიპატიჟა. საბამ მადლობა შეუთვალა, მაგრამ ჰიტადად ვერ ეახლა. სავოიიდან გასვლისას, პერცოვის ბრძანებით, ქართველი ელჩის პატივსაცემად ზარბაზნები დააგრიალეს.

მონაკოს მივიდნენ. იქაურმა მეფემაც მიიპატიჟა, მაგრამ ორბელიანმა დადლილობა მოიმიზეზა და მეფესთან სადარბაზოდ მადლობითა და მოკითხვით რიშარი გაგზავნა. მეფემ საპასუხოდ თავისი დიდებულები გაუგზავნა დიდი მოსაკითხით.

მერე, სულხან-საბამ გაიარა მონტე-კარლო, გენუა, და ბოლოს, მიადგა მდინარე ტიბრის შესართავს, იქ რომის პაპმა კლიმენტი მეოთხეტემ ორი ეტლი შეაგება. 1714 წლის 29 ივნისს ღამით მივიდა რომს და საცხოვრებლად დადგა მონასტერს. ორი დღე არავის შეუწყუხებია სტუმარი. 1 ივლისს საფრანგეთის კარდინალი ეწვია. 2 ივლისს პაპმა ისევ გამოუგზავნა ეტლი, ჩამობრძანდი, წმინდა პეტრეს ტაძარი მოინახულე და იქიდან ჩემთან მობრძანდიო. წავიდა, მოიხილა საბამ პეტრეს ტაძარი — საოცარი ქმნილება ბრამანტისი, მიქელანჯელოსი და რაფაელ სანტისა.

5 ივლისს უკვე პაპთან იყო სულხან-საბა ორბელიანი. ტკბილად შეხვდა კათოლიკური სამყაროს საქვესთმპყრობელი ქართველ სტუმარს. ღეთის სახელითაც „ნაღდი“ დაპირებები მისცა — უეჭველად მალე დაიხსნის თავს ვახტანგ მეფე „ავი ოლაგიდანო“; კიდევ მივწერ საფრანგეთის მეფეს, რათა უშუამდგომლოს ვახტანგს სპარსეთის შაჰთანო. პაპის უმდიდრესი სეწიფნობელიც დაათვალღერა საბამ. ქართული წიგნები ეძია, მაგრამ ვერ მოიძია.

პაპმა მართლა გაგზავნა ხელმეორე წერილი ლუი მეოთხეტესთან და ერთხელ კიდევ მიიწვია საბა სასაუბროდ. „მრავალი კაი სიტყვა მიბრძანა, — წერს თვითონ საბა, — თავისი ხელით მიბოძა ძელი ჭეშმარიტი, კარგა გაკეთებული. ჯატის კრიალოსანი და ოქროთ გაკეთებული და ზედ ოქროს

ხატო, ცოდვათ შესანდობლად, ნაწილები წმიდათა. მიბრუნ-
ნა: მიხაროიან რომში დიდი ხმა დაგვიფარდაო. კარგაიქცევი
და ქვეიანადო. მტავალი მიაღერსა. ნაწილებსა დასწავსენსენ
დომ ეტლს გამოგიგზავნიო და ისე წადი ეტლით, ყქსდასქვე
დი ეკლესია მოილოცეო“.

ეკლესიებიც მოილოცა. ყოველი ღირსსახსოვარი ძეგლიც
მოიხილა და პაპის „სამადლო სკოლაშიც“ მივიდა. აქ სხვა-
დასხვა ერის ყმწვილებს ასწავლიდნენ და განსწავლულებს
ისევე თავიანთ სამშობლოში აბრუნებდნენ. აქაურმა ეპისკო-
პოსმა უთხრა საბას: ვახოვო, ქართველი ყმწვილები გამო-
გიგზავნიოთ, ვასწავლით და ისევე დაგიბრუნებთ საქართვე-
ლოშიო. საბას ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ ეპისკოპოსმა მა-
შინვე დაარწმუნა, პაპმა მიბრძანა ასეთი თხოვნით მომემატ-
თა შენთვისო.

17 აგვისტოს ერთხელ კიდევ მიიღო პაპმა საბა ორბელი-
ანი. ისევე „ტყბილი სიტყვანი“, ისევე ლოცვა-კურთხევა, ისევე
დაპირებანი „ღვთის სახელით“, „ღვთის მიმართ ლოცვით“ და
საკმეველის კმევით.

რომიდან ფლორენციას ეწვია. ორჯერ დიდის პატივით
მიიწვია და მიიღო გრანდუკამ. თავისი ნაგი მისცა და ისე გა-
მოისტუმრა. საგანგებოდაც ჩაწერეს საპატიო ქართველი
სტუმრის გამოცხადება ფლორენციაში: „...11 სექტემბერსა
მოვიდა ფლორენციაში, ჩამოხდა წმიდა ლუიჯის სასტუმრო-
ში, მაგრამ გრანდუკას ბრძანებით ორი ეტლით წაიყვანეს
წმიდა სამების სასახლეში, სადაც მშვენიერად მოწყობილია
ყველაფერი ამისთანა სტუმრებისათვის. ის სამოცი წლის
არის, მაღალი ტანისა, მხნე და ძლიერის აგებულებისა, მშვე-
ნიერი სახე აქვს და თეთრ-მოწითალო ფერის ერთ მტკაველ-
ზე მეტი წვერი აქვს, რომელიც ძალიან უხდება... 20 სექტემ-
ბერს თავის მხლებლებით წაიდა ფლორენციიდან მათი ხელ-
მწიფობის საგანგებო ნავით“.

მერე იყო პიზაში, გალიღეის მშობელ ქალაქში, ინახულა
განთქმული „დახრილი კოშკი“, შემდგომ — ლივორნო, პა-
ლერმო, მალტა. აქ ქართველი ტყვეები იხილა „საქართველოს
მამამ“. თურმე მალტელებს წაერთმიათ თურქებისთვის საბა-
ხოდ დაბორკილი ქართველნი...

1715 წლის 17 იანვარს სტამბოლს მოადრწია. წელიწადზე

მეტ ხანს დარჩა სტამბოლში. განუწყვეტელი მიმოწერა სწავ-
და პარიზთან, რომთან, საფრანგეთის საელჩოსთან, რომის
პაპს უკვე ამოერჩია საქართველოში გასაგზავნი მღვდლები.
საფრანგეთის მეფე კისრულობდა მათ დაფინანსებას. რომა-
რი სპარსეთის ელჩად უნდა დაენიშნათ და მას უნდა გამოე-
თხოვა შაჰისთვის ვახტანგის მობრუნება საქართველოში. მაგ-
რამ ლუი მეათონმეტე მოკვდა და მისი „მეფური დაპირებე-
ბი“ უკანმოუბრუნებლად წაყვეა სამარეში.

სულხან-საბამ სტამბოლში გაიწო ახალგაზრდა სწავლუ-
ლი და მოგზაური იოსებ ქართველი, აბესაღაშვი-
ლი და დაუახლოვდა მას.

1716 წლის მაისში სტამბოლიდან წამოვიდა და დიდის
ვაი-ვაგლახით, თუ ზღვით, თუ ხმელეთით, ივლისში ძლივს
ჩამოაღწია საქართველოში.

ზეობა ვახტანგ მეექვსისა

სულხან-საბა ორბელიანის „ვერობული კალმასობის“ შემ-
დეგ საქართველოს დახსნის „ვერობულმა გზამ“ თავი შეიბ-
რებინა ვახტანგის თვალში. იმასაც მიზნდა ვახტანგი, რომ
„სხვა ვაში“ დამდგარიყო და მართო ქრისტეს სჯულისთვის
გაკერპებით ხელმწიფედ მოწოდებული კაცი თავის ქვეყნი-
სთვის ბევრს ვერაფერს გააყვებდა. მისი დროის ყველა კა-
ნონიერმა და უკანონო უფლისწულმა ქართლისა და კახეთის
მეფობა მხოლოდ „გათათრების“ გზით მოიპოვა. მაგრამ მოთ-
ვარი აქ შინაგანი სინდისი ყოფილა და სხვა არაფერი. ყველა-
ზე დიდი „გათათრებული“ ხელმწიფეები — ვახტანგ მეტუ-
თე, არჩილ მეორე, გიორგი მეთერთმეტე და ქაიხოსრო —
ყველაზე „საქმიანი ქრისტიანები“ და ქაშმარიტი მამულიშ-
ვილები გამოდგნენ!

და მივიდა ჭირმანიდან ისფაჰანს ვახტანგი, ეწვია შაჰს და
მოასენა თანხმობა „გათათრებაზე“. უსაზღვროდ გასცა პე-
სეინ შაჰმა და ერთად მიართვა ვახტანგს მეფობა ქართლისა,
მთავარსარდლობა სპარსეთისა და ბეგლარბეგობა თავრიზისა
და ბარდისა.

იღგა 1716 წელი და მეფობას იწყებდა ვახტანგ მე-
ექვსე (1716-1737).



მაგრამ ქართლის მეფე ჯერ ქართლში ვერ წაბრძინებდა და ჯერ მას „აღმოსავლურ-იტიანული საქმეები“ უნდა წაეკრებინა და მოეწესრიგებინა, ხოლო ქართლს განსჯისას ოხებით გასძლოლოდა. შაჰმა ქართლის ახალ ჯანიშინად, ანუ ვახტანგის მოადგილედ დანიშნა მისი ძე ბაქარი.

ვახტანგმა, „სპარსეთის ჯარების გენერალისიმუსმა“ (ასე უწოდებს მას ფრანგი კონსული ანჟე დე გარდანი), ირანის აღმოსავლეთ პროვინციებში სიმშვიდე აღადგინა და გამობრუნდა. ორი წელი კიდევ იყოლია თავისთან იგი სპარსთა ხელმწიფემ და 1719 წელს, როგორც იქნა, გამოუშვა საქართველოში.

ქართლის ახალ მეფეს, ვახტანგ მეექვსეს კახეთის მამონდელ მეფესთან დავითთან მტრობა ჰქონდა. ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ქართლისა და კახეთის ძალთა გაერთიანება უამრავ საერთო მტერთა იერიშების უკუსაგდებად.

განსაკუთრებით გაძლიერდა ლეკთა შემოსევები კახეთის მიწა-წყალზე. ლეკები დადესტნის მთებიდან მოედინებოდნენ და ქართულ მიწებს, ჭარსა და ბელაქანს იჭერდნენ, მკვიდრად სახლდებოდნენ და კახეთის სიღრმეებისაკენ მოიწვედნენ ხშირი, ქურდული თავდასხმებით, ტყვეებისა და ქონების დატაცებით.

...ვახტანგ მეექვსეს სპარსეთში ყოფნისას შეეძლო დარწმუნებულყოფი, რომ სპარსეთი მის უნიჭო და უმწეო მესვეურებს დაღუპვის პირზე მიეყვანათ. ამიტომ მას უნდა ეფიქრა, რომ იმეამად არამც თუ სპარსული უღლის დამხობა, არამედ სპარსეთის დაპყრობაც რეალურ საქმედ უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მაგრამ სანამ ამას ვახტანგი მიხედებოდა, მანამ რუსეთმა და თურქეთმა გადაწყვიტეს „ირანულ მეგვიდრეობათა“ დაპყრობა-დაუფლება. მეტოქენი — რუსეთი და თურქეთი, — ისევ ამიერკავკასიის ტერიტორიებზე ეძიებდნენ საყრდენებს მოსალოდნელ საომარ კიდილში. რუსეთის საიმპერატორო კარი „ერთმორწმუნე ქრისტიან მოძმეებთან“ — ქართველებთან და სომხებთან აცხოველებდა სამოკავშირეო ურთიერთობებს, ხოლო თურქეთის სასულთანო — კავკასიელ მუსლიმებთან...

...იმ წელსვე, რა წელსაც ვახტანგი ქართლში დაბრუნდა, სპარსეთის შაჰს შიტჯანის ხანისთვის ებრძანებია ქარელი

ლევების ამოწვევა, მაგრამ ქარელს სასტიკ ბრძოლაში შირვანის ხანიც მოუკლავთ და მისი ჯარაც საცხებოდ გვეყვება. ლეტიათ.

გიგლიძის

და მოუვიდა ბრძანება ვახტანგს გაცოფებული ჰუსეინ შაჰისაგან: ახლავე გაეშურე შენის ჯარებით, ქარელი ლევები ამოსწევით და შირვანის ხანის სისხლი ამოიგეო.

იმ დღეებში ამიერკავკასიის ყველა სახანოსგან მიიღო ვახტანგმა მადედრებელი წერილები. შირვანი, ყარაბაღი, შუშა, ერევანი სწერდნენ ქართლის მეფეს: ჩვენი გმირი, ჩვენი მსსნელი, ჩვენი გამაერთიანებელი და ჩვენი ბელადი შენა ხარო; გაგვეერთიანე და წაგვიყვანე ერთხელ და სამუდამოდ ლევთა გასანადგურებლადო; „ოქცენი სიტყვის (გინა ბრძანების) მომლოდინე ვართ“, გვიყმე, გვიშველე და გვიპატრონეო!

ვახტანგს ლევებთან თავისი „წმინდა ქართული“ ანგარიშები ჰქონდა და წაქეზებაც აღარ სჭირდებოდა. ჯარი შემოიყარა და კახეთისაკენ გასწია. კახელები შემოეგებნენ და მალარომდე მიუძღვნენ. ლეკი მოციქულები მოიჭრნენ ქარიდან. მოიჭრნენ და შეევედრნენ ვახტანგ მეფეს: „შეგვიწყალე, შეგვიერთდომე, შორჩილ და მოახარე ყმებად მიგვიღეო.

ქართლის მეფეს ქარელი ლევების შორჩილება კი არა, დიდი აღაზნის აღმოსავლეთ მხარის, ქარ-ბელაქან-ენისელია ქართული-მიწებიდან აყრა და მათ სამშობლო დაღესტანში „უკუგადაყრა“ ჰქონდა გულს ამოჭრილი. ამიტომ მას არ შეეძლო „რაიმე“ დაეთმო ქართული მიწების დამპყრობთა და ქართული ოქახების მპარაფთა და მოხატთა მიმართ. მაგრამ რა გამოვიდა! ლეკი ელჩები ვახტანგის კარებიდან ახალი გასული იყვნენ, რომ ვახტანგ მეფეს ირანის შაჰის ახალი ბრძანება მოართევს: ლევებზე ხელი აღე და შენის ჯარებით ისევ ქართლს გაბრუნდიო!

რას ნიშნავდა ეს?! რამ წამოუარა და რა მოსურვებოდა შაჰ სულთან ჰუსეინს, რომელმაც გუშინ ლევების ძირბუდიანად მოთხრა ბრძანა, დღეს კი იგივე ყაენი ლევებისგან ბუზის აფრენასაც კრძალავდა?! ლევების ხელყოფას საერთოდ კრძალავდა ირანის ჭკუანაკლული მბრძანებელი, თუ მხოლოდ ქართველებს უკრძალავდა?! იქნებ ლევთა განა-

დგურების შემდგომ ქართველთა ძალმოსილების ზრდა აწინებდა ისტაპანის შხამიან ბუდეს?!
საქართველო

...ვახტანგი ირანის შაჰის ბრძანებას ისევ მორჩილად ედგა და უკან გამობრუნდა.

ისევ შებნით ამოისუნთქეს ქართულ მიწებზე ჩამოსახლებულმა ლეკთა აულებმა.

მოდით ვახტანგ მეფე და ვერკი გრძნობდა, რა სამომავლო ცოდვის ტვირთი დასწოლოდა ნაჯაფარ მხტვრეზე...

...იღვა 1720 წლის 7 ნოემბერი.

თელავის სასახლეში უფლისწული დაიბადა — ძე თეიმურაზისა და თამარისა შვილიშვილი მეფე ვახტანგ მეექვსისა.

სახელად დაარქვეს ერეკლე.

ხალხისაგან გაღმერთებული „პატარა კახი“.

საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე...

...ტფილისში მობრუნებულ ვახტანგ მეფეს ახალი მოულოდნელობა დახვდა. სპარსეთიდან შაჰის ახალი მოციქულები მოსულიყვნენ, მეფისთვის ძვირფასი ხალათი, მურასა ლაბტი და რაყამი ჩამოეტანათ. რაყიმი იუწყებოდა: ვახტანგ მეფე დანიშნულია აზერბაიჯანის საპასალარად! ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ქართლის მეფის ხელში იქნება მთელი სამთავრო ძალები ქართლისა და აზერბაიჯანისა, ანუ ირანის იმპერიის სრულიად ჩრდილოური ნაწილებისა! მერე და, კიდევ „ტამ წამოუარა“ ირანის უგერგილო მბრძანებელს, აგრე რიგად რომ აღმაღლებია ამიერკავკასიის ხალხთა იმედი და საფიცარი მებაირახტრე?!
საქართველო

ეს „უცნაურობაც“ ადვილი ასახსნელი უნდა ყოფილიყო: ვერ ერთი, ლეკები, პაჩი-დაუდისა და სურხაიხანის მოთავეობით თითქმის სავსებით დაუფლებოდნენ ირანის იმპერიის ჩრდილოურ მხარეებს და მხოლოდ ქართველთა ხმლებს შეეძლოთ ლეკური სატყვეებისგან შირვან-აზერბაიჯანის გამოსხნა. მერე, — აღმოსავლეთიდან ავღანელებს ისევ განუახლებიათ შემოტევები, აწ გარდაცვლილა მირ-ვეისის ვაჟის მირ-მამუდის მეთაურობით. და ქართველების მეტს არავის შეუძლია ავღანთა „დაშოშმინება“ (აკი ამას აღიარებენ თვითონ ავღანნი). კიდევ — აღმოსავლეთიდან ყიზილბაშებს უტყვენ პერათელ აბდალთა ტომები

ასადულას ბელადობით. და ისევ ქართველებს მესხეთს ხმლის ძალა აწანყებულ აბდალთა განადგურებისა. ბოლოს ოზბეგებს, ყიზილბაშთა ძველ მოსისხლეებს, ტყვედ მისი ლეხით შემოსევები და ხორასანსაც დაუფლებიან რბევით და ტყვევით. და ქართველებზე უფრო საიმედონი ვინ იყოლებათ სპარსელებს ოზბეგთა სისხლის სათხევად და დასაქვესკნელებლად!

უპველია, ყოველივე ამის გამო გახდა იძულებული შაჰ სულთან ჰუსეინი კვლავ აღემალუებინა ქართველთა მეფე, — ვითარცა მხსნელი მისი თიხისფეხებიანი სპარსული ბუძებრაზისა.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფეს ირანის შაჰი ლეკებთან ბრძოლას აღარ უერძალავდა. უერძალავდა კი არა, თვითონ უბრძანებდა და ახალ აღზევებასაც, უწინარეს ყოველთა, ამისთვის აძლევდა.

და 1721 წლის ზაფხულს ისევ წარემართა ვახტანგ მეფე ლეკებთან საომრად. ზედიზედ ეკვეთინენ ქართველები ლეკებს — ჭარში, ხუნანში, ძაგეშში, განჯაში, შამქორში, ბარდაში — და ყველგან შავი დღე გაუთენეს. აზერბაიჯანი სულ დაიკალა ლეკთაგან. ისევ ჭარს მიაწყდნენ ქართველთაგან დევნილი ლეკები. ჭარი ლეკთა მთავარ საყრდენად და „სამყარად“ გადაიქცა.

ვახტანგი კარდანახს მივიდა და დავით კახთა მეფე მიიზმო კახთა ქარით. დავითმა სნეულება მოიმიზეზა და კახთა ქარით კარდანახს მოვიდნენ დავითის უმცროსი ძმა და ვახტანგის სიძე თეიმურაზი.

და ვახტანგ მეფის საომარი დროშის ქვეშ ახლა იდგა 60000 მეომარი — სამოცი ათასი!

ასეთი რიცხვმრავალი ლაშქარი მეთორმეტე საუკუნის შემდგომ აღარ ახსოვდა საქართველოს! თითქოს დავით აღმაშენებლისა და თამარ შეიღმნათობიერის მხედრობა მოსულიყოს საომარ ველზე! სწორედ ასეთი „სადავითო“ ლაშქარი უნდა დაძრულიყო ახლა პირდაპირ ჭარის გასწვრივ, ალაზნის ვაღმა მხრისკენ, ქართველთა მარადიული ადგილსაცხოვრისის, ისტორიული კაკენისელის დასახსნელად.

ისევ მოიჭრნენ ლეკთა მოციქულნი: გვიყმეთ და გვიმიანეთ, ქართველებო, ოღონდ ხელს საომრად ნუ გამოიღებთო.




ვახტანგს კი ხელში შიშველი ხმალი ეჭირა: ლეკებს უსისხლოდ უნდა დაეცალათ აღმოსავლეთ კახეთი. დრო-საბიციოცხლო ომი მიედოთ. სხვა არჩევანი ლაღ ჩანდა.

მაგრამ... მაინც ყოფილა „სხვა არჩევანი“: ირანიდან ისევ მოიჭრა შათირი, ვახტანგს ძვირფასი ხალათი და ახალი რაყაში გადასცა, ხოლო რაყაში ეწერა: „თუ თქვენ ფეხები უზანგებში გიდგათ, დაუყოვნებლივ ჩამოდით ცხენიდან; თუ თქვენ ხელში შიშველი ხმალი გიჭირავთ, უკანვე ქარქაშში ჩააბრუნეთ; თუ თქვენ ლეკებს მისდევთ, შესდევქით და უკან მობრუნდით, ამ ბრძანების მიღებისთანავე!“

თითქოს მეხი დასცემოდეს ვახტანგ მეფეს... რა მოხდა, კადეე რამ „წამოუარა“ და რამ მოაწერინა ესოდენ, თავბედური წერილი ირანის რეგვენ ხელმწიფეს?! ანუ, ხელმწიფეს კი არა, მის მრჩეველებს და მოთათბირეებს (თორემ თვითონ შამქუსეინს რამ უნდა „მოუაროს“ გონებაბრჯვე თავში)?!

„რა ღმერთი კაცს გაუწერება, ტკუა დაფვანტებაო!“ — იცინოდა ამ ამბის მომსწრე ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე.

მაგრამ სულ მალე გახდება საცნაური: სპარსეთის მესვეურებს ისევ ეშინოდათ ქართველებისა. შიში ყოველთვის ჰქონდათ „მბრძანებელ“ ყიზილბაშებს „ქვეშევრდომი გურჯებისა“, მაგრამ ეს „ისტორიული შიში“, დრო-ვამის ეტლისმწაფელის „განწესებით“, ხან დიდდებოდა, ხან მცირდებოდა. ხოლო ახლა — უსაშველოდ გაზრდილყო შიში სპარსელთა გულში, რადგან ძალიან გაზრდილი ჩანდა ძალმოსილება ქართველებისა. ამათ ხომ ახლახან ზედიზედ, „თამაშ-თამაშით“, გაანადგურეს მამაცი დაღესტნელები შირვან-აზერბაიჯანის მთავარ ციხე-ქალაქებში. ახლა კიდევ — ვახტანგ მეფემ შირვან-აზერბაიჯანიდან ლეკები გარეკა და ეს ქვეყნები „თავისთვის დაიჭირა“, და ქარ-ბელაქანიც თუ „დაიჭირა“ (და რომ „დაიჭერს“, აქ საეტეო არაფერია), მერე უეჭველად სხვა უფრო დიდი ქვეყნის „დაჭერასაც“ მოინდომებს ქართველთა მეფე. ხოლო, ეს „სხვა უფრო დიდი ქვეყანა“ არის ირანის დიახ, სწორედ ასე იქნება და ამიტომაც დაბეჯითებით გაიძახიან ახლა სპარსეთში: „თუ ვახტანგ მეფემ ქარი დაიჭირა,



ქვეყანასაც ის დაიჭერსო". მაშასადამე, სპარსეთსაც ის დაიჭერსო!

ლიახ, 60000 მეომარი ჰყავს ვახტანგ მეფეს, ვიდრე ლეონტი მკვიდრად დაიჭერს კარ-ბელაქანს, დაიჭერს და შერე იჭიდარ სპარსეთის დასაჭერად გაემართება.

ძალზე საშფოთარო იყო ირანის მესვეურთათვის კიდევ ერთი გარემოება: ყაენმა რომ ვახტანგს აზერბაიჯანის საომარი ძალების მთავარსარდლობაც მისცა, ქართველმა მეფემ ეს დიდი „სპარსული სახელო“ თითქოს აინუნშიაც არ ჩააგდო; მან ერთი მუსლიმი მეომარიც არ შეურია თავის ჯარებში. თურმე მხოლოდ ქართველები და სომხები შეჰყავს ვახტანგ მეფეს თავის მხედრობაში. ქართველები და სომხები! ღიახ, თურმე ისევ სუნთქავს ქართველ-სომეხთა ერთიანობის, თანამობისა და თანაბრობის ოდინდელი იდეა — მარად საოცნებო და სანატრელი განაზრახი ორი დიდკულტუროსანი ხალხისა!

ახლა, თურმე განძასარის კათალიკოსი, სომეხთა სულიერი მამა ესაია პასან ჯალალიანი გაიძახის ზეცისაკენ ხელაპყრობილი: სომეხებსა და ქართველებს ერთი ღმერთი გვყავს, ერთი სული გვაქვს და პატრონიც ერთი ვაგვანია — „კეთილმოყვარე“ და „ღვთისნიერი“ ვახტანგ მეფეო!

ქართველ-სომეხთა ერთიანობას გაცხოველებით ქადაგებდნენ დიდი სომეხი მოღვაწენი: ისრაე ორი და ტიგრან მინასიანი. მათი ღრმა რწმენით, ორივე ხალხის მომავალა დაკავშირებული იყო ქართულ-სომხური „ფედერაციის“ შექმნასთან, რომელსაც სათავეში ქართველი მეფე უნდა სდგომოდა. ექვი არ იყო, ვახტანგ მეექვსეს უკვე დაეწყო ქართველთა და სომეხთა რაღაც „საძმო კავშირის“ სამზადისი. უეჭველად ეს „კავშირი“ და „ერთიანობა“ მიმართული იქნებოდა საერთოდ მუსლიმური გარემოცვის წინააღმდეგ, ხოლო, უწინარესად, ირანის უღლის დასამხობად ან საერთოდ ირანის დასამხობად და „დასაჭერად“.

ბოლოს, იყო კიდევ ერთი „მძლავრი გარემოება“ — რუსეთის სპარსელ მსტოვრებს არ გამოჰპარვიათ ვახტანგის „რწმუნებულის“ შეხვედრა რუსეთის ელჩთან სპარსეთში არტემ ვოლინსკისთან (იმ ვოლინსკისთან, რომელსაც დაუწერია: „მთელს ირანში საუწყეთესოდ მიმამჩნია ქართველ-



თა მხედრობაო"). და მის შემდგომაც, როგორც ვეცნობა, ვახტანგს „რაღაც კავშირები“ აქვს რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებას და დიდხელმწიფე პეტრე პირველთან. ვასულ 1729 წელს მისი მტკიცედ დადგენილი და ურწმუნოთაგან შენი ქვეყნის გათავისუფლების იმედი იქონიეო...

და აი, ბოლოს და ბოლოს, შეაგნებინეს ირანის ლაყეთაიან მზრძანებელს მისმა „ანტიქართველმა“ მრჩეველებმა: ვახტანგ ქართველთა მეფე ქარს დაიჭერს, აღმოსავლეთ კახეთიდან ლეკებს გარეკავს, სომხებთან კავშირს განამტკიცებს, რუსეთიდან დახმარებას მიიღებს და მაშინვე ირანის „დასაჭერად“ წამოემართება!

ისფაჰანის სასახლეში ავი ზარები რეკდნენ.

და ბრძანებს შამ სულთან ჰუსეინი: ვახტანგ მეფემ ქარზე ლაშქრობისგან ხელი აიღოს, უხანგიდან ფეხი დაიძროს, ხმალი ქარქაშში ჩაიბრუნოს და სასწრაფოდ ტფილისს დაბრუნდეს!

(ინგლისელ ჰანვეის ჩაუწერია: „ვახტანგი გასრესდა ლეკებს, მაგრამ მან მიიღო ბრძანება— სამშობლოში გაბრუნებულიყო“)...

...ძლივს გამოერკვა ვახტანგი. ერთხელ კიდევ დააშტერდა შამის რაყამს. გარკვევით ეწერა: ქარზე ხელი აიღე, ქარი დაშალე და ტფილისში დაბრუნდიო... და უეცრად ხმალზე ხელი დაიკრა, ქარქაშიდან აღმოახდინა, მალღა აიქნია და ზარივით დაარისხა: — აღესრულება შამის ბრძანება, ხელი აგვიღია ლეკთა დალაშქერისგან, მაგრამ ეს ხმალი შამისა და მისი ირანის დასაცავად და დასახსნელად ქარქაშიდან აღარასოდეს აღმოიწედება!

ეს თქვა, ხმალი უკანვე ქარქაშში ჩააქვავა და დაიფიცა „ფიცითა საშინელითა“, რომ არასოდეს აწ ნათქვამ სიტყვას აღარ გასტეხდა.

აღარც გასტეხს. და ძვირადღაც დაუჯდებათ სპარსეთის სეფიანურ მზრძანებლებს და მათ ქვეყანას ვახტანგის ფიცი — პანიბალის ფიცივით მტკიცე და განურღვეველი.

მაგრამ ვახტანგსა და საქართველოსაც ძვირად დაუჯდებათ ქარ-ბელაქნის ლაშქრობაზე (და მას შემდგომ ირანის ლაშქრობაზე) ხელის აღება...

...როცა ლეკებმა შეიტყვეს, ქართველები უოზრად გზა
რუნდნენ და ბრძოლა შეიძლება მართო ყიზილბაშებთან. შედეგად
გაქცნესო, უსახდროდ აღტაცებამ და სიხარულმა მათი გული
გულები.

„რადგან ლომთა ტორებისაგან მოვრჩენილვართ, ყიზილ-
ბაშთა ხმლებისა ჩვენ ვიცოდეთო!“ — მთელს აღმოსავლეთ
კავკასიას მოედო ეს „ლეკური ძახილი“...

...ვახტანგ მეფე კი უკან ბრუნდებოდა. ბრუნდებოდა და-
შლილი ჭარით, აშლილი გონებით, ჩაშლილი სამამულოში-
ლო და საშვილოშილო განაზრახით.

მაგრამ იყო ქვეყანაზე დიდი რუსეთი — ყველაზე დიდი
იქიდი ვახტანგ მეფისა. სჯულით, სულით და გულით „ნათე-
სავი დიდი ხალხი“ და „ნათესავი დიდი ხელმწიფე“.

პეტრე პირველს კასპიის სანაპიროთა დაპყრობა ჰქონდა
გულს ამოჭრილი. როგორც კი შვეციასთან ომს მორჩებოდა,
მაშინვე უნდა წამოეწყო „კავკასიური ლაშქრობა“. რუსეთის
უმაღლეს კარს გაანგარიშებული ჰქონდა, ვინ უნდა ყოფილი-
ყო მტერი და ვინ მოყვარე მომავალ სამხრეთულ ომში. რუს-
თა აშკარა მტრები იმეამად ლეკები იყვნენ, ოსმალთაგან
„ხელდადებულნი“ და წაქეზებულნი. ლეკებმა უკვე კიდევაც
მოაწერეს რუსული სისხლის დაქცევა: შემახაში ორჯერ მოა-
წყვეს რუსი სოვედაგრების დარბევა და ამოწყვეტა. ეს სამო-
მავლო ომის კარგი საბაზი იქნებოდა რუსთა მეფისათვის.
1721 წელს ლეკებმა ისარგებლეს „ლომების“ (ქართველების)
უკუდგომით და სასტიკად შეუტყეს შირვან-აზერბაიჯანში,
ჩამდგარ ყიზილბაშურ ციხიონებს. პაჯი-დაუღმა და სურხაი-
ხანმა ხელში ჩაიგდეს შემახა, შირვანი და ალყაში ჩაიმწყვდი-
ეს ბაქო. დაღესტანი ოსმალეთის იმედად გულმაგრობდა და
რუსეთს ამდენად ოსმალთა მტრობაც უნდა გაეთვალა მომ-
ავალ ომში. ირანს ჯერ ისევ „რუსეთის მეგობარი“ ერქვა, მაგ-
რამ ეს ფარისეველური „დოსტობა“ და „მეგობრობა“ უმაღლვე
გულწრფელ მტრობად გადაიქცეოდა, როგორც კი რუსი გრე-
ნადერი კასპიის მიწას ფეხს დაადგამდა. „კავკასიურ ომში“
რუსეთის მოკავშირენი ისევ ქართველები და სომხები უნდა
ყოფილიყვნენ. ანტონ ვოლინსკის და ვახტანგ მეექვსეს უკვე
გაეჩადებინათ მიწერ-მოწერა რუსეთ-საქართველოს სამხედ-
რო-პოლიტიკური კავშირის გასაჩივებლად.

ვახტანგმა „რუსული საქმეები“ საწვდომი დარბაზზე გაიტანა სათათბიროდ. მოდარბაზენი ვაიყენებნ ორად: რუსეთის მომხრენი და რუსეთის მოწინააღმდეგენი. პირველი ვახტანგ მეფე ედგა სათავეში, მეორეს — მისი ძე საქარი, ბაქარი და მისი თანამოაზრენი რუსეთთან კავშირის ძებნაში საქართველოს დიდ განსაცდელს მხედავდნენ. სანამ შორეული რუსეთიდან მაშველი მოგვისწრებს, მანამ ჩვენი ყური მეზობელი-მესისხლენი საქართველოს თავზე ჩამოგვაშობენ და ჩამოგვაქცევენო („პეტრეს მოსვლამდე ვახტანგს ტყავს გააძრობდნენ“!). მაგრამ მაინც უფრო ძლიერი იყო მეფის განასაჯი. იგი ლაპარაკობდა ურყევი ტყმენით და დამაჩერებლობით. სრულიად საკმარისია რუსთა ხელმწიფემ ხუთი ათასი რუსი ჯარისკაცი გამოგვიგზავნოს და ჩვენც რომ ჩვენის ქართული ჯარით შევერთეებით, ვერც სპარსეთი და ვერც ოსმალეთი კრინტის დაძვრასაც ვერ გაბედავენო. ბოლოს და ბოლოს, დარბაზის უმრავლესობამ მეფის მხარე დაიჭირა.

1721 წელს რუსეთისა და ქარაღის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაიდო. რუსთა და ქართველთა ხელმწიფეებს ერთად უნდა შეეციათ ირანისათვის. სანამ პეტრე კასპიის გასწვრივ გამოჩნდებოდა, ვახტანგი გამალებით ემზადებოდა „სანატრელი ომისათვის“. ემზადებოდა ფარულად, შენიღბულად. მხოლოდ სომეხ მამულიშვილებთან ცხოველი ურთიერთობით...

...1721 წელს პეტრე პირველმა ბრწყინვალედ დაასრულა შვეციასთან ხანგრძლივი ომი. საზეიმო სელა ვსესვიატსკოდან დაიწყო პეტრემ, ქართული „კოლონიიდან“. პირველი საზეიმო შეხვედრა ქართულ ოჯახში მოაწყო ქართველებზე შევევარებულმა ხელმწიფემ, მისი უსაყვარლესი ადამიანების — არჩილისა და ალექსანდრეს ოჯახში. მასპინძლობდა პეტრეს „ძვირფასი ნათესავი“ ქალი, არჩილის ასული და ალექსანდრეს დაი — დარეჯანი. შედეგზე გამარჯვების პირველი საზეიმო სუფრაც „ძვირფას დარიას“ გაეწყო. რუსული იარაღის გამარჯვებისა და რუსული მამულიშვილობის აღსანიშნავი პირველი სადღეგრძელოც აქ შესვა პეტრემ და მისმა ამაღამ — ქართულ ოჯახში, ქართველი ქალის ხელით ავსებული სასმეებით.

მთელი დამე ქართველებთან იდუმალ საუბარში ვაატარენ

ბეტრემ და დარეჯანმა. საუბარს ესწრებოდნენ: სამეგრელო/ მთავრის ლევან IV დადიანის ვაჟი კაპიტან-პორუჩიკი გიორგი დადიანი, ბაიდურ (ბორის) თურქესტანიშვილი, მუხომანბეტრე და მოსე ამბრასაძეები და დიმიტრი მოსეს ძე ამბრასაძე.

მეორე დღეს ბეტრე და მისი ბრწყინვალე ამაღა „ქართული სიყვარულით“ გულნაჯერნი გაემართნენ მოსკოვისაკენ, რომელიც საზეიმოდ აღმდგარი და აღკაზმული ელოდა ძღვეამოსილ ხელმწიფეს.

ხოლო სამხრეთში ქართველები და სომეხები დღე-ღღეზე ელოდნენ ჩრდილოეთიდან გამათავისუფლებელი ომის შემობრძანებას ამიერკავკასიის განაწამებ მიწაზე.

ვახტანგ მეფის საომარი დროშების ქვეშ კვლავ 60000 მეომარი იდგა და მოხდა ისე, რომ სანამ იგი ჩრდილოეთიდან ბეტრე პირველის გამოჩენას ელოდა, მანამ 8000-მა ავღანმა ირანელები გაანადგურა და ირანის სატახტო ქალაქიც აიღო. ვახტანგს კიდევ შეეძლო ავღანელები განედევნა ირანიდან, მაგრამ მას უკვე არავითარი სერიოზული პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა აღარ სურდა ბეტრე პირველის გამოჩენამდე.

სამართლიანად წერს გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსი პატკანოვი: „ვახტანგ მეფეს ჯომ მარჯვედ გამოეყენებინა მაშინ შექმნილი პირობები, მისთვის, მისი ქართველებით, ძნელი არ იქნებოდა სპარსეთიდან გაედევნა ავღანები და ის როლი შეესრულებინა, რომელსაც შემდეგში აზიაში ნადირ-შაჰი ასრულებდა. სპარსეთის დამპყრობლებს (ავღანელებს) შიშს ჰგვრიდა თუნდ ერთი გამოჩენაც ქართველთა მხედრობისა, რომლის ძალმოსილებაც მათ არაერთხელ უგემნიათ თავისას, საკუთარ სამშობლოში“...

...1722 წლის 28 მაისს ტფილისში ჩამოვიდა ყარაბაღ-განძასარის სომეხთა კათალიკოსი ესაია პასან ჭალალიანი. ვახტანგი და ჭალალიანი ერთმანეთს დიდი სიხარულით შეხვდნენ და შეეზრახნენ: შეექმნათ ერთიანი ქართველ-სომეხთა ლაშქარი და დაძრულიყვნენ შემახვისაკენ, ჩრდილოეთიდან დაძრულ რუსთა მხედრობასთან შესახვედრად. ჭალალიანი ყარაბაღს გაბრუნდა და თან წაიყვანა ვახტანგისგან გამორჩეული ქართველი სარდლები სომეხთა ლაშქრის მოსამზადებლად. შესანიშნავი სომეხი ისტორიკოსი ლეო წერს: „ვახტანგმა იმედი ჩაუწერა სომეხთა მოძრაობის მეთაურებს და ფსადაუ-



დებელი სამსახური გაუწია სომხური არმიის ჩამოყალიბებას დროს, მიაწოდა რა სომხებს არა მხოლოდ სამხედრო მარტყელები, არამედ სარდლებიც“. ვასაგებია, რომ სომხებმა მადლობდნენ კეთილ და ენერგიულ ქრისტიან მადლობდნენ კეთილ და ენერგიულ ქრისტიან მინას ვარდაპეტ ფერვაზიანი, ახატიის წინამძღოლი, სწერდა მინას მოძღვარს: „უფალმა გამოუღვიძა ჩვენს ქრისტიანებს კეთილი მწყემსი და მძლე ქართველი მფე, რომელმაც თავისი კეთილგონიერებითა და ნიჭით შეკრიბა დამაგრული და გაფანტული სომეხი ერი, ადგილ-ადგილ გაამაგრა, მეურვეობა გაუწია... სომეხ-ქართველთა საბრძოლო კავშირის იდეა შესანიშნავი მოვლენა იყო“...

...1722 წლის 15 ივნისს იმპერატორმა პეტრე დიდმა სამხრეთული ლაშქრობის მანიფესტი გამოაცხადა. 2 ივლისს ვახტანგ მეექვსეს რუსეთიდან ეწვია პეტრე პირველის ელჩი ბორის (ბაადურ) თურქესტანიშვილი. ჩრდილოეთის დიდი ხელმწიფე ქართველ მეფეს ატყობინებდა: რუსთა ქარები სულ მალე გამოჩნდებიან კასპიის ზღვის სანაპიროებზეო, ხოლო მანამდე თქვენ, თქვენის ქართველებით, ლეკებს შეებრძოლეთ, ოღონდ ისე მოიქეციეთ, თურქეთი რომ არ გააფაგროთ და ომის გამოცხადების საბაბი არ მისცეთო!

ასეთი სამოკავშირეთო დავალების შესრულება არც ისე იოლი საქმე იყო. ვახტანგ მეფე ლეკებს ასე თუ ისე „მოუყლიდა“, მაგრამ ლეკებს თურქები მფარველობდნენ და ვახტანგს ისე როგორ უნდა მოეხერხებინა, რომ ლეკისთვის შემოკრულ ხმალს ოსმალთ არ გამოეგდო საომარ ველზე?

იმ დღეებშივე თურქეთის სულთნის აჰმედ მესამე ელჩიც ეწვია ვახტანგ მეფეს. ირანს ლაშქრობას ვაპირებ და შენი კავშირი და დახმარება მჭირდებაო. თუ ჩემთან კავშირს დათანხმდები, სამაგიეროდ მთელი საქართველოს მეფობას მოგიძღვნიო, — იწერებოდა ოსმალთა ფადიშაჰი.

ვახტანგმა სულთანს უყოყმანოდ უარი შეუთვალა და ეს ამბავი პეტრე პირველს მისწერა. წერილში ქართველთა მეფე დიდ სიხარულს გამოთქვამდა კასპიისპირეთში რუსთა შემოსვლის გამო; მეც სასწრაფოდ დაეიძვრები ჩემის ქარებით და 20 ივლისს განჯაში ვიქნებიო, — სწერდა ქართველი მეფე რუსთა იმპერატორს.

ასტარახან-თერგის გამოვლით მოდიოდნენ რუსული ლეგი-

ონები. თერგიდან დარუბანდისკენ აიღეს გეზი. ტრევი გაიყოფი
არეს და ბოლოს, დარუბანდიც უომრად ჩაიბერეს.
ამასობაში ვახტანგი ჩასულიყო განჯაში ქაჯურის მთებში
რით. სომხებიც შეუერთდნენ და ელოდნენ ტუსების შემო-
სვლას შირვანში „დათქმულ პაემანზე“.

სამი თვე იცადა და, როგორც იქნა, ნოემბერში მოუვიდა
ამბავი ჩრდილოეთიდან — ჩრდილოეთისაკენ გაყვრპებით მაც-
ქერალ ვახტანგ მეფეს. მოუვიდა, მაგრამ ვაი იმისთანა მოსვ-
ლას! პეტრე პირველი უკანვე გაბრუნებულია დარუბანდიდან.
საქმარისი არ ყოფილა ჩრდილოეთიდან ჩამოყვანილი ძალები
კასპიისპირეთის დასაპყრობად. არც ტრანსპორტი უფარგო-
დათ, არც სურსათი ჰყოფნიდათ. მთავარი მაინც ის იყო, რომ
ოსმალებმა ქარები დასძრა აღმოსავლეთი კავკასიისა და კას-
პიის ზღვის გეზით. პეტრე პირველი ოსმალებთან ომს დაუ-
შინდა და უკუიქცა ასტრახანისკენ.

პეტრეს პოდპორუჩიკი ტოლსტოი გამოგზავნა ვახ-
ტანგთან. წელს ლაშქრობა კარგად არ გამოგვივიდაო და მო-
ხედალ 1723 წელს უფრო წარმატებით უნდა განვაახლოთო.
თავზატი დაეცა ვახტანგ მეფეს. მაშ, მისმა „მხსნელმა“, მის-
მა „მესიამ“ უკან დაიხია! ახლა, ალბათ, თვითონაც უნდა დაი-
ხიოს უკან! მაგრამ რომ დაიხიოს, სადღა დაიხიოს, როცა ყო-
ველი უკანდასახევი გზა თვითონვე წინასწარ ჩააქცია და ჩაწ-
ვა რუსი ხელმწიფის ასე მისტიკურად მოიმედემ! იგი ახლა
საესეებით მარტო იყო მტრულ გარემოცვაში. მტერი იყო
თურქეთი, მტერი იყო სპარსეთი, მტერი იყო დაღესტანი. და,
ასე გასინჯეთ, მტერი იყო კახეთის მეფეც — კონსტან-
ტინე შაჰმად-ყული-ხანი (რომელიც უფროსი ძმის
დავითის სიკვდილის შემდეგ აყვანა კახეთის ტახტზე ირანის
შაჰს).

ორი ათასი რუსი ჯარისკაცი მაინც გამომიგზავნეთ საქარ-
თველოშიო, იბღაველა უილაჯო ხელის საესავით ქართველთა
მეფემ.

ტოლსტოის გულწრფელად უნდოდა აღსრულებულიყო
ვახტანგის თხოვნა და ბევრიც იბრძოლა საამისოდ. ბოლოს,
პეტრე პირველმა მართლა მოაწერა ხელი ორი ათასი რუსი
ჯარისკაცის გამოყოფაზე საქართველოსთვის, მაგრამ ქალაქდ-

ზე დაწერილისა და ხელმოწერილის შესრულებისთვის არა
რავის შეუწუხებია თავი...



...რა მოუფიქრებლად, განუსჯელად და განუკითხველად
დობია თურმე ვახტანგ მეფე, „მეფე“ კი არა, ვახტანგ „მეფე-
ტი“ ყოვლად მიაბიტურ, საოცრად მალემტყმენ „ქრისტიან-
ულ გულს“! თურმე პოლიტიკა გაცილებით უფრო სასტიკი
და „ხეანჯიანი“ ყოფილა, ვიდრე პოეტური „პიი-პუუ“, „რანი
და, მოვაჯიანი და, სახლი და კარი, ბანი და“... და მისთანანი!

უმძიმესი ფიქრებით დარეგვილი ვიდოდა ვახტანგ მეფე
განჯიდან ტფილისისკენ გასროლილ გზაზე...

...ხოლო, რუსთა ლაშქრობა აღარც მომდევნო წელს შედ-
გა კავკასიაში. ბოლოს, 1724 წელს, ვახტანგმა შეიტყო თავ-
ზარდამცემი ამბავი: რუსეთსა და თურქეთს ხელშეკრულება
დაუდევთ და პეტრე პირველს აღმოსავლეთი ამიერკავკასია,
უწინარეს ყოვლისა, ქართლი, თურქეთის საკუთრებად უც-
ნია!

ახლა როგორღა მოიქცეს ვახტანგ მეფე, როგორღა დაიბ-
რუნოს ტახტი და გვირგვინი, რომელიც მის სათაყვანო კერპა,
პეტრე დიდს, თურმე თურქეთის საკუთრებად გამოუცხადე-
ბია? ალბათ, თვითონ თურქებთან უნდა გაარიგოს რაიმე და...
ვახტანგმა თორმეტი ჯორი დატვირთა ოქრო-ვერცხლით,
თორმეტივე უკვე საქართველოში მოსულ თურქ სერასკერს
გაუგზავნა და ქართლის ტახტზე დამტკიცება შესთხოვა. თურ-
ქმა თორმეტივე ჯორკიდებული სიამოვნებით მიიღო, მაგ-
რამ ქართლის საქმეთა „საბოლოოდ გადასაწყვეტად“ პირად
ვახტანგის გამოცხადება მოითხოვა. ვახტანგმა მისელა ვერ
გაბედა და ცხინვალს შეეფარა თავზარდაცემული და თავგზა-
აბნეული. ხოლო, ქართლის მეფობა თურქებმა მისცეს ვახ-
ტანგის ძმას — გამაჰმადიანებულ იესესს.

„ვაი ჩვენ უბედურთა! საქართველო ბაბრის (ირანის) ქან-
გის ნაცვლად ფოცხვერის (ოსმალეთის) ქანგს ჩავარდნია!“ —
ეს სწორედ ვახტანგის „პოეტური შეძახილი“ იყო.

მალე ვახტანგს თურქთაგან ტყვეობა დაემუქრა, და, „ძითა
და ძმითა და მრავლის დარბაისლითა“, ძლივს გადაასწრო
რაქას.

1724 წელს, ივლისში, ვახტანგ მეფე წავიდა ტრესეთს.

მიდიოდა და მიჰყავდა ოჯახი, ცოლი და შვილები, მეზობლები და ძმისწულები.

მიდიოდა და მიჰყავდა უსაჩინოესი მამული მწარე მწარე-თველნი ყოველის სახელიდამ და კახნიცა მრავალნი, სულ ათას ოთხასი კაცი, „უმეტეს დედაწულითურთ“.

მიდიოდა და მიჰყავდა სულხან-საბა ორბელიანი, მალე შეუერთდებოთ დავით გურამიშვილი.

მიდიოდა და მიჰყავდა ყველა სარდალი, ყველა უმაღლესი საერო კარისკაცი და სასულიერო მოწესე-მოდღარი — ეპისკოპოსნი, სახლთუხუცესნი, მანდატურნი, „სხვანი და სხვანი“, უწარჩინებულესი გვარიშვილნი.

ასე გაეცალნენ ყველაზე დიდი მოქიტნახულები ქირშა ჩავარდნილ ქართლს.

ეხვეწებოდნენ — შენ თუ გაგვიჩრე და გაგვეცაღე, ერთი რომელიმე შვილი მაინც დაგვიტოვე პატრონად და ნუგეშადო, იქნებ „მომშველის გამოჩენამდე სულ არ წაგვხდეთო“, მაგრამ არავის თხოვნას, შეგონებებს, ცრემლსა და ვაებას არ გაუწია ანგარიში ვახტანგ მეფემ. არც თვითონ დარჩა, არც შვილი დატოვა და არც ძირი. თავადაც მოეკვითა და თავიც მოჰკვითა საქართველოს...

...ცარიცინს რომ მიადრეხს პეტრესთან მიმავლებმა. იქ პეტრეს სიკვდილს ამბავი დაახვედრეს! დიას, იდგა 1725 წელა და მომკვდარიყო, „ამიერ სოფლით მიფარულიყო“ რუსეთს უღიდესი ხელმწიფე-იმპერატორი, რომელიც ქართველ მეფე დღენიდაც სალოცავ ხატად ედგა და ატასოდეს პირადად თვლით არ ენახა. იგი მომკვდარა, მაგრამ ვახტანგ მეფე მაინც უკან არ დაბრუნდება. იგი მაინც უნდა მივიდეს მოსკოვს, რადგან ხომ მაინც მიდიან ჰერმარიტი ქრისტიანენი ქრიტეს საფლავზე სალოცავად? იციან, რომ იქ ცოცხალი ქრისტე არ დახვდებათ, მაგრამ მაინც მიდიან! და მივიდა მოსკოვს.

ჯერ ვსესვიატსკოეს „ქართულ მიწას“ მიადგნენ ქართველები. სიხარულის ცრემლთა ფრქვევით შემოვებოთ დარეჯან არჩილის ასული „დედა“ და „მოდღარი“ მოსკოველ ქართველებსა. ერთმანეთს შეხვდნენ ქართველები — ახლად გადახვეწილნი და გადახვეწილობაში გამმონათეენი — „და შეიტკბნენ ფრიად“.

და იმ „ტკბობის ჟამს“ ერთბაშად დიდი წუხილი ეწეიათ

„სესენცელ ქართველებს“: გარდაიცვალა სულხან-საბა ორბელიანი. ზოსიმე ბერმა მიაწერა საბას ლექსიკონს; მიიწვალა კრიტიკს აქეთ ჩვე (1725), იანვარსა მწუხრს, დიდს მოსკოვს, სესენცას, ბატონის არჩილ მეფის სასახლეში და იმავ საყდარს დაემარტა ბრძანებითა და მრავლის ხარჯითა და თანა-წყალობითა და დიდის პატივითა ბატონიშვილის დარეჯანისათა“.

„ფრიად მაშვრალი მუშაკი, მოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა“, — თქვა მისმა ძმამ დიმიტრი ორბელიანმა.

ქართულ მიწაში დამიწება არ ელირსა საქართველოს მამას და მოძღვარს.

...მამის თვეში პეტერბურგიდან წვევა მიიღო ვახტანგ მეფემ. რუსეთის მაშინდელი ქალი-ხელმწიფის, პეტრე დედა ქვრივის ეკატერინე პირველისაგან. სამასი თუმანიც „გზის ფულად“ გამოეგზავნა დედოფალს.

გაემგზაურა ვახტანგ მეფე. პეტერბურგს რომ მიუახლოვდა, რუსთა საპატიო მხედრობა შემოეგება. მერე „შეიქნა სროლა ზარბაზნისა, რომე ყურთა სმენა აღარ იყო“. სამი დღე განისვენეს ქართველებმა მათთვის საგანგებოდ მიჩენილ „სადგომსა და სავანესა“. მეოთხე დღეს დედოფალმა ეკატერინე სასახლეში საგანგებო შეჯლისზე მიიწვია ვახტანგი და მისა ამაღა. დიდის წადნიერებით შეეგება რუსეთის უმაღლესი სასახლის კარი ქართველთა გამოჩენას. მიეახლა ეკატერინეს ვახტანგ მეფე, ჯერ მუღლისა და ხელმწიფის გარდაცვალების გამო სამძიმარი მოახსენა „უცხოთა რიტორიისა ენითა და მდღღრისა ცრემლითა“, მერე, მცირე შეყოვნებით, ტახტზე აბრძანება მიულოცა დედოფალს. ყველა მოხიბლა ქართველი მეფის ქცევამ, „სიბრძნემ და სიტყვა-მკვეერობამ“. დედოფალმაც სამაგიერო „მაღლი და წყალობის სიტყვები“ მიუგო ქართველ ხელმწიფეს. ერთმანეთს გადაება სახეიმო შეხვედრები, მეჯლისები. ვახტანგს გულზე დაჰკიდეს ანდრია პირველწოდებულის ჯვარი, — „მურასად შემკული ძვირფასისა“.

ერთი სიტყვით იყო ყველაფერი, მაგრამ არ იყო ის, რისთვისაც ვახტანგი რუსეთს გადმოხვეწილიყო — სამხედრო დახმარება საქართველოს დახსნისათვის...

...1730 წელს კიდევ ახალი ქალი-ხელმწიფე ავიდა რუსეთის ტახტზე, ანა ივანეს ასული.

1732 წელს ნადირ შაჰი გაბატონდა ირანში.

ნადირმა თურქები ამიერკავკასიიდან გარეკა და დაიწყო მათი იჭირა და ვახტანგს შეუთვალა, მობრუნდი დედასა და მამასა ლის ტახტი მიიღრთვიო.

ვახტანგმა უარი თქვა. მას არ უნდოდა ქვეშევრდომობა არც ირანისა, არც თურქეთისა. მას მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის მფარველობა უნდოდა და რუსული ზონჩით მორთ- შეული ქართული გვირგვინი...

...ისევ დიდის პატივით ეპყრობოდნენ რუსები ქართვე- ლებს, ისევ იმართებოდა წვეულებანი „ქართველთა შიგან ჩა- რევით“ და „ჩართვით“, მაგრამ...

მაგრამ ვახტანგ მეფის „აბეზარ თხოვნებს“ ახლა უკვე მკვებე პასუხებიც აკადრეს. აკადრეს, ვინათგან რუსეთის სა- მეფო ტახტს ახლა თავის ნებაზე ათამაშებდა უნიკო დედოფ- ლის ფაფორა ტა, ვიწროშუბლიანი გერმანელი, კანცლერი ბ ი რ თ ნ ი. და „საქართველოს საქმეების“ ახალმა გამგებლე- ბმა, „ბირონოვშჩინის“ შმორიანი სუნით ავსებულმა მოხელე- ებმა, ვახტანგ მეფეს კრინტიც არ დაამცრევინეს, ისე დააყა- რეს: რაც დაგეშართა, ყველაფერი შენს თავს დააბრალეო, განჯაში რომ იმდენ ხანს უშიზნოდ იდექი და ზელი არ გაგინ- ძრევიანო, იქვე, კახეთის მეფესთან კავშირი და ერთიანობა ვერ მოვიგვარებიაო, ოსმალებთანაც წყალი ამღვრიე, ქვეყა- ნა იმათ კლანჭებში ჩააგდე და ტახტიც დაქარგეო!

კაცმა რომ თქვას და, პატივი მარხვას — ყველაფერი მარ- თალი კი უთბრეს რუსებმა ვახტანგს. იგივეს აკი ქართველე- ბიც საყვედურობდნენ სათაყვანო მეფეს. ყველაფერი შენს თავს დააბრალეო!

მაგრამ მაინც არავის უთქვამს მისთვის, ზედმეტი გახლავთ თქვენი ყოფნა პეტერბურგსა და მოსკოვშიო. არც ის უკად- რებიათ, ტყუილად ირჩებით და რასაც ითხოვთ, „საბოლოოდ“ უარს გეუბნებითო.

მაგრამ მაინც აიყარა და წამოვიდა მეფე, მოდიოდა გამ- წყრალი, უმწეო და ამპარტავანი, ბოლშის ბურთით ყელდა- ჩიხული, ცხოვრების სისასტიკით გულგასივებული. ასტრა- ხანს მოვიდა და იქ „დაეფუნა“. იქ გაატარა მისი მწარე წუ- თისოფლის უკანასკნელი დღეები, ჩუმი, გაუმეღავნებული ბოლშით, სულის შინაგანი გვემით, შინაჭვითინით, ცრემლის შინაჩაქცევით.

და გარდაიცვალა 1737 წლის 26 მარტს. დაიკრძალა იქვე,
ასტრახანს.

სამარეში ჩაპყვა გმინვა, საქართველოდან წამოეყვანა
და განუყრელად „თანდაყოლილი“.

ქართლის საჰესთან მივიდა 28 წლისა, ჩანიშინობდა 9 წე-
ლიწადი. სპარსეთში გაატარა 8 წელიწადი, რუსეთში — 13
წელიწადი, აღესრულა შობითგან 62 წლისა.

აღსრულებულიყო ქართველთა უგანაოლებულესი მესა-
ქე, მწიგნობარი და მწერალი, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართ-
ლის ცხოვრების“ ყველაზე დიდი მზრუნველი და მოჭირახუ-
ლე, ნიჭიერი მხედართმთავარი და მამაცი მხედარი, ერის
გულწრფელი მოამაგე და პატრონი.

სვებედნიერი აღმოჩნდა მისი კულტურული და შინასახელ-
მწიფობრივი ღვაწლმოსილება. მართლაცდა, მისი ათწლო-
ვანი „ჩანიშინობა“ იყო „რენესანსი“, ვინა „ვერცხლის ხანა“
ქართული კულტურისა — სულიერისა და ნივთიერისა.

მაგრამ სვეუბედური აღმოჩნდა მისი „პოეტურ-რომანტიკ-
ული პოლიტიკა“, მისი მალემრწმენობა, მისი ფანატიზმი.
მას წარმოდგენაც არ აღმოაჩნდა იმ ქიშკრაზე, რასაც ასო
წლის შემდეგ ნაპოლეონმა „როსკიპი ჭალი“ უწოდა. პირიქით,
მალაზნეობრივ ქართველ ხელმწიფეს „პოლიტიკა“ წმინდა
ზნეობრივი ვაეკაცობის, პირიანობის, სიტყვის გაუტეხლო-
ბისა და ბოლომდე უღალატო განაზრახთა საასპარეზოდ მი-
ეჩნია. მას წარმოდგენაც არა ჰქონია, რომ პოლიტიკის სარბი-
ელზე მელაკუდები უფრო ხერხიანად და მომგებიანად და-
ნაეარდობენ, ვიდრე ლომნი და ვეფხენი.

ბუნებამ ერთი დიდი სისუსტე არგუნა მისგანვე უხვად
შემკობილ ქართველ ხელმწიფეს — სისუსტე საპოლიტიკო
გულისხმისა, აღლოიანობისა, გერშინანობისა. და ეს სისუსტე
საბედისწერო გამოდგა მისთვისაც და მისი სამშობლოსთ-
ვისაც. სწორედ „საპოლიტიკო ბედისწერამ“ იგი ერთხელ თა-
ვის გმირად აირჩია და „მსოფლო პეროიკის“ გმირის ქაღო-
სნური კვერთხი ხელში შეაჩენა, მაგრამ გერმსა და ალღოს
მოყლებულმა რჩეულმა კაცმა კვერთხი იგი კვერთხად ვერ
შეიღწო და უმაღვე ხელიდან გააგდო, ვითარცა სნების მომგ-
ჯტელი ბინძური ჩვარი. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ბეფე
ნახტანგ მეექვსე, დაბადებული ვითარცა გმირი „მსოფლიო

პეროიკისა", — მაშინ, როცა „მის ტახტზე“ ნადო მამა იჯდა, — მიწას ჩეხვენა ვითარცა თვითმოკვეთილი, თვითგადხვეწილი, თვითგანრიცხული, თვითდამარხული პეტიციონერი.

ხოლო, დავით გურამიშვილმა მაინც ასე დაიტირა თავისი საყვარელი სვეგამწარებელი ხელმწიფე:

„ვთი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!“

იწეა წყნარად და მშვიდად, უცხო, მლაშე და ლორწოვან მიწაში „ბოძი“ და მებოძირი საქართველოსი...

ბ ა მ ო ს მ ლ ა „ პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი ს ა “

ვახტანგ მეფის ქართველმა თანამგზავრებმა რუსული ქვეშევრდომობა მიიღეს. ბევრი სამხედრო სამსახურში შევიდა (მსგავსად დიდი პოეტის დავით გურამიშვილისა), სხვადასხვა ქალაქებსა და გუბერნიებში განსახლდნენ და დასახლდნენ. ბევრი კულტურულ საქმიანობას შეუდგა. არჩილ მეფის დროინდელი სტამბა აღადგინეს, წერდნენ, თარგმნიდნენ, ბეჭდავდნენ და ილწვოდნენ რუსთა და ქართველთა შემდგომი დაახლოებისათვის.

საქართველო კი „ოსმალობისა“ და „ლეკიანობის“ ორლესულთა გვირგვინში მოქცეულიყო. თურქეთი უკვე ლეკებით გატენილ ქარ-ბელაქანს, ანუ გალექებულ ქართული ენისეღის მხარეს ისე უყურებდა, როგორც თავის სისხლხორცეულ „ფილიალს“. ლეკები ქარ-ბელაქანში ქართულ მოსახლეობას ისევე ექცეოდნენ, როგორც ოსმალები სამცხეში. ისინი ართმევდნენ მიწას და ბშირად სიცოცხლესაც ყველას, ვინც ქრისტიანობას არ დაადგებდა და სუნიტურ მამამადიანობას არ მიიღებდა. ასეთი ნაძალადევი გზით გამამადიანებული და ლეკთაგან დაყმევებული ქართველი გლეხები დებულობენ შემდგომში „ინგილოების“ სახელს.

1727 წელს აქაურ ლეკებს ოსმალეთის ფადიშაჰმა ისლამის წარმატებით გავრცელებისათვის ქარ-ბელაქანი საგანგებო ფირმანით საკუთრებად დაუმტკიცა. ასე შეიქმნა აღმოსავლეთ კახეთის მიწაზე უცხო, მუსლიმური, ლეკ-აბრაგთა და აღა-

ლართა სასელმწიფო — ავთენტიკური სიმსიენე ქართულ სტილზე...

ოსმალურმა თორმეტი წელიწადი იბატონეს საქართველოში.

ქართველები კი ისევ იბრძოდნენ, — იბრძოდნენ „სანამ პირში სული ედგათ“.

1735 წელს ირანის ახალმა მბრძანებელმა, დიდმა ხელმწიფემ ნადირ შაჰმა ქართველების თანადგომით და თანამებრძოლობით თურქები გაანადგურა და ამიერიდან საქართველოში „ოსმალთა“ ისევ „ყიზილბაშობა“ შეცვალა.

...იმევე 1735 წელს მოხდა პირველი საბრძოლო ნათლობა თხუთმეტი წლის ერეკლე ბატონიშვილისა.

„პატარა კახი“ — ასე ეძახდნენ ტანმორჩილ უფლისწულს.

ტანმორჩილით?! რა ვუყოთ, — ტანმორჩილი იყვნენ ალექსანდრე მაყედონელიც, ჰანიბალიც, კეისარიც, ნაპოლეონიც, სხვანი და სხვანი...

ფშავს აფარებდა თავს მაშინ მამამისი თეიმურაზი ოჯახით და ფშავიდან ჩამოსულიყო ერეკლე თელავში.

და უცებ აცნობეს ბატონიშვილს: „მოვიდნენ ლეკნი და ქიზიყი მოარბივეს!“

მაშინვე ახლომახლო სოფლებში შიკრიყები აფრინა ერეკლემ, — ყველა გამოიყვანეთ, ვისაც საომრად ფეხზე დგომა შეეძლოსო. თვითონაც აღიკაზმა და ამხედრდა. მოიჭრა ახლად შეყრილი კახთა ლაშქარი. გაუძღვა ბატონიშვილია. ნეიშნის მინდორზე წამოეწია ტყვეებითა და ნაძარცვით დატვირთულ არხეინად მიმავალ ლეკთა ჯარს. ცხენთა გამალებული თქარუნი რომ შემოესმათ, შემოტრიალდნენ ლეკნი. შიკრიყები და მანქანდამანქან საშიში არაფერი უხილავთ: ქართველთა მცირე გუნდი მოჰქროდა, წინ მომცართ ტანის უწვერული ყრმა მოუძღოდა.

და „ძლიერად შემოებნენ ლეკნი“ ქართველებს. ერთ ხანს ერთ ადგილზე შენივთდა ბრძოლა. ეტყობოდა რიცხვით სიმარავეს თავისი უნდა გაეტანა. იგრძნო ერეკლემ, გული გასტეხოდათ ქართველებს. მაშინ შტრის შუაგულს დაეძგერა ბატონიშვილი, ხმლის ცემით და ავი ყვილით. ლეკთა ბელადი ამოარჩია და მიუხდა ცხენდაცხენ. შემოეგება ლეკთა სარდა-



ლიც ხმალით გაელვება და... შეუგანეხლო ვადმოვება ცხენიდან ლეკი.

და ამის მხილველთა ეახთა ერთპირად მიმატეხელთა და წინა წარიქციეს ჭარს ლეკისა, აპყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტნეს უმრავლესნი. და მოვიდა მალაროს გამარჯვებული, რომლისათვის ფრიად მზიარულ-იქმნენ ეახნი, იხილეს რა სიმხნე და მამაცობა შემკვიდროსა თვისისა.

მაშ, იდგა 1735 წელი, პირველი გამოცვლა თხუთმეტი წლის პატარა ეახისა, ანუ დასაწყისი უკანასკნელი დიდი ქართველი ხელმწიფისა.

მაშ, ცხენზე ზის ვრცელე პატონიშვილი და სამოცი წელიწადი ვერ ჩამოხდება საომარი უნაკირიდან...

ქ ა რ თ ვ მ ლ ე ბ ი დ ა ნ ა დ ი რ შ ა ბ ი

აღმოსავლეთ საქართველოში კი, როგორც ითქვა, „ოსმალობის“ ნაცვლად ისევ „ეიზილბაშობა“ ჩამდგარიყო.

ირანის ტახტზე იჭდა ნადირ შაჰ ავშარი.

მოკრილი იყო ვერცხლის მონეტაც, რომელზეც ეწერა: „დაე, მსოფლიოს ეუწყოს მისი მომავალი დამპყრობლის — ნადირის გამეფება“.

თითქოს შაჰ აბასი გასცოცხლებოდეს ირანს.

მაგრამ ვაი, რომ საქართველოსაც გასცოცხლებოდა შაჰ აბასი!

ხოლო, სომეხი ისტორიკოსის ბრძანებისა არ იყოს, ახლა ირანი ნადირ ავშარისა კი არა, ქართველი მეფის, ვახტანგ მეექვსის სამფლობელო უნდა ყოფილიყო. დიახ მაგრამ ვაი, რომ ვერ იგრძნო ვახტანგ მეექვსემ იმ საბედისწერო 20-იან წლებში ხელსაყრელობა დრო-ეამისა! ვერ იგრძნო, ვერ შეიცნო და ვერ ითამაშა „მსოფლიო ჰეროიკის“ მთავარი გმირი. ახლა სხვა „თამაშობდა“ ამ „გმირს“ — ტომით ქართველი კი არა, არამედ ავშარი... რა გაეწყობა, — ესეც საქართველოს ბედი ყოფილა! ვახტანგ მეექვსე ასტრახანის ლორწო-იან მიწაში იწვა, ხოლო ირანის ტახტზე მისი „მაგიერი“ იჭდა.

იჭდა და საქართველოსთვის ოსმალური უღელი ჩამოეხსნა.

ნა.

ჩამოეხსნა და მის მაგივრად თავისი, ყიზილბაშების მხარეა და დედგა.

ქართველობას, მამ, ისევ უნდა ებრძოლა. ებრძოლა, „სანამ პირში სული ედგა“...

კახეთში 1733 წლიდან თურქების დასტურით მეფედ იჭდა თეიმურაზი, სიძე ვახტანგ მეექვსისა, მამა პატარა კახისა. დარჩებოდა თუ არა იგი კახეთის ტახტზე ნადირ შაჰის ნებართვით, — ეს თვითონ თეიმურაზის „ჰკვიანურ ჰკვიანზე“ იჭნებოდა დამოკიდებული.

ხოლო, ქართლის „საპატრონოდ“ შაჰმა გამოგზავნა სეფიხანი, რომელმაც მოსვლისთანავე ასალი გადასახადი გააწერა — სამიათას სამასი თუმანი ფული და ხეთასი „ნოქარი“ (გარი) საომარი აღჭურვილობით, ცხენკეთილობითა და ცოლშვილით, ტფილისში სადგომად.

ქართველები არ შეურიგდნენ ახალ ხარკსა და დამცირებას. აჭაწყდნენ: „ქსნის ერისთავი შანშე, ამილახორი გივი, აბაშიძე ვახუშტი და სულ ზემო ქართლი, გაღმით თარხანი ლუარსაბ და მისი სახლის კაცნი“.

ტფილისიდან ყიზილბაშთა მარბიელი ჯარები გავიდნენ. რამდენჯერმე მიუხდნენ ქსნის საერისთავოს. მაგრამ „რამდენჯერაც მივიდნენ, ბრძანებითა ლეთისათა, იმდენჯერ გაემარჯვა“ შანშე ერისთავსა და ქსანელთა ლაშქარს.

სამჯერ გივი ამილახორს მიესიგნენ ყიზილბაშები. კეხეთან გამართულ სამივე ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და აოტეს მტერი.

ისევ „გამოუსია თარეში“ სეფი-ხანმა. სპარსელები შეესიგნენ სურამის ხეობას, ციხისძირს, ნუნისს, ჩრდილს. ვახანიდან გამოუხტათ ვახუშტი აბაშიძე, სასტიკად დაამარცხა და უკუაქცია მოთარეშე ყიზილბაშნი.

სეფი-ხანმა ქართველთაგან ნაწენვეი მარცხი მარცხად არ ჩააგდო და ფიცხელი ბრძანება გაუგზავნა ქართლ-კახეთის თავკაცებს: ჯერ კიდევ გვიან არ არის და, თუ მართლა ჰქვეყნისა და თქვენი თავის დაღუპვა არ გადაგიწყვეტიათ, ჩემთან მოდიო, შევრიგდეთ და პირობას გაძღვეთ, შაჰთანაც შეგაროგებთო.

გასტრა ყიზილბაში მოხელის მოწოდებამ და მასთან გა-
მოცხადებამ: თეიმურაზ კახთა მეფე, მისი ნათესა-
უზუნისი გივი ნოლოყაშვილი, ბარათაშვილი, მარტო-
ვის ერისთავი, გივი ამილახორი, თარხან-
ლუარსაბი, თამაზ ახდრონიკაშვილი და
ქაისტორი ჩერქეზიშვილი.

არ გამოცხადდა მხოლოდ შანშე ქსნის ერისთავი.

სეფი-ხანმა მასთან გამოცხადებული ქართველები შეიპყ-
რო, ბორჯილები გაუყარა და ყველანი ირანს გაგზავნა, შაჰ
ნადირთან.

ამის შემდეგ სეფი-ხანმა ისევ გაუსია ჯარები შანშე ერის-
თავის გასანადგურებლად და შესაპყრობად. ბრძოლა იკორ-
თას გაიმართა. ქსანელებმა ისევ დაამარცხეს და უკუაქციეს
მტერი. 1737 წელს სეფიხანმა ირანიდან ახალი ჯარები მიიღო
და მაშინვე დაიძრა ქსნის საერისთავოსკენ. ისევ მზნედ და-
უბედა მტერს შანშე. მაგრამ ამჯერად იძლიებენ ქართველნი.
შანშე ჯერ იმერეთს გადავიდა ცოლ-შვილით, იმერეთიდან
რუსეთს წავიდა და თან ქართველ თავადთა საერთო სიტხო-
ვარი გაიყოლია: იქნებ როგორმე რაიმე დახმარება გამოეწი-
რა რუსეთის მეფეს, ხოლო ვახტანგს (ჯერ ისევ ცოცხალს)
თავისი ძე, ბაქარი შაინც გამოეგზავნა „უთავოდ დაგდებული“
საქართველოს „საპატრონოდ“. მაგრამ რასაც ვახტანგ მეფე
ვერ შეწყდა, ქსნის ერისთავი რას „შეწყდებოდა“. რუსმა დიპ-
ლომატებმა შანშე ახლოსაც არ გაიყარეს, ვახტანგიც „მთრან-
ხანის“ მლაშე მიწას ჩაუწვა და ამით ყველაფერი გათავდა
შანშე ერისთავი საქართველოში გაწბილებული და პირში ჩა-
ლაგამოვლებული დაბრუნდა.

დაბრუნდა და, რაკი ჯერ „პირში სული ედგა“, ისევ ჩააე-
ლო ხელი ყიზილბაშურ სისხლზე დაგერშილ ხმაღს...

...ნადირ შაჰმა „სიამტებლობით“ მიიღო საქართველოდან
გამოგზავნილი ტყვეები. თითქოს კიდევაც გაიკვირვა ყაენმაჰ
იმ თავხედმა სეფი-ხანმა ბორჯილები როგორ შეგებდათ, რო-
ცა თქვენის სურვილითა და ჩემს საერთოფლოდ სწვევიხართ
ეგზომ საპატრო სტუმრებო. ისეთი „გულითადი საუბარი“
გაიმართა, თითქოს შაჰ აბასი ემუსაიდებოდა თავის „უსაყ-
ვარლეს“ ქართველებს — თეიმურაზ პირველს, ლუარსაბ
მეორეს, სააკაძეებს, უნდილაძეებს.



ნაცნობი იყო ეს სურათები.

შაჰ ნადირსაც, შაჰ აბასის მსგავსად, ქართველები მარად ცხოველყოფელი ძალმოსილების გამო კიდევაც და და კიდევაც „უყვარდა“, მათი ეწინოდა და მათით იმედოვნებდა.

ყანდაპარს ლაშქრობას ეპირებოდა შაჰ ნადირი და ძალიან სჭირდებოდა ავღანისტანის მიწაზე სახელგანსმენილ ქართველთა სიმამაცე და სიქველე.

ნადირმა ქართლიდან სეფი-ხანი გაიწვია ქართველთა ახალი ნაკადით და 1737 წელს წარემართა იგი ყანდაპარისკენ, თავისი ირანელებით და „თავისი ქართველებით“.

ქართველებმა შეშუსრეს ყანდაპარის კარიბჭენი და ქალაქში („ნაცნობ ქალაქში“) შეიჭრნენ, ყიზილბაშებიც მიჰყენენ უმოწყალო სიკვდილს თესვით.

შაჰმა ყანდაპარის აღების შემდეგ ქართველი წარჩინებულნი დიდი ძლენითა და მადლობით გამოისტუმრა საქართველოსკენ. მხოლოდ თეიმურაზ მეფე დაიტოვა თავისთან, შეუვალი მოთხოვნით: საქართველოში მხოლოდ მაშინ გაგიშვებ, თუ ჩემთან შენს შვილებს, ქეთევანსა და ერეკლეს გამომიწვევო.

— რისთვის მთხოვ შვილებსო, — შიშრეულად იკითხა თეიმურაზმა.

— შენი ასული რძლად მინდა, ჩემი ძმისწულის, ალი-ყული-ხანის მეუღლედ, ხოლო ერეკლე ინდოეთს სალაშქროდ უნდ ვიახლოთ, ბრძანა შაჰმა.

ესეც „ჩვეულებრივი ისტორია“ იყო და გაემგზავრნენ ქეთევან და ერეკლე სპარსეთს. „დიდი სიყვარულით“ მიიღო ისინი შაჰ ნადირმა. ქეთევანი მართლაც მაშინვე შერთო ალი-ყული ხანს. ქორწილი რომ განესრულა, შაჰ ნადირი ერეკლეს მიადგა და მოსთხოვა: ახლავე ქრისტიანობა განაგდე და მაჰმადიანობა მიიღეო. მაგრამ პატარა კახმაც მაშინვე შეაგება სიტყვაშეუქცევად: „ჩემი მოკვლა შესაძლებელ არს, მაგრამ ჩემი სულის შეცვლა და შერყვნა არს ძალით არ მოხერხდება; ამიტომ ტყუილად ნუ შეეცდები ჩემს გამაჰმადიანებასო“.

შაჰი აღარ ნააცივდა. მიხვდა, ერეკლე რჯულის გამოცვლის სიკვდილს არჩევდა. შაჰს კი ცოცხალი ერეკლე სჭირებოდა...



თეიმურაზი საქართველოში დაბრუნდა.

ერეკლე შამ ნადირმა ინდოეთის ლაშქრობაში მალე ქაბუჯი ქართველი ბატონიშვილის დიდი ზეცხვერისა და წინდახედულების ამბავი მოვიდა ინდოეთიდან...

...სანამ ერეკლე ბატონიშვილი ნადირ შამის სამსახურში იდგა, მანამ ქართლის მიწაზე დიდი ცოდვა-ბრალის კალი ტრიალებდა. ყიზილბაშები ადვილად ასერხებდნენ ქართველ თავადთა შორის მტრობის ჩამოგდებას, შინა-ქართულ სისხლთა თხევასა და შინადაქცევას. ყველაზე ძლიერნი — ქსნის ერისთავი შანშე და ზემო ქართლის მფლობელი გივი ამილახორი ერთიმეორეს დანასისხლად გადააკიდებოდნენ და მათ მძიმე ეროვნული ხმლები ზოგჯერ შინაურს უფრო მწარედ ხედებოდა, ვიდრე გარედან მომხვედურ მტერს.

ქართველის დამარცხება რომ ყველაზე კარგად და „ილა-თიანად“ ისევ ქართველს შეუძლია, — ეს „სიბრძნე“ ნადირ შამსაც კარგად სცოდნია და, შანშე ერისთავის განადგურება და შეპყრობა მან სწორედ გივი ამილახორს „შეაწერა“ (გივი ამილახორი სიმამრიც იყო ნადირ შამისა. მანამდეც ნადირს ცოლად შეერთო დავით კახთა მეფის ასული, თეიმურაზ მეფის ძმისწული).

გივი ამილახორის ქარს, ყიზილბაშ სპარსელთა გარდა, შამის ბრძანებით შეუერთდნენ საქართველოსათვის აქამდე საკლებით უცხო მეომარნი, „ინდოელნი, ლაურელნი, ფაშაურელნი, ოთხი სულთანი ექვსის ათასის კაციითა... და ქარი ავლანთა“.

ამილახორმა სამად გაპყო ლაშქარი. ერთს ბეგან არა გვის ერისთავი უჩინა სარდლად და ლომისზე გაგზავნა, მეორე — სულ ყიზილბაშნი, ინდოელნი და ავღანელები, იმამ-ყული-ხანის მოთავევობით ლიხების ხეობას შეუპო, ხოლო თვითონ იგი, სამამილახეოს ქარით, პირდაპირ ქსნისკენ დაიძრა. ასე, სამის მხრიდან „უყვეს თარეში, ააოხრეს ქსანი, დაწვეს, დაატყვევეს და ამოწყვიტეს ურიცხვო დაქცივის ციხეები ან საცა კოშკი იყო, არსად გაუშვეს შენობა“. აწერის ცხეში გამაგრდა ყველგან ფეხამოკვეთილი შანშე ერისთავი ოქახით, სახლეულით, მსახურეულით, ძმითა და რძლით. აწერის ციხესაც მიუსია ყოველის მხრიდან „მრავალ-თესლოვანი ქარები“ გივი ამილახორმა. ერთი კვირა გაგრძელდა აღუა



და იერიში. გამარჯვება გელარ იქვე შმარიტა შანშე ერისთავმა და ერთ წვიმიან-ჯანლიან დამეს, ძმასთან, იესესთან „გაიპარა ციხიდან“. დილით მოალყეებმა აიღეს და უპატრონოდ დაგდებული აწერი. ტყვედ აიყვანეს ორივე მისი — შანშეს და იესეს ცოლ-შვილნი.

ნადირ შაჰი დაღესტნის დასაპყრობად გამგზავრებულიყო დიდძალი მხედრობით, დერბენდს მისულიყო და იქვე შეეტყო ქსნის აჯანყების ჩახშობის ამბავი. ესეც მოახსენეს, შანშე და იესე ახალციხეს გაქცეულან იქაურ ფაშასთან თავშესაფარად. მაშინვე სასტიკი მუქარა აფრინა ნადირმა ახალციხის ფაშასთან და თავშეფარებულთა გაცემა მოითხოვა. ფაშა დაფრთხა და დადებდა. შანშეს და იესეს ბორკილები გაუყარა და ნადირს გამოუგზავნა.

ტყვეები რომ წარუდგინეს, ნადირ შაჰი იქვე, მის სამსახურად მდგარ ქართველ თავადებს მიუბრუნდა და შესძახა: თუ თქვენს შორის ერთიც აღმოჩნდება, რომელიც შუამდგომლობას და თავდებობას იკისრებს, მე შევუნდობ და თავისუფლებასაც დაეუბრუნებ შანშე ერისთავსო.

არც ერთმა ქართველმა არ იკისრა ქართველისთვის შუამდგომლობა და თავდებობა. მაშინ ბრძანა შაჰ ნადირმა, შანშე და იესე ერისთავნი ასე ბორკილდადებულნი ზორასანს წაიყვანეთ და იქ დაპყარეთ სიკვდილამდე საცხოვრებლადო.

...ნადირ შაჰმა უმძიმესად და უსასტიკესად დახარკა საქართველო. ჯერ მუშეიზი (აღმწერელი) გამოგზავნა, ქვეყანა ყოველი სულიერი და უსულო საგნით, ყოველი უძრავ-მორჩავით, ყოველი ვარგისით და უვარგისით ააწერინა, ააზომვინა, ააწონინა, აათვლევიანა და ისე დახარკა.

ხარკი დაადეს ყოველ სოფელს და ნასოფლარს, ყოველ შენობას და ნაშენობარს, ყოველ წისქვილს — დოლაბსაც და ბუჭულასაც. დაბეგრეს ყოველი ცხოველი: ცხენი — ულაყიც და ქაყიც, რქოსანი — მეწველიც და უწველიც, კამეჩი — ზაქიანიც და უზაქოც, ღორი — გოჭიანიც და უგოჭოც, ვირი — მუტრუკიანი და უმუტრუკო, ცხვარი — კრავიანი და უკრავო, თხა — თიყნიანი და უთიყნო. მიწა საბელით ზომეს და ერთი გოჯიც არ დაჩენიათ დაუხარკავი. ვაზები თვალეს და ყოველ ძირ ვაზს გადასახადად დაადეს თითო ბისტი. ხეხილიც თვალეს და ყოველ ძირ ხეს გადასახდელად დაადეს



თითო შურტი, ადამიანებსაც დაადეს გადასახადი, ასაკით მკ-
ბედვით: სრულსაკოვან კაცს ორი მინალთუნე ^{კერძო ქაღალდი}
(ერთი მანეთი), „ხარჯი დასწერეს ყმაწვილზეც“ (ათ წლამ-
დე). უმძიმეს თურქულ გადასახადებსაც გადააქარბა სისას-
ტოკით ნადირ შაჰის ახალმა საგადასახადო განწყობებამ.

გამწარებულმა ქართველმა გლეხმა ქაერი საქუთიარ, ღვიძლ
ნაქირნახულევ მეთურნობაზე „იყარა“: „ამა ამბავთა შინა მრავალი
სული აიყარა, ბევრი ადგილი უშეტესად აოხრდა, მრავალი
კაცი გენახებდა და ბაღებსა თავისის ხელით კაფიდის და
აოხრებდის“.

ერთ თვეში სამი ათასი კოდი პურისა და ქერის მარც-
ვალი გაიტანეს ყიზილბაშებმა ქართლიდან. მეორედ სამი
ათასი შიშმედ დატეხილული ხარ-ურგში გაიყვანეს. მესამედ
ორთი ათასი ხარი, ყოველ ურგმზე ორი ხარვალი (ოთხასა
ლიტრა) ხორბლით. ხორბალს რომ თავი დაეანებოთ, არც
ერთხელ აღარც ხარი დაბრუნებულა უკან და აღარც ურგში,
და „აღარ დარჩა ქართლში ხარი“.

ნადირ შაჰი არ ცხრებოდა. 1742 წელს კიდევ მოსთხოვა
ქართლს ხორბალი, ამჯერად სამი მილიონი ლიტრა! ეს კი-
დეე ვითომც სხვათა შორის, — უარესი კი ის იყო, რომ ნა-
დირმა ქართულ მიწაზე მუდმივი გადასახადი, მალუჯათი გა-
აწერა. სამხედრო სამსახურიც ხომ ცალკე ხარკად აწეა ქარ-
თველობას და გადიოდა „ნოქარის“ სახელით ქართული ქა-
რი ყიზილბაშთა სამსახურში, გადიოდა ორმაგი ხარჯით —
ხარჯით თავისთვის და ხარჯით ყიზილბაშთა ჯარისთვის.

და ბოლოს, ტფილისში ახალი ბრძანება მოვიდა მსოფ-
ლო მბრძანებლისა: ქართლმა ირანისთვის სასწრაფოდ უნ-
და „გამოიღოს“ სამასი ახალგაზრდა ქვრივი ქალი, სამასი გო-
გო-ქალწული, სამასი ვაგი-ყმაწვილი, ხუთასი კომლი კაცი და
ოცი ათასი ხარვარი პურის..

და ქართველებსაც ხომ ხასიათად მოსდგამდათ: სწორედ
„მეტსმეტ დაწოლას“ მიამაზეციერსაც აღარ მოუთმენდნენ და
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მიეცემოდნენ თავდავიწყე-
ბით.

და ქართლში აჟანყებამ იფეთქა.

მეთაური აჟანყებისა — გივი ამილახორი.



ისევ დადგა უმძიმესი ხმალიაყვეთება და სისხლიანი
 ქაბალის მიწაზე, სამკვდრო-სასოცხოლო რეინდუტოფუნული
 ლეხსა და მუდამ რიცხვმრავალ გადათოვლთა შობის ფინქმმმპპ
 ვე. — კეშმარტ ქართველებსა და „გაუცხოებულ“ ქარავე-
 ლებს შორის.

უავე სამი წელიწადი იღვრებოდა სისხლი ამოდ. ზედ-
 ზედ ეწირებოდა ნადირ შაჰისგან წარმოგზავნილი ახალ-ახალი
 ჯარები ქართულ ხმლებთან კიდილს.

მაშინ ისევ მიმართა ცბიერმა შაჰმა მრავალგზის ნაცადსა
 და უტყუარ ხერხს — ქართველების დამარცხებას ქართველთა
 ხელით თეიმურაზ მეორეს, კახთა მეფეს, შემოუთვალა ნა-
 დარმა: არაგვისა და ქსნის საერისთავოები მოლაღატე გივი
 ამილახორისათვის წამირთმევიო და შენთვის მიბოძებია, მიდა
 და შეიყვანე შენი ჯარებიო.

საქართველოს მოსისხარნი თითქმის ყოველთვის იღკა-
 ლდ ახერხებდნენ ქართველთა წაყიდებას. ეს ყოველმა გა-
 დამთიელმა კარგად ისწავლა და, ახლაც, ნადირ შაჰსაც და-
 დებულად გამოუვიდა: თეიმურაზი კახთა ჯარით დაიძრა და
 ზედიზედ ჯერ არაგვის, მას უკან ქსნის საერისთავოები თა-
 ვისთვის დაიჭირა.

არაგვისა და ქსნის ხეობათა დაკარგვამ ძალზე დააეწროთა
 და დაასუსტა გივი ამილახორისა და მისი თანამებრძოლების
 სმოქმედო არეალი.

და ერთბაშად, 1744 წლის იანვარს, სამამულო აჯანყებ-
 ბელადმა დასახმარებლად მოუხმო თურქეთს. ასე — გივი ამი-
 ლახორის მაღალ შუბლზე სამამულიშვილო გვირგვინი უცუა
 ჩამოქცნა და ჩამოიშალა. მას ამიერიდან დაერქმეოდა „რენე-
 გტი“, ანუ „ოსმალეთის აგენტი“.

მოვიდნენ თურქნი და შეუერთდნენ გივი ამილახორის
 ჯარს.

აჩაბეთის ციხესთან ერეკლე კახთა ბატონიშვილი დაუბ-
 ვდა თურქთა, ლეკთა და ქართველთა ერთიან ჯარს. დაუცე-
 და, დაამარცხა და უკუაქცია. ცხინვალს შეეფარნენ დამარ-
 ცებულნი.

მეორედ სურამთან შეხვდნენ ერთმანეთს გივი ამილახორა
 და ერეკლე თეიმურაზის ძე. ისევ ძლიერად იომა 23 წლის

ბატონიშვილმა, ისევ დამარცხდა გივი და შეიკვდა ციხეში.

თურქები დაფრთხნენ, ცხინვალიდან აიყარეს მის ხეობა გაიარეს და ახალციხეს დაბრუნდნენ, დამარცხებულნი და „სირცხვილეულნი“.

დიდი ხანი აღარ გასულა და თეიმურაზ კახთა მეფემ ახალი ტყუამი მიიღო ნადირ შაჰისგან: ამიერიდან კახეთის მეფეს, კახეთთან ერთად, საბატონოდ ეძლევა ქართლი. გარდა ამისა, ვითარცა ქართლის ნაწილნი, თეიმურაზს დაემორჩილებიან ყაზახი და ბორჩალუ. „შენი უნებური არა იქნას რაო, როგორც შენ მამსახურებ მაგ ქვეყნებს, ყოველივე შენს სიტყვას ვყერ-ვარო“, — უთვლიდა უენი თეიმურაზს. დანარჩენებსაც — ქართლში წარმოგზავნილ ყოველ „ხანსაც“ და ადგილობრივ ქართველ თავადსაც საგანგებოდ უბრძანებდა შაჰ ნადირი: „მეფეს თეიმურაზს შეეყარენით და რაც თქვენი საქმე იყოს, ეგ მომხსენებდესო და ყველანი მაგის სიტყვის მორჩილნი იყავითო“.

ასე — აღმოსავლეთი საქართველო „გაერთიანებულად“ ცხადდებოდა. ეს სწორედ დიდი გამარჯვება იყო. გამარჯვება თეიმურაზისა. გამარჯვება ერეკლე ბატონიშვილისა. გამარჯვება „ქართულობისა“.

ხოლო გივი ამილახორი თითქოს აღარც არსებულებოდა ამ ქვეყანაზე. თეითონ ამილახორის „კუთვნილი სამამილახოროდან“ სამი ათასი ოჯახი „უბედური ქართლიდან“ „ბედნიერ კახეთში“ გაქცეულიყო. და ეს სავსებით ბუნებრივი, სავსებით „ქართული“ იყო, ვინათგან გივი ამილახორის აჯანყება უკვე აღარ იყო სამამულიშვილო აჯანყება. ქართველია აჯანყების ბელადმა ქართულ დროშაზე თურქული ნამგალა მთვარე „გამოურია“ და ქართველებიც გაურბოდნენ „ამნაირ ქართვალს“. უკვე ეს ლექსიც დაჰქროდა ხალხში:

შენ, ვივო ამილახორო,
გუნება თაღლითიანო,
ხან აქეთა ხარ, ხან იქით,
საითაც ქაონი ჰქრიათო!

მავრამ მაინც არ ელევოდა ბრძოლას გივი ამილახორი. ისევ შემოჰყავდა ქართლში თურქები და ლეკები და გააფთრებით



ებროდა ყიზილბაშებსაც და ქართველებსაც. თედოშინდის-
თან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა კიდევ თეიმურაზ მეფე
გვი ამილახორმა.

გვი ამილახორის ბანაკში პირველ გმირად ითვლებოდა
ლეკთა ბელადი მალაჩი. აუცილებელი გახდა ქართული
მიწა-წყლის ამ სასტიკი მოხარის მოსპობა და ერეკლე ბა-
ტონიშვილი ხუთასი მეომრით დაუხვდა არაგვზე, საგურა-
მოს გასწვრივ, ორი ათასი ლეკითა და ორი ათასი ოსმალის
თანხლებით მომავალ მალაჩის. დაუხვდა და შეება გააფთრე-
რებით. ჭერ მალაჩის თანაშემწე ოსმალს სარდალი ჩამოაგდო
უსულოდ ცხენიდან, მერე თვითონ მალაჩისაც მიუხდა და
ხმლის უსწრაფესი მოქნევით მოჰკვეთა თავი „გმირსა უძლე-
ველს“. გატრიალდნენ და გაიქცნენ უთავოდ დარჩენილი ლეკ-
ოსმალონი. გამოედევნენ ქართველები, „მრავალი მოსწყვი-
ტეს და მრავალი დაიჭირეს“, „რისხვა ღეთისა დასცეს“...

დიდად გაიხარა ნადირ შაჰმა ერეკლეს გმირობისა და
ლეკ-ოსმალების გაწყვეტის ამბით და მაშინვე „თავის გაზრ-
დილს“ გამოუგზავნა „ცხენი აღკაზმულობითა და ხრმალი
მძიმედ მოჰედლი“.

და მაშინ მოხდა ყველაზე მთავარი, საგანგებოდ მისანიშ-
ნებელი: ნადირ შაჰმა ბრძანა, ამიერიდან ქართლის მეფედ და-
ნიშნულია თეიმურაზ მეორე, ხოლო კახეთის მეფედ — ერეკ-
ლე თეიმურაზის ძე!

საოცარი და სახსოვარი ისაა, რომ „ორივე საქართველოს“
ორივე მეფე არის ქრისტიანი და არც ერთი მათგანისთვის
ირანის მბრძანებელს არ მოუთხოვია განტეგება ქრისტიანობი-
სა, ანუ „ქართველობისა“ და მიღება მაჰმადიანობისა, ანუ
„თათრობისა“. ქვეყანი ხელმწიფე ბრძანდებოდა ნადირ ყაე-
ნი: ისტორიასაც კარგად იცნობდა საერთოდ და საქართველოს
ისტორიას გამორჩეულად — რა არ სცადეს და როგორ არ
სცადეს მისმა წინაპრებმა, ირანის დიდმა თუ მცირე ხელმწი-
ფეებმა, მაგრამ საქართველოს გაათათრება ვერ იქნა და ვერ
შოახირხეს. საკითხი ასედაც იდგა: საქართველო ან უნდა გა-
ეთათრებინათ, ან უნდა მოეკლათ მაგრამ ერთიც და მეორეც
შეუძლებელი გამოდგა. ქართველ ხალხს არ აღმოაჩნდა „უნა-
რი“ არც გადაგვარებისა და არც სიკვდილისა. არამედ მისი

„მარადიული უნარი“ ყოფილა „მარადიული ქართველი“ და „მარადიული უკეცებისა“. მხოლოდ ერთ რამეს ასტრუქტურულად დნენ ასე თუ ისე, საქართველოს გადაგვარებისთვის მოწინდინენი: „მბრძანებლობას საქართველოზე“ უამ-მეულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად... მაგრამ ესეც იყო მარად ნიშანდობლივი: რამდენიც არ უნდა „იმბრძანებლო“, იგი მაინც არის „თავისთვის საქართველო“, თავისი მარადიული ფერუცვლელობით. ამდენად ამათი „მბრძანებლობა საქართველოზე“ არის ყოველთვის პირობითი, უფესეო, უნიადგო და წარმავალი. ესეც საცნაური გახდა ბოლოს და ბოლოს, ქართველობას კიდევ უარესად აღიზიანებს თათარი და გათათრებულა მბრძანებლის დანიშვნა. ქრისტიანი თეიმურაზი და ერეკლე უფრო „ამწვიდებდნენ“ ქართულ მიწა-წყალს, ვიდრე ეს უამრავი მუსლიმი და გამუსლიმებული „ხანი“ და „ბეგი... ქართველთა თვალში გარეგნულ სახესაც დიდი ფასი ჰქონია: ოღონდ ერქვას ქრისტიანი, ოღონდ ერქვას ქართველი. მოკედება შიშლით, დახრჩვება წყურვილით, ჩაირღვნება წყალში, ჩაიწვება ცეცხლში — ოღონდ ცოცხალის თავით არ დაგანებებს ქართულ სინდისს, ქართულ ენას, ქართულ სუფრას. ქართულ სიმღერას, ქართულ ტარისს...

და ასე გადაწყვიტა ირანის დიდმა ხელმწიფემ: დაე, იყვნენ ქართლისა და კახეთის მეფენი რჯულშეუცვლელი და სინდისშეუცვლელი ქვეშევრდომნი. ასე სჯობია, საქართველოში „უბილბაშობა“ „ქართველობით“ შეიცვალოსო „ზემოდან“, ვიდრე ამას ქართველები მოახდენენ „ქვემოდან“ (როგორც მოუხდენიათ მრავალგზის)...

ძამ, დგას 1744 წლის ივლისი და ქართული სამეფო სათავეში დგანან „რჯულშეუცვლელი“ ქრისტიანი მეფენი. 130-ე წელიწადი გასულა 1614 წლიდან, როცა მეფე ლუარსაბ მეორე, ვითარცა უკანასკნელი ქრისტიანი მეფე, შამ აბასმა წაართვა საქართველოს. მას შემდგომ „გათათრებული ქართველები“ განაგებდნენ აღმოსავლეთ „საქართველოებს“. და ახლა 1744 წელს, ისევ ქრისტიანი ქართველი მეფენი — ქართლის მეფე თეიმურაზ მეორე, კახეთის მეფე ერეკლე მეორე...

...გივი ამილახორი კი ისევ სურამის ციხეში იყო ჩაკეტილი და ჩარახული. შამ ნადირი კი თეიმურაზს ავალებდა: გი-

გი ამილახორისა გაარიგე, ან შემომარიგე, ამ მოთხარე და მომასვენეო.

გარს შემოადგა ალყად თეიმურაზი სურამის ციხესიველი თველთა და ყიზილბაშთა ჩართ. ალყა გაჭიანურდა. თეიმურაზი უსიხლოდაც ცდილობდა საქმის გათავებას. კადევაც შეხვდა პირადად გივისს, შაჰთან თავდებობას და პატივებს პირდებოდა, მაგრამ გივი ისევ არავის ენდობოდა და ბრძოლას განაგრძობდა. ბოლოს, უკიდურეს ეაშს, გივი ამილახორისა შემოთვალა მხოლოდ დედოფალს ვენდობი და იმას ჩაეზარდებო. თეიმურაზისა ტფილისიდან იხმო მეფულე-დედა-ფალი. მაშინვე „წაბძანდა დედოფალი თამარ და მიბრძანდა სურამს“. გამოვიდა გივი ამილახორი და ფიცის ქვეშ ჩაბარდა დედოფალს. ციხის კლიტეებიც მაშინვე ჩააბარა თეიმურაზს.

გივი ამილახორის აყანყება გათავდა. შაჰ ნადირი ზეიმობდა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა და ბოლომდე ვერ ენდო გივი ამილახორის დატოვებას საქართველოში. ვერ შეუტრიგდა და ორი ხანი გამოგზავნა საქართველოში თეიმურაზთან ბრძანებით: გივი ამილახორი შეიბყარით და სპარსეთს გამომგზავნეთო. უსასღეროდ შეწუხდნენ მეფე-დედოფალი. ცალკე გივი ამილახორი ენანებოდათ, ცალკე ნაფიცარი სიტყვის გაცუდებისა რცხვენოდათ. მაშინ დედოფალმა თამარმა გამოაცხადა: გივი ამილახორს მე თვითონ ვაყვეები სპარსეთს და პირადად გამოეთხოვ ყაენს მის შეწყალებასო. მაგრამ თვითონ გივი დადგა უარზე — არასგზით არ დავუშვებ დედოფალი შეახლოს ეგზომ გრძელსა და მძიმე ვზაზეო, და თვისიც ვაიტანა ამაყმა თავადმა: თუ გადარჩენია, ჩემი სამშობლოს სიყვარული გადამარჩენს, თუ არა და, სიკედლისგან მაინც ვერაეინ ვერ დამიხსნისო.

და წაიყვანეს სპარსელებმა გივი ამილახორი სპარსეთს. თეიმურაზისა მაინც „თავისი კაცები“ გააყოლა წერილით, რომ მელშიც ისევ გივი ამილახორის პატივებისა და შეწყალების თხოვნა ეწერა ყაენის წინაშე...

...სიციხით მუცელგაფატრული მძვინვარე მზე მდულარეს ასხამს სპარსულ „შაჰრას“.

საქართველოდან სპარსეთისკენ მიემართება მცირე რაჰმა აღამიანებისა. წინ უნაგარზე ჩაკრული, მსარგაკრული ახო-



ვანი კაცი მოუძღვით. ეს გივი ამილახორია. სპარსეთის მიმ/ყავთ — ან მოჰკლავენ, ან თვალებს დაწვევენ. **ერისთავი** სპარსეთიდან საქართველოსკენ მოემართება **მეზღაპრთა** რაზმი ადამიანებისა. წინ, ცხენზე მომლოლად მკდარი, უსაზღვროდ კაცი მოუძღვით. ეს შანშე ქსნის ერისთავია. იგი სიყვდილს გადაურჩა. მარტო თვალების დათხრა აკმარეს...

ერთმანეთს შეხედა ორი გუნდი, ორი დაუძინებელი მოსისხლის მოთავეთბით.

გივიმ იხილა და იცნო შანშე, იხილა, ვინათგან ჭერ არ დაეხარათ მისთვის თვალეები.

შანშემ კი ვერ იხილა გივი, ვერ იხილა, ვინათგან კარგახნის დათხრილი ჰქონდა თვალეები.

საქართველოდან მიმავალთ არ გაჰკვირვებიათ შანშე ერისთავის გამოჩენა. ყველამ იცოდა, მეფე-დედოფლის შუამდგომლობით უნდა გამოეშვა ნადირ შაჰს ზორასნის ტყვეობიდან დაბრმავებული ძმები — შანშე და იესე ერისთავები. ძმა გზაზე მოჰკედომოდა შანშეს. მოდიოდა, კუბოში ჩასვენებული ძმისა და მისი უბედურების თანაზიარი ახლობლების თანხლებით.

გივი ამილახორი იდგა და გაქვავებული მიშტერებოდა გაუბედურებულ მეტოქეს.

გაუბედურებულსო?! თუ ზედნიერს?... დიახ, ზედნიერს, ზედნიერს...

ვინ არიანო? იყოთხა ბრმამ.

გივი ამილახორი მიჰყავთ შეპყრობილი სპარსეთისაკენ, — უპასუხეს ბრმას.

გივი ამილახორიო? მაშ, მოჰკითხა ზენაარმა გივი ამილახორს შანშე ერისთავის სისხლისა და გაუბედურებისათვის?!

გივისთან მიმიყვანეთო, უბრძანა მზღებლებს შანშემ. მიიყვანეს.

- „გამარჯობა, ამილახორო!“
- „გამარჯობა, ერისთავო!“
- „ხელი მომეცი, ამილახორო!“
- „ხელს ვერ მოგცემ, ერისთავო.“
- „რაღა, ამილახორო?“
- „ხელები გაკრული მაქვს, ერისთავო.“



„მამინ მე, ბრმა, თვითონ მოვნახავ შენს ხელეპს,
ხოროს!“

„მადლობელი ვარ, ერისთავო!“

„შენ სტირი, ამილახორო?“

„საიდან მიხვდი, ერისთავო?“

„ჩემს ხელეპზე ცვივიან შენი ცრემლები, ამილახორო“.

„შენი ცრემლებიც ცვივიან ჩემს ხელეპზე, ერისთავო“.

„შენ რისთვის სტირი, ამილახორო?“

„შენი უბედურების გამო, ერისთავო“.

„მე კი შენი უბედურების გამო ვტირი, ამილახორო“.

„ჰო, შენ ჩემზე ბედნიერი ხარ, ვინათგან მაინც საქართ-
ველოსკენ მივშურები, ერისთავო“.

„ჰო, მე სწორედ ბედნიერი ვარ, თუმცაღა ვეღარ ვიხილავ,
მაგრამ შევიგრძნობ საქართველოს და მის მიწად გადავიქცე-
ვი, ამილახორო“.

„ხოლო, მე... რა მელის იქ, ერისთავო?“

„რა მოგახსენო, ამილახორო“.

„მაინც მითხარი, ერისთავო!“

„გახსოვს ანდაზა, ამილახორო?“

„რომელს გულისხმობ, ერისთავო?“

„წასული ბევრი მინახავს, დაბრუნებული აღარავეინ, ამი-
ლახორო“.

„იქნებ ღმერთმა დამაბრუნოს, ერისთავო!“

„ღმერთმა ინებოს, ჩემებრ ცოცხალი მოგაბრუნოს საქარ-
თველოში, ამილახოროს!“

„მარტო ცოცხალი, ერისთავო?“

„მამ, კიდევ რაღა, ამილახორო?“

„იქნებ თვალეპიც დამინარჩუნოს მაღალმა ღმერთმა, ერი-
სთავო!“

„ამინ, ინებოს მაღალმა ღმერთმა, ამილახოროს!“

დიდბანს ტიროდნენ.

ტიროდნენ ერთამეორის გაუცუღმართებულ წუთისოფი-
ზე.

ტიროდნენ მათი სამშობლოს გაუცუღმართებულ ეამსაბ-
რუნაეზე.

წრფელი სინანულის ცრემლებმა შეარიგა აქამდე დანა-
სისხლად გადამტერებული ორი ქართველი.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ და დაშორდნენ.
ბედნიერი უსიხათლო საქართველოსკენ მოსწრაფებულნი
უბედური თვალხილული ისტაქანისკენ შეხედნენ.
ისტაქანს მივიდნენ.

კერ თეიმურაზის წერილი გადასცეს ნადირ შაჰს. მერე,
გივიც მიიღო შაჰმა. ისევ მოხიბლა დიდი ხელმწიფე ქართვე-
ლი თავადის სიღარბიანლემ, სიტყვა-პაღუნმა, კეთილშობილურ-
მა მიმოსრამ და ნაქცეურობამ. სიკედილით დასჯახე აღარ
უფიქრია ნადირს, აღარც თვალების დათხრახე. მხოლოდ სო-
რასანს გადასახლება მიუსაჯა. თეიმურაზს კი ასეთი რაყამა
განოუგზავნა ყვენმა: „ჩემი დოვლათის მონაბეგრე შენა ხარ
და ყოველვამ ჩემის უხვის მოწყალების მოიმედე იყავ. ამი-
ღაბორის სისხლი შენთვის მიპატობია და ცოტა ხნის უკან
იყვე შენთანვე გამოვისტუმრებო“...

ს ა შ ბ შ ნ ი ს შ შ ა ბ უ ლ ს

1747 წლ-ს 9 მაისს შეთქმულებმა მოკლეს ნადირ შაჰ
ავშარი, დიდი ხელმწიფე, მსოფლიოს დამპყრობელი და მსოფ-
ლიოს სისხლმაქცევაო.

ირანს მოქვედომოდა „მეორე ლომი“, გინა „მეორე შაჰ
აბასი“ — ვაკიშვილი, რომელმაც ცხოვრება დაიწყო მეფოგე-
ობით და დაამთავრა მსოფლიოა მბრძანებლობით.

შაჰის გვირგვინი თავზე დაიდგა ნადირის ძმისწულმა და
თეიმურაზ მეორის სიძემ ადილ შაჰმა.

მაგრამ ირანში ანარქია მაინც გრძელდებოდა. ბევრი მამა-
ებელი გამოუჩნდა შაჰის ტახტსა და გვირგვინს. თვითონ ადილ
შაჰმა იმით დაიწყო, რომ მოკლული ბიძის, ნადირის თორმეტ
ძეს ყველას ყელი გამოსჭრა და ამით მოსალოდნელი მოკ-
ლენი სამუდამოდ ჩამოიცილა. მაგრამ „მამიებლობა“ მაინც
გრძელდებოდა. ყოველი ცალკე კუთხის „ბანი“, „ბეგი“ თუ
„ბაში“ ცალკე „შაჰად“ და „ყაენად“ იქაჩებოდა. სახსრებდი-
შლილი ქვეყანა ავსებულყო მძარცველებით, ავასაკებით,
გვლელებით, შარლატანებით, დერვიშებით, სოდომიტებით.

ძალიან სჭირდებოდა ქართველები ადილ შაჰს. გივი ამი-
ღაბორი გაიხსენა, შაჰ ნადირისგან ხორასანს გადასახლება-




ლი. იმ არეულობის ეპოს გივი ამილახორს ათასამდე ქართ-
ველი მოეკრიბა თავის გარშემო. მოკვდარეს გივი ამილახორი
და მისი ქართველები ყაენს. ადილმა მაშინვე ყულბის (გვარდიის)
(გვარდიის) მეწინავე ძალად აიყვანა ქართველობა, ხადირ თე-
თონ გივი ამილახორი ყულბარადსად, გვარდიის უფროსად
დანიშნა.

თეიმურაზ მეფე იმეამად სპარსეთისკენ მიმავალ გზაზე
იდგა. ხადირ შაჰს უნდა შეხვედროდა, ქართლზე გაწერილი
ახალი ხარკის გაუქმება უნდა ეთხოვა ხადირისთვის, მაგრამ
ჩავიდა და ხადირის ნაცულად ტახტზე თვისი სიძე დახვდა. და-
დად გაიხარა ადილ შაჰმა. გულში ჩაიკრა „ძვირფასი და სა-
ყვარელი სიმამრი“. იმ ქვეყანაში, სადაც შაჰანი და შეიღწა
ერთმანეთს ყელს სჭრიან და თვალებს სთხრიან, სიძე-სიმამ-
რობას ნაკლები ფასი უნდა ჰქონოდა, მაგრამ მთავარი ის
იყო, რომ ქართველი მეფე „ქართველად“ ქირდებოდა ირა-
ნის მოლიბულ ტახტზე მორყეულად მჭდარ ხელმწი-
ფეს.

თეიმურაზი ირანში ორი წელიწადი ჩარჩა. მის დაბრუნე-
ბამდე საქართველოში კიდევ ბევრი სისხლი დაიქცა, ბევრი
სიციოცხლე ჩაქრა, ბევრი ლეჩაქი ვაშაედა, ბევრი ხმალი დაი-
ლწა და დამიწდა. ქართლის ტახტისათვის ბრძოლა წამოიწ-
ყო აბდულაბეგმა, ყრმობითვე გათათრებულმა ქართ-
ველმა, ვახტანგ მეექვსის გათათრებული ძმის იესეს ძემ. ბრძო-
ლა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს და ბოლოს, ერეკლემ აბ-
დულა ბეგი სასტიკად დაამარცხა და ტახტის მამიებლობაზე
სამუდამოდ ხელი აღებინა.

ირანის ტახტის „მამიებლებს“ ესეც უფიქროთ: „ნამდ-
ვილ ყაენობას“ რომ დაეუფლო, ჯერ საქართველოს უნდა და-
ეუფლო, და მოდიოდნენ საქართველოს „დასაუფლებლად“
ირანის ხელმწიფობის მამიებელნი. ერთი პირველთაგანი აღ-
მოჩნდა ალი-ხანი, ადრე, ხადირ შაჰის დროს ქართლის
მმართველად ნამყოფი, და უეცრად შემოიჭრა ალი-ხანი დო-
დის ქართლ ქართულ მიწაზე. გატეხილი ხდის გადმოცელა მო-
ასწრო და ერეკლემ ქართული ჯარი დაახვედრა დიმიტრი
ორბელიანის სარდლობით. ბრძოლის სასწორი დასა-
წყისშივე დაიხელთავეს ქართველებმა „შიგ დაერივნეს, გა-
იქცა ყიზილბაშის ჯარი; მიყენენ ქართველნი ხმალ-და-ხმალ,



ლი სასულიერო და საერო მაღალკულტურული ტრადიციების აღდგენას, გაწმენდას, გამართვასა და აღზევებას. მათ კუთვნილია ეს სჯულნი ქრისტიანული და სიმართლით და ღვთისმსახურებით წეს-ქცეულებანი ქართლისანი“. აღმოფხვრეს და ამოძირკვეს სპარსულ-თურქულ უკუღმართ გამოთავან დანერგილი „ზნენი უზნეონი“, „გარყვნილებანი ხორციი და სულით, სისხლიერი აღრევანი ნათესავეთ შორის. აღადგენდნენ და განამტკიცებდნენ მაღალ ეროვნულ თვითშეგნებას ქართველთა შორის. ანტონ კათალიკოსმა, კეშმარიტმა ქართველმა ლეთერმა, ქართული ეკლესიიდან გააძევა უციცი უზნეო და ეროვნულ თვითშეგნებას მოკლებული მღვდელმთავარნი და რიგითი მოწესენი. საეკლესიო კრება მოიწვიეს ტფილისში ანტონსა და ერეკლემ და იქ განარჩივეს და აღმოფხვრეს ყოველივე უწესოდ ქცევანი და დაუდგეს მოცეკულთ და მღვდელთ მოძღვართ კანონით სჯული მტკიცე და შეურყეველი ქრისტიანობისა“.

მოძებნეს, „გამოიღეს“, აღადგინეს და გამართეს ვახტანგ მეექვსის სტამბა, რომელიც სავესებით დადუმებულყო და მიკარგულიყო მისი შემოკმედის გადაკარგვის შემდგომ. სტამბის ხელმძღვანელად დანიშნეს განათლებული მღვდელი კეცერაშვილი. ორ წელიწადში შვიდი ათას ოთხასი წიგნი დაბეჭდილიყო, სასულიერო და სახორციელო. „აღავსეს წიგნითა ქართლი“...

...1749 წელს თეიმურაზ მეფემ გამოეშვა შაჰს საქართველოში. ბევრი ძვირფასი საჩუქრებიც გამოეტანებია სიძეს სიმამრისთვის, მაგრამ ყველაზე ძვირფასი მაინც შაჰის ეს სიტყვები უნდა ყოფილიყო: „საქართველოსთან ერთად ყაზახ-ბორჩალებს მიბოძებია და ორივე ეგრე იმსახურე როგორც თვითონ საქართველოო“. წინასწარ იბრაჰიმ შაჰს ყაზახ-ბორჩალებს უფრენია ბრძანება — ეყმეთ და ემონეთ ქართველთა მეფესო. მართლაც, როგორც კი გამოჩნდა თეიმურაზი, „მიეგებნენ ყაზახისა და ბორჩალებს სულთნები თავისი ჭარებით“, დახედნენ ყმურად და მიართვეს მისართმევი“. მეფემ ყმანი იყმო, ქვეშევრდომნი იქვეშევრდომა და წამოვიდა საქართველოსკენ.

მოვიდა თეიმურაზი და შეუდგა მამა-შვილი ერთად „ქვეყნის შემატებასა და აშენებასა“. შეუდგნენ მტერთაგან და-



ხანკლული ჭრილობების მოწესმებას. ამენებდნენ და ტაყებდნენ ციხესიმაგრეებს, გამოარჩევით — სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეებში.

ხოლო, სპარსეთში, თეიმურაზის წამოსვლიდან ორი თვე თუ იქნებოდა გასული, რომ იბრაჰიმ შაჰს შაჰის ტახტგარდაცემისთვის დასტაყებია შაჰრობი, ნადირ შაჰის შეღწეული. დასტაყებია და კიდევაც ჩამოუგდია ტახტიდან, თავიც გაუგდებინებია და შაჰის სისხლიანი გვირგვინი თვითონ დაედგამს თავზე.

ერთობ გასტირებიათ ირანელ ქართველებს შინაშლილობით, უწყესრიგობით, შიმშილითა და სხვებით ხელდარტყულ ქვეყანაში. შეყრილან და წამოსულან საქართველოსკენ. წამდაუწუმ შეტაკებაში იარალი შემოემტერათ, ტანსაცმელი შემოაღწათ, სავმელი შემოეღიათ. ისეე გვი ამ ლახორი მოეკვლინათ მხსნელად და პატრონად, რომელიც მასანდარანს ბევლარბეგობდა და მდიდრულად ცხოვრობდა და შემოიყარა ყოველი ქართველი, ყველა დააპურა, მდიდრულად დასოხა; მდიდრულ საქურველში დაასილა და თვითონ წამოუძღვა საქართველოსკენ. მრავალჯერ გადაუდგნენ წინ ყიზილბაშთა, მაგრამ ყოველთვის „ასე ლომ-გულად და კის სარდლობით მოიჭტა“ გვი ამილახორი, რომ ქართველებმა, „საცა მტერი აღჩნდისთ, რისხვა ღუთისა-დასციან“. ასე გამოაღწიეს „მსოფლიო კრაზანას ზედიდან“ და ქართულ მიწაზე შემოდგეს ფეხი. ზეიმით შეხვდა საქართველო სისხლიერთა დაბრუნებას...

...მაგე 1749 წელს სომხეთში მაჰმად-ხანი შემოიჭრა ცეცხლით და რკინით. იგი ნადირ შაჰის მკვლელობას მეთაური იყო. მერე აღმა-დაღმა დათარეშობდა და თვითონაც უაენობას ეძიებდა თავგამოდებით. ახლა ერევანს მისდგომია სასტაკო რბევით. ერევნის ხანის ძმა დაეჭირა, ოჯახი გაეძარცვა და დაეჭტია. ერევნის გარე ქვეყანა დაეპყრო და ქალქსაც აწვებოდა შმაგი იერიშებით.

მოიჭრნენ მოციქულნი სომხეთიდან ქართველ მეფეთა შემოსახვეწრად: „ირანში მეპატრონე აღარ არის და ეს მაჰმად-ხანი ამ ქვეყანას აოხრებს, ოღონდ თქვენ მოგვეშველენით, ამას მოგვეარჩინეთ და თქვენვე გმსახურებთ“.

სასწრაფოდ აისხეს იარალი თეიმურაზმა და ერეკლემ და სწრაფი სვლით დაიძრნენ ერევნისაკენ. მისვლისთანავე შე-

მოეწია და აიძულა ბრძოლა მიეღო. ფანა-ხანი სხატკაჟ და
მარცხდა და არეზისკუხ გაიქცა. მიჰყვნენ ქართველები არე-
ზის ხეობა სრულიად დალაშქრეს. ყარაბაღი ქართველებს
ტონო და საყმო ფარგლებში მოაქციეს...

იდგა 1750 წელი. შუაგული საუკუნისა.

ქართველები მტკიცედ „პეგემონობდნენ“ ამიერკავკასია-
ში.

ქართლის სამფლობელოთა წრეწირში მოქცეულიყვნენ —
განჯა, ყარაბაღი, ყაზახი, ნახიჭევანი, ერევანი.

დაძლეული იყო ქართლ-კახეთში „ოსმალობა“. დაძლეუ-
ლი იყო „უიზილბაშობა“.

მაგრამ დასაძლევი იყო „ლეკიანობა“.

„ ბ ა რ დ ა მ ო ს ვ ლ ა უ ო ვ ე ლ ი ლ ე კ ი ს ა „

მადლის მადალსა მთაზედა
ქურდღლისა სისხლი მდგარაჲყო,
ჩამოჩვეულა არწივი,
უსვამს და ვერა მძღარიყო.
ერეკლე ბატონიშვილი
ნაურვალ ცხენზე მქდარიყო,
შამაფელია ხმელეთი,
მამინ-ღა ჩამომხდარიყო.

ხ ა ლ ხ ე რ ი

უსაშველოდ ძნელი იყო ლეკთან ბრძოლა, გაცილებით
ძნელი, ვიდრე თურქთან, გინა სპარსელთან, გინა არაბთან.
მონღოლის შემდგომ არავისთან ისე საძნელო არ იყო ბრძო-
ლა, როგორც ლეკთან.

ქართველთან პირისპირ შეხვედრაში ლეკს
ყოველთვის სიყვდილი ან მარცხიანი უქმქცევა ელოდა, მაგ-
რამ ლეკისთვის აუცილებელი არ იყო „პირისპირ შეხვედრა“,
იგი მოდიოდა ქურდულად, მიპარვით, ჩასაფრებით, ანაზღაი-
თი დაკემით და „მიხდომ-მოხდომით“.

მთავარი ის იყო, რომ ლეკისთვის ყოველივე ეს — ქურ-
დობა, ძარცვა, მიტაცება, ტყვევნა და ალაფალი — მიუტოლე-



ბელი სასიცოცხლო „სამეურნეო დარგი“ იყო, ძირითადი და მთავარი დარგი, უროპლისოდაც მას, უწინააღრესად ბერწი მიწის შვილს, არსებობაც არ შეეძლო. ლეკთა შრომითი სიძაბობით წყარო იყო ნაძარცვი, ნაჭურღალი, ნატაცბი. გამორჩევით კი — „მსოფლიო ბაზარზე“ ყველაზე დიდი და ფასეული „ლეკური საქონელი“ იყო ადამიანი, ტყვე, ხოლო „უმადლესი ლეკური საქონელი“ — ქართველი ტყვე. ამიტომ მოდიოდა ლეკი სათარეშოდ გასაოცარი თავგანწირულობით. სათარეშო უნაგირზე ამხედრებისთანავე სიკვდილთან წინასწარ შერეგებული.

ან სიკვდილი, ან მუდმივი თარეში! ასეთი იყო ტრაგიკული მოწოდება ლეკური არსებობისა. და სწორედ რომ ძნელი უნდა ყოფილიყო, უსაშველოდ ძნელი, ისეთ მტერთან ბრძოლა, რომელსაც ყოველდღიურ საარსებო-სამეურნეო ცხოვრების წესად სიკვდილთან წილნაყარი აბრაგობა გაეხადა.

ქართველი კაცის მთავარი საარსებო სამეურნეო დარგი კი მიწათმეურნეობა იყო, ხოლო ომი მის ცხოვრებაში — ი.უ.ღებით ნაყარნახევი „დარგი“ იყო.

ლეკს სამეურნეო იარაღად შქონდა თოფ-დამბანა, ხმალ-ხანჯალი (ზურგიდან დასაყრავად) და თოკი (ტყვის შესაყრავად), ქართველს კი თოხი, ბარი, გუთანნი და მისთანანი, ხილო საომარი საჭურველი მხოლოდ საომარი იყო და სხვა არაფერი, ის საომარი საჭურველი, რომლის მოპოვებას და მომარტვებას მხოლოდ კაცთმაწყინარი უბედურება არგუნებდა ქართველ კაცს მთელი მისი საისტორიო თავგადასავლის გასწვრივ.

მაშ. მოდიოდა ლეკი „მეომარი-მეურნე“ და ხედებოდა ქართველი „მიწათმოქმედი-მეურნე“.

მაგრამ იცოდა ლეკმა: მისი „საომარი მეურნეობა“ მასვე სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. თუ „სამიწათმოქმედო მეურნეობას“ თავმიცემული ქართველი კაცი გუთნის ხელიდან გაგდებდა და ხმლის მოხელთებას მოასწრებდა!

ღიან, „თუ მოასწრებდას“ იმედად მოდიოდა ლეკი „საომარ-სამეურნეოდ“.

და ესეც იცოდა ლეკმა: ათიდან შვიდჯერ მაინც მოასწრებდა ქართველი კაცი გუთნის გაგდებას და ხმლის მოხელთებას. მაშ, ათიდან შვიდ სიკვდილს ვერ აიცდენდა ლეკი. მაგ-

რამ მაინც მოდიოდა იგი. სიკვდილთან წილნაყარს, მოდიოდა ათიდან სამი იღბლის იმედად, მოდიოდა, ვისათვის სხვაგვარად არსებობა არც შეეძლო და აღარც უნდოდა. ან დაველოდოთ დაველოდოთ, ახლა სიკვდილი!

მაგრამ ქართველსაც ათიდან სამი ვერ-მოსწრება ძალიან ძვირი უჯდება, რადგან განუწყვეტლივ, ცისმარე და დღენიადავ მოდიოდა ლეკი — ან ნადავლისთვის, ან სიკვდილისთვის. ასე იყო, რადგან ლეკის „ბური არსობისა“ იყო „ქართული ლეკმა“. და აქედანვე მისი ბუნებრივი „საარსებო მოწოდებაც“: ან უნდა ვიპყრო ქართული ლეკმა, ან უნდა ვიქცეო ქართული ხმლის ლეკმად!

ქართველს კი ძალიან უჭირდა ათიდან ათივეჯერ მოესწრო ხმლის მოხელთება და მომარჯვება, რადგან მას ამას გარდა სხვაიც ხომ ყველაფერი უნდა მოესწრო: ყანაც, ვენახიც, ბაღიც, ბოსტანიც, შენებაც, წიგნიც, კალამიც, ძვრწვეც, ხატეც, რანდუც... და კიდევ, ამათ გარდა, „ხმლის მოსწრება“ სპარსულ-თურქული მოწოდებისა და შინათავადური სისხლთათხევების გამს...

მაშ, ყველაფერი უნდა მოესწრო ქართველ კაცს...

...და ისევ იდგა 1750 წელი, როცა ქვეყნის შინააღმშენებლობითა და შინაგანმტკიცებით გართულ თეიმურაზსა და ერეკლეს მოახსენეს „გარდამოსვლა ყოველი ლეკისა“ და ყოველი ლეკი ბელადისა, „რაც დაღესტანში ბელადი იყო“.

შეჰყარეს ჯარები მამამ და შვილმა. მალაროსთან დადგნენ ბანაკად. კახთა და ქართველთა „შეყრილობის“ ამბავი რომ შეიტყვეს, ლეკებმა „ველარ გაბედეს გარდამოსვლა და უკუდგნენ“. თეიმურაზმა და ერეკლემ ლაშქარი დაშალეს და ისევ შინაურ საქმეებში ჩაიძირნენ. მეორედ წამოემართნენ დაღესტნელნი და ქარელნი „გარდამოსვლად“ ქართლსა და კახეთს, ისევ ფრთხილად შემოიყარეს ლაშქარი მეფეებმა. ისევ უკუიქცა და „მოიშალა“ ჯარი „ყოველი ლეკისა“. მესამედ შეიყარნენ და წამოემართნენ ლეკნი იმ წელს. ქიზიყს შემოიჭრნენ. აფთრულად დაუხვდათ ქიზიყის მოურავი თამაზ ანდრონიკაშვილი ქიზიყელთა ლაშქრით. ერეკლეც მოიქრა გააღმასებით. თოდები შემოიხარჯეს და ხმლებს მიწვდნენ. მოპირდაპირნი, ხმლებს გაეჭყნენ ლეკები. მეორე დღეს ისევ შეიბნენ. იმ დღესაც სწორუბოვარნი იყვნენ ერეკლე და თამაზ



ანდრონიკაშვილი. ისევ აჩვენეს ზურგი ლეკბმა. ქარში დაშლივირდნენ დამარცხებულნი.

ქარიდან ყაზახს დასცემიან ლეკები, ქართველებს კი ტონო ქვეყანას. სასწრაფოდ ამხედრდნენ მეფენი. ყაზახიღან გამოსაწრეს ლეკებმა. ალაზნისა და იორის შესართავთან სოფ. დანლისთან გადაეყარნენ ერთმანეთს მოსიხტენი.

მაშ, დ ა ნ დ ი ს ი. 1750 წლის 28 ოქტომბერი.

ერეკლემ მამას სთხოვა, ალაზნის გამოღმით დაბრძანებულ იყო, ხოლო ბრძოლის მეთაურობა მისთვის მიენდო. თეიმურაზი ომის ეამს „ურჩი მამა“ არ იყო და დათანხმდა.

ბრძოლა სისხამზე დაიწყო, — ისეთი ფიცხელი, „რომ უფროსი ომი აღარ იქნებოდა“. გლეხის სადილობამდე წონასწორად იძვროდა ბრძოლის სასწორი. მას უკან ერეკლემ გამოჰგლიჯა ხელიდან ომის ღმერთს „სასწორი იგი“. ქართველებმა გასტეხეს ლეკთა სიმკვრივე და უკუაქციეს სასტიკი ჩეხვით. ხმელეთი შემოეღლიათ და ალაზანს მოსცეს თავი ლეკებმა. გაღმასებით გამოენთნენ ქართველნი. მისდევდნენ, სჩებდნენ და წყალში ახრჩობდნენ...

ომი დასრულდა. ქართველებს დიდი გამარჯვების კვერთხი აეღოთ.

ქართველებმა რომ ერთხელ კიდევ „ამისთანა გამარჯვება და ძალიანი ხმალი“ აჩვენეს, მაშინვე მოლოცვის, „ერთგული ყმობისა და ქვეშევრდომობის“ წერილები მოაყარეს თეიმურაზსა და ერეკლეს მათს „მფარველობაში“ აყვანილმა მობარკე ხანებმა.

მომლოცველთა შორის იყო ირანის მაშინდელი ხელმწიფე შაჰ როჰიცი, შვილიშვილი დიდი ნადირ შაჰისა. შაჰ როჰი სავანგებო რაყამით თეიმურაზ ქართველთა მეფეს „ერთაყისა და ადრიბეჯანის სპარსალარად“ აცხადებდა, ხოლო ერეკლე მის ნაიბად, ანუ თანაშემწედ...

...მაგრამ მალე ქართველებს წამწარდათ ამდენი გამარჯვებანი. შაჰის ხანმა, ქაჯი ჩალაბმა, მუსლიმთა ძლიერა კოალიცია შეჰყარა იდუმალ, ქართველ მეფეთა წინააღმდეგ, ქართველთა ქვეშევრდომი განჯის ხანიც დაეთანხმებოდა ქაჯი ჩალაბს მეფეთა დალატზე. ბრძოლა მოხდა 1751 წლის 15 თებერვალს, აგრი-ჩაიზე. სადაც ლეკებზე მოიერიშე ქართველებს ერთბაშად განჯელები გამოეშალნენ, იდუმალ ჩასაფ-

რებული მტრის ახალი ძალებიც ყოველის მხრიდან შემოიჭრებო-
ნენ ქართველებს და მათ ბრძოლა წააგეს. დამარცხებულ-
ლებმა აღაზანს მოაშურეს, ბევრი შიგაც ჩაიხრჩო. — დავით აღმაშენებლის
ერეკლეს ცხენი მდინარის შლამიან ნაპირზე დაეფლო. მახზა-
ანელმა გლებმა, დათუშა იოსტაშვილმა, საკუთარი
ცხენი მოართვა და გამოიყვანა დამარცხებული მეფე მდინა-
რიდან...

შ ი რ - ბ უ ლ ა ი ი

თურმე შეგვძლება „ქართველი ლომების“ დამარცხებამ,
და გათამამდნენ ლეკები მეტისმეტად. ისევ იჩნევრტეს და
წამოვიდნენ თარეშად — ყაზახს, ქართლსა და კახეთს. შემო-
იჭრნენ და „მრავალი ადგილი წაახდინეს“.

გაუხტათ ერეკლე მეფე. მანავთან სრულად ასწყვიტა ლე-
კი მოთარეშენი.

მეორედ ივრის ნაპირას ამოსწყვიტეს მეფეებმა „სხვა ქა-
რი ლეკისა“.

მესამედ საგურამოსთან „დასცეს“ რისხვა ღვთისა“ და მოამ-
ბეც აღარ გაუშვიათ მათხართაგან.

იმ წელს ლეკები კვლავ დააშინეს ქართველებმა, მაგრამ
„ამა ამბავთა შინა წამოთამამდნენ ყიზილბაშნი და მოინდომეს
მტრობა ქართლისა“. ასპარეზზე გამოჩნდა აზატ-ხანი
ტომით ავღანი, ირანის ტახტის მაძიებელი, მამაცი და თავზე-
ხელადებული მხედარი. მის თავრიზი დაეპყრო და ქართველთა
სამფლობელოების — ნახიჭევანის, ერევნის, განჯისა და ყა-
რაბადის დასაპყრობად მოილტვოდა დიდის მხედრობით. აზატ-
ხანი უკვე შემოჭრილიყო ნახიჭევანში, მისი მფლობელი,
„ქართველთა კაცი“ ბაიმან-ხანი გამოეძეებინა ნახი-
ჭევანიდან. საშინლად აწიოყებდნენ ნახიჭევნელებს ავღანელ-
ნი: „გერ პირუტყველ ვნებას იკმაყოფილებდნენ ქალებთამ.
მერე წითლად ავარვარებულ შანთებს ძუძუებში და საშოში
ურჭობდნენ. გამოსატეხად — სად ჰქონდათ ფული გადაამ-
ლული“.

ნახიჭევანიდან ერევნისკენ გაეგზავნა ქარი აზატ-ხანს, სარ-
დლად მაჰმად-ხანი დაეყენებინა, — ის მაჰმად-ხანი, ნადიჭ

შაჰის მკვლელობას რომ მეთაურობდა, მერე ერევნის დაუბ
ლება რომ განიხრახა და ქაბუღელენმა გაანადგურეს სპარსეთში
კად (1749 წ.).

სპარსეთში
გაანადგურეს

მოიჭრნენ ქართველ მეფეებთან ნახიჭევანელი და ერევ-
ნელი ფაიქები და ითხოვეს შველა. სასწრაფოდ დაიძრა ერევ-
ლე ქართველთა ჯარით ერევნისკენ.

მაჰმად-ხანს ქართველთა ხმლის სიმწვავე ნაწვენევი ჰქონ-
და და ერევლეს გამოჩენისთანავე ერევანს ალყა მოხსნა და
თავის ჯართან ერთად გაუჩინარდა.

გამოცევიდნენ შიმშილით ღონემიხდილი ერევნელები და
„შეასხეს ქება“ მშველელად მოსულ ქართველებს. უწინარე-
სად დამშეული ქალაქის დასაბურებლად იზრუნა ერევლემ.
იენისი იდგა, პურის მკის დრო. მაგრამ „ასე მოოხრებული
იყო ერევნის ქვეყანა, მკის მუშაც აღარ იშოებოდა. ერევნის
ციხისა და ენშიატის მეტს ალაგს შენობა აღარსად იყო“. ერევ-
ლემ ჯარი მიუსია ყანებს სამკელად. ათი ათასი კოდი პურა
შეუტანეს ქართველებმა სომეხთა დედაქალაქს. შვეიდა ერევ-
ლე ერევანში. ხალხი დაამშვიდა, მოლაღატეებიც მოიძია და
ყველანი ტფილისს გამოგზავნა „დასაყენებლად“. რამდენ-
ჯერმე ისეც გამოჩნდა თავისი ჯარით მაჰმად-ხანი, მაგრამ ერევ-
კლეს ყოველ გამოსვლაზე გაეჭეა ბრძოლას.

ბოლოს გამოჩნდა თვითონ აზატ-ხანი, 18000 მეომრით.

ბოლო ერევლეს 3000 მეომარი ჰყავდა და, თანაც, „ამა-
რიცხვთა შინა იყო თათარი ხუთასი და ავადმყოფი ხუთასი“.
ასე რომ — თერამეტი ათასის წინააღმდეგ „რეალური ორი
ათასით“ გამოსვლა სავსებით უიმედო ჩანდა.

თათბირი შეჰყარა ერევლემ. სარდალთა უმრავლესობამ
ბრძოლაზე ხელის აღება და უკან გაბრუნება ურჩია. მაშინ
თვითონ თქვა ერევლემ, მტკიცედ, სიტყვაშეუქცევლად: „იყო-
დეთ, აზატ-ხანის შეუბმელი მე არ დავსდგებო; თავი ჩემი
საკვდავად დამიღვია და მე აქედან ხმალ მოუქნევლად არ
გავალ. ისედაც, აიღამ რომ გავიქცეო, ხვალ გზაზედ მოგვე-
წევია. და უნამუსოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი სჯო-
ბსო; ეს ხომ ყველამ უწყით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ
და ჩვენს გვარსა და სახელს ორის დღის სიცოცხლისათვის ნუ
მოვაყვივნებთო. სიტყვა აღარავის შეუბრუნებია ერევლემ
ჯარი საომრად დააღაგა.

და ნობდა ბრძოლა ყირ-ბულახთან, ერევანთან
თორმეტ ვესრზე, 1751 წლის 26 — 27 ივლისს. ერევანულში
ახატ-ხანს ვერ წაჰოედგინა, რომ ძტრის ეგებამისათვის
ღამქარი შებრძოლებას გაუბედავდა და ქართველთა მკფის-
გან თუ გაქცევის არა, შერიგების თხოვნას მაინც ელოდა.
მაგრამ მოციქულს რომ დააგვიანდა, ქარი ექვს რიგად და-
ყენა და წამოვიდა ხარბახან-ხამბულაქთა გრიალითა და ბა-
გაბუგით.

მთავარი იერიში მარცხენა ფრთაზე მოიტანეს მუსლიმებმა.
„პირველად გაემარჯვათ ქართველთა“. „მერე გაემარჯვათ აე-
ლანთა“. „დიდი ომი გარდაიხადეს“. „დაიხოცა ორგნითვე“.
დღის მიწურულს ქართველთა ქარს ყოველის მხრიდან გზა
მოჭრილი ჰქონდა. ღამემ გაპყარა მომტერენი. ზვალ დღით
აღრე ერევან-ხანი უცქველად გამომიგზავნის მოციქულს
მორჩილებისა და სიცოცხლის შენარჩუნების თხოვნითო, გა-
დაწყვეტით ფიქრობდა ახატ-ხანი. დილაც ჩამოდგა. 27 ივ-
ლისი.

ერევანს ქარი ფეხზე იდგა. მეფეს ლოცვა მოეთაყვებინა
და სიტყვას ამბობდა, ისევ მშვიდად აუღელვებლად: „ვინც
ვაეკაცი ხართ, ესე არს ეამი ვაეკაცობისა და გულოვნებისა.
ვიცი, ძმანო. მე ღმერთის წინა თქვენნი დიდი მოვალე ვარ და
რაც ახლა გითხრათ, ის დამიჭრეთ და სისხლსა თქვენსა მე
ვინდობ კისრად. ახლა მე გაგიძღვებით და ასე ქვეითად წა-
ვალთ პირდაპირ მტერზე. და სანამ მე ცხენზედ არ შევდო,
თქვენც ნურვინ შესხდებით და სანამ ჩემი თოფი არ გაეარ-
დეს, თქვენც ნურვინ გაისერით თოფსა“. და ქართველთა პა-
სუხიც ეს იყო მეფისადმი: „მეფეო და დიდებო ჩვენო, სისხ-
ლი ჩვენი შენთვის შემოგვიწირავს და ბრძანებასა თქვენსა და
ნებასა თქვენსა აღვასრულებთ!“

ერთხელ კიდევ დალოცა ქარი ერევანს. მერე ხუთასი
კაცი გადათვალა და ბანაკში დააყენა ცალკე დასტად. დანარ-
ჩენები, ათას ხუთასი კაცი, აიყოლია და გაემართა მტრის
შუაგულისკენ, სადაც თვითონ ახატ-ხანი იყო საგულგებელი.
ქვეითად მიდიოდნენ, მგლური ნაბიჯით. მარცხენა ხელით ცხე-
ნები მიჰყავდათ, მარჯვენაში ლულადაშვებული და ჩახმახშეწ-
კაბული თოფები ეჭირათ.

ფეხზე იდგა ახატ-ხანის ბანაკიც, ქართველთა გარშემო



ტყესავით ჩაქორომებული. უკვე კარგად მოთენებულყოფილ თანაშემწე სარდლებით გარშემორტყმული აზატ-ხანეცხულის ლად ხედავდა, როგორ მოიჩქაროდნენ მისკენ დაქვემდებარებული ქართველები. უკვე სათოფეზე მოსულიყვნენ, როცა რომელიღაც ხანი-სარდალი აზატ-ხანს წარუდგა და შესძახა: „დაატური მომეცო, რათა წარვიდე და ერეკლე-ხანი ცოცხლად შეპყრობილი მოგართვაო“. აზატმაც მხრები აიჩენა და სიცილით უბასუხა — რაღა ვაქაკობაა, როცა თვითონ მოეშურებიან ჩემს წინაშე იარაღის დასაყრელად და სათაყვანოდ, მაგრამ, რაკი ასე ვსურს, წადი და მოიყვანეო. მყისვე მოახტაცხენს ხანი-სარდალი, ქართველებისკენ წამოემართა და დაიდრიალა: აბა, გამოდი, რომელი ხარ ერეკლე მეფეო!

— მე ვახლავართ ერეკლე მეფე! — შეანარცხა ძახილი ერეკლემ და წამსვე მისი თოფიც გავარდა. მუსლიმი სარდალი უნაგირს უსულოდ მოწუდა და სანამ მიწაზე დაეცემოდა, მანამ ერთად იგრილა ათასხუთასმა ქართველმა თოფმა. ათასხუთასი მუსლიმი მეომარიც ჩაწვა და ჩაირეცა იმავე წამში.

„ცხენებზე!“ — იქუხა უკვე ამხედრებულმა და ხმაღგაშიშვლებულმა ერეკლემ. „ხმალი მაგ წუნკლებს!“ — და გაფრინდა გათოფილი მტრის შუაგულისკენ. გამოენთნენ ქართველები, ამხედრებულნი, ხმალთა ბრკილით და მძლავრი ყვილით. ყველაფერი ეს წამიერად დატრიალდა, ყველასათვის წარმოუდგენელი და ვაუაზრებელი. ვონზე მოგებას ორიოდ წუთი მაინც დასჭირდებოდა მაგრამ ის წუთებიც არ დაანებეს ქართველებმა გაოგნებულ მტერს. მათის თოფებით დარეცილი მტრის გეამები გადათქერეს და სასტიკი ჩეხვით დაერივნენ მეწინავეებს.

ხელშეუბრუნებლად შეტრიალდა და გაიქცა პანიკითა და პირუტყვეული შიშით მოცული ავღან-ყიზილბაშთა ურდო. გამოენთო ერეკლე. „ვითა ლომი დაუშრომელი“. მიჰყვნენ ქართველნი გაქცეულ მტერს. მთელი დღე სდიეს, ოცდაათი ვერსის სიგრძეზე. ყირ-ბულახიდან არეზამდე გზა მოსისხართა გვამებით მოფინეს. ძლიეს გადაასწრო არეზზე აზატ-ხანმა.

ზარბაზანთა საზეიმო ვრიალით შეხვდა ერეკანი გამარჯვებულ ქართველთა დაბრუნებას.



ლეკები არ იშლიდნენ „ლეკიანობას“. ეროვნული
 ქართველებიც არ იშლიდნენ „ქართველობას“ და, სადაც
 კი მოასწრებდნენ და მოახელებდნენ, დაუნდობლად სპობდნენ
 მათხართ.


მაჰმადიანებმა მაჰმადიანი მტერი არჩივნენ ქრისტიან მო-
 კეთეებს და ისევ შეურიგდნენ შაჰის ხანს ჰაჯი ჩალაბს განჯის
 ხანი, შამშადილუს ხანი, ქარი ხომ მუდამ მისი მაფიყარი იყო,
 ყაზახიც და ბაიდარიც განუდგნენ ქართველებს და შაქელს
 მიემხრნენ.

თეიმურაზმა და ერეკლემ ჩერქეზები და ოსები შეიკავში-
 რეს და უკვე საომრად აღძრული მტრისკენ გასწიეს.

მაჰმადიანთა მხედრობას სარდლად ჰაჯი ჩალაბის მამაცი
 ძე, ალა-ქიში უდგა. ბაიდარს მოსულიყვნენ და შემდგარი-
 ყვნენ. ყოყმანი დაუწყოთ ქართულ სამანებთან მოსულებს.
 ყოყმანობდნენ, ვინათგან „ქართველთა ხმალი ბევრჯერ ენა-
 ხათ“. მწარე და „სასიკვდილე“. ბოლოს, ხმალი კი არა, შერ-
 გება ითხოვა ალა-ქიშმა, მაჰმადიანთა „დიდმა იმედმა“. ქარ-
 თველებმა შერიგებაზე უარით უპასუხეს. ალა-ქიშმა ბანაკი
 აპყარა და ბაიდარიდან ყაზახს გაქუსლა. ქართველებიც მიჰყე-
 ნენ. გატეხილ ხიდთან ლეკთა ჯარი გამოუხტათ უეცრად. ერე-
 კლემ ჩერქეზები მიუშვა ფიცხლავ. მიუხდნენ და მოსიკვდი-
 ლეს ჩერქეზებმა ლეკები. მეფეებმა ლაშქარი ააჩქარეს. ყაზახს
 მივიდნენ. ალა-ქიში იქიდანაც გაქცეულიყო. ერეკლემ მდევარი
 აარჩია და დაწინაურდა. უკან თიმურაზი მიჰყვა დანარჩენი
 ჯარით. ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე, თულქითაფასთან წა-
 მოეწია ერეკლე მაჰმადიანთა მხედრობას.

მაშ, თ უ ლ ქ ი თ ა ზ ა, 1752 წლის 1 სექტემბერი.

მტრის დაოთხებულ თქარუნზე ალა-ქიშმა ჯარები შეაყენა,
 შემოაბრუნა და საომრად დააღაგა. მძლავრი კვეთებით და
 ხეტყინებით შეიბნენ მტერნი. მაჰმადიანებმა „ასე ძალიან მო-
 ინდომეს, რომ სახმლოდ შიგ ჯარში შემოვიდნენ, ცოტას
 ალაგს ოსის ჯარიც გამოაქციეს“. მაშინ „მეფე ერეკლემ იწ-
 ყინა, მიბრძანდა თვითონ. მიუძღვა ჯარს და ვითა ლომი ეგრე
 მიესივა, გჯერივა ხმალ-და-ხმალ. ამის მნახველი ვინდა დადგე-
 ბოდა უომრად“. მიჰყვა „მეორე გმირად“ ერეკლე მეფეს თა-



მავ ანდროშიკაშვილი. „კაი ხმალი მოიქნეს“ ქიზიყელისა და ხერქეზებმა. ყველა გმირი შეიქნა იმ დღეს — თავადი, ნაურიც, ვლახიც. ბოდბელმა ვლახმა პაატა შეიქნა ცხრა თათარი გააპო ხმლით, სამი ცოცხლად შეიპყრო და გათოკა. შუაგულ ბრძოლას მოუხსნო თეიმურაზმა და თავისი ჯარიც მიუშვა იერიშზე. გასაქცევად ატრიალდა და აგორდა თათართა ურდო. გაიგდეს წინ მტერი და განჯამდე სდიეს ქართველებმა. შაფერდი ხანი განჯას ჩაიკეტა. ალა-ქიშმა ნუხას გაასწრო. ქართველებმა ზედიზედ დაიჭირეს განჯა. ყაზახი, შამშადილუ, ისევ თავის მოხარკეებად მოაქციეს და მოღალატენი ტყვეებად გაირყეს.

ისევ ბრწყინავდა ქართველთა ბედის ვარსკვლავი ამიერკავკასიის სისხლიან და ცრემლიან ცაზე.

მთაღისჯვარი

ერეკლე მეფე მთელს კავკასიაში უკვე უმეტოქეო მხედრად და მხედართმთავრად იყო აღიარებული. ბევრი ლეკური გუნდი აეწყვიტა, ბევრი ლეკის ბელადი პირისპირ შერკინებით მოეკლა და დაემიწებინა. მსოფლიოში ლაპარაკობდნენ „ქართველ ლომზე“. ევროპელ მწერალთა და მოგზაურთა „თემა“ შექმნილიყო ქართველი გვირგვინოსანი და მხედართმძღვანი. ევროპაში განუკითხავად ამასაც გაიძახოდნენ: ლომმა ერეკლემ სპარსეთი უკვე დაიპყრო და დღეს თუ ხვალ თურქეთსაც შეუშუსრავს კარიბჭეებსო.

ერეკლეს და თეიმურაზს კი სპარსეთ-თურქეთის დასაპყრობად „არ ეცალათ“ და დღე და ღამე ქვეყნის გამაგრებასა და მტრის მიერ „აქეთ დაპყრობისგან“ გადარჩენას უნდებოდნენ.

1754 წლის გაზაფხულზე ერეკლე ქართლში იყო, მამასთან. და კახეთიდან ახალი საშფოთარი ამბავი მოართვეს შიკრიკებში: აფარია-ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი „გადმოსულა ლეკთა ჯარით, შილდის თავს დადგა, კახეთზე მოდის; იმუქრება — ქართლსა და კახეთს ორივეს დავიჭერო; ჯარიც ასეთი მყავს, რომ ჯერ ამისთანა ჯარი ქართლსა და კახეთს არ ჩამოსულაო“.

შილდადან ოთხ ნაკადად წამოვიდნენ ლეკნი, რომლებსაც ხეობას შემოესივნენ, „ანანურს აქეთ აღარსად-რა ცაუხურს წახედნელი“, ბოლოს მუხრანისკენ დაიძრნენ და მუხრანისკენ ციხეს შემოადგნენ ალყად. ეს ციხე ახლად მუხრანის ციხეა. მუხრანელთა ციხიონი ძლიერად დაუხვდა მტერს.

ქართველ მეფეებსაც შემოეყარათ ჯარი. თუმცა ემცირათ, მაგრამ დაყოვნების დროც აღარ იყო და საწრაფოდ დაიძრნენ მჭადისჯვრისაკენ.

ნურსალ-ბეგს საიერიშო საფრები („სიბა“) გაემართა ციხის გარშემო. დამით ვიღაც მოხუცი ქართველი დედააკაცი მიჰპარვიათ, ცეცხლი გაუჩენია და ხელიერთბირად გადაუწვავს ის „საფრები“. საშინელი წამებით მოჰკლეს ეს უცნობი გმირი ქალი ლეკებმა. ახალ საიერიშო „მანქანებს“ ამზადებდა ხუნძახის ბატონი. ითვლევინებოდნენ მეციხოვნენი: „თუ არ მოგვეშველებით. ამის მტეი ღონე აღარა გვაქვსო“. და მოვიდნენ საშველად ქართველნი.

ერეკლემ ორი მხრიდან მიუახლოვა ჯარი ლეკთა ბანაკს — ცალკერძ ქართლელნი და ცალკერძ კახელნი. ორგნითვე უკანაკერძად ცხენოსნები დააყენა წინ ქვეითნი წაუძღვარა. ქვეითთა წინაკერძად კიდევ, ვითარცა საფარა („ბარაკადა“), ერთმანეთზე მიყრით ჩაარიგა ურემ-საზიღარნი, „აღესილნი მრავალი ქარჯითა“.

მაშ, 1754 წლის 16 აგვისტო. მჭადისჯვარი.

ბრძოლა გახსნეს ქვეითმა ჯარებმა, თოფ-დამბაჩათა ბოქაბუთქით და ზამბულაკთა გრიალით. ქართველთა გაჭიმულ „ბარაკადებზე“ ამოისხლიტნენ ლეკები. უმაღლვე ჩაკაფეს ქართველებმა ხმალ-და-ხმალ. ლეკთა მომდევნო რიგმა გულსრულად გადმოიარა თავისიანთა გვამები და სასტყეო ხმალთაკვეთებით შემოგება ქართველობას. მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს — მეოთხე. ლეკთა ცხენოსნობაც „სამად გაყოფილიყდ და ყოველის მხრიდან მოვიდნენ, ქართველთა ჯარები დიდძალში ეცოტავათ და დიდად ამაყათ მოინდომეს ომი ლეკთა“. და „შეიქნა ომი ფიცხელი, რომ უფიცხე აღარ ეგებოდა“. მისჭირდა ქვეით ქართველობას და „ლეკებს ცოტადა უკლდათ ხმალდახმალ ჩვენს ჯარსა შინა შემოსვლა“. დაიქვეითეთო. შესძახა ერეკლემ, თვითონ ცხენიდან გარდახდა და



თოფი გულში აძგერა „ბაროკადაზე“ ამოსხლეტილ ლეკს. წამსვე დაქვეითდნენ ქართველი მხედრები და ტყვიებს მათ ეგეს იერიშზე მომავალ მტერს. ისევ ჩაიცილა ლეკთა მხედრული რიგი. „ცხენებზე!“ — იქეჭა კვლავ ამხედრებულმა მხედრულმა ყველა ამხედრდა წამისად. „ხმალი!“ — ისევ გაისმა ერეკლეს ძახილი და იელვეს ქართულმა ხმლებმა.

„ეს არის დღე ვაჟაკობისა, სიყვარული რჭულისა და სამშობლოსა! ხმალი-მეთქი მაგ წუნკლებს!“ — ჰყიოდა ერეკლე და უბრძოდა მტრის ყველაზე სქელ რიგს. მიჰყვნენ ყოიინით და „შეუტოეს ქართველთა და კახთა გულ-სრულად“. მისვლისთანავე „მეფემ ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალ-და-ხმალ“. ისევ „ჩამოკაფა“, მეორე, მესამე, მეოთხე... ნურსალ-ბეგს ეძებდა, რათა თავი წარეყვითა ლეკთა ჯარისთვის. მაგრამ არ ჩანდა „თავი ლეკისა“. ხოლო ბიძა და ბიძაშვილნი ხუნძახის ბატონისა უკვე დაცემულიყვნენ „ხმალ-და-ხმალ ჩამოკაფულნი“. გასტეხეს მტერი ქართველებმა და „გააქციეს ერთი დასა ჯარი ლეკისა“, მყისვე „ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეოთხესა ჯარისა“ და ყველა ერთად „აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა“. გამოედევნენ ქართველები, „შეუტოეს ხმალ-და-ხმალ, დაერივნენ შიგ, რომ ვითა კატა ეგრე ხოცდენ ლეკთა“. ყოველი ქართველი გმირი იყო იმ დღესაც — „თავადნი გლეხზე უჭობეს და გლეხნი თავადზე უკეთეს“. მისდიეს ქართველებმა გაქცეულ მტრებს. მიჰყვნენ ხოცვით არაგვამდის, რომ მათის მძოვრით აღავსეს ტყე და ველი“. ბევრი ლეკი ხმლისა და ხულის „უკრავად კლდეზე გარდაცვივნით დაიხოცნეს“. ხუნძახის ბატონის ბრძოლის ველზე „დარჩა კარავნი და ყოველივე საცხოვრებელი და დიდება, რომელიც კი წამოეღო დალისტანიდამ“. ლეკთაგან არაგვამდე ვინც გადაარჩა და კახეთს გააღწია, იქ სახლში დარჩენილი კახელები გამოუხტნენ და, საცა გაიარეს, ყველგან ხელახლა „დაუშარცხეს“. როგორც იქნა, სიცოცხლე დაინარჩუნა და ისე „მივიდა ხუნძახის ბატონი სირცხვილეულა დალისტანში“.



მკადისჯვრის გამარჯვებამ ისევ მძლავრად დასარტყია ქვეყნის თელი ზარები მაჰმადიანური კავკასიის ცისგამაღრი. მაგონ ლეკს ხომ „ლეკიანობის“ გარეშე არსებობა არ შეეძლო და მაინც მოდიოდა, მოდიოდა თუნდაც სიკვდილზე, თუნდაც ათიდან შვიდ სიკვდილზე.

ნურსალ-ბეგ ავარიელ-ხუნძახელიც აღარ ისვენებდა, მკადისჯვრის სირცხვილი ვერ მოეწელებინა და დღედაღამ საქართველოს სარეგანშოდ დასალაშქრავად ემზადებოდა. და 1755 წელს მთელი დაღესტანი აჰყარა ნურსალმა, თარღუა შამხალი და ყაზიყუმუხის სურხაი-ხანიც გვერდში დაიყენა თავიანთ ქარებით.

20000 ლეკი მოწყდა ამიერ-იმიერ დაღესტანს, მოწყდა და მოასკდა საქართველოს (ეს მერამდენე?!).

ერეკლემაც თელავს ქარი შემოიყარა (ესეც მერამდენე?!).

ყვარლის თავზე მოდგა და დაშევედა ლეკთა ურდო. ქარელებიც მოვიდნენ და შეუერთდნენ. შაქის ხანსაც, ჰაჭი ხალაბს, ნურსალის შემწყედ დიდი ქარი გამოეოგზავნა, ისევ თავის ძის, აღა-ქიშის სარდლობით. კაკის სულთანიც მოსულყო თავის მხედრობით. შავერდ-ხან განწელსაც ისევ ელაღატნა ქართველებისთვის და წარმოეგზავნა ნურსალისთვის გააქელთა ქარი.

და შემოადგა ყვარლის ციხეს მაჰმადიანური ურდო.

თეიმურაზმაც თელავს მოატანა და ქართლისა და კახეთის ქარები შეერთდნენ.

ლეკთა ქარები ქარებად იდგნენ ყვარლის ირგვლივ, ხოლო თვითონ ციხე კიდევ საფრებით შემორაგვეს, ისეთი საფრებით, საიდანაც თოფს ზემოდან ჩაისროდნენ ციხის შიგნით. „ამით შეაწუხეს“ ლეკებმა ყვარლის ციხის დამცველნი, „თორემ სხვა რიგად არა უქირდათ-რა“. და „იყო ომი დღე-და-ღამ. კარგად, კაცურად და მამაცურად ებრძოდნენ მყოფნი ციხისანი“ რკინის სალტედ მოდენილ მტერს.

ყვარელს სასწრაფოდ უნდოდა შეეღა. მაგრამ პირდაპირ ხმალ-და-ხმალ მისვლა ქართველებს იმედს არ აძლევდა, რადგან მაჰმადიანთა ქარი გაცილებით რიცხვმრავალი იყო და მათი ბანაკიც მიუვალი და მიუდგომელი. ამიტომ საჭირო იყო



მოულოდნელი, იდუმალი ხერხი, „ილათი“, თავგანწირულ
გმირობასთან ჩაკირული.

და მეფეებმა ჯარს მიმართეს: რჯულისა, ქვეყნისა, ერისა, ეროვნული
ნი სიყვარულისა და ერთგულებისთვის ეიწვევთ ვაჟაკების,
რომლებიც ლეკთა ბანაკს გაქრიან, გააღწევენ და შიგნით
ციხის დამცველებს მიეშველებიანო. ამის თქმა და მაშინვე
ჯარს გამოეყო ას სამოცამდე მეომარი: ცხრა თავადიშვილი,
ორი აზნაურიშვილი, ერთი ხუცესი და ას ორმოცდაათამდე
გლეხი (აქედან ას ოცდაათი ქიზიყელი). შეჰყარა ეს გუნდი
ერეკლემ, დატვირთა იარაღით, ტყვია-წამლით, დამოძღვრა,
დალოცა და გაუშვა. ღამე გასცურეს ალაზანი, ღამითვე მია-
დგნენ შტრის ბანაკს, მისვლისთანავე შეუტრეს თოფის და
ხმლის ცემით. და ასე ქართულმა გუნდმა „გულოვნობისა ძა-
ლითა და სიმხნისა და ვაჟაკობისა მინდობითა“, სისხლიან
სერულად გაკვეთა და გაიტანა მაჰმადიანთა მოალყე ჯარი.
ყვარლის დამცველებიც წამოიშალნენ ციხის შიგნიდან და შე-
ერთდნენ მოიერიშე ქართველები და მეციხოვნენი. გამძლავრ-
და ციხე ყვარლისა. „ხოცდენ ლეკთა ციხიდან და განძლი-
ერდნენ ფრიად ციხოვანნი“. ხოლო, სანამ მოიერიშე გუნდი
შტრის ალყას არღვევდა და ციხეში შედიოდა, მის პარალე-
ლურად ერეკლემ ქიზიყიდან ჯარს ჯარი შეუსია მოახარი
რკინით და ცეცხლით. ყვარელთან მდგარმა ქარელებმა რომ
მათი სახლქარის აწიოკების ამბავი შეიტყვეს, ყვარელი მოატო-
ვეს და ჯარს მიამურეს თავისიანთა გადასარჩენად. ნურსალ-
ბეგის ბანაკი აირია და აიჭრა. დაღესტნელებმა ქარელების შე-
ჩერება სცადეს. მალე სიტყვა აღარ იკმარეს და ხმლებით ერთ-
მანეთს დაერივნენ. ერეკლეც უკვე გადაწყვეტი იერიშის-
თვის გამზადებულიყო. ნურსალ-ბეგი დაფრთხა, დაშინდა,
ბანაკი აჰყარა და ყვარლიდან ისევ დაღესტნისკენ გაქუსლა.

ე რ თ ხ ე ლ მ შ ი ფ ო ბ ა ქ ა რ თ ლ - კ ა ხ ე თ ი ს ა

ლეკიანობა მაინც გრძელდებოდა. ყვარლის შემდგომ ნურ-
სალ-ბეგმა „დიდ სარდლობაზე“ ხელი აიღო და ისევ ნაცადა
აეაზაკობისა და ქურდობის გზაზე შედგა. მის გარდა, ქარ-
თულ მიწა-წყალს საძარცავად ხელი შეაჩვია კიდევ ორმა

დადესტნელმა „ბელადმა“ — ჩ ო ნ ო ლ - მ უ ს ა მ
ტ ა - მ ა ლ ა ჩ ი ლ ა მ .



და გრძელდებოდა „ლეკიანობა“, სისხლიანი ქვეყნის მშენებელი, მოურჩენელი წითელი ქარი საქართვეკის მშენებელი..

...1758 წლის ზაფხულში, გორში, ერთმანეთს შეხვდა ქართველ მეფეთა დიდი სამეფული — თეიმურაზ მეორე, ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი.

და ითქვა მაშინ ყველაზე მნიშვნელოვანი სამამულიშვილო სიტყვა ფიცითა და „პირითა მტკიცითა“: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“. ეს პირობა დადევს — ერთმანეთის მიშველებისა. საერთო მტრების წინააღმდეგ თანაბრძოლისა და თანადგომისა — და ერთმანეთს დაშორდნენ...

საქართველოს სამივე მეფე ისევ რუსეთის მოამბედე იყო.

1760 წლის აპრილში თეიმურაზ მეორე რუსეთში თვითონ გაემგზავრა და პირადად შეხვდა რუსთა ხელმწიფეს ე ლ ის ა - ბ ე დ ჰ ე ტ რ ე ს ა ს უ ლ ს. ქართველი მეფე დახმარებას ითხოვდა. ახლა ყველაზე ხელსაყრელი დრო-ჟამი დამდგარა საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომისაო“. ირანში საშინელი არეულობაა, ოსმალეთიც განზე დგას და ირანის საქმეებში ჩარევას ვერ ბედავს. ლეკიანობა გასაქანს არ აძლევს, თორემ საქართველო თვითონ მოუვლიდა ირანს. ამიტომ სთხოვს ქართველი მეფე რუსთა ხელმწიფეს რუსულ ჯარს. ხოლო, უკეთუ ჯარით დახმარება არ მოხერხდება, მაშინ იქნებ ფულადი სესხი გაიღოს რუსეთის ხაზინამ რამდენიმე წლით ვადით. თუ რუსეთი საქართველოს ჯარით ან ფულით დაეხმარება, ქართველი მეფეები ლეკებსაც ალაგმავენ, „გამორჩეულის დასიო“ ირანშიც შევლენ, იქ „ჩინებულთა სპარსთა შეკრებასაც“ მოახდენენ და მათის „ერთხმობით“ ირანის ტახტზე რუსეთისა და საქართველოს „სასურველ შაჰს“ აიყვანენ.

არაფერი არ გამოვიდა. რუსეთის საიმპერატორო კაცს ისევ არ ეცალა საქართველოსთვის. „შვიდწლიანი ომით“ იყო ვართული მაშინ მსოფლიო და გამორჩევით თვითონ რუსეთი. პრუსიისა და ინგლისის განადგურება ჰქონდათ დღენიადაგ საზრუნავად რუსეთის მესვეურებს, ხოლო „სამხრეთულ საქმეთა“ ვართულება იმჟამად არასგზით ხელს არ აძლევდა სანკტ-პეტერბურგის სასახლეებს.



1762 წლის 8 იანვარს თეიმურაზი უეცრად გარდაიცვალა პეტერბურგს. მეფის დაკრძალვის ხარჯები რუსეთის კარმხელე რატორთ კარმა იყისრა. ელისაბედ დედოფლის სახელმწიფო კლეს სამძიმარი და მიდიარი საჩუქრები გამოუგზავნეს. თეიმურაზი ასტრახანს მოასვენეს და მიძინების ტაძარში დაკრძალეს მისი სიმამრის ვახტანგ მეექვსის გვერდით.

აღსრულებულიყო მეფე თეიმურაზ მეორე, ღირსეული ქართველი საკეთმშყრობელი, ნიჭიერი პოეტი, მამაცი მხედარი და მხედართმძღვანი.

გამეფდა 44 წლისა, იმეფა 18 წელიწადი, აღესრულა შობითგან 62 წლისა (ვახტანგის გბილა, ვახტანგის თანამსოფლმხედველი, ვახტანგის გვერდით ჩაწვა ასტრახანის მღაშე მიწაში).

თეიმურაზ პირველის, არჩილ მეორისა და ვახტანგ მეექვსის მსგავსად, არც ამ მეოთხე მეფე-პოეტს ეღირსა მშობლიურ მიწაზე სულის დაღვევა და მშობლიურ მიწაში დამინება...

...მეფე ერეკლე მეორე ქართლ-კახეთის ერთხელმწიფედ გამოცხადდა.

რუსეთმა თბილად მიიღო მისი ერთხელმწიფობა. ირანშიც ანარქია დასრულებულიყო, ტახტი მტკიცედ ქერიმ-ხან ზენდს დაეპყრო და ისიც იმთავითვე იძულებული გამხდარა ამიერკავკასიაში ერეკლეს ჰეგემონობა ეცნო. ერევანი, ნახიქევანი, განჯა, ყარაბაღი და ყაზახი ისევ ქართველი მეფის მფლობელობაში იქნა აღიარებული. ასეთი „აღიარება“ უეჭველად იმანაც განამტკიცა, რომ ერეკლემ ქერიმ-ხანის შეტოქე აზატ-ხანი დაამარცხა, კიდევაც შეიპყრო და ბორკილდადებული გაუგზავნა ქერიმს.

მაგრამ მცირე დრომ განელო და ქერიმ-ხანმა საქართველოში ელჩები აფრინა და ერეკლეს შემოუთვალა — სასწრაფოდ თორმეტი წყვილი უმშვენიერესი ვოგო-ბიჭი ამოჩნიე და გამომიგზავნეო. ამაზე კი ცუცხლი აკვესა თვალებიდან ერეკლე მეფემ: მე თქვენი ქერიმ-ხანი რას მომატყუებს, როცა მე თვითონ ეშმაკზე ერთი დღით ადრე ვარ დაბადებულიო. — ბრაზიანი სიცილით შეაფრქვია სპარსელ დესპანებს და მაშინვე განუტევა ისინი სასახლიდან.

სოფით ბაღანი აეშალა ქერიმ-ხანს, ქართველი მეფის ამ-

ნაირი „დამანგრეველი პასუხი“ რომ მოისმინა. მაგრამ ჩვენ დათმობა ამჯობინა. ამჯობინა, ვინათგან „ნადირ, შაჰის ვაჟი რდილი“ და „ეშმაკზე აღრე დაბადებულო“ ქართველი მოხელე ძლიერად გამოიყურებოდა და მასთან მტრობას, ჭერჯერობით მაინც, ისევ „დოსტობა“ სჯობდა.

ზეოგა სოლომონ პირველისა

იმეამად იმერეთის ტახტზე იჯდა მეფე სოლომონ პირველი (1752-1784).

დავით ნარინის შემდგომ გაეელო 460 წელიწადს და ამ დროის მანძილზე დასაეღეთ საქართველოს ბაგრატიონულ ტახტს ასეთი ღირსეული ხელმწიფე აღარ ღირსებია.

460 წელიწადი გადაუდებლად წვიმდა საქართველოში სისხლი და ცრემლი.

სისხლი — დაქცეული ქართველისა ოსმალოსაგან და ქართველისა ქართველისაგან.

ცრემლი — უმძიმესი ცრემლი ტყვედ წაყვანილი და გაყიდული ქართველისა.

ტყვეთა სყიდვა — ქართველი ხალხის დამაქცევეარი და შემარცხენელი უბოროტესი სნეულება.

თურქული უღელი. წელში გამწყვეტი თურქული გადასახადები. გადასახადი ნატურით. გადასახადი ქალ-ვაყთა თურქეთს გაგზავნით. გადასახადი ტყვის გაყიდვით. გადასახადი საური, ანუ „სახვანთქრო“. გადასახადი საუდიერო, ანუ „საძალოდ სათხოვარი“ (უმეტესი ისევ თურქეთს, დანარჩენი ადგილობრივ ფეოდალს).

ცალკე სამეგრელო, ცალკე გურია, ცალკე აფხაზეთი. ყველას ერთად, ერთიან „იმერეთად“ და თავის „საკუთრებად“ თვლიდნენ იმერეთის მეფენი. მაგრამ ერთობ დამკრობილ მნიშვნელობა ჰქონდა, რას „თვლიდნენ“ ბაგრატიონთა სავგარეულოს ყველაზე სუსტი ნაკადისანი — იმერელი ბაგრატიონნი. ამ უნიათო და უძარღვო მეფეების ყველაზე მაღალი ტიტულატურა ეს იყო — „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა“...

ცალ-ცალკე სამთავრო-სათავადო „სახლები“: ჩიქვან-ლი-



პარტიან-დადიანნი, გურიელნი, შარვაშიძენი, ერისთავნი, გულოვანნი, დადეშქელიანნი, აბაშიძენი, მხეიძენი, ჩხეიძენი, მაჭუტაძენი, ნაკაშიძენი, წერეთელნი, კილაძენი, მგელიაძენი, წულუკიძენი, ჩიჯავაძენი, აგიაშვილნი, იაშვილნი.

გარყვნილი საერონი. გარყვნილი სასულიერონი.

ლალატი სიტყვისა. ლალატი ფიცისა. ლალატი ქვეყნისა. ლალატი მოყვასისა მოყვასისა მიმართ. ლალატი ერისწყვეულისა ერისკაცის მიმართ.

ისევ „მიხდომ-მოხდომა“ დაუნდობარი, რამეთუ — ვინ ვის „ტახტზე“ დაჯდეს, ვინ ვის „სახელოში“ გაძვრეს, ვინ ვის სარეცელში ჩაწვეს.

გაბზარული და გაბლეჩილი ქართული სული.

და რაინდული ხმლის მაგიერ — ჭინჭში გახვეული სამართებელი.

ასეთი იყო მემკვიდრეობა ახალი მეფისა. ასეთი იყო დასავლეთი საქართველო, როცა მის მორყეულსა და შერყვნილ ტახტს ეახლა ღირსეული მემკვიდრე ბაგრატ მესამისა, დავით აღმაშენებლისა, თამარ შვიდმნათობიერისა, გიორგი ლაშასი და დავით ნარინისა.

იყო გონებით მძლავრი და გულით „უშიში, ვითარცა უხორცო“. სხეულით მკერივი, თუმცა ყრმობითვე ეპილეპსიით შეპყრობილი, საოცარი თვალეები ჰქონდა. ხალხმა ხმა დადიოდა: სოლომონმა თუ მოინება, მისი თვალეების დაშტერება წაახდენს კაცსაც, ჯარსაც, ნადირსაც და გახეთქავს ქვასაც. და ამიტომ „ქვახეთქიას“ ეძახდა ხალხი.

უბრალოდ ჩაცმა-დაბურვა უყვარდა. რუხი მაუდის ჩოხითა და წულა-მესტიით დადიოდა. ცხენ-უნაგირი, თოფ-დამბაჩა და ხმალ-ხანჭალი, რიგითი მეომარივით, ოქრო-ვერცხლით გაუწყობელი ჰქონდა ბრძოლად მიმავალს.

უბრალო აღამიანებში, გამორჩევით გლეხებში ყოფნა უყვარდა გლეხის ძიძისაგან ძუძუნაწოვარს, გლეხ ძუძუმტეებში გაზრდილ გვირგვინოსანს...



გამეფებისთანავე სოლომონმა ამოკვეთა და დაკრძალა ვე გადასახადი — საურაც და საუდიეროც. გლენმა შვებით ამოისუნთქა და მისი მხსნელი ახალგაზრდა მეფე სალოცავ ხატად გაიხადა. თურქმა დამპყრობელმა ბალანი აიშალა და ქართველ მეფეს „ქართველობისთვის“ მოსისხლის თვალით დაუწყო ცქერა. ქართველმა ფეოდალმაც უარესად შეიძულა „ხალხოსანი ხელმწიფე“. ფეოდალური სამართალი ბატონს ყმის განუკითხავი გაყიდვის უფლებას აძლევდა. სოლომონმა „შესწორება“ შეიტანა ამ უსამართლო სამართალში. მისი ბრძანებით ამიერიდან მხოლოდ ისეთი ყმის გაყიდვა შეიძლებოდა, რომელსაც რაიმე მძიმე დანაშაული აღმოაჩნდებოდა ჩადენილი.

ბოლოს, მაინც ყველაზე მთავარი, რაიც სოლომონ მეფემ თავისი ზნეობის პირველ წლებშივე გადაწყვიტა, ერთის დაკვრით, ყველასათვის მოულოდნელად — იყო სიერთოდ „ტყვისყიდვის“ აკრძალვა.

და აკრძალა მთელის სისასტიკით, სიკვდილის მიგებით.

უშიძმესი ცრემლი, კაეშანი და სირცხვილი მოუხსნა ქართულ ოჯახს დიდმა მამულიშვილმა.

ტყვის სყიდვა აკრძალულია?!

საური და საუდიერო ამოკვეთაო?!

აიშალა და აზვავდა ოსმალეთის სასახლის კარი. ფაიქები ფაიქებს მოსდევდნენ (ტამბოლიდან და ახალციხიდან ქუთათისს. ტყვის სყიდვაც სასწრაფოდ აღადგინე და ყოველი საოსმალო გადასახადი და გამოსაღები ისევ გაუცდენლად გადაიხადეო, თორემ... იმუქრებოდნენ ზონთქარი და ქართველთა „უახლოესი ფაშა“ ახალციხიდან.

სოლომონმა წინასწარ იცოდა, უსისხლოდ არც ოსმალთ დამპყრობი შეურიგდებოდა ტყვის სყიდვის აკრძალვას და არც შინაური ფეოდალი და ამიტომ იგი ქვეყანას საომრად ამზადებდა...

...და გადმოვიდა ზეკარის უღელტეხილით იმერეთში თურქთა და გათურქებულ ქართველთა უზარმაზარი მხედრობა.

თურქთა ურდოს თავისი ჭარბით შეუერთდა ზემო იმერე-

თს დიდი მთავარი ლევან აბაშიძე, ბიძა (დედამა) და მოსისხლე სოლომონ მეფისა.

თურქთა შემწედ ჯარი გამოგზავნა ასევე მეფის მტრულად მტრულად რაკინ ერისთავმა.

მეფის მოწოდებაზე მოვიდნენ და მის მხარეზე თავისი ჯარებით დადგნენ — კაცია და დიანი, მამია გურიელი და ხუტუნია შერვაშიძე.

შოპირდაპირენი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სოფელ ხრესილთან, 1757 წლის 14 დეკემბერს.

თურქთა მხარეზე — 44000 მეომარი, ქართველთა მხარეზე — 11000 მეომარი.

მეფეს ბრძოლის წინა დამეს არ დაუძინია. მისი ერთგული კარისკაცები და სარდლები პაპუნა წერეთელი და ბერი წულუკიძეც არ მოშორებიან. წინა დღით რომ მტრის ბანაკი დაზვერეს, თურქთა მარცხენა მხარე უფრო სქლად დალაგებული ეჩვენა სოლომონს. ამიტომ ეს მხარე თავისი მარჯვენა ფრთა, თვითონ აიჩნია სამეთაუროდ ხვალინდელ ბრძოლაში. მარცხენა ფლანგზე პაპუნა წერეთელი და დგინა, შუაგულში — ბერი წულუკიძე. კაცია და დიანი და ხუტუნია შერვაშიძე მეფესა და წულუკიძეს შუა უნდა დაეღარიყო, მამია გურიელი კი წულუკიძესა და წერეთელს შუა...

იქვე ხრესილი, მცირე სოფელი, დიდი სახელის მოლოდინში. მესამედ იყიელეს მამლებმა. დეინო მითითიყა სოლომონმა. მოართვეს. ახარფეშა შეუესეს. „დიდება ღმერთისა წმინდა გიორგი, შენ გაუმარჯვე საქართველოს და საქრისტიანოს, მეოხ ეყავ ჯარსა ჩვენსა სამშობლოს ხსნისთვის მსხვერპლად გამოადებულს!“ — თქვა მღელვარედ, დასცალა და გადააწოდა პაპუნა წერეთელს. „ღმერთო უსმინე ჩვენს ბატონს, მეცე სოლომონს!“ — შესძახა წერეთელმა და იმანაც გადაჰკრა საამერი. ჯვარი ისახეს და ხედმიყოლებით დასცალეს ახარფენა ბერი წულუკიძემ, კაცია და დიანმა, მამია გურიელმა და ხუტუნია შერვაშიძემ. ხემსი დააყოლეს, კარვიდან გავიდნენ და ცხენებს მოატყნენ.

ჯარი შემართული იდგა საომრად. სოლომონი მხედრობას შუაგულს მიეხალა და უნაგირზე შეიმართა. „შვილებო, — დაიწყო ოცდაორი წლის მეფემ — ძმებო, ქართველებო მყე-



რა, არ შეგაკრთობთ მტერთა სიმრავლე; ავი ყოველთაგანს გვეკორდა ქართველთა; მუდამ მცირენი ამარცხებდნენ ჩვენს წინაპარნი ათგზის უმრავლეს მოსისხლეებს. დღესაც მაინც არა როდი ვიბრძვით, არამედ ჩვენთან არს ძალი იესო მაცხოვრისა. და მისი თანადგომით დღეს უნდა ვიხსნათ ჩვენი სამშობლო და ქრისტეს სარწმუნოება. მამ, დავიძრათ გულმხნედ და ვაეჯაცურად, ჩემო შვილებო!" ხმალი ამართა, ცხენი დასძრა და მტრისკენ გაფრინდა. მიჰყვენენ ქართველნი ყოყინით, ბუჯ-ნაფირის ცემითა და ხმლების შხელით.

თურქთა ბანაკიც საომრად შემართული შემოეგება მოიერიშე ქართველობას. დადგა საშინელი ხმალთაყვეთება. ჯერ ისევ ღამე იდგა, მაგრამ მთვარის შუქზე მაინც არჩევდნენ ერთმანეთს მტრები. დილა რომ შემოდგა, უცნაურად ამოიკვეთა ბრძოლის სურათი. სოლომონ მეფე ოსმალთა შუაგულში შეჭრილიყო გააღმასებული ხმალცემით, მაგრამ მეფის ზურგშიც შემოჭრილიყვნენ თურქები. თვალი შეასწრო სოლომონმა: სამეფო დროშა მის მედროშეს აღარ ეჭირა. ქართველი მედროშე მთელათ და ქართული დროშა ახლა ოსმალთა ხელში რიალებდა, თურქული დროშის გვერდით. დროშის დაკარგვა კი დამკარგავს უეჭველ მარცხს უქადის. და ყველაზე ადრე მამია გურიელმა შეიგრძნო ეს ავი საფრთხე, მაშინვე თავისიანები გაიყოლია და შეუტია თურქთა იმ ნაწილს, სადაც ტყვედ ეპყრათ ქართული დროშა. გაარღვიეს და გაკაფეს გურულებმა ოსმალთა კორომი, თურქი მედროშენი ასწვრიტეს, ქართული დროშა აიტაცეს და გამოიტაცეს. ისევ გასწორდა ბრძოლის სასწორი. სოლომონ მეფეს კი ბრძოლას დაბერება არ უყვარდა და „სასწორის გადაწონვა“ ეტქაბებოდა. მან თურქ სარდალთაგან ყველაზე მამაცი ალი-ბეგ ფაშა აარჩია, ხმალდახმალ მიუხდა, დავლურში გაიწვია, დაეძგერა და თავმოკვეთილი ჩამოაგდო უნაგირიდან. მთავარსარდლის სიკედილმა გასაქცევად აღრძა თურქთა მხედრობა, მაგრამ მოღალატე ლევან აბაშიძემ გაამხნევა თურქი მეთაურები და ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. ხუტუნია შერვაშიძემ თექვსმეტი თურქი მეომარი ასჩეხა ხმლით, მეჩვიდმეტეს მისწვდა და... გულდაგულ ნასროლი თოფებით მოცელეს იგი. ბრძოლა შენეებოდა. მზე საშუაღდღოს დაეყუდა. იქვე მდგარ უზარმაზარი ცაცხვის ხეზე მეფის მეომარი გლეხი ბრეგაძე



ასულიყო და უვიროდა: „ფაშა ალი-ბეგი მოჰკლეს, ქართველებმა გაიმარჯვეს, თათრის ჯარი და ლევან აბაშიძე მოკლეს! ნენ!!!“ თოფი მოიმარჯვა ლევან აბაშიძემ და დაუბრუნდა მათ მკვირალ ბრეგადეს. მაგრამ დაასწრო გეგელა თევდორაძემ და ნასწრაფევი გასროლით აბაშიძე სიცოცხლეს გამოასალმა. „ლევან აბაშიძე მოჰკლეს!“ — დაარისხა ბიდან ბრძოლის ველს უცნაურმა „ქეროლდმა“. თურქები მარცხს უკვე შერიგებოდნენ და სიცოცხლის სამველად გარბოდნენ, ვის როგორ და საით მოუხდებოდა. ქართველებიც მისდევდნენ და იჭერდნენ ლტოლვილთ.

ბრძოლა გათავდა. 12000 ოსმალო მეომარი დარეცილიყო ხრესილის ველზე, 15000 ტყვედ აეყვანათ გამარჯვებულებს. ყოველ ქართველ „კაცსა ერთსა მოჰყავდა ათი ოსმალი შობული“. დანარჩენმა მუსლიმებმა ძლივს გადაასწრეს იმერეთიდან.

ასე დასრულდა ხრესილის ომი, ყველაზე დიდი სამამულეშიელო ბრძოლა დასავლეთ საქართველოს მიწაზე...

ხრესილის ბრძოლის კვალდაკვალ სოლომონმა განდევნა თურქული ციხიონები ქართული ციხეებიდან.

იმერეთის სამეფო უკვე დახსნილი იყო ოსმალური უღლისა და კირთებისაგან. სამუდამოდ მოისპო წინააღ იმერელ ჭონდრისკაც მეფეთა სამარცხვინო თიყუნი: „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა“.

ხრესილის ძლევა მოსილებისა და თურქული უღლის გადაგდების შემდგომ სოლომონის ბეჭედზე გაკეთდა წარწერა, ღირსი მისი დიდბელმწიფობისა: „ლომებრ მეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე, იმერთ მეფე — სოლომონ“.

რასაკვირველია, თურქეთი, „ბრწყინვალე პორტა“, ასე იოლად არ შეურიგდება იმერეთის დაქარგვას და იმერთა მიწაზე ეგზომ სამარცხვინო მარცხს. კიდევ მრავალჯნის მოვლენ ცეცხლითა და მახვილით დასავლეთ საქართველოში, ბევრ სისხლსაც დააქევენ და ბევრსაც დაიქევენ, გამარჯვებითაც გაიმარჯვებენ და მარცხითაც დამარცხდებიან, მაგრამ სოლომონისებრ შეურიგებელი, მისებრ საშიში და დაუსტრომელი მტერი თურქებს აქამდე ქართულ მიწაზე არ შეხვედრიათ. სანამ სოლომონი ცოცხალი იყო, თურქისთვის ქართული მიწა დაუპყრობელი და დაუმკვიდრებელი ჩანდა.



1768 წელს, ივნისში, სოლომონ მეფემ ქუთაისში დატოვა მისი მაქსიმე აბაშიძე ვაგზაენა რუსეთს. ჩემი სამეფო „საიმპერიოდ აღრიცხეთო“, სწერდა სოლომონი ეკატერინე მეორეს, ოღონდ თქვენს მფარველობაში მიგვიღეთო და, „ქრისტეს შეწევნითა“, ქრისტიანული სკულისთვის და თქვენთვის „უცხო თესლთა, ოსმალთა შეკავდებიო“.

ამგერად რუსთ ხელმწიფის კარს სჭირდებოდა საქართველო. სჭირდებოდა, რადგან უკვე ჩამომდგარიყო რუსეთ-თურქეთის ახალი ომი (1768-1774). კავკასიის იმედი ამ ომში ორივე მეომარ მხარეს ჰქონდა, თურქეთსაც და რუსეთსაც. თურქეთს კავკასიელი მამამდიანები ჰყავდა წოკავშირედ დაგულბებული, რუსეთს — კავკასიელი ქრისტიანები.

საომარი ასპარეზი შავი ზღვის ორივე მხარეს უნდა გამართულიყო — აღმოსავლეთით და დასავლეთით. აღმოსავლეთ ასპარეზზე, ანუ „კავკასიის ხაზზე“ („ლინიაზე“) რუსეთის მთავარი საყრდენი ისევ და ისევ საქართველო უნდა ყოფილიყო.

1769 წლის 21 მაისს, ტფილისში, ერთმანეთს შეხედნენ გარუსებული ქართველი თავადი პორტუჩიკი ზეაბულოვი (ქობულაშვილი), ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი. აქ გამოცხადდა რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ერთიანობა და სავსებით მტრის, თურქეთის წინააღმდეგ, ქართველი მეფეები რუსეთთან კავშირში ირანისა და თურქეთისაგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებას, ლეკიანობის, ოსმალობისა და ყიზილბაშობის სამუდამო აღკვეთას იმედოვნებდნენ. ხოლო, რუსეთის მთავრობა თავის მხრივ ქართველთა საშუალებით ამიერკავკასიაში თურქთა დიდი ძალების დაბანდებას ფიქრობდა, ბალკანეთის მთავარ ფრონტზე რომ შეტევა გააღვილებოდა.

1769 წელს, დარიალის გამოვლით, რუსთა ჯარი (480 პესარი და კახაკი) საქართველოში შემოვიდა. სარდლად მოუძღოდა გენერალი ტოტლებენი, ყოვლად შეუფერებელი კაცო უნიკო და უზნეო, წარმომავლობით გერმანელი, რომელსაც საკუთარი პატივმოყვარეობის იქით არაფრად მიაჩნდა არც



რუსეთი და არც საქართველო: ჩვენ აქ, ამიერკავკასიაში, თურქების წინააღმდეგ რუსული სულით და ქართულად ვსუბუქავთ. ცით უნდა ვიომოთო, — ასეთი განაზრახით მოდიოდნენ ტურქულენი ბენი, — ანუ, თურქეთთან ომში ჯარი ქართველებისა უნდა იყოს, ჩვენი კი — სულიერი გამხმევებათ!

მომდევნო წელს რუსეთის ხელმწიფემ, დედოფალმა კატერინე მეორემ, საქართველოში ტოტლებენთან შესაერთებლად კიდევ გამოგზავნა 2762 მეომარი, რუსეთში გაზრდილი ქართველი თავადის ჩოლოყაშვილის სარდლობით.

ასპინძიდან ქრნანისამდე

ღრუბელი გასივდა და სიკვდილს წვიმდა.

გიორგი მეშინი

აწყურნი და ასპინძა

ერეკლე მეფე და გენერალი ტოტლებენი ქართველთა და რუსთა მხედრობით მტკვრის აყოლებით მესხეთისკენ გაეშურნენ.

1770 წლის 17 აპრილს მიადგნენ აწყურის ციხეს. ერეკლე არ აპირებდა აქ შეჩერებას. მან იცოდა, რომ მთავარი ახალციხის აღება იყო, რის შემდეგაც მესხეთის ყველა ციხე დაიცილებოდა თურქული ციხიონებისგან. მაგრამ ტოტლებენი გაჩიქდა: მაინცდამაინც ჯერ აწყური უნდა ავიღოთ და მერე ახალციხეო. აიჩემა და თავისივე გაიტანა, აწყურის ციხესაც ალყაში მოქცევა დაუპირა, მაგრამ ორი დღის შემდეგ სრულიად მოულოდნელად თავისი ქარი ბანაკიდან აპყარა და უკან გამობრუნდა. ბევრს ეხვეწა და ემუდარა ერეკლე, მაგრამ არაფერი გაუვიდა. მერე ერეკლეს უფროსი ძე და მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი წამოეწია ბრძოლიდან გამოქცეულ მოკავშირეს. ბევრი არცხვინა, არც მოლაღატისა და მხდალის სახელი დააკლო, არც მუქარა ეკატერინე დედოფალთან დაბეზღებისა, მაგრამ კვლავ არაფერმა გასჭრა. ტოტლებენმა რუსის ქარი ბრძოლის ხაზიდან გამოაქცია. ქართველები მარტო შერჩნენ მტერს.



რუსების წასვლამ აწყურში ჩასაგრებული თურქები ხნევა, ქართველები კი დააღონა. ვიღაც თურქი მხედარი ციხიდან გამოიჭრა თამამი ჭირითით და ქართველები იმდენი გაიწვია. გავიდა ლუარსაბ ვაჩნაძე, კახი თავადი, სოფელ კოლაგიდან. შეება იმ თურქს, თვითონ სახეში დაიჭრა, მაგრამ მოპირდაპირეს თავი გააგდებინა და მეფეს მოართვა. თურქული ციხიონი დაიზაფრა.

ერეკლემ აწყურთან დგომა უნაყოფო საქმედ ჩასთვალა და ჭავჭავთ-თრიალეთის გზას გაუდგა ჯარით. თურქებმა იფიქრეს, ქართველები ბრძოლას დაუშინდნენო და გრიალით გამოიჭრნენ ციხიდან.

ერეკლემ ფიცხლავ ცხენოსანი ჯარი გადაარჩია, შეატრიალა და შეაყვითა მოიერიშე მტერს. გულჯაერიანად შეუტოეს ქართველებმა უკუიქნენ თურქნი. მიჰყვნენ ქართველები გააფთრებული ჩეხვით. ხუთასი მკვდარი შეატოეს თურქებმა ქართველებს და ისევ შეცვიდნენ და შეიყეტნენ აწყურის ციხეში.

გამობრუნდნენ და წამოვიდნენ ქართველები. ასპინძის გზით მიჰყავდა ჯარი წუხილით გულდამძიმებულ მეფეს. მტკვრის მარჯვენა მხარეს მიჰყვებოდნენ. მდინარე ერთობ აღიდებულყო. ერეკლე მტრის მოულოდნელ შემოფეხობას ელოდა და წინააყრძში დარჩეული მხედრობით მიდიოდა საომრად გამზადებული.

ასპინძა გამოჩნდა.

ერთბაშად ოსმალთა და ლეკთა ჯარი ამოსხლტა მიწიდან — 1500 მეომარი. ხერთვისიდან და ახალქალაქიდან გამოეყვანათ ფაშას ბრძანებით. საშინელი ყიფინით მოჰქროოდნენ. ქართველების ხილვაზე უეცრად შედგნენ.

ერეკლე ჯარს მიუტრიალდა: „ქართველებო, ყოველ განსაცდელში განუყრელო ძმანო! ეს იცოდეთ, რომ ჩვენი უკან გაბრუნება არ იქნება იმიტომ, რომ თუ რუსების ჯარს ოსმალთა მიეწევა, დიდს ვნებას მისცემს და მას უკან გაქვებულნი ოსმალ-ლეკნი საქართველოსაც აგვიოხრებენ; უმჯობესია ამისათვის ჩვენ აქ გაეწყდეთ. ეხლა, ამის შემდეგ თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ, ქართველებო, აბა, რჯულისთვის და მამულისთვის!“ შეჰყივლა, ხმალი აღმოიხდინა და ცხენს ქუსლი ჰკრა.



მძლავრი დაძვრება და უმაღლეს დიქაბუნეს ქართველეთა
 ლეკ-ოსმალნი. უკუაქციეს და გამოენთნენ უწყადე, ჩაქმნილნი
 ბით. მტკვარს შიარტყეს და შიგ გადააქარეს უწყადე, ჩაქმნილნი
 ცემით, თუ მუშტის შემოკვრით, თუ ცხენის ძვერებით. ათა-
 სამდე ლეკი და ოსმალთ შეიწირა ხმალმა და წყალმა. ხუთა-
 სამდე ძლივს გაქცა სიყვდილს.

ხმლების ჩაგება და ოფლის მოწმენდა ვერ მოასწორეს გა-
 მარჯვებულეზმა, რომ ასპინძასთან, მტკვარის მარცხენა მხარეს,
 თურქთა და ლეკთა შთავარი ძალები ამოიშართნენ. ის ამოწყ-
 ვებული ათას სუთასი კაცი თურქე სახელდახელოდ გამოეგ-
 ზენა ნოშან ფაშა ახალციხელს. ახლა კი 2000 თურქი
 და ლეკი მოილტვოდა ქართველთა წასახდენად და ამოსაწყვე-
 ტად.

თურქებს მოუძლოდნენ — არტანბეგ ბეჭირბეგი, თორმეტა
 სანჯაყის მფლობელი, გოლა ფაშა, ბეგი შავშეთისა, ფაშა ყუ-
 ლიანისა, ფაშა კარცხლისა და ფაშა ოლთისისა.

ლეკებს კი სარდლდ ედგა კობტა-მალაჩილა, ქართველე-
 ბის „ახლო ნაცნობი“, ატოციან ქართული ხმლისგან „ჭკუ-
 ნასწავლი“, მაგრამ იმეამინდელი დაღესტნის მაინც ყველაზე
 დიდი ბელადი: მას თანაშემწეებად მოსდევდნენ: უსუფ ბე-
 ლადი, ჰაჯი მამედ ბელადი და ყუმუხის ბატონიშვილი გამარა,
 რომელიც თურქეთის სულთანს მუსტაფა მესამეს ორი დღე
 წინათ ტფილისის ფაშად დაენიშნა..

ერკლემ სამი ათასი მხედარი აარჩია, თვითონ წარუძღვა
 და წინ წავიდა. დანარჩენი ჯარი ზურგში მოშორებით დატო-
 ვა.

თურქ-ლეკთა მხედრობა უკვე გადმოდიოდა ასპინძის ხიდ-
 ზე, მდინარის მარცხნიდან მარჯვენა ნაპირისკენ. მზე ჩადიო-
 და. ერკლემ საომრად ამაგრული მეომრები ჩააწყნარა და
 მტერს ხიდზე გადმოსვლა აცალა. მზე ჩაიწრიტა და ლეკ-
 ოსმალთა ჯარიც გადმოიწრიტა მტკვარის მარჯვენა ნაპირზე.
 წყვედიადი ჩამოწვა. მღუმარედ უცდიდა გათენებას ორივე
 ბანაკი. იქვე სოფელი ასპინძა იწვა, დიდი საისტორიო სა-
 ხელის მოლოდინში..

იმ დამით ერკლესგან სახელდახელოდ წარგზავნილმა გუნ-
 დმა, მტრის შთავარი ბანაკისგან ნამალეუად, ხიდზე თურქა
 გუშაგები ჩახოცა და თვითონ ხიდი აპყარა. ამით, მაშველ ძალ-



თა მოსაველელო გზა მოეჭრათ თურქებსა და ლეეებს. უნდასა...
ხევი გზა ც ჩაეჭრათ...

მაშ, ასპინძა, 20 აპრილი 1770 წლისა. ეროვნულნი
გინებნიქითქან

სისხამზე ილო ხელში ბრძოლის სასწორი ომის დეფებაჭ
ერთ მხარეს — 8000 თურქი და ლეეო, მეორე მხარეს — 3000
ქართველი.

ქართველთა მარჯვენა კერძზე დგას სიძე ერეკლე მეფისა,
სარდალი და სახლთუხუცესი დავით ორბელიანი,
მარცხენაზე — გორგი ბატონიშვილი, შუაგულ-
ში — თვითონ ერეკლე მეფე.

მოპირდაპირე მხარეს მარჯენიე და მარცხნიე ოსმალები
ჩამდგარან, შუაში — ლეეები. მემარჯვენე სარდლად არტან-
ბეგ ბექირბეგი დგას. მემარცხენედ — გოლაფა-
შა. შუაზედ — კოხტა-მალაჩილა...

ახალშობილი შშის სხივი დასცემოდა ერეკლე მეფის და-
ორთქლილ ხმალს. ჯარს მიუთხრობდა მეფე სიტყვას: „გულო-
ვანო მხნეო ქართველნო, ჩემო განუყრელნო ყოველსა საშო-
ნელებაში, ჩემო გულის ძმანო! ეს ამისთანა გაჭირვებული
ომი ჩვენს თავზე პირველი არ არის. კარგად გააჩიეთ და
დაინახეთ, რა სიკედილის ღზინი არის დღეს! ვიომოთ სიკედ-
ლამდის, ასე სიკედილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა ვერ
იხილოს: ეს ხომ ჯაბანთა წესი არის. თქვენს წინ მე გადა-
წყვეტით ვადიარებ, რომ დღეს ან უნდა გაეიმარჯვოთ, ან უნდა
გამოვესალმოთ ჩვენს თავს და აქ უნდა გავწყდეთ. ჩვენს ცოლ-
შვილში ხომ სირცხვილია დამარცხებით მისვლა. მე რე რა პირს
დაგვინახავენ ის ჩვენი კარგი დედაკაცი? შავსა დამარცხე-
ბულ პირსა! და თან გვეტყვიან: აბა, ჯაბნებო, წადით, დაიკარ-
გენით ჩვენგნითაო... აბა, ჩემო გულის ძმებო, მინამ იმათ წიხ
ამ სირცხვილით წარვდგებოდეთ, გვიჯობს ჩვენს წმინდა სიკ-
ედილზე თმები ვაწეწინოთ იმათ, ჩვენს დაქვეულ სისხლზე-
და, ჩვენის მამულისათვის. მაშ, ან გაეიმარჯვოთ, ან გავწყ-
დეთ. ქართველებო, მეც ხომ აქა ვარ, თქვენ გენაცვალოთ
თქვენი ერეკლე!“

თქვა და ცხენი მოსხლიტა. მიჰყენენ ქართველნი მძლავრა
ყიყინით. შემოეგებნენ ლეე-ოსმალნი „აღლაპ-ილალაპის“
ბლავილით. ისევ მისვლისთანავე დაიჭაბნეს ქართველებმა მო-
პირდაპირე. მეწინავენი ჩაჰკაფეს და ჩააწინეს. დავით ორ-

ბელიანმა მისდროცა მტრის მარცხენა ფრთა, ვიორჯო მარცხენა მარცხენა კერძამაც მოშალა და შეუაქცეა ოსმალთა მარჯვენა მხარი. მაინც ერეკლე იყო პირველი გმირი, რომელმაც ველოს „პირველი ხმალი“. შეიდი ხევსური იბრძოდა საარაკო სიმამაცით საყვარელი ხელმწიფის გვერდით. მზე სამუაღდღოს მიუახლოვდა. მტკვარისკენ მიერეკებოდნენ ქართველები აქრილ-ამლილ ოსმალთა რაზმებს. ლეკები მაგრობდნენ ისევ. ერეკლემ ლეკებს მიუსია ქართველთა შეუაყრძი. კოხტა-მალაჩილა გამოიჭრა წინ და გაითხოვა ბრძოლაში ერეკლე მეფე. მყისვე მიუადა ერეკლე. ხმლების გაელვება და... ცალ-ცალკე დაგორდა მიწაზე ლეკთა ბელადის თავი და ტანი. ახლა ლეკებმაც იკადრეს გაქცევა. მტკვარს მიაწყდა მუსლიმთა ბრძოები. ხიდი აყრილი დახვდათ. წყალსა და ხმალს შორის მოექცნენ ლეკ-ოსმალნი. მუსლიმანური მხედრობის ნახევარი ხმლით აჩეხილი ეყარა ქართულ მიწაზე, მეორე ნახევარმა კი ხმლით უეჭველ სიკვდილს ისევ წყალი ამჯობინა გაცურვის ვარაუდით. და გადაეშვა წყალში, მაგრამ დიდრობით აბობოქრებული მდინარეც მტრულად დაუხვდა საქართველოს მოსისხლეებს. მხოლოდ ცამეტმა ლეკმა თუ ოსმალომ გააღწია მარცხენა ნაპირს. ოთხი ათასი ჩაითრია და ჩაახრჩო თავის წიაღში მდინარემ. ტივებად შეკრული მიქქონდა მტკვარს საქართველოს მთხართა გეამები. ოთხი ათასი კი მდინარის მარჯვენა ნაპირზე ეყარა, ქართველთა ხელით აჩეხილი. დახოცილიყო ყველა მათი სარდალი. ქართველებს დარჩათ მტრის ოცდახუთი დროშა, ცხენები, საქურველნი, ალაფორანნი. ტყვედ ჩავარდნილიყო და სიკვდილს გადაჩქენილიყო მხოლოდ 36 ოსმალთ და 1 ლეკი. ქართველთაგან კი დაღუპულიყო 25 კაცი.

ასე განესრულა სახელოვანი ასპინძის ბრძოლა. სწორედ რომ სახელოვანი და დიადი. მაგრამ შედეგი — გარდა დიდი სახელისა — საცხებით არაფერი! რუსთა სარდლის, გერმანელი გენერლის ღალატის წყალობით ასპინძის გმირები მაინც ხელყარიელნი ბრუნდებოდნენ მესხეთიდან ტფილისს.

ასეთი იყო ქართველთა კიდევ ერთი უიღბლო გამირობის ამოთეოზი.



ტოტლებენი უარესად გადაემტერა ერეკლეს. ჩამოგდებაც კი დაუპირა და საამისოდ რამდენიმე ქართველი თავადიც ჩაითრია შეთქმულებაში. მაგრამ ერეკლე ძლიერად ამოქმედდა, თვითონ რუსი ოფიცრების სიმპათიებით და ერთგულებით ისარგებლა და ტოტლებენს დაემუქრა „არესტიით“. დაფრთხა და დადედლდა ტოტლებენი. შერიგების თხოვნით მიმართა ერეკლეს. ერეკლემაც დათმო, თუმცა სიამაყით ამბობდა: რუსის ჯარში, ტოტლებენის გარდა, ყველას უკლებლივ ჩემი სიყვარულით ავსებულ ადამიანებს ვხედავო.

ტოტლებენს ერეკლესთან მაინც აღარ დაედგომებოდა და სულაც გაეცალა. იგი სასწრაფოდ გადავიდა იმერეთს სოლომონის „მისაშველებლად“. მაგრამ აქაც, თავისი უტაქტობით იმერეთის მეფესთანაც განხეთქილება მოუხდა.

როგორც იქნა პეტერბურგის კარზე მიხედნენ, რომ საქართველოში „ტოტლებენი რუსეთს უფრო სირცხვილს უხვევდა, ვიდრე სახელს“. ამიტომ ტოტლებენი უკან გაიწვიეს და მის ნაცვლად რუსული მხედრობის სარდლად საქართველოში გენერალი სუხოტინი დანიშნეს.

მაგრამ სუხოტინიც თავნება და „ახირებული“ გენერალი აღმოჩნდა. მან დასავლეთ საქართველოს მესვეურების რჩევას ანგარიში არ გაუწია, ფოთის თურქულ ციხიონს ალყა უდროთ დროს შემოარტყა, ალყა გაჰიანურდა, რუსი მეომრები ადგილობრივმა ჰაევამ ცუდად დასცადა, — მალარიითა და ციებ-ციხელებით ჯარის დიდი ნაწილი გაწყდა და დანარჩენები უკუიქცნენ.

1772 წელს რუსთა მხედრობა საქართველოდან ისევ რუსეთს დაბრუნდა. ამით ოსმალეთმა ისარგებლა და იმერეთის დასასჯელად 5000 მეომარი გამოგზავნა. სოლომონ მეფემ ეს ჯარი ჩხერის ხეობაში ჩაიმწყვდია და სისტკიად დაამარცხა. მხოლოდ შეიდასმა თურქმა და ლეკმა დააღწია თავი სიკვდილს.

1773 წელს ერეკლემ და სოლომონმა კავშირი განაახლეს, ძმობა დაიფიცეს და ერთიანი საომარი განაზრახვი განიზრახეს. იმავე წელს მეფეები 11000 ამერ-იმერი მეომრით ჯავახეთს ჩავიდნენ და ახალქალაქს დაეცნენ. ალყა დაბერდა, სოლო-

მონ მეფე მძიმე ავადმყოფი შეიქნა საოფლით, ისეთი მძიმე, „რომ სიკვდილი მიახლდა“. აქიმებმა რომ საშველი ვერ გაუჩინეს, იმერლები აიყარნენ, ავადმყოფი მეფე საჯაროდ იმერეთს და იმერეთს დაბრუნდნენ. ახალქალაქის თურქული ცახიონი ქართულ ხმალს გადაურჩა.

1974 წლის 10 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთი და თურქეთი შერიგდნენ. ამ ზავით ვერც ერეკლემ და ვერც სოლომონმა თავისი სამეფოების სისარგებლოდ ვერაფერაც ვერ მიიღეს. იმერეთი ისევ ოსმალეთის საყმოს ქვეყნად სცნო რუსეთის მთავრობამ, მაგრამ სოლომონმა ქუჩუკ-კაინარჯი არ სცნო და ისევ განაგრძობდა ბრძოლას.

ქართლ-კახეთისთვის უიღბლო რუსეთ-თურქეთის ომმა თვითონ ერეკლეს „პიროვნული იღბალი“ დიასაც განადიდდა და განაბრწყინა. შსოფლიოს ეკერა პირზე ქართველი მეფის სახელი. ჭერ კიდევ ცოცხალი იყო პრუსიის დიდი ხელმწიფე და მხედართმთავარი ფრიდრიხ მეორე, რომელსაც ეთქვა: ქვეყნაზე ახლა ორი დიდი სარდალი ცხოვრობს — დასავლეთში მე, აღმოსავლეთში ერეკლე მეფეო. ჭერ კიდევ ასპინძის ომამდე გამოქვეყნდა დიდი გერმანელი მწერლისა და ფილოსოფოსის ლესინგის პიესა „მინა ფონ ბარპელმი“, სადაც ერეკლე — ქართველთა „პრინცი“ და მეფე — წარმოდგენილია ეთარცა „უმათაცესი ვაჟკაცი, რომელმაც სპარსეთი დააჩოქა და დღეს თუ ხვალ თურქეთის კარიბჭეებშიც შეიჭრება ძღვევამოსილად“. პიესის გმირები, უსაქმურობით სახსარმოშლილი ახალგაზრდა გერმანელები, საქართველოში წისასვლელად ემზადებიან, რათა იქ, „მისი უმაღლესობის პრინცი ირაკლის მთავარსარდლობის ქვეშ, ორ-სამჯერ მაინც გაილაშქრონ თურქების წინააღმდეგ“. ევროპისა და რუსეთისა ეურნალ-გაზეთები აჭრელებული იყო ერეკლეს „საოცარი ბიოგრაფიებით“, ნამდვილი ისტორიებით და ამოდსაკითხავ ლეგენდებით.

მეზობელ და მოძმე სომხებს ხომ ვალმერთებულნი ჰყავდათ ქართველი მეფე. დიდი სომეხი მამულიშვილი იოსებ ემინი ჭერ კიდევ 1758 წელს ლონდონიდან სწერდა ერეკლეს: „შენი სახელი ინდოეთში ვაფიგონე, ხოლო ინგლისში შენი გამარჯვებების ამბები შევიტყვეო“. მერე ემინი პირადად ეწვია „ქართველთა და სომეხთა გმირს“ საქართველოში.



ეწვია და სიყვარულით ჩაიწერა თავის მემუარებში. სომეხ
 ქართველთა ერთიანობის შექადებულმა: „ერეკლე მეფე მო-
 ცრო სიმაღლის მამაკაცია. მის შავგვრემან სახეს ხანამწიფნი
 ხან ყვითელი ფერი გადაჰკრავს; მას კარგად მოყვანილი
 ნი აქვს, იგი მძლავრია სულითაც და სხეულითაც. მასთან სა-
 უბარო ისევე სასიამოვნო და ჭკუის სასწავლებელი იყო, რო-
 გორც განსწავლულ ინგლისელ ჯენტლმენებთან საუბარია. იკა
 ბოკლებულია ყოველგვარ ამპარტავნობას, ძალდატანებასა და
 ქედმაღლობას, ესოდენ ჩვეულებრივს სხვა აზიელი ხელმწი-
 ფეებისათვის; იგი დიდ გონებამახვილობას ამჟღავნებდა და
 არასდროს არ ტრაბახობდა; მისი ხმა ისეთი მელოდირი იყო,
 რომ ანგელოსის ხმა გეგონებოდათ... ერთხელ ერეკლე მეფემ
 მღვდელ ტერ-ფილიპესთან ერთად თელავის სასაბლეში მი-
 მიწვია. საუბრის ვამს ერეკლემ თქვა: მას შემდეგ, რაც ორი
 მოძმე ვრი, ქართველები და სომხები, რელიგიური დოგმატი-
 ბის დარგში ერთმანეთს დასორდნენ, ისინი ცალ-ცალკე გან-
 მარტოებულნი აღმოჩნდნენ და ურჯულოთა უღელქვეშ მო-
 ექცნენო; საჭიროა, რომ ისინი ისევ გაერთიანდნენ (და თავის
 აზრის უკეთ გამოსახატავად მეფემ ხელი ხელს გადააქდო),
 თორემ უამისოდ ვერც ქართველები და ვერც სომხები ვერა-
 ვითარ კეთილშობილ გეგმას ვერ შეადგენენო“. მაშინ, სალა-
 მოს ცხრა საათიდან ნაშუაღამევის სამ საათამდე გაგრძელე-
 ბულა საუბარო სომეხ-ქართველთა საოცნებო ერთიანობის
 გარშემო. მას უკან იოსებ ემინის თანამემამულემ და თან-
 მებრძოლმა მოვსეს ბაგრატიანმა ინდოეთში, მად-
 რასში, გამოსცა „შეგონებად“ წოდებული ახალი წიგნი.
 ერეკლე მეფე სომეხი ბაგრატიონების შთამომავალიც არისო
 და, მაშასადამე, იგი სომეხ-ქართველთა ერთიანი ხელმწიფე
 უნდა იყოსო...

ირანის მბრძანებელი ჭერიმ-ხანი კი გამწყრალიყო ქართ-
 ველ მეფეზე რუსეთთან მისი ურთიერთობის გამო. მაგრამ
 მალე გული მოიბრუნა ჭერიმ-ხანმა ერეკლეზე. ეს კი მაშინ
 მოხდა, როცა ერეკლემ ახალციხიდან შემოჭრილი თურქო-
 მალონი დაამარცხა, დაედევნა და ახალციხემდე მუსლიმანუ-
 რი დასახლებანი ერთიანად დაარბია. მაშინ თურქეთის სულ-
 თანმა ჭერიმ-ხანს მისწერა: „თუშკა ჩვენსა და თქვენს შორის
 არის მშვიდობა, რამეთუ ზავ გვიყოფიეს. გარნა ეგრეთოცა ილ-

გიშვია ერთი ლომი (რომელ არს საქართველოს ეპოსი), რომელიც ახსრებს მარადის სმფლობელოსა ჩემსა და ამათ გამაღიხარების ჩემგან არამცირედი ხაზინანი, რომლისაგან მამაჩემი განცხადება მეგობრობისადმი თქვენისა და ვთხოვთ, რომელიცა იგი ესევეთარისა მძლავრებისაგან“: დიდად ვაბაჩა ამ წერილმა ქერიმ-ხანი: როგორ არ უნდა ვცემდე პატოს ერეკლე მეფეს, თურქეთის ფადიშაჰი რომ ჩემს წინ დაუჩოქებია და აჩივლებსო. და გამოუგზავნა მაშინ ირანის ხელმწიფემ ერეკლეს „სიყვარულით აღსავსე“ წერილი, ოქროს ხმალი, ოქროთი დარაბტული და ოქროს სხვა იარაღით დატვირთული ბედაური...

...მაგრამ რუსთა წასვლის შემდეგ კიდევ უფრო გათამამდნენ ლეეები. მაშინ ერეკლე მეფემ შექმნა „მორიგე ქარი“ უმაჰაყესი ძის ლევან ბატონიშვილის სარდლობით. მეფის ბრძანებით ყოველი ბრძოლისუნარიანი მამაყაი ერთი თვით სამხედრო სამსახურში მიდიოდა. ლევან ბატონიშვილმა „მორიგე ქართ“ საესებით აღკვეთა ლეეთა თარეში ქართულ მიწა-წყალზე. მაგრამ თავადები არ შეურიდნენ მორიგე ქარში ყმა-გლეხთა გაწვევას. ამას ლევან ბატონიშვილის მოულოდნელი დაღუპვა დაერთო და ერეკლე მეფის ეს მნიშვნელოვანი „სამხედრო რეფორმაც“ ჩაიშალა.

ბ ი ო რ ბ ი ე ვ ს კ ი

მეთვრამეტე საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობანი ამიერკავკასიის ვზაყვანძზე განსაკუთრებით გართულდა და დაიძაბა. სამი მსოფლიო მონარქია — რუსეთი, ოსმალეთი და ირანი — არასოდეს ისე მძაფრად არ დაპირისპირებიან ერთმანეთს, როგორც იმეამად. სამივეს ძალიან „სჭირდებოდა“ საქართველო და საქართველოსაც ისლა დარჩენოდა, არჩევანი გაეკეთებინა.

საქართველოს „არჩევანი“ კი ისევ უყოყმანოდ რუსეთი იყო.

რუსეთის იმპერიის „სამხრეთულ საქმეებს“ განაგებდა ეკატერინე მეორის პირველი დავორიტი, რუსეთ-თურქეთის ომის გმიტი, მთავარსარდალი, ბრწყინვალე თავადი, ფელდ-

მარშალი გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი. სწორედ მას დაევალა ხელმწიფისაგან ამიერკავკასიის „ყველაზე მნიშვნელოვან საქმეთა“ გარიგება — სანაპირო სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა. „არწყინვალე პოტიომკინს“ თანაშემწედ დაუნიშნეს ახლო ნათესავი, ჩრდილოეთ კავკასიის საომარი ძალების („კავკასიის ლინიის“) მთავარსარდალი, გენერალ-პორუჩიკი პავლე სერგის ძე პოტიომკინი.

პავლე პოტიომკინის შტაბ-ბინა კი ქალაქ გეორგიევსკში იყო. „ედანვე შეუდგა იგი კავკასიის საქმეთაგან უმნიშვნელოვანესი — საქართველოს საკითხის შესწავლასა და „მოგვარებას“...

...1783 წლის 24 ივლისი — დიდი საისტორიო სამანი საქართველოს ისტორიაში.

ამ დღეს ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხესიმაგრეში, გეორგიევსკში დაიდო რუსეთ-საქართველოს „მეგობრობითი პირობა“, ანუ „ტრაქტატი“, რუსთაგან ტრაქტატს ხელს აწერენ გენერალი პავლე პოტიომკინი და პოდპოლკოვნიკი ტამარა. ქართველთაგან კი გარსევან ჭავჭავაძე და იოანე მუხრანბატონი.

გეორგიევსკის ტრაქტატი ითვალისწინებდა ორმხრივ ვალდებულებებს: ქართლ-კახეთის მეფე უარს ამბობს ირანის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს ქვეშევრდობაზე და სამუდამოდ შედის რუსეთის მფარველობაში; ამიერიდან სამეფო რეგალიებს ქართველი მეფე მიიღებს რუსეთის იმპერატორის ხელით; თავის მხრივ, ქართველი მეფე ერთგულების ფიცს აძლევს რუსეთის ხელმწიფეს; ქართლ-კახეთის მეფეს უფლება არა აქვს რუსეთთან შეთანხმების გარეშე აწარმოოს რაიმე საგარეო პოლიტიკა; ქართლ-კახეთის მეფე ვალდებულებას კისრულობს, საჭიროებისთანავე, რუსეთის სამსახურში გამოვიდეს მთელი თავისი საომარი ძალებით; რუსეთი კისრულობს ქართლ-კახეთის დაცვას; ზრუნვა დაცვისა გავრძელება იმ ქვეყნებზეც, რომლებიც დროთა მანძილზე შემოუერთდება ქართლსა და კახეთს; რუსეთი კისრულობს ერეკლესა და მისი შთამომავლობის დაცვას ქართლ-კახეთის ტახტზე; შინაურ საქმეებში ქართლ-კახეთის მეფე სრულიად დამოუკიდებელია; რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი ქართლ-კახეთის შინაურ საქმეებში ვერ ჩაერევიან; ერეკ-

ლე მეფე კისრულობს სოლომონ იმერეთის მეფესთან თანხა
შობით ყოფნას, ხოლო მათ შორის რაიმე უთანხმოებებს შექ-
მბეფვაში შუამავლობა ეკუთვნის რუსთა ხელმწიფის ვაჟი
ველთა ჯარის სიმტკიცედ და საქართველოს დასაცავად მო-
სალოდნელი ვარე შემოსევისაგან, რუსეთის ხელმწიფე სა-
ქართველოში მუდმივ სამყოფად აგზავნის ორ ბატალიონ
ქვეით ჯარს; ომის შემთხვევაში, რუსეთის მენაპირე ჯარის
სარდალი, რუსეთის ხელისუფლების რწმუნებით, ქართლ-კა-
ხეთის მეფესთან ერთად გამოდის საერთო მტერთან საომრად;
ქართველი თავადაზნაურობა უფლებრივად უსწორდება რუს
თავადაზნაურობას; ასევე, ქართველი ვაჟრები რუსეთში ლე-
ბულობენ რუსი ვაჟრებისათვის დადგენილ შეღავათებს; რუ-
სეთის ხელმწიფე კისრულობს, ომისა თუ ზავის პირობებში
ყოველნაირად იღონოს, დაუბრუნდეს ქართლ-კახეთს ვარეშე
მტერთაგან მიტაცებული ქართული მიწები.

1784 წლის 22 იანვარს „ტრაქტატს“ ხელი მოაწერა რუ-
სეთის ხელმწიფემ ეკატერინე მეორემ.

იმავე წლის 24 იანვარს ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის
მეფემ ერეკლე მეორემ.

ა ლ ს ა ს რ უ ლ ი ს ო ლ ო მ ო ნ მ ე ფ ე ს ა

„სოლომონ პირველი იყო დიდ სახელოვანო,
ქვეყანასა ჩვენთა უწყულოთა მამადინათა
ძირითურთ აღმფხვრელი და ქრისტესთვის
შრავალგზის სისხლ დათხველი, იმერთა მე-
ორე აღმაშენებელი“.

მეფე სოლომონ მეორე

იმერეთის მეფე სოლომონ პირველიც თავგამოდებით შეე-
ცადა მოეპოვებინა ისეთივე „მფარველობითი ტრაქტატი“.
რაიცი რუსეთისგან უკვე მიიღო ერეკლე მეფემ.

თურქეთის სულთანის აბდულ-ჰამიდ პირველი
დაფრთხა და 1783 წლის 1 ნოემბერს მისი ელჩები დიდის სა-
ჩუქრებით ეწვივნენ ქუთათისის სასახლეს. აბდულ-ჰამიდი სო-
ლომონისგან რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტას ითხოვდა.
სოლომონმა ოსმალთ ელჩები ცივი უარით გაისტუმრა. მაგ-

რამ იმერეთის მეფემ „სასურველი ტრაქტატი“ მანუა ვა-
შილიძე, ეკატერინე დედოფლის მთავარი დეპუტატის ვი-
გოლ პოტიომკინის გავლენით რუსეთის სასახლის კანცლერის
რეთის „მფარველობაში“ აყენა „ნაადრევად მიიხსნა“...

...სოლომონი თავისი უკანასკნელი დიდი განზრახვის შე-
რულებას აჩქარებდა. იგი ქობულეთის, ციხისძირისა და ბა-
თუმისკენ აპირებდა. ლაშქრობასა და თურქთა განადგურება-
ციხისძირი დიდ ქალაქად და ციხესიმაგრედ უნდა ექცია. იქ
ანატოლიელი ბერძნები და სომხები უნდა ჩაესახლებინა სა-
ვაჭროდ და ფულის საბრუნავად.

1784 წლის 4 მარტს სოლომონ მეფე 6000 იმერო მეომარო
გავიდა სალაშქრო გზაზე. გურიაში ვიორგი გურჯელი შეუყო-
თდა თავისი ჯარით. ქობულეთს შევიდნენ, თურქული ციხე-
ონები გაეღიტეს, ქობულეთის ციხე მეფის ბრძანებით მო-
თხარეს, ნაციხარი დახნეს და მარლი დათესეს, რათა აღარა-
სოდეს ამ მიწაზე თურქეთის თესლს აღარ გაეხარებინა. ქო-
ბულეთის შემდგომ სოლომონმა ციხისძირის ძლიერ თურქულ
ციხიონს დროებით გვერდი აუქცია და ჩაქვს მიადგა. თურქე-
ბი ჩაქვიდანაც გარყევს იმერლებმა და გურულებმა. გზა გა-
ნაგრძეს და ბათუმამდე მიატანეს. ბათუმის მიდამოთა რბევასა
და თურქთა ჭლეტას შეუდგნენ.

ამასობაში ზღვის განაკიდურმა ოსმალურმა ციხიონებმა
ქართველთა ზურგში, ციხისძირთან მოიყარეს თავი. და გაჩნდა
საფარი-სამუხანათო ნაკიშკრევის ვიწრო გასასვლელ-
ში...

ბათუმიდან ბრუნდებოდნენ ქართველები.

9 მარტი იდგა, 1784 წლისა.

ნაკიშკრევს შემოვიდნენ გულდანდობილად და ატყდა სა-
შინელი გრიალი ყოველის მხრიდან. უწყვეტი, მიჯრილი ტყე-
ის ცეცხლი მოდიოდა ტყეებიდან. ალაღებდად, უმიზეზოდ
და უმისამართოდ ესროდნენ ტყესა და ღრეს სოლომონისადა,
თვითონ კი ეცემოდნენ და ირეცებოდნენ უხილავი ხელით
ნაძგერალი ტყეებით. ტყვია შუბლში მოხვდა სოლომონის
ცხენს. ახალი მოართვა ვახტანგ გურიელმა, ისევ ამხედრდა
მეფე და ტყვიაშემოხარჩულმა გაიძრო ხმალი. შემოიმტკიცა
ცოცხლად გადარჩენილი მეომრები და გააფთრებით მიაწვა
მტერს. უკუიქნენ მაჰმადიანნი. გამოაღწიეს სოლომონისათა
ქოქობეთად ქვეულ ნაკიშკრევის ვიწრობს.

მძიმედ დამარცხებულნი მოდიოდნენ. ექვსას ოცი მკედარი დატოვა სოლომონმა. დაჭრილიყვნენ ბერები და ქაიხოსრო აგიაშვილი. მოკლათ ქაიხოსროლი, აგიაშვილის ორი ძმა და „მრავალი წარჩინებულნი“. ორასი იმერელი და გურული ტყვედ წაიყვანეს ოსმალებმა. ტრაპიზონს და სტამბოლს გაპყიდეს ყველა. ქვემო გურია დიდხანს (1878 წლამდე) დარჩა თურქული უღლის ქვეშ...

დიდმა უკურნებელმა შავნადვლიანობამ შეიპყრო სოლომონი. თავმოყვარე, ამაყი ხელმწიფე და სახელოვანი მხედართმთავარი ვერ შერიგებოდა ეგზომ მწარე მარცხს. აღაჩაფერი ახარებდა: თითქოს გული დაუბერდა. მის „ქვახეთქია თვალეზსაც“ წინანდებური ძალმოსილება და შუქმოსიერება დაშრეტოდა...

გათენდა 1784 წლის 23 აპრილი, ორმოცდამეხუთე დღე ნაჭიშკრევის ბედუქულმართი ბრძოლიდან. ამ დღეს ხონში გიორგობას ზეიმობენო, მეც წაეალ, იქნებ გული გადავავლოო, — ბრძანა სოლომონმა და წასასვლელად გაემზადა.

ქუთათისი, ოქროს ჩარდახი. დიდი ქადრის ძირას დარაბტული მერანი ელოდა მირონცებულ მხედარს. გამობრძანდა სოლომონ მეფე. ცხენს მიეახლა. უზანგში მარცხენა ფეხი შედგა. უნაგირის ძარძაყებს ხელები მოავლო, ტანი აიქნია და... უკანვე გადმოვარდა. გმინვით, გულალმა დაენარცხა მიწას. მოკვივდნენ გაშეთებული სახლეულნი და მსახურეულნი. უსუსლოდ, მარადიულ არყოფნის საუფლოში იწვა მეფე სოლომონ დიდი...

დიდი ხელმწიფე, სწურუპოვარი მამულიშვილი, მხედარა და მხედართმთავარი.

ქეშმარიტად — „იმერთა მეორე აღმაშენებელი“.

საქართველოს გამოსწლოდა ერთი მთავარი ბურჯი — „მეფე დიდი სოლომონ, რომელმან სამეფოთ თვისით განსდევნა მრავლით ეამითგან მკედარნი ბილწნი მახმედიანნი და იწვადა ხტმალი მისი ძლიერი ზურგითა მათ ზედა და შეღება მიწა საძაგითა სისხლითა მათითა და გარდაავდო ტყვის სყიდვა იმერეთს სამარადისოთ, განანათლა სამეფო თავისი კეთილად, განაშენა სამღუდლონი, აღაყუავა ეკლესიანი ყოველნი“.

საქართველოს მოკვდომოდა პატრონი. „კეთილმსახურე-



ბისა ტრფიალ და სიმხნესა შინა ჩინებულ, სიმდაბლესა მოგ-
 ვარე და სიტკბოებით მოალერსე მხილველთა თვისთაჲსაჲსაჲსა
 მეფე, რომელმაც „დასჯაბნა და დაამდაბლა სამეფოჲსაჲსაჲსაჲსა
 ნა თვისთა წინააღმდეგნი მეშფოთარნი და ქვეყნის ამრევნი
 გვამნი და ჰყო მშვიდობა იმერეთსა შინა. სძლია სერასკერსა
 ხონთქრისასა, აგრეთვე ლეკთა დიდთა მხედრობათა შთა-
 რულსა იმერეთად. განყარა მუნ მყოფნი თურქნი, აღმოკვეთა
 კნიღა ორნი დიდნი ბოროტმოქმედებანი სრულიად იმერეთ-
 სა შინა, ესე იგი კაცთა კვლა და მპარავობა. გარნა მესამე
 უბოროტესი ესე იგი ტყვის სყიდვა დროსა თვისსა სრულიად
 უჩინო ჰყო“.

გამეფდა 17 წლისა, იმეფა 32 წელიწადი, აღესრულა 49
 წლისა.

დაკრძალეს გელათს, მთავარ ტაძარში.

მის ქვეყანას კი უმისოდ უნდა განეგრძო ცხოვრე-
 ბა — უ-ს-ო-ღ-ო-მ-ო-ნ-ო-დ.

„ბ ა მ ნ ი ა რ ბ ა ი რ ი ს ა ი თ ხ რ ვ ს ი რ თ ო ბ ა ს“

რა ერთხელ ღიაცის ნებასა აყვები,
 პირს ავშირა ამოდებულსა დაამსგავსებ.

გ ი ს რ ა მ ი ა ნ ი

სოლომონს ერთადერთი ძე ალექსანდრე. სიცოცხლეში-
 ვე მოუკვდა და ასე უძეოდ გადაეგო. და იმერეთის ტახტის-
 თვის თავიანთი „პოლიტიკური დასებით“ ერთმანეთს დაე-
 ტაკა ორი დავითი — სოლომონის ძმისწული დავით
 არჩილის ძე და სოლომონის ბიძაშვილი დავით
 გიორგის ძე.

ბრძოლა იმერეთის ტახტისათვის გამძაფრდა და გაჭი-
 ნურდა.

მაშინ იმერეთის საზოგადოებამ და მისმა მეწინამძღვრე
 პროგრესულ-პატრიოტულმა „დასმა“ გაამეღაენა ყველაზე
 დიდი სამამულიშვილო გულის წადილი, რაიც არასოდეს —
 თუნდაც უკიდურესი დაცემის ვაშაყ — არ დაშრეტოლა არ-

ცა „დიდი“ და არცა „მცირე“ ქართველის გულში.

ეს იყო ისევე — ერთიანობა, მთლიანობა, აერთიანება ერთ ზორც“ განუყოფლობა „ყოველი საქართველოს“

და 1790 წლის 25 ივლისს ტფილისს იმერელთა ელჩობა ეწვია: ეპისკოპოსი ექვთიმე გელათელი, ეპისკოპოსი დოსითეოს ქუთათელი, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სენნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიქავაძე და ფიცის კაცნი — ლორთქიფანიძე, მესხი, ავალიანი, იოსელიანი, ლაღობერიძე, მიქაბერიძე, ყიფიანი, ქორჭაშვილა, იაშვილი, უგრეხელიძე, გრიგოლაშვილი და ქაბუციანი.

იმერელი დესპანნი ერთეულ მეფეს წარუდგნენ და მოახსენეს:

„ჩვენი სურვილია, იმერეთი ქართლ-ქახეთს შეუერთდეს, იგივე სურთ გურიისა და სამეგრელოს მთავრებს; უნდა აღსდგეს ოდინდელი ერთიანობა სრულიად საქართველოსი, რომელსაც უხელმწიფებს ერთი მეფე, ვითარცა იყო ერთმეფობისა დროთა, ხოლო ასეთი მეფე ერთიანი საქართველოსი უნდა იქნეს ერეკლე, სახელოვანი ხელმწიფე. მთელი დასავლეთ ქართველობა დიდის სიკადუღითა და სიხარულით მოელას საქმისა ამის დასასრულსა. მცხოვრებთა გლეხთაც იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთგან ქვარისა გაოხრებულსა“.

მაშ, ერეკლეს საქართველოს გაერთიანებას სთავაზობენ — სრულიად საქართველოს ერთხელმწიფობას! ეს არის მრავალსაუკუნოვანი, მარად ჩაუშქრალი ოცნება ქართველი ხალხისა, დიდთა და მცირეთა, მთავართა და გლეხთა, თავადთა და მღაბითთა, აზნაურთა და უაზნოთა. თითქოს პატარა კახს ისღა დარჩენია, ჩალმის მინაგვარი ავსარქმელი მოიძროს და მის ნაცვლად „ერთობილი საქართველოს“ გორგასლიან-დავითიან-თამარიანის ჭილოსანი გვირგვინი დაიდგას.

ერეკლემ მდუმარედ მოისმინა იმერელთა თხოვნა და დარბაზის ერის შეყრა ბრძანა სათათბიროდ. შეიყრა დარბაზის ერი. მოვიდნენ უფლისწულნი, ქართლ-კახეთის წარჩინებულნი თავადნი, სასახლის კარისკაცნი, სამღვდელონი და საერონი. აქ იყვნენ: კათალიკოსი ანტონ მეორე, მდივანბეგა ქაბუა ორბელიანი, სარდალი დავით ორბელიანი, ტფილისის

მოურავი დავით ციციშვილი, სარდალი იოანე მუხრანბერი
ნი, ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი,
იოსებ ბარათაშვილი და ვიცე-კანცლერი სერგეი
ლომონ ლიონიძე.

ბიზანტიისა

თათბირი დაიწყო. ელჩებმა გაიმეორეს ქართლ-კახეთთან
იმერეთისა და მთელი დასავლეთი საქართველოს შეერთების
თხოვნა.

პირველი წამოდგა ქაბუა ორბელიანი და თქვა:
„კუთხეულ იყოს აზრი ზეგარდმო შთაგონებული იმერთა
დესპანთადმი, კურთხეულ იყოს აზრი იმერთა ერისა! ჩვენ
საპასუხოდ რა დაგვრჩენია? ნუთუ რამე არის საყოყმანო და
დასაყოვნებელი?“ წუთით შეჩერდა ორბელიანი და რაკი მკ-
ფე სდუმდა და ყველა მის პასუხს მდუმარედვე ელოდა, ისეკ
განაგრძო: „ნუ ჰყოენი, მეფეო! მეფე ერისთავის და არა ერა
მეფისათვის! ერი იმერთა ითხოვს ერთობასა და კავშირსა.
ვითარ ეტყვი, მეფეო, უარსა? რისთვის არ მიიღებ ასეთ სა-
ნუკველ თხოვნასა? მე ვიცი და შესმის აზრი თქვენი, მეფეო.
შენ ასე ფიქრობ: როგორ წაეართვა ჩემს შვილიშვილს, და-
ვით არჩილის ძეს, მეფობა იმერეთისა! თუ ასე ფიქრობ, ეს
მოასწავებს დიდ უბედურობას იმერთათვის და დაღუპვას
მთელი საქართველოსათვის! განა მსგავსი რამ აქამდე არ მო-
გიხდენია? შენ ხომ მეფობა წაართვი ქართლსა, მაგრამ რაი
დაკარგა საქართველომან დაკავშირებით და გაერთიანით ქარ-
თლისა და კახეთისა? შენ ხომ არაგვის საერისთავო წაართ-
ვი იქ შემბოხე ერისთავთა? შენ ხომ ქსანიც საუკუნოდ წაართ-
ქვი ქსნის ერისთავთა? მერე, თუ არ მოიგო, რა დაკარგა ამ-
ით ჩვენმა მშობელმან საქართველომან? ბედნიერება ერისა
ითხოვს ერთობას. ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავში-
რება. იმერნი თვითონ, თავისი ნებით, ზეგარდმო აზრით შთა-
გონებულნი, გვთხოვენ შეერთებას. შენც ნულარ ჰყოენი, მე-
ფეო ჩვენო!“

ქაბუა ორბელიანის შემდგომ ზედიზედ წამოდგნენ ანტონ
კათალიკოსი, დავით ორბელიანი, სოლომონ ლიონიძე, ზაქა-
რია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათა-
შვილი და გულმხურვალედ სთხოვეს მეფეს, მიეღო ერ-
თიანი ხელმწიფობა ქართლ-კახეთისა და იმერეთისა. და ბო-
ლოს კიდევ იმერელმა ქაიხოსრო წერეთელმა თქვა: „ბატო-



ნო მეფეც, შეისმინეთ ჩვენი თხოვნა და მიიღეთ მეფობა იმერეთისა. დაე, იყოს ერთობა მარადისი ქართლ-კახეთისა და ყოველ ქართველთა შორის, ხოლომცხეთისა და ამტკიცდება ერთობა ჩვენი, შეუდგება უწყისობა საერთო საქმეს და უკეთუ საენო რამ შეიქნება ქართლისათვის და მეფობისა თქვენისათვის — მაშინ დაუტევეთ მეფობა იმერეთისა, მაშინ უბოძეთ თქვენის ნებით მას სხვა ხელმწიფე. ახლა კი სცადეთ, ნუღარ ჰყოფნით, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენიც და განგვაძლიერეთ თქვენიც ირწმუნეთ, მეფეც ბატონო, როცა მტერი ჩვენი ერთობის ამბავს შეიტყობს, მაშინვე მიეცემა შიშა და რიდსა“.

მეფე კვლავ სდუმდა.

და სრულიად მოულოდნელად თქვა იოანე მუხრანბატონმა: „მეტად ძნელ საქმეს გვთხოვენ იმერნი. არ შეგვიძლია შემოერთება იმერეთისა“. და მაშინვე გადააბა: „ჩვენ, ქართველთა, ჩვენი თავისთვისაც ვერ მოგვივლია, ვითარ მოგვივლით იმერეთისა?“

საშინლად ააფორიაქა ამ სიტყვამ დარბაზი (აფორიაქების უნარი შემორჩენოდათ ქართველებს!). ფეხზე წამოიჭრა სარდალი დავით ორბელიანი, გაცეცხლებული: „მუხრანის ბატონი ბრძანებს, ქართველებს ჩვენი თავისთვისაც ვერ მოგვივლიათ. დიახაც, მართალს აღიარებს, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს თავის ქვეყანას თავისი ხრმლითა და ბაიარლითა. მაგრამ მოვა დრო და ღმერთი მოგვეცემს სხვა მუხრანბატონსა, რომლის ხრმალი უფრო მკრელი იქნება“.

დარბაზი ახმაურდა. უმრავლესობა დავით ორბელიანს მოწონების შეძახილებით შეხედა. გაბრაზებულ მუხრანბატონსაც ზოგმა მხარი აუბა. დავით ორბელიანის მწარე შეძახილმა ბრძაზი წაჰკიდა თვითონ ხელმწიფეს. განაწყენებული ერეკლე ტახტიდან წამოვარდა და დედოფლის სანთიობოს მიაშურა. და იქ, დედოფალ დარეჯანის ნებით გადაწყდა: უარი ითქვას იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთებაზე და იმერეთის ტახტზე დაედეს დავით არჩილის ძე, დედაით შეილიშვილი დარეჯანისა და ერეკლესი. სამდღიანი წყლის ნაყვა ასეთი განჩინებით დასრულდა. და იმავე წელს ერეკლემ იმერეთში ოთხი ათასი მეომარით გაგზავნა იოანე მუხრანბატონი, რომლის დახმარებით დავით არჩილის ძემ ლოსიათხევში სასტიკად დაა-

მარცხა თავისი მეტოქე და იმერეთის ტახტზე დაჯდა ახალ
სახელით — მეფე სოლომონ მეორე.



მამ, საქართველოს გაერთიანების უკანასკნელი ცდა, მარტყოფის
ციხით გათავდა. ქართულ მიწა-წყალთა ერთობის გამომსახველი
ლი მამულიშვილური ძალები ვერაფერს გახდნენ დარეჯან
დედოფლისა და მის უახლოეს მედროვეთა პირადი მისწრა-
ფებებისა და განზრახვების წინაშე.

არამცთუ სრულიად საქართველო, არამედ ქართლ-კახე-
თიცი აღარ წარმოადგენდა ერეკლესათვის ერთიან, სხეულ-
მტკიცე სახელმწიფოს. თვითონ ერეკლეს ოჯახური მრავალნა-
ყოფიერება ქვეყნის შინაგანი დაქსაქსულობის ხელშემწყობი
გამოდგა. ლევან ბატონიშვილის სიკვდილის შემდეგ მეფის
შვილნი-მემკვიდრენი, თითქმის ყველანი, იყვნენ „სამშუალო-
ნი“ ან „ქვესამშუალონი“. თითქოს იმათშიც ეამ-ეამად იელ-
ვებდნენ ნაპერწყალნი მამისეული სიქველისა და სივაგაკიო-
სა, მაგრამ უმეტეს წილ ისევ და ისევ იყვნენ მონანი დედი-
სეული ეგოიზმისა, პატივმოყვარეობისა და მეშურნეობისა.
ყოველი მათგანი ცალკე საუფლისწულო საბატონოს მოითხო-
ვდა, განცალკევებისაყენ, განკერძოებულობისაყენ მიიღტვო-
და და ამით ისედაც ცალ ფეხზე მდგარ ერთიან სამამულიშვი-
ლო სულს ძირსა და ფესვს უთხრიდა.

ერთი სიტყვით, ერეკლე მეფეს, ბრძოლას ველზე უბადლო
გმირს, სიბერის ეამს საკუთარი ოჯახის მოვლაც გასჭირვე-
ბოდა. ექვსი უფლისწული — გიორგი, იულონი, ვახტანგი,
მირიანი, ალექსანდრე და ფარნაოზი — ყველა „თავისად“ მი-
იჩნეედა ქართლ-კახეთის ტახტს. ტახტი კი ერთადერთი იდგა
ტფილისის სასახლეში. და აი, სიბრძნით განთქმული ხელმ-
წიფე ბოლოს და ბოლოს ისე მოიქცა, როგორც ეს ჩვეულებ-
რივ ზღაპარში ხდებდა: ადგა და სამეფო შვილებს დაუნაწილა:
კახეთი გიორგის მისცა, ქსნის ხეობა — იულონს, საარაგვო —
ვახტანგს, მარტყოფი — მირიანს, სურამი — ფარნაოზს.

მალე ძვირად დაუქდებდა ასეთი დაუკვირებლობა ერეკ-
ლესაც და საქართველოსაც.

1791 წელს დარეჯან დედოფალმა ერეკლეს კიდევ უარეს
საბედისწერო კანონზე მოაწერინა ხელი. ეს იყო ახალი სავე-
დო-სამემკვიდრო კანონი. მანამდე თხუთმეტი საუკუნის მან-
ძილზე, ქართული სახელმწიფო სამართლის ძალით დაკანო-

ნებული იყო, რომ სამეფო ტახტი მეფის სიკვდილის შემდეგ ეკუთვნოდა მის უფროს ძეს. ერეკლემ ეს კანონი შეცვალა და მის ნაცვლად დაადგინა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, მართალია, მეფობას მიიღებდა უფროსი ძე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იყო და არა ღვიძლი შვილი, მის შემდგომ თანმიმდევრობით უნდა ემეფნათ დარეჯანისა და ერეკლეს საერთო შვილებს — იულონს, ვახტანგს, მიხიანს, ალექსანდრეს, ფარნაოზს; ხოლო ძმათა ცხოვრების აღსრულების შემდეგ მეფობას განაგრძობდნენ უფროსი ვაჟის ძენი, შემდგომ ისევ მომდევნო ძმათა ძენი და ასე თანმიყოლებით „ძმათა-თაობებისა“.

ძვირად დაუჯდება ეს ერეკლესაც და საქართველოსაც...

პ რ წ ა ნ ი ს ი

და მას დღესა შინა იქმნა ძღვეთი გლოვად ვოველთა ერთთა.

შეორე წიგნი მეფეთა

ამასობაში კი რუსეთთან სამეგობრო „ტრაქტატის“ გამო აღშფოთებული და საომრად ფეხზე დამდგარი მუსლიმანური გარემო წალეკვით ემუქრებოდა საქართველოს. თავი და ბოლო აღარ უჩანდა შემოსევებს — თუ ახალციხის გზებით, თუ კარ-ბელაქნისა და დაღესტნის მხარეებიდან. ერეკლეც იბრძოდა „ერეკლესებურად“, იბრძოდა „სანამ პირში სული ედგა“. რუსებიც იბრძოდნენ ქართველთა მხარდამხარ, მაგრამ მცირე და უკმარისი იყო მხოლოდ ორი რუსული ბატალიონი.

1785 წელს ლეკთა ახალი „დიდი ბელადი“ ომარ-ხანი (ქართველთაგან მარცხნაკაში ნურსალ-ბეგის ძე) შემოიჭრა დიდი მხედრობით, ახტალა ააოხრა, გაძარცვა, ერეკლესგან გაწყობილი სპილენძის მალაროები დაანგრია, ტყვეები აიყვანა, იქიდან ქვემო ქართლს გადავიდა, იქაურობა მოძარცვა და ახალქალაქ-ახალციხეს ისე გაუტია, რომ ვერსად ვერც ქართველებმა და ვერც რუსებმა წვეთი სისხლიც გერ გაადინეს...



...წლები წლებს მიეწყვენ და სისხლის ავდარი არ იქნა და არ ჩადგა საქართველოს ცის ქვეშ. ამასობაში ირანში გამართული შინაური ომებიც ვათავდა და უმღლესი ძალგადაღწეხელთ იგდო ენერგიულმა საქურისმა, ტომით ყაჯარმა, ალა-მაჰმად-ხანმა, რომელმაც ერეკლეს რუსეთთან ხელშეკრულების გაუქმება და ირანთან „მეგობრობა“ და „დოსტობა“ შემოსთავაზა. ეს „თხოვნა“ ალა-მაჰმად-ხანმა ქართველ მეფეს რამდენჯერმე გაუშეორა. ერეკლემ არც ერთზე პასუხი არ აღიარა და ყოველთვის ყოველივე „როგორც წესი“, რუსეთის ხელისუფლებას აცნობა. რუსეთის წარმომადგენელმა, კავკასიის ქარების მთავარსარდალმა გუდოვიჩმა - ერეკლეა გაფრთხილებანი მტრის მოსალოდნელი შემოსევის შესახებ პრაქტიკულად ყოველთვის უუურადღებოდ დატოვა.

ამასობაში „დიდმა საქურისმა“ თავიონსა და არღებილში 70000 მეომარს მოუყარა თავი. ყველაზე ადრე ერეკლეს უღალატა და ალა-მაჰმად-ხანს მიემხრო განჯის ხანი ჭავჭავაძე, ტფილისში გაზრდილი მუსლიმი, გიორგი ბატონიშვილის „ახლო დოსტი“. ჭავთ-ხანს მალე მიჰყვნენ შაქის, დარუბანდისა და ბაქოს ხანები.

საქურის-მბრძანებელს შორილებათე და დახმარებათე უარი შეუთვალეს დაღესტნის ხანებმა, მათ შორის ომარ-ხანმა და ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა. ეს უკანასკნელი ალა-მაჰმად-ხანთან პირდაპირი ბრძოლის გზას დაადგა, თავის სატახტო შუშაში ჩაიკეტა და მტრის შესახვედრად გაემზადა.

ალა-მაჰმად-ხანმა ერეკლეს სავანგებო ელჩის ხელით ახალი ბარათი გამოუგზავნა: ურჩი ყარაბაღელი ხანის დასასყელად შუშაზე მივეშურები და შენი ერთ-ერთი შვილის სარდლობით დაუყოვნებლივ ქართველთა ქარი მომაშეველეო. ეს საქურისის უკანასკნელი ცდა იყო: ბოლოს და ბოლოს, ირანის მბრძანებლის „დოსტობის“ უარყოფელი გურჯი ხელმწიფე მოეგებოდა თუ არა გონს და სცნობდა თუ არა თავისი ქვეყნის კისრად ისლამის უღელს?

ერეკლემ არც იცოცხა, არც აცხელა და ალა-მაჰმად-ხანის ელჩი სატუსალოში ჩაავდო. მერე ქარი მართლაც შეჰყარა და მართლა უსარდლა თავისი ერთ-ერთი შვილი — ალექსანდრე ბატონიშვილი, მაგრამ გავგზავნა არა ალა-მაჰმად-ხანის საყმოდ, არამედ მის წინააღმდეგ ყარაბაღელთა და ერევნელთა მისაშველებლად.



მაშ, ერეკლე მეფე ირანთან აშკარა ომის გზაზე შედგა და, რასაკვირველია, რუსეთის იმედად... ერეკლემ...
...1795 წლის მაისის ბოლოს ალა-მაჰმად-ხანი

დებილის ხაზიდან სამ ნაკადად დაიძრა. მარცხენა ნაკადი ერეკლისკენ გაგზავნა, მარჯვენა — შირვან-დაღესტნისკენ, ხოლო თვითონ საქურისი შუაგული ქარებით ყარაბაღის მთავარი ქალაქის — შუშისაკენ წარემართა. შუშა მდებარედ დაუხვდა მტერს, მაგრამ შიმშილით განაწამები მალე უნდა დაცემულიყო. ამ დროს ქართველთა ქარიც გამოჩნდა და ყარაბაღელებს იმედი განუშტკაცდათ. 16 აგვისტოს ალექსანდრე ბატონიშვილისა და იბრეიმ-ხანის გაერთიანებული ლაშქარი ერთ ვიწრო ხეობაში ირანელთა 8000-იან მხედრობას შეება და სასტიკად დაამარცხა. მაგრამ ქართველთა ამ „ქართულ გამორობას“ ომის მსვლელობაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია. შუშა და ერევანი დღეს თუ ხვალ უნდა დაცემულიყვნენ.

ერეკლემ, რუსთა დახმარების „მარადიულ იმედთან“ ერთად, საკუთარი ძალების შეკრებაც დაიწყო. მის მოწოდებაზე იმერეთიდან 2000 მეომრით გადმოვიდა მეფე სოლომონ მეორე. ამდენივე, თუ ცოტა მეტ, თვითონაც შეჰყარა ერეკლემ და ასე, დახლოებით, 4500 მეომრით ქართველი მეფეები ტფილისიდან შუშისა და ერევნისაკენ გაემუშრნენ. ყაზახს რომ მიიტანეს, აქ იბრეიმ-ხან ყარაბაღელის წერილი შემოაგებეს. ალა-მაჰმად-ხანი თავისი მხედრობით და არტილერით უკვე წამოვიდა საქართველოსკენო, — იტყობინებოდა იბრეიმი. ეს წერილიც ერეკლემ მაშინვე რუსეთში გაგზავნა და ისევე სასწრაფო დახმარება შეახსენა სანკტ-პეტერბურგს.

ალა-მაჰმად-ხანი კი 35000 მეომრით საქართველოსკენ მოჰქროდა...

...4 სექტემბერს ქართველები ყაზახიდან გამობრუნდნენ. ერეკლემ გატეხილ ხიდთან ასი მეომარი დატოვა, დანარჩენები კი, სოლომონთან ერთად, ფონიჭალას მოიყვანა. 7 სექტემბერს ერეკლემ სამხედრო თათბირი შეჰყარა. მაგრამ ვაი ამოსთანა „შეყრას“: მეფის მალეშრბოლებს მთელი ქართლ-კახეთი შემოეცლოთ და... 2500 მეომარზე მეტი ვერ შეეკრიბათ!



ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი კახეთში უკ-
მად დამტყდარიყო და მტერთა მზარავი კახთა ლაშქარით სწ-
ქართველოს სატახტოს საშველად ფეხის დაძვრასაც კარგად იცნობდა.
რებდა. ამიტომაც იყო ფრთხილად მწუხარე მეფე ირაკლი დიდის
სიმცირისათვის სპათისა“...

7 სექტემბერს, დილას, ირანელთა მეწინავე ჯარი „გატე-
ხილ ხიდს“ მოადგა. აქ, ერეკლესგან დატოვებული ასი ქართ-
ველი მყისვე შეება მტერს, ოთხი საათი გაგრძელდა ჩეხვა.
ალა-მაჰმად-ხანმაც მოუსწრო სრულის ძალებით. განახევრე-
ბულმა ქართულმა გუნდმა გაცლა ამჟობინა. 50 ქართველისა
და 200 ყიზილბაშის გვამებზე გადმოიარა მუსლიმანურმა
ურდომ.

8 სექტემბერს ერეკლემ ფარეშთუხუცესს გორჯასპი-
ნათლიშვილს თორმეტი კაცი ჩააბარა და მტრის და-
სახვერავად გაგზავნა, თვითონ კი ფონიქალიდან ტფილისს
მივიდა.

ტფილისიდან ოც ვერსზე, იაღლუჯას მთის ფერდობზე,
ქართველი მშვერავები უცრად მტრის რჩეულ ჯარს გადა-
აწყდნენ და უაღქცივის ნაცვლად მყისვე იერიში მიიტანეს.
ირანელები გააოგნა ათიოდე კაცის საოცარმა თავზეხელაღე-
ბულობამ. თითქოს ყველა ქართველი საგანგებოდ ეძებდა
სიკვდილს. გამორჩეული შემმართველობით იბრძოდა და-
ვით თარაშვილი, რომელმაც შეიღი ირანელი დააწვირა
და მას უკან თვითონაც დაეცა. დაეცა ყველა, საარაყო სიამა-
ცით. მხოლოდ ერთმა სენო საჭიროდ სიკვდილისგან გღწევა
და ისიც იმიტომ, მეფეს თავის დროზე სენობოდა მტრის მოახ-
ლოება და ადგილსამყოფელი. ეს იყო თვითონ გორჯასპი ნა-
თალიშვილი, რომელმაც ხმლის უკანასკნელი მოქნევით უახ-
ლოესი ირანელი უნაგირიდან ჩამოაგდო, მოკლულის ცხენს
თვითონ მოახტა და ტფილისისკენ გაქუსლა. მეფეებმა უკვე
იციოდნენ მტრის მოძრაობის გეზი და ადგილსამყოფელი.

იმავე 8 სექტემბერის მიმწუხრს მეგზურებმა — იაკობ
ბებუთოვმა და ჯავათ-ხან განჯელმა მტერი
ფონიქალას მოიყვანეს. მტრის ურდო ტფილისიდან სუთ ვერ-
სზე ათედა დაჰს.

9 სექტემბერს სისხამზე ადგნენ და ტფილისისაკენ წამო-
ვიდნენ. ნახევარ საათში, შეენაბადას მთის ძირში, ირანელე-

ბი ქრთველთა სანგრებს წააწყდნენ. ჩასაფრებულებს დღობდა ერეკლეს მამაკი შვილიშვილი და ვით გიორგის ძე ბატონიშვილი. დავითის ბრძანებით ქრთველებს სანგრები ქერ ახლოს მოუშვეს და ტყვია დააყარეს, მერტ დილნი სანგრებიდან ამოცვივდნენ და მძლავრი ყუიებით შეეზნენ. ირანელთა პირველი მწყობრი ჩაიკაფა და ჩაწვა. მოკდევნონი შედრკნენ და უკუიქცნენ. ალა-შაჰმად-ხანმა ახალი ჯარები შემოუქცია ბოძოლან, უადრესად გახელდნენ ქრთველნი. ისევ უკუიქცნენ ირანელნი. გაცოფდა ალა-შაჰმადი. მალლობზე შეაგდო ცხენი, ხელი ქრთველებისკენ გაიწვავდა და დასჭყოელა თავისიანებს: „აჰა, შეხედეთ, რანი ყოფილან ქრთველნი, ერთი მუჟა ბედშავნი! მიდიოთ, მიეაწყეთ, მტკაარში ჩაეყაროთ, ჩაეკაფოთ, ჩაეახროთ!“ და შეუტია სრულის მხედრობით. სასტოკ ხმალთ თებას მიცემულმა დავით ბატონიშვილმა ერეკლესგან ციანი მაშველი მიიღო. თან მეფე ბრძანებდა, შეტევაზე ხელი აედოთ და ისევ სანგრებს დაბრუნებოდნენ, რადგან შისტვის ერთი მეომრის დაყარვა უფრო საბედისწეროდ აღნაზღაურებელი იყო, ვიდრე ალა-შაჰმად-ხანისთვის ასო მეომრისა.

ქრთველებმა შეტევით მოპოვებული მიწა ნაბიჯ-ნაბიჯ უკანდახევით გადაიარეს და ისევ თავის სანგარ-სიმაგრეებში ჩაესაფრნენ.

სრულად ამოვლოტოთ ქრთველებიო, ბრძანა საჭურისმა და კარგა ხანს უშენდნენ ზარბაზნებს და ზამბულაკებს ირანელები ქრთველთა სანგრებს. დავით ბატონიშვილის ბანაკი სავსებით დადუმებულყო, ამოწყვეტილანო, გადაწყვიტა ალა-შაჰმადმა და ბრძანა იერიში. მაშინვე გაქანდნენ საშინელი ღრიალით ირანელთა ათასეულები ქრთველებისკენ. ისევ ერთბაშად დაიგრიალეს ქართულმა თოფებმა. ტყვიამ ისევ დააწვინა ირანელთა მეწინავენი. ისევ ელვასავით ამოიჭრა სანგრიდან ხმალაღმართული დავით ბატონიშვილი. დანარჩენებიც მიპყვნენ და ისევ საოცარი თავგანწირვით მიეტევნენ მტერს. ირანელებმა სიკვდილის ხაზზე რამდენიმე ასეული მკვდარი და დაჭრილი დააგდეს და კვლავ უკუიქცნენ. გამოედევნენ ქრთველები, მაგრამ ისევ დაეწიათ ერეკლეს ბრძანება: დევნას მოეშვიოთ და სანგრებს დაუბრუნდიოთ. ისევ შიშობდა მეფე, ცბიერმა შაჰმა შორს არ გაიტყუოს და გარ-

შემორტყმით არ მომისპოს მცირე ლაშქარიო. ისევ შემობ-
რუნდნენ და სახვრებში ჩაესაგრნენ ქართველები. ალა-მაჰმად-
ხანმა მესამედ ბრძანა იერიში. ბრძოლაში ჩაებნენ ^{საქართველოში}
სანდო და ძლიერი თურქმენ-თარაქაშული რაზმები. ^{შენსავე}
შერკინება უფრო სასტიკი და სისხლდამდინარი შეიქნა. ქართ-
ველებმა ისევ სძლიეს რიცხვით უპირატეს მოპირდაპირეს,
მაგრამ უაღქცულ მტერზე გამოდევნება ისევ ფრიად საბი-
ფათოდ რჩებოდა მცირერიცხოვან მძლეველთათვის.

დაღამდა. ბრძოლა შეწყდა. ალა-მაჰმად-ხანი ბანაკში დაბ-
რუნდა და საგონებელში ჩაეარდა. მან ისევ არ იცოდა, რა
ერქვა მის ბრძოლას — ვის ებრძოდა იგი ამ დღეს, ქართველ-
თა სრულ მხედრობას თუ მხოლოდ მის ნაწილს, ან რა ძალი
ჰქონდა და რა ამხნევებდა ამ ერთ მუქა ხალხს, ან იქნებ სუ-
ლაყ არ იყო იგი „ერთი მუქა?“ იქნებ მართლაც, სადმე დგას
ან უცვე მოეშურება „სახელოვანი ერეკლე-ხანის დიდი ლაშ-
ქარი“, ასი ათასი თუ ოთხმოცი ათასი, როგორც გაიძახიან
აქა-იქ? ან, იცის რამდენი ქართველი და მისი მოკაცშირე
ჩასაფრებულა ამ უთვალავ ხევხუეებში?... რუსები? ლეკები?
(ლეკებიც ქართველთა მხარეზე იომებენ ირანელთა წინააღ-
მდეგო, — ამბობდნენ მაშინ)...

და იმ ღამით ალა-მაჰმად-ხანმა იღუმალ 5000 მეომარი გაე-
ზავნა შევნაბადაზე, ყარაბაღელი — მ ე ლ ი ქ-მ ე ჟ ნ უ მ ი ს სარ-
დლობით (მელიქ-მეჩნურამზაც, ჯაფათ-ხან განჭელისა და იაკობ
ბებუთოვის მსგავსად, კარვად იცოდა ტფილისიცი და მასზე
მისასვლელი გზებიც). ამას შაჰისგან ნაბრძანები ჰქონდა, დი-
ლით ადრე შევნაბადას ფერდობებიდან მოულოდნელად თავს
დასხმოდა ქართველთა ლაშქარს და სრულად გაეწყვიტა იგი.

ქართველ მზეერავეებს მტრის ძალითა გადაჭყუეება არ გა-
მოჰპარვიათ და ერეკლემაც საპაჟუხო სვლით უქასუბა, და-
ვით ბატონიშვილი ღამითვე, მტრისგან იღუმალ, წინააღმდეგ
სიმაგრიდან მოხსნა და ერთი ათასეულით და ექვსი ზარბაზ-
ნით უკუდურეს მარჯვენა კერძზე. — შინდის-ტაბახმელისკენ
გაგზავნა. ხოლო შევნაბადას ბოლოში, წინააღმდეგ ნაომარ იმა-
ვე ხაზზე, კვლავ დარჩა ხუთასი ქართველი, დავითის ძმის —
იოანე ბატონიშვილის მეთაურობით.

10 სექტემბერიც გათენდა. ალა-მაჰმად-ხანისა და მის ყურ-
მოჭრილ თანასარდალთა აზრით სწორედ ამ დღეს უნდა გარ-



კვეთლიყო საბოლოოდ „ეშმაკზე ადრე დაბადებულს“ ეშმაკ-
 ლე-ხანის“ იდუმალი საომარი ზრახვანი, და კიდევ — მატონი-
 იყვნენ თუ არა ქართველები, რამდენი იყვნენ, მატონი-
 მოკავშირეთა ძალებით გამძლავრებულნი? ყველაფერი ეს
 უნდა შეეცხოთ და იმავე დღესვე მთელი ლაშქრობის ბედიც
 გადაეწყვიტათ: ან გაემარჯვით, ანდა — უკეთუ ქართველებ-
 თან ერთხელ კიდევ „ქართულ მეომრულ სიგივეს“ წააწყდე-
 ბოდნენ — როგორმე ბრძოლის ველს ნაკლებ ხელმარცხიანად
 გააპროდნენ და ისედაც არეული „ირანული ზურგისათვის“
 დროზე მიეხედათ.

მაშ, გათენდა ორშაბათ-დილა 10 სექტემბრისა. მელიქ-
 მეჩენუმმა თავისი ათასეულები თოთხმეტ რაზმად დაპყო და
 შეენაბადას ფერდობიდან დაეშვა, რათა ზურგიდან დასცემო-
 და მთის ძირში ჩასაფრებულ იოანე ბატონიშვილს. ირანე-
 ლებმა მდინარე ტაბახმელა, ანუ კრწანისის ხევი გადალახეს
 და ის იყო შინდის-ოძრახვეს მიადგნენ, რომ უეცრად შინდის-
 ტაბახმელას მხრიდან ზარბაზნებმა დაიგრიალეს. ეს დავით ბა-
 ტონიშვილი იყო. არტილერიის ცეცხლს ქართველთა ყივი-
 ნა და იერიში მოჰყვა. დავით ბატონიშვილს ერეკლემ იმერთა
 და ქართველთა რაზმებიც მიაშველა — ზურაბ წერეთლის,
 თათარ ამილახორის, ზაქარია ანდრონიკაშვილისა და იოანე მუხ-
 რანბატონის სარდლობით. ქართველებმა ირანელთა უმრავ-
 ლესობა კრწანისის ხევხუეებში ჩახოცეს. თვითონ მელიქ-მეჩ-
 ნუმმა ძლივს გაასწრო დავით ბატონიშვილის ხმაღს.

მაშ, იყო დღე ორშაბათი, 10 სექტემბერი 1795 წლისა —
 დღე ქართველთა უკანასკნელი გამარჯვებისა...

ხოლო გააზრება ალა-მაჰმად-ხანისა მაინც ეს იყო: აგერ
 მეოთხე დღეა, რაც იგი ქართველებს ხმლდახმალ ხედება და
 არც ერთი დღე მის სასარგებლოდ არც გათენდა და არც და-
 ლამდა. ისიც აშკარად ჩანს, რომ ქართველების „ცბიერი ხანს“,
 „ეშმაკზე ადრე დაბადებულს“ ჯერ მთავარი ძალები ბრძოლის
 ველზე არც გამოუყვანია. თვითონაც ხომ ჯერ არსად გამოჩე-
 ნილა მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე მონაგარდე ქართველი ხელ-
 მწიფე! უეშველია, მომდევნო დღისთვის რაღაც ძალიან დიდ-
 სა და საბიფათოს ამზადებს ქრისტიანთა „ცბიერი ხანი“, ანუ
 „ბებერი ლომი“. არა, ჭეშმარიტად არ ხერხდება დიდი ნადირ
 შაჰის გაზრდილის დამარცხება; აქამდეც ხომ არასოდეს და-



მარცხებულია. უკან, ზურგშიც, ყარაბაღსა და სომხეთში, ომს
 ჯერ ხომ არ დაუშთავრებია ალა-მაჰმად-ხანს. აღბახარ მანსა
 შიე შაჰინ-შაჰობის მძიმებელნი ოცნებობენ, რათა მანსა
 მადლით და ერეკლე მეფის წყალობით, იხილონ და ქვეშ ამო-
 დონ მარცხნივამი ყაჯართ ბელადი.

მაშ, ალა-მაჰმად-ხანს ყველა პირობის მიხედვით, სანამ
 გვიან არ იყო, უნდა გადაეწყვიტა საქართველოდან წასვლა.
 ყოველ შემთხვევაში ეს მისთვის უცილებელი იყო ჯერჯე-
 რობით მაინც. და აი, მან გადაწყვიტა კიდევ ბანაკი აეყარა
 და სასწრაფოდ გასცლოდა საქართველოს...

მაგრამ საქართველოში, ისევე როგორც ყოველ ქვეყანაში
 და ყოველ დროში, სუნთქავდა ჯალატი.

მაგრამ საქართველოში, ისევე როგორც ყოველ ქვეყანაში
 და ყოველ დროში, სუნთქავდა ღალატი.

და ორმა ტფილისელმა მოქალაქემ მოახერხა საპატიმ-
 როდან გაეპარებინა ერეკლესაგან დატყვევებული ელჩი ალა-
 მაჰმად-ხანისა, გააპარა და კოჯორ-თელეთის გზა-ბილიკებით
 უკვე გასაქცევად გზაზე შემდგარ ალა-მაჰმად-ხანს მიაყენ-
 ნა.

და ირანის მბრძანებელმა მოისმინა ვასაოცრად მოულოდნე-
 ლი და უსაზღვროდ სასიხარულო ამბავი: თურმე ერეკლეს ჯა-
 რი თითქმის არცა ჰყოლია. არც მოკავშირეები სდგომიან
 გვერდით ერთ მუქა ქართველებს — არც რუსები, არც ლე-
 კები. ოთხი ათას მეომარსაც ვერ მოითვლის ქრისტიანი ხელმ-
 წიფე. ამ დღეების შეტაკებებშიც ქართველებიც ხომ იღუ-
 პებოდნენ. ერთი სიტყვით, ახლა ქართველთა მეფეს იმდენი
 ჯარისკაცი ჰყოლია, რამდენსაც არც ერთი უსუსური ირანელი
 ხელმწიფე ამაღადაც არ იკადრებდა.

აღტაცებამ მოიკვა საქურისის გული. ისევ დაბანაკება
 ებრძანა წასასვლელად აყრილ ბანაკს. ალა-მაჰმად-ხანმა სარ-
 დლები იხმო ახალ თათბირზე...

ხოლო, ქართველთა ბანაკში იმ ღამით სააჩაგვოდან ვაზ-
 ტანგ ბატონიშვილი ჩამოვიდა მცირე ჯარით, მათ შორის —
 300 არაგველი...

...1795 წლის 11 სექტემბერი, დღე სამშაბათი ღრუბლი-
 ან-ქანლიანი გათენდა კრწანისისა და მტკვრის შესაყარში.
 ჰაერი დილიდანვე იყო ჩახუთული, ხორშაკიანი.



რეკრავზე ერეკლეს ქაჩი საომრად ჰყავდა დალაგებული, ძირითადი საომარი ველი კრწანისის მიდამოები უნდა ყოფილიყო. მეფეს მეწინავე ლაშქრის მეთაურად იოანე ბატონიშვილი დაეყენებინა; მის შემდგომ შუაგულში თვითონ დამდგარიყო ერეკლე. მტკვარზე მიბჯენილ მარცხენა კერძს იოანე მუხრანბატონი სარდლობდა, მარჯვენაზე ზურაბ წერეთელი იდგა იმერელთა ათასეულით. მათ უკან, ვითარცა სამარქაუთო რაზმთა მეთაურები, ერთიმეორის გვერდით ჩამდგარიყვნენ ვახტანგ ბატონიშვილი და ოთარ ამილახორი. სულ უკან, ტფილისის კარიბჭესთან, მეტეხსა და ნარიყალას შუა, იდგა სოლომონი იმერელთა მეორე ათასეულით. ხოლო, მალა, ხელმარჯვნივ, თაბორის მთის ფერდობიდან, ისევ თავისი ნაომარი რაზმითა და ზარბაზნებით მტკვრის ხეობას გადმოსცქეროდა დავით ბატონიშვილი. ნარიყალას ციხეზეც არტილერიის ნაწილი იდგა ვიორგი გურამიშვილის მეთაურობით.

სანამ მტერი გამოჩნდებოდა, მოხუცმა მეფემ თავის ლაშქარს თავიდან ბოლომდე ჩამოუჭროლა ლაზათიანი მხედრული ნაეარდით. მცირე ხნით ცხენი შეაყენა თავისი ძის — ვახტანგ ბატონიშვილის ქართან. აქ მთიელები იდგნენ. მათ შორის — სამასი მთიელი გუდამაყრელი, სამასი არაგველი გლეხი...

წუთიერი დუმილი სიმღერის, ზურნის, ქიანურისა და ბარბითების ხმამ გაარღვია. ეს ტფილისელ მოქალაქეთა შეიარაღებული რაზმი მოეშურებოდა. რაზმს და ე ი თ მ ა რ ა ბ ე ლ ი მოუძღოდა, „წარჩინებული მესაქრავე და მსახიობი მეფისა, მუსიყი და კომენდანტი“...

აღა-მაჰმად-ხანს ქარები თორმეტ მწყობრად დაელაგებინა. მწყობრთა შორის ზარბაზნები და ზამბულაკები ჩაეყოლებინა. წინ სპარსელ ყიზილბაშთა ურდო მოდიოდა. მათ უკან თურქმან-თარაქამული ქარები მოჰყვებოდნენ. საგანგებოდ მოეწყოთ ისე აღა-მაჰმად-ხანს: მან იცოდა, შიიტ ყიზილბაშებს და სუნიტ თურქმანებს ერთმანეთი სძულდათ; ამიტომ წინ, ქართველთა პირველ სამიზნედ ყიზილბაშები გამოეშვა, ხოლო თვისტომ თურქმანებს უბრძანა, უყეთუ ყიზილბაშნი ქართველთა შემოტევას ვერ გაუძლებდნენ და ბრძოლას ზურგს შეაჭყევედნენ, ყველა მათგანი, „დიდნი, გინა მცირენი“, უწყალოდ გაეძლიათ...

დილის 7 საათი იქნებოდა, როცა ფონიჭალის ეკლესიაში კრავრის ეკვეთნენ სპარსელთა და ქართველთა მეწინავენი. ბრძოლა იოანე ბატონიშვილის გმირობით გაიმართდა. ნიშანზე ქართველებმა თოფ-დამბაჩები დაახალეს მტერს. მერე ხმალშეშართულნი, ყივინით წამოიშალნენ და სასტიკ ზეხეაზე გადავიდნენ. სპარსთა პირველი რიგი ჩაიყვალა და ჩაირყვა. „...და ბრძოდეს ქართველთა მეწინავენი მხედრობანი საეკირველად“. უცუქცნენ სპარსელნი. მაგრამ თურქმანთა ტყვიამ და ხმალმა ისევ ბრძოლისკენ შემოაქცია ქართველთაგან ზარბაძემულნი. თავდავიწყებით უტევდნენ ქართველები. წვებოდნენ ყიზილბაშნი, მაგრამ მაინც მოსდევდა რიგი რიგს ირანელებისა. იოანე ბატონიშვილმა თავისი რაზმი სანგრებს დაუბრუნა და სათოფე მახვილზე მტერი მიზანზე აიყვანა. შაჰმა გათხლებული წიხაყვრი ახალი ძალებით დაასქელა და გამძლეა და მაშინვე ქართველთა სანგრებს ზარბაძეები დაუშინა. თაბორის მთაღანაც დაიგრიალეს დავით ბატონიშვილის ზარბაძეებმა. აღა-შაჰმად-ხანს იმ დამით კიდევ გვეგზავნა მელიქ-მეყნუმი სამი ჩინეული ათასეულით თაბორისაკენ. დილით მელიქ-მეყნუმი თავისი ათასეულებით მიუჯლოვდა დავით ბატონიშვილის ბანაკს. ქართველთა ახალგაზრდა სარდალმა გერ ზარბაძისნი ციცქლი შეაგება მტერს, მას უკან ცხენს მოატკა, ხმალი აღმართა, თავისიასი გაიყოლა და მრივრიზე მოპირდაპირეს დაეძგრა. ისევ იძლივნენ და ჩაიხოცნენ სპარსელნი. მელიქ-მეყნუმა, მკირეთა თანხლებით, ისევ გაქცევით ძლივს დააღწია თავი სიყვდილს.

დავით ბატონიშვილი თავის სანგრებს დაუბრუნდა. იგი ახლა კრწანისის ტაფობში ტორტმანით მოშავალ ირანულ ფრადოს უთვალთვალებდა, მაგრამ მალე სქელმა ნისლმა საყვებით დაფარა მტერის ხეობა, ტფილისთან და კრწანისთან ერთად.

აღა-შაჰმ-დ-ხანი ნახევარი საათი უშენდა უუშაბრებს იოანე ბატონიშვილის სანგრებს. მერე ნიშანი მისცა და ბლავილით გაქანდნენ წინ ყიზილბაშთა ათასეულები. ისევ დაუბედნენ ქართველები. ისევ მრავლად ეცემოდნენ სპარსნი. მაგრამ ეცემოდნენ ქართველებიც. ეტყობოდა, მაინც თავისი უნდა გაეტანა უზომო სიმრავლეს. მისკირდათ ქართველებს. სანგართა მეორე რიგისკენ იწყეს დახევა. მაშინ ერეკლემ უბრძანა ძეს, ვახტანგს, მიშველებოდა იოანეს. ვახტანგ ბატო-



ნიშეილმაც გაიპრო ხმალი და გააქანა ცხენი. პირველი იწერეს და გველისპირულები აღმართეს არაგველებმა. თან ერთად „იდგილსა სპარძოლელსა“ მიაშურეს მცირე რაზმმა და დავით მანაბლის „შადიანი“ ტფილისელებმა. სასტიკი სიაფთრით შეუტყეს არაგველებმა. ველარ გაუძლეს და უკვე გარბოდნენ ყიზილბაშნი, მაგრამ ზურგიდან თურქმანთა ხმალი ისევე ამრუნებდა მათ სიკედილის ხაზზე. არ ცბრებოდა შაჰი-საჭურისი და ახალ-ახალ ძალებს აბამდა ბრძოლაში. მძვინვარე რკენა კარგა ხანს ერთ ხაზზე მადიოდა შენივთებულად. ქართველები მთელის განივით შეიჭრნენ სპარსელთა სქელ რიგებში. წინ არაგველნი მიუძღოდნენ მოიერიშეთ. გახადგურებული და გაქცეული ყიზილბაშები ველარც თურქმანებმა დააკავეს. უკვე შაჰის წინაშე ეცემოდნენ მისი მეომრები. შვიდი არაგველი დაწინაურდა და პირველნი მიწვდნენ ირანელთა სოძპარ დროშებს. მიწვდნენ და მტრის მედროშენი მათი მბრძანებლის თვალწინ ასჩხეს. დროშები დაითრიეს. ტარები მუხლის კვირისტავებზე გადაიმსხვრიეს. ლომის გერბიანი ბაირაღები კბილებით დაფხრიწეს. ამის შემხედვარე საჭურისმა იყვირა: „სიყრმიოთგან მთელი ჩემი სიცოცხლე ომებში გამიტარებია და აქამოდე არ მოვსწრებივარ მტერთაგან ვინმეს ჩემთვის ასეთი ბრძოლა გაემართოს“. ეს თქვა, თანაშემწე სარდალს ადგილზე ბრძოლის გაგრძელება უბრძანა, ხოლო თვითონ ცხენი მტკვარი-საყენ შეაბრუნა და თურქმანებს შეჰყვირა: „ვისაც შაჰი უყვარს და ვაყვაცობაც არ დაუყარავის, ახლავე გამომყევს. ხოლო, თუ მტკვარმა დამაბრჩოს, ეცადენით, გვამი ჩემი მდინარიდან გაიტანოთ. და მიწას მიაბაროთ“. ეს თქვა, ცხენს ქუსლი ჰკრა და მტკვარში გადაეშვა. სამი ათასი თურქმანი მიჰყვა ქენებითა და ცურვით. მტკვრის მარცხენა მხარეს გააღწიეს. შაჰმა სამივე ათასეული შეჰყვარა, წარუძღვა, მტკვარს ზემოთ ალყვა და ორთაქალის ბაღების პირდაპირ მტკვარი უკანვე გადალახა. და ამ მანევრით ალა-შაჰმადმა წინ გაჭრილ იოანე და ვახტანგ ბატონიშვილებს ზურგიდან უკან დასახევი გზა გადაუჭრა და ალყაში მოაქცია. იმავდროულად შაჰმა თავისი მხედრობის მეორე ნაკადი მარჯვნივ წარმართა და ქართველთა ძირითად განლაგებასაც შეუტია. აქ, მტკვრის გასწვრივ ქართველთა შემარცხნენ ქარი იდგა, იოანე მუხრანბა-



ტონის სარდლობით. და მუხრანბატონიც დაუხვდა მტერს. საომარი ველი მთელის სისრულით შლიდა ფრთებზე, გოგონები რეზით უტევდა საჭურისი: მარცხნივ ბატონიშვილმა მუხრანს მარჯვნივ მუხრანბატონის შუბლს (სწორედ ამ დღეს იყო კაცობაწართმეული კაცი ყვეელაზე დიდი ვაეკაცი. უმამატესი მხედარიც და უნიჭიერესი მხედართმძლვანიც). ხოლო, როცა ქართველთა მემარცხენე ჯარსაც მისჭირდა, ქართველმა მეფემ ახალი ძალა (თუნდაც ერთი მუქა) ჩააბა ბრძოლად. ეს თვითონ ერეკლე გამოიჭრა ბრძოლის ველზე თავისი „შუაგულით“, ერეკლე. — რომელიც „თუმცაღა იყო ფრიალ მოხუცებული, გარნა ბრძოლასა მის შინა ყოფაქცევა მისი იყო მრავალთა ქაბუთაგან სანატრელი“. გამხნევდნენ ქართველნი. უმეტესი სიმადრით უტევდნენ. მაგრამ მაინც ჯიუტად მოხოხავდა მაჰმადიანური ურდო ტფილისის კარიბჭეებისაკენ. გადაიშუადლა. ისევ უპრავად იწვა ნესტიანი, ცხელი ჰაერი. წერილი წვიმა წამოვიდა. თითქოს მდღეერე ცვივოდა ციდან, ცხენი მოუკლეს ალა-მაჰმად-ხანს. საჭურისიც დაეცა მიწას. ფიცხლავ მოართვეს სამაგიერო. ისევ ამხედრდა და შეუტია (მაინც და მაინც ამ დღეს იყო დაკოდრილ კაცი უდიდესი ვაეკაცი!). იბრძოდნენ ქართველნი. მაგრამ ურდოს სიმცირე მაინც არ ეტყობოდა. ქართველთაგან თითო-ოროლას დაეცმა კი ძალზე შესამჩნევი ხდებოდა. მათი რიგები შეუბრალებლად თხელდებოდა. ალყა გამოარღვიეს ვახტანგმა და იოანემ და საკუთარი თუ მტრის სისხლის დაუნდობელი თხევით მეფეს მიადწიეს და მის საომარ წყობას შეუერთდნენ. მაგრამ უმრავლესობა მათგანი მტერს შეკვდმოდა. სამასი არაგვილიც უკვე აღარ იყო სამასი...

ხუთი საათი იქნებოდა, როცა ალა-მაჰმად-ხანმა მთელის ძალებით ბრძანა იერიში (25000 კაცი შემორჩენოდა ალა-მაჰმადს).

ქართველებიც დაუხვდნენ „მთელის ძალებით“ (1500 კაცი შემორჩენოდა ერეკლე მეფეს).

კრწანისის ველი, ოძრახევის ზემო წელიდან ორთაქალის ბაღებამდე ირანელებით გატენილიყო.

ერეკლემ მალემსრბოლი აფრინა მარჯვენა კერზე მდგარ ზურაბ წერეთელთან ბრძანებით, ახლავე დასძარ შეტევაზე



იმერთა ქარით. და თვითონაც დარჩენილი ქარის ნაფლავებით
გაქანდა მტრასკენ.

და ელვის სისწრაფით დატრიალდა. ბედისწევრებმა მხარეებში
მეფისგან წარგზავნილმა მალემსრბოლმა წერეთელამდე ვერ
მიადწია. სპარსელებმა აკეუწეს ხმლებით. თვითონ ზურაბ წე-
რეთელმა კი შენიშნა, რომ მტერი ფლანგიდან სწრაფი სვლით
უვლიდა და თვითონაც უკანდახევა ბრძანა. მას, ალბათ, ვერ
წარმოედგინა, რომ ერეკლე მეფე ასე მცირე ქარით შებე-
დავდა კონტრშტევაზე გადასვლას. წერეთელი ზურგში მდგარ
თავის მეფეს სოლომონს შეუერთდა და ორივე ერთად სრუ-
ლიად მოეხსნენ ბრძოლის ველს. ხოლო ერეკლემ აღარც
კი იცოდა, რომ მისი მარჯვენა ფლანგი საერთოდ წასულიყო
ბრძოლიდან. არც ის იცოდა მეფემ, რომ ნარჩეალასთან სპარ-
სელთა ქარებს შეეკვდომოდნენ გიორგი ვურამიშვილი და მისი
შეზარბაზნენი.

დაბერებული პატარა კახი და მისი უკანასკნელი ქართვე-
ლობა სეიდაბადზე საშინელი ხმალითავეთებით აკავებდნენ
ზღვად მოვარდნილი მტრის შემოტევას. უკანასკნელი საათი
ბრძოლისა. საბედისწერო რკალი იცვრებოდა. მეფე იბრძო-
და უკვე მისი შესაფერისი ღირსეული სიკვდილისათვის. და
სიკვდილი არ დაანებეს. „შენ სიკვდილის ნება არა გაქვს, მე-
ფეე, რამეთუ გეწიოს შენ ძვირი ან ბოროტი რამე, უმეტეს
განლაღდნენ მტერნი და უყოფენ ძვირსა ქვეყანასა ჩვენსა!“
და სიკვდილს გადარჩენილმა სამასიოდე ქართველმა მეფის
გარშემო საღტე შეკრა და სეიდაბადიდან ბრძოლით უკანსელა
დაიწყო. კვლავ სამჯერ გაიბრძოლა ერეკლემ. სამჯერ კიდევ
ძალა დაქანცულმა და სისხლდაქცეულმა ქართულმა გუნდ-
მა მტრის უკუგდება. ტფილისში შემავალ კარიბჭესთან ერე-
კლე უკანასკნელად გამოექცა თავისიანებს და კვლავ შეუტია
გაალმანებით. მაშინ მეფესა და ირანელთა შორის კედლად
ჩადგნენ უკანასკნელი არაგველნი. მიცვივდნენ მეფეს ვახტანგ
და იოანე ბატონიშვილნი. იოანე მუხრანბატონი, ზაქარია
ანდრონიკაშვილი და გამოიტაცეს ძალისძალად მეფე ბრძოლი-
დან.

დაეცნენ უკანასკნელი არაგველები.

ბრძოლაც დასრულდა. დილის 7 საათზე დაწყებული, დას-
რულდა საღამოს 7 საათზე.

ტფილისი მტრით ივსებოდა.

ერწანისის ველზე ესვენა 15000 ირანელი და 3000 ქართველი
ველი.

ასე აღესრულა ქართველთა უიღბლო გმირობის ამოთეო-
ზით 1795 წლის 11 სექტემბერი, დღე სამშაბათი, მარად სიგ-
ლოველი სახელით — ერწანისის..



საქართველოს
საქართველოს



პრენისიდან ნინაპურაძე

საქართველომ დაიძინა როგორც მეფემ
და გამოიღვიძა როგორც გაძარცვულმა.

გ ა ლ ა კ ტ ა ი ნ ი

ალა-მაჰმად-ხანი ტფილისში

ალა-მაჰმად-ხანი 20000 მამალიანი მხედრით შევიდა ტფილისს და დაიწყო ძარცვა, ნგრევა, ნაშუსის წახდენა, ცეცხლის წაქიდება, ტყვევნა და ხოცვა კაცთა, ქალთა და ძუძუთა ბავშვთა. დედაბუდიანად ამოგდებამ და უბოროტესმა იაყარქმნამ დაისადგურა საქართველოს სატახტოში. ტფილისელები იბრძოდნენ ნაშუსიანი სოკედლისათვის. ანჩისხატის უბანში გარსევან ამილახორის ახალგაზრდა ცოლი ხანჭლით შეება მომხვედურ ირანელ მეთაურებს, ორი სოცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ თვითონაც დაიჭრა და ყოზილბაშებმა გაათოკეს ქალი. მერე ვიღაც დარუბანდელ თათარს მიჰყიდეს იგი. ძალიან ბევრი ტფილისელი შეიქნა ამგვარი თავგანწირვის მსხვერპლი. ვინც სოკედილით თავის დახსნას ვერ ახერხებდა, ირანელები ბოროკილებს ადებდნენ და ფონიჭალის ბანაყისკენ ერეკებოდნენ.

ქავათ-ხან განჯელი ქართველი მეფის სასახლეში მიუღწევია ალა-მაჰმად-ხანს. ყველაფერი ძვირფასი, რაც ამ სასახლეში იბოვია, მათ შორის ქართველი მეფის ხელმწიფური ინსიგნიები (გვირგვინი და სკიპტრა), ყველაფერი მიიტაცა საჭურისმა. მერე ერეკლეს ტახტზე დაჯდა და ქვეშევრდომთა

მიწვევა დაიწყო. ქვეშევრდომებიც მიდიოდნენ, მტკიცებით
უცვივოდნენ და ტფილისური ნადავლის ლომის წილსაც იქ-
ვე მიართმევდნენ. მარტო ჯავათ-ხანმა ოცდათორმეტ წამს
ნიერი ქალ-ვაჟი მიართვა შაჰს. ნადავლიანი დარბაზში წა-
სიამოვნებმა საქურისმა აქ ერთხელ კიდევ განაცხადა წინა
დღეებში ნათქვამი: ჩემს სიცოცხლეში ამდენი ბრძოლები
გადამიხდია და ასეთი სასტიკი წინააღმდეგობა არსად შემხ-
ვედრიაო.

მერე სასახლიდან გამოვიდა და ჯარს ხელახალი ძარცვა-
ვლეჯისა და ნგრევა-რბევის ნიშანი მისცა. თვითონ მარმარი-
ლოს სამეფო აბანოებში შევიდა. „სინდა ფრიაღ შენებუ-
ლობა მისი, რომელ იყო მარმარილოთა და თლილთა მიერ
ქვათა ნაშენი, და აგრეთვე გაუქვირდა სიკეთე ტფილისისა
მიერ წყლისა, რომელნიც სდიან ტფილისისა შინა კლდეთაგან
ტფილისისათა ბუნებითად ტფილნი წყალნი და რაოდენ გზის-
მე განიბანა მას შინა თავისი დამქენარ-დაღმეჭილი სხეული“.
ამოვიდა და აბანოების დანგრევა ბრძანა. ამასობაში სამეფო
სასახლე სულ დაენგრია და დაექცია ირანელთა ჯარს. სულ
მოესპოთ მშვენიერი კამარედნი, აუზნი, მდიდარი წიგნთსა-
ცავნი, სემინარია, სტამბა, ზარბაზანთა საჩამომსხმელონი, ზა-
რაფხანა და თოფ-იარაღის არსენალები. მაჰმადიანი დამპყრო-
ბელნი ბილწაედნენ და ანგრევდნენ ქრისტიანულ სალოცა-
ვებს, ტაძრებს, ნიშებს, საყდრებს. უწყალოდ ხოცავდნენ ქარ-
თველ და სომეხ ქრისტიან-მოწესეებს და მორწმუნეებს.

ათი დღე-ღამე ფერფლად და ავლად მიჰქონდა ტფილისი
ქარსა და ნიავს. ათი დღე-ღამე იხრჩობოდა ქალაქი სისხლში,
ცრემლში, ბოღმაში, დაუმარხავ გვამთა ხრჩოლაში.

მეთერთმეტე დღეს ალა-მაჰმადი თავისი მხედრობით ტფი-
ლისიდან ერთბაშად გავიდა და ირანისკენ გაეშურა. წავიდა
და თან გაიყოლა აურაცხელი ნაძარცვი და ათი ათასამდე ტყვე
ტფილისელი, უმეტესწილ ქალი და ბავშვი.

მაინც რამ ააჩქარა და გააქცია ასე მოულოდნელად სა-
ჭურისი-მბრძანებელი? განა, ძარცვა-რბევა და სისხლის თხე-
ვა მოეწყინა?



ალა-შაჰმად-ხანი მიმხედარა, რომ ტფილისის რეზიდენსიაში აოხრება თურმე მაინც არ ნიშნავს საქართველოს დაპყრობას და დამორჩილებას.

ჟერ, ტფილისში შესვლისთანავე მან ანიანურისკენ წისულ ერეკლეს შესაპყრობად და ქარილ-კახეთის მოსათავე შებლაღ ნოი-იანი მხედრობა გაგზავნა ქალბალი-ხანის მეთაურობით. მცხეთას რომ გავიდნენ, ირანელები ტაძარ-ეკლესიას მივსივნენ, მაგრამ მათი აოხრება თვითონ სარდალმა არ დაანება: „არა ჟერ არს, სადა იგი არს თაყვანის საცემელი ღვთისა შეურაცხოვად, და არცა სამარხი მეფეთა“. ეს უთხრა ქალბალი-ხანმა „და განდევნა იგინი გარე“.

ქალბალი-ხანის მხედრობის ერთი ნაწილი გორისაკენ გაემართა. ირანელებმა გზად მუხრანი და ქალა გაიარეს, მაგრამ საკბილო ვერაფერი მოიკბილეს: შიდა ქართლის სოფლები დედაწულიანად მთებში გაბიზნულიყო. გორიც დაცარიელებული დახვდა მტერს. მხოლოდ გორის ციხეზე იდგა მცირე ცხიონი, რომელიც ირანელებს ჩამოეგება და ფიცხელა შეტკით აოტჩა ისინი. ცხინვალისკენ გაქუსლეს, მაგრამ ცხინვალის გზებზეც დაბიზნული დახვდათ სოფლები. უკან მობრუნებულებს ლამისყანასთან იოანე ბატონიშვილი გამოუხტათ და სასტიკად დაამარცხა სპარსელნი. ბოლოს და ბოლოს, ძღვეულნი და შერცხვენილნი დაბრუნდნენ მტყვარას ხეობისკენ.

ირანელთა ერთი ნაკადი კი, თვითონ ქალბალი-ხანის სარდლობით, არაგვის ხეობას აუყვა. ეინვალამდე კაცის სულიც არ შეხვედრათ.

ხოლო, ეინვალს ამ დროს მთებიდან წამოსული სამასი თუშ-ფშავ-ხევსური მოადგა. მათ გვიან გაეგოთ საყვარელი მეფისა და ქვეყნის გასაჭირი და „მგლურით“ მოეშურებოდნენ სამხრეთისაკენ. და ეს 300 კაცი, ეინვალთან, სამკედრო-სასიცოცხლოდ შეება 4000 ირანელს. შეებნენ და სასტიკად დაამარცხეს მათი სამშობლოს სისხმაქცევად მოსულნი. გამარჯვებულებმა დღუშეთში საყვარელ მეფეს, სასიზარტლი ძღვევის ამბავთან ერთად, ირანელი ტყვეებიც მიჰგვარეს. მცირე ჯარით გადარჩენილმა ქალბალი-ხანმა კი ძლიერ ჩაიტანა



ტყავი ტფილისამდე, სადაც თავის მბრძანებელს, მარცხის გარდა, ისიც შეატყობინა, რომ ერეკლე მეფე დღემთაშორის ქრისტიანულ ველ მზედრობასაც აგროვებს და რუსის ქარსაც უმტკობს და ედება.

ტფილისში ღამის გათევასაც ვეღარ ბედავდა ალა-მაჰმად-ხანი და არც ჯარს აჩერებდა „წყვეულ ქრისტიანთა“ დედაქალაქში. როგორც კი დღიურ ძარცვასა და ტყვეებას შორჩებოდნენ, მზის დაწურვამდე ფონიჭალას ძლიერად გამაგრებულ ბანაკში გარბოდნენ თავშესაფარად.

ბოლოს ალა-მაჰმადმა ერეკლესთან ელჩი აფრინა და შეჩივება შესთავაზა. ზაერს პირობებად ირანის შაჰი ქართველ მეფეს უთვლიდა: ჩემი ხელისუფლება სცანი, მძევლად ერთი შვილი ან შვილიშვილი მახლე, ახატ-ხანისაგან წართმეული აღმასი და პოტიომკინისგან ნაჩუქარი დიდი საათიუც გამომიგზავნე, შენთან შეხიზნული ყარაბაღელებიც გადმოშეცი და ყველაფერ ამის სანაცვლოდ ტყვედ წაყვანოლ ქართველებსაც დაგიბრუნებ, ტფილისში ყოველგვარ დანგრეულსა და დამწვარს ხელახლა აღვიდგენ და ჩემს სამუდამო „დოსტადაც“ გავხდიო.

ერეკლემ ალა-მაჰმად-ხანის ელჩი და წერილი 16 სექტემბერს მიიღო, ხოლო 17 სექტემბერს, დილით, მან თვითონ აფრინა ორი ელჩი სხვადასხვა გზით: ერთი გენერალ გუდოვიჩთან ალა-მაჰმადის „საზაუო პირობებით“, და მეორე თვით ალა-მაჰმადთან, საბასუხო წერილით, რომელიც უფრო ულტრა-მატუმს ჰგავდა: თუ ტფილისის აოხრებას თავს არ დაანებებ და ტყვე-ქართველობას არ გაათავისუფლებ, არამც თუ დაზავებაზე კრინტის დაძვრა, არამედ, საერთოდ, ჩემი ხალხს რისხვას ვერ გადაურჩებიო, — სწერდა ქართველი ყაჯარს.

და ეს უბრალო დაქადნება არ იყო. ერეკლემ მაშინვე, „მისრულმან მთიულეთს, წარაელინა ყოველსა საბრძანებელსა თვისსა კაცნი, რათა განეშაადნენ ბრძოლად და სადაცა აღუნიშნავს მას მეფეი, შერკნენ მუნ“. კახთა ლაშქრით უნდა მოსულიყო გიორგი ბატონიშვილი, ხოლო ქართლის მხედრობით იქლონ ბატონიშვილი. მოსალოდნელი იყო ჯარის გამოჩენა „როსიოდანაც“, მით უფრო, რომ ერეკლეს უკვე მკაცრი საყვედური ჰქონდა შეთვლილი გუდოვიჩისადმი: ჩვენ რომ თქვენს დახმარებაში დაიმედებული და დარწმუნე-



ბული არ ეყოფოლიყავით, ალა-მაჰმად-ხანის ალაგმევსა და გან-
 ნადგურებას სხვეა საშუალებითაც მოვახერხებდით, **მოგწერთ**
 დაზავებაზე ლაპარაკიც მოისპო და ფიქრიც **შეგწყვიტეს**
 მარჯვების სრულის რწმენით ემზადებოდა რევანშისათვის.
 ალა-მაჰმად-ხანის ზურგშიც არ იყო მისთვის ყველაფერი რიგ-
 ზე: ყარაბაღი ისევ იბრძოდა. ხორასანშიც აჯანყება დაწყე-
 ბულიყო. დიას, სანამ ყველაფერი გვიან არ იყო, სანამ საქუ-
 რისს „გამარჯვებულის“ ტიტულიც ხელიდან არ გავადნოდა,
 მას უნდა გაესწრო საქართველოდან. და გაასწრო კიდევაც.

ნ ა ზ ვ ი ა ნ ი ვ ი წ ა ლ ო ბ ი თ

ერეკლე ტფილისში დაბრუნდა, კარავი დაიღვა და დან-
 გრეულ-დაფრთხილ ქალაქის აღდგენას შეუდგა.

ამასობაში, როგორც იქნა, რუსეთის საიმპერიო კარმა ყუ-
 რადღება მიაქცია საქართველოში დატრიალებულ უბედუ-
 რებას. გენერალ გუდოვიჩს ებრძანა, დაუყოვნებლივ გაეგ-
 ზაენა ჭარბ ტფილისში. გუდოვიჩმა პოლკოვნიკ ს ი რ ა ხ-
 ნ ე ვ ს 1500 მეომარი და 5 ხარბახანი ჩააბარა და საქართვე-
 ლოს დედაქალაქში გაგზავნა.

რუსული ლეგიონი 1795 წლის დეკემბერში მოვიდა ტფი-
 ლისს. ერეკლესთვის ეს დაგვიანებული მცირე წყალობაც
 დიდი იმედი იყო; საქართველოს მტრებს თვალნათლივ უნდა
 დაენახათ, რომ დიდი რუსეთი უკვე საქმით კისრულობდა
 სისხლდადენილი ერთმორწმუნე მოკავშირის დაცვას.

ქართველმა მეფემ მოღალატე ყმადნაფიცების დასჯით და-
 იწყო. 1796 წლის ადრიან გაზაფხულზე მან თავისი ძე ალექ-
 სანდრე და შვილიშვილი დავით გიორგის ძე სახელდახელოდ
 შეყრილი ლაშქრით განჯაში გაგზავნა ჭავთ-ხანის დასასჯე-
 ლად. ქართველებმა განჯა აიღეს. ჭავთ-ხანმა შერიგება ითხო-
 ვა. ერეკლემ ყოველწლიურ ხარკად ჭავთის თხუთმეტი ათა-
 სი მანეთის გადახდა აკისრებინა, საქართველოდან წაყვანილი
 ათასამდე ტყვეც გამოაშვებინა და სამუდამო ერთგულება-
 ზეც ფიცი დაადებინა.

განჯასთან მოპოვებულ წარმატებას ქართველთათვის ახა-
 ლი სასიხარულო ამბავი დაჰერთო. ამ ამბავს საერთო კავ-

კასიური, წინააზიური და, გნებავთ, მსოფლიო მნიშვნელობის
ქონდა. 1796 წლის გაზაფხულზე რუსეთმა სპარსეთს ომი
გამოუცხადა. ეკატერინე დედოფალი ომის დაწყების შემდეგ
ილა-მაჰმად-ხანისგან საქართველოს ანექსაციას
სინამდვილეში კი ომის მიზეზები კასპიისპირეთზე გაბატონე-
ბას უკავშირდებოდა. ასე იყო თუ ისე, ირანისგან შევიწროე-
ბული ამიერკავკასიის ხალხებისათვის სანატრელი და საოც-
ნებო დრო დადგა. რუსთა 40000-იანი არმია ეკატერინეს მო-
რიგი ფაეორატის, გენერალ-პორუჩიკ ვალერიან ზუ-
ბოვის მთავარსარდლობით კასპიისპირეთში შემოვიდა.
ერთკვირიანი ალყის შემდეგ, 10 მაისს, რუსთა ჯარმა ილო
დერბენდი, 15 ივნისს უომრად შევიდნენ ყუბასა და ბაქოში.

კასპიის პირზე მომავალი რუსული მხედრობის თანადრო-
ულად, მეორე არმია, რიმსკი-კორსაკოვის სარდ-
ლობით, ტფილისიდან წამოსულ სიროხნეეთან ერთად
განჯას მიადგა. ჯავათ-ხანმაც უომრად ჩააბარა ქალაქი.
შუა ნოემბერში ზუბოვის ჯარებმა მილწიეს მტკვრისა და
არეზის შესაყარს აქ უნდა დაარსებულყო დიდი სამხედრო
და სავაჭრო კოლონია, სახელად ეკატერინოპოლი.
სადაც დასახლდებოდნენ ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცები,
რომელთაც ცოლად უნდა შეერთოთ ქართველი და სომეხი
ქალები.

წინა აზია შეარყია რუსთა მხედრობის კავკასიურმა ლაშ-
ქრობამ. მაგრამ ილა-მაჰმად-ხანი სასოწარკვეთას მიიწე არ
მისცემია. ჯერ მან თურქეთში აფრინა ელჩი და „საერთო
მტრის“ წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გამოსვლა მოითხოვა.
მაგრამ თურქეთის ხელისუფლებისგან უარი მიიღო. მას უკან
ისევ ერეკლესთან შერიგება სცადა და წერილიც ასეთი მა-
ამებლური გამოუგზავნა: „უზენაისად პატივცემულო, მა-
ლაღადგილიანო, უბედნიერესო, ქართველ მეფეთა შორის გა-
მოჩენილო, ირანის ყველა სახელოვან ხანთა შორის უპატივ-
ცემულესო, სრულიად საქართველოს მეფეც ერეკლე!“ და
სხვა მრავალი ამდაგვარი, მაგრამ „უზენაესად პატივცემულ-
მა“ ქართველმა მეფემ ქართველი ხალხის უბოროტესი მოსისხ-
ლე პასუხის ღირსადაც არ ჩააგდო.

ილა-მაჰმად-ხანის დღეები დათვლილი იყო. რიმსკი-კორ-
საკოვმა ერეკლე მეფეს საგანგებო თათბირზე პირადად გა-

უმხილა, რომ მომავალი წლის ადრიან გაზაფხულზე მხედრობა შეაგულ ირანში შეიქრებოდა. გენერალ ვალერიან ზუბოვს ირანში თან გაჰყვებოდა ქართველთა ბატონიშვილის სარდლობით...

და უეცრად, ისევ ყველასათვის მოულოდნელად, კვლავ შეტრიალდა საისტორიო ბედისწერის ეპისაბრუნავი. სწორედ 1796 წლის შუა ნოემბერს გარდაიცვალა რუსეთის დიდი დედოფალი ეკატერინე მეორე. ამის გამო ერეკლემ „დასდვა გლოვა ორმოცი დღით საუფლისწულოთა თვისთა და სამეფოსა თვისსა“. ხოლო, ეკატერინეს შვილმა და მემკვიდრემ, ახალმა იმპერატორმა პავლე პირველმა საგარეო პოლიტიკის სრული გეზი სრულადვე მოატრიალა, ვალერიან ზუბოვი მთავარსარდლობიდან გადააყენა და რუსთა არმიები ამიერკავკასიიდან გაიწვია. ერეკლეს ელჩი პეტერბურგს, გარსევან ქავჭავაძე, უჩიათ და გულდრძობ იმპერატორთან ვერაფერს გახდა. პავლემ მის თხოვნას ყურით არ ათხოვა.

აღტაცებულმა ალა-მაჰმად-ხანმა საგანგებო ფირმანებით აზერბაიჯან-დაღესტნის ხანებს შეუთვალა — რუსები ხომ გავაქციე და, სანამ გვიან არ არის, ჩემი მმრძანებლობა აღიარეთო.

საქურისმა ფირმანი ერეკლესაც გამოუგზავნა. იგი ქართველ მეფესაც არწმუნებდა, რუსები შე გავაქციე, რუსებმა აღებ-მიცემობის მეტი არაფერი იციან, საომარი საქმისა არაფერი გაეგებათ, შენ კი მთელს ირანში დიდი სახელი და პატივი გაქვს და მოდი, ისევ შევრიგდეთო და სხვა მისთანანი.

ალა-მაჰმად-ხანის ეს „დიპლომატიური ნაბიჯი“ იმით გათავდა, რომ მისი ელჩი ტფილისელებმა კინალამ დაკლეს. იქ მდგარმა რუსებმა განწირული დაიხსნეს და ერეკლეს მიჰგვარეს. ერეკლემ ალა-მაჰმადს შერიგებაზე ისევ მტკიცე უარი შეუთვალა.

1797 წლის გაზაფხულზე ალა-მაჰმად-ხანმა მუქარას საქმეც მოაყოლა და დიდის მხედრობით ჩრდილოეთისაკენ წამოვიდა. ჯერ ყარაბაღს შემოესია, სასტოკად დაარბია, შუშაში უომრად შევიდა და მოღალატე ხანების სასამართლო გამართა. ზოგი სიკვდილით დასაჯა. ზოგს ბორჯილი გაუუარა და

საპატიმროში ჩააგდო. ამის შემდეგ ისევ საქართველოში
ლო მიზახში.

ქართველი მეფეც ელოდა სრულის მხნეობით. ტფილისში
თავს იყრიდნენ ქართველნი, „დიდისა და საკვირველისა“
მოდგინებითა მრავლისა განმზადებულობითა სამხედროთა
საქურველთათა სუროდათ ბრძოლის ყოფაი ალა-მაჰმად-ხანის
მიმართ“.


და სწორედ ამ დროს კვლავ დატრიალდა სრულიად მოუ-
ლოდნელი ამბავი.

გამოლანაშკრების წინ ღამეს, შუშაში, მძინარე ალა-მაჰმად-
ხანი სარეცელზედვე დააკლეს. მკვლელთა შორის ერთი ქარ-
თველიც იყო — სადილა, იგივე ანდრია, წარმომავლო-
ბით მცხეთელი.

ქართველები მათი მთხარი ჯალათის მოულოდნელ სიკვ-
დილს უგემური სიხარულით შეხედნენ: მათ ხომ „ძალიან სუ-
როდათ ბრძოლის ყოფაი ალა-მაჰმად-ხანისა მიმართ“.

რა გაეწეობა, — ქართველებს კრწანისის სისხლი აღუღ-
ბელი დარჩათ.

ირანში შაჰის ტახტზე დაჯდა ალა-მაჰმად-ხანის იმისწული
ბაბა-ხანი, რომელმაც პავლე პირველთან მშვიდობიანი
ურთიერთობა გააბა. ამ რუსულ-სპარსულ „წიაღსვლებში“ ქარ-
თველ მეფეს ერთადერთ ნუგეშად ისღა უნდა დარჩენოდა,
რომ ბაბა-ხანის ელჩმა პავლე იმპერატორს სიტყვიერად აღუთ-
ქვა, ამიერიდან ქართლ-კახეთს ირანელები აღარ შეაწუხებუ-
ნო. ეს იყო და ეს.



ეროვნული
დაგზავნი, ზედს ვერ მოეწონება
დაეშინო ჩემი სამშობლო,
ვეღს მაყვას უმედიობა
საფლავს ჩაედივარ სიმწარით.

გ რ ა გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ა

მსოფიანი მეფე თელავის სასახლეში იტარებდა თავის მრავალნაყოფიერი და მტკაელტანჯული წუთისოფლის უკანასკნელ დღეებს. აქედან ხელმძღვანელობდა იგი დანგრეული ტფილისის აღდგენას. აქედანვე იძლეოდა მკაცრ განკარგულებებს ქართული საზღვრებისა და მორყეული სამანების გამავრებაზე, ხალხისა და ჯარის მზადყოფნაზე, საომარი საქურვლითა და საქმელ-სასმელით მომარაგებაზე. თვითონაც ისევე მზად იყო პირადად წასძლოლოდა ქართულ მხედრობას საქართველოს მტერთა შესამუსკრელად.

ხოლო, სიკვდილი მაინც მოვიდა უმამაცესი კაციშვილის შესამუსკრავად, კაციშვილისა, რომელთან ურიცხვ შეხვედრაში მას, სიკვდილს, აქამდე მუდამ მარცხიანი „ბალანსი“ ჰქონდა. და სიკვდილმა ჩაფრად წყალმანკი შეუგზავნა მეფეს სხეულში. ერთი წელიწადი იტანჯებოდა საშინელი ტანჯვით მოხუცი მეფე.

1798 წლის საახალწლო დღესასწაული აგონიაში გაატარა. გიორგი ბატონიშვილი ეწვია მომაკვდავ მამას. მოიხედა ერეკლე. გაიხარა. ვეზზედაც წამოდგა უცებ მამა-შვილურ გულჩვილობას გამოეხსნა და წუთსვე ტახტის მემკვიდრე ტფილისსა და ყაზახ-ბორჩალებში გაგზავნა „მანდაურ საქმეთა საგანგიოდ“

ხოლო წყალმანკი, სიკვდილის ავი ჩაფარი, მაინც დაუნდობლად არღვევდა ერეკლე მეფის ნამსახურ სხეულს.

10 იანვარს შვილიშვილი — თეიმურაზ გიორგის ძე ბატონიშვილი — ეახლა მეფეს. ისევე მოიხედა გახარებულმა სხეულმა. შუადღისას აბანო მოინებია. თეიმურაზმა გაჰხადა და ჩაასვენა აფხაზანში. ერეკლე ხელეებს დასცქეროდა სევდის ღიმილით. სილურჯე შეჰპარვოდა ვარდისფერ ფრჩხილებს...

გათენდა 11 იანვარი 1798 წლისა.



უკანასკნელი დღე უკანასკნელი დიდი ქართველ ხელმწიფისა.

შუადღისას ავადმყოფმა გრძნობა დაჰკარგა. სამი საათის მოქცევით იწვა ურძავედ და უსულთქმოდ. მზის ჩასვლისას კვლავ გამობრუნდა. დაღამდა. ფეხზე ადგომა მოისურვა ხელმწიფემ. წამოაყენეს, მხრებში შეუდგნენ და გარეთ გაიყვანეს.

მღუმარედ გასცქეროდა ერეკლე მეფე წყვდიადში ჩაწოლილ ქვეყანას. მთელი მისი წუთისოფელი წყვდიადს ებრძოდა და მაინც წყვდიადის ეპის ეთხოვებოდა მის სალოცავ სამშობლოს.

ისევ შინ შეიყვანეს და დააწვინეს... და დაიძინა.

მაშ, იდგა 1798 წლის 11 იანვრის ღამე, როცა ერეკლე მეორე, პატარა კახად წოდებული დიდი ხელმწიფე, მიიცვალა თელავის სასახლის იმავე პალატასა და სარეცელზე, სადაც იგი დაიბად 1720 წლის 7 ნოემბერს.

თუარბელი ხალხი მიაწყდა თელავის სასახლეს. ყველას უნდოდა მეფის ხილვა, მისი დატირება, მასთან გამოთხოვება, ოცი ათასი ქართველი ვაჟკაცი, საომრად ჩასილადებული, საპატიო ჯარ-კრებულად უდგა ხელმწიფეს.

(და სად იყო ეს 20000 კრწანისის საბედისწერო ბრძოლის ეპის?!).

ეზოში ერეკლეს საომარი ბედაური იდგა, სამგლოვიაროდ მორთული, უკულმა შედგმულ უნაგირზე თოფი და უქარქაშო ხმალი ესვენა, ზედწარწერით: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაყლისა“.

გლოვობდა საქართველო.

მაგრამ მიცვალებული ხელმწიფის სასახლეში ისევ იდრინებოდა შინაგანად ეს ძველი კითხვა: ვინ იქნება ერეკლეს შემდგომ მპყრობელი და მეუფე ამა ქვეყნისა? აი, ეს მგლოვიარე დედოფალი და უფლისწულები ერთის წუთითაც არ ივიწყებენ სწორედ ამ ძველთაძველ, პატივმოყვარული თანგით შექმულ კითხვას: რა ვიქნები მე და რა მერგება შემდგომად გარდაცვლილი მეფის მიწად მიბარებისა?!

როცა თელავში გიორგი ბატონიშვილი უკვე ქართლ-კახეთის მეფედ წოდებული შემოვიდა, დარეჯანმა წინააღმდეგობა სცადა და აშკარად გამოაცხადა: მე რუსთა დიდი დე-

დოფლის, ეკატერინე მეორესავით მიიწა ვიდედოფლოს გე-
რე, ვითომ „დათომ“ და ეს მოითხოვა: გიორგის შემდეგ
ეკლესიაში, გიორგის ცოლი კი არა, მე მომიხსენებენ...
რამ ამაზედაც ცივი უარი მიიღო და ისღა დარჩებოდა, ისეც
დროისათვის დაეცადა. ამიერიდან „დედოფალი დარეჯანი და
შვილნი მისნი, არამოსურხენი მეფისა გიორგისა, მეცადინე-
ობდნენ იღუმალ, რათა სიტყვითა და საქმითა აღაფურნ შფო-
თი, ურჩება და უწყისობა...“

ასეთი „დიდი საზრუნავი“ გასჩენოდა ერეკლეს სამეფო
სასახლეს, როცა მისი ცხედარი ვერ კიდევ სავსებით არ გა-
ცივებულყო. ერეკლეს გულწრფელად მისი მადლიერი ხალ-
ხი გლოვობდა. და ქართველი ხალხის ქეშმარიტ შვილთა
გლოვის დიდ სიმბოლოებად ქცეულა ეს ორი მაგალითი,
ორი დატირება ერეკლე მეფისა: ერთი — ეს იყო უბრალო
„მდაბიოთა ერისაგანი“, ვინმე ქიზიყელი გლეხის დედაკაცო.
ვის არ დაუტირებია და მოთქმით არ შეუშკია იმ საყოველ-
თაო გლოვის დღეებში მეფე ერეკლე, მაგრამ ამ „უაზნო“ ქა-
ლის დატირებას ყველა დაუბრდილავს და განუცვიფრებია.
„ყოველთა მიეპყრათ ყური მისდა მიერ და განუციოდებო-
დათ, თუ ვითარ სოფლელმა დედაკაცმა დაიტირა გვარი დი-
დებულისა მეფისა“.

მეორე დამტირებელი კი იყო „დიდთა ქართველთაგან“ —
მეფის საყვარელი „მსაჯული“ და „ვიცე კონცლერი“ სოლო-
მონ ლიონიძე. მისი სიტყვის შინაარსი ასეთი იყო: დღეს
ქვეყანა ჩვენი მწუხარების ტახტზე ზის და ფასდაუდებელ
მსხვერპლსა სწირავს; დღეს ზეცა მეშურნედ დასცემია დე-
დამიწას და წაურთმეგვია მისთვის სიმდიდრე, სიბრძნე, მზე-
დართმთავრობა, გვირგვინოსნობა; მოკვდა ერეკლე, პერ-
კულესო, უძლეველი და მძლეეთამძლეველი მეფეთა შორის;
...ამდღე მიწიერ ქვეყანაზე მოლაშქრე მეფე ერეკლე ახლა
ციურ მნათობთა წინააღმდეგ სალაშქროდ მიეშურება; მეფე,
რომელმაც აღიდა სახლი, გვარი და სიმხნე ქართლოსიანებისა
და ამჟამად აღიდა ანგელოსთა და ღვთისა თანა... მან ხომ
ხერთვისის და ასპინძის სისხლში ნაწრთობი ხმალით ზვანთ-
ქარს სპარსეთის ხელმწიფესთან მიაწერინა: მეფე ერეკლე
სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო. ამაზე ქე-
რიმ-ხან იტყოდა: „მეფე ერეკლე ასეთი რამ ბრძანდება, რომ

ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხლავს" და მასწავლებელს
 სახელმწიფო ხმალი მოუძღვნა... მან ზომ საქართველო
 დირ შაჰისგან გამოიხსნა. ხოლო აზატ-ხანი ათასი ერეკლე
 ცია. პრუსიის მეფემ, ფრიდრიხ მეორემ კი ასე დამეხმარა: ~~მეფემ~~
 როპაში მე ვარო და აზიაში ერეკლე, ქართველ-გეორგიანთ
 მეფე"... იგი, თავისი ძლიერი თვალებით, ზევით აიხედავდა
 და ცას აპყევდა, ძირს დაიხედავდა და დედამიწას გულა
 გაუხსნიდა; სფერა ქვეყნისა თვალში მოეჭკვია და დედამი-
 წას ორ ფურცლად კითხულობდა... ანგელოზთა სამწიგნობ-
 რო სახელი „მეფე ერეკლე“ ცის კალთებზე იწერებოდა და
 ქვეყნის მპყრობელებს ძილს უკარგავდა... ცა და ქვეყანა
 ერეკლეს მახსოვარი არიან; მზე და მთოვარე, იმის ბედნიერ
 ლაშქრობებში ხანდაზმულნი არიან; დღისით მზე ჰყავდა მე-
 წინავე სარდლად და ღამით მთოვარე; ორივე ერეკლეს გამარ-
 ჭვებულ დროშას წინ მიუძღოდა; მტერთა სისხლით შედე-
 ბილი მთა და ბარი ერეკლეს სახელს მოუთხრობენ... „მაგრამ,
 ხელმწიფე! რად გვიხაროდა შენი ხელმწიფედ ცხებულობა,
 თუკი სამკედროსა ზეთსა იცხებდი? რად გინდოდა სახელმ-
 წიფო პორფირი, თუკი დასამიწებელს სუდარას გარეს მოი-
 ხვევდი? რად გინდოდა განსაგებელი სკიპტრა, თუკი სკიპ-
 ტრის მპყრობელთა ხელთა გულზედ დაიკრეფდი? რად გინ-
 დოდა ქვეყნის მპარდილობელი დროშა, თუკი მტერზედ გა-
 დახურვილსა შენის შიშისა ფარდასა ახდიდი? რად გინდო-
 და სახელმწიფო ტახტი, თუკი დასამიწებელს საფლავს იშე-
 ნებდი?... დაეკლდით ერნი ქრისტიანენი მეფესა, პატრონსა
 და საზოგადო მამასა. დავესტირით ძლიერსა და მხნესა მამა-
 კაცსა. აღარა გვყავს მეფე ერეკლე: თავი — გამგებელი ერის-
 სა, ხელი — მზრდელი ობოლთა, მკლავნი — მომგერიებელი
 მტერთა, და მისი გვამი შრომისმოყვარე საფლავში ირღვევა.
 შენ გვედრებით, იესოს სისხლით ცხებულსა, ირავლის კაცთ-
 მოყვარე სულსა ნუ შეაწუხებ, და მისგან დაობლებულსა
 საქართველოს მოჰხედე!.. სად არის, ხელმწიფევ, შენი ხელ-
 მწიფური განგება?! რად შემოიხსენ ხმალი, რომლის გამარ-
 ჭვებანი რიცხვით ხსოვნას ასცილდა? რად შემოსწყერ სა-
 ხელოვანსა დროშას, რომლისაც პაერში მომკურავი კალთე-
 ბი ქვეყანას აჩრდილებდა, და მესისხლოდ განჭიმულს ზორ-
 ტებით ცის კალთებს ეჩხებებოდა და ლერკულესის მეფის

უძლეველობის სტამბა ზეცას იბეჭდებოდა?... მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფე ირაკლის შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტრფიალება? ვის დრომას ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვეკდე? ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზტახავად განმწარებულმან?"

...სრულიად საქართველოს უმძიმესი და უმწარესი კავშიანი ესეენა დიდი მამულიშვილის ამ უკანასკნელ დატირებაში. მართლაც და, ერეკლეს შემდგომ, მის სისხლიერ, მრავალნაყოფიან ნაშიერში, ვინღა დარჩენილიყო ისეთი ღირსებისა, ვინც სოლომონ ლიონიძის სამსახურს, სიყვარულს და თავგანწირვას დაიმსახურებდა?

აბავანი

და ამიტომაც ითქმოდა იმ გლოვის ეამს ასე სასტიკად: სოლომონ ლიონიძემ ერეკლე მეფე რომ დაიტირა, საქართველოც მასთან ერთად დაიტირაო...

...ორმოცი დღე-ღამე იგლოვა საქართველომ. ორმოცის თავზე საქართველოს უკანასკნელი დიდი ზელმწიფის ცხედარი თელავიდან მცხეთაში წაასვენეს.

საომრად დასილაღებული 20000 მხედარი მიაცილებდა (და, სად იყო მისი ნახევარი მაინც კრწანისის საბედისწერო ბრძოლის ეამს?).

სეტიცხოველში, ქართველთა ზენაარ სალოცავში, დიდი ვახტანგ გორგასალის ახლოს დაკრძალეს.

იწვა იგი — სწორუბოვარი მხედარი და მხედარმძღვანი, ასზე მეტი ბრძოლის ძლევაშოსილად აღმსრულებელი („რომლის გამარჯვებანი რიცხვით ხსოვნას ასცილდა“).

იწვა მეფე, რომელმაც აკენიდან საფლავამდე უზადო, შეურაცხვენელი წუთისოფლით ატარა და ასახელა ქართველი ხალხის სალოცავი სახელნი — ვახტანგ გორგასალისა, დავით აღმაშენებლისა, გიორგი ჭონდიდელისა, თამარ შვიდმნათობიერისა, გიორგი ბრწყინვალისა, სვიმონ დიდისა, ქეთევან წამებულისა.

გამეფდა 24 წლისა, იმეფა 54 წელიწადი, აღესრულა შობიოვან 78 წლისა.

...ქვეყანა პავდა ყრმადაკარგულ, სუდარით მოსილ ცაჩიელ აკვანს.

საქართველო ახალ ცხოვრებას უნდა
უ-ი რ ა კ ლ ი-ოდ, უ-ს ო ლ ო მ ო ნ-ოდ...



ბ უ ლ ტ შ ი რ ი ს კ ა ტ ა ლ ო ბ ი

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში ყურადღება ექცეოდა სასკოლო სწავლასა და აღზრდას. სახელმწიფო სკოლები დაარსდა ტფილისსა (1755 წ.), და თელავში (1782 წ.), ორივე ფილოსოფიის სემინარია. აქ სწავლობდნენ საღვთისმეტყველო საგნებს, ფილოსოფიას, გრამატიკას, ლოგიკას, რიტორიკას, ფიზიკას და მეცნიერების სხვა დარგებს. იყო კერძო სკოლებიც. სწავლობდნენ ისტორიას, ფილოსოფიას, მშობლიურ ენას, სპარსულ, იურქულ, არაბულ, სომხურ და რუსულ ენებს.

განსაკუთრებით განვითარდა საისტორიო მეცნიერება. ვახტანგ შვექვესის ინიციატივით, როგორც ზემოთ ითქვა, შეიქმნა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელმაც მოახდინა ძველი „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება და ახალი (მეთოთხმეტე-მეთვრამეტე საუკუნეთა) საქართველოს ისტორიის შედგენა. ამივე დროს განეკუთვნება ვახუშტი ბაგრატიონის შესანიშნავი საისტორიო-გეოგრაფიული თხზულება — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იმავე მეთვრამეტე საუკუნეში წერდაც თაყიანთ საისტორიო თხზულებებს სეხსია ჩხეიძე, ომარ ხერხეულიძე, პავუნა ორბელიანი.

მეთვრამეტე საუკუნეს ამშვენებს დიდებული ქართველი მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი. გამორჩევი უნდა აღინიშნოს მისი ფილოსოფიურ-პედაგოგიური ხასიათის რომანი „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, და ლექსიკოლოგიური შრომა — „ქართული ლექსიკონი“.

იწერებოდა და ითარგმნებოდა შრომები მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიასა და გეოგრაფიაში. ანტონ კათალიკოსმა თარგმნა ვოლფის ფიზიკა, არისტოტელესა და პროკლეს ფილოსოფიური თხზულებანი და დაწერა ორიგინალური თხზულება „წყობილსიტყვაობა“.



სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ნააზრევს დატოვებულ
 დით, ქართული პოეზიის მაღალი კმსილებებით, ქართული
 ნენ მეფე ვახტანგ მეექვსე და მეფე თეიმურაზ მეორე
 ტანგმა და სულხან-საბამ ერთად თარგმნეს მსოფლიო რეზო-
 ნანსის ნაწარმოები — „ქილილა და დამანა“.

მეთვრამეტე საუკუნემ შესძინა ქართულ ლიტერატურას
 დიდი პოეტი და ვით გურამიშვილი, რომლის პო-
 ეტური შემკვიდრება თავმოყრილია მრავალმნიშვნელოვან
 კრებულში — „დავითიანში“. ამავე საუკუნეში თხზავდა მშვე-
 ნიერ ლირიკულ ლექსებსა და ისტორიულ პოემებს ბესი-
 კი (ბესარიონ გაბაშვილი).

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაარსდა თეატ-
 რი. პირველ დრამატურგებად მოგვევლინენ დავით ჩო-
 ლოყაშვილი და გიორგი ავალიშვილი.

უკვე გვეჩინდა საუბარი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის
 ისეთ დიდ კულტურულ მონაპოვარზე, როგორც არის ქარ-
 თული სტამბა, დაარსებული და გამართული ვახტანგ მეექვ-
 სის მიერ.

გ ე ო გ ა გ ი ო რ გ ი გ ე თ ო რ გ ე ტ ი ს ა

ერეკლე მეფეს დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი ეძინა.
 გიორგი მეფეს დღე-ღამეში მხოლოდ ოთხი საათი ეღვიძა.
 ერეკლე მეფის ტანის სიმსუბუქე არწივს შეშურდებოდა.
 გიორგი მეფის ტანის სიმძიმე სპილოს შეშურდებოდა.
 ერეკლე მეფე, ბრძოლად მიმავალი, ერთ ლუკმა პურს
 და ერთ ჭიქა ღვინოს იკმარებდა.

გიორგი მეფე, წოლად მიმავალი, ერთ მოხარშულ ზაქს
 და ერთ ჩაფ ზოდაშურს ძლივს იკმარებდა.

ასეთი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი
 მეთორმეტე. როცა იგი ჭამასა და ძილს მორჩებოდა,
 ერთთავად სულ ლოცულობდა. საწოლი ოთახი ხატებით
 ჰქონდა გავსებული. ჩამოუვლიდა და ყველას ჩაჰკოცნიდა,
 ხოლო, რომელსაც ვერ მიწეუბოდა, ყოხს მიაწევენდა და
 მისი მუშვეობით „ჰკოცნიდა“ ყველას. წირვა-ლოცვის, ზარე-
 ბის რეკვის თავდავიწყებით მოტრფე იყო რუსთ ხელმწი-



ფის, გონებასუსტი თევდორესავით. ყოველი მოულოდნელობისადმი, ყოველი სიახლისადმი, სალხინო თუ საქართველოში ციდენტისადმი იყო გულგრილი, აუღელვებელი თებელი.

უკვე ცხენზე ვეღარ ჯდებოდა „ზაქიკამია“. შიშზე სხეულის უძრაობით დაუსწრებლად. წყალმანკი გაუჩნდა (მხოლოდ ამით „მიბაძა“ მამას). ალბათ, დიდხანს აღარ იცოცხლებსო და ტახტის ახლოს მორიალზე ყველა პრეტენდენტი „სატახტო ნახტომისთვის“ ემზადებოდა — ცალკე მეფის ძმები და ცალკე მეფის ძენი, ერთმანეთის მოძულენი და მოქაშპენი.

მუდამ დინჯი და აუჩქარებელი გიორგი მხოლოდ მაშინ აჩქარებულა, როცა ხელი იმ კანონზე მოუწერია, რომლის ძალითაც მეფობა მის ძმებზე უფროს-უმცროსობით უნდა ჩამორიგებულყო. ეს „აჩქარება“ აწუხებდა ყველაზე მეტად მეფე გიორგის და გამუდმებით ცდილობდა როგორმე შეედრომა გამოესწორებინა და ტახტის მემკვიდრეობა ისევ თავის შვილებისთვის „ვადმოემტკიცებინა“. გიორგის ძმებმა ეს იგრძნეს და თავიანთ საუფლისწულოებში მეფისადმი მტრობა გაააქტიურეს. მაშინ გიორგიმ ძმების ასალაგმავად და პირადი უშიშროების დასაცავად დაიჭირავე ლეკთა ჯარი — 1200 კაცი. ამან კიდევ მეტად გაართულა მდგომარეობა. ჯარის შენახვაც ძნელი იყო (ყოველ ლეკს თვეში ჯამგირად 30 მანეთს აძლევდა) და ლეკების საშუალებით მშვიდობიანობის ჩამოგდებაც წარმოუდგენელი მეფესა და მის ძმებს შორის მტრობა უფრო გამძაფრდა. რუსეთიდანაც მეფობის დამტკიცება გიორგის ჯერ ისევ არ მოსელოდა. სამაგიეროც ირანის შაჰისგან ბაბა-ხანისგან მოუვიდა სიგელი. ისევ ჩემკენ შემობრუნდიო, წყალობით ერეუანს, განჯას, შაქსა და შირვანს მოგართმევო — ითვლევინებოდა ბაბა-ხანო. გიორგის შაჰის შემოთავაზება თითქოს ჭკუაში დაუქდა, საბასუხოდ ელჩიც გაგზავნა, მაგრამ ირანში ისევ შინარეულობა ატყდა და იქ საქართველოსთვის ვეღარავინ მოიცალა. მაშინ გიორგიმ ოსმალეთთან სცადა კავშირის გაბმა. ყოველგვ ეს მეფემ რუსეთის მთავრობასაც შეატყობინა და ამ შემთხვევაში მან გვარიანი სიმტკიცე გამოიჩინა. უკეთუ რუსეთი ახალ მეფეს სასწრაფოდ არ სცნობს და სათანადო დახმარებასაც არ გამოიღებს, გიორგი ერეკლეს დროინდელ „ტრაქ-



ტატს“ გააუქმებს, რუსეთიდან თავის ელჩს გამოიწვიოს და დახმარებასაც სხვაგან მოიძიებს — ეს შეუთვალა კონსტანტინე პეტერბურგში თავის ელჩს გარსევან ტუხთაიძესა და რუსეთის მთავრობისთვის გადასაცემად.

გიორგის ასეთმა მოულოდნელმა კატეგორიულობამ შედეგი გამოიღო. რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა სასაფრათოდ წყალობის სიგელი გამოუგზავნა ქართველ მეფეს. გიორგიმ მაშინვე ტახტზე დამტკიცების ინსიგნიები, ტახტის შემკვიდრედ მისი ძის დავითის დამტკიცება და საქართველოში 3000 რუსი ჯარისკაცის გამოგზავნა მოითხოვა. პავლე პირველმა ქართველი მეფის ყველა ამ თხოვნასაც 1799 წლის 18 აპრილს წერილობითი ხელრთვით დასტური მისცა.

დავით ბატონიშვილის ტახტის შემკვიდრედ დამტკიცებამ საბოლოოდ გადაამტერა ძმები გიორგი მეფეს. ისინი თავიანთ საუფლისწულოებში ჩაესაგრნენ, ვითარცა „ცალკე მეფენი“ და უფროსი ძმის მეფობას სრულებით აღარ სცნობდნენ. იულონი, გიორგის შემდგომ ძმათა შორის ყველაზე უფროსი, ნამდვილ მეფედ თავის თავს თვლიდა და ქსნის ხეობაში იჯრებდა მომხრეებს. არაგვზე ვახტანგი მაგრობდა, ძმა-პრეტენდენტთა შორის ყველაზე ენერგიული ბატონიშვილი, რომლის გამფებას ყველაზე მეტად მხარს უჭერდა დედამისი დარეჯან დედოფალი. მარტყოფს ისევ შირიანი იყო, სურამს — ფარნაოზი. ალექსანდრე საუფლისწულოდ ყაზახს ითხოვდა, მაგრამ გიორგიმ არ მისცა, რადგან ყაზახი სამეფო-სახასოდ ითვლებოდა. მაშინ ალექსანდრემ დაპყრა ფეხი და 65 კაცის თანხლებით სპარსეთს გაიქცა და ბაბახანის ძეს აბას-მირზას მიეცედა. ბაბა-ხანი და აბას-მირზა საქართველოში სალაშქროდ ემზადებოდნენ და მათთვის ალექსანდრე ბატონიშვილის მისვლა ფრთხილ ხელსაყრელი რამ უნდა ყოფილიყო...

1799 წლის ნოემბერში საქართველოში შემოვიდა გიორგი მეფის ნანატრი და ნაოცნებარი რუსული ჯარი, 46-ე ეგერთა პოლკი, რომელსაც მოუძღოდა გენერალი ლაზარევი. ამით მოპყვებოდა იმპერატორისგან საქართველოს სამეფო კარზე საგანგებოდ დანიშნული მინისტრი-რეზიდენტი კოვალენსკი, რომელსაც თან მოჰქონდა გიორგის შესამკობე-

ლი სამეფო ინსიგნიები: გვირგვინი, წამოსასხამი, დრამა, ხელი და სკიპტრა.



„10000-ზე მეტი ადამიანი მოისწრაფოდა ქალაქს რეპუბლიკისათვის. რათა ენახა შემოსვლა რუსთა რაზმებისა. ტფილისის მთავრობის მიერ ყველა სისხლის სახურავი სავსე იყო ქაღებიით, რომელთაც ერთი ფერის თეთრი ტანსაცმელი ემოსათ. კრიალა და გაბრწყინებული ცის ქვეშ ქალაქში ჯანფენილი ეს ბანაკი ჰგავდა პოეტურ სანახაობას. ზარბაზნების სროლა და ზარების რეკვა ყველა ეკლესიაში ქართველ ხალხს ატყობინებდა დაწყებული ზეიმის შესახებ. ხალხის მოძრაობა, მისი აღტაცებული შეახილები ავსებდნენ ძმური მიღების ამადელევებელ სურათს და ამჟღავნებდნენ რუსეთისადმი გულწრფელ ერთგულებას“ (წერდა კოვალენსკი).

„მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქობამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა“ (დაწერს ილია ჭავჭავაძე).

ირანი შეარყია რუსთა შემოსვლამ საქართველოში. ბაბახანმა რუსეთის მთავრობას საქართველოს დაეცა მოსთხოვა, თან ჯარებს აგროვებდა და ომით იმუქრებოდა. ამის პასუხად, 1800 წელს პავლე იმპერატორმა საქართველოში კიდევ ერთი ლეგიონი გამოგზავნა, გენერალ გულიაკოვის სარდლობით. რუსეთის ასეთ რადიკალურ ნაბიჯს ირანმა „რადიკალობით“ ვეღარ უპასუხა.

და მაშინ, გიორგი მეფის შინაურმა და გარეულმა მტრებმა ისევ ლეკების საშუალებით სცადეს ხელის შემობრუნება.

ნი ბ ხ შ რ ა

საქართველოს ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბატონიშვილი ირანიდან დაღესტანს გადასულიყო ომარ-ხან ავარიელთან.

ომარ-ხანი ერთადერთი იყო, რომლის სისხლის ჯავრი სამარეში წაპყლოდა ერეკლე მეფეს. ხოლო ახლა, სწორედ ერეკლეს სისხლი და ხორცი, ძე მისი, ხელახლა უხელებდა საქართველოზე დაგერშილ სისხლს დაღესტნის ბელადს.

უიშისოდაც გადაწყვეტილი ჰქონია ომარ-ხანს საქართვე-
ლოს ხელახალი დალაშქვრა.

და დაიწყო კიდევ 1800 წლის ოქტომბერს მთელი და-
ლესტანი დაიძრეს და დააცურეს ომარ-ხანმა და ბატონიშვილმა.
ბატონიშვილმა.

18000 ლეკი მოთქარუნობდა. ყველაზე წინ ალექსანდრე
ბატონიშვილი მოაგვლებდა ცხენს 2000 ნარჩევი ლეკით.

რუსულ-ქართული მხედრობაც სასწრაფოდ გავიდა ტფი-
ლისიდან.

ეგერთა და მუშკეტერთა პოლკები, სულ 2000 რუსი ჯა-
რისკაცი. სარდლები — გენერალი ლაზარევი და გენერალი
გულიაკოვი.

ქართველნი — 1500 ქართლელი და 1000 კახელი. სარდ-
ლები — მეფე გიორგის ძენი იოანე და ბაგრატ ბა-
ტონიშვილნი.

საომრად შეიყარნენ ნიახურას ციხესთან, მდინარე
იორსა და სოფელ კაკაბეთს შორის, 1800 წლის 7 ნოემბერს.

მარცხენა კერძით მუშკეტერთა პოლკი დადგა, მარჯვენა
კერძით — ეგერთა პოლკი. შუაზე ქართველები ჩადგნენ.

ლაზარევმა ბრძოლის ხელმძღვანელობა გულიაკოვს მი-
ანდო. ქართველმა სარდლებმა, იოანე და ბაგრატ ბატონი-
შვილებმა, რუსი გენერლის მთავარსარდლობა სცნეს, ოღონდ
„ვიეთნიმე მოულოდნელის“ შემთხვევაში საკუთარი მოქმე-
დების უფლება მოითხოვეს. შეთანხმდნენ. ბრძოლა დაიწყო.
ლეკებმა დაიწყეს.

ალექსანდრე ბატონიშვილი გამოუშვა ომარ-ხანმა მეწინა-
ვე მოივრიშედ. რუსთა მარჯვენა კერძს, ეგერთა ლეგიონს შე-
მოუტია ალექსანდრემ. კარტეჩი შეაგება გულიაკოვმა. ჩაი-
კეცნენ მეწინავე ლეკნი. ტყვიები შემოიხარჯეს ალექსანდ-
რეს მომდევნო მწკრივებმა, ხმლები იშვიშელეს და წამოვიდ-
ნენ გამგელებულნი. ჩაიკირნენ რუსნი მიჯრილი წყობით, ხიშ-
ტის ჯაგრით ჩაჯაგრულნი. იოანე ბატონიშვილმა ჩაუჭრა გზა
ბიძის, კახელთა ათასეულით. უკუიქცა ალექსანდრე. მაშინ
სრულის ძალებით დაიძრა ომარ-ხანი. მარცხენა კერძს თვი-
თონ მოუძღოდა ლეკთა ბელადი ეგერთა ასანეხაევი, მარ-
ჯვენას ჰაჯი ახმეტ-ხანი მოაქანებდა მუშკეტერთა ასაკაფა-
ევი. ბაგრატ ბატონიშვილი გაიჭრა და დაეძგერა ხმალდახმალ



მაგი ახმეტს, ელვის უსწრაფეს თავი წააგდებინა. მუშეტარ
 მა ნოვიციმ ტყვია ატაკა ომარ-ხანის მედროშეს და ცრმის
 „ლეკთა სახელმწიფო დროშა“. ცეცხლით — იბღჟა...
 ლიაკოვმა და ციკ-გომბორი შეაზანხარა თოფთა და ხამბუ-
 ლაკთა გროალმა. ცხენი გააბრუნა და გაქუსლა ბრძოლის ვე-
 ლიდან ომარ-ხანმა. ლეკებიც გაქყვნენ გაქცეულ ბელადს.
 გააფურთხა და გაქენდა ალექსანდრე ბატონიშვილიც. ზურ-
 ვიდან ტყვია დაეწია, ბეჭი ჩაუჭრა, შექანდა, მაგრამ ისევ
 გაიმართა და გაფრინდა ვახუშტის, ჯაფარიძის კვამლით გულ-
 გატენილი. მტრის გაქცევა გამარჯვებად იქმარეს გულიაკოვმა
 და ლახარევი. მაგრამ არ დადგნენ ქართველები, ვერც რუ-
 სებმა შეიმაგრეს და გამოედევნენ გაქცეულებს იოანე და ბაგ-
 რატ ბატონიშვილნი. მიმწუხრამდე სდიეს და სჩებეს მოსის-
 ხლენი ქართველებმა გაალმასებით. ღამემ და იერის პირებზე
 სქლად ჩაყორომებულმა ლერწმიანებმა შეიფარეს სიკვდილს
 გადარჩენილი და გაფანტული ლეკები.

სამი ათასამდე ლეკი დარეცილიყო ნიახურას ველზე. ორი
 ათასამდე გზაზე აცაფათ ქართველებს. მეორე დღეს კაკი-
 ბელნი და მანაველნი იჭერდნენ იერის ქალებში, ლერწმიან
 ქალტამებში ჩარჩენილ და ჩაჩუმქრულ ლეკებს.

ამ მარცხის შემდგომ აღარ ვახუშტის ომარ-ხანს. სამუდამოდ
 შერცხვენილმა და დაქინებულმა ლოთობას მისცა თავი,
 ლოთობაშივე ჩაიძირა და ჩაყვა სიკვდილს. ხოლო, ალექ-
 სანდრე ბატონიშვილი ჯერ იბრეიმ-ხან ყარაბაღელთან მივი-
 და შეშაში, იქ დიდხანს აღარ დარჩენილა, წამოვიდა და და-
 ვით-გარეჯას მოვიდა. ერთი წელიწადი შეინახა თავი აქაურ
 ბერთა და მღვდელთა შორის. ჭრილობა მოიარჩინა და ისევ წა-
 ვიდა საქართველოსთვის „დამოუკიდებლობის“ და თავისთ-
 ვის ტახტის „სამებრად“...



აშშ-ს რეპრეზენტაციისთვის

ქობულეთი, ქობულეთის რაიონის ცენტრში
ქვეყანის საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილებაში

ნაქარაია, 26.

მადრიდში, მადრიდში, ერთ-ერთი რეპრეზენტაციის ბრძოლის არ შეეძლო რაიმე საინფორმაციო, შემოღობუნებითი როლი ეთამაშა უმძიმესად დაჩიხული მდგომარეობიდან ქართლ-კახეთის გამოსაყვანად.

ქვეყანას თავი ვერ დაეხსნა შინაპოლიტიკური არედაჩვევისაგან, სიძულელი, უნდობლობისა და მტრობის ატმოსფეროსგან, ნივთიერი სიღატაკისა და სულიერი დაცემულობისაგან.

მარტო ძმებთან მტრობა კი არა, გიორგი მეფეს ღვიძლ ძესთან, ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილთანაც არ პქონია თანხმობა და ერთსულოვნება. დავითი მეცნიერულად, რაციონალისტურად მოაზროვნე ახალგაზრდა კაცი იყო და, როცა მან მაცხოვრის ხატის ადგილზე ვოლტერის სურათი გამოაფინა, ღვთისმოსავემა მეფემ ღვთისმგმობელი უცხოელის სურათი აიღო და ცეცხლში ჩააგდო...

ქვეყანა იყო ამოწყვეტილი, ქართველობა — უღარესად გაჩანაგებული. სულ ქართლ-კახეთში იყო 2006 სოფელი (1682 — ქართლში, 324 — კახეთში). სულ ქართლ-კახეთში დაითვლებოდა 40000 ოჯახი და თითო ოჯახზე ოთხი სულის ანგარიშით — 160 000 სული.

დასავლეთ საქართველოში მაშინ მოსახლეობა უფრო მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ თუ მაშინდელ ამერ-იმერ ქართველობას შევეერთებთ, საქართველოში 600—700 ათასი ქართველი ძლივს მოიყრიდა თავს...

მუდმივი შიში იდგა ამოწყვეტილ საქართველოში გარე-შე მტრების კვლავ მუდმივი შემოსევებისა — სპარსისა, თურქისა, ლეკისა. მეფე კი ისევ მოშლილად იჯდა ქართლ-კახეთის მორყეულ ტახტზე და ფიქრადაც არ ეფიქრებოდა, რა ეღირობოდა ქართული სისხლი აზია-ევროპის სასისხლო „მიმო-ქცევის“ ბაზარზე.

და ისევ მხოლოდ რუსეთის იმედად იყო საქართველო.

ქართველთა მეფეს ბაბა-ხანისგან ელჩი ისევ მოსვლილად ირანის წინაშე ქვეშევრდომობას და საამისოდ საფარონტო მძევალს მოითხოვდა შაჰი. გიორგიმ კი ამის პასუხად იქვე უკუ ელჩს ნელ დესპანს კედელზე დაკიდებულ პავლე პირველს უკუ ელჩს რათხე მიუთითა და მშვიდად უთხრა: მარტო მას, ერთადერთს ვცნობ ჩემს ხელმწიფედ, მფარველად და სხვის არავის ამ ქვეყანაზეო.

რუსეთის მთავრობასაც ვაცხოველებოდა იმეამად პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ინტერესნი საქართველოს მიმართ. 1800 წელს საქართველოში საგანგებო მისიით მყოფმა მუსტაფა-პაშამ შეისწავლა ამ ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრენი და მოახსენა მისი ეკონომიკური სარფიანობა პეტერბურგის კარს. იქვე ნაგულისხმევი იყო ქართლ-კახეთის საერთოდ „შიერთება“ რუსეთის სახელმწიფოსთან, რაც, თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლებას გაუადვილებდა კავკასიის „ლინიაზე“ ბატონობას და სამხრეთისაკენ, წინააღიისაკენ შემდგომ „მრავალმხრივ დამიანტერესებელ“ წინსვლას.

და სწორედ იმ ქამსვე, გიორგი მეფის ელჩებს გარსევან ჭავჭავაძეს, გიორგი ავალიშვილსა და ელიზბარ ფალავანდიშვილს უკვე წარედგინათ მათი მეფის თხოვნა („ნოტა“) რუსეთის იმპერატორისადმი: მისი აღმატებულება მეფე ქართლ-კახეთისა გიორგი, ჩვენი ხელმწიფე, დიდებულნი, სამღვდელოება და ხალხი მოწადინებულნი არიან მიიღონ სრულიად რუსეთის იმპერიის სამუდამო ქვეშევრდომობა, ვალად იღებენ წმინდად შეასრულონ ყველაფერი ის, რაიც სრულდება რუსეთის ქვეშევრდომებისაგან, რომ არ გადაუხვიონ არც ერთ კანონსა და ბრძანებას... სცნონ სრულიად რუსეთის იმპერატორი საკუთარ ხელმწიფედ და თვითმპყრობელად... და საქართველოშიც გატარდეს ისეთი მმართველობა და კანონები, რომლებიც დადგენილ იქნება რუსეთის საიმპერატორო კანონებისაგან, რომ თავის მხრივ ქართველ მეფეებს, იმპერატორის ბრძანებულების გარეშე, უფლება არ ჰქონდეთ არც ერთი კანონის გამოცემისა!

ეს იყო მთავარი, ხოლო დანარჩენი, იმ „ნოტაში“, ნათქვამი იყო ყოველივე მეორეხარისხოვანი და რუსეთის მეფისათვის სრულიად არასავალისხმო: ქართველთა მეფე რომ

თავისთვის და თავისი შეილებისთვის ტახტის დანართუნება
კამაგირის დანიშვნას, ფულის მოჭრის უფლებას და სხვა
„მისთანებს“ ითხოვდა.

ეროვნული
სამართლებრივი

მთავარზე მთავარი სწორედ ის იყო-მეთქი, ველის მაშინდელი მეფე, მეფე ერეკლეს ძე და მემკვიდრე, ერეკლესეული „მფარველობითი ტრაქტატის“ ნაცვლად რუსეთის იმპერატორს „ქვეშევრდომობის ნოტას“ სთავაზობდა. მაშ, თითქოს 1783 წლის „მფარველობითი ტრაქტატი“ მოძველებულა და ქართველთა მეფე რუსთა ხელმწიფეს ეაჩება ქვეშევრდომად და ყმად მიგვიღეო წიაღსა შინა შენი იმპერიისასა! ამაზე მეტი სისიამოვნო მოსასმენი რაღა უნდა მოესმინა და მოეხილა პავლე პირველის კარს „სამხრეთულ საქმეთავან“?!

და სასწრაფოდ ამოძრავდა სანკტ-პეტერბურგის ორივე სასახლე — ზამთრისაჲ და ზაფხულისაჲ. კავკასიის „ლინიის“ უფროსს, გენერალ კნორინგს, 1800 წლის 15 ნოემბრის რიცხვით პავლე იმპერატორის საიდუმლო წერილი მოუვინდა: გიორგი მეფის ავადმყოფობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი მალე მოკვდება და ამიტომ, როგორც კი ეს მოხდება, ზომები მიიღეთ, მიცვალებული მეფის ნაცვლად ჩვენი ნებართვის გარეშე არაფერს დაინიშნოსო. ხოლო, 1800 წლის 22 დეკემბერს. ისე რომ გიორგი მეფის სიკვდილისთვისაჲ არ დაუცდიათ, პავლე იმპერატორს უკვე მოეწერა ხელი რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტზე.

ეს მანიფესტიც კნორინგმა საიდუმლოდ მიიღო და ასევე საიდუმლოდ უნდა დაეცვა გიორგი მეფის სიკვდილამდე.

ხოლო, მანიფესტის ხელმოწერიდან ექვსი დღის თავზე, 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა მეფე გიორგი მეორემეტე.

და მაშინვე კნორინგმა ტფილისში ლაზარეცს, „ყოველა შემთხვევისთვის“, კიდევ ორი პოლკი და ორი ცალკე ბატალიონი გაუგზავნა.

გიორგი მეფე კი იმ იმედით ჩავიდა საფლავში, რომ მისი სიკვდილის შემდეგ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობაში აღმოჩნდებოდა, მაგრამ ტახტზე მაინც მისი ძე დავით ბატონიშვილი დაჯდებოდა ახალ ხელმწიფედ. მას ექვციც აქ წაპყოლია, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი ქართველი



მეფის „ნოტიდან“ მხოლოდ ქართლ-კახეთის ქვეშევრდომობას მიიღებდა, ხოლო ტახტსაც და ტახტს მემკვიდრეობსაც „ხედმეტ ბარგად“ მიიჩნევდა.

პეტერბურგიდან წამოსულმა ქართველმა ელჩებმა გიორგია უკვე კუბოში მწოლარეს მოუსწრეს. თუმცა დავითს ტახტის მემკვიდრეობის უფლება კი ჩამოუტანეს, მაგრამ ლაზარევემა დავით ბატონიშვილს ნება არ დართო თავი მეფედ გამოეცხადებინა, სანამ იგი საამისოდ ხელახალ დამტკიცებას არ მიიღებდა იმპერატორისგან.

დავითმაც მაშინვე გააბრუნა ელჩები რუსეთს. იგი პავლე პირველს უთვლიდა, რომ გულმხურვალედ დებულობდა რუსეთის ქვეშევრდომობას და ითხოვდა ოდენ, მამის ანდერძისამებრ, საშეფო ტახტზე დამტკიცებას.

რუსეთიდან დასტურის მოლოდინში დავითი ქართლ-კახეთის მართვას შეუდგა არა „მეფის“, არამედ „რეგენტის“, ანუ „განმგოს“ ტიტულით.

მაგრამ არც ელჩებმა და არც თვითონ დავითმა არ იცოდნენ, რომ პავლე იმპერატორს დავითის თხოვნაზე წინასწარ უკვე უარი ჰქონდა გამზადებული. ხოლო, მანამდე, 1801 წლის 16 თებერვალს, ხალხით გაქვდილ სიონის ტაძარში, პირველად სახალხოდ გამოცხადდა იმპერატორის მანიფესტა რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებისა.

ხოლო, სანამ ქართველი ხალხი, მისი ყოველი საზოგადოებრივი შრე და საფეხური გონს მოეგებოდა, 12 მარტს პეტერბურგში შეთქმულებმა მოკლეს იმპერატორი პავლე პირველი და, მაშასადამე, საქართველოს საკითხი ახლა ახალ ხელმწიფეს ალექსანდრე პირველს უნდა გადაეწყვიტა.


პავლე პირველის მკვლელობაში ფრიალ აქტიურად მონაწილეობდა ქართველი თავადი ვლადიმერ იაშვილი: მან საკუთარი ხელებით დაახრჩო იმპერატორი. ახალმა ხელმწიფემ, ალექსანდრე პირველმა, რომელიც მამის დამხობაში თვითონაც მონაწილეობდა, ტახტზე ასვლისთანავე მისი კეთილისმყოფელი ვლადიმერ იაშვილი კალუვის გუბერნიაში გადაასახლა. არა ჩანს საფუძველი ასეთი უმადურობისა, თვითონ იაშვილი კი გადასახლებიდან ასე სწერდა ალექსანდრე იმპერატორს: „ხელმწიფე, რა წუთიდან მამათკენი

ტახტზე ავიდა, მე გადავწვევით, თუკი ეს საქიროს იქნება და
თავი შემეწირა რუსეთის კეთილდღეობისათვის, უბედურ
რუსეთისა, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ მსხვერპლი
პირების სათამაშო ასპარეზად იქცა და ბოლოს მსხვერპლია-
დაც... ჩვენს სამშობლოს თვითმპყრობელი ხელისუფლება
მართავს. მილიონების ბედი დამოკიდებულია ერთი ადამიანის
ქეუასა და სულგრძელობაზე. პეტრე დიდი სახელოვნად
ეზიდებოდა მძიმე ტვირთსა და მისი ბრძნული მმართველობის
დროს ქვეყანა ისვენებდა; მაგრამ გენიოსები იშვიათად იბა-
დებიან... ღმერთმა იცის, რომ ჩვენი ხელები სისხლით შეი-
ლება არა ანგარების გამო: ნეტავ მსხვერპლი უშედეგო ნუ
იქნება. შეიგნეთ თქვენი უმადლესი მოვალეობა, იყავით ტახ-
ტზე, თუ შესაძლებელია, პატროსანი ადამიანი და რუსი მო-
ქალაქე. გასსოდეთ, რომ სასოწარკვეთილებისთვისაც არ-
სებობს საშუალება და ნუ მიიყვანთ სამშობლოს დაღუბამ-
დე. ადამიანს, რომელიც სიცოცხლეს სწირავს რუსეთს, აქვს
უფლება ეს გათხრათ... მე ახლა უფრო დიდი ვარ, ვიდრე
თქვენ, რადგანაც არაფერი არ მსურს და თუ თქვენი დიდების
გადასარჩენად, რომელიც ჩემთვის ძვირფასია მხოლოდ იმი-
ტომ, რომ იგი რუსეთის დიდებაა, საქიროა ჩემი სიკვდილი,
მე ამისათვის მზადა ვარ. მაგრამ ამას აზრი არა აქვს; მთელი
ბრალი ჩვენ გვაჩვენება. მაგრამ ამაზე მეტ დანაშაულობებსაც
ფარავს სამეფო მანტია. მიედივარ ჩემს სოფელში, შევეც-
დები იქ გამოვიყენო სისხლიანი გაკვეთილები და ვიზრუნო
ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე. მეფეთა მეფე ან შემოწყ-
ლებს ან დამსჯის, სიკვდილის წინ ვევედრები მას, რომ ჩემი
მსხვერპლი უეშედეგო არ აღმოჩნდეს!

მშვიდობით ხელმწიფევი მეფის წინაშე მე სამშობლოს
მხსნელი ვარ, ხოლო შეილის წინაშე — მკვლელი...“

ამ საოცარი წერილის ავტორი მისი დაწერიდან ათი წლის
შემდეგ ისევ გამოჩნდება რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ
ასპარეზზე, მაგრამ პეტერბურგის სასახლეში დატრიალებუ-
ლი ტრაგედიის კვალობაზე მთავარი ის იყო, რა ბედი უნდა
სწევოდა საქართველოს უბედურ საკითხს.

ახალი იმპერატორი ერთხანს თითქოს უარს ამბობდა რუ-
სეთთან ქართლ-კახეთის შეერთებაზე. რადგან ეს ვითომ არა-
საკადრისი ძალადობის აქტად მიაჩნდა, მაგრამ მალე ამ ფა-



რისიველურ პოლიტიკურ კეცლუცობას თავი დაანება და 180 წლის 12 სექტემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს, რომელიც ლითაე ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას უერთდებოდა. ყოველგვარი „დამოუკიდებელი ტახტისა“ და „დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული“ მეფის გამორიცხებით.

იმპერატორი აღექსანდრე პირველი ფარისევლობას მაინც არ ელეოდა და ამ უმკაცრესი პოლიტიკური აქტით მაინც ამას იუწყებოდა: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიის გაფართოებისათვის გკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვეერთს. არამედ მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გეოკარნახებს ჩვენ საღვთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყრათ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქარეებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შეძლებს განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველყოს პირადი და ქონებრივი უშიშროება და პიროვნების კანონისმიერი დაცვა“.

სიტყვადი აღთქმა სწორედ დიდებული იყო.

მაგრამ შეეძლო კი რუსეთის ახალ იმპერატორს მართლა აღესრულებინა ქართველი ხალხისათვის ის სიკეთენი, რაიც მთელი ათასი წლის მანძილზე საკუთარი რუსი ხალხისთვისაც ვერ შეუძრულებია ვერცერთ მის წინარე რომელიმე „იმპერატორს“, „ცარს“ თუ „კნიაზს“?!

არა, არ შეეძლო.

მაგრამ გადარჩენა კი შეეძლო.

რუსეთის იმპერიასთან საქართველოს „შეერთებას“ ქართველი ხალხის გადარჩენა შეეძლო — ფიზიკური მოსპობისაგან გადარჩენა.

გადარჩენა იმ ხალხისა, რომელიც მაშინ ნახევარ მილიონზე ცოტა მეტი თულა დარჩენილიყო.

და ერთხელ კიდევ მოვესმინოთ კოლხი რიტორის ხმას მეექვსე საუკუნიდან- „მე ვინატრიდი, ჩვენს ქვეყანას დაპბრუნებოდეს მისი ძველთაძველი სახელოვანი ძალმოსილება და უძლეველობა, რათა არასოდეს დასკირვებოდეს შემწეობა უცხოთაგან და გარეშეთაგან, რათა ყოველ უამსა და ყოველ საქმეში, ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც, მხოლოდ საკუთარ თავს დაპყრდნობოდეს, მხოლოდ საკუთარ თავს

გუთონოდეს... მაგრამ რაკი ეამთა ბრუნვით და შედის წყლის
უკუღმართობით, ანდა ორივე უბედურების წყალობით, ანდა
ნაირ უძღურებაში ჩავეარდნილვართ, რომ უცხო-
დომობა აღარავგზით აღარ აგვეცდება, მაშინ ისა სჯობს, იმათ-
თან ვიყოთ, ვინც ჩვენს მიმართ უფრო კეთილსასურველად
მოგვევლინება..."

...მაშ, წელიწადი სანიშანსვეტო — 1081.

საქართველო „უფრო კეთილსასურველ“ გზაზე იდგა, იგი
არსებითი იმპერიას უერთდებოდა. საისტორიო ბედ-იღბალმა
ამ გზით წაიყვანა და ამ ნიშანსვეტთან მიიყვანა ქართველი
ხალხი.

ეს ნიშნავდა სსპარსულ-თურქული „ს ხ ვ ა დ - გ ა დ ა ქ ე ე -
ვის ა გ ა ნ“, ანუ ეროვნული გადაშენებისაგან თავის დახს-
ნას.

ეს ნიშნავდა „ს ხ ვ ა ს თ ა ნ ყ ო ფ ნ ი ს“, ანუ „თანაყოფ-
ნის“, ანუ თანაარსებობის, ანუ ეროვნული გადარჩენის სრულ
გარანტიას.

მიემართოთ ანალოგიას: დიდი საბერძნეთი ქრისტეს წინა-
რე მებუთე-მეოთხე საუკუნეთა მიჯნაზე, უმძიმესი ოცდა-
შვიდწლიანი ომების („ბელოპონესის ომები“) შემდგომ, დან-
გრეული, დაშლილი და დაუძღურებელი, უექველი მსხვერპლი
უნდა გახდეს სპარსული ექსპანსიისა, ანუ „გასპარსელებისა“,
ანუ ეროვნული გადაშენებისა. საბერძნეთს არ გააჩნია შინა-
განი ძალები ხელახალი აღორძინებისა და მოსისხლე მტრის
უკუგდებისა, მას არა საშველით არ შეუძლია თვითონ დაიხ-
სნას და შეინარჩუნოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული
დამოუკიდებლობა. ამიტომ ბუნებრივად გაჩნდა საჭიროება
ასეთი „მხსნელი“ ძალებისა და გზების ძიებისა ქვეყნის გა-
რეთ. და შიგნეს კიდევ ძველმა ბერძენმა პროგრესისტებმა
ასეთ „სასურველ გარეგან ძალას“. ეს იყო ახლად აღზევებუ-
ლი და გამძლავრებული მეზობელი მაკედონია, „ახლობელი“,
„ერთმორწმუნე“, „ერთსულოერი“ ქვეყანა საბერძნეთისა.
სპარსეთი საბერძნეთს უქადდა უექველ „სხვად-გადაქცევას“,
მაკედონია კი — „თანაყოფნას“. ანუ „თანაარსებობას“, და
საბერძნეთი შეუერთდა მაკედონიას. იქნებ ამას ისტორიაში
„დაპყრობასაც“ ეძახიან, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ საბერძნე-
თი მაშინ სწორედ გადარჩა ფიზიკურ განადგურებას და ეროვნ-
ულ გადაშენებას.

ასეთივეა საქართველოს „შევრთება-დაპყრობის“ მიმართებანი მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე. რუსეთი ისეთივე „მხსნელი“ და „გადამრჩენელი“ უნდა იყოს იქნა იყო საქართველოსთვის, როგორც მაკედონია იყო მათთვის (საერთოდ ბევრი ანალოგია იქმნება საქართველოსა და საბერძნეთის ცივილიზაციათა ისტორიაში. ამ მოხსენებულის გარდა, ადრე დავით აღმაშენებლის ეპოქაზე საუბრისას ვახსენეთ ანალოგია „ელინისმისა“ და „ქართლისმისა“...).

მაგრამ ისევ გაისმის ქირვეული კითხვა — აკი მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილეთა?! მართლაც, აკი ითქმება შემდგომში ეს უზუსტესი განმარტება „მისი უდიდებულესობა“ ულიანოვ-ლენინისაგან, გინა „გენიალურ სატანისაგან“!

მაშ, საქართველო „ხალხთა საპყრობილეთი შესუღიყო“. მაგრამ ამით მის ისტორიაში ბოლო ეღებოდა ყოველ დამაქცევარ და დამამხოველ „მოქცევას“, ყოველ „ობას“ — „უიზილბაშობას“. „თურქ-ოსმალობას“ თუ „ლექიანობას“.

დამდგარიყო ქრისტეს აქეთ მეცხრამეტე საუკუნე და საქართველო ახალი „მოქცევით“ იწყებდა ცხოვრებას.

ჩ ა ს ა ხ ლ ე ბ ა - ბ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა

1802 წლის 8 მაისს, „ყოფილი საქართველოს“ „ყოფილ დედაქალაქში“, თბილისში, საზეიმოდ გაიხსნა რუსული მმართველობა, ამას ფორმალურად დაერქვა „საქართველოს მმართველობა“, რაც სინამდვილეში ისეთივე შინაარსისა უნდა ყოფილიყო, როგორც მმართველობა რომელიმე რუსული „გუბერნიისა“ სრულიად რუსეთის იმპერიაში.

ახლად გამოცხადებული და დამკვიდრებული სამმართველო სისტემის სათავეში იდგა „მთავარმართველი“. იგივე რუსი მთავარსარდალი, რომელიც იმოქმედებდა რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების სრული რწმუნებებით ჯერ — ყოფილ ქართლ-კახეთში, შემდეგომ — მთელს საქართველოში და ბოლოს — სრულიად ამიერ და იმიერკავკასიაში.

მთავარმართველის თანაშემწე იყო თბილისის სამხედრო

გუბერნატორი, ზოლო სამოქალაქო საქმეთა თანამშრომელი, ქართველოს მმართველი“.

მმართველობა იყოფოდა ოთხ ექსპედიციად: მთავარ-სამართლებელი, სამოქალაქო საქმეთა, სახაზინო-სამეურნეო და სისხლის სამართლის საქმეთა საქართველოს მთელი შინა გამგეობა ამ „ექსპედიციებით“ სორციელდებოდა. ექსპედიციების სათავეშიც რუსი მოხელეები იდგნენ. საქართველოს პირველ „მმართველად“ და აღმასრულებელი ექსპედიციის გამგებლად დაინიშნა კოვალენსკი.

ქართლ-კახეთი დაიყო მახრებად, რომელთა სათავეში კვლავ რუსი მოხელეები ინიშნებოდნენ. ქართლში სამი მახრა ჩამოყალიბდა — გორის, ლორეს და დუშეთის; კახეთში კი ორი — თელავის და სიღნაღის. ცალკე უბნები, ანუ „დისტანციები“ შეიქმნა თათრულ დასახლებებში — ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილუს, ბამბაჯისა და შორაგლის „დისტანციები“.

საქართველოს რუსული გამგებლობის თავი და თავი სირთულე ენისა და ზნე-ჩვეულებათა უცოდინარობა იყო. სისხლის სამართლის საქმეები მთლიანად რუსული კანონების მიხედვით ირჩეოდა. სამოქალაქო ცხოვრებაში კი, უნდოდა თუ არ უნდოდა, რუს მოხელეს ადგილობრივი სამართლისა და ტრადიციისათვის ანგარიში უნდა გაეწია. ამიტომ იძულებული იყვნენ, ზოგ ურთულეს შემთხვევაში მაინც, „მრჩეველბად“ ადგილობრივი ქართველი თავადაზნაურობა გამოეყენებინათ.

ქალაქების გამგებლობა ეკისრებოდათ კომენდანტებს და მათ თანაშემწე პოლიცემისტერებს...

რუსული ბიუროკრატიულ-კოლონიური რეჟიმი მტკიცედ მკვიდრდებოდა ქართულ მიწაზე. ქართული ფეოდალიზმი უკანმოუბრუნებლად მიჰქონდა წარსულ ისტორიას...

„საქართველოს პირველი მთავარმართველი იყო კავკასიის „ლინიის“ მთავარსარდალი კნორინგი, რომელიც თავს სრულებითაც არ იწუხებდა ახლახან შემოერთებული ქვეყნის მოვლა-პატრონობაზე ფიქრით. ფაქტიურად, საქართველოს სამხედრო უწყებას გენერალი ლაზარევი განაგებდა, სამოქალაქოს — კოვალენსკი. ლაზარევს და კოვალენსკის თავიდანვე, საქართველოში შეხვედრის პირველი დღიდანვე, ერთმანეთი ქირის დღესავით სძულდათ და მტრობდნენ.



ახალ რუსულ მმართველობას უწინარესად საქართველო
 სამეფო ოჯახის წევრთა საკითხი უნდა გადაეწყვეტილიყო. რუსეთთან საქართველოს შეერთების მანიფესტაციონალური
 რუსული მმართველობის გამოცხადებით ყველა დარწ-
 მუნდა, რომ ქართლ-კახეთში ადგილობრივი ქართული მე-
 ფობა სიერთოდ ამოკვეთილი იყო. სანამ დავით გიორგის ძე,
 ლაზარევის ჯარებით ზურგგამაგრებული, „რეგენტობდა“ და
 „განმგებლობდა“, მანამ ტახტის მიძიებელი მისი ბიძები
 იულონ და ფარნაოზ ერეკლეს ძენი იმერეთს გადახვეწილიყ-
 ვნენ, სოლომონ მეორესთან თავშესაფარებლად. თვითონ სო-
 ლომონი იულონის გამეფებას ემხრობოდა და ტახტზე მის
 ასაყვანად იმპერატორ ალექსანდრეს წინაშე შეამდგომლობ-
 და. ხოლო, როცა ქართველ ბაგრატიონებს ჯერ კიდევ ასეთი
 ვმარჯობა გულუბრყვილობის ბურუსისათვის თავი ვერ
 დაედწიათ, რუსთ ხელმწიფეს უკვე გადაეწყვიტა გადასაწყვე-
 ტი: მთავარმართველ კნოზინგს საიდუმლო ბრძანება მიე-
 ლო პეტერბურგიდან — ქართული სამეფო სახლელუნი, თა-
 ვიანთი ცოლით, შვილით, ფესვით და ძირით — „ნებაყოფ-
 ლობით“ უნდა გადასახლებულიყვნენ საქართველოდან რუსე-
 თში. მაშინ რუსეთში იყვნენ ბატონიშვილები იოანე, ბაგრა-
 ტი, მირიანი და მიხეილი და ასევე „ნებაყოფლობით“ აღარ
 გამოუშვეს ისინი საქართველოში. ყველას პენსიები დაუნიშნეს
 და რუსეთში დატოვეს სამუდამოდ საცხოვრებლად. ეს შე-
 დარებით იოლად გაკეთდა, უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო
 სამეფო სახლელულთა გაყვანა თვითონ საქართველოდან.

ყველა ქართველი ბატონიშვილი უკვე შეთქმული იყო.
 ტახტზე დღენიდაც ფიქრით აღზრდილ ადამიანს ტახტი სი-
 ცოცხლესავეთ ძნელად ეთმობოდა. იულონი და ფარნაოზი
 იმერეთიდან იმერეთს და ოსმალთა ჯარით ქართლ-კახეთის
 ტახტისთვის საომრად იმუქრებოდნენ. შეთქმულებას თბი-
 ლისიდან დაუქან დედოფალი მეთაურობდა იდუმალ. თეიმურ-
 რაზ ბატონიშვილი სურამიდან იმუქრებოდა. ვახტანგ ბატო-
 ნიშვილი თუშებისა და ოსების იმედით არაგვის კარის გა-
 დაკეტვას ეპირებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთი-
 დან სპარსთა ძალებით ამზადებდა საქართველოში შემოჭრას
 და რუსთა განდევნას.

საქართველოს თავიდაზნაურობაც თავისი ფეოდალური



პრივილეგიების დაკარგვას ვერასვხით ვერ შეგუბობთ და კვლავ „მშობლიური მეფობის“ აღდგენისთვის იბრძობა. ზოგი თავადი ქარ-ბელაქანში გაქცეულა და ზოგიც სპარსეთში, ალექსანდრე ბატონიშვილთან.

1802 წლის 25 ივლისს, კახეთში, სოფელ ქელმენჩურში, შეთქმულება მოაწყვეს ანდრონიკაშვილებმა, ვანნაძეებმა, ჟანდიერის შვილებმა, ჩოლოყაშვილებმა. გლეხობის ნაწილიც მიიმხრეს და რუსთ ხელმწიფესთან გასაგზავნი თხოვნა შეადგინეს. ისინი მოითხოვდნენ მეფობის აღდგენას რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ და მეფედ იულონ ბატონიშვილს ასახელებდნენ. „ჩვენი ვედრება ეს არის, ჩვენზედ მრავალგვარად გარჯილის და ღვაწლადებელის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვიხვეით და ჩვენი მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახუროთ“. — სწერდნენ შეთქმულნი რუსეთის იმპერატორს. ეს „თხოვნა“ ზოგის აზრით დარეჯან დედოფალს უნდა წაედო რუსეთში და პირდაპირ მიერთშია იმპერატორისთვის, ზოგიც ამ საქმეში გარსევან ჭავჭავაძის დიპლომატიურ გამოცდილების მოშველებას ვარაუდობდა. მაგრამ სანამ შეთქმულნი ასე მიამიტურად ბჭობდნენ, მანამ საგარძნობი გახდა, რომ ლაზარევისა და კოვალენსკის ხელისუფლება უმკაცრესი ზომების მიღებას აპირებდა. მაშინ ზოგი შეთქმულნი ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა სპარსეთს, დანარჩენები ღუშეთს მდგარ ვახტანგ ბატონიშვილს დაუკავშირდნენ და დარიალ-არაგვის გზათა გადაკეტვაში შეეთქვნენ.

რუსმა სამოხელეო, მმართველობამ კი სასწრაფოდ მიიღო შეთქმულების სალიკვიდაციო ღონისძიებანი. გენერალი ლაზარევი კახეთს გაეშურა, სპარსეთს გაქცეულ თავადთა მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, დანარჩენებს „შესარიგებლად“ მოუწოდა. ისინიც მოვიდნენ, მორჩილად იულონის ერთგულებაზე დადებული ფიცი ლაზარევიმ ყველას უკანვე წააღებინა და რუსეთის ერთგულებაზე ხელახალი ფიცი „აკმარა“. ეს 10 აგვისტოს მოხდა და იმავე დღეს ღუშეთში, ვახტანგ ბატონიშვილიც უსისხლოდ დანებდა იქ საგანგებოდ წარგზავნილ გენერალ ტუჩკოვს.



ენორინგ-ლაზარე-კოვალენსკის მმართველობაში რუსეთში არც ერთი მხრის ინტერესები არ გაამართლა. ქართველებისა და არც რუსებისა. ქართველი თავადიც, აზნაურიც, გლეხიც, ერიც და ბერიც, „ერთმორწმუნე მფარველის“ მაგივრად, უსულგულო ბიუროკრატის ვიწრო შუბლასა და უხეში ჩექმის პირისპირ აღმოჩნდა. რუსეთის უხენაესი საიმპერიო ხელისუფლებაც მიხვდა, რომ საქართველო ისეთი მოქნილი და მოხერხებული პოლიტიკის წარმოება, რომლითაც ახლად „შემოერთებულ“ ამჟამებში ვერც დაელოდებოდნენ უფრო სწორედ „მფარველი“ ეგრძნო და ახლა „დამპყრობელი“. ამიტომ, იქნებ, აკობებდა საქართველოს სამართავად იმპერიაში გამოენახათ იმპერიისთვის ფანატიკურად თავდადებული და თანაც ქართველებისთვის უფრო „შობილიური“ მმართველი. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ენორინგი გადააყენა და 1803 წლის 1 თებერვლის ბრძანებულებით კავკასიის მთავარსარდლად და საქართველოს მთავარმართველად დანიშნა გენერალი პავლე დიმიტრი ციციანოვი. იგი შეიღიშვილი იყო იმ პაატა ციციშვილისა, რომელიც ვახტანგ მეექვსემ, სხვა ქართველ წარჩინებულებთან ერთად, რუსეთს წაიყვანა სამუდამო საცხოვრებლად. მამამისი, დიმიტრი ციციშვილი, რუსეთის ქართულ კოლონიაში დაიბადა. თვითონაც იქვე იშვა და გაიზარდა. გაიზარდა რუსული კულტურით. ყრმობითვე იყო ნიჭიერი და მიზანსწრაფული. ყმაწვილობაში ლექსებსაც წერდა, ფრანგულიდანაც თარგმნიდა. „მამაცი გენერალიო“, — ასე ეძახდა მას სუფორთვი, რომელთან ერთად იბრძოდა ციციანოვი პოლონეთის აჯანყების ჩახშობის ეაშს. დიდი მხედართმთავრისგან ნაქებ სიმამაცესთან ერთად იყო მტკიცუნებანი: იყო ჭიუტიც, ქედფრცხელიც. რუსად გაზრდილი, განსწავლული და განათლებული ციციანოვი ქართველობას არც ისე იოლად ელეოდა. საქართველოსაც კარგად იცნობდა. ვალერიანე ზუბოვს აქტიურ თანამებრძოლად ახლდა ამიერკავკასიაში 1796 წლის ლაშქრობის ეაშს. ამიერკავკასიაში ქრისტიანული (რუსულ-ქართულ-სომხური) სახელმწიფოს შექმნის თავგამოდებული მეხოტბე იყო და ამ სახელმწიფოს „გვირგვინოსნო-

ბაზეც“ ოცნებობდა გონიერტი და პატივმოყვარე ^{გენერალი} ერთი სიტყვით, ციციანოვ-ციციშვილი გარუსებულე ^{ქართველი} თველი იყო.

გარუსებული ქართველი კი საქართველოსთვის, თითქოს, უფრო „ნაკლები ბოროტება“ უნდა ყოფილიყო, ვიდრე გათათრებული ქართველი...

ახალ მთავარმართებელს თანაშემწედ მისებრ გარუსებუ-

ლი ქართველი დაუნიშნეს — დ ი მ ი ტ რ ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ალექსანდრე იმპერატორმა ციციანოვს სტულიად დამოუკიდებლად მოქმედების უფლებები მიანიჭა. მის დიქტატორულ გამგებლობაში შედიოდა კავკასიის ორივე მხარე და ასტრახანის გუბერნია.


ციციანოვმა მთავარმართებლობა ქართული სამეფო საზღვრების რუსეთს გადასახლებით დაიწყო. ჯერ დარეჯან დედოფალს მიადგინეს და რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორისა და იმპერატრიცა-დედოფლის პეტერბურგს მიწვევა მიართვეს. დარეჯანი მაშინვე მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს „მიწვევა“ და ავადმყოფობა მოიმიზეზა. ჯერ მოიმიზეზა და მერე მართლა გახდა ავად. ამიტომ მისი რუსეთს გაგზავნა დრომდე გადაიდო.

მერე ვახტანგ ერეკლეს ძე ბატონიშვილი და ტახტის მემკვიდრე დავით გიორგის ძე მოიკითხა ციციანოვმა. ყოველგვარი ცერემონიის გარეშე შეიპყრო ისინი და გაგზავნა რუსეთს ძლიერი მოდარაჯე რაზმის თანხლებით.

ეს რომ შეიტყო, თბილისიდან გაიქცა თეიმურაზ გიორგის ძე ბატონიშვილი. გაიქცა ბელაქანს, სადაც მაშინ იმყოფებოდა ბიძამისი ალექსანდრე ბატონიშვილი.

ციციანოვმაც მაშინვე ჯარი გაგზავნა ჭარ-ბელაქანში, გულიაკოვის სარდლობით. ეს ჯარი შედგებოდა 1800 რუსისა და 4500 ქართველისაგან. ქართველები სულ მოხალისედ მოსულიყვნენ და ეს „ხალისი“ სავსებით გასაგები უნდა ყოფილიყო: ჭარ-ბელაქანი საქართველოს სისხლხორცეული ნაწილი იყო, ეამთა სიღვის წყალობით რომ თვითონ ქართველობისთვის განუწყვეტლივ ძარცვისა და აწიოების ბუდედ გადაქცეულიყო. ეს მხარე, ისტორიული კავ-ელისენი ბოლოს და ბოლოს უნდა დაბრუნებოდა ქართულ სამანებს.

1803 წლის 9 მარტს რუს-ქართველთა ჯარმა ლეკები გაა-



ნადგურა და ბელაქანი დაიკაეა. ალექსანდრე და თეოდორე ბატონიშვილები გაიქცნენ და გადაიხვეწნენ. ქაოის გადასარჩენად თავი გამოიღო შაქის ხანმა, მაგრამ გადამწყვეტ ბრძანების ქამს მან მოკავშირე ქარელები შიატოვა და გაქცა. მა თავე დამარცხებულად ცნო და მთავარმართებელთან მოლაპარაკება ითხოვა. იტკიცა ეს ციციანოვმა: „განა ბუზებს შეუძლიათ მოლაპარაკება არწივებთან?!“ ეს ბრძანა და კვლავ ესეც დაუმატა: „ვისაც ძალა ხელში უჭირავს, ის სუსტსა და უშწეოს კი არ ევაჭრება, არამედ უბრძანებს მას!“ და ყოველი მოლაპარაკებისა და „ვაჭრობის“ გარეშე ქარ-ბელაქანს ციციანოვმა ყოველწლიურ ხარკად 220 ფუთი აბრეშუმის გადახდა დააქისრა. ამას გარდა, საქართველოზე ლეკთა თარეშის სამუდამოდ დასაქეტაეად ციციანოვმა ქარ-ბელაქანის პირდაპირ, სამგან — ურდოს ფონთან, დედოფლის წყაროსთან და ყარაღაჯთან — სამხედრო ბანაკები დაასახლა და დამკვიდრა. ქარ-ბელაქანის დამორჩილებას ციციანოვი საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენად ანგარიშობდა და აქცენტსაც ამაზე აკეთებდა და არა რუსეთის იმპერიის საზღვართა გაფართოებაზე.

1803 წლის 19 აპრილს, ციციანოვის ბრძანებით, გენერალი ლაზარევი ეწვია გიორგი მეფის ქვრივს დედოფალ მარიამს. პირდაპირ საწოლ ოთხაში შეუხდა კახაკებით და უბრძანა რუსეთს წასასვლელად მომზადებულიყო. დედოფალმა უარი განაცხადა. ლაზარევს თავაზიანი ცერემონიები არ უყვარდა და ხელი უხეშად წაუცდა. მარიამმა წამსვე ხანჯალი ამგერა. ლაზარევი მკედარი დაეცა. დედოფალი შეიპყრეს და რუსეთს ძალით გადაასახლეს. რვა წელიწადი ბელგოროდის მონასტერში ამყოფეს, მერე მოსკოვში ცხოვრების ნება მისცეს. გარდაიცვალა 1851 წელს. ჩამოსაგენეს და დაკრძალეს სვეტიცხოველში, მეფე-მეუღლის გვერდით.

1803 წლის 25 ოქტომბერს ციციანოვმა პეტერბურგს გაგზავნა ერეკლეს ქვრივი დარეჯან დედოფალი, რომელიც იქვე აღესრულა 1807 წლის 8 ნოემბერს.

ასე რომ, მეფის ოჯახის წევრთაგან ქართლ-კახეთში უკვე აღარავინ დარჩენილიყო. ნაწილი გადაესახლებინათ, ნაწილი თვითონ გაქცეულიყო და გადახვეწილიყო.

1804 წელს პავლე ციციანოვმა ილაშქრა განჯას. წინასწარ

განჯის ბატონს ჭავთ-ხანს წერილი გაუგზავნა, განჯაში
რის დროს საქართველოს ეკუთვნოდა და აილაყ საქართვე-
ლოს უნდა დაუბრუნდესო. ჭავთ-ხანმა დანებებას უარს
და სახანო საომრად ფეხზე დააყენა. 1804 წელს
ციციანოვმა განჯა აიღო. ჭავთ-ხანი და მისი ძე, მრავალ გან-
ჯელთან ერთად, მტერს შეაკედნენ. 17000 კაცი ტყვედ აიყუ-
ნეს გამარჯვებულებმა.

„შ ე ი რ თ ე ბ ა“ ი მ ე რ ე თ ი ს ა

—ქართველ ხალხს საქართველოს აღდგომა-
სათვის დიდი ბრძოლა ამებრძლან წინ ედო.
ქ ე რ კ ი ქ ა რ თ უ ლ ი ქ ე ვ ე ნ ე ბ ი თ ა ვ ს
ი ე რ ი დ ნ ე ნ „ხ ა ლ ხ თ ა ს ა მ ა ყ რ ო ბ ი ლ ე -
შ ი“, მაგრამ საქართველოს აღდგომა-გამოსხ-
ნის“ გზა სწორედ ამ „სამყრობილეს“ გადიო-
და და სხვა უმჯობესი გზა იმ დროს არ არსე-
ბობდა“.

ნ ი კ ო ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

იმერეთის სამეფო მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, და-
დი სოლომონ პირველის ღვაწლის წყალობით, საქართველოს
უველა სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით მომძლავ-
რებულად და მომრავლებულად შემორჩენილიყო. მეფე სო-
ლომონ მეორეც წინაპრის მემკვიდრეობას თავგამოდებით
იკავდა და ავითარებდა. მხოლოდ ეგ იყო, რომ დასავლეთი
საქართველოს სამთავროები — გურია, სამეგრელო და აფხა-
ზეთი — მეფე სოლომონ მეორეს თუმცა თავისად ეგულე-
ბოდა, მაგრამ ფაქტიურად სამივე მთავარს თავი კვლავ სავ-
სებით დამოუკიდებლად ეჭირა.

ყველაზე მეტად იმერეთის მეფეს ეურჩებოდა და ებრ-
ძოდა სამეგრელოს მთავარი გ რ ი გ ო ლ და დ ი ა ნ ი. ეს
ბრძოლა მაინც სოლომონ მეფის უპირატესობით მიდიოდა,
მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში რუსთა დამკვიდრებამ
დასავლეთ საქართველოს შინაური მიმართულებანი მთლიანად
აშალა და შეცვალა. ყველასათვის და განსაკუთრებით სო-
ლომონ მეორისთვის ადვილად მისახვედრი უნდა ყოფილიყო,



რომ რუსეთის საიმპერატორო კარი, რომელიც ქართლ-ხეთში მეფობის გაუქმებით გაბატონდა, ვერც დასავლეთ-ქართველოში მოითმენდა ადგილობრივ სამეფო ჯიშებს. ეს გრიგოლ დადიანმაც კარგად შეიგნო და რუსეთის მთავრობას მფარველობა და სოლომონ მეფის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. სამეგრელოს მთავარს ის კი აღარ უფიქრია, რომ საბოლოო ანგარიშში რუსეთის მეფის „მფარველობა“ მართო იმერეთის „მეფობას“ კი არა, აღარც მის „დადიანობას“ (ისევე როგორც „გურიელობას“ თუ „შარვაშიძეობას“) მოითმენდა.

1803 წელს პავლე ციციანოვმა სამეგრელოს მფარველობის ტრაქტატი შეადგინა და გრიგოლ დადიანს რუსეთის ხელისუფლების ერთგულების ფიცაც დაადებინა. ამ „ტრაქტატით“ სამეგრელოში რუსის ჯარი შედიოდა, იმ ჯარის სარდალს დადიანი უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდა და ჯარის მოვლა-პატრონობაზე და ჭამა-სმაზეც თვითონ უნდა ეზრუნა. მხოლოდ სამთავროს შინაურ საქმეებში რჩებოდა დადიანი „დამოუკიდებელი“. მთავარი მისთვის მხოლოდ ის იყო, რომ დადიანი ტახტს ინარჩუნებდა და იმერეთის მეფის წინააღმდეგ ძლიერდებოდა. ამასთან, იმერეთის მეფესთან მუდამ სადავო ლეჩხუმში ციციანოვმა დადიანს დაუმტკიცა.

რუსეთის მფარველობაში შესვლა იმერეთის სამეფო კარის თავი და თავი ოცნება იყო და სოლომონ მეორეც აქეთ მიიღტეოდა, მაგრამ მას ისეთი „მფარველობა“ როდი უნდოდა, როგორც ქართლ-კახეთმა მიიღო. სოლომონს მეფობაც უნდოდა და მფარველობაც. მაგრამ ქართველი მეფეების ეს სამასწლოვანი ოცნება რომ აჩაჩეალური აღმოჩნდა, ბოლოს და ბოლოს, ამას იმერეთის უკანასკნელი (და საქართველოში ერთადერთი!) მეფეც ხომ უნდა მიმხედარიყო.

1804 წელს, განჯის აღების შემდეგ, ციციანოვმა უფრო მოიკალა იმერეთისთვის. ჯარები იმერეთის სამეფოს მიაცენა და მკირე დაპლაომატიური წიაღსელებით მეფეს დაბეჭოთებით აგრძნობინა, რომ მას „ჩრდილოეთიდან ქარიშხალი ემუქრებოდა“. ბოლოს ერთმანეთს შეხედნენ, 1804 წლის 16 აპრილს, სოფელ ელაზნაურში. მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. სოლომონი ლეჩხუმს არ თმობდა, ციციანოვი კი დადიანზე მიცემულ სიტყვას არ ლალატობდა. დადიანიც რომ



არ ყოფილიყო, იმერეთთან ლეჩხუმის თუ სხვა რომელიმე ქართული კუთხის შეერთება უცეცხვ, სიმბოლურად მკაცრად ქართველოს გაერთიანების პრინციპთა აღიარებულად ციციანოვს კი ამნაირი „სიმბოლურობისათვის“ არ ცალკა და მეფეს მაშინვე ასეთი სიტყვით გაეცალა: ხვალ ჩვენ ბრძოლის ველზე ხმაღამოწედილი შევხვდებით ერთმანეთსო, — თქვა ციციანოვმა და თავის უახლოეს ქართველ ოფიცერს, პოდპოლკოვონიკ ერისთავს უბრძანა ჯარი სოფლებსათვის გაესია და იმპერატორის ერთგულებაზე ხალხის დაფიცებას შესდგომოდა. სოლომონი დაშინდა და 25 აპრილს „ელაზნაურის ტრაქტატზე“ ხელი მოაწერა. ამ „ტრაქტატით“ იმერეთის მეფე რუსეთის ქვეშევრდომად ცხადდებოდა, მეფობას მომავალი მემკვიდრეობით იმტკიცებდა და ტახტზე იმერეთის სამეფო რეგალიებს სიგანგებო სიგელით მხოლოდ რუსეთის იმპერატორი ამტკიცებდა. იმერეთის მეფეს დამოუკიდებელ სამართავად მხოლოდ შინაური, სამოქალაქო მმართველობა რჩებოდა, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება კი რუსული კანონმდებლობით ხორციელდებოდა. იმერეთში რუსსაა ჯარი დგებოდა და ამ ჯარის შენახვა, დაბინავება და დაპტრება, საკუთარი ხალხის ხარჯზე აგრეთვე მეფეს ევალებოდა. იმერეთის წიაღისეული სიმდიდრეების ათვისებით მიღებულ სარგებელში რუსები წილს მისცემდნენ იმერეთის მეფესაც. ლეჩხუმში იმერეთის მეფეს სამეგრელოს მთავრისთვის უნდა დაებრუნებინა.

მალე ეს „ტრაქტატი“ რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა და სოლომონ მეფეს აღექსანდრე ნეველის ორდენიც უბოძა.

მაგრამ „ელაზნაურის ტრაქტატით“ იმერეთის მეფე უფრო რუსეთის იმპერიის ერთ ჩვეულებრივ მოხელედ რჩებოდა, ვიდრე მეფე-გვირგვინოსნად. იგი დადიანზე ნაკლებად თუ არა, მის დონემდე მაინც „დაიყვანეს“. ერთადერთი, რაც სოლომონს ამ „შეთანხმებიდან“ სასიამოვნოდ უნდა დარჩენოდა, იყო ის, რომ ციციანოვმა გურია იმერეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნია და ისიც რუსეთის ქვეშევრდომობაში მოქცეულად გამოაცხადა.

ელაზნაურის ტრაქტატი ციციანოვის დიდი მიღწევა იყო, მაგრამ არც ეს კმაროდა იმპერიისთვის, აფხაზეთი და სა-

ქართველოს ზღვისპირეთი ჯერ ისევ არ ეკუთვნოდა რუსეთს, ყველაზე დიდი ქართული სანავსადგურო ქალაქები — გონი, ბათუმი, ფოთი, ანაკლია და სოხუმი — კვლავ თურქეთს ეკუთვნოდა. რუსეთს ქართული გზებით ქართულ ზღვაზე გასვლა ენქარებოდა. ციციანოვმა 1804 წელს, ივნისს, დასავლეთ საქართველოში ოთხმოცამდე შეიარაღებული მეომრით გავზავნა თავისი მოხელე ლიტვინოვი. მას ევალებოდა ყოველმხრივ მოემზადებინა ნიადაგი დასავლეთ საქართველოში უფრო დიდი საომარი ძალების შეყვანისათვის, ლიხნს მთიდან ზღვის ნაპირამდე. ლიტვინოვს „წონასწორობა“ უნდა დაემყარებინა იმერეთის მეფესა და მთავრებს შორის, ისევ მეფის უფრორე დაქინებებით და მთავართა, განსაკუთრებით დადიანის, „ზომიერი“ გაძლიერებით.

1804 წლის ნოემბერში რუსებმა მოახერხეს მდინარე ხობის შესართავთან, ყულევში ზღვით შესვლა და საომარი ბანაკის დამკვიდრება. ეს რუსეთისათვის პირველი საიმედო საყრდენი უნდა ყოფილიყო შვიი ზღვის ქართულ სანაპიროთა დაუფლებისათვის ოსმალეთთან მომავალ კიდილში.

ყველა ამ საკითხს, ერთად აღებულთ, ბუნებრივად უკავშირდებოდა აფხაზეთის სამთავროს საკითხიც. აფხაზეთი ოსმალეთის ხელდებული ქვეყანა იყო, მაგრამ ამ კუთხის მესვეურები ამჯერადაც ძირითადად იმ საპოლიტიკო ხაზზე იდგნენ, რასაც საქართველოს სხვა მეფე-მთავრები ეძიებდნენ ამ სამასი წლის მანძილზე. ეს ვზა კი ისევ რუსეთის ვზა იყო. 1803 წელს აფხაზთა მთავარმა ქელაიშ-ბეი შარვაშიძემ, ოსმალთაგან ნამალევედ, რუსეთის მთავრობას მფარველობა სთხოვა. იმეამად რუსეთს ოსმალეთთან შეთანხმების გაწყვეტა და აშკარა განხეთქილების ჩამოგდება ხელს არ აძლევდა და აფხაზეთის შეერდომებისა და შეფარვის საკითხი უახლოესი მომავლისთვის დაიგულა.

1804 წლის 24 ოქტომბერს მოულოდნელად მოკვდა გრაგოლ დადიანი (ხმა გავარდა, რომ იგი მოწამლა სოლომონ მეორის ერთგულმა კაცმა პატრმა ნიკოლამ). დადიანის შემკვიდრე 12 წლის ლევანი მძევლად ჰყავდა ქელაიშ-ბეი შარვაშიძეს. ციციანოვმა ლევანის გათავისუფლება და გადადიანება მოითხოვა. შარვაშიძემ ჯერ ფული ითხოვა, მაგრამ ისევ რუსული „მფარველობა“ ამჯობინა და ლევანი გამოუშვა.

ორი მცირე შეტყევა სომხეთის მიწაზე რუსების გამარჯვებით დაბთავდა. მესამე, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მდინარე ზანგას ნაპირზე 1804 წლის 30 ივნისს. ამანძვენი აქ 27000 მეომარს შემოუძღვა. მაგრამ ისევ დამარცხდა რად გაცილებით მძიმე მარცხით, ვიდრე წინარე ბრძოლებში გამარჯვებით გალაღებულმა ციციანოვმა ერევანი ალყაში მოაქცია. მაგრამ გაქიანურდა ალყა. ამასობაში ალექსანდრე ბატონიშვილმა აბას-მირზა ხელახალ შეტევას წააქეზა და წამოიყვანა. ამჯერად 40000 მეომარს მოუძღოდნენ ბრძოლის ველზე სპარსი და ქართველი უფლისწულები. მოუძღვნენ და ორმხრივი დარტყმის საფრთხეში მოაქციეს ერევნის მოაღყე მთავარმართებელი, საქართველოდანაც აჭანუების გამძღვარების ხმამ მოატანა და ციციანოვი უკუიქცა ერევნიდან თბილისისაკენ.

1804 წელი

თუ ვისმეს საქართველოში რუსის შემოსვლისა და რუსთა მეოხებით შინა და გარეშე მტრისგან თავის დახსნის იმედი ჰქონდა, იგი, უწინარეს ყოველთა, ქართველ გლეხს უნდა ჰქონოდა. მაგრამ რუსი ხალხის სიყვითის სანაცვლოდ, მასზე მეოცნებე ქართველი კაცი ერთბაშად რუსი მეფის ურჯულო მოხელის, უსულგულო ბიუროკრატისა და ტლანქი სალდაფონის გვერდაუქცეველ სიბოროტეს გადაეყარა და გადააწყდა. ყველა ეს ბოროტება, — რასაც დიდი ხანია შესჩვეოდა რუსი გლეხი თვითონ რუსეთში — ქართველისთვის, ვითარცა „ახალი ხილი“, ფრთად მგრძნობიარე, გამაღიზიანებელი და სულის სიღრმემდე მტკივნეული აღმოჩნდა.

და ხალხი აჭანყდა.

დაიწყო მთიულეთში, არაგვის ხეობაში, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ, სადაც რუსული ქარის ინტენსიური მოძრაობისა და მომსვლელ-დამხედურის უფრო ხშირ შეხვედრათა კვალობაზე ყველაზე მკვეთრად აღიბეჭდებოდა მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის სიმძიმე — გადასახადი, ბეგარა, ძალადობა, ძარცვა, წაგლეჯა, მათრახი, როზვი, დამცირება, შეურაცხყოფა, შებიღწვა. გლეხები ჩიოდნენ, მაგრამ

მეფის მოხელენი ყოველ საჩივარსა და სამართლიან პრეტესტს მეფის დალატად ნათლავდნენ და როგორც „ბუნტოვ-შიაკებს“ დამსჯელ ექსპედიციებს უგზავნიდნენ. უცხოელები გლეხები წერდნენ: „...ის (კაპიტან-ისპრავნიკი) ზღაპრულად ვიდა, ოსები დაიჭირა, ძაღლების სასვლებ გობში წაქი ჩაასხა, კატები დახოცა და შიგ ჩაყარა... ყველაფერი ერთად ამ ოს გლეხებს აქამა. იმავე ოსებს რვა სახლი დაუწვა, სადაც 300 კოდი ქერიც დაიღუპა“ მოხელეები ჩიოდნენ: „კაცისგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვევტინეს და გზა გავწმინდეთ... მოვიდა წვიმა და დადგა ტალახი, ფიჩხი გვაქრევინეს და ტალახში გვაყრევინეს. ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუფარდა, მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოგვიკლეს... მოვიდა თოვლი და აღმოვიგო ჩვენგან გაკეთებული გზა: ასეთ დროს მიგვაყენეს საკეთებლად, ზვავი რომ მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს. წამოვიდა ზვავი და სამი ჩვენი კაცი იქ გაიქვლიტა... მოვიდა 80 სალდათი და 12 ცხენოსანი ყაზახი; ამათ უნდებოდათ — დღეში სალდათებს 10 საკლავი, ყაზახებს — 2; ქათამს, ყველს, ერბოს ვინ იანგარიშებს?.. ცხენსა და ხარს ბარგის ზოდვით ტყავი აღარ შერჩათ და ქირაც არ მოუციათ... ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები მათრახის ცემით მიერეკებოდნენ... ჩვენ ამ შემოხსენებულნი მწუხარებისაგან, რომელნიც ყოველად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჭარის საქართველოში გაძლიერებას ღმერთს ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით დაეინთქეთ. ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელი მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შეეყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვინეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლების უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევენა, რომ ასე დავიხოცნეთ. მარტო მთიულეთში უცბად 23 მოჰკიდარა სხვას გარდა“... და სხვა და სხვა მაგალითი მრავალი და აქანყნენ.

1804 წლის მაისში ანანურის მაზრის თავადაზნაუროთა წინამძღოლმა თორნიკე ერისთავმა ციციანოვის ბრძანებით ერევანს სალაშქროდ ჭარის შეკრება დაიწყო. არა-



გველუბიცი საომრად აღიჭურვნენ, მაგრამ ციციანოვის თანხმობით ბერძნულად კი არა, მისი ხელისუფლების წინააღმდეგ საომრად გამოვიდნენ. როგორც ითქვა, ციციანოვმა აჯანყებულთა წინააღმდეგ 'სობად ვოლკონსკი გამოგზავნა, თვითონ კი ერევნისკენ გზა განაგრძო.

აჯანყებული არაგველები ჯერ კაიშაურის საგუშაგოს დაეცნენ და გაანადგურეს. იქიდან ზოგმა ანახურს მიაშურა, ზოგმა სტეფანწმინდას. აქ ყველაზე დიდი რუსული ბანაკი იდგა. აჯანყებას სტეფანწმინდელთა ნაწილი აჰყვა, ნაწილმა კი რუსეთის სამსახურში შესულ გაბრიელ ყაზიბეგი-შვილს (ჩოფიკაშვილს) დაუჭერა და აჯანყებაზე უარი ითქვა. მაგრამ აჯანყება მაინც გამძლავრდა, რადგან მეფის წინააღმდეგ იარაღი აიღეს შფავ-ხვესურებმა, გუდამაყრელებმა, ქართლელებმა, ხანდოსხეველებმა და თრუსოს ხეობის ოსებმა. აჯანყებულებმა იმერეთიდან იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები გადმოიხმეს. სანამ ისინი გადმოვიდოდნენ, აჯანყებულებმა ზედიზედ აიღეს სტეფანწმინდის და ლარსის საგუშაგოები. აიღეს და დარიალის ხეობა სრულად ჩააქეტეს. დიდი ბრძოლები გაიმართა ლომისას ციხეზე, არაგვისა და ქსნის ხეობათა შემაერთებელ გზატეხილზე. ორი თვის ბრძოლის შემდგომ მუამბოხებმა ხელთ იგდეს ლომისაც და მფლობელობაც ორივე ხეობის ზემო წელში.

ამასობაში იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებიც გამოჩნდნენ. ზოგი თავადი — თუმანიშვილნი, თარხნიშვილნი, ამირეჯიბნი — კიდევაც მიმხრობიან და შეერთებიან ბატონიშვილებს ამ ვარაუდით: ერთიკ ენახოთ, რუსნი განიდევნონ და საქართველოში ქართული მეფობა აღსდგეს, დროზე დაეუდგეთ გვერდით ხვალინდელ მეფეებსო!.. მაგრამ ეს ვარაუდ-წაადრევი და მალე სულ უნიადაგოც გამოდგა. ბატონიშვილებმა საერთოდ ვერ მოახერხეს მთაში აჯანყებულეებთან აღწევა. ვერც ბამბაკში გადავიდნენ აღქსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებთან. ერთხანს იხეტიალეს, იბორიალეს და ისევ იმერეთის გზაზე გაბრუნდნენ. 29 ივნისს უეცრად, უღვეის ეწერში, სურამის ახლოს, მათ თავს დაეცა რუსთა ჯარი, რომელსაც მეგზურად გიორგი რამინის ძე ამირეჯიბი მოუძღოდა. იულონი შეიპყრეს. ფარნაოზმა და იულონის ძემ ლევანმა ტყვეობას გაასწრეს და ბამბაკ გადააღწიეს.

ბამბაკში ფარნაოზ ბატონიშვილმა იქ მყოფი ორანიშის დავალება მიიღო — მთიულეთში უნდა ასულაყო, აქანყებას სათავეში ჩასდგომოდა და კიდევ მეტად განეფართოებია. ფარნაოზი კახეთის გზით წავიდა, ალავერდობაზე კახელ თავადებს ეთათბირა, ბევრი კიდევ საჯანყოდ აიყოლია (მათ შორის 18 წლის ალექსანდრე ჭავჭავაძე) და მთიულეთს გადავიდა. აჯანყებულებს მთელი სამხედრო გზა ლომისიდან ანანურამდე საკუთარ ხელში მოქცევათ. ახლა აჯანყებულთა ერთ ნაწილს თვითონ ანანურზე მიეტანა იერიში, მეორეს — დუშეთზე.

ციციანოვი სექტემბრის ბოლოს ერევნიდან მობრუნდა, გაწბილებული და გახელებული. ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები სპარსეთს გადახვეწილიყვნენ. აჯანყებას მიმხრობილმა თავადებმაც, სანამ გვიან არ იყო, ისევ თავიანთ მამულებში დაბრუნება აირჩიეს და რუსეთისადმი ერთგულება „ურყევად“ დაიჩემეს. ფარნაოზ ბატონიშვილი უთავადაზნაუროდ“ შერჩა „წერილი ერის“ აჯანყებას. მალე აჯანყებულნი ორმხრივი დარტყმის ქვეშ უნდა მოქცეულიყვნენ: თბილისიდან ჩრდილოეთისკენ თვითონ ციციანოვი დაიძრა, ჩრდილოეთიდან თბილისისაკენ კი — საგანგებოდ დანიშნული და წამოსული გენერალი ნესევეტაევი. ნესევეტაევი შეეძინე დაიჭირა ლარსა, დარიალი, სტეფანწმინდა და სიონთან შეება აქ გამაგრებულ ფარნაოზ ბატონიშვილს. აჯანყებულები მძიმედ დამარცხდნენ. 19 ოქტომბერს ანანურში შეერთდნენ ციციანოვი და ნესევეტაევი. დამარცხებული და ლტოლვილი ფარნაოზი, ახალგაზრდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად, ერთხანს ფშავ-ხევსურეთს აფარებდა თავს, მერე სპარსეთისკენ აიღო გზი. ქართველი თავადები — ვახტანგ სავარსამაძე, თამაზ ორბელიანი და სოლომონ ავალიშვილი — ერთმანეთს გაეჭიბრნენ ლტოლვილთა შეპყრობაში და 29 ოქტომბერს, ყაზახში, შეიპყრეს კიდევ ფარნაოზ ბატონიშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, მათის მხლებლებით და თანალტოლვილებით.

ახლა ორივე ბატონიშვილი — იულონ და ფარნაოზ ერეკლეს ძენი — რუსთა ხელში იყვნენ. და ორივე 1805 წლის 4 აპრილს რუსეთში გადაასახლეს. იულონი — ტულაში, ფარნაოზი — ვორონეჟში.

1804 წლის აჯანყება დასრულდა — ქართველთა პარველ
აჯანყება „მეფის რუსეთის ხალხთა საპრობილემი“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციციანოვის დასასრული

1805 წლის მაისში რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა ყარაბაღი და მისი ბატონი იბრეიმ-ხანი, იმავე დღეებში რუსეთს ყმობა და ქვეშევრდომობა შეჰფიცეს შაქის ხანმა და შუტაგალის სულთანმა.

1805 წელს ბაბა-ხანი სპარსული ჯარებით შემოიჭრა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. შაჰს ისევ თან ახლდნენ ქართველი ბატონიშვილები: ალექსანდრე ერეკლეს ძე და თეიმურაზ გიორგის ძე. გაეგება ციციანოვიც, თუმცა მტერზე გაყოფებით უმცირესი ძალები ჰყავდა. ბრძოლები მოხდა შუშას, განჯას და შამქორს, მაგრამ ვერცერთგან შაჰმა ზარალის მყტი ვერაფერი ნახა და ისევ ირანისკენ უკუიქცა ხელცარიელი.

მალე ამის შემდეგ ციციანოვმა ბრძანება გაუგზავნა გენერალ ზავალიშინს: ასტრახანიდან კასპიის ზღვით ხომალდებით სამხრეთისკენ დაძრულიყო და სპარსეთის საბატონო ქალაქებს დასხმოდა თავს. ზავალიშინიც წამოვიდა ასტრახანიდან, ჯერ ენზელი აიღო, მერე რეშტს მიუახლოვდა, მაგრამ საშინელმა სიციხემ მისი მეომრები ცუდად დასცადა, სპარსულ გარნიზონთა მძაფრი წინააღმდეგობაც დახვდა და ხომალდები უკანვე გააბრუნა. გზაზე ბაქოს მიუბრუნდა და მიადგა 1805 წლის 12 აგვისტოს. მიადგა და ბაქოს ხანს ქალაქის გასაღები მოსთხოვა ზავალიშინმა. ამის პასუხად ბაქომ მტერს ბრძოლა გაუმართა. ბაქოს ხანს ყუბისა და ყიზიყუმუხის ხანებიც მიეშველნენ და ზავალიშინი გააქციეს.

ციციანოვმა ზავალიშინის მარტვის გასწორება გადაწყვიტა და განჯის გავლით ბაქოს გზაზე გავიდა. გზად შირვანს მთავარ ქალაქში, შემახაში შეიარა და იქაური ბატონი მუსტაფა-ხანი რუსეთის ქვეშევრდომობაზე და ერთგულებაზე შემოიფიცა. ამ ახალი მიღწევის შემდეგ ციციანოვი უფრო გულსრულად წარემართა და 1806 წლის 30 იანვარს მიადგა ბაქოს. მიადგა, სააღყო სამზადისი მოითავა და ბაქოს ბატონს ჰუსეინ ყული-ხანს ელიზბარერის თავი მიუგა-

ზავნა და შეუთვალა — უკეთეს სისხლის დაქვევა ანა გწავლია ციხე-ქალაქის გასაღები ჩამაბარეო. ბაქოელმა თანხმობა იმ მოთვალა. ადრე, 1796 წლის ზუბოვის ექსპედიციის შემდეგ დევაც შეხვედროდნენ და კიდევაც ემეგობრებოდნენ. ციციანოვის ხელის ციციანოვი და პუსეინ ყული-ხანი, ამიტომ, თითქოს არ გააკვირვებია საერთოდ ფრთხილ და უნდო ციციანოვს პუსეინ ყულის შემონათვალა: ერთმანეთს შეხვედნო და ჩემის ხელით მოგართმევ ქალაქის გასაღებსო. იგი დათანხმდა და გავიდა კიდევ ქალაქის კედელთან, დატყეული შესხვედრის ადგილზე, გავიდა მხოლოდ ელიზბარ ერისთავისა და კიდევ სამი ყაზახის თანხლებით. პუსეინ ყული-ხანიც გამოყვება მცირე ამალით. ამაღის ერთ წევრს ერქვა იბრაჰიმ ბეგი.

ეს მოხდა 1806 წლის მთებერვალს. ერთმანეთს შეხვედნენ აზიური საღამ-ქალამით. პუსეინ ყული-ხანმა ციხე-ქალაქის გასაღებნი გადასცა ციციანოვს. მერე აზიურად მოგებულ ხალიჩებზე აზიურად მუხლი მოირთხეს და აზიურად ჩიბუხები ააბოლეს... და უცებ, ზურგიდან (ესეც აზიურად) იბრაჰიმ ბეგმა ციციანოვს შიგ კეფაში დაარტყა ტყვია. წამსვე მეორე გასროლით ელიზბარ ერისთავიც უსულოდ დასცა, სასწრაფოდ მკედარ ციციანოვს თავი მოჰკვეთა და ციხეში შეარბენინა. ბაქოდან იმ დღესვე თავრიზს გაქენდა და ციციანოვს თავი აბას-მირზას მიართვა.

უშეთაურად დარჩენილი რუსის ჭარი ბაქოდან უკუიქცა ისე სწრაფად, რომ თავმოკვეთილი მთავარსარდლის წამოსვენებაც აღარ გახსენებია. ციციანოვის ცხედარი ბაქოს გალავნის ძირას დაფლეს და მხოლოდ 1811 წელს გადმოასვენა იგი მთავარმართებელმა მარკიზ პაულიჩმა თბილისის სიონში.

ციციანოვის შემდგომ

ციციანოვის დაღუპვით რუსეთის მთავრობამ კავკასიის მრავალთარგოვან რუკაზე იშვითად ნიჭიერი და ტაქტიკური დამპყრობელი დაკარგა. მისმა სიკვდილმა რუსეთისა და საქართველოს მტრები აღფრთოვანებაში მოიყვანა და დიდი იმედებითაც აღავსო. თავი წამოპუო ყოველმა დიდმა თუ მცირე

კი არა და, სპარსეთი იმჯერად თავის მოსისხლე ^{რისმალეთსაც}
კი შეუთანხმდა კავკასიიდან რუსეთის განდევნებას ვერ
თობლივ ბრძოლაზე. გ. მ. ბ. ლ. ი. მ. ე. ე.

რუსეთს მისტირდა, მაგრამ კვლავ ჩვეული გულგაუტეხ-
ლობით და გულსრულობით შეება სამხრეთელ მტრებს. ვერ
სპარსეთთან თავდაცვითი პოზიცია დაიჭირა და ოსმალეთს
სრულის ძალებით შეუტია. კავკასიის მთავარსარდალმა და
მთავარმართებელმა გუდოვიჩმა ქუთაისს მდგარი გენერალა
რიკოფი ფოთზე საიერიშოდ გაგზავნა, გენერალი ნესვე-
ტაევი — ყარსზე, თვითონ წალკის გზაზე გავიდა და ახალქა-
ლას მიადგა. სამივე ეს ლაშქრობა მარცხით გათავდა და რუ-
სები უკუიქცნენ. თურქები გათამამდნენ და თვითონ წამოვი-
დნენ შეტევაზე. სპარსელებიც მოიჩქაროდნენ თურქებთან
შესაერთებლად აბას-მირზას სარდლობით. მაგრამ აბას-მირ-
ზამ ვეღარ მოუსწრო. ბრძოლა მის მოსვლამდე გაიმართა,
1808 წლის 17 ივლისს, გუმბრთან (ლენინაიანი) და გათავდა
რუსებისა და ქართველების სრული გამარჯვებით. აბას-მირ-
ზამაც გამარჯვებულებთან შებმა ვეღარ გაბედა და თვითონაც
უკან გაბრუნდა.

რუსეთ-თურქეთის ომმა, დასაწყისში, იმერეთის მეფეს მის
ქვეყანაში რუსული ხელისუფლების დასუსტების მეტი იმე-
დები მისცა. იგი ქუთაისში მდგარ რუსულ გარნიზონს მტრუ-
ლად უცქერდა და ტახტი სატახტო ქილაქიდან საერთოდ გაა-
ტანა, საჯავახოს გავიდა და იქ დამკვიდრდა.

ალექსანდრე იმპერატორმა გუდოვიჩს საიდუმლო ბრძანე-
ბა გამოუგზავნა — სოლომონ მეფე თავისი ოჯახით რუსეთს
უნდა გადაესახლებინათ, პენსია დაენიშნათ და სიკედილამდე
საცხოვორებლად რუსეთშივე დაემკვიდრებინათ. ხოლო, იმე-
რეთს, სამეფო ხელისუფლების ნაცვლად, უმეთაურებდა
„დროებითი მმართველობა“ რუსი ოფიცრის მეთაურობით
და რუსული ორიენტაციის იმერელი თავადების შემადგენლო-
ბით. გუდოვიჩმა თავის მხრივ იმპერატორის ეს განაზრახ-
ასევე იდუმალ გაანდო ქუთაისში მდგარ რიკოფს და მასვე
დაავალა იმერეთის სამეფოს ლიკვიდაცია. მაგრამ რიკოფმა
ამ მეტისმეტად რთული საქმის ამო ფიქრსა და ზრუნვაში
გარდაიცვალა. მის ადგილზე გუდოვიჩმა გენერალი დიმიტრი
ორბელიანი დანიშნა — ეგებ ქართველმა უკეთ მოუღოს ბო-

ლო ქართველსო. ბევრს ეცადა დიმიტრი ორბელიანი, მაგრამ ვერ იქნა და სოლომონ მეფის ნდობა ვერ მოიპოვა. სოლომონი ახლა ერთთავად ვარდციხეში იდგა და იძახდა: „მეცხე ული ისში მანამ ფეხს არ დაეადგამ, სანამ იქ ერთი რუსი ვაჟისა-კაცი იდგომებაო; არც არასოდეს რუსის მთავრობას არ შევეურიგდები, სანამ ლეჩხუმს არ დამიბრუნებენო.“

ამასობაში, 1809 წლის 5 მარტს, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გუდოეიჩი გადააყენა და მის ადგილზე გენერალი ტორმასოვი დანიშნა. სოლომონმა ახალ მთავარმართებელს მოციქულად თავისი სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი გაუგზავნა. მან არ იცოდა, რომ სახლთუხუცესი დალატობდა. წერეთელმა ტორმასოვს ურჩია, იმერეთის მეფის წინააღმდეგ თვითონ იმერეთის ერსა და ბერს მოეწოდებო, მეფე შეშინდება და ყველაფერში თქვენი მორჩილი გახდებაო. ტორმასოვმა ასეთი მოწოდების ანუ „პროკლამაციის“ ტექსტი მართლა შეადგინა, დიმიტრი ორბელიანს გაუგზავნა და საიდუმლოდ შეუთვალა: ეს პროკლამაცია ჯერ შენთან იქონიე და სოლომონს ჩემი წერილი გადაეცეო. თავის წერილში კი მთავარმართებელი სოლომონს მეგობრობას ეფიცებოდა და „მეგობრულადვე“ ურჩევდა ქუთაისში დაბრუნებულიყო, თბილისში მძევლები გაეგზავნა, ხოლო მეტეხტურგს, იმპერატორთან — სამადლობელი დებუტაცია ზურაბ წერეთლის მეთაურობით. ხოლო, უკეთუ ამ ჩემს თხოვნას მეფე არ შეიწყნარებს — ატყობინებდა ტორმასოვი დიმიტრი ორბელიანს — მაშინ გამოაქვეყნე კიდევ ჩვენი პროკლამაცია იმერელი ხალხისადმიო.

მართლაც, როგორც მოსალოდნელი იყო სოლომონმა ტორმასოვის „თხოვნა“ და „რჩევა“ არ შეიწყნარა. მას ელაზნაურის „ღრამოტა“ კვლავ უხეში ძალმომრეობის აქტად მიაჩნდა და, რაღა მადლობა უნდა გაუფუგზავნო რუსებელმწიფესო, — იძახდა სოლომონი, — განა ეს მიეწერო: „გმადლობთ უმდაბლესად, დიდო იმპერატორო, ვინაითგან დამამდაბლე მეფე ერთმორწმუნე და დამაკლე სამფლობელოთა ჩემთა ყოველად უმოწყალესითა ამით ღრამოტითა“-ო. ამას რომ ამბობდა — სამფლობელო დამაკელიო — ისევ წართმეულ ლეჩხუმს გულისხმობდა სოლომონ მეფე.

მაშინ დიმიტრი ორბელიანმა ტორმასოვის პროკლამაცია,

ანუ მოწოდება იმერეთისადმი მისი მეფობის წინააღმდეგ გამოაქვეყნა, მაგრამ ამნაირ „გამოქვეყნებას“ თვითონ ტორმასოვისთვის მოჰყვა ცუდი შედეგი. ხალხი საკრებულოში არ შეეღია და საგანგებოდ შეყრილ საყრებულოზე წაიქცა. სმა კაცმა მის ერთგულებაზე დაიფიცა. მარტო იმერეთმა კი არა, იმერეთის მეფეს ბევრმა შეჰფიცა ერთგულება გურიიდან და სამეგრელოდან. მაშინ ტორმასოვმა, ისევ ზურაბ წერეთლის რჩევით, სოლომონის დამხობა იარაღის ძალით განიზრახა, მაგრამ სწორედ იმეამად რუსეთს უარესად გაურთულდა ურთიერთობა სპარსეთთან და ოსმალეთთან და ამიტომ იმერეთის „შინაური საკითხი“ დროებით ისევ უნდა გადადებულიყო.

1809 წლის ზაფხულში ტორმასოვმა დიმიტრი ორბელიანი ფოთის თურქულ გარნიზონთან საომრად გაგზავნა, თვითონ კი განჯა-ყარაბაღში შემოქრილ ირანელებთან საომრად წაჩემართა.

ორბელიანი ფოთს ალყად შემოადგა. ხონთქარმა ფოთის გადასარჩენად ტრაპიზონელი შერიფ-ფაშა გამოგზავნა 9000 მეომრით. მდინარე სუფსაზე რომ მოვიდნენ, სოფელ გრიგოლეთთან, წინ დიმიტრი ორბელიანი გადაეღობა თურქთა არმიას, ზურგიდანაც გურულები დაესხნენ ვახტანგ ერისთავისა და სიმონ გუგუნიანის სარდლობით. თურქები სასტიკად განადგურდნენ და 1809 წლის 15 ნოემბერს ფოთის კლიტენი დიმიტრი ორბელიანს ჩააბარეს.

უკანასკნელი მეფის უკანასკნელი წლები

სანამ ორბელიანი ფოთს აღებდა, მანამ ტორმასოვმა ერთი პოლკი, პოლკოვნიკ სიმანოვიჩის მეთაურობით, კიდევ გაგზავნა იმერეთს, ვითომ ორბელიანის დასხმარებლად. მაგრამ სოლომონი უმაღლეს მიხვდა, რომ სიმანოვიჩი და ახალი რუსული ჯარი უფრო პირადად მის წინააღმდეგ იყო გაგზავნილი, ვიდრე ფოთის ოპერაციაში მონაწილეობისათვის. ეს უფრო აშკარა მაშინ გახდა, როცა სიმანოვიჩს ფოთი აღებულად მიხვდა, მაგრამ იმერეთიდან აღარ წავიდა და იმანაც ქუთაისში დაიბანაკა.

მაღე ვარდციხეში ჩაკეტილი სოლომონის გარშემო წარ-
შეკრეს — სიმანოვიჩმა ქუთაისიდან, გურიელმა გურიიდან,
დადიანმა სამეგრელოდან და გელოვანმა ლეჩხუმელებს
ლოს და ბილოს, სოლომონმა ბრძოლა მიიღო და შეკრისკე
წავიდა ახალციხეში გადასასვლელად. სიმანოვიჩი დაედევნა
და გზები ჩაუჭრა. მეფე იძულებული შეიქნა მოლაპარაკება
ეთხოვა, სიმანოვიჩი სიხარულით დათანხმდა და ერთმანეთს
შეხედნენ ფერსათის მთის ძირას, სალხინოს ეკლესიასთან. აქ
სიმანოვიჩმა სოლომონს შეჰფიცა, რომ მას მეფობა შერჩე-
ბოდა, თლონდ საჭირო იყო ტორმასოვთან შეხვედრა და შერი-
გება. მეფე დათანხმდა და ხუთსკაციანი ამალით გაეშურა
ქართლისაკენ. მთავარმართებელი სოფელ ვარიანში ელოდე-
ბოდა მოუთმენლად. ვარიანს მისვლამდე, სოფელ დირბში,
მეფეს ამაღა ჩამოაცილეს და ისე მიჰგვარეს ტორმასოვს.
აქედან ტორმასოვმა თვითონ წაიყვანა მეფე თბილისში. წა-
ყვანა და თავისი რეზიდენციის ქვედა სართულში ჩაუშვა
და ჩაკეტა. ორი პირისფარეშის გარდა, მეფეს ყველა შემო-
რჩენილი თანმხლები მოაშორეს და დარაჯად გაპლიერებული
დაცვა დაუნიშნეს.

1810 წლის 10 მაისს, ღამით, სოლომონმა რუსეთის იმპე-
რატორის ნაჩუქარი ჭილდოები აიყარა, საწოლზე დაჰყარა
და, პირისფარეშის ტანსაცმელში გადაცმული, საპრობილი-
დან გაუჩინარდა. ქალაქგარეთ ერთგული თავადები უცდიდ-
ნენ ცხენებით. მეფე ამხედრდა და 23 კაცის თანხლებით ახალ-
ციხისკენ გაქუსლა. გზაზე 300-კაციანი ლეკის ჯარი შემოე-
გება, მისი ბელადი მეფეს ეთაყვანა და ახალციხემდე მიუძ-
ღვა. ახალციხეში კი სოლომონს ფაშა სულეიმან ხიმ-
შიაშვილი ელოდა დიდი ზარ-ზეიმით.

17 მაისს სოლომონ მეფემ იმერეთში მოწოდებანი გაგ-
ზავნა სრულიად ერის მიმართ, ხოლო იენისში თვითონ გადა-
ვიდა თავის სამეფოში და დაბინავდა სოფელ ტყაჩირში, ერთ-
გული აგიაშვილების სასახლეში.

იმერეთი აჯანყდა.

სიმანოვიჩმა მეფის შესაპრობად სასწრაფოდ ორი ასე-
ული გაგზავნა ქუთაისიდან, მაიორ კალატოზიშვილის
მეთაურობით. იმერლები დაუხედნენ, ორივე ასეული ამოწა-
ყვიტეს და კალატოზიშვილიც მოჰკლეს.



მეორედ გაგზავნა ჯარი სიმანოვიჩმა და ამჯერად იმერლები დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიღუპა ძათი სარდალთა **ქვინაძე** სრო აბაშიძე სამივე შეილით. **ზიგლინოვიჩი**

მალე დიმიტრი ორბელიანიც წამოვიდა თბილისიდან იმერეთისკენ ახალი, 3200-კაციანი ჯარით. ორბელიანს გენერალი როზენი მოჰყვა. გურიელიც და დადიანიც ფრიად აქტიურად ახორციელებდნენ თვითნებურად ღვიძლი ქვეყნის უკანასკნელი გვირგვინისადაც.

და ყოველის მხრიდან იერიშების ქვეშ მოქცეული სოლომონ მეფე ერთხელ კიდევ გადაიხვეწა ახალციხეს, ერთხელ კიდევ და უკანასკნელად...

იყო იგი ახალციხეს — ქართულ მიწაზე და მაინც „უცხოეთში“, ოსმალთ წიაღში, და იქიდან ჰქონდა დაუცხრომელი ურთიერთობა „თავის იმერეთთან“ — მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა დაუღვეველი, „სანაამ პირში სული ედგა“, იბრძოდა, როგორმე ისევ დაბრუნებულიყო განაწამები მეფე განაწამებ ტახტზე.

მოსვენება სულ დაეკარგა ტორმასოვს და სწერდა სიმანოვიჩს, იმერეთის მაშინდელ ხელისუფალს — ფულსა და ჭილდოს ნუ დაიშურებ და მონახე „ერთი ვინმე თავზეხელაღებული იმერელი“ და მოაკვლევინე სოლომონიო. შეუძლებელია „ასეთი იმერელის“ მონახვაო — პასუხობდა სიმანოვიჩი — რადგან იმერლების ერთგულება ძათი მეფისადმი ლამის ღმერთის ერთგულების ბადალიაო, ამიტომ სოლომონის მოკვლა უფრო თათარს, თურქს ან ლეკს შეიძლება მიენდოსო, მაგრამ იმერეთში არც ესენი მოიძებნებიან და იქნებ მანდ, თქვენთან მოიძებნოს ვინმე „ყოჩაღი მკვლელი“ იმერთა მეფისაო. ასე განვლო წლებმა და სოლომონი ვერ მოკლეს.

მაგრამ თვითონ მოაკითხა სიკვდილმა კიდევ ერთ „თავის შეილს“ — საქართველოს უკანასკნელ გვირგვინისადაც.

და აღესრულა იგი 1815 წლის 7 იანვარს, ქალაქ ტრაპიზონს.

გამეფდა 17 წლისა, იმეფა 20 წელიწადი, ლტოლვილობაში გაატარა 4 წელიწადი, აღესრულა შობითგან 42 წლისა.

დაკრძალეს მისმა უკანასკნელმა ქართველმა თანამებრძოლებმა, იქვე ტრაპიზონს, წმინდა გრიგოლის სახელობის ბერ-

ძნელი ეკლესიის ეზოში. საფლავის ქვაზე ეპიტაფიად ეს და
წერია:



ბარონული

„განმეძარცვა მე პირველქმნილი სიყვითე, და მშვენიერად
და მდებარე ვარ შიშველ და კდემულ საფლავსა ამასა შინა
ტომისაგან დავითისა შთამოსული მაგრატიონი ძე არჩილისა
სრულთად იმერთა მეფე სოლომონ, რისთვისაც ვითხოვ
შენდობას“.

უცხო მიწაზე დალია სული და უცხო მიწაში დამიწდა
უკანასკნელი ქართველი ხელმწიფე და გვირგვინოსანი.

აქვე დასრულდა სამიათსწლოვანი ისტორია ქართულ-
გვირგვინოსნობისა, დაწყებული ზღაპრული ქართლოსით და
დასრულებული სოლომონ მეორით.

1812 წელი

სოლომონის განდევნიდან, 1810 წლიდან, იმერეთშიც რუსული საიმპერიო ხელისუფლება დამყარდა. მრავალსაუკუნოვანი „სამეფოს“ სანაცვლოდ მას დაერქვა უბრალოდ „ოლქი“ — იმერეთის ოლქი, რომელიც თავის მხრივ დანაწილდა ექვს „ოკრუგად“, ანუ „მაზრად“ — ქუთაისის, საჩხერის, ვაკის, რაჭის, ჩხარის და ბაღდათის მაზრები. იმერეთის ოლქის სათავეში იდგა ოლქის მმართველი, რუსი გენერალი, მაზრებს განაგებდნენ მაზრის უფროსნი, რუსი ოფიცერნი. იმერეთის ოლქის მმართველთან იყო სათათბირო, „დივანი“ ოთხი „მღა-ვანბეგით“ რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივი იმერელი თავადნი. დივანი განიხილავდა სამოქალაქო საქმეებს, სისხლის სამართლის საქმეებს კი წყვეტდა ისევ ოლქის მმართველი რუსული კანონმდებლობით.

იმავე 1810 წელს რუსულ მმართველობაში მოექცნენ გურიის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროები...

..1811 წელს საიმპერიო კოლონიურმა ხელისუფლებამ ქართულ ეკლესიას მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) ჩამოართვა და რუსეთის უმაღლეს სინოდს დაუმორჩილა. კათალიკოსი ანტონ მეორე გადააყენეს

და ნიუნიროვგოროდს გადაასახლეს, სამუდამო საცხოვრებლად ამიერიდან ქართულ ეკლესიას განაგებდნენ რუკის ეგზეკუციონისტები...

სივლითქა

1811 წელი უაღრესად გართულდა რუსეთისათვის. ომი სპარსეთთან, ომი თურქეთთან და ახალი მოსალოდნელი უმძიმესი ომი „მსოფლიოს პირველ გმირთან“ — ნაპოლეონთან.

მაგრამ კვლავ დიდის წარმატებით იმძლევა რუსულმა იარაღმა. ბალკანეთზე კუტუზოვმა ზედიზედ გაანადგურა თურქული არმიები. ვერც ამიერკავკასიაში შეძლეს თურქებმა რუსების აქტივობის უვნებლყოფა. 1811 წლის 7 დეკემბერს, რუსებმა და ქართველებმა, პოლკოვნიკ კოტლიარევსკის სარდლობით, მოულოდნელად, ღამის იერიშით აიღეს ახალქალაქი და მოსპეს იქ მდგარი თურქული გარნიზონი.

ვერც სპარსელებმა მოახერხეს წაერთმიათ რაიმე ამიერკავკასიაში დუნედ მოქმედი ტორმასოვისთვის.

1811 წლის ბოლოს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ტორმასოვი გადააყენა და მის ნაცვლად კავკასიის მთავარსარდლად და მთავარმართებლად დანიშნა მარკიზ პაულიჩი.

დადგა ახალი, 1812 წელი და კახეთში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყების მიზეზები იყო: პურის მუქთად წართმევა ქარის შესანახავად, უმძიმესი და გამუდმებული საგზაო ბეგარა, ადგილობრივი პირობებისთვის უჩვეულო კანონმდებლობა და სასამართლო წარმოება, სამართალწარმოებაში მშობლიური ქართული ენის უგულვებლყოფა, ბოროტმოქმედებანი რუსი მოხელისა და ბიუროკრატისა — მექრთამეობა, მოტყუება ფასებში, მოტყუება წონასა და ზომისაში, გარყვნილება, ლოთობა, ცემა, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი ხელყოფა პიროვნებისა, დამსჯელი და ამწიოკებელი ეგზეკუციები ქართულ სოფლებში, ოჯახებში...

აჯანყება დაიწყო ახმეტას, 1812 წლის 31 იანვარს, როცა ახმეტელებმა პურის გაცემაზე უარი თქვეს და ამის პასუხად მათ ეგზეკუცია ჩაუყენეს. ახმეტელებს მიეშველნენ და შეუერთდნენ გლეხები თიანეთიდან, მატანიდან, მარილისიდან. მოძალადე კაპიტან-ისპრავნიკი და ეგზეკუცია გამოაქციეს აჯანყება თელავს გადავიდა და სულ მალე მთელს კახეთს მოედო.



კახეთის ოლქის უფროსმა გენერალმა პორტნიაგინმა, რომლის ადგილსამყოფელი საგარეჯოს იყო, შედეგად ქველმოქმედებები გაგზავნა აჯანყების ჩასახშობად. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო აჯანყებულებმა დაამარცხეს და უკუაქციეს.

აჯანყებულმა ქიზიყელებმა მეფის საეგზეკუციო ქარები განდევნეს სიღნაღიდან, ქოდალოდან, ბოდბისხევიდან. მეამბოხეებმა გაიმარჯვეს ანაგაში, კაკაბეთში, მანავში. ალყა შემოარტყეს თვითონ გენერალ პორტნიაგინის რეზიდენციას საგარეჯოში. თბილისიდან მის მაშველმა მოუსწრო, მაგრამ აჯანყებულთა მოგერიება მაინც ვერ შეძლო და მხოლოდ ლამით გაპარვა და თბილისში ქურდულად დაბრუნება მოახერხა.

ეტყობა, აჯანყება მხოლოდ სტიქიური ხასიათისა როდი ყოფილა. იგი მტკიცე ორგანიზებულობით და გეგმიანი გააზრებულობით მოქმედებდა. მის ხელმძღვანელობას წარმოადგენდნენ დაეგზავნა ქართლსა და კახეთს, მთასა და ბარს ხალხის ასაჯანყებლად. განზრახული ჰქონიათ არაგვ-დარიალის სამხედრო გზის გადაკვეთა, ბოლოს თბილისის აღება და კოლონიური რეჟიმის განდევნა...

აჯანყებას აყვავებდა ფშავ-ხევსურეთი. 10 თებერვალს ათასმა ფშავ-ხევსურ-თიანელმა იოსებ სიდა მონიშკილის მეთაურობით ალყაში მოაქცია ანანური. მეამბოხეებს უკვე აეღოთ დუშეთი და ფსანაური. საომრად ამდგარიყო ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი. სამხედრო გზა მთლიანად აჯანყებულერს დაეპყროთ.

კახეთ-თბილისის ხაზზე კვლავ ახალი გამარჯვებანი აეღო ამბოხებულებს — მარტყოფს, სართიქალას, ხაშშს, საითაც თვითონ გაეშურა მთავარმართებელი პაულიჩი. მან წინასწარ პროკლამაციით მიმართა ამბოხებულებს: იარაღის დაყრას და დამშვიდებას მოუწოდებდა, დროზე დანებებულთ პატიებას აღუთქვამდა, გაურჩებულებს სასტიკი დასჯით ემუქრებოდა.

აჯანყებულებმაც მთავარმართებლის „პროკლამაციას“ ისეთი „კონტრწერილები“ შემოაგებეს: „ჩვენ ქრისტეს არ უარყოფთ და არც ხელმწიფის მოღალატენი ვართ, არც ფიცისმტეხელნი. რაც ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტით ნაბრძანები იყო, თქვენგნით არ შესრულდა. მი-



ზეზი თქვენ მოგვეცით. გვხოცავდით და თოკით გვანბნობდით,
 დამნაშავეისა და ერთგულის გარჩევა არ იყო, მაგრამ ემსახურეთ
 ვითმენდით ხელმწიფის ერთგულებისა და გვანდობდით. გვგვეუცითა და ხიშტებით გვაიძულებდით შეუძლებელს,
 ცოლსა და შვილებს გვიხოცავდით. პური წაგვართვით და
 შიმშილით გეწვევდით და გვეუბნებოდით, რომ ბალახი გვე-
 ძოვა... ბეგარის გამო ხარი არ შეგვრჩია და ტყეში საურმე ხე
 აღარ არის. ამდენი უდიერი ველარ ავიტანეთ. კაცი, ვიდრე
 საკუთარ ცოლ-შვილს შიმშილით გაწვევდეს, უმაღ სხვაა
 მოკლავს. ჩვენ ქეშმარიტად ვიცით, რომ ხელმწიფეს ხალხის
 გაწვევა არ ნებავს. მიზეზი თქვენა ხართ. თქვენთან შერი-
 გების პირი ჩვენ აღარა ვეაქვს, ოჯახიცა და თავიც გაწვირეთ.
 თქვენ კოდ პურში ექვს აბაზს გვაძლევდით, ხოლო თუ ვინ-
 მეს ჩვენთაგანს თქვენთვის მოსასყიდი პური არ ჰქონდა, მის
 საბადლო ფასს კოდში ოთხ მანეთს გვახდევინებდით. ჩვენ
 ხელმწიფისთვის არ გვიღალატნია და არ ვართ მოღალატენა.
 თქვენ გარდახვედით ხელმწიფის ბრძანებას და ჩვენ უსამართ-
 ლობა ველარ ავიტანეთ. ჩვენი თქვენთან შერიგება აღარ
 იქნება, ჩვენ ისედაც შევდრები ვართ და უნდა დავიხოცნეთ.
 ჩვენ არხა მოგართვით, თქვენ ის ხელმწიფეს არ მოახსენეთ.
 თქვენ გვატყუებდით, ხოლო ჩვენ ვითმენდით. მეტი მოთმეხა
 შეუძლებელია. აქ დასასრულია და ჩვენ უნდა დავიხოცნეთ.
 და კიდევ: ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ცოტა ვართ რუსებთან შე-
 დარებით, არ ვეაქვს იმედი მათი დამარცხებისა, მაგრამ გვი-
 ნდა მათ გაგველიტონ. ჩვენ რუსხელმწიფის მფარველობას ვე-
 ძებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა; მაგრამ მის მსახურთა
 უსამართლობაში და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგ-
 ვაგდო. ჩვენ დიდხანს ვითმენდით, ხოლო ახლა, როდესაც
 უფალმა ეს საშინელი შიმშილი დაგვატეხა თავს, როდესაც
 თვითონ ბალახბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და საკვებს მო-
 იხიხოვენ. ჩვენ საკუთარი სახლებიდან გამოგვრევს, ხელემა
 აფათურებდნენ და სჩხრეკდნენ ჩვენს ზანდუეებს. ორმოებს,
 მარჩებს გვიტეხავდნენ, ღვინით ილეშებოდნენ, ხოლო და-
 ნა ჩენებს (რასაც ვერ მოერეოდნენ) აფუჭებდნენ, ქვევრებ-
 ში სიბინძურეს გვიყრიდნენ. ბოლოს ჩვენს თვალწინვე ჩვენს
 ცოლებსა და შვილებს შეურაცხყოფდნენ განა ოჯახის ამის-
 თანა შერაცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენივის დასილა ექ-

ნება? ჩვენ ცოდვილნი ვართ ღვთისა და რუსულმწიფე
წახაშე, რომ ქრისტიანთა სისხლში ხელი გავისვარეთ, მაგრამ
ღმერთთა მოწამე, რომ რუსთა ღალატი არასოდეს გვხვდეს
არა გექონია. ჩვენ ეს ძალდატანებამ გვაიძულა და გადავეწყ
ტეთ აქვე დაეხოცოთ. შენდობის იმედი არა გქავს: ვინ ამ-
ცნობს ხელმწიფეს ჩვენს მდგომარეობას? განა დაგვეიწყებო
თუ რას გვიბასუხებდნენ ხოლმე თქვენებური უფროსები, რო-
დესაც ხელმწიფეს ვახსენებდით: — „ღმერთი მეტად მაღლაა,
ხოლო ხელმწიფე მეტად შორსაა“. წადით ისევ მათთან: ვერა
თქვენ, ვერც ისინი ველარ მოგატყუებთ“.

პაულინი შეტევაზე გადავიდა, ხაშში აჯანყებულნი და-
მარცხდნენ. მთავარმართებელმა ტყვედაყვანილნი ჩამოაბრნო.
ხაშმიდან საგარეჯო გაიარა და იქაც აღადგინა „წესრიგი“. სა-
გარეჯოდან სიღნაღისკენ გაემართა. სიღნაღიც და მთელი ქ-
ზიყი ხელახლა დაიმორჩილა. თელავის გზაზე გავიდა. ჩუმლ-
ყთან დიდი ბრძოლის გადახდა დასჭირდა. აქ 4000 შეამბობე
შემოეგება ბატონიშვილ გრიგოლ იოანეს ძის მე-
თაურობით. ბევრი მეომარი დაეღუპა პაულინს. დაქრეს მისა
ადიუტანტი, პოეტი ალექსანდრე ქავჭავაძე, მოკლეს მის მზა-
რეზე მებრძოლი ვახტანგ ორბელიანი, ერეკლე მეფის სიძე,
მაშინ არტილერია დაუშინა მთავარმართებელმა მოწინააღმდე-
გეს. შეამბოხენი დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

ისევ მძიმე ბრძოლებისა და დიდი მსხვერპლის ფასად,
მთავარმართებელმა კახეთსა და არაგვის ხეობაში, როგორც
იქნა, მოახერხა აჯანყების ჩაქრობა და, ასე თუ ისე, მშვედო-
ბიანობის ჩამოუდგება.

1812 წლის აპრილში მარკიზი პაულინი მთავარმართებ-
ლის პოსტზე გენერალმა რტიშჩევმა შეცვალა.

რტიშჩევი მთავარმართებლის რეზიდენციაში შესულიც არ
იყო, რომ კახეთში აჯანყება ისევ განახლდა. აჯანყდნენ ენ-
იკლე, შილდა, საბუე. აჯანყებულებმა დაამარცხეს და დაქრეს
თელავის ოლქის უფროსი შმიატოვი. ისევ აისხა საომარა
იარაღი ქიზიყმა. რტიშჩევმა აჯანყების ჩაქრობა მიანდო გენე-
რალ-მაიორ სტალს. მაგრამ სტალი ვერაფერს გახდა.
მ. შინ მთავარმართებელმა ისევ ქართველს უბრძანა ქართველთა
„მიკლა“ — გენერალ-მაიორ დიმიტრი ორბელიანს.

და დიმიტრი ორბელიანმა ჩააქრო აჯანყება, ჩააქრო და

აღადგინა „მშვიდობა ქვეყანასა ზედა“, რისთვისაც მას უწოდეს გენერალ-ლეიტენანტობა.

(აქი ანაჲის ისე იოლად და მწარედ არ შეეძლო ქართველს დამრცხება, როგორც ქართველს!)

...რუსეთს კი ნაპოლეონის შემოსევა ადგა კარს. ამიტომ მას აღარც ქართველ მეთაურობებთან და აღარც სპარსეთ-თურქეთთან ომების გაჭიანურება აღარ შეეძლო მოეთმინა. 1812 წლის 16 მაისს, ბუქარესტში. დაიდო ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა თითქმის ყველაფერი, რაც რამ ამ ომში წაართვა ბალკანეთზე თუ ამიერკავკასიაში. ფოთი და ახალქალაქი ისევ თურქეთის მბრძანებლობის ქვეშ მოექცა. უფრო გაუჭანგლდა ზავის ჩამოგდება რუსეთის მთავრობას სპარსეთთან. სპარსეთი კვლავ ამიერკავკასიის სრულ დაცლას მოითხოვდა რუსეთისაგან. რუსეთს კი ამის დაშვება ვერც წარმოედგინა.

არც აჯანყება ეგულებოდა რტიშჩევის სრულად ჩამკრალი საქართველოში. აჯანყებულთა დიდი ნაწილი მთასა და ტყე-ში გახიზნულიყო და, სპარსეთიდან ალექსანდრე ბატონიშვილის მოლოდინში, ისევ საომრად ლესავდა მახვილს. ალექსანდრე ბატონიშვილს კი ისევ დაეგზავნა თავისი შთიჩრება კახეთს, ხევსურეთს, ფშავს და მთიულეთს. ალექსანდრე იუწყებდა ქართლ-კახეთის სოფლებს, თემებს, ქალაქებს, სალოცავეებს, ცალკე გვარებს და ცალკე პირებს — დამდგარიყენენ საომრად ფეხზე, ჰქონოდათ რწმენა უეჭველი გამარჯვებისა, მეც მოედევარო, აბას-მირზაც მოდის, თურქეთის სერასკერიც ჩვენთან იომებსო.

რტიშჩევს აჯანყების შეკალებისა და ალექსანდრე ბატონიშვილის შემოჭრის აღკვეთის საქმე ისევ გენერალ დიმიტრი ორბელიანისთვის დაევალებინა. მაგრამ ალექსანდრემ მაინც მოახერხა 100-კაციანი ამალით საქართველოში შემოსვლა და თიანეთს აღწევა. მას ახლა, როცა ნაპოლეონი მოსკოვში შესულიყო, დიდი იმედი ჰქონდა საქართველოდან რუსეთის განდევნისა. ნაპოლეონიც სპარსეთის შაჰს რუსეთის წინააღმდეგ უფრო აქტიურად ამხედრებისაკენ მოუწოდებდა და სამაგიეროდ საქართველოს მირთმევას აღუთქვამდა.

ალექსანდრემ თიანეთიდან შთიჩრები გაგზავნა ქართლ-

კახეთში, მთასა და ბარში, და დანიშნა დღე საომრად გამოსვლისა.

და ისევ, მესამედ დაიწყო აჯანყება, იმავე 1812 წელს სექტემბერს. ალექსანდრემ რამდენიმე ნაწილად დაპყრო აჯანყებულნი, მეთაურები დაუნიშნა და სამოქმედო გეგმა დაგეზი ჩამოურჩივა. ერთს. გარეკახელებს, საგარეჯოს მოურავის თადია ჩოლოყაშვილის მეთაურობით თბილისიდან კახეთისკენ მიმავალი გზის გადაკეტვა დაეავალა. თიანეთელნი, ფშავ-ხევსურნი, ქსანდელნი და ოსნი ომან ჩოლოყაშვილის სარდლობით, თიანეთ-თელავის მაერთებელ გზებს იკავდნენ. დიდ სამხედრო გზაზე მოქმედება კრწანისის გმირს გორჯასპი ნათალიშვილსა და პაპუა აბელიშვილს ებრძანათ. თვითონ ალექსანდრე ბატონიშვილი, აჯანყებულთა დიდი ნაწილით, შიდა კახეთსა და ქიზიყში ტრიალეზდა. ხმა გავარდა, რომ 14 სექტემბერს, ალავერდობის დღესასწაულს, ალავერდის ტაძარში, აჯანყებულებს ალექსანდრე საქართველოს მეფედ უნდა ეკურთხებინათ.

ფეხზე დადგა მთელი საქართველოს კოლონიური რეჟიმის საომარი ძალები. აჯანყების ჩაქრობის მეთაურობა რტიშჩევმა ისევ დიმიტრი ორბელიანს დაავალა (ქართველი უფრო იოლად და მწარედ მოახერხებდა ქართველების განადგურებას). „ლინიიდან“ ახალი ჯარები გადმოისროლეს. იმერეთს, შიმშილობისა და ეპიდემიისგან დაცემულს, აჯანყების თავი აღარ ჰქონდა და იქიდან ორბელიანმა სიძანოვიჩიცი გადმოიწვია რუსული ჯარებით. რუსეთის ერთგული თავადნი გიორგი ამილახვარი და კონსტანტინე მუხრანბატონი ბორჩალოელთა ლაშქრით ლარსისკარში ჩააყენა ორბელიანმა. ალავერდის საყარაულოდ ტიხანოვსკი აფრინა 1000 ჯარისკაცით და სამი ზარბაზნით. თვითონ მთავარმართებელმა რტიშჩევმა ალექსანდრეს მოკვლისათვის ჭილდოდ 2000 ჩერკონეცი გამოაცხადა.

უძვიმესი ომების დრო განახლდა აღმოსავლეთ საქართველოში. კახეთი სისხლით დაიტბორა. ბალ-ვენახები გაიჩეხა. სოფლები გადაიწვა და გადაიბუგა. მუამბოხეებს უღეტდნენ დაუნდობლად. გენერალი დიმიტრი ორბელიანი „თავის სიმაღლეზე“ იდგა.

თვითონ ალექსანდრე ბატონიშვილის მოკვლისა და ამის-



თვის ოქროსა და ჩინ-მედლების მოსურნე ხალხში არაა გამოჩნდა. სამაგიეროდ გამოჩნდა თავადთა შორის — და ეს იყო აბელ ქაიხოსროს ძე ჩოლოყაშვილი რომელიც გაემართა კიდეც ალექსანდრე ბატონიშვილის დაატყვევებლად. მაგრამ ალექსანდრემ თვითონ დაატყვევა მისი დაატყვევების სურვილით „ნერწყვმოტეული“ თანამემამულე. დაატყვევა, მაგრამ მაინც აპატია მამამისის, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ხათრით: ქაიხოსროს „ერთგული ნამსახური“ ჰქონდა ალექსანდრეს შირონცხებული მამის ერეკლე მეფის წინაშე.

1812 წლის სახალხო ომი საქართველოში დიდი მარცხით დამთავრდა.

1812 წლის სამამულო ომი რუსეთში დიდი გამარჯვებით დამთავრდა.

იქ ქართველებმაც ისახელეს თავი რუსთა მიწა-წყლის გადასარჩენად და რუსული იარაღის ასამალლებლად. აი ისინა: დიდი მხედართმთავარი, ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი, მისი ძმა გენერალი რომან ბაგრატიონი, ილია ბატონიშვილი (მეფე გიორგი მეთორმეტის ძე), კონსტანტინე ბატონიშვილი (დავით იმერთა მეფის ძე, იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი), ძმები გენერლები ვლადიმერ და ლევან იაშვილები, ძმები გენერლები ივანე და სიმონ ფანჩულიძეები, გენერალი პავლე ბიბილური, გენერალი ივანე ჭავჭავიძე, გენერალი ესტატე ჭავჭავიძე, მისი ძე გენერალი სპირიდონ ჭავჭავიძე, ძმები გენერლები სიმონ და ფილიპე ჭავჭავიძეები, გენერალი ნიკოლოზ ჭავჭავიძე, გენერალი სიმონ განგებლიშვილი, გენერალი ანტონ შალიკაშვილი, შტაბს-კაპიტანი მიხეილ ბარათაშვილი, პოეტი ალექსანდრე ქავეკავაძე, ფლორე ჩოლოყაშვილი, ძმები იორამ და ნიკოლოზ თარხნიშვილები, ასპან ამირეჯიბი, თეიმურაზ მაჩაბელი, ზაქარია იოსელიანი, ზაქარია ქართველიშვილი, იოსებ გაბაშვილი, ალექსი ტუხიშვილი, ეგნატე ფეტვიაშვილი, ივანე თაყინაშვილი, ზაალ ალაბაშვილი, რომანოზ ლალანიძე, ბეჟან გამყრელიძე, სვიმონკა რაჭველი, გრიგოლ კაპანაძე, იოსებ ჩიქორიძე, თომას მადლაკელაშვილი, ალექსი ბაზლიძე, ძმები კვანჭახიძეები, გამსახურდია, ფანიაშვილი, ხმალაძე, თულაშვილი, ბეჟანიშვილი, მაჭავარიანი, შენგელია, ოთხი მურადაშვილი, ოთხი გედუქანიშვილი, ოთხი გრუზინცევი, და სხვანი და სხვანი...

...1812 წლის ბოლოს რუსებმა და ქართველებმა მამია გენერლის კოტლიარევსკის სარდლობით, ასლანდუხთან ლენკორანთან, სასტიკად დაამარცხეს სპარსთა სპარსეთში სპარსეთში ზავი ითხოვა.

ზავი დაიდო გულისტანს, 1813 წლის ოქტომბერში — ზავი, რუსეთის სრული გამარჯვების მიუხედავად. გარდა ნახიჭევანისა და ერევნისა, ყოველი ქვეყანა, და პირველ რიგში საქართველო, სპარსეთში რუსეთის განუყოფელ საკუთრებად სცნო.

1819—1820 წლები

1816 წელს თბილისში ახალი მთავარმართებელი მოვიდა, გენერალი ერმოლოვი. მოვიდა და მოიტანა კავკასიის სრული დამორჩილების ახალი „თეზისი“: „კავკასია უზარმაზარი ბასტიონია, რომელსაც იცავს ნახევარმილიონიანი გარნიზონი. მაშ, ვაწარმოთ ალყა!“ და დაიწყო „კავკასიური ალყა“, ხანგრძლივი და სისხლდამდინარი.

და სანამ ერმოლოვი დაღესტნის, ჩეჩნეთის, ყაბარდოს და ჩერქეზეთის დამპყრობით იყო გართული, დასავლეთ საქართველოში აჯანყებამ იფეთქა.

იმერეთის აჯანყება დაიწყო 1819 წლის ზაფხულში. იგი გამოიწვია რუსულმა საეკლესიო რეფორმებმა. თეოფილაქტე ეგზარხოსმა, ყოველგვარი წინასწარი „შემოზადების“ გარეშე, დაიწყო ქართული ეკლესიების დახურვა, სამრევლოების შეწყობა, ნატურალურის ნაცვლად ახალი ფულადი საეკლესიო გადასახადების გაწერა, ადგილობრივი სამწყსოების შევიწროება და აბუჩად აგდება. ხალხი ამას არ შეურიგდა და საომრად შეიმართა. აჯანყებამ მოიცვა იმერეთი და რაჭა. იმერეთის მმართველმა გენერალმა კურნატოვსკიმ აჯანყებულებს მოწოდებით მიმართა — დაშლილიყვნენ და დაუნარებელიყვნენ. აჯანყებულებმა საპასუხოდ მოითხოვეს სავადასახადო სიების მოსპობა და თეოფილაქტე ეგზარხოსის გაძევება. კურნატოვსკიმ ეს არ ინება და მაშველი ჭარბი სთხოვა საქართველოს სამოქალაქო მმართველს გენერალ ველიამინოვს.



ველიამინოვმა დატუქსა კურნატოვსკი — წინდაღიწეა ვად მოქცეულხართო, როგორც კი ხალხში უკმაყოფილება დაიწყო, სავადასახადო აღწერები უნდა შეგეწვევებოდეს. ნასწარ უნდა „შეგეპარებინათო“ და სხვ. მისთ., თან იმერეთში საგანგებო პროკლამაცია გამოაქვეყნა აჯანყებული ხალხისთვის ველიამინოვმა: ჩვენ თქვენთვის სიკეთე გვინდაო, თქვენ კი „თავზე ხელაღებულთაგან“ ცდუნებას აპყრლიხართ და ასეთმა ცდუნებებმა ორჯერ დაღუპვის პიჩამდე მიგიყვანათო. მაინც რაის იმედი გაქვთო, უმწეო იმერეთი კი არა, რუსეთმა ოცდაათმილიონიანი საფრანგეთი დააწვინა ბეჭებზეო! მაგრამ ამ „პროკლამაციამაც“ არ გასჭრა და მაინც საჭირო შეიქნა გადასახადების შეწყვეტაც და თეოფილაქტე ეგზარხოისის გაწვევაც.

თეოფილაქტე ველიამინოვს შეხვდა და იმერეთის აჯანყება ადგილობრივი მიტროპოლიტების — ქუთათელისა და გენათელის ბრალად დასახა. ველიამინოვმა ყოველივე ერმოლოვს აცნობა. ერმოლოვმა აჯანყების მოთავეთა დასჯა ბრძანა.

მაშინ ისევ განახლდა აჯანყება იმერეთსა და რაქას. მთავრობამ გადამჭრელ ზომებს მიმართა. კურნატოვსკი იმერეთის მმართველობიდან მოხსნა და მის ნაცვლად, ახალი ქარებიითა და არტილერიით, გაგზავნა უფრო სასტიკი პოლკოვნიკი პუზირევესკი.

პუზირევესკი იმერთს მივიდა და აჯანყების მეთაურთა დაპატიმრება დაიწყო. შეიპყრეს დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი მიტროპოლიტნი, სეხნია წულუკიძე და სოლომონ მეფის ასული დარეჯანი. ყველას ხელ-ფეხი შეუკრეს, თავზე ტომარები ჩამოაცვეს და თბილისის ვხას გაუყენეს. ვხაზე, სურამსა და გორა შუა დოსითეოს ქუთათელი, საშინლად ნაცემი და ტომარაში სუნთქვადახშული, გარდაიცვალა.

მეთაურების დაპატიმრებამ აჯანყება არამც თუ არ დაამინა და დააყნინა, არამედ უფრო გაამძაფრა და გაახელა. ახლა აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ივანე აბაშიძე, ძე ტყვედ წაყვანილი დარეჯან ბატონიშვილისა. იგი გურიას გაქცეულიყო და ქაიხოსრო გურიელის დახმარებით ახალ ლაშქრობას ამზადებდა მთავრობის სამხედრო ძალების წინააღმდეგ.



პუზირევსკი თვითონ შევიდა გურიაში, ჯარი ხობატურში დააყენა და რამდენიმე კაზაკით შემოქმედში წაიყვანა. ქაიხოსრომ გურიაელთან შესახვედრად, მაგრამ ქაიხოსრომ ვეღარც შეძლო ვადა და უკანგამობრუნებულს წინ სამი გურული გლეხი შემოეყარა. პუზირევსკის ეგონა, რომ გლეხის, ანუ „მუჭეიკის“ გამათრახება, ანუ „გაროზგვა“ ისეთი ჩვეულებრივი გასართობი თუ გულმოსაფხანი ქმედებაა, რომელსაც საპასუხოდ არავითარი რეაქცია არ უნდა მოჰყვეს, მაგრამ გურული გლეხები სრულიად „უცნაური მუჭეიკები“ აღმოჩნდნენ. პუზირევსკიმ მათრახი უჭირა ერთ გურულს და წამსვე სამივე დაეძგერა მას, ცხენიდან გადმოიღეს, დაიგდეს და მიწაზე დააკლეს. ერთი კაზაკიც მიაყოლეს, ორიც ხელფეხშეკრული მიაგდეს.

სე „უაზროდ მოკლული“ პუზირევსკის ადგილი დაიჭირა ნიასმა მოადგილემ ს გ ო რ ე ლ ს კ ი მ, რომელიც მაშინვე შეტევაზე გადავიდა. გურიაც, თითქოს ამას ელოდა, საომრად დებზე წამოიშალა. აჯანყებულებმა ხობატურში დაბანაკებულ ჯარს შეუტრეს. სგორელსკი უკუიქცა. გურულები სამეგრელოსკენ წარემართნენ და ქალადიდს მივიდნენ. სამეგრელოც აქვე აჯანყებას. ივანე აბაშიძე იმერეთს მივიდა აჯანყების უშუალო სახელმძღვანელოდ. მისი მეთაურობით აჯანყებულებმა მდინარე ქალაბურთან გაანადგურეს კაზაკთა პოსტი, უფრო გამძლავრდა ჯანყი რაჭაში.

ერმოლოვმა რისხვიანი ბრძანება გამოუგზავნა ველიამინოსს, — ყველა აშკარა მეამბოხეს ადგილზე გაუსწორდითო, ჩამოახრჩეთ, სასამართლოსთვის მხოლოდ ეჭვმიტანილები იკმარეთო.

ველიამინოვი და იმერეთის ახალი მმართველი გ ო რ ჩ ა კ ო ვ ი ცეცხლითა და მახვილით მოედნენ დასავლეთ საქართველოს აჯანყებულ სოფელ-ქალაქებს. მეამბოხენი იბრძოდნენ უკიდურესი თავგანწირვით.

ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი უნდა გაეტანა უპირატეს სამხედრო ორგანიზაციას, საომარ გაწრთვნილობას, „ყოჩაღ ხიშტისა“ და არტილერიას.

1820 წელი მიიწურა. თავისუფლებისათვის ნაომარი და ამოწვეტილი ქვეყანა ერთხელ კიდევ მინებდა გამარჯვებულ და გამძვინვარებულ მოპირდაპირეს.



ერევნული
გაზეთი

ირანს არ სურდა გულისტანის დამამცილებელი ზღაპრითა და ლომდევ შერიგებოდა. განსაკუთრებით, მას საქართველო არ ეთმობოდა და ახალი ომისათვის, რაც ძალა ჰქონდა, გაცხოველებით ემზადებოდა.

არც რუსეთი აპირებდა ერევნისა და ნახიჭევანის სამუდამოდ დატოვებას ირანის სამანებში და თვითონაც დინჯად გეგმავდა ახალ სამხრეთულ ომს.

სამხრეთისკენ რუსეთის წინსვლა დროებით გადასდო თვითონ იმპერიის გულში დატრიალებულმა დიდად საშფოთარმა ამბებმა. ეს იყო 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყება „დეკაბრისტული მოძრაობის“ სულს მოეცვა მთელი ქვეყანა.

მომდევნო წელს კი რუსეთმა და მისი ახალი მპერატორის, ნიკოლოზ პირველის კარმა მაინც მოახერხა სამხრეთულ საქმეთა გააქტიურება.

ირანის სასახლის კარს კი ეგონა, რომ დეკაბრისტების ანტიცარისტული გამოსვლა უაღრესად ხელსაყრელ ამინდა ქმნიდა რუსეთის ცარიზმის გასანადგურებლად ამიერკავკასიის საომარ სპარეზზე.

და 1826 წლის ივლისში ირანელთა 60000-იანი არმია აბას-მირზას სარდლობით ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა რუსეთის ქვეშეყრდომ ყარაბაღში.

და ალექსანდრე ბატონიშვილიც შემოჭრილიყო სპარსული კავალერიით შამქორის მთებში.

ესე დაიწყო ახალი რუსეთ-ირანის ომი.

აბას-მირზამ განჯა აიღო და შეტევები გზაბოძალად გაშალა: მარჯვნივ — ბაქოსკენ, მარცხნივ — თბილისისკენ.

რუსთა სარდლობამ მტერთან შესახვედრად გამოუშვა ქართული მილიცია, სახალხო ლაშქარი პოლკოვნიკ ვახტანგ სავარსამიძის სარდლობით. თბილისის გზები ჩაუჭრეს და შეუკრეს მტერს ქართველებმა.

1826 წლის 2 სექტემბერს რუსებმა და ქართველებმა შამქორის ახლოს სასტიკად გაანადგურეს შაჰის 10000-იანი ნარჩევი გვარდია. დამარცხებული ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთისკენ გაიქრა. რუსებმა ქართველს ქართველები გამოადევნეს გრიგოლ ორბელიანის, ზურაბ ანდრონიკაშვილის, გი-

ორგი ესეს ძე ერისთავის წინამძღოლობით. წამოეწიგნენ და დაამარცხეს ქართველმა თავადებმა ქართველი ბატონიშვილი. ძლივს გაასწრო სიკვდილს ალექსანდრემ.



13 სექტემბერს, განჯასთან, აბას-მირზამ თავი მტრულად 4000 მეომარს. რუსთა სარდლობამ წინაყერძით ისევ ქართველები მიუშვა მტერზე (რამდენი ხნის წინათ ითქვა პირველად — „წესადმცა არს წინამბრძოლობა ქართველთა“!). და შეიკრნენ ქართველები ირანელთა შუაგულში, მიჰყვნენ რუსები, ირანელთა უმრავლესობა დააწვიხეს და დაჩეცეს. არაქსისკენ გაიქცა აბას-მირზა. რუსთა და ქართველთა ქარები განჯაში შევიდნენ. 1826 წლის მიწურულს აზერბაიჯანი გაწმენდილი იყო შაჰის ქარებისაგან.

1827 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა კავკასიის მთავარსარდლისა და მთავარმართებლის პოსტზე მისთვის სიეჭვო გენერალი ერმოლოვი უფრო სანდო და საყვარელი გენერლით — პ ა ს კ ე ვ ი ჩ ი თ შეცვალა.

პასკევიჩმა უპირველესად ნახიჭევანი გაწმინდა ირანელთაგან. მერე მიადგა ერევანს და გააფთრებული იერიშების შემდეგ, 1827 წლის 1 ოქტომბერს აიღო კიდეც. რუს მეომრებთან ერთად ერევანისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა გ. მ. ქართველმა ცხენოსანმა. რომელთაც სარდლობდა გენერალ ართურ ბაგრატიონი, სახელოვანი პეტრე ბაგრატიონის ძმა, თვითონაც ბოროდინოს ბრძოლის გმირი.

1827 წელს რუსებმა და ქართველებმა გადალახეს საკუთრივ ირანის საზღვრები. პირველი დიდი უძველესი სპარსული ქალაქი იყო თავრიზი, რომელსაც 61000-იანი ირანული გარნიზონი იცავდა. პასკევიჩი ამ ქალაქის აღების გეგმას ჩაღრმავებოდა, როცა მოულოდნელად, 1827 წლის 1 ნოემბერს, თავრიზი უეცარი დაცემით აიღო გენერალმა გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ მ ა. ეს ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო მთელს საომარ კამპანიაში და სწორედ ამიტომაც იმპერატორმა ამ მეომარული ოპერაციის მთავარი გმირი გიორგი ესეს ძე ერისთავი დააჯილდოვა ალექსანდრე ნეველის ორდენით. ქართველი გენერლისაგან თავრიზის აღება აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის საზღაური იყო, — ამბობდნენ მაშინ მტერთა და მოყვარეთა შორის: „სპარსელებთან შურისმგებლად 30 წლის შემდეგ ბედმა გაგ-

ზაენა ისევ ქართველი, ოღონდ რუსეთის არმიის სათავეში.
თავრიზის დაუფლების შემდგომ რუსებს და ქართველებს
გზა გახსნილი ჰქონდათ თეიჩანისკენ. დაიძრნენ და მრეწველ
ულნენ კიდევ ირანის სატაბტოს. და ირანელებიც სასწრაფოდ
ზავს ჩააფრინდნენ.

და დაიღო ზავი თურქმანხაიში 1828 წლის 10 თე-
ბერვალს. ეს ზავიც რუსეთის სრული მოთაპოვრებით აღი-
ნიშნა. რუსეთის სამფლობელოებს შეუერთდა ნახიქევანისა და
ერევნის ყოფილი სახანოები, კასპიის ზღვა მთლიანად რუ-
სეთის სანაოსნო-საბატონოდ გამოცხადდა და, ბოლოს, ირანს
რუსეთისთვის სამხედრო კონტრიბუციად უნდა გადაეხადა 20
მილიონი მანეთი.

თურქმანხაის ზავის შემადგენელი და განმამხორციელებელი
იყო პოეტი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედო-
ვი, რომელიც დაინიშნა რუსეთის სრულუფლებიან ელჩად
ირანში.

ასევე გრიბოედოვის პროექტით ნახიქევანისა და ერევნის
ყოფილი სახანოებისაგან შეიქმნა სომხეთის ოლქი, რომელ-
საც პირველ მმართველად და გამგებლად დაენიშნა სახელო-
ვანი ქართველი პოეტი და გენერალი ალექსანდრე ქაგ-
ქაგავაძე, სიმამრი ალექსანდრე გრიბოედოვისა.

ისევ გრიბოედოვის თავგამოდებით, ახალ სომხურ ოლქ-
ში ირანიდან გადმოსახლდა და დაემკვიდრა 40000 სული სო-
მები.

ინგლისის დიპლომატთა წაქეზებით, ირანის ხელისუფლე-
ბა ცდილობდა თურქმანხაის დამამკვირებელი ზავის გადასინ-
ჯვას, მაგრამ რუსეთის ელჩი მტკიცედ მოითხოვდა უკვე და-
დგენილ სახელშეკრულებო პირობათა დაცვას. მაშინ, 1829
წლის 30 იანვარს, ისევ ინგლისელთა წაქეზებით, გახელეპუ-
ლმა ბრბომ თეიჩანში თავდასხმა. მოაწყო რუსულ საელჩოზე.
მთელი დიპლომატური კორპუსი ამოწყვიტეს. მოკლეს თვითონ
ალექსანდრე გრიბოედოვი. მისი გვამი ქართველებმა
ალექსანდრე ქაგვაძის მოთავეობით, თბილისს გადმოასვენ-
ეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს.

რუსეთის მეფემ ამ ბარბაროსული აქტის სანაცლოდ
სპარსეთის ხელისუფლებისაგან ბოდიშის მოხდა და მდიდარი
ძღვენი იკმარა.



„ჩვენი სამშობლოს წრეში მოქცეულ ყველა ხალხთაგან, არსად არ მოიძებნება რუსი ადამიანისადმი ისეთი წრფელი და ძმური მეგობრობა, როგორც ქართველის ვაჟაკურ ველში“.

ვასილ პოტტო

აგერ, სამასი წელიწადი გასულიყო, რაც უმძიმესი ოსმალური უღელა ჩაჰკირავდა სამცხე-ჯავახეთს, სრულიად მესხეთს, აჭარას. იყო მხოლოდ მარადიული ფიქრი, წუხილი და ოცნება ვათიშულ ღვიძლ შმათა ხელახალი გაერთიანებისა და გამთლიანებისა.

და 1829 წლის 14 აპრილს ახალი ომი გამოცხადდა რუსეთსა და თურქეთს შორის. მაისში ბალკანეთის მიმართულუბით შეუტეეს რუსებმა. ივნისში ამიერკავკასიაში, სამხრეთ საქართველოში გაიხსნა ფრონტი.

ყარსის ციხისკენ მიეშურებოდნენ რუსული ლეგიონები. მეწინავეთა რიგებში კვლავ ქართველი მხედრები იყვნენ. სამდღიანი მძაფრი იერიშების შემდეგ, 1829 წლის 23 ივნისს, რუსებმა და ქართველებმა ყარსი აიღეს. ციხე-ქალაქის დამცველი ემინ-ფაშა, თავისი შტაბით, ტყვედ აიყვანეს გამარჯვებულებმა.

ამის შემდეგ, 15 ივლისს რუსებმა და ქართველებმა ისევ აიღეს ფოთი, ხოლო 24 ივლისს დაეუფლნენ ახალქალაქს. აქედან კი ახალციხისკენ წარემართნენ გამარჯვებულნი.

ახალციხის უმაღლეს მეჩეთზე ნახევარმთვარე აღმართულიყო — ქრისტიანთათვის ოსმალური წყევლიადის სიმბოლო. 40000-იანი თურქული გარნიზონი იცავდა ამ „სიმბოლოს“... და საიერიშოდ მისულ რუსთა და ქართველთა მოთხოვნაზე — ციხე-ქალაქი დასცალეთო — თურქული ციხიონის მეთაურმა სამასუხოდ ეს ვადმოსძახათ: „ჯერ ციდან მთვარე ჩამოხსენით და მერე ახალციხის მეჩეთიდან ნახევარმთვარეო“.

მაშინ მივიდნენ რუსები და ქართველები იერიშით ახალციხეზე, მივიდნენ და 16 აგვისტოს კიდევაც აიღეს, ნახევარმთვარეც ჩამოაგდეს და მის სანაცვლოდ გამარჯვებულმა ქრ.

სტიანებმა ქრისტიანული ჯვარიც აღმართეს. დიდი იყო
მი და სიხარული, განსაკუთრებით ქართველთა გულში.
ახალციხიდან დაიძრნენ გამარჯვებულნი და
ათავისუფლეს არტაანი და აწყურო.

28 აგვისტოს აღექსანდრე კავკაეაძემ აიღო ბაიაზეთი და
ბაიაზეთის მთელი საფაშო.

თეირანში გრიბოედოვის მოკვლამ და რუსეთ-სპარსეთის
ურთიერთობათა გაართულებამ ოსმალეთს იმედი ჩაუწერა და
გაათამაშა. ხონთქარმა 1829 წლის თებერვალში ახალი ჯარე-
ბი დასძრა ახალციხისა და ქობულეთისკენ. მაშინ ქართველ-
ებმა საკუთარი ენთუზიაზმით ახალი ლაშქარი შემოიყარეს და
მტერს გაეგებნენ. ორგან, ქუბულეთის ახლოს — ლიმანთან
და კინტრიშთან, გურულებმა გმირობის სასწაულები აჩვენეს.
ლიმანთან, 5 მარტს, 12000 რუსის გვერდით 1300 ქართვე-
ლი იბრძოდა, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. 6 აგვისტოს
კი მუხაესტატესთან ქართველებმა და რუსებმა სრულად გა-
ანადგურეს თურქთა უმრავლესი მხედრობა. ახალციხისკენ
წამოსული 20000-იანი თურქული არმიაც განადგურდა.

1829 წლის 27 ივნისს, თვითონ პასკევიჩის სარდლობით,
რუსებმა და ქართველებმა აიღეს მცირე აზიის აღმოსავლეთი
კარიბჭე — დიდი და ძველი ციხე-ქალაქი არზრუმი. არზრუმს
მოჰყვა დაცემა ბაიბურთისა, გიუმისხანესი და უკვე ტრაპი-
ზონისკენ სალაშქრო გზაზე შემდგარიყვნენ გამარჯვებულნი.

ამსობაში, ტრაპიზონისკენ წინ გაჭრილთა ზურგში გენე-
რალმა გესემ ილაშქრა ბათუმსა და აქარაში ჩარჩენილ
თურქთა წინააღმდეგ, მაგრამ მისი ეს „დამოუკიდებელი წიაღ-
სვლა“ უშედეგოდ დამთავრდა და იმჯერად აქარა კვლავ ოს-
მალეთის ხელში ჩარჩა. გესეს ისიც ვერ შეეცყო, რომ ზავი
უკვე შეკრული იყო და ციხისძირთან გამართულ ბრძოლაში,
15 სექტემბერს, 650 მებრძოლი ცუვილ-უბრალოდ შეაკლა
მტერს.

ზავი კი რუსეთსა და ოსმალეთს შორის დ. ივ. 1829
წლის 14 სექტემბერს ქალაქ ადრიანოპოლში ი. ამ ზავით
საქართველოს (ანუ რუსეთის იმპერიას) დაუბრუნდა მისი
სისხლბორცეული ქალაქები და მიწები: ფოთი, ახალციხე,
ახალქალაქი და ერთ საიმპერიო „ახალციხის ოლქად“ გაერ-
თიანდა — ახალციხე, ასპინძა, აწყურო, ხერთვისი, ქვაბლიანი,
აბასთუმანი და ქაქარაქი.



ომის მსვლელობის შემს აქ ჩამოთვლილ „სანჯაყთა“ გამ-
 კმადიანებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აიყარა (ან
 აქყარეს) და თურქეთში გადასახლდა (ან გადაასახლეს).
 ლო ახლა, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ საქართველოში
 ნობრუნებულ, ქართველობისგან დაცლილ ქართულ მიწებზე
 კვლავ ქართველები ჩასახლებულიყვნენ. მაგრამ ეს ასე არ
 მოხდა.

და ასი წლის შემდეგ დაწერს ამის შესახებ ივანე ჯავახი-
 შვილი: „1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველი
 მამადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და
 პალაქალიო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი
 ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩაადგო, რომ ქართველმა მამ-
 კმადიანებმა თავიანთი მამაბაბეული სამოსახლოთაგან აყრა
 და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქარ-
 თველებს ლიხთიმერეთიდან იქ გადასახლების ნება არ მის-
 ცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთა-
 გან 30000 მცხოვრები ჩაასახლა... მესხეთში, სადაც 1828
 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90%-ს აღმატებოდა, 1830
 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობად სხვა
 ერისანი იქცნენ“.

1832 წელი

დგებოდა მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლები.
 რუსეთმა, კავკასიიდან სპარსეთისა და თურქეთის განდევნის
 შემდეგ, იმპერიასთან საბოლოოდ შემოერთებულად გამოაც-
 ხადა გურია და ქარ-ბელაქანი. იმხანად საიმპერიო კარმა გან-
 კერძობებული და „განსაკუთრებული“ სვანეთისთვისაც მოი-
 ცალა. სვანეთი დადემშვილიანებს გაეყოთ: თათარყანს —
 30 სოფელი, თენგიზს და ციოყ თენგიზის ძეს —
 21 სოფელი, რუსეთის იმპერატორმა „ორივე სვანეთი“ თავის
 „მფარველობაში“ აიყვანა...

...საუკუნის 20—30-იანი წლების მიჯნაზე საქართველოს ის-
 ტორიაში მაინც უმნიშვნელოვანესი მოვლენა საზოგადოებ-
 რივ და ეროვნულ გააზრებათა სიახლე და სიმძალე იყო. მეწი-
 ნავე ქართველის ყოველივე აზრი, ფიქრი და საზრუნავი კვლავ

მისი მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სამომავლო ზედს
უტრიალებდა.

ვიქნებით თუ არა ჩვენ, ვითარცა ერი, ხედავს თუ ვერა
მისი?!

ხოლო, უკეთუ ვიქნებით, ვითარ ვიქნებით?!

ჩვენ ჩვენთვის, ჩვენი საკუთარი თავის კუთვნილებით თუ
სხვის კუთვნილებად, სხვის ქვეშევრდომად, მარად სხვისა
„მფარველობის“ ან „თავზედგომის“ (ერთომ „თანადგომის“)
იმედად?!

ნუთუ საქართველოს ისტორია, მცირე ბედნიერ გამონაკ-
ლისთა გარდა, ათასეულ წელთა სარბიელზე მხოლოდ სხვა-
თა, უფრო ძლიერთა ქვეშევრდომული „მოქცეების“ ციკლ-
თა ჯამია და სხვა არაფერი?!

აი, მარადიული საფიქტალნი და „საკითხავნი“ ქართველთა
კაცისა...

ოციანი წლებიდან, რუსეთთან ურთიერთობით, ფრიად
გაცხოველდა ინტელექტუალური ცხოვრება ქართველთა შო-
რის. ქართველი არისტოკრატები სწავლობდნენ პეტერბურგ-
სა და მოსკოვში, ეუფლებოდნენ რუსეთისა და ევროპის კულ-
ტურულ-საისტორიო გამოცდილებას, რუს პროგრესისტებთან
ერთად ითვისებდნენ და იწაფებოდნენ მოწინავე, განმანათ-
ლებლური და განმათავისუფლებელი იდეებით. თავისუფლე-
ბისათვის ბრძოლის უკეთილშობილესი სუნთქვით ივსებოდა
მეწინავე ქართველთა სული. ეწაფებოდნენ ვოლტერს, რუ-
სოს, მონტესკიეს.

გამორჩეული გავლენა იქონია ქართულ ინტელიგენციასზე
რუსეთის დეკაბრისტულმა მოძრაობამ. მეფე ნიკოლოზ პირ-
ველმა დამარცხებული დეკაბრისტებიდან ზოგი კავკასიაში
(„თბილ ციმბირში“) გადმოასახლა. ასე მოხვდნენ მაშინ საქა-
რთველოში დეკაბრისტები: რ ა ე ვ ს კ ი, ო დ ო ე ვ ს კ ი,
ს უ ხ ო რ უ კ ო ვ ი, ბ ე ს ტ უ ე ე ვ-მ ა რ ლ ი ნ ს კ ი და სხვა-
ნი. მათ ცხოველი სიახლოვე ჰქონდათ ქართველ პოეტებთან,
მოაზროვნებთან, მოღვაწეებთან, განსაკუთრებით — ა ლ ე ქ-
ს ა ნ დ რ ე ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე ს თ ა ნ და გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე-
ლ ი ა ნ თ ა ნ. რუსი და ქართველი მოაზროვნენი ხშირად
თავს იყრიდნენ გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ რედაქ-
ციაში. ეს გაზეთი ქართული ვარიანტით „თბილისის უწყება-



თა“ სახელით გამოდიოდა, ცნობილი ფილოსოფოსის სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით. აქვე თანამშრომლობდნენ გიორგი ერისთავი, დემეტრე ყიფიანი, ალექსანდრე ორბელიანი. ქართველ მოღვაწეთა დაახლოებას ხელი შეუწყო აგრეთვე ორი დიდი პოეტისა და მოღვაწის — ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის — დამოუყრებამ (გრიბოედოვა ცოლად შეირთო ჭავჭავაძის უმშვენიერესი ასული ნინო).

და მწიფდებოდა, ღვივდებოდა, ცხოველდებოდა ქართველ მოაზროვნეთა სულში იდეა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა. თავს იყრიდნენ. მსჯელობისათვის საგანგებოდ დათქმულ საბაემნო ადგილებზე. იყრიებოდნენ ჭგუფებად, „წრეებად“, „დასებად“. იყრებოდნენ ფარულად, მალულად.

ხოლო, საქართველოში, როგორც ყველგან და ყოველთვის, კვლავ ჰყვავოდა და ბარტყობდა ღალატი. და სწორედ ღალატის წყალობით გამელავნდა სამზადისი აჯანყებისა, რომელსაც საისტორიო სახელად დაერქვა „1832 წლის შეთქმულება“.

შეთქმულნი აღმოჩნდნენ: თამარ იულონის ასული ბატონიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი დავითის ძე ერისთავი (დრამატურგი), გიორგი რევაზის ძე ერისთავი, დიმიტრი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ფილადელფოს კიკნაძე, იასე ფალავანიშვილი, ზაქარია ჩოლოყაშვილი, ლუარსაბ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, მამუკა ორბელიანი, იაგორ ქილაშვილი და სხვანი.

შეთქმულების მიზანი იყო საქართველოს გათავისუფლება და მისი დამოუკიდებლობის აღდგენა. მაგრამ რა სახის უნდა ყოფილიყო ეს „დამოუკიდებელი საქართველო“, ან რა გზებითა და საშუალებებით უნდა „დაეხსნათ“ და „შექმნათ“ იგი, ამ საკითხებზე ერთაზროვნება და ერთხმეობა არა ყოფილა. ერთნი ფიქრობდნენ მეფობა აღედგინათ და მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილი დაესვათ, მეორენი კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილების შექმნას ქადაგებდნენ, მესამენი საერთოდ რესპუბლიკური ტიპის სახელმწიფოს შექმნაზე



ოცნებობდნენ. ზოგი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ბედ-იღბალს ევროპის სახელმწიფოთა დახმარებაზე ამყარებდა, ზოგიც საქართველოს ძალებით უმჯობესობის აჯანყებით აპირებდა დამოუკიდებლობის მოპოვებას.

1830 წელს პასკევიჩი ნიკოლოზ პირველმა პოლონეთის აჯანყების ჩასაქრობად გავხაენა და მის ხაცელად კავკასიის მთავარმართებლად ბარონი როზენი დანიშნა. ქართველ შეთქმულებს პოლონეთის აჯანყების დიდი იმედიც ჰქონდათ. მაგრამ პოლონეთის აჯანყება 1831 წელს პასკევიჩმა ჩაახშო და ქართველ შეთქმულთა დიდმა ნაწილმა თავისი განახტახიც წაგებულად ჩათვალა. შეთქმულებმა იმედი ისევ მოიციეს, როცა მთავარმართებელი როზენი ძირითადი საომარი ძალებით საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში გადავიდა საომრად. გადამწყვეტ სამოქმედო აქტს შეთქმულებმა სახელად დაარქვეს „პირველი დამის განკარგულება“, რაც ითვალისწინებდა, 1832 წლის 20 დეკემბერს საზეიმო ვახშამზე ამოეწყვირათ საგანგებოდ მოწვეული უმაღლესი საიმპერიო მოხელენი. მაგრამ შეთქმულება, როგორც იქვეა, გამცემლობის წყალობით ჩაიფუშა. გამცემი აღმოჩნდა იასე ფალავანდიშვილი.

მეფის სასამართლომ 38 შეთქმული გაასამართლა და სხვადასხვა ვადით გადაასახლა რუსეთის შორეულ გუბერნიებში.

შეთქმულების უთვალსაჩინოესი მეთაური იყო სოლომონ დოდაშვილი, წარმომავლობით ქიზიყელი გლეხობის წრიდან. 1927 წელს მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი და იმავე წელს რუსულად გამოსცა „ფილოსოფიის კურსის“ პირველი ნაწილი — „ლოგიკა“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი მასწავლებლობდა. დაწერა ქართული ენის გრამატიკა. რედაქტორობდა „თბილისის უწყებებს“. მან დაარსა პირველი ქართული ჟურნალი. სასამართლომ დოდაშვილი სამუდამო საცხოვრებლად გადაასახლა ვიატკაში, სადაც ის შეხვდა იქვე გადასახლებულ დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატს — გერცენს.



1841 წელს უეცრად გლეხთა აჯანყება დაიწყო კავკასიაში აჯანყების მიზნებით — ისევ უმძიმესი გადასახადნი, ბეგარა, საოკუპაციო ჯარის რჩენა, სამოხელეო აპარატის თავგასულობა, ეროვნული ჩაგვრა და დამცირება.

აჯანყება სწრაფად ვაერცელდა („გურული სისწრაფით“). აჯანყებულები ერთბაშად დაეუფლნენ გურიის მთავარ სტრატეგიულ პუნქტებს. 9 აგვისტოს, სოფელ გოგორეთთან, დიდი ბრძოლა მოიგეს პოლკოვნიკ ბრუსილოვთან შეტაკებისას. მეორე დღეს დაამარცხეს და იაჩადი დააყრვეინეს კახაკ ცხენოსანთა და ქვეითი ჯარის ნაწილებს. მერე ოზურგეთისკენ დაიძრნენ შეამზობენი. სამჯერ მიიტანეს გააფთრებული იერიში გურიის მთავარ ქალაქზე, მაგრამ ჯერ საშინელი უამინდობის გამო, მერე მტრის ბანაკის გაძლიერების გამო სამივე იერიში უშედეგოდ დამთავრდა. საქართველოს უმაღლესმა რუსულმა მმართველობამ სავანებო ზომები მიიღო და გურიის აჯანყება ჩახშობილ იქნა.

მაგრამ ახალ აჯანყებათა კვლავ აფეთქების საფუძვლები საქართველოში, ისევე როგორც იმპერიის სხვა კუთხეებშიც, არამც თუ არ იშლებოდა და ისპობოდა, არამედ კიდევ უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა. საუკუნის 40-იან წლებში სახალხო უკმაყოფილებსა და ამბოხებათა ატმოსფერო უარესად გაამძაფრა ახალმა სამმართველო რეფორმებმა. ახალ, ე. წ. „ამიერკავკასიის მმართველობის დებულებით“, მთელი ამიერკავკასია იყოფოდა ორ გუბერნიად: „საქართველო-იმერეთის გუბერნია“ და „კასპიის ოლქი“. პირველში შედიოდა თბილისის, გორის, თელავის, გურჯაანის, ქუთაისის, ელიზავეტპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახიჭევანის, ახალციხისა და გურიის მაზრები, ხოლო მეორეში — შირვანის, ყარაბაღის, შაქის, თალიშის, ბაქოს, დარუბანდისა და ყუბის მაზრები (თითქოს ზედმეტი გამხდარიყო და სამუდამო დაეწყებას უნდა მისცემოდა ძველი ეროვნული სახელწოდებანი — „საქართველო“, „სომხეთი“ და სხვ. მისთ). სრულიად ამიერკავკასიის მთავარმართველობა იდგა თბილისში — ამიერკავკასიის მთავარმართველის, თბილისის სამხიდრო გუბერნატორისა და მთავარმართველობის საბჭოს შემადგენლო-



ბით. მთავარმართებელი, ბუნებრივია უმაღლესი უზენაესი
 ლი იყო როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო უზენაესი
 რწმუნებებით. ცალკე საქართველო-იმერეთის
 და კასპიის ოლქს სათავეში ედგათ გუბერნატორები, თავთავი-
 ანთი სამოქალაქო უწყებებით. ხოლო, მმართველობის ბო-
 ლო, მესამე საფეხური, იყო სამაზრო სამმართველო, სათავე-
 ში მაზრის უფროსით, შემდეგ მისი თანამემწით, პოლიციით,
 მსაჯულით, პროკურორით, სასამართლოთი და ხაზინდარით.
 მოხელეებითა და ბიუროკრატებით დამძიმდა ქვეყანა. გაუქმ-
 და და უგულვებელყოფილ იქნა ყოველგვარი ადგილობრივი-
 ეროვნული კანონი, ტრადიციული ზნე და ადათი. გაუთავე-
 ბელმა და გულისგამაწყვალებელმა ბიუროკრატულმა ქაღალ-
 დომანიამ მოშალა ადამიანის მოთმინების საზღვრები.

1844 წლიდან, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანე-
 ბით, ამიერკავკასიის მთავარმართებლის თანამდებოდა შეიკ-
 ვალა ახალი სახელის მაგისტრატურით — მ ე ფ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ი.

და მაშინვე დაინიშნა პირველი მეფისნაცვალიც — მი ხ ე-
 ი ლ ე ო რ ო ნ ც ო ვ ი.

კავკასიის ახალ უზენაეს მაგისტრატს სასტიკი კოლონიზა-
 ტორის სული არ აკლდა, მავრამ იგი დიდ ანგარიშს უწევდა
 და პატივისცემით ეპყრობოდა ქართველი ხალხის საინსტო-
 რით და კულტურულ ტრადიციებს. ბევრს ზრუნავდა კულ-
 ტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ასაღორძინებლად და
 გასავეითაებლად. მისი აქტიური დახმარებითა და მფარვე-
 ლობით აღდგენილ იქნა ქართული თეატრი, დაარსდა საქარო
 ბიბლიოთეკა, გამოსვლა იწყო ქართულმა გაზეთმა. ვორონ-
 ცოვი პეტერბურგ-მოსკოვის სასწავლებლებში სისტემატურად
 აგზავნიდა ქართველ თავადაზნაურთა შვილებს. მან თავადისა
 და აზნაურის წოდებრივ ხარისხში დაამტკიცა ოცდაათი ათა-
 სი კაცო.

ვოტონცოვმა ახალი ადმინისტრაციული რეფორმა გაატა-
 რა ამიერკავკასიაში. 1846 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულე-
 ბით დაარსდა ოთხი გუბერნია, ორი საქართველოში და ორი
 აზერბაიჯანში — თბილისის, ქუთაისის, შემახისა და დარუ-
 ბანდის, რომელთაც სამი წლის შემდეგ მიემატა კიდევ მეხუ-
 თე — ერევნის გუბერნია.



ეროვნული
რევოლუციური
კომიტეტი

1853 წელს ახალი საომარი კიდილი დაიწყო რუსეთის თურქეთს შორის. ეს იყო ცნობილი „უირიმის ომი“, ანუ „ალმოსავლეთის ომი“, სწორედ „აღმოსავლეთის საკითხთა“ ერთხელ და სამუდამოდ გადასაჭრელად. რუსეთის საიმპერიო კარს ჩრდილოეთ ბალკანეთზე ფეხის ჩადგმა საკმარისად არ მოიხნდა და კვლავ კონსტანტინოპოლისა და მისი სრუტეების ჩასაგდებად მიიღტეოდა, ოსმალეთის სასულთნო სერალს კა ისევ შავი ზღვის აუზისა და ამიერკავკასიის კვლავ დაფლვება სწყუროდა. თურქეთს ამ ომში მოკავშირეებად ედგნენ ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც მათი საბატონო აღმოსავლეთის ქვეყნისკენ მიმავალ გზებზე არ შეეძლოთ დაეშვათ რუსეთის გაბატონება.

და ისევ — ორი აქლემის ჩხუბი კოზაკს გაქვლევით ემუქრებოდა.

საქართველოს ამ ომშიც თავისი სისხლი უნდა გაეღო. ყოველთვის ასე იყო. რუსეთ-თურქეთის ომებში, „ტრადიციულად“, ორი ფრონტი იხსნებოდა — ბალკანეთისა და ამიერკავკასიისა, ანუ საქართველოსი.

და ომის დაწყებამდე თურქეთს საქართველოს საზღვრებზე უკვე მოეყენებია უზარმაზარი საომარი ძალები — 60000 მეომარი, დიდძალი მიძიმე და მსუბუქი არტილერიით. ოსმალთა ყველაზე მძლავრი რაზმები იდგნენ არდაგანთან, ბაიაზეთან, ბათუმთან. აქედან დაწყებული იერიშებით თურქეთის სარდლობა ითვალისწინებდა უწინარესად ბელში ჩაეგდო ალექსანდროპოლი, ახალციხე, ქუთაისი და ამის შემდგომ სრულის ძალებით დაძრულიყვნენ საომარი კამპანიის მთავარი მიზნისაკენ, თბილისისაკენ. რუსეთის საიმპერიო სარდლობა კავკასიის ფრონტს ამ ომში მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდა და მთავარ საომარ ძალებს ბალკანეთის ფრონტზე აგზავნიდა. ნიკოლოზ იმპერატორმა მეფისნაცვლ ვორონცოვს მხოლოდ ერთი დივიზია გამოუზავნა და თან ყარსისა და არდაგანის დაუყოვნებლივი აღებაც მოსთხოვა. იმპერატორს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ამიერკავკასიაში მაშინ თავმოყრილი რუსული ჯარი და ქართული ლაშქარი არამც თუ შეტყევათი ომისათვის, არამედ საგანგებოდ გამძლავრებული

მტრის პირისპირ საზღვრების დასაცავადაც არ უნდა ყოფილიყო საკმარისი.



ომი თურქებმა ომის გამოცხადებამდე დაიწყეს 1853 წლის 15 ოქტომბერს, ღამით, ძლიერმა ოსმალურმა არმიამ მოულოდნელი თავდასხმა მოაწვეეს გურიის სასაზღვრო ხაზზე, სოფელ შეკვეთილთან დაბანაკებულ მცირერიცხოვან რუსულ-ქართულ საგუშაგოზე. ქართულ სახალხო ლაშქარს გიორგი გურიელი მეთაურობდა. სასტიკი და უთანასწორო ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა და მხოლოდ მაშინ გათავდა, როცა საზღვრის დამცველებს საომარი საშუალებანი სრულად ამოეწურათ. ბრძოლაში დაიღუპა ყველა რუსი და ქართველი მებრძოლი, მათ შორის გიორგი გურიელიც.

გურიაში ოსმალთა შემოჭრის ქამსვე, აღმოსავლეთ საქართველოში, საინგილოში, ასევე უეცრად, ძლიერი მხედრობით შემოიჭრა სახელოვანი შამილი, იგი მოილტვოდა ბელაქნისა და ზაქათალის ციხეთა დასაუფლებლად. მაგრამ სასწრაფოდ გაუბტა გენერალი (და პოეტი) გრიგოლ ორბელიანი ქართველთა და რუსთა რაზმებით და აღაზანზე გამართულ ბრძოლაში კიდევაც გაიმარჯვა. შამილი ხელცარიელი და სისხლდაღენილი უკუიყო დაღესტნისაკენ.

2 ნოემბერს სოფელ ბაინდურთან, ალექსანდროპოლის ახლოს, კიდევ ერთი ბრძოლა მოხდა „ომის გამოუცხადებლად“. აქ დასაზვერავად გამოსულ რუსთა ჯარს, რომელსაც გენერალი ილია ორბელიანი (გრიგოლის ძმა) მეთაურობდა, სრულიად მოულოდნელად თავს დაესხა ანატოლიის მთელი ოსმალური კორპუსი. უთანასწორო ბრძოლა გაგრძელდა მთელი დღე. ორბელიანმა და მისმა ჯარმა უკუაქცევს მტერი. გენერალმა ბებუთოვმა მოუსწრო მაშველი ჯარით: თურქებს არფანაიმდე მისდიეს. ამ ბრძოლიდან ორი დღის შემდეგ, 1853 წლის 4 ნოემბერს ოფიციალურად გამოცხადდა „უიომის ომი“.

ნოემბერსვე ახალციხისკენ დასძრეს მთავარი ძალები ოსმალეებმა. ახალციხე-ბორჯომი-სურამი-თბილისი — ასეთა იყო თურქული სტრატეგიის მთავარი გეზი. ძალზე მისჭირდა ახალციხის რუსულ გარნიზონს, რომელსაც გენერალი კოვალენსკი მეთაურობდა. ქალაქი დღე-დღეზე უნდა დაეცემულიყო. მაშინ კოვალენსკიმ მუდარის წერილი მისწერა



იმეამინდელ კავკასიაში სახელგანთქმულ გენერალს ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს სურს მისი შვილები და მომაცილე ახალციხეზე ალყად მომდგარდ. რუსეთში არი ქარებით. სასწრაფოდ გასწია ანდრონიკაშვილმა ახალციხისკენ, 14 ნოემბერს მივიდა, მტერი დაზვერა, რაოდენობა, აღჭურვილობა და პოზიციები გაუსინჯა. თვითონ 800-კაციანი რუსულ-ქართული რაზმი ჰყავდა, მოწინააღმდეგეს კი — 20000-იანი არმია. დაზვერვიდან ორი დღის შემდგომ, 16 ნოემბერს, ანდრონიკაშვილმა მტრის განლაგებებს არტილერიის ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ როცა დიდი ვერაფერი შედეგი მიიღო, უეცრად — მრავალრიცხოვნობით და მაგარი პოზიციებით გულდამწვდებელი მტრის განსაცვიფრებლად — თავისა ჯარი ხიშტით და ხმლით შეტევაზე გადაიყვანა. თურქები დაიბნია მტრის ეგზომ ანაზღვეულმა და თავზეხელაღებულმა იერიშმა. რუსები და ქართველები პირველ კეთებისთანვე მიღებულ საომარ ინიციატივას აღარ შეეღივნენ და ოთხსაათიანი ხოცვა-კლვტა სრული გამარჯვებით განასრულეს. დამარცხებული თურქული არმია ახალციხის მისადგომებს მოწყდა და არდაგანისკენ გაიქცა. ბრძოლის ველზე მრავალი თურქი დაეცა, უფრო მეტი დაიჭრა და ტყვედ ჩაეარდა. გამარჯვებულებს დარჩათ მდიდარი ნადავლი, მტრის საომარი საქურველი. ამ ბრძოლაში ქართველთაგან გამოჩეულად თავი ისახელეს გორელმა მეომრემა.

თბილისი დიდის ზეიმით შეხვდა გენერალ ანდრონიკაშვილს და მის თანამებრძოლებს. მათ შეეგება მეფისნაცვლას ამალა, ქართველი თავადაზნაურობა, ქალაქის მთელი მოსახლეობა ზურჩით, სახანდრით, დოლით, ბარბითით. ახალციხის ბრძოლის გმირთაგან ბევრი დააჭილდოვეს, მათ შორის ას ორმოცდაათამდე ქართველი.

ახალციხის ძლევა მოსილი ბრძოლის შემდეგ, 19 ნოემბერს, ყარსიდან 35 კილომეტრის მანძილზე, სოფელ ბაშკადიკლართან ახალი დიდი ბრძოლა გაიმართა თურქებსა და რუსებს შორის. უთანასწორო ბრძოლა (36000 თურქი და 10000 რუს-ქართველი) ისევ თურქთა მარცხით გათავდა. დაიღუპა 6000 თურქი და 1500 რუს-ქართველი. ქართველთაგან აქ გამოჩეულად ისახელეს თავი გენერალმა ივანე ჭავჭავაძემ, ივანე ბაგრატიონს-მუხრანსკიმ და ილია

იღგა. აქედან 2 ასეული ტუსი და 40 ასეული ქართველი მოხალისე „მილიციელი“.

მალე მეფისნაცვლად დაინიშნა გენერალ-ადიუტანტი მტერის მეთაური. მან მაშინვე მტრის შემოსევის უკუგდებად და საიმპერიო საზღვართა დაცვის მეთაურად დაინიშნა ისევე გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი, რომელმაც მისვლისთანავე საჭიროდ მიიჩნია ერთიმეორისგან მოწყვეტილ სტრატეგიულ პუნქტთა ერთმანეთთან დაკავშირება. საგანგებოდ გაწვეულ მცხოვრებლებს გურია-იმერეთ-ახალციხის გზები გააწმენდინა და მათზე მეთვალყურე საგეშაგოები გამართა. ეს ღონისძიებანი დროული გამოდგა, რადგან გურიაში შემოსატრელად ბათუმს უკვე მოსულიყო 34000-იანი თურქული არმია სელიმ ფაშას მეთაურობით.

ბათუმიდან ქობულეთში გადმოვიდნენ თურქები. მთელი გურია საომრად დადგა ფეხზე. სახალხო ლაშქარს მალაქია გურიელი მიუძღოდა, შეეკეთილთან დაღუბულა გურიის გიორგი გურიელის ძმა. მალაქიას ადრევე გაეთქვა სახელი ვაჟკაცობით და გარეგნული სიმშვენიერით („გურული ხალხის მშვენიება“ — ასე ეძახდა მას მეფისნაცვალ მურავიოვი).

თვითონ გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი მტერთან შესახედრად თავისი სუსტი ძალებით ოზურგეთს იღგა, მაგრამ თუ აქვე დარჩებოდა, ვარაუდობდა, რომ რიცხვმრავალი მტერი რიონ-ქუთაისის მაგისტრალზე გაიჭრებოდა შემოვლითი მანევრით. ამიტომ მან მტრის საცდურად ხმა გაავრცელა: თითქოს რუსები დასავლეთი საქართველოდან საერთოდ აპირებენ ჭარების ვაყვანას და ფრონტის ხაზის თბილისთან გადატანას. ეს ხმა დააგდო ანდრონიკაშვილმა, გურიის დაცვა დრომდე მალაქია გურიელს და მის რაზმებს მიანდო, თვითონ თავისი ჭარით ოზურგეთიდან გავიდა და, სოფელ აკეთის გასწვრივ, მდინარე რიონზე დაბანაკდა.

სელიმ ფაშამ რუსების „წასვლა“ წასვლად იტყვმარტა, ჩოლოქი გადმოლახა, ოზურგეთში შემოვიდა და ბანაკად დადგა. დადგა, მაგრამ მალაქია გურიელმა და მისმა პარტიზანებმა მტერს ბანაკიდან ცხვირი აღარ გამოაყოფინეს. მოულოდნელი თავდასხმებით აწუხებდნენ და ათხელუებდნენ. თან მტრის ყოველ მოქმედებას და მოძრაობას სარდლობას აც-

ნობებდნენ. ასე შეიტყო ანდრონიკაშვილმა, რომ მტერს 12 მან-
იანი ჯარი მოლაღატე ქასან-ბეი თავდგირი წაქცა.
სარდლობით ლანჩხუთის ხეობას შემოჰყოლოდა და მტერს
გოითისკენ მოეშურებოდა. ანდრონიკაშვილმა მტერს ნიკო-
ლოზ ერისთავი შეახვედრა თავისი რაზმით. ნიგოით-
თან გამართულ ბრძოლაში ერისთავმა და მისმა ქართველ-რუ-
სულმა ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. გაქცეულ ქასან-ბეი
თავდგირიძეს ერასტი ქეთნია წამოეწია, ხმლით თავი
გაადგებინა და ანდრონიკაშვილს მოართვეა.

ანდრონიკაშვილმა მაშინ დრო მოწეულად მიიჩნია, თავს
დასცემოდა ოზურგეთში დაბანაკებულ თურქთა მთავარ ძა-
ლებს. მაგრამ ოზურგეთს მტერი აღარ დახვდა ქართველ გე-
ნერალს — გაესწრო სელიმ ფაშას, ჩოლოქზე უკანვე გადასუ-
ლიყო და იქვე დაბანაკებულის თავისი ჯარებით.

მთავარსარდალმა თანამებრძოლი გენერლები შემოიყარა
და თათბირი გამართა. ურჩიეს, შეტევა რამდენიმე დღით გა-
დაედოთ, მანამ, სანამ მტერს კარგად დაზვერავენ და მის
სიძლიერე-სისუსტეებს დაადგენდნენ. ანდრონიკაშვილმა ეს
რჩევა არ მიიღო და სანამ მტერი ბოლო მარცხის სიმწარეს
თავს დააღწევდა, მანამ მასთან შებმა და შეტევა ამჯობინა.

მაშ, გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა ბრძანა და ჯარი
საომრად დალაგდა:

რ უ ს ე ბ ი: ქვეითი 11 ბატალიონი; კაზაკ ცხენოსანთა 4
ასეული.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი: გურიის 6 ქვეითი ასეული მაქავე-
არიანისა და თავდგირიძის მეთაურობით, იმერე-
თის 6 ქვეითი და 5 ცხენოსანი ათეული, ამათში — მიქელაძე-
ების ასეული, მსცოვანი ქაიხოსრო მიქელაძის მე-
თაურობით.

მთავარ ძალად იდგა ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი,
რომელიც ახლახან, ამ წელსვე შეეკრიბათ და გაეწვრთნათ,
საგანგებოდ დარჩეული ვაჟკაცებისაგან.

ლაშქარს სათავეში ედგა გიორგი ჯანდიერი, სწო-
რუბოვარი სიმამაცისთვის „დროშა-გიორგის“ სახელით გან-
თქმული ვაჟკაცი.

ლაშქრის წინ იდგა მედროშე, თეთრ ცხენზე ამხედრებუ-

ლი ბოდბისხვეული გოლიათი, გვარად ნატროშვილი
ხელში შავი დროშით.

ლაშქარი იყოფოდა ასეულებად, საკუთარი გეგმისა და
ფერით და ნიშნით:

პირველი ასეული — ოსები, წითელი ნიშნით და წითელი
ფაფახებით. მეთაური თავადი გიორგი მანაბელი;

მეორე ასეული — ქიზიყელნი, სიღნაღის მაზრისანი, თე-
თრი ნიშნებით და თეთრი ფაფახებით. მეთაური ზაქარია
ანდრონიკაშვილი;

მესამე ასეული — თელავის მაზრისანი, ყვითელი, ოქროს-
ფერი ნიშნებით. მეთაური თავადი ნიკო ქავჭავაძე;

მეოთხე ასეული — თბილისისა და გორის მაზრისანი, ცი-
სფერი ნიშნებით. მეთაური თავადი დავით ვახვახა-
შვილი;

მეხუთე ასეული — თუშ-ფშავ-ხევსურნი, შავი ნიშნით
და შავი ქუდეებით, მეთაური გულადობით, მკლავლონიერო-
ბით და ბრძოლებში მიღებულ ჭრილობათა სიმრავლით განთ-
ქმული ელისაბერიძე;

მეექვსე ასეული — აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი
თავადაზნაურთაგანნი, მწვანე ფერისანი. მეთაური თავადი
გიორგი ერისთავი.

და სანახავადაც ბრწყინვალე იყო ამ ლაშქრის ბილვა.

სულ, ერთად ნაკრებნი, ტუსნი და ქართველნი, მოითვლე-
ბოდნენ 10000-მდე.

ხოლო, ჩოლოქს გაღმა სელიმ ფაშას 35000 თურქი ედგა
ნახევარმთვაროსანი დროშების ქვეშ.

მაშ, 1854 წლის ივნისი. ბრძოლა მდინარე ჩოლოქზე.


ბრძოლა ხანმოკლე საარტილერიო სროლით გაიხსნა და
უმაღლე ანდრონიკაშვილმა იერში ბრძანა. პირველნი მტერს
ეკვეთნენ გურულები, ეკვეთნენ და დააწვინეს თურქთა მე-
წინავენი. მაშინვე გურულებს რუსული კოლონები მიჰყვეს
გენერალ მეიდელისა და გენერალ ბრუნერის
წინამძღოლობით. მეიდელმა მარცხენა კერძზე წარმატებით
წაიწია წინ, მაგრამ იმავდროულად ბრუნერმა, მარჯვნივ, გუ-
რულ მოლაშქრეებს ველარ მისდია და შეტევაც ველარ განა-
ვითარა. ამით სელიმ ფაშამ ისარგებლა და წინ გაჭრილი მე-
იდელი და მისი ბატალიონი მოპირდაპირის დანარჩენი სხეუ-



ლისაგან ჩამოჭრა და სრული განადგურების საფრთხეში მოაქცია. გათამამებული თურქები უკვე მთელის ფრთხილ ენელებდნენ კონტრშეტევას. მაშინ ანდრონიკაშვილმა მტრის მიუშვა კავალერია. ცხენოსანთა შეტევა კი ისეთი სწრაფი; წყობაგანურღვეველი და შეუკავებელი აღმოჩნდა, რომ ყველაზე წინ მიმჭროლავი დაეით ვახვახიშვილი და ზაქარია ანდრონიკაშვილი მჭირდოდ მდგარ მტრის ხიშტებს შეეძგერნენ და შეაყდნენ. იმავე ეამს ფართო გარღვევით დაწინაურდნენ გვერდიგვერდ მებრძოლი იმერელი ცხენოსნები და ღონელ კახაყთა ასეულები ქაიხოსრო მიქელაძისა და ხარატონოვის სარდლობით. გადამწყვეტ ეამს, როცა თურქულ დროშათა უმრავლესობა დაცემულიყო, ანდრონიკაშვილმა სიკვდილის ხაზზე მიუშვა თადარიგად შემოტოვებული ჭარის ნაწილი. თურქები საბოლოოდ გატყდნენ და გაიქცნენ. გამოედევნენ ქართველები და რუსები, ცემით და ჩეხვით. მდინარე ლეღვამდე სდიეს და გადაარეკეს. პირველთაგან გაქცეულიყო და გადახვეწილიყო თვითონ ფაშა სელიმი.

ჩოლოქის გამარჯვება ქართველთა და რუსთა დიდი ძლევამოსილება იყო. განადგურდა მტრის უზარმაზარი არმია. გამარჯვებულებს ხელთ ჩაუვარდათ მტრის საცურველი, სამარი დროშები, ალაღ-ფორანი. გამარჯვებულთა მსხვერპლი მცირე იყო. ბრძოლის ველზე დაცემულთა შორის, ზაქარია ანდრონიკაშვილისა და დაეით ვახვახიშვილის გარდა, იყვნენ კიდევ ოთხი ძმა ვახვახიშვილი, მსცოვანი ქაიხოსრო მიქელაძე და კახაყთა მეთაური ხარიტონოვი. ჩოლოქთან მიღებულმა მძიმე მარცხმა თურქეთს მეორე დიდი ლაშქრობის გეგმაც ჩაუშალა — ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით...

...იმავე 1854 წლის ივლისში შამილი შემოიჭრა კახეთში 12000 მეომრით. შემოიჭრა, აიღო შილდა და ალაზნის დასარბევად მიუშვა ჭარი. ერთი რაზმი წინანდალს მიიჭრა, დაეით ჭავჭავაძის უკაცოდ დატოვებულ სახლ-კარს დაეცა და ტავედ წაყვანა ქალები და ბავშვები, მათ შორის მეუღლენი თვითონ დაეით ჭავჭავაძისა და ბაშკადიკლარის ბრძოლაში დაცემული ილია ორბელიანისა. ეს იყო და ეს. მომხუდურებმა ნადავლი იკმარეს და უკანვე, დაღესტნისკენ გაქუსლეს. დიდი, „მსოფლით სახელის“ მქონე შამილი ასეთი „ლოკალურა ხასიათის“, დამამცირებელ შარავზის ყაჩაღობასაც არ ერადებოდა...



ყირიმის ომი კი თავის გზით ვიდოდა. 1854 წლის 17 ივლისს რუსებმა, გენერალ ვრანგელის საბრძოლო ბაიზეთთან გაანადგურეს თურქთა ჯარი და ორი დღე იიღეს თვითონ ბაიზეთი. იმავე წლის 24 ივლისს ქართველთა ჯარებმა გენერალ ბებუთოვის მეთაურობით სოფელ კიურეკ-დართან გამართულ ბრძოლაში დაამარცხეს რიცხვით უპირატესი თურქული არმია. მაგრამ არც ერთ ამ გამარჯვებას ყირიმის ომის საერთო მსვლელობაში რაიმე გადამწყვეტი როლი არ უთამაშნია.

მომდევნო 1855 წლის ივნისის დამდეგს მეფისნაცვალ მურავიოვი 25000-იანი არმიით მიადგა ყარსს და ალყაში მოაქცია იგი. თურქეთი დაფრთხა და ინგლის-საფრანგეთს ყარსის დახსნისთვის გადაუდებელი დახმარება სთხოვა. ინგლისელები და ფრანგები მაშინ ყირიმში სევასტოპოლს უტყეოდნენ გააღმასებით და ყარსისთვის ვერ მოიცილდნენ. თურქეთს უმაღლესმა სამხედრო ხელისუფლებამ ჯარების გადმოსხმა დაიწყო დასავლეთ საქართველოში. ასეთი მანევრით ყარსის მოალყენი უნდა დაშინებულყენენ და ქალაქისთვის ალყა მოეხსნათ. სევასტოპოლიც იმ დღეებში დაეცა და თურქეთ-ინგლის-საფრანგეთის პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცდა. ჯარების გადმოსხმა დასავლეთ საქართველოში მთელი სექტემბერი გრძელდებოდა. თურქთა ჯარებს ენერგიული ფაშა ომერი უძღოდა და თან ხმას აერცელებდა, რომ როგორც კი ჯარების გადმოსხმას დაასრულებდა, მაშინვე ყარსის გადასარჩენად გაეშურებოდა. ყარსის თურქულ ციხიონს სევასტოპოლის დაცვამ და საქართველოში თურქული ჯარების გადმოსხმამ ფრთები გამოასხა, ხოლო მის მოალყეებს ფრთები ჩამოაყრევინა. კახაკთა სარდალი გენერალი ბაკლანოვი ურჩევდა მურავიოვს, სანამ გვიან არ იყო, ყარსის ალყა მოეხსნა და უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ მეფისნაცვალმა ირწმუნა, ყარსის ალყასაც მოასწრებდა და ომერ ფაშასაც ყარსთან გამოჩენამდე გაანადგურებდა. ამიტომ დაუყოვნებლივ იერიში წამოიწყო, სრულის ძალებით და უკიდურესი გააფთრებით. რუსები და ქართველები იბრძოდნენ დიდი გმირობით, მაგრამ დიდი მსხვერპლიც გაიღეს. ქალაქი კი ვერ იიღეს. მურავიოვი ყარსს მაინც არ მოეშვა და ალყა განაგრძო.

ამასობაში ომერ ფაშა დასავლეთ საქართველოში ჯარების

სახელები — რადიშჩევისა, გერცენისა, ბელინსკისა, ჩერნი-
შევსკისა, დაბროლიუბოვისა.

სამოციან წლებში ქართველი ახალგაზრდობაც ენდობოდა
რუსეთს. თერგზე გადავლით და „თერგის დაღვეით“. და
სწავლობდნენ ქართველი „თერგდაღვეულები“, ანუ „სამოცი-
ანელები“ რუსეთის კულტურულ ცენტრებში, უპეტესწაღად
პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში.
ცხოველ ურთიერთობაში ებმებოდნენ იქაურ პროგრესულად
მოაზროვნე და რევოლუციური სულისკვეთებით აღსავსე
ახალგაზრდობასთან. ერთმანეთს უდარებდნენ ევროპის, რუ-
სეთისა და საქართველოს საისტორიო-პრაქტიკულ გამოცდი-
ლებებს და სახეებდნენ. ეძიებდნენ ქვეყნის სამომავლო, იდეა-
ლური ცხოვრების გზებსა და საშუალებებს. საერთო-საქა-
ციობრივ პუბლიცისტიკურ და სოციალური კეთილდღეობა, ეროვნ-
ული თვითმყოფობა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრი-
ობა, ბატონყმობის გაუქმება და პიროვნების ემანსიპაცია, მე-
ფის თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიზმის აყვავ-
ება, საზოგადოებრივი წინსვლის შემაფერხებელი კონსერვა-
ტიზმის მსხვრევა და პროგრესის მათეზრეველი რევოლუციო-
ნიზმის დამკვიდრება — აი, პრობლემები, რომელთა შესწავ-
ლას, კვლევასა და ათვისებაში იწრთობოდა და ყალიბდებოდა
ქართველ „სამოციანელთა“ მრწამსი, იდეოლოგია, მსოფლ-
მხედველობა.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორ-
გი წერეთელი, დანიელ ჭონჭაძე, რაფიელ ერისთავი, იაკობ
გოგებაშვილი, სერგი მესხი, ბესარიონ ლოლობერიძე, კირილე
ლორთქიფანიძე — აი, ისინი, სამოციან წლების ქართული
ეროვნული აზროვნების მესაქენი და მათგან უპირველესი და
უსაჩინოესი მოძღვარი-მოაზროვნე — ილია ჭავჭავაძე.

სამოციანი წლები რუსეთშიც და საქართველოშიც ბატონ-
ყმური სისტემის მოშლისათვის ბრძოლის წლები იყო. „სამო-
ციანელთაგან“ ბატონყმობის მკაცრი მხილება პირველად და-
იწყო პოეტმა რაფიელ ერისთავმა ჟურნალ „ცისკარში“ გამო-
ქვეყნებულ ლექსებით — „მოთხოვნილი მსაჯულისადმი“ და
„მოთხოვარა გლახაკი“. ამის შემდგომ ყველაზე მწვავედ და
სრულად ბატონყმობის წინააღმდეგ პროტესტის ხმა გაის-
მა დანიელ ჭონჭაძის მოთხრობაში — „სურამის ციხე“, რო-

მელოც დაიბეჭდა „ციხკარში“ 1859 წელს. ამჟამად რუსეთში
აქვეყნებდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით
გამსჭვალულ ლექსებს, მოთხრობებს, პუბლიცისტურ
პოლემისტურ წერილებს დანაჩენი თერგდალულნი ილია
ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით.

1863 წელს ილია ჭავჭავაძის ჟედაქტორობით დაარსდა
სამოციანელთა ახალი საბრძოლო და სააზროვნო ორგანო,
ეურნალი „საქართველოს მოამბე“.

მაინც ბატონყმური სისტემის სიმახინჯეთა და ბოროტება-
თა მიმართ დაუცხრომელი ბრძოლის მედროშე იყო ისევ ილია
ჭავჭავაძე თავისი ლექსებით, პოემებით, მოთხრობებით —
„გუთნის დედა“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამ-
ბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ ბატონყმობის საწინააღმდეგო იდე-
ოლოგიის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებდა აგრე-
თვე ილიას პუბლიცისტური და პოლემისტური შემოქმედება.

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის მკაცრი და მწვავე გა-
მკიცხველი იყო აკაკი წერეთელიც. ასეთი ანტიბატონყმური
პათოსითაა დაწერილი მისი ლექსები — „მეშური“, „გლეხის
აღსარება“ და სხვანი.

1861 წელს რუსეთში ბატონყმობა გაუქმდა. ყმებმა პირა-
დი თავისუფლება მიიღეს. ეკონომიკური და პოლიტიკური
პრივილეგიები ისევ თავადაზნაურობას დარჩა. საქართველოს
საზოგადოებრივი ცხოვრება რუსეთის სოციალურ-ეკონომი-
კურ და იდეოლოგიურ ცხოვრებას მიჰყვებოდა და საქართვე-
ლოშიც დაიწყო საგლეხო რეფორმის გატარება. ბატონყმობის
გაუქმების პროცესი საქართველოში გაგრძელდა 1864 წლი-
დან 1871 წლამდე.

ისევ რუსეთის კვალდაკვალ, საქართველოშიც დაიწყო
ბურჟუაზიულ რეფორმათა გატარება. 1864 წელს რუსეთში
შეიქმნა ადგილობრივი, სამაზრო და საგუბერნიო სამმართვე-
ლო ორგანოები — „ერობები“. საქართველოში ერთობათა
ფუნქციებს ასრულებდა „სოფლის საზოგადოებანი“ მამასახ-
ლისთა მეთაურობით. ასევე რუსეთის შემდგომ, საქართვე-
ლოშიც გატარდა საქალაქო და სამოსამართლო რეფორმები.

კაპიტალიზმმა საქართველოშიც სწრაფი ტემპით დაიწყო
აღმავლობა. მარტო თბილისში, სამოციან წლებში. უკვე არ-
სებობდა 450-მდე მანუფაქტურული საწარმო 5000-ზე მეტა


დაქორავებული მუშით. სამოცდაათიანი წლებიდან დასწრად
ფად ვითარდება მანქანური, საფაბრიკო და საქარხნო წარმო-
ებანი. საფუძველი ეყრება იდუსტრიალიზაციას. განსაკუთრებ-
ბით გაცხოველდა სარკინიგზო მშენებლობა.



ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ღ ა 1877-1878 წ . წ . რ უ ს ე თ -
თ უ რ კ ე თ ი ს ო მ ი

1877 წელს ერთხელ კიდევ ატყდა ომი რუსეთსა და თურქეთს შორის. საომარი ასპარეზი, „როგორც წესი“ რუსეთ-თურქეთის ომებისა, ისევ ბალკანეთზე და ამიერკავკასიაზე უნდა გაშლილიყო. კვლავ ერთად უნდა ყოფილიყვნენ რუსება და ქართველები, ერთიანი სულისკვეთებით და ინტერესთა თანადამთხვევით — რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებას იმპერიის კვლავ გაფართოება ეწადა, ქართველობას კი თურქთაგან მიტაცებული ქართული მიწების გამოხსნა და დედამამშობლოსთან შემოერთება.

რუსეთის ხელისუფლება, როგორც მანამდე ყოველთვის. ახლაც დიდად იმედოვნებდა ქართველი ხალხის ერთგულებაზე, მეომარულ თანადგომისა და თანამშობაზე. მართლაც, როგორც კი საომარი გაწვევა გამოცხადდა, ბრძოლისუნარიანი ქართველობა უმაღლეს დიდის ენთუზიაზმით შეუდგა იარაღის ასხმას. სწრაფად და ქარბად ივსებოდა მოხალისე მილიციულთა რაზმები. გამოცხადებული იყო, კენჭის ამოღებით, ას გლეხზე ორი გლეხის გაწვევა, მაგრამ ბრძოლაში გასვლის მოსურნე დადგენილზე ათჯერ მეტი აღმოჩნდა. განსაკუთრებული ენთუზიაზმი და საბრძოლო აღტყინება გამოჩნდა გურიაში, თურქებთან ომების „დიდი გამოცდილების“ ქვეყანაში. ომის დასაწყისშივე შეიქმნა 102 ქართული ასეული — 63 ასეული ქვეითი და 3 ასეული ცხენოსანი. მაგრამ მოხალისეთა რიცხვი კვლავ იზრდებოდა და თურქეთთან იმეამინდელი ომის მონაწილე, საბოლოო ანგარიშით, ვახდა 30000 ქართველი. ამას გარდა, ძალზე სანიშნეულო იყო ისიც, რომ თურქთა უღლის ქვეშ მოქცეულმა აჭარამ ხონიჭრის საომარ გაწვევაზე უარი განაცხადა და მისი ქართული მოსახლეობა მხსნელად მომავალ თანამომხვევებთან შესაერთებლად შეუდგა



იარაღის ასხმას. მღელვარედ წერდა მაშინ ილია ჭავჭავაძე:
 „არ გვაშინებს ჩვენ ის ვარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსდა-
 ლოს საქართველოში მცხოვრებთა დღეს მამამადიანებმა დასწავლი-
 ნობა უქირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე,
 რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევეუერთდეთ და ქართველი დი-
 დის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს. თვის
 პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიერ-
 დენს... და თუ საჭიროა, რომ სიყვარულის ცრემლის უწინა-
 რეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიდვაროს, ნუ-თუ ქართველი უკუ-
 დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი
 წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამამამათა“.

კავკასიის სარდლობა ოთხი მიმართულებით წარმართავდა
 საომარ ოპერაციებს: ოზურგეთ-ბათუმში, ახალციხე-არტაანი,
 ალექსანდროპოლ-ყარსი და ერევან-ბაიაზეთი. ომის დასაწყის
 დღეებში დიდი გამარჯვებანი მოიპოვეს რუსთა და ამიერკავ-
 კასიელთა ჯარებმა. 1877 წლის 20 კპრილს აიღეს ბაიაზეთი,
 17 მაისს — არტაანი, არტაანისთვის გამართულ ბრძოლაში
 გამორჩეული სიმამაცით და საზრიანობით თავი ისახელეს —
 ელიზბეტოპოლის ლეგიონის უფროსმა მიხეილ ამირე-
 ჯიბმა და საარტილერიო დივიზიონის მეთაურმა მუს-
 ხელიშვილმა.

არტაანიდან ყარსისკენ დაიძრა რუსთა მხედრობა, იერი-
 შიც სცაღეს. ალყაც შემოარტყეს, მაგრამ ვერ აიღეს ყარსი.
 ამ დროს ძლიერ კონტრშეტევაზე გადამოვიდა თურქთა ანა-
 ტოლიური კორპუსი მუხთარ ფაშას სარდლობით.
 მცირე მოცულობისა და ცვალებადშედეგიანი შეტაკებების
 შემდეგ, 25 ივნისს, ზივინთან გამართულ დიდ ბრძოლაში თურ-
 ქებმა გაიმარჯვეს. რუსები უკუიქცნენ და ომის პირველ დღეთა
 მონაპოვრებზეც ხელი აიღეს.

იმავდროულად ოზურგეთ-ბათუმის ხაზზე რუსებს და ქ-
 რთველებს დასაწყისში თითქოს წარმატება ჰქონდათ. გურუ-
 ლმა მოხალისეებმა თურქებს მუხაესტატე და ხუცუბან გა-
 მოჰკლიჯეს. მაგრამ შემდგომ ფრიად გასჭირდა წინსვლა აჟა-
 რის მიმართულებით. ივნისში ციხისძირთან მოხდა დიდი
 ბრძოლა. აქ 35000 თურქი და 25000 რუს-ქართველი შეებ-
 ნენ ერთუერთს. თურქებმა ციხისძირი დაინარჩუნეს, რუს-
 ქართველნი ხელცარიელი გამობრუნდნენ.

ომის ამ თეატრზე მდგომარეობას ართულებდა ისიც, რას
რუსებს ფლოტი არ ჰყავდათ და ზღვისა და მის სანაპიროთა
ბატონ-პატრონნი თურქები იყვნენ. ზღვიდან მარკოპოლოსი
უშენდნენ რუს-ქართველთა სანაპირო ციხე-ქალაქებს. მარკოპოლოსი
ნი, ზღვიდან ხმელეთზე დესანტებს სვამდნენ და მოიწყევლეს
ქვეყნის სიღრმეში. ასე გადმოიჭრნენ თურქები, 11 მაისს გუ-
დაუთას და სოხუმისკენ გამოეშურნენ. სოხუმის გარნიზონი,
რომელსაც გენერალი კრაეჩენკო სარდლობდა, ვერაფერს გა-
ხდა და ქალაქი მტერს დაანება. თურქები გათამამდნენ და
ლამის ნახევარზე მეტი აფხაზეთი დაიხელთავეს. მაშინ კავკა-
სიის მთავარსარდლობამ აფხაზეთს სასწრაფოდ გაგზავნა გე-
ნერალი იაკობ ალხაზიშვილი, რომელმაც 1877
წლის 13 ივნისს სოფელ ოქუშთან, გურულთა, იმერთა და ეს-
გურის ხეობელთა ჩარით სასტიკად დაამარცხა თურქთა ჭარბ-
რიცხოვანი მხედრობა. თურქები ოჩამჩირისკენ გაიქცნენ და
შიგ ჩაიკეტნენ. მისდია ალხაზიშვილმა, ოჩამჩირესთან ეო-
თხელ კიდევ დაამარცხა თურქთა დესანტი და 1 აგვისტოს და-
ავდებიანა კიდევ მტერს ეს ქალაქი. ხოლო 2 სექტემბერს
რუსებმა და ქართველებმა, ისევ იაკობ ალხაზიშვილის სარდ-
ლობით, აიღეს სოხუმი და თურქ-ოსმალონი სრულად განდევ-
ნეს აფხაზეთიდან.

რუსებმა და მათმა თანამებრძოლმა კავკასიელებმა კვლავ
გაამძაფრეს შეტევები ყარსის მიმართულებით. თურქები,
დაუხვდნენ ახალი ჯარებით გამძლავრებულნი. გადამწყვეტ
ბრძოლები გაიმართა ალაჯის მთების მიდამოებში, სადაც რუ-
სეთის 50000-იანი და თურქეთის 37000-იანი არმიები თითქ-
მის მთელი ოქტომბერი გააფთრებით ერკინებოდნენ ერთ-
მანეთს და, ბოლოს და ბოლოს, იგი დამთავრდა რუსთა და
მის კავკასიელ თანამებრძოლთა გამარჯვებით. ალაჯის ბრძო-
ლებში სულ მოისრა 13000 თურქი, ტყვედ ჩაეარდა 7 ფაშა,
250 სხვა მაღალი მეთაური და 7000 ყარისკაცი. რუსებმა კი
დაჰკარგეს 2000-მდე კაცი. ამ ბრძოლის შემდეგ ისევ დაიძრნენ
გამარჯვებულნი ყარსისაკენ, მიადგნენ და მიიტანეს ძლიერი
იერიშები. 18 ნოემბრის რიცრაეზე გენერალი იაკობ ალხაზი-
შვილი, ქუთაისის ქვეითი ათასეულით, პირველი შეიჭრა ქა-
ლაქში. მიჰყვნენ რუსნი, ქართველნი, სომეხნი, ყარსის დამ-
ცველ თურქთაგან 2500 ვაწუდა, 17000 ტყვედ ჩაეარდა, მათ

შორის 5 ფაშა და 800 სხვა მეთაური. ყარსი, ეს დიდმნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი, რუსთა მბრძანებლობაში მოექცა. ყარსის შემდგომ, არტაანს მდგარმა რუს-ქართვლებმა მაც შეტევები განაუთარა შავშეთისაკენ. 14 დეკემბერს ხედიზედ აიღეს ხევი და ხერთვისი, 16 დეკემბერს კი — არტანუჯი. ყველა ბრძოლა და გამარჯვება ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით და დახმარებით. შავშეთმა, ამ უძველესმა ქართულმა ქვეყანამ, მთლიანად დაიხსნა თავი ოსმალური უღლისაგან.

გამარჯვებული რუს-ქართველთა ჯარი 1878 წლის დამდეგისათვის შავშეთიდან ბათუმის გზაზე გავიდა. აქარის მმართველ ბეგთაგან ყველაზე ძლიერი და თვალსაჩინო შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მაშინვე მოსულთა მხარეზე დადგა. თურქები ისევე დამარცხდნენ. დღე-ღღეზე ბათუმს უნდა მისდგომოდნენ გამარჯვებულნი. არზრუმიც უკვე ალყაში მოექცია რუსთა და ქართველთა მხედრობას. მაგრამ ბალკანეთის ფრონტებზე მიმდინარე ბრძოლათა შედეგებმა, განსაკუთრებით რუსთაგან აღრიანოპოლის აღებამ, თურქეთის ხელისუფლება აიძულა ზავი ეთხოვა.

და დაიდო ზავი, 1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოში. ხოლო, სან-სტეფანოს ზავი გადასინჯეს და თავის ინტერესთა თარგზე მიასწორ-მოსაწორეს ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა ბერლინში საგანგებოდ მოწვეულ კონგრესზე იმავე 1878 წლის ივნისში.

ბერლინის კონგრესზე მიღებული ტრაქტატით, თურქეთის უღლისაგან გაათავისუფლდა და საქართველოს დაუბრუნდა შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, ოლთისი, აქარა. განსაკუთრებით აქარაში ითრევედა ფეხს თურქეთი. ოსმალო პოლიტიკოსები ყოველნაირად ცდილობდნენ გადაეადებინათ იქიდან გასვლა, მანამდე მაინც, ვიდრე მოსახლეობას, დარწმუნებით თუ დაშინებით, აქარის მიწიდან აპყრიდნენ და თურქეთის სიღრმეებში ვადარეკავდნენ. მაგრამ რუსეთის ხელისუფლების მკაცრი მოთხოვნით, თურქეთმა აქარა დატოვა და 1878 წლის 25 აგვისტოს რუსთა და ქართველთა საომარი ნაწილები დიდის ზეიმით შევიდნენ ბათუმში...

კიდევ ერთმა რუსეთ-თურქეთის ომმა ამჯერადაც დაადა...

ტურა მანამდეც უთვალავკერ დადასტურებული ქართველ
კაცის გმირობა და თავდადება საშობლო ქვეყნისათვის
ბრძოლაში, ერთგულება და უღალატობა მოკავშირეებს შორის
კავშირებში, მეგობართან მეგობრობაში, ქირისა და ღწი-
ნის უანგარო თანაზიარობაში. ამ ომის მონაწილე რუსი გე-
ნერლები და მეთაურები აღფრთოვანებით აღწერენ ქართველთა
საომარ შემმართველობას, გონებამახვილ ხერხიანობას
და რაინდულ სიქველეს. ამ ომში, უკვე დასახელებულთა გარდა,
გმირობის მაგალითები უჩვენებიათ ახალციხისა და თიანელ
თუშთა რაზმებს, გურიის პირველ ქვეით რაზმს და სე-
გურიელის მეთაურობით, გმირულად დაცემულ 16 გურულ
გლეხს სოფელ ლიხაურიდან, ქუთაისის პირველ და მეორე
ქვეით რაზმებს და ცხენოსან პოლკს, ცხენოსანი ქარის
სარდალს ზაქარია ჭავჭავაძეს, დარუბანდის პოლკის
მეთაურს ალექსი ქავთარაძეს, ამილახვარს,
მიქელაძეს, კვინიტაძეს, იოსელიანს,
კოდევ ჭავჭავაძეს, ორბელიანს, ფანჩულაძეს.

აშუღტურის აბტალოგი

მეცხრამეტე საუკუნე ქართული მხატვრული ლიტერატურის
აყვავების ხანა იყო. სიტყვაკაზმულობის პირველი მძლავრი
ნაკადი რომანტიზმის სახით მოგვევლინა. რომანტიზმის
მამამთავარი გახდა პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე
ჭავჭავაძე (1786-1846). იგი თავისი სევდიანი ლირიკით მისტიკის
საქართველოს გარდასულ დიდებას და ილაშქრებს მეფის კოლონიური
ჩაგვრის წინააღმდეგ.

რომანტიზმის კლასიკოსია დიდებული პოეტი და სახელმწიფო
მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი (1804-1883). საქართველოს აპოლოგიას
წარმოადგენს მისი შესანიშნავი პოემა — „სადღეგრძელო“. ასევე პატრიოტული
მოტივით და საშობლოს სამომავლო ფიქრებით არის გამსჭვალული უმრავლესი
მისი ლირიკული ქმნილება.

ქართული რომანტიზმის მწვერვალზე დგას ნიკოლოზ ბარათაშვილი
(1817-1845). მისი პოემა „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის
ირაკლისა“ ეძღვნება რუსეთთან



საქართველოს შეერთების პრობლემებს. პოეტს მიაჩნია, რომ ქართველი ხალხისთვის დიდ რუსეთთან შეერთება უკეთესი სული მოვლენა იყო. თანამედროვე ცხოვრებით, უკეთესი და მომავალი დასაბრუნებელი და საზოგადოებრივი დახვეწებულობით სულზე-ხეთული პოეტი უჩივის „სულიერობას“, პროტესტს უცხადებს „ბოროტ სულს“, სიცოცხლეს განიზილავს, როგორც „აღუვსებელ საწყაულს“ და „მერანზე“ ამხედრებული ცდილობს გაარღვიოს და გაშორდეს ავ ბედისწერად გარშემორტყმულ უსულგულო ადამიანურ სამყაროს.

მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანში ქართულ ლიტერატურაში მკვიდრდებოდა რეალიზმი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გიორგი ერისთავმა (1811-1864), მის დრამატურგიულ ნაწარმოებებში, კომედიებში („გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“) ნაჩვენებია რეალური თანამედროვე სოციალური მოვლენები — ქართველი თავადაზნაურობის დაქვეითება და ვაჭრული საზოგადოებრივი ფენის აღზევება.

რეალისტური პროზის წარმომადგენლები იყვნენ დანიელ კონკაძე (1830-1860) და ლავრენტი არდაზიანი (1815-1870). პირველმა (როგორც ზემოთაც ითქვა) თავის მოთხრობაში — „სურამის ციხე“ — აჩვენა ბატონყმობის სიმახინჯე და დრომოკმეულობა. მეორემ, მოთხრობაში — „სოლომონ ისაკი მერქანუაშვილი“ — ასახა ფულადი ურთიერთობით გამოწვეული სოციალური კონფლიქტები არისტოკრატიასა და პლუტოკრატის შორის.

ქართული ლიტერატურა განსაკუთრებით მაღალმხატვრული და მრავალფეროვანი გახდა სამოციანი წლებიდან. გამოჩნეული მდგომარეობა დაიჭირა ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ორმა კორიფეესმა — ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ორივემ, თავიანთი დიდი მემკვიდრეობით, ლექსებით, პოემებით, მოთხრობებით, პუბლიცისტიკით — უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნულ, საზოგადოებრივ და ზნეობრივ ცხოვრებაში. ისინი, — ვითარცა ერის ჭეშმარიტი მოძღვარნი, მათ სიცოცხლეშივე მაღლიერი ხალხისგან „საქართველოს უგვირგვინო მეფეებად“ მოინათლნენ.

პატრიარქული და სოციალური მოტივებით არის განმსჭვადული შესანიშნავი პოეტის რაფიელ ერისთავის

(1824-1901) ლექსები, რომელთაგან ქეშმარიტი შედეგია „სამშობლო ხევსურისა“.



ეროვნული

რეალისტური ლიტერატურის კლასიკოსია ავტორი. ორგი წერეთელი, რომელმაც შთაბეჭედავად ასახა დაცემის გზით მიმავალი ქართული არისტოკრატისა და ახლად ფეხმომავრებელი ფულადი სოციალური ძალის სამკედრო-სასიციოცხო ბრძოლა (რომანი „პირველი ნაბიჯი“).

საუკუნის 80—90-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში ორი ახალი მწვერვალი გამოჩნდა, ორივე საქართველოს მთიდან — პოეტი ვაჟა-ფშაველა და ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი. ვაჟა-ფშაველას საარაყო ღირსებებით შემკობილი ლექსები, პოემები და მოთხრობები წარმოადგენენ სამშობლოს ჭირ-ვიარამის, ასევე ზოგადკაცობრიულ პრობლემათა მაღალმხატვრულ გაშუქებას, ადამიანთა შორის კაცთმოყვარეობისა და გარებუნების ქეშმარიტ საგაღობებს. ალექსანდრე ყაზბეგმა თავის მოთხრობებში და რომანებში ძლიერი კოლოზიებითა და შთაბეჭედაობით დახატა მაიელი ხალხის ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის, ოჯახური სიწმინდისათვის, უმშვენიერესი სიყვარულისათვის.

ცალკე, სოციალური გააზრებით, განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ ხალხოსანი მწერლები: ნიკო ლომოური, სოფროპ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე და ეკატერინე გაბაშვილი.

საუკუნის ბოლო ათწლეულში კიდევ ახალი, ფრთად ნიჭიერი თაობა შემოვიდა ქართულ მხატვრულ აზროვნებაში: ევ. ნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი.

ლიტერატურის გვერდით აღმავლობის გზას ადგა ხელოვნების დარგებიც. 1850 წელს, გიორგი ერისთავის მეთაურობით, ძველ საუკუნეთა ტრადიციებზე, აღსდგა ქართული თეატრი. მაგრამ მეფის სამოხელეო ბიუროკრატია და ცენზურა იმდენს ეცადა, რომ ექვსი წლის შემდეგ თეატრალურად დასი დაიშალა. 1879 წელს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თავგამოდებული ბრძოლის შედეგად კვლავ დაარსდა პროფესიული ქართული თეატრი თბილისში, ხოლო ერთი წლის შემდეგ — ქუთაისში. ეს იყო დიდი მოვლენა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, რამდენადაც დიდი ენთუ-



ზიაზმით გაშლილმა თეატრალურმა ცხოვრებამ ქვემოთაღ
 დაუფასებელი სამსახური გაუწია ქართული ხალხურ ცხოვრუ
 ნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. ამ მხრივ კვლავ უნდა
 როლი შეასრულა უადრესად პატრიოტული გზნების პიესებ-
 მა — დავით ერისთავის „სამშობლომ“ და ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატმა“.

სახვითი ხელოვნების ფერწერული დარგი 60-70-იან წლე-
 ბში საინტერესოდ წარმოადგინა მხატვარმა გრიგოლ
 მაისურაძემ. შემდეგ, 80-იანი წლებიდან შემოქმედებით
 სარბიელზე შემოდიან შესანიშნავი მხატვრები: რომანოზ
 გველესიანი და ალექსანდრე ბერიძე, შემ-
 დეგ — ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელი
 გიგო გაბაშვილი, უფრო გვიან — დიდებული მხატვა-
 რი-რეალისტი ალექსანდრე მტეველიშვილი.

საუკუნის ბოლო ათწლეულში მოღვაწეობას იწყებს ქარ-
 თული სკულპტურის დიდი წარმომადგენელი იაკობ ნიკოლა-
 ძე (1876-1951).

ქართული ხალხური მუსიკა უმდიდრესი და უმშვენიერე-
 სია მსოფლიო მუსიკალურ სავანეებში. ქართული პროფესი-
 ული მუსიკა ფეოდალიზმის საუკუნეთა გასწვრივ ეკლესიის
 საუფლოსა და სამსახურში იყო. 1851 წელს კი თბილისში გა-
 იხსნა საოპერო თეატრი. 1873 წელს შესანიშნავმა მომღერა-
 ლმა და მოღვაწემ ხარლამპი სავანელმა (1845—1890) დაარსა
 საგუნდო კურსები, რომელიც 1885 წელს მუსიკალურ სის-
 წავლებლად გადაკეთდა (ამ სსწავლებლის საფუძველზე შე-
 იქმნა დღეისათვის ცნობილი საქართველოს სახელმწიფო კონ-
 სერვატორია).

80-იან წლებში მოღვაწეობდნენ ხალხური და პროფესიუ-
 ლი საგუნდო სიმღერებისა და საეთნოგრაფიო კონცერტების
 შესანიშნავი ორგანიზატორები, ხალხური მუსიკის პოპულა-
 რიზატორები, კომპოზიტორები: ლადო აღნიაშვილი, ფილი-
 მონ ქორიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, ანდ-
 რია ყარაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე.

მეცხრამეტე საუკუნეში თვალსაჩინო მიღწევები აღინიშ-
 ნა ქართულ სამეცნიერო დარგებშიც. ფრიად ორიგინალური
 და ვრცელი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი — „კალ-
 მასობა“ დავითოვა რუსეთში მეცხოვრებმა იოანე ბაგ-



რატონმა, ერეკლე მეფის შეილიშვილმა და კრწანის
ომის გმირმა. აქ წარმოდგენილია არა მარტო საქართველოს
სინამდვილე, არამედ ფართო ცოდნა თითქმის ყველა მხარეში
ნიერო დარგისა. იოანეს ძმებმა — დავით და თეიმურაზ
ბაგრატიონებმა მაღალი მეცნიერული გააზრე-
ბანი გვიჩვენეს საქართველოს ისტორიის შესწავლაში. რუ-
სეთში დიდის მოწონებით სარგებლობდა სოლომონ
დოდაშვილის ფილოსოფიური ნაშრომი „ლოგია“. ქართულმა
მეცნიერმა ფიზიკოსმა პეტრე რომანის
ძე ბაგრატიონმა ახალი გალვანური ელემენტი აღმოა-
ჩინა და ამით ფიზიკის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი რო-
ლი შეასრულა. „შემოკლებული ფიზიკის“ სახელმძღვანელო
დაწერა დავით ბაგრატიონმა.

ქართული ფილოსოფიური აზროვნება ახალ სიმაღლეზე
ავიდა ილია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკო-
ლაძის შრომებში.

საისტორიო მეცნიერებათა დარგში დიდი ღვაწლი დაი-
დეს დიმიტრი ბაქრაძემ და მოსე ჭანაშ-
ვილმა, ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის დარგში — პე-
ტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტთან პროფესორებმა:
დავით ჩუბინაშვილმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა, ალექსანდრე
ცაგარელმა, ნიკო მარმა.

ამავე საუკუნეში მოღვაწეობდნენ — დიდი ფიზიოლოგი
ივანე თარხნიშვილი და ქიმიკოსები — ეასილ
პეტრიაშვილი და პეტრე მელაქიშვილი.

„დასებრი“

ივეიოლია სურმიდანვე ზენ ქართლის ბედმა.

ილია ჭავჭავაძე

ბრძოლის ველზე ყველანი ნამდვილი თანამებრძოლონი,
თანამეგობარნი, ჳირისა და ლხინის წრფელად თანაზიარნი
იყვნენ — რუსიც, ქართველიც, სომეხიც და აზერბაიჯანე-
ლიც — მაგრამ ყველა ერთად მაინც „ხალხთა საპყრობილეში“



ცხოვრობდა. რომანოვების საიმპერატორო დინასტიის და მისი თანამოსაგრე სამოხელეო-ბიუროკრატიული ოლიგარქიული ნაირად მოსისხლე მტერი იყო „საპრობილის“ ყოფილი მფლობელი ბილისადმი, განურჩევლად მისი ეროვნული წარმომავლობისა. მაგრამ არარუსი ერები ცარიზმმა მაინც გამორჩეული ჩაგვრის, შევიწროებისა და დამცირების პირობებში ჩააყენა. და ყველაზე ბოროტი განაზრახვი რუსეთის ცარიზმისა მაინც ამ ხალხთა ეროვნული ასიმილაციისა და გადაგვარების დაეინებითი ცდა იყო.

საქართველოში მეფის ასიმილატორებმა უწინარეს ყოველისა მიზანში ამოიღეს ქართული ენა, რომელიც თავიდანვე უგულვებელჰყვეს, შეავიწროვეს და, ბოლოს, სასკოლო სწავლებიდანაც სრულიად განდევნეს. ოფიციალური მიმოწერიდან ვანიდენა და საქარო სახსენებლადაც აიკრძალა სახელა „საქართველო“, რომლის მაგივრად იხსენიებოდა მხოლოდ „თბილისის გუბერნია“ და „ქუთაისის გუბერნია“.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა, ეკონომიკური გასპლოატაციის სიმძიმე, მშობლიური ენისა და ტრადიციულ ზნე-ჩვეულებათა შევიწროება და შეგინება ქართველ ხალხსაც ისევე აწუხებდა და სააჯანყოდ განაწყობდა, როგორც ყოველ სხვა თავისუფლებამწართმეულ ხალხს, ყოველ დროსა და მსოფლიოს ყოველ ადგილას. უკვე მოხსენიებული მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ამბები ნათლად მეტყველებდნენ, რომ ქართველი ხალხის სულში მუდამ ჩაუქრტალად ენთო თავისუფლებისათვის ბრძოლის ნაპერწყალი.

და, როგორც ყოველთვის, ახლაც თავისი სიტყვა და საქმე უნდა წარმოეჩინათ ერის სულიერ მოძღვართ. ხოლო, ქართველი ერის იმჟამინდელი სულიერი მოძღვარნი „თერგდალეულები“ უნდა ყოფილიყვნენ.

და, მეცხრამეტე საუკუნის 60-70-იან წლებში განსაკუთრებით გამოიკვეთა აზრთა ჭიდილი დროის უმთავრესი საკითხის — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გარშემო. ამავე დროსა და ეროვნულ საკითხთა წრეს უკავშირდება „ხალხოსნობა“. ქართული ინტელიგენციის ნაწილმა დაიწყო „ხალხში გასვლა“, გლეხობის როგორც „ერთადერთი რევოლუციური კლასის“ ამოძრავება მეფის ხელისუფლების დასამხობად, თავისუფლებისა და მი-

წის მოსაპოვებლად. „ხალხოსნობა“ თავისი მცდარი ტექტი-
კით, ისევე როგორც რუსეთში, უპერსპექტივო და დასაძინებელი
პავედ განწიხული მოძრაობა იყო და მეფის ხელისუფლების
საქართველოშიც იოლად გაუსწორდა არაღეგალურ ხალ-
ხოსნურ ორგანიზაციებს.

სამოცდაათიანი წლების შუა ხანაში თერგდალეულთა
ორგანიზაციაც დაიშალა. უთანხმოება ერის ბელადობისა
და მეთაურობის, ერის გათავისუფლების მიმოძრაებულ
ძალთა, პროგრესულ გზათა და საშუალებათა განსაზღვრე-
ბაში მკლავნდებოდა. და ამ საკითხთა გადაწყვეტაში გამოა-
კვეთა ორი მთავარი მიმდინარეობა, ანუ ორი „დასი“.

„პირველ დასს“ შეადგენდნენ ილია ჭავჭავაძე,
აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, უფრო გვიან —
ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. ეს იყო ჭეშმე-
ნისტურ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც
ერის ხელმძღვანელ ძალად პროგრესულ თავადაზნაუ-
რობას მიიჩნევდა. ისინი ერის შიგნით სოციალურ და წოდე-
ბრივ უსწორობასაც ჰხედავდნენ და კიდევაც გმობდნენ,
მაგრამ მაინც ყველა სოციალური შრე ერის ერთიან, სისტე-
ლხორცულ ნაწილად მიიჩნდათ და მათ შორის უფრო თანხ-
მობასა და ერთიანობას ქადაგებდნენ, ვიდრე სოციალური
და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. მათთვის მთავარი
ერის განთავისუფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოე-
ბრიობის მოპოვება იყო, და ამ საერთო ერთვულ ბრძო-
ლაში ერთნაირი თავგამოდებით უნდა ებრძოლა ყოველ სო-
ციალურ და „კლასობრივ“ წრეს.

„მეორე დასში“ შედიოდნენ ნიკო ნიკოლაძე, გი-
ორგი წერეთელი, სერგი მესხი და სხვანი. ეს იყო რადი-
კალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც
ერის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად მიიჩნევდა არა
თავადაზნაურობას, არამედ ბურჟუაზიას. მეორედასელები
პროგრესს კაპიტალიზმის განვითარებაში ჰხედავდნენ და იმე-
დსაც კაპიტალიზმის პირმშო კლასზე, ბურჟუაზიაზე ამყა-
რებდა.

კაპიტალიზმი კი უკვე სწრაფად იდგამდა ფეხს საქათ-
ველოში. ყალიბდებოდა მუშათა კლასი და ბურჟუაზია. სა-
ზოგადოებრივი და კლასობრივი დაპირისპირებულობანი ახალ

ფორმებსა და შინაარს ღებულობდა. 1872 წელს თბილისში, ბაშბის ქსოვილთა ფაბრიკაში პირველი დედუქციური გაფრცვა მოხდა. ერთი კვირის თავზე გაფრცვალი უფრო ორგანიზებული იყო გაფრცვა 1878 წელს ავეჯის ფაბრიკაში. ადმინისტრაცია იძულებული გახდა გაფრცულით ყველა მოთხოვნა დაექმყოფილებინა. განსაკუთრებული აქტივობით იბრძოდნენ რკინიგზელი მუშები.

საუჯუნის მიწურულს ეკონომიკური ხასიათისა და სტიქიურად მიმდინარე გაფრცეები მუშებმა შეგნებული პოლიტიკური გამოწვევებით შეცვალეს.

და ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა ურთიერთობამ წარმოშვა ახალი, „მესამე დასი“, სოციალ-დემოკრატია, ანუ მარქსისტთა პარტია. აქ იყვნენ: ეგნატე ნინოშვილი, მახაცხავია, ნოე ყორღანია, ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო ჭიბლაძე, კარლო ჩხეიძე, ირაკლი (აკაკი) წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ვეგანი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ლადო კეცხოველი, ალექსანდრე (საშა) წულუყიძე, იოსებ (სოსო) ჭულაშვილი, სერგო ორჭონიყიძე, საშა (ალექსანდრე) გეგეჭკორი.

„მესამე დასი“ (ეს სახელი დაარქვა მწერალმა გიორგი წერეთელმა) პირველ-მეორე „დასებს“ და, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძეს მტრობდა. დიას, ეს იყო არა მხოლოდ იდეური დაპირისპირება, არამედ აშკარა მტრობა.

ხოლო, სამტროდ, საბრძოლოდ და საციქვნად ქვეუღიყოთ ორი უმთავრესი „საკითხავი“, ქვეყნისა და ხალხის სამომავლო ცხოვრებისათვის სამოქმედო ორი ქვეყნობედური პოსტულატი: ნაციონალური, ანუ ეროვნული, და სოციალური, ანუ საზოგადოებრივ-კლასობრივი.

ილია ჭავჭავაძის და მისი „დასის“ პოზიცია პირველი იყო — ნაციონალურ-ეროვნული, ხოლო სოციალ-დემოკრატებისა, ანუ „მესამე დასისა“ — სოციალურ-კლასობრივი.

ილიას საერთოდ მსოფლიო კაცობრიობის და მასში თავისი პატარა ხალხის სოციალური, წოდებრივი და ქონებრივ-უფლებრივი დაყოფაც ძალიან კარგად ესმოდა და ეაზრებოდა, — იცოდა, რომ ზაქროები, კაკოები და გაბროები თავიანთ ბატონებს უსიკვდილოდ ვერ შეურიგდებოდნენ, ვერც თავადის ქალი კესო გადააბიჯებდა „ჩატეხილ ხიდს“ და ცო-

ლად ვერ შეერთებდა „იდეალურ ყმა-გლეხ“ გიორგის. მაგრამ ილიას ურყევად სწამდა, რომ სანამ ქართველი ხალხი, როგორც ხალხი და ერი, თავის თავს უცხო უღმრთოებას დაიხსნიდა, მანამ რაიმე სოციალური, მით უფრო რაიმე „მსოფლიო რევოლუციისათვის“ ქართული სისხლის დაქვევა თვითონ საქართველოს დაქვევას და დამეხვებას ნიშნავდა.

მაშ, ვერ უცხო ბორჯილთაგან სამშობლოს დახსნა და მას შემდეგ სოციალური თანასწორობა და „ქმობა-ერთობა“, — ასეთი იყო ილიას მრწამსი.

და ამასვე ამბობდა აკაკიც:

„არა, ჩვენ უნდა ჩვენი ბორჯილი შეერთებულად ვერ ავიყაროთ და შერე უნდა „ქმობა-ერთობით“ და თანსწორობით, ჩვენც ვავიხაროთ“.

ილიამ პირველმა იქადაგა საქართველოში „შრომისა ახსნაც“, „შრომის სუფევაც“, „მაშვრალის განკაცებაც“, „ბორჯილთა მსხვერვეაც“ და ქართველმა მარქსისტებმაც ყველა ეს ფორმულა თვით მარქსის წაკითხვამდე სწორედ ილიასგან ისწავლეს.

ეს საოცრად ჯადოსნური სიტყვაც — „ერთობა“ — ილიას აპოსტოლური მუბლის ღვიძლი შვილი იყო და „მესამე დასელებმა“ ესეც „იმ აპოსტოლისგან“ ისწავლეს. მაგრამ ყველა ამ „ნასწავლ“ და „ნასესხებ“ ფორმულებში „მოწაფეებმა“ სრულიად სხვა, „მასწავლებლის“ ნაზრევთა საპიროსპირო აზრი ჩასვეს და ჩაადუღაბეს.

ილიას რომ „ერთობის“ ქვეშ ქართველთა ყველა წოდებასა და ყველა სოციალური შრის ერთიან ერთად, ნაციონალურ მთლიანობად შეერთება და შეკავშირება ეგულებოდა, „მესამე დასელებს“ ამის საპასუხოდ და საწინააღმდეგოდ, „ერთობის“ ქვეშ, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ სახელგანთქმული მოწოდება მოემარჯვებინათ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

— ყველაფერი საერთაშორისო პროლეტარიატისთვის! — გაკვიოდნენ სოციალ-დემოკრატები.

— ყველაფერი სამშობლო საქართველოსათვის! — ბრძანებდა ილია.



სამშობლო?!

სამშობლოზე, მამულზე და მის დახსნაზე სიტყვები უმეტესად დებატს ეძღვნება. „მესამე დასვლას“ ვაშლი მათი „უტყუარი კოზირი“ იყო ფრაზა „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“: „მუშებს სამშობლო არა აქვთ“. მათთვის ეს ფორმულა მაქსიმალისტური კანონის რანგში იყო აყვანილი. ასე გასინჯეთ, ყოველ ომში საკუთარი სამშობლოს მარცხის სურვილსაც („პორაფენცობა“) აშკარად გამოხატავენ.

და, არსად, არც რუსეთისა და არც ევროპის სოციალ-დემოკრატიკა შორის, არ ჰქონია ისეთი გასაყვანი და წამდაუნუქ ხმარების პრაქტიკა ამ ფორმულას — მუშებს სამშობლო არ გააჩნიათ — როგორც ქართველ მარქსისტთა, ანუ „მესამე დასვლას“ შორის.

— მე შეზღუდვა ქართულ პარტიუტუტებზე ლაპარაკი, — ამბობდა „მესამე დასვლი“ კაცი წერეთელი.

— სამშობლოზე და მამულზე ლაპარაკი ფეოდალების გამოგონილია, ხოლო თვითონ ხალხს ასეთი გრძნობა საერთოდ არ გააჩნიათ, — ამბობდა „მესამე დასვლი“ ნოე ჟორდანიანი.

და იყო დაუძინებელი მტრობა „დასვლას“ შორის საქართველოში.

ანუ იღო ორი თოფი — ნაციონალური (ეროვნული) და სოციალური (კლასობრივი).

თუ გავარდებოდა, საქართველოში „ნაციონალური თოფი“ უნდა გავარდნილიყო, — ასე ფიქრობდნენ პირველ-მეორე დასვლნი.

ხოლო, საერთოდ, „თოფის გავარდნაში“ მესამედასვლნი გაცილებით უფრო აქტიურნი, კმედიონი და პრაქტიკულნი იყვნენ, ვიდრე წინარედასვლნი.

პირველ-მეორედასვლნი თოფისა თუ ხმლის (მათთვის — „ეროვნულ-ნაციონალური თოფისა და ხმლის“) აღებას ჯერ ნაადრევად მიიჩნევდნენ და სამომავლო ბრძოლისათვის ხალხს სიტყვით და კალმით ამზადებდნენ. იმავე საუკუნეში თითქოს ამათ და ნაქცევი ეროვნული სისხლიც უკარნახებდა ილია ჭავჭავაძეს, მისი თანამედროვე ქართველობა ახალ სისხლისღვრისაგან შეეჩერებინა და თავისი გრძნეული სიტყვით მომავალი ქართველობის სწორედ აქტიური, პრაქტიკუ-

ლი გამოსვლისათვის უტყუარი ნაყოფის მომტანი ნიადაგ^ს
მოემზადებინა.

ამდენად, ილიას მოძრაობა უფრო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი^ს
ვისუფლებელი „ხმის ამოღება“ იყო, ვიდრე „ხმლის
ამოღება“ და ამ მოძრაობის სათავეში იდგა არა სარმარ
უნაგირზე აღმყდარი და ხმალამართული გარიბალდი ან კო-
შუტი, ან ლეესკი, ან ბოლივარი, არამედ — ილია ჭავჭავაძე,
ერის სულიერი მამა, გმირი სიტყვისა, აზრისა და კალმისა.

ამრიგად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა,
რასაც ილია და სხვა სამოციანელები წარმართავენ, იყო
ბრძოლა ქართველი ერის სულიერი და ნივთიერი აღორძინე-
ბა-ამიღლებისათვის (ახალი ქართული სალიტერატურო ენის
შექმნა, ეროვნული ისტორიისა და კულტურის დაცვა და ამა-
ღლება, ბანკისა და წერა-ჭოტვის გამაერთელებელი საზოგა-
დოების დაარსება), რომელშიც ილია ჭავჭავაძე თავის სამშობ-
ლოს ჭეშმარიტი მოქმედების გმირად მოე-
ვლინა.

მაშ, ისევ ლაპარაკია ნაციონალურ-განმათავისუფლებელ
„ხმლის აღმოხდენაზე“, ანუ „ნაციონალური თოფის“ გავარდ-
ნაზე...

ილიას ბუმბერაზ პიროვნებას, დიხაც, შესწევდა ძალა
მისი ხალხისთვის ერთდროულად ეტვირთა ორივე უღე-
ლი: ის, რაც უკვე იტვირთა (შინაერთენული სულიერ-ნივ-
თიერი აღორძინება და გარდასახვა) და ის, რაც სამომავლოდ
სატვირთავად რჩებოდა (ეროვნული თავისუფლებისა და და-
მოუცილებლობის მოპოვება). მაგრამ ნაციონალურ-განმათა-
ვისუფლებელ გმირს („ქართველ გარიბალდს“ თუ „ქართველ
კოშუტს“) იგი თავის თავში კი არა, მხოლოდ სამომავლოდ
ვარაუდობდა პოეტური სიმბოლიკით — „ბაზალეთისა ტბის
ძირას, ოქროს აყვანში“...

სამოციანელთა შორის მაინც სამი იყო უძლიერესი, ვი-
თარცა მძლავრი ტრიუმვირატი, ანუ სამება სამი სიკეთისა:
აზრი და გრძნობა — ილია ჭავჭავაძე,
გრძნობა და აზრი — აკაკი წერეთელი,
საქმე და აზრი — ნიკო ნიკოლაძე.

...
მაგრამ გამოჩნდნენ მოქმედების გმირები — აზ-

რისა და მოქმედების მთლიანობით.

და ესენი იყვნენ სწორედ მესამედასელნი — ძლიერნი, ორგანიზებულნი, მიზნისთვის შეუპოვარნი და უპრობლემოდ პრინციპულნი, სისხლის (ეროვნული სისხლის!) დაქვევებუ დაგეშილნი და მოწყურებულნი.

(ქართულ სისხლს მათთვის, ეროვნული კი არა, მხოლოდ და მხოლოდ სოციალური ღირებულება თუ გააჩნდა...).

თვითონ ილია კი, ბებერი ჰამლეტი — სრულიად მარტო იყო.

და — „ნაციონალური თოფი“ უქმად იდო საქართველოში, ხოლო „სოციალური თოფი“ უკვე ჩახმახზე შემართულიყო...



VIA DOLOROSA

„მშვიდობით, მეფობათ ისრაელისათ, ჩამოთვ უგუნდრებით მოქალაქეთ, უზადრტუნო და წარწმუდილნი. უფალი და მაცხოვარი ვოცველოა, და იქმენთ ზორიტად მკელენი შემოქმედოსა თქვენისა!“

გოდება ელიოზ მცხეთელის დედისა

ეროვნული თავისუფლება!

ეროვნული დამოუკიდებლობა!

არიან დედამიწაზე ბედნიერი ერები, რომელთაც ეს „უცნაური საფიქრალი“ არ ეფიქრებათ.

ხოლო, ქართველმა ხალხმა მთელი თავისი ისტორია სწორედ ეროვნული გადარჩენის, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ ბრძოლაში გამოატარა.

„ვიქნები თუ არ ვიქნები ვითარცა ერი ხვალ, ზეგ, მერმისს? გადავრჩები თუ ვერ გადავრჩები, ვიარსებებ თუ ვერ ვიარსებებ?“ — აი, მარადიულ შემარყეველი საფიქრალი და „საყითხავი“ მცირერიცხოვანი ერებისა.



მაგრამ დანასისხლად გადამტერებული საისტორიო ბე-
 დისწერისაგან ქართველ ერს მაინც დასდევდა ეს „ილზალე“
 ყოველ უმძიმეს ერონული ყოფნა-არაყოფნის მდგომარეობის
 ბათა შექმნის უამს უნდა გამოჩენილიყო ვინმე „ეროვნული
 წინამძღოლი“ „მოძღვარი“ „ერისმთავარი“, „მესაძე“, „ბე-
 ლადი“, გვირგვინოსანი თუ უგვირგვინო „მეფე“, რომელიც
 „ზეგარდმო ნიქით“, უტყუარი ალლოთი და გერშით, ვითარ-
 ცა მოსე, უწინამძღვრებდა და გამოიყვანდა მშობელ ხალხს
 შეშველი დაღუპვის მარგუზებელი სამყაროდან.

მაგრამ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ძნელი იყო
 „ერისმთავრობა“, „ერისმოძღვრობა“, „ერისმწყემსობა“, ---
 ძნელი იყო, რადგან უამრავი „იზმით“ ავსებულყოფი აზ-
 როვნების ბედისწერით ატანილი ეს დრო-ჟამი: კაპიტალიზმი,
 იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი, მილიტარზმი, ანარქიზმი,
 ცარიზმი, შოვინიზმი, ნაცზონალიზმი, მონარქიზმი, სოციალიზ-
 მი, კომუნისმი, ინტერნაციონალიზმი, პარლამენტარიზმი, ან-
 ტაგონიზმი...

და ვინ მოთელის კიდევ — რამდენი „იზმი“?!

ხოლო, ყოველი — „იზმი“ თავის საკუთარ, თავის სასისხ-
 ლოს მოითხოვდა. დიავ, სისხლს! კაციშვილის სისხლს!

მცირერიცხოვანი ერები კი განსაკუთრებით ზარალდები-
 ან მსოფლიო „იზმებისათვის“ უზღვავე სისხლის გაღებით.

მცირერიცხოვანი და აქტიური ერები!..

საქართველოს კი არასოდეს, მთელი მისი ხანგრძლივი ის-
 ტორიის გასწვრივ, არ დაუთმია „მსოფლიო აქტიურობა“. არასოდეს იგი არ ყოფილა ოდენ გულგრილი მეთვალყურე
 და „გამოწყვეტილი“ მაჩანჩალა რაიმე და რომელიმე მსოფ-
 ლიო მოვლენისა, მსოფლიო მოძღვრებისა, იდეისა, ნოვატო-
 რული თუ რენესანსული მსოფლიო ინტელექტუალური მიღ-
 წევისა. გამოწყვეტილა კი არა, უბრალო „მიმდევრობას“,
 თუნდაც კეთილშობილურ ეპიგონობასაც ან კმარისობდა და
 არ „კადრულობდა“ ქართველი კაცი. იგი მთელი არსებით,
 სულისა და ხორცის სრული შეწირვით უნდა მისცემოდა ყოველ
 მსოფლიო მოვლენას და, რაც მთავარია, უნდა მისცემოდა სა-
 კუთარი ეროვნული სულის განფენილობით, გამოარჩეული
 „კახუსის“ დონეზე იყვანილი ეროვნული „ნოვატორებით“
 და „თვითმყოფობით“.

ასეთი იყო ქართველი კაცი — მუდამ „მსოფლიო აქტიურობით“ და ყოველ მსოფლიო „მძრაობაში“ უაღრესი ერთვნილი „ნოვატორიზმით“. ასეთი იყო იგი ქვემოთხსენებულ ებში, ასეთი იყო შუა საუკუნეებში, ასეთად დარჩა ახალ საუკუნეშიც.

მეცხრამეტე საუკუნე მსოფლიო „იზმების“ ციებ-ცხელაბას მოეცვა და საქართველოც, — ვითარცა მსოფლიო-გლობალურ მოვლენათა უაღრესად აქტიური ნაწილი („ცხელი წერტილი“) — იმავე ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი.

ძნელი იყო მაშინდელ საქართველოში „ერისმთავრობა“ და „მწყემსმთავრობა“, ძნელი იყო, ვინათგან ბევრი იჩემებდა „ერისმთავრობას“, „მწყემსმთავრობას“, „ბელადობას“, „მესაპეობას“ და სხვათა მისთანათა.

და ყოველ მათგანს ცალკეულად აჩემებდინა რომ მას ერთადერთს ეპყრა ხელში მოსეს ქვერთხიც, დაეითის ქნარიც და სოლომონის ბეჭედიც.

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე საქართველო თითქოს მიჰგავდა ქრისტესდროინდელ პალესტინას, სადაც ბატონობდა „პირველი რომი“ და რომაელი იმპერატორის უღლის ქვეშ მოქცეული მცირე ქვეყანა ავსებულყო უამრავი „წინასწარმეტყველით“, „მესიით“, „ღმერთით“. მაგრამ ერთადერთი ღმერთი ქეშმარიტი მათ შორის აღმოჩნდა ოდენ იეშუა ნაზარეველი!

ასევე საქართველო — „მესამე რომის“, ანუ რუსი იმპერატორის უღლის ქვეშ მოქცეული მცირე ქვეყანა, ავსებულყო უამრავი „ღმერთით“, „ბელადით“, „მესაპით“. მაგრამ ნამდვილი და ქეშმარიტი მესაპე მათ შორის აღმოჩნდა ოდენ ილია ჭავჭავაძე!

ორივე გმობდა სისხლის დაქცევას — ნაზარეველიც, ჭავჭავაძეც.

ორივე იყო გმირი სიტყვისა, მხოლოდ სიტყვისა.

მაგრამ სიტყვა მათი იყო „სიტყვა ღმერთისათანა“.

და სწორედ „ღმერთისა-თანობა“ არ ამატიეს — არც ნაზარეველს, არც ჭავჭავაძეს...

..და დამდგარიყო ქრისტეს აქეთ წელი — 1907.



თვე აგვისტო, რიცხვი 30, დღე ხუთშაბათი.

ერთი საათი ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე უკრძალავს მწვანე სუფრა და შავ გულთა ძვერა წიწამურთა გვერდითა სუფრის გარშემო შეგვლიანი თორმეტი კაცი.

მათ შორის ხუთი „რჩეული“ — გიგლა ბერბიჭაშვილი, ლომა (გიორგი) ხიზანიშვილი, პავლე აფთიაური (ფშაველე-შვილი), ივანე ინაშვილი და კიდევ „ვილაყ იმერელი“.

სუფრიდან ხუთ ნაბიჯზე ხუთი შავლულიანი ბერდანათოფი წევს, მძიმე დუმლით დატენილი და დამძიმებული.

შავი ღვინით სავსე შავი რქა მეხუთედ ჩამოატარეს.

და წამოიშალნენ, სისხლგამძვინეარებულნი და საფეთქელ-გახელებულნი.

დრო იხელთეს შეემა ბუზებმა და გააღმასებით დააცხრნენ გუდის ყველისა და ცხერის დუმის ნამუსრევთ.

ხუთი გაქონილი, შავფრჩხილიანი მარჯვენა დასწვდა ხუთ ბერდანას.

შავბერდანაიანი ხუთეული ტყის პირას ჩანაპირდა და ჩასაფრდა...

დგანან და ელიან სიკვდილით დატენილი თოფებით. გულუძვრელნი და გულჯავრიანი, უდიდესი თვისტომის („კლასობრივი მტრის“!!!) მკვლელობაზე ნერწყვმორეულნი.

უფლის მკვლელობით ისტორიაში შესასვლელად ემზადებიან საკუთარი სულის მესაფლავენი.

(ერთხელ პერმოლაოსმა ჰკითხა კალისტენეს: როგორ შეიძლება ადამიანთა უკვდავი სახელი მოიპოვოსო. — როგორ და, დიდი ადამიანის მოკვლითო, — უპასუხა კალისტენემ. იგი აღექსანდრე მაკედონელის მოკვლას მიაანიშნებდა)...

მზე საშუადღეოზე დაეყუდა — მძვინვარე, ცხელდორბილიანი.

ილიას მკვლელობამდე — 45 წუთი...

...თბილისიდან წამოსული ეტლი ავჭალას გასცდა.

საგურამოდაან მოურავს შემოუთვლია თბილისში, ბატონისასწრაფოდ უნდა მობრძანდესო

და მიდიან ახლა საგურამოში.

უკან ილია და მისი მეუღლე, ოღლა გურამიშვილის ქალი, სხედან; წინ კოფთოვ — მეეტლე თედო ლაბაური და ილია მსახური იაკობ თარაშვილი...



...2000 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

40 წუთი — წიწამურის თოფის გაეარდნამდე, ჭერის მონასტრის ხილვაზე ჭვარი ისახა ილია კი ღრმად ჩაპყლოდა ფიქრთმეტყველებას.

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებებული ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა“... ერთ-სულ და ერთ-ხორც.

ერი ჩვენი, ერი ქართველი. გონებით საკვირველი, სინდისით...

გონება, სინდისი.. მეთერთმეტე საუკუნემდე ორივე ერთ ცნებაში ჰქონდა მოქცეული ქართველ კაცს და ორივეს ერთად გონება ერქვა. „გონება ამხელდა“, „გონება კარნახობდა“, „გონება ქენჯნიდა“, „გონება აწუხებდა“. დასაბამით-გან იგულისხმებოდა ესეც: გონება არის აღამიანი და რაკი შექმნილხარ აღამიანად, გონება არის შენი ზნეობაც. ხოლო, შემდგომ, ვინ იცის რა საზოგადოებრივმა წვა-დაგვამ გახლიჩა გონება იგი ცალკე „წმინდა გონებად“ და ცალკე კიდევ შინაზნეობრივ „მი-მო-ქცევად“...

...1500 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

30 წუთი — წიწამურის თოფის გაეარდნამდე.

სვეტიცხოვლის ხილვაზე პირვეარი ისახა და ილიას გარდასახა ოლღამ.

ილია კი ისევ ღრმად ჩაძირულიყო ილიაში.

„ვერ მცხეთა — სივანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართველს მორკმულთა შეილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების...
სადაც ჰყვოდა ზე ცხოვრებისა
ქართველს გულიდან აღმოცენილი...“
„ქართველს დედათ, ძეძუ ქართველისა...“

იმსხვრეოდნენ და იძირებოდნენ ილიას ლოგოსნი ილიას სულში.

„ქართლის სამკვიდროვ, კვეყნის თვალად დაბადებულო!“...
„წამხდარა ვველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტკრად ვარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება...“
„მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთან...“

...1000 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.



20 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე.
 და ილიას სულში ერთბაშად გაიხსნა ელიოზ მცხეთელის
 დედის გოდება: მოჰკალით, მოჰკალით ღმერთი, უფალო მოჰსიკა
 ჰკალით, თქვენ უგუნურნო!...

ფიქრი ფიქრს ათოვდა ილიას სულში.

.....

ხშირად ადამიანებს უფრო ეწადნიერებათ და ეხებებებათ
 მოკვლა საკუთარი ღმერთისა.

ცოცხალ ღმერთს ვერ იტანენ.

მკვდარი ღმერთი კი უყვართ, — თვითონვე ტომ მოჰკ-
 ლავენ და თვითონვე გააღმერთებენ.

და მოჰკლეს ღმერთი ჰებრაელთა... ხელი შეიგინეს სამა-
 ტადეამოდ...
 ანდა... რომ არ მოეკლათ, იქნებ ღმერთი არც იქნებოდა?!
 (ათოვდა ფიქტი ფიქრს ილიას სულში)...

500 ნაბიჯი — წიწამურის ტყემდე.

10 წუთი — წიწამურის თოფის გავარდნამდე, ანუ — ვიდრე
 „ფიქრის თოვა“ გათავდებოდეს...

„ჩვენო არაგვო, რაიგ მიყვარხარ!
 ქართულის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...“
 „და წმინდა სისხლი ქართველებისა
 შენს კედლებზე გადასხმულია...“
 „და წმინდა სისხლი ქართველისა, ქართველის ხელით
 დაკვეცილია“...

...„ვამი თქვენ უგუნურნო და უბადრუტნო, რამეთუ თქვენ
 ღვითონ მოჰკალით შემოქმედი ღმერთი თქვენი!“...

...10 ნაბიჯი — წიწამურის ტყის პირიდან.

1 წუთი...

შეიტლემ უცებ ეტლი დააყენა და დააქვავა.

უმაღლ ტყემ ხუთი თოფი გამოიშვირა.

ეტლიდან გადახტა იაკობ თარაშვილი.

„კაცნო, ვინა ხართ, არ გვესრ...“

სიტყვა ჩაუჭრა თოფის გრიალმა და თარაშვილი თავდამ-
 ხედ დაენარცხა მიწას.

ილია უკვე ფეხზე იდგა, ჭაბუჯურად გაფიცებული.

„შესდექით, უბედურნო, ილია ვარ!!!“



და წამსვე ოთხი თოფი გაეჯღღა ერთად.
 გათრთოლება უკანასკნელი ფიქრისა.
 მკვდარი ესვენა თავადი აზრი და სინდისი
 საქართველოს უგვირგვინო მუფე მაინც გვირგვინით აღ-
 სრულებულიყო — წამების, ვნების, ეკლის გვირგვინით.
 იქნებ, მაინც უკანასკნელად ეს სიტყვა გაფითრდა და
 გაშრა მის გრძნეულ ბაგეზე:
 „სა-ქართ-ველო...“
 დრო გაჩერდა...

ბოლო ბოძი

როცა საქართველოს ილია მოუკლეს, მას შემდეგ უთვა-
 ლავი სიტყვა ითქვა — სიტყვანი დიდნი თუ მცირენი, მაგრამ
 სამი რამ ლოგოსი მაინც უსაჩინოესი ითქვა, წმიდა სამება-
 საეით და თვითონ ილიასაეით დაუვიწყარნი და სანიშანსე-
 ტონი:

• • • • •

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას
 და ნუ ამბობთ, რაც არ შეეძა!
 ნუთუ მართლა დღეს გადაწვდა
 საქართველოს ბედისწერა?“

• • • • •

„საძირკვლად აზრი ჩაგდგე,
 ზედ დასდგი გრძნობის ტახარი,
 ...მოგალით ზეენისვე ხელით,
 მომშეთოვის ნაქირმაგარი.
 ...ვერაფერს ვიტფვი. ენა სდუმს,
 თავზე დავგხზავის ყორანი;
 გაღმა გასვლისა მსურკელთა
 უკულმა მიგვევს ბორანი;
 გაგვბატონდა, მგოსანო,
 სირეგენე შეუწონარი“.

გ ა ლ ა ტ ი ო ნ ი :

„წინამურში რომ მოკლეს ილია,
 მაშინ ებოჭა ვათავედა დიდი“...



ქეშმარიტად — ილია (ვითარცა ოდესლაც დანტეკი) მწმული
 ეპოქათა მიჯნაზე აღესრულა. ბიზლიჩოთიკა

აღესრულა მამა ქვეყნისა და ერისა, რომლისთვისა —
 სწორედ ვითარცა ქეშმარიტი მამისათვის — ერთნაირად
 საყვარელი, ფასდაუდებელი და სიცოცხლით შეუღებელი
 იყო ყველა შვილი: უფროსიც („თავადაზნაურობა“),
 შუათანაც („გლეხობა“) და ნაბოლარაც („ბურჯუაზია“).

იგი — კვლავ ვითარცა ქეშმარიტი მამა — თავგანწირვით
 იბრძოდა შეერიგებინა ერთმანეთზე სამტროდ შემართული
 შვილები: „თავადიც“, „აზნაურიც“, „გლეხიც“, „ბურჯუაც“,
 „პროლეტარიც“, — რამეთუ მისთვის ყველა ერთნაირად
 იყო შვილი და იყო ქართველი; შეერიგებინა
 და მშანი ერი სისხლისა და ძვალბორცისანი, ერთი საერ-
 თო მტრის წინააღმდეგ მიექცია, ერთიანი ვააზრებითა
 და ძალისხმევით.

მაგრამ დიადი მამის ბრძოლა მისივე შეწირვით გა-
 თავდა.

.

გზა იერუსალიმიდან გოლგოთამდე — ქრისტეს უკანასკნე-
 ლი გზა, ანუ — *via dolorosa* („გზაი გლოვისაი“) საქრის-
 სტიანო მსოფლიოსათვის.

გზა თბილისიდან წიწამურამდე — ილიას უკანასკნელი გზა,
 ანუ — „გზაი გლოვისაი“ საქართველოსთვის.

ყოველ ამ დღეს — 30 აგვისტოს (ახ. სტ. 12 სექტემბერს) —
 ყოველმა ქართველმა საკუთარი ფეხით უნდა გაიაროს
 ეს გზა — თბილისიდან წიწამურამდე, „ვია დოლორო-
 ზა“ საქართველოსი; გაიაროს, რათა ათვითონაც მარად გა-
 ნეცდებოდეს: გრძნობა ილიასი (ანუ საქართველოსი), აზრა
 ილიასი (ანუ საქართველოსი), სასოება ილიასი (ანუ საქარ-
 თველოსი), წამება ილიასი (ანუ საქართველოსი) და ისიც
 რომ ამ დღიდან საქართველო ახალი საისტორიო
 სამანიდან იწყებდა ცხოვრებას.

იწყებდა — უ-ი-ღ-ი-ა-ოდ.



შიგავაკლი

წინაბეკე	5
კარი პირველი — ფესვები	7
კარი მეორე — აღმართი	25
კარი მესამე — მწვერვალები	72
კარი მეოთხე — დაღმართი	151
კარი მეხუთე — ყოფნა-არყოფნა	237
კარი მეექვსე — ბაზალეთიდან ბახტრიონამდე	291
კარი მეშვიდე — ბახტრიონიდან ასპინძამდე	319
კარი მერვე — ასპინძიდან კრწანისამდე	434
კარი მეცხრე — კრწანისიდან წიწამურამდე	466
ბოლობეკე	572



ქართული
საინჟინრო-
საგებობათმშენებელი

გამოცემის ხელმძღვანელი: ზურაბ მიქაია
1—11 ტომის მხატვრები: მშენი ავთანდილ და ტარიელ ვარგაძეები
ტექნიკური რედაქტორი: ნოე მაჭარაშვილი
გამომწვევები: მახვილ მგვრელიშვილი

გადაცა წარმოებს 3.V.92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.V.92 წ. საბეჭ-
დი ქაღალდი № 2. 84×108¹/₂ ნაბეჭდი თაბახი 36. სააღრიცხვო საგამომ-
ცემლო თაბახი.....

ტირაჟი 30000 შეკვეთა № 200

დასი სახელმწიფოებო

გამომცემლობა „მედი“
საგამომცემლო კომპერატივი „ქეჭილა“

თბილისი 1992

თავისუფლების მოედანი № 4

Санкидзе Леван Давидович

МНОГОТОМНИК

(На грузинском языке)
Издательство: «Имеди»
кооп.: Джебили
пл. Свободы, 4



თარგმნა
საბჭოთა

საქართველოს აკადემიკოსების შექმნილი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
თბილისის ილ. ჭავჭავაძის წიგნის ფაბრიკა ვრ. ბობაქიძის გამზ. № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе департамента
по печати Республики Грузия, пр. Гр. Робакидзе № 7.

